

114  
1963/3

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

# მნათობი



6

1

9

6

3

# გნათობი



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი მე-40

№ 6

ივნისი, 1963 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

9050

## შ ი ნ ა ა რ ს ი

გრიგოლ აბაშიძე — მისი ძაბილი. ლექსი	
მხატვრული შემოქმედების უპირველესი ამოცანა	3
ირაკლი აბაშიძე — ერთი დღე ფიროსმანიშვილის დაკარგულ საფლავთან. ლექსი	7
თეიმურაზ მაღლაფერიძე — უშვა. მოთხრობა	8
კარლო კალაძე — როგორ იცვალა ფერი სოფელში... ლექსი	57
ლადო მრეღაშვილი — ყაბაძი, რომანი, გაგრძელება	58
გონ სტეინბეგი — ზამთარი ზვენი მღვლელებისა. რომანი, გაგრძელება. თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ ქედიძისა	80

### კრიტიკა

ალექო სანაძიძე — მხოლოდ ახალი, ისევე ახალი	96
ნოდარ ნათაძე — ისტორია და შემოქმედება	101
ა. თოფურია — გიორგი ჭიბლაძის „კრიტიკული ეტიუდები“	112
რ. სურგულაძე — ირ. ვედოშვილის უცნობი რევოლუციური ფელეტონი	116

### რუსთველოლოგია

მავლე ინგოროვცა — რუსთველიანის ეპილოგი. გაგრძელება	119
--	-----

### განმოსათხრობარი

ანო წულუაძე — პედაგოგი, მკვლევარი, მოღვაწე	179
--	-----

(იხ. მეორე გვ.)





გურამ კანკავა — პირველი მოთხრობები	182
ბესარიონ წიკლაური — „ცისფერი ნაპირები“	186
ბონდო კარტოზია — ნარკვევები საქართველოში იდეოლოგიური ბრძოლის ძეგლებზე	188
ზურაბ აბაშიძე — ვ. ბრედელის „შვილიშვილები“	190
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გაწეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. შალჩაძე,  
ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. უიფიანი, ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 53. ტელეფონი 7-13-42; 7-11-88.

შეღმწერილია დასაბეჭდად 10/VII—63 წ. ქალაქის ზომა 70 × 108. ანაწეობის ზომა 7 1/4 × 12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16.

შე 09271. ტირაჟი 6500, შეკვეთა № 1070

საქ. კვ. ც.-ის გამოცემულობა, სტამბა № 1.  
Издательство ЦК КП Грузии, Тип. № 1



გრიგორ აბაშიძე

მ ი ს ი ძ ა ხ ი ლ ი

ისევ გუგუნით გადაიარა  
 და ზეცას მისწვდა ვაშა და ტაში,  
 ისევ ავარდა ადამიანი  
 მეტეორების მტვერსა და ქარში!

და გულისფეთქებით ის ითვლის წუთებს,  
 წუთებს, როშელიც სახლ-კარს აშორებს...  
 და პლანეტების ვარვარა ბურთებს  
 გარს უფლის, როგორც სათამაშოებს.

მიპტრის და მზერას საითაც ესვრის  
 ფარდას ხდის, როგორც თამამი ბავშვი—  
 ვრცელი სამყაროს დიდებულ წესრიგს  
 და მოვლენათა იღუმალ კავშირს.

და გულს ამღერებს, ყურს რომ მოესმის  
 ხმა ციდან ცაზე მეხად დახლილი—  
 შორს, შორს, ზიზღიურ სიმყუდროეში  
 ზარივით რეკავს მისი ძახილი!

## მხატვრული შემოქმედების უპირველესი ამოცანა

არა მარტო იდეოლოგიური ფორმის მუშაებისათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის აშკარა გახდა, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება მიდის შემდგომი იდეური აღმავლობისა და მხატვრული სრულყოფის გზით. ეს არის შედეგი იმ დიდი მზრუნველობისა, რომელსაც კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა და მთელი ჩვენი ხალხი იჩენს საბჭოთა მწერლობის და ხელოვნების დღევანდელი მდგომარეობისა და მისი მომავალი ბედისადმი. მას შემდეგ, რაც პარტიის ხელმძღვანელები შეხედნენ და გულახდილად გაუხიარეს მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლებს თავიანთი დაკვირვებანი, მოსაზრებანი და დასკვნები საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების მდგომარეობაზე, მხატვრული შემოქმედების საკითხები გახდა არა მხოლოდ მწერალთა და ხელოვნათა საზოგადოებრიობის, არამედ მთელი ხალხის მსჯელობის საგანი. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჩვენში ლიტერატურა და ხელოვნება განუყრელია სახალხო საქმიანობისაგან, გაუთიშავია კომუნისმის მშენებლების სასიცოცხლო ინტერესებისაგან.

კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოების ყველა ფენა ღრმად დააინტერესდა და აამოძრავა ნ. ს. ხრუშჩოვის და ლ. პ. ილიჩოვის მოხსენებებში აღძრულმა პრობლემებმა, ბიძგი და სტიმული მისცა ათასობით მშრომელს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მხატვრული შემოქმედების სადღეისო ამოცანების განხილვასა და გარკვევაში. მასების ამ ღრმად დაინტერესებულმა

და მხურვალე დამოკიდებულებამ ამ საქმისადმი, თავის მხრით, დიდად გააცხოველა და მაღალ საფეხურზე აიყვანა მსჯელობა. ქართული საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების იდეურობისა და მხატვრული დაოსტატების საკითხებზე. პარტიის ხელმძღვანელთა მოხსენებებში აღძრული და გაშუქებული პრობლემებისადმი მიძღვნილ ლიტერატორთა და ხელოვნათა კრებებზე გაიჩვენა მხატვრული შემოქმედების მდგომარეობა ჩვენში, მისი ახლანდელი იდეურ-მხატვრული დონე, მიღწევები, ხარვეზები, მტკივნეული და ჩრდილოვანი მხარეები, დადასტურდა, რომ ძირითადად ქართული მწერლობა და ხელოვნება წინ მიდის და ვითარდება პარტიული იდეურობისა და ხალხურობის გზით, სოციალისტური რეალიზმისადმი განუხრელი ერთგულებით დროში. უკანასკნელ წლებში მხატვრული შემოქმედების ყველა დარგში მოვიდნენ იდეური სიღრმის და მხატვრული სიახლის ძიებით გატაცებული ახალი ნიჭიერი ძალები; შეიქმნა არა ერთი და ორი ნაწარმოები, რომლებმაც იდეური შინაარსით და უტყუარი მხატვრული ღირსებით საზოგადოებრიობის ყურადღება დაიმსახურეს. ხაზგასმით აღინიშნა ის გარემოება, რომ რაიმე შესამჩნევ გადახრებს პარტიულობისა და ხალხურობის გზიდან ადგილი არა აქვს, რომ ახალგაზრდობა არ ამეღვანებს დეკადენტური ხელოვნებით, კერძოდ, მისი ყველაზე მეტე სახეობით — აბსტრაქციონიზმით გატაცების ნიშნებს. მაგრამ ამნათელი მხარეების აღნიშვნასთან ერთად, ფართო და საფუძვლიანი მსჯელო-



ბა გაიშალა ჩვენი მწერლობის და ხელოვნების განვითარებაში შემჩნეულ ხარვეზებზე და უარყოფით ტენდენციებზე, რომლებმაც, შესაძლოა, შექმნიან ხალხურობისა და პარტიული იდეურობის ხაზისგან ქართული მწერლობისა და ხელოვნების დაშორების საფრთხე, თუ მათ დაძლევის ამ თავითვე არ მიექცა ჭეშოროვანი ყურადღება.

ამ ხარვეზებისაგან მთავარია ის, რომ დღევანდელ ქართულ პროზაში, დრამატურგიასა და კინოხელოვნებაში ძალიან მცირეა ისეთ მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვი, რომლის ცენტრში იდგეს ჩვენი ცხოვრების გმირი — კომუნისტების მშენებელი ადამიანი, რომელიც თავდადებით ემსახურება სახალხო საქმეს, კომუნისტების პრაქტიკულ ამოცანებს, ცოცხალი ადამიანი, რომლის ავი და კარგი ერთად აღებული, იძლეოდეს საფუძველს დავიჯეროთ, რომ ჭეშმარიტად ეს არის იდეური, პრინციპული, ზნეობრივად უკეთესი და უფრო ფაქიზი, ვიდრე ბევრი ჩვენთაგანი, ისეთი გმირი, რომელსაც ჩვენ უნდა მივბაძოთ და რომლის მიხედვით ყოველმა ჩვენგანმა თავის თავი უნდა შეამოწმოს. დიან, სხვადასხვა ასაკის, პროფესიის და თანამდებობის ადამიანები, რომლებიც აღაფრთოვანებენ მკითხველებს, დღევანდელ ქართულ პროზაში, სცენაზე და ეკრანზე ძალიან იშვიათად გამოჩნდებიან ხოლმე.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთი მწერალი ძალიან ზღუდავს თვალთახედვასა და დაკვირვების არეს, სინამდვილეს ხედავს და ასახავს ემპირიულად ე. ი. არ ახდენს თავისი დაკვირვებების შეფარდება-შეპირისპირებას საზოგადოების განვითარების პერსპექტივებთან, მის წარსულთან და მომავალთან. ამიტომაც გახსოვდა ნაწარმოებები, სადაც აღბეჭდილია ცხოვრების საერთო სტიქიური მდინარეა, შემთხვევითი მოვლენები და ფაქტები, რომლებიც არ ხსნიან ცხოვრების არსს და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას, ნაწარ-

მოებები, სადაც მთავარ ფაქტორებს წარმოადგენენ უნიათო, სტლიზირებული, ჩაებულუი, ხასიათის სიმტკიცეს, პრინციპულობას, იდეურობას მოკლებული, უხადრუკი პიროვნებანი. რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ასეთებიც არიან, მაგრამ მწერლის განსაკუთრებული ინტერესი მათდამი ვერ ჩათვლება საბჭოთა ჰუმანიზმის გამოვლენებად და ვერ გამოართლება რაიმე იდეური მოსახრებით, რადგან ნაწარმოები ასეთი პერსონაჟებით არა თუ უპასუხებს სოციალისტური ლიტერატურის ამოცანებს, პირიქით, ანელებს მის მებრძოლ სული სკვეთებას, აქარწყლებს მის პოზიტიურ კლასობრივ მიზანდასახულობას. მით უმეტეს, საბჭოთა ნაწარმოების სიუჟეტის წამყვან ფიგურად არ გამოდგება თუნდაც ჭკუით და ნებისყოფით დაჯილდოებული ადამიანი, თუკი იგი თავის მოქმედებით ხელს კი არ უწყობს, პირიქით, აფერხებს სოციალისტური საზოგადოების წინსვლას. მხატვრული ნაწარმოების დასახლება ასეთი პერსონაჟებით შეიძლება აიხსნას ცხოვრებისაგან მწერლის მოწყვეტით, დაბალი იდეური დონით, ან მიმბაძველობით დასაუღეთის მოღუბი მიმდინარეობებისადმი. ნაწარმოები ასეთი პერსონაჟებით იდეურად და მორალურად ვერ აამაღლებს მკითხველს, ვერ აღზრდის მას შრომისადმი პატივისცემის, კომუნისტური საქმისათვის თავდადების სულისკვეთებით.

ჯერ კიდევ ამ ოცდაათი წლის წინათ სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელმა მ. გორკიმ შთამბგონებლად სთქვა, თუ ვინ უნდა იყოს საბჭოთა რომანის, პიესის თუ კინო-ფილმის უპირველესი გმირი. ადამიანი, რომელმაც თავისი შრომით სისწაულები მოახდინა და შრომა აიყვანა ხელოვნების სიმაღლეზე, — აი ვინ უნდა წარმართავდეს და ამოძრავებდეს საბჭოთა სინამდვილეზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებს. შეუძლებელია დღესაც აუღელეებლად წაეკითხოთ სოციალისმის პირველი მშენებლების მი-



მართ სიყვარულით გამსჭვალული, ღრმად განცდილი სიტყვები მ. გორკო-სა: „ჩვენ ვცხოვრობთ ბედნიერ ქვეყანაში, სადაც არიან სიყვარულისა და პატივისცემის ღირსნი. ჩვენს გულში აღამიანის სიყვარული უნდა აღძრას და აღძრავს კიდევ გაცივება მისი შემოქმედებითი ენერჯის წინაშე, აღამიანთა ურთიერთპატივისცემა კოლექტიური შრომის განუხრამელი ძალისადმი, რომელიც ქმნის ცხოვრების სოციალისტურ ფორმებს“. თუ ეს სიტყვები ითქვა სოციალიზმის პირველ მშენებლებზე, მით უფრო, დღეს, სამოციანი წლების დამდეგს, თამამად შეგვიძლია იგი გავავრცელოთ ჩვენს თანამედროვეზე, კომუნისმის აქტიურ მშენებელზე, რომელიც კიდევ უფრო მეტად იმსახურებს იმას, რომ დაიწეროს რომანი, პიესა, შეიქმნას კინოფილმი მის დიდებულ ცხოვრებაზე, რომელიც აღსავსეა მძაფრი კონფლიქტებით, რთული პრობლემებით, ქეშმარიტი ჰეროიკით, ღრმა აზრითა და ძიების სიახლით.

პარტიის ახალი პროგრამის შექმნის გასახიფათებელი ცხოვრება საბჭოთა აღამიანისა, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამამკვიდრებელი, ახალი მორალურ და ესთეტიკურ ნორმათა შემქმნელი, კომუნისმის მშენებელი აღამიანის ცხოვრება დღეს და ჩვენს ჩვენს თვალწინ, ჩვენს გვერდით. ჩვენს გარშემო. არდანახვა ყოველივე ამისა, საბჭოთა სინამდვილისგან განზე გადგომა, ასევე კომუნისტური მსოფლმხედველობის და გარკვეული იდეური პოზიციის უქონელობა გზაკვალს უბნებს თვით ძალზე ნიჭიერ შემოქმედს და განზე ახვევინებს სოციალისტური რეალიზმის მეთოდისაგან, რომლის უპირველესი მოთხოვნა იყო და არის დანახული და ასახული იქნას მთავარი და არსებითი, ცხოვრება მის კანონზომიერ განვითარებაში. სწორედ ამ მოთხოვნას ვერ უპასუხებს ზოგიერთი ქართველი მწერლის ნაწარმოები, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, წინ წამოწყებულია წერილმანი თემები, პატარა აღამიანის

პატარა ვნებები. ასეთ ნაწარმოებში, თითქოს არის რაღაც სინამდვილიდან, მაგრამ არ არის ცხოვრების სიმართლე, რადგან ცხოვრების სიმართლე ის ზედაპირული მოვლენები როდია, რომლებიც პირველად და ერთბაშად გვეცემა თვალში. საბჭოთა მხატვარს არა აქვს უფლება ცოცავდეს ზედაპირზე, მას მოეთხოვება ნიჭი და უნარი ხედავდეს ცხოვრების ღრმა წიაღისეულ პროცესებს და მათ განვითარებას. სინამდვილის გარეგნული მხარეების გადმოღება, მით უფრო ამ გარეგნული თვისებების მნიშვნელობის სუბიექტური გააზრება, არ არის ქეშმარიტი მხატვრული შემოქმედება. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ უნდა ასახავდეს ქეშმარიტი რეალისტი მხატვარი სინამდვილეს, ზედმეტი არ იქნება გაიხსენოთ, რას წერდა ამ სამი ათეული წლის წინათ ა. ვ. ლუნაჩარსკი:

„წარმოიდგინეთ, რომ შენდება სახლი; და როცა ის დამთავრდება, იქნება დიდებული სასახლე. მაგრამ ჯერ დაუმთავრებელია. თქვენ დახატეთ ის ამ სახით და თქვით — აი, თქვენი სოციალიზმი, სოციალიზმი უსახურავოდ. თქვენ, რა თქმა უნდა, იქნებით რეალისტი, თქვენ იტყვიან სიმართლეს, მაგრამ უმალვე თვალში გეცემათ, რომ ეს სიმართლე არაა. სოციალისტური სიმართლე შეუძლია თქვას მხოლოდ იმან, ვისაც ესმის, როგორი სახლი შენდება, როგორ შენდება, ვისაც ესმის, რომ ამ სახლს ექნება სახურავი. კაცი, რომელსაც განვითარების არაფერი გაეგება, ვერასოდეს სიმართლეს ვერ დაინახავს იმიტომ, რომ სიმართლე არა ჰგავს თავის თავს, იგი არ არის განჩერებული ერთს ადგილზე. სიმართლე მიფრინავს, სიმართლე არის განვითარება, სიმართლე არის კონფლიქტი, სიმართლე არის ბრძოლა. სიმართლე — ეს არის ხვალისდელი დღე და უნდა დავინახოთ სწორედ ასე, ხოლო ვინც ამას ასე არ ხედავს, ის არის რეალისტი ბურჟუაზიუ-



ლი ყიდისა და ამიტომაც პესიმისტი, მოწუწუნე...“

ყოველთვის სასარგებლო იქნება ხშირად გაეხსენოთ ეს სიტყვები, რათა ღრმად ჩაეწვდეთ აზრს, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხატვრის მსოფლმხედველობას, მის იდეურ თვალსაზრისს, როცა ის სინამდვილეს ხედავს და ასახავს.

იდეური გარკვეულობა თანაბრად მოეთხოვება ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა ენარის შემოქმედს, მათ შორის, რა თქმა უნდა, პოეტებსაც. პლენუმებზე და დისკუსიებზე არა ერთხელ თქმულა, რომ ჩვენი პერიოდიკის ფურცლებზე ხშირად იბეჭდება დაცალკე წიგნებად იცემა ლექსები, რომლებიც მოკლებულია ემოციური ძალას და არ გამოხატავენ თანამედროვე ადამიანის განწყობილებებს და მოქალაქეობრივ მისწრაფებებს. იმის გამო, რომ ან მოძველებული, ბანალურ-დაშტამპული ხერხებით არის დაწერილი ან იმის გამო, რომ მეტად ქაოტიურად; ბუნდოვანი ფორმით არის გამოთქმული. ზოგიერთ ახალგაზრდა პოეტის ლექსში გვანცვიფრებს ჩვენი სინამდვილისაგან, ჩვენი აწმყოსა და წარსულისაგან მოწყვეტილი, უცნაური და მიუწვდომელი ასოციაციები; გვაკვირებს სრული გამიჯნულობა მათი ლექსებისა ჩვენი დროის ცოცხალი ნიშნებისაგან, თითქოს ამ ლექსების ლირიკული გმირები ცხოვრობდნენ დროისა და სივრცის გარეშე, თითქოს მათ გულს ახლოს არ ეკარება ჩვენი ცხოვრების მღელვარე მოვლენები. ბევრს უარყოფით თვისებას ახალგაზრდობის შემოქმედებაში ჰხადებს წამბაძველობა, დაუკვირვებელი, არაკრიტიკული დამოკიდებულება დასაუღეთევროპელ ხელოვანთა და მწერალთა ფორმალური მიღწევებისადმი. სხვისი ფორმის სესხება, წამო-

ლება, შეუძლებელი იქნება მწერის გარკვეული დალი არ დაამჩნიოს შინაარსს. უცხო ფორმა აუცილებლად აწევბა, მუხრუჭებში ამწყვდევს, ხუთავს შინაარსს და ბოლოს ცვლის კიდევ თავისდა შესაბამისად. გაეხსენოთ მაიაკოვსკის სიტყვები: „გადვიკითხე ყველაფერი უახლესი, გამიტაცა ფორმალურმა სიახლემ, მაგრამ ძალიან უცხოდ მეჩვენა, — თემები, სახეები არ იყო ჩემი ცხოვრებიდან; ეცადე თვითონ დამეწერა ასე კარგად, მაგრამ სხვა რამეებზე. გამოიჩვენა, რომ ასე წერა სხვა რამეებზე, შეუძლებელია“. წამბაძველობა, ფორმის გადმოტანა მით უფრო დეკადენტური ხელოვნებიდან მოღობული გზაა, რადგან ფორმას თან მოაქვს შინაარსი, ბურჟუაზიული ფენების იდეურ მორალური დაქინების გამოშატველი. საბჭოთა მხატვარი კი მოწოდებულია ემსახუროს ჩვენი ხალხის იდელებს, დაიცვას საბჭოთა ადამიანის გული და გონება მტრული იდეების გამხარწნელი ზეგავლენისაგან. იდეოლოგიურ სფეროში არ არის და არც შეიძლება იყოს მშვიდობიანი თანაარსებობა.

ნ. ს. ხრტუშოვის და ლ. პ. ილიჩოვის მოხსენება კიდევ ერთხელ მოავონებს საბჭოთა შემოქმედს მის წმინდა და მაღალ მოწოდებას ერთგულად და თავდადებით ემსახუროს ხალხს, იყოს განუყრელი მასთან, მის ავანგარდთან და კომპასად თავის შემოქმედებაში ჰქონდეს კომუნისტური იდეურობა და ლენინური პრინციპულობა იდეოლოგიურ საკითხებში. პარტიულობის და ხალხურობის პრინციპების შეუღლახავად დაცვა იყო და არის საბჭოთა შემოქმედის წმინდა მოვალეობა, ჩვენი ხელოვნების და მწერლობის განუყრელი წინსვლის უტყუარი საწინდარი.

ირაკლი აბაშიძე

ერთი დღე ფიროსმანიშვილის

დაკარგულ საფლავთან

წელს გაზაფხული  
გასკდა წვიმებით,  
წელს გაზაფხულობს ახლაც ზამთარი:  
ძაფიც მცირედიც

გაწყდა იმედის,  
შორჩა. საშველი აღარსად არი.

მაგრამ სულ წარღვნაც  
ვის გაუგია,  
გინდაც უაზრო, გინდ საზრიანი?..  
უნდა გენახა


იმ დღეს კუკია—  
სასაფლაოზე ფერთა ზრიალი.

იმ დღეს  
სულ შენთვის გადაიკარა,  
თუ ეს

შენ ჩვენთვის გადააყარე;  
შენ გაანათე ის დღე იმგვარად,  
ვარდებს ფერები გადააყარე.

შენით,  
სულ შენით იყო მსუნთქავე  
იმ დღეს მიწაზე ფერთა ლაღადი;  
ის დღე

შენ, კაცმა  
ფუნჯით სრულტყავე  
და ღმერთს აჩუქე, როგორც ნახატი.



თეიმურაზ მაღალაშვილი

უ შ ბ ა

მოთხრობა

თავი პირველი

დანჯღრეულმა ავტობუსმა რახრახით ჩაიარა დაღმართი და ბოგირთან გაჩერდა. ლადო გადმოვიდა, შოფერიც გადმოჰყვა, საბარგული გაუხსნა და მოუცადა, სანამ ჩემოდანსა და ზურგჩანთას ამოარჩევდა.

ლადომ დაკმუჭნილი პიჯაკის ჯიბიდან თუშნიანი ამოიღო და გაუწოდა.

— იცოცხლე. — თქვა შოფერმა, — ა. ესაა ბეჩო, პირდაპირ წახვალ.

ავტობუსი მგზავრებით იყო სავსე. სევანურჭულდიანი, გაუპარსავი კაცები პირქუშად სდუმდნენ და მოურიდებლად ათვალეირებდნენ უცნობს. ლადო ბეჭებით გრძნობდა მათს ჩაცმებულ მზერას და მართო დარჩენა ეჩქარებოდა.

შოფერმა კარი შეიკეტა და სტარტი ჩი ჩართო. ავტობუსმა ოღრო-ჩოღრო ბოგირი ფრთხილად გადაიარა, ტყიან ვზაზე დაეშვა და მალე გაუჩინარდა. ლადომ ჭინჭრიანი ბილიცით მღვრიე, მოგრუხუნე მდინარეზე ჩაირბინა, ძლივს მოიკიდა ფეხი ხავსიან ლოდებზე და ფართო პეშვით რამდენჯერმე შეისხა სახეზე წყალი. ხალისიანი, მოღონიერებული ამოვიდა ზევით, ბარგი მსუბუქად ასწია.

გზა მდინარეს მიჰყვებოდა. ხეობა დერეფანივით იყო შეჭრილი ნაძვნარიან მთებში; მთები მოწითალო, ხრიოც ქედებს ერთვოდა, ხოლო მათ თავზე ზვიალი უკარებლობით ელავდა უშბის გუმ-

ბათი, რომელსაც ლოჯებივით წამოშვებრილ, დაღადრულ და ჩაშვებულ ტანზე მარადიული თოვლის ქათქათა ლაქები სამკაულებივით ჰქონდა ასხმული.

მდინარის გაღმა, ფერდობები ნაქერალებს გადაეყვითლებინა. შეჭყინტებულ სიმინდსა და კარტოფილს მწვანედ გაუდიოდა ხასხასი. ფეტვიც დღე-ღღეზე იყო ასაღები.

ლადო თვალეზმოცუტული შეჭყურებდა უშბას და მთელი არსება სიხარულითა და გაოცებით ევსებოდა.

გზაზე ნამგლიანი ქალი გამოჩნდა. თალხი მანდილიდან მხოლოდ თვალები უჩანდა.

— ეს რა სოფელია? — შეაგება ლადომ.

ქალმა უინტერესოდ ახედ-დახედა უცნობს, ალბათ, ტურისტად მიიჩნია.

— დოლასუფი, — თქვა და წასვლა დააპირა.

— ზევით რომ მოჩანს?

— უშხვანარი.

— მე სკოლა მინდა, — არ მოეშვა ლადო.

— სკოლა? რად გინდა სკოლა?

— მასწავლებლად გამომგზავნეს, — თქვა ლადომ ღიმილით, — მიმიღებთ?

— ოი, ბატონო, რავე არ მიგოლებთ!

— ქალს კილო გამოეცვალა, — სკოლა აქვეა, თეთრ შენობაში.

— დიდი მადლობა.

— არაფრის, ბატონო... ბარგს მაინც წამოგიღებთ, დაილგებოდი.

— როგორ გვეადრებათ.





— ე, შე კაცო, რა უქირს? თქვენ, თბილისიდან თუ?...  
 — დიახ.

— ო, მიშგულ ლადელსი!  
 ქალი აღარ სცილდებოდა.  
 — ნუ შეწუხდებით, — უთხრა ლადომ, — მივაგნებ.

მალე გამოჩნდა ორსართულიანი თეთრი შენობა. ლადომ მესერმორღვეულ ვზოში გადაუხვია. მრუდე ბოძებზე ვრენბურთის ბადე იყო გაჭიმული. კიბესთან „ივის“ მარკის მოტოციკლს პატარა ბიჭები ეხვეოდნენ.

— დირექტორი აქ არის? — იკითხა ლადომ.

— კი, — თქვა ერთმა.  
 — წამო, მაჩვენე.

ბიჭს მოკლე შარვალი ეცვა და წელზევით ტიტველი იყო. ლადოს ეღიმებოდა მის უჩვეულოდ დინჯ, ჭორფლიან სახეს რომ უყურებდა. კიბეზე მკლავი შემოაბნეოდა და აწევა მოუხდომა. ბიჭი გაუსხლტა.

— მძიმე ვარ, — უთხრა ამაყად. დირექტორის კაბინეტი მეორე სართულზე იყო. ლადომ ბარგი კარებთან მიალაგა და ბიჭს ალერსით წაუთქა ქისერში.

— ახლა მოუსვი. მეც მალე გამოვალ. დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე, თემრაზ ჯაჭვლიანი, წლიური დირექტორის ცხრილებს ადგენდნენ.

— გამარჯობათ, — თქვა ლადომ. ჭრელი პერანგი მუცლამდე ჰქონდა ჩახსნილი. მზით დამწვარი, დაკუნთული მკერდი მოუჩანდა. ძალზე ვიწრო შარვლის ჯიბეებში ღრმად ჩაეწყო ხელეები და გალაჭული იდგა.

— გაგიმარჯოს, — უბასუხა თემრაზმა.

— ჩემთან გაქვთ საქმე? — უთხრა მეორემ, რომელსაც ყველა დილზე შეკრული სამხედრო კიტელი ეცვა.

— დიახ...

— გარეთ მომიცადეთ. თემრაზმა უკმაყოფილოდ თავი და მოგონილი ინტერესით ჩააჩერდა ქალადებს.

— აქ არ შეიძლება? დირექტორი შეიკმუხნა.

— მე თვითონ დავიძახებთ. ლადომ უცებ ველარ მოისაზრა რა გაეკეთებინა, მერმე, გასვლის მაგიერ, სკამი ხმაურით გამოსწია და დირექტორს წინ დაუჯდა.

უხერხული დღემილი ჩამოვარდა. ლადო გულგრილად უყურებდა მზით განათებულ ფანჯარას.

— რა გნებავთ? — ჰკითხა ბოლოს დირექტორმა.

— მე ამ დღით ჩამოვფრინდი თბილისიდან; მესტიის განათლებამ თქვენთან გამომაგზავნა.

შარვლის ჯიბიდან განათლების განყოფილების დაქმუნილი მოწერილობა ამოიღო, გაასწორა და მიაწოდა. დირექტორი გულდასმით ჩააჩერდა.

— ლადო იანვილი? გასაგებია. უნივერსიტეტი დამამთავრეთ?

— ფილოლოგიის ფაკულტეტი.

— კეთილი, — თქვა დირექტორმა, — სსსიამოვნოა.

— ჩემთვისაც. გაჩუმდნენ.

ოთახი პატარა იყო. კედელზე შავ-ჩარჩოიანი ლენინის სურათი ეკიდა, მის ქვეშ კი — პლაკატი: — „წარმატებით შევხვდეთ 1958/59 სასწავლო წელს!“

— რა ამბავია თბილისში? — თქვა თემრაზმა.

— მშვიდობა.

— ჰოო? კარგია.

თემრაზს ხელი ყვრიმალისათვის შეუბჯინა და ღიმილით შესცქეროდა.

— ვიცნობდეთ ერთმანეთს, — თქვა დირექტორმა, — ვანო ვებდენი. ეს ჩემი მოადგილეა — თემრაზ ჯაჭვლიანი.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, — თქვა თემრაზმა.

მას ფართო და მაგარი ხელი ჰქონდა. — კარგ დროს მოგვისწარით, — მი-

1 გენაკალაუ. სიტყვისიტყვი: ჩემი დღე შენ გქონდეს.

მართა დირექტორმა, — თქვენს საათებს სხვებს ვუწვინებდით.

— ჰო, ცოტა შემადგვიანდა.

— ჩვიდმეტი საათის მეტი ვერ გადავარჩინეთ.

— მეყოფა, — ლადომ ხელი ჩაიჭინა, — შეიძლება წავიდე? — ბოლო სიტყვები განსაკუთრებული ზრდილობით გამოთქმულა. დირექტორი მიუხვდა ფარულ ირონიას, მაგრამ არ შეიმჩნია.

— წაბრძანდით.

ლადომ თავის ოდნავი დაქნევით გავიდა. დირექტორმა თემრას ვადახედა:

— არ მომწონს ეგ ბიჭი!

— რას იზამს უბნაოდ?

— ჰე, თბილისი ნუ ეგონება აქ!

დირექტორი ადგა. მაღალი და მხარბეჭიანი იყო, ქალარა, სწორი თმა შუბლზე ჰქონდა ჩამოშლილი.

— გვინახავს მაგისტრანები!

თან გვერდულად ჩაეცინა.

— წავალ, ბინას მოვაძებნინებ! — თქვა თემრასმა და ფეტრის შლიაბა აიღო. ლურჯი სატინის ხალათი ეცვა, ჯაგარი მთელ სახეზე ჰქონდა მოდებული.

ეზოში პატარა ბიჭები ახლა ლადოსთან ერთად სინჯავდნენ მოტოციკლს და რაღაცაზე გაცხარებით დავობდნენ. თემრას დაინახეს თუ არა, ყველანი მოკრძალებით გაჩუმდნენ.

— რაო, რა დაადგინეთ? კარგია? — იკითხა თემრასმა.

— კი! — გაუბედავად უპასუხეს აქეთ-იქიდან.

— პატრონი კიდევ უკეთესი, — სიცილით თქვა ლადომ.

— ნამეტანს ნუ ჩააცვდები.

— ვერ ვიტან მატრახაზებს.

— ახალმოსული ხარ, — შენიშნა თემრასმა, — შენთვის ადრეა ასეთი ლაპარაკი.

მერმე ჩემოდანსა და ზურგჩანთას დასწვდა, მაგრამ ლადომ არ დაანება. არცერთს არ შეუმჩნევია როგორ გადავიდნენ „შენობით“ ლაპარაკზე.

ხეატისაგან მიწა ვარვარებდა მზის ქაცის ჭაჭანება არ იყავს: *ВНИМАНИЕ*

— რა მომადუნებელი სიწყნარეა, — დაარღვია სიჩუმე ლადომ, — დაეგდე ჩრდილში და გასივდი ძილით. ფუჰ!

— სიცხეში ასე იცის.

— სხვანაირი მეგონა სვანეთი!

— ჯერ რას იცნობ სვანეთს? — თემრასს გაეღიმა.

ლასტის ლობეები გათავდა და მზის შუქზე თეთრად აქათათებული რიყე დაიწყო. მდინარე გამაყრუებლად გრუხუნებდა. დაშლამულ, მეჩხერბალახიან ჭალაკში წითელი ცხენები თავადერილი იდგნენ და კუდების შხლაუნით იგურებდნენ ბუზებს. ლადოს თვალები დაუეწიროვდა, ტანში ერთანტელმა დაუარა. ველარ მოითმინა, ბარგი დაალაგა და ცხენებისკენ წავიდა. მათ აღმაცურად გადმოჰხედეს და ზანტად გაერიდნენ. ლადომ გამვერბილი ხელით გაჰყვა. ცხენები გასაქცევად იწყებდნენ. უცებ, ლადომ ისკუბა, მუცლით გადაეკიდა ნაპირა ცხენს, სწრაფად აზიდა ტანი და ფაფარი დაბლუჯა. დანარჩენები ფრუტუნითა და თქარუნით მიმოიფანტნენ. ცხენი მოულოდნელი შინისაგან აიყალიყა და ორ ფეხზე ცეკვას მოჰყვა. ლადომ ტკიპასავით იყო ჩაკრული. ფერდებში ქუსლები უცხუნა, დასჭყვივლა და გადარეული ცხენი შარახე აავდო...

— ჰაუ— ჰაა! — მოისმა მისი ძახილი და მტერის კორიანტელში გახვეული ცხენი თვალს მიეფარა.

თემრას შუბლშეკრული უყურებდა ცაში ავარდნილ ყვითელ ბუქს. მერმე ბარგი აიღო და წავიდა. მოსახვევში ლადომ გამოჩნდა. ვეებერთელა ლოდზე გალაკული იდგა და ხელით იჩრდილა და მზეს. მტვერში იყო ამოგანგლული, მუხლზე შარვალი გადასკდომოდა. იქვე, ცხენი ფრუტუნით წიწქნიდა ბალახს. წინა ფეხით კოჭლობდა.

— ნავსი ყოფილა, — თქვა ლადომ, — იორლად გაუხედნიათ, მაგრამ უხეიროდ. წაიფორხილა და ბურთივით გამისროლა.



— გადარჩენილხარ. — პირქუშად  
თქვა თემრაზმა.

— ჰო, გადაერჩი.

— ვაფრთხილდი, — მოსკრა თემ-  
რაზმა, — აქ სევანეთია.

ლადომ უშხას შეხედა.

— ვიცი.

— აქეთ შენი ნებით წამოხვედი?

ლადო შეყოვნდა.

— ადგილი იყო და მსურველებს  
ექებდნენ...

— ვაგიბდელი.

— ვითომ რაო?

— შენთვის ძნელი იქნება აქ.

— ენახოთ.

აღმართი აიარეს და ქვიტკორის გა-  
ლავანს შიადგნენ. ვიწრო შუქაში და-  
სახერხი მორები ეყარა. იდგა ნახვისა  
და ახლადნათიბი ბალახის სუნი.

— ესეც ჩემი სასახლე. — თქვა თემ-  
რაზმა, — მობრძანდი.

\* \* \*

მკრთალად მზუფტავი ნათურა დიდ,  
თითქმის ცარიელ ოთახს იდუმალი,  
მოყვითანო ჩრდილებით აესებდა. სუფ-  
რას ორნი მოუხსდნენ. მაგიდაზე უზვად  
ელაგა ჩვილი სულგუნი, შემწვარი კარ-  
ტოფილი, ღორის შაშხი. ერთმანეთზე  
აკოყლავებული მრგვალი პურები,  
ჭიშტვარი<sup>1</sup> და არყით სავსე ლიტრიანე-  
ბი.

ტერომ, თემრაზის მეუღლემ, ცხელი  
ხაჭაპურები შემოიტანა. მას შავები  
ეცვა და თემრაზზე ხნიერი ჩანდა.

— მიირთვიო, ბატონო, — სთხოვა  
ლადოს.

ლადომ უხურავო სკამი გამოუწვია:

— თქვენც დაბრძანდით...

ტერომ თავის გაქნევით იუარა და  
ისევ აივანზე გაბრუნდა. თემრაზმა ბო-  
თლი აიღო, მომკრო, თლილი ჭიქები  
შეაესო. გარეთ ბავშვები ხმაურობდნენ.

<sup>1</sup> ჭიშტვარი — მჟადი და ყველი ერთად გა-  
მიმცხვარი.

ისინი ოთხნი იყვნენ; და *საღვთისმშობლის  
ღვინველი* — მაწისა.

— მაწისა, გააჩუმე ბავშვები! — გას-  
ძახა თემრაზმა.

აივანზე მაშინვე ჩაწყნარდნენ. თემ-  
რაზმა ჭიქა აიღო და ლადოსას შეახო.

— ვაგივიმარჯოს!

— ვაგივიმარჯოს... კეთილი იყოს ჩე-  
მი ფეხი ამ ოჯახში.

— ო, იცოცხლე.

დალიეს, არაჟი საძაგელი ეჩვენა ლა-  
დოს, მძაფრი სუნი და ზრავის გემო  
ჭკონდა. უნებლიედ დაიღმიჭა.

— არ გაწყენს, — დაამშვიდა თემ-  
რაზმა, — სახლში გამოხდილია.

— ვაუფლემ.

— თუ ჭერიისა, მარგებელიც კია.

ისევ დალიეს. ცოტა ხნის შემდეგ  
ლადომ მუხლების შებეუება იგრძნო და  
კიდევ მოუნდა დალევა. თემრაზს  
თვალთა კუთხეებში წვრილ-წვრილი,  
კეთილი ნაოჭები გაუჩნდა. ჩაფიქრე-  
ბული დასცქეროდა სავსე ჭიქას.

— აბა, ადგილი იყო და მსურველებს  
ექებდნენო?

— ჰო, ექებდნენ.

— ვშობლებმა რა გითხრეს?

— დედა არა მყავს. მამაჩემმა —  
წადიო.

— და წამოხვედი?

— წამოვედი.

— ეეჰ, ძნელია აქ.

— ეგ არაფერი, — თქვა ლადომ, —  
რატომ ქალბებიც არ დასხდებიან? უთხა-  
რი, მოვიდნენ.

— ტერო! მაწისა! — დაიძახა თემ-  
რაზმა.

შაოსანი, მაღალი და გამხდარი ტერო  
ლანდევით შემოვიდა და უხერხულად  
ჩამოჯდა. სუფრას თალბი ჩრდილი გა-  
დააწვა.

— მაწისას რცხენია, — თქვა მან,  
თან სადღაც მაგიდის ქვემოთ იცქირე-  
ბოდა.

— რისი რცხენია, — გაიკვირვა ლა-  
დომ, — კარგი გოგოა მაწისა.

— თქვენი საქმები კი ვერ არის, მარა, — თავაუღებლად წაილაპარაკა ტერომ, ბავშვია ვერ.

— რაღა ბავშვია თქვესმეტი წლის? — გამოეძვრა თემრავი.

მერმე პატარა სასმისები გვერდზე გადადგა და ჩაის ჭიჭები შეავსო.

— დავთვრებით, — თქვა ლადომ და იგრძნო, უკვე მთვრალი იყო. არაფერი ახლა წყალივით სასმელი ვახდა. თემრავმა ჭიჭა აიღო.

— მოდი გაუმარჯოს...

— მე უშმაზე მინდა აავლა, — გააწყვეტინა ლადომ.

— შე კაცო!..

— არ ვხუმრობ, — დამიჯერე!

თემრავს უყურებდა ტეროს დაფანტული, ნადვლიანი მზერით. ჭიჭიანი მარჯვენა ოდნავ უკანკალებდა. ტეროს უსისხლო, კერპულმა ტუჩებმა მჭირდავი ღმილი მოისხლიტა.

— დავლიოთ! — მოუთმენლად თქვა ლადომ.

— მეც მინდოდა უშმაზე...

— მოდი, ტეროს გაუმარჯოს, — თქვა ლადომ, — ა, რას იტყვი?

ტერო არც შერხეულა.

ლადოს თავბრუ ესხმოდა. თემრავს გაუორდა თვალეშში და აღარ იცოდა რომელი იყო ნამდვილი.

— გაგიმარჯოს ტერო... გაგიმარჯოს...

— ამბობდა თემრავ.

ლადომ სულმოუთქმელად გამოცალა, ჭიჭა მავიდაზე დააჯახუნა, წამოდგა და ოთახში უმიზნო ბორიას მოჰყვა. მერმე კედელს მიეყრდნო და ბურუსში გაეხვია. ყურები გამაბეზრებლად უშუოდა. მოულოდნელად, ამ შუილს თბილი, სევდიანი ბგერები შეენაცვლა. ლადომ თვალეზი გაახილა. მოყვითანო ქაოსში ტეროს სახე გამოარჩია — უსისხლო, თხელ ტუჩებზე ცალყბა ღმილი დასთამაშებდა. თემრავს მუხლებშუა ჰუნირი ეკავა და

მშვილდით მორკალულ უსვამდა სიმებს. მოზუზუნე, სევდიან ჰუნირს ხმადაბალი სიმღერა მიჰყვებოდა. მღეროდნენ თემრავ და მაწისა. დანარჩენი ბავშვები, უფროს-უმცროსობის რიგზე, მორიდებით აკვროდნენ კედელს.

ვოი, დედემ დე-დეშ, მირანგულა და...

დედეს ისგვამ სი გარ ხორდას და...

ბგერები შემპარავად ეუფლებოდნენ ლადოს სულს. უცნაურად მოუნდა სახის მიხუტება ვინმე ახლობელი ადამიანის მკერდზე. ბარბაკით გავიდა აივანზე და ჭვის კიბე ჩაიარა. ხავერდით რბილი, ბლანტი ღამე იდგა. ნაკლული მთვარე ნელა იწვედა მადლა, თან განათებული, თეთრი ზოლი მიჰქონდა. ლადო მორზე ჩამოჯდა და უშბის ვერცხლისფერ სილუეტს მიაჩერდა. მომუნსხველი ძალა ჰქონდა უშმას. საშინელი სიჩუმე იყო.

— რა მინდა აქ? — გაიფიქრა უცებ და კითხვის სიცხადემ შეაერთოლა. ძალიან მოუნდა თბილისი... მამა... მერმე თემრავ მოვიდა.

— წამოდი, მოსვენე, — უთხრა დაყვავებით.

ხელგადახვეულები, ბანცალ-ბანცალით ავიდნენ კიბეზე. ლადოს დაწოლისთანავე ჩაეძინა. ძილში მას თვინიერი ბავშვის სახე ჰქონდა.

თემრავს კიბის თავში ჩამოჯდა და ღამეს შეაცქერდა.

#### თავი მეთხუ

ზარი დაირეკა. იწყებოდა პირველი ვაკეეთილი. ლადომ მეცხრე კლასის ჟურნალი აიღო. დედავდა, მავრამ არ იმჩნევდა. პირიქით, ეს შინაგანი ფორიქი თითქო სიამოვნებდა კიდევ. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ სასურველ შთაბეჭდილებას მოახდენდა

<sup>2</sup> ოი, დედას დედას, მირანგულა, დედას მხოლოდ შენა დარჩი...

<sup>1</sup> ჰუნირი — სვანური ხალხური საკრავია.



ბავშვებზე, მაგრამ მისკენ მომართულ ოცამდე თვალს რომ შეეფეთა, დაიბნა. სწრაფად, დაჭიმული კუნთებით მივიდა მაგდლასთან, სკამი გასწვია და ქურნალი დადო. წინ უფრომოდ, ვარდისფერი სახეები ირეოდა. ყველას უყურებდა, მაგრამ ვერავის ამჩნევდა. იდგა შუბლშეკრული და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გვიან მოაგონდა, — მოწაფეები დაჯდომის ნებართვას ელოდნენ.

— დასხედით, — თქვა შეცვლილი ხმით, თვითონაც ჩამოსაჯდომად დაიხარა, მაგრამ სკამი იქ არ აღმოჩნდა, სადაც ელოდა და წაიბორძიკა. ბავშვებმა გაუბედავად ჩაიფხუქუნეს. ამან გამოარკვია, ოდნავ დამშვიდდა. თანდათან, ყველა მოწაფე საკუთარი იერით დაინახა, მერმე ქურნალი ვაშალა და სიის ამოკითხვა დაიწყო. თან ყურადღებით ათვალეირებდა თვითეთლს — სახეების დამახსოვრება უნდოდა. მოწაფეებს სოფლურ ყაიდაზე შეკერილი ჩითის კაბები და სატინის ბლუზები ეცვათ. კეთილი, გულუბრყვილო სახეები ჰქონდათ. ლაღო გრძნობდა — მათთან ურთიერთობა მხოლოდ კმაყოფილებას მოჰპვრიდა და ეს წინასწარ უხაროდა.

— შამფრიანი მაწისა! — ამოიკითხა სულ ბოლოს.

მაწისას უბრალო, სწორ კაბაში ცხადად ემჩნეოდა გამხდარი, წინწამოწეული მხრები. ბავშვურ მკერდზე ცალფა ნაწნავი ჩამოშლოდა.

ლაღოს თბილმა ღიმილმა გაჰკრა, მაწისას ხელით ანიშნა დაჯექით, ქურნალი დახურა და ადგა.

ზედავლა ბავშვების ინტერესით მობჭენილ მხერას და გრძნობდა, — რამე ისეთი უნდა ეთქვა, რითაც ერთბაშად მოუპოვებდა მათს თვალში ნდობას.

ათასი აზრი დაუტრიალდა, მაგრამ საჭიროს ამორჩევა მაინც უძნელდებოდა.

— მე დღეს პირველ გაკვეთილს ვატარებ, — თქვა გაუბედავად.

თან მძიმე ნაბიჯებით მიმოდიოდა.

— შეიძლება რიგიანად ვერც გამოვივად...

ეს სიტყვები დამაჯერებელი ნათქვამი. ამას ლაღოც მიხვდა. გული მოიცა. მდღეღარება უნებურად თვითდაჯერებამ შესცვალა და საჭირო სიტყვებმაც თავისით იწყო დენა. თან მაწისას უყურებდა, — ასე უფრო ადვილი იყო. მაწისას ვი ყველაფერი აკვირებდა მასწავლებლისა, — ძალზე ვიწრო შარვალი, თუ ფართოდ გადახსნილი საყელო, ლაბარაკის უჩვეულო, არასავანური ინტონაციები და თაფლისფერი თვალების დაჟინებული გამოხედვა. უხაროდა, მასწავლებელმა სხვებმაგან რომ გამოარჩია...

კლასი სულგანაბული იყო, მხოლოდ უკანა მერხზე არ ისვენებდა ბიჭი, რომელსაც ყინჩად აფშეკილი ჭოჩორი ჰქონდა. ბიჭს აშკარად უნდოდა მისი არსებობაც შეემჩნიათ. მაწისა თმით მოქაჩა და რაღაცა ჩაულაპარაკა სვანურად.

მაწისამ უსიტყვოდ გამოგლიჯა ნაწნავი.

— აბა, — შეაჩერა ლაღომ, — რა მოხდა?

— ასე უთხრა, რას მიშტერებინარ მასწავლებელსო, — გადაუთარგმნეს სასწრაფოდ.

თავისთავით კმაყოფილი ბიჭი ურცხვად ივრჩებოდა. სხვები გაუბედავად იცინოდნენ, მაწისა გულისჩქროლვით ელოდა, რას იტყოდა მასწავლებელი. გაკვეთილის ძაფი გაწყდა. მასწავლებელმაც და მოსწავლეებმაც ეს ერთბაშად იგრძნეს.

— შენ, პატივცემულო, თბილისიდან ჩამოხვედი? — ჰკითხა ბიჭმა.

— ძალიან გაინტერესებს?

— კი.

— შენი სახელი?

— ხომ წაიკითხე ქურნალში?

— დამავიწყდა.

ბიჭი წამოხატა, გაიჯგომა და იყვირა:

— კოსტა, პატივცემულო.

ბავშვებმა ხმამაღლა გაიცინეს.

— ხუშარა ყოფილხარ, კოსტა.

— კი ვარ.

ლაღო იღიმებოდა. ბრაზი აწევბოდა,

მაგრამ მაინც მშვიდად იღიმებოდა. ბიჭი ცოტა უხერხულად გრძობდა თავს, მასწავლებლის ჩაცმებულ გამოჩენდვას რომ აწყდებოდა, მაგრამ ღიმილი გულს უკეთებდა. ლადო მიუახლოვდა, მკლავზე მოკიდა ხელი.

— ღონიერიც ხარ?

— აბა რაჲა! — წაიზმუყუნა ბიჭმა.

— მაჩვენე ხელი.

ბიჭმა უშიშრად გაუწოდა მაგარი, წამწვეტილი მარჯვენა. მასწავლებლის მშვიდი ხმა არავითარ საფრთხეს არ აგრძნობინებდა. ლადომ ნელა მოუჭირა. ბიჭმა აშკარა დაცინვით გაიღიმა და ამხანაგებს ნიშნის მოგებით გადახედა. ბავშვები ჩითხითებდნენ. მათ უკვე აითვალწუნეს მასწავლებელი. ლადო გაცეცხლდა. უცებ, ისე მოუჭირა, ბიჭმა მოკლედ ამოიოხრა და ხელის წისართმევად გაიქაჩა, მაგრამ ლადომ არ დაანება, უფრო დააწვა. ბიჭი მოტყდა, საცოდავად ჩაიყუნტა.

— მეტყინა...

ლადო მაინც უქერდა.

— უიპპ...

ბავშვები აიშალნენ და მათ შემოეხვიენენ. ლადომ გაუშვა. ცრემლებმომდგარმა ბიჭმა ერთმანეთზე დაწებებულ თითებს სულის ბერვა დაუწყაო. დანარჩენები ზარხარებდნენ.

— ე, მაგიც შენ! — სიხარული ვერ დამალა მაწისამ.

— განვაგრძობთ! — თქვა ლადომ ცივად.

ყველანი დასხდნენ და გაიტრუნენ. კლასის სადავე ისევ მასწავლებლის ხელში გადავიდა, მაგრამ ლადოს წაუხდა ხალისი. ფანჯრიდან ხედავდა, — ეზოში ტიტლიკანა ბიჭი აკუნტრუშებულ ხბოს დასდევდა. ლადო იდგა თვალებმომოქუტული. ეძნელებოდა ბავშვებისაკენ მიტრიალება.

მოწაფეები სულგანახული ელოდნენ. ამ დროს დარაჲმა ზარის რეკვით ჩაიარა დერეფანში.

— ეს გაკვეთილი ჩვენს გაცნობას მოუნდა, — ყრუდ წაიდუღუნა ლადომ.

ბავშვები სდუმდნენ. კონსტანტინე

— რა უქირს! — გაბედა ბოლოს ერთმა.

— ჰო, არაფერი.

და გავიდა. ბავშვები არ განძრეულან. მაწისა თავჩაღუნული ძენძაედა ნაწნავის ბოლოს.

ლადო მასწავლებლოსაკენ გაემართა. იმ წუთში ძალიან უნდოდა თავისი ფიჭრებისა და ექვების ვინმესათვის გაზიარება.

თემრას არ იყო მასწავლებლოში.

მასწავლებლები გრძელ მაგიდას შემოსხდომოდნენ. მოღუშული, დანაოქებული სახეები ქარწყვილისაგან აღანძვოდით, ხელები თოხსა და ცელს გაუხეშებინა. თეთვეული საკუთარ საზრუნავზე ლაპარაკობდა, შემოსულისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ხვატრიულად აბოლებდნენ შინაურ თეთუნს და ხმაჲდალად ბჭობდნენ კარტოფილის წლევანდელი მოსავლის ავ-კარგზე.

მერმე ჩვილის ტირილი გაისმა. ეს ლადოს მეტს არავის გააკვირვებია. პირველი კლასის მასწავლებელი, სათნოსახის ქალი, კუთხეში მიჯდა და მომკუნარი ძუძუ ამოიღო. როცა გაკვეთილზე შედიოდა, პატარას სკოლის დარაჲთან ტოვებდა ხოლმე.

ლადო განაპირდა. დირექტორს ეს არ გამოჰპარვია.

— აბა, რა ქენით? — ჰკითხა საქმიანი იერიით.

— ჩავტარე.

— როგორ?

— არ ვიცი.

— უნდა იცოდეთ.

— ჰო, უნდა ვიცოდე.

დირექტორს სათქმელი გაუთავდა. ცოტა ხანს უსიტყვოდ იდგა, მერმე ისევ მასწავლებლების საუბარში ჩაერია.

ლადოს აღარ შეეძლო იქ განერება.

ჰერი სინოტივით იყო გაფლენილი. ღობეს გადაღმა, კოლეტივის სათბოში, მხარზე ცელადებული გლეხები მილაჩებდნენ. იქუხა, ელვამ უშბას ჩაღა-



მებული ქართები გამოუჩინა. მიდამო ავდრის მოლოდინში გაიხაზა. წვიმამ უეცრად დასცხო. ხრეშიანი გზაწვრილი ნაქადულებით დაიჭსელა. ლადო მალე გაილუმბა. ბედად, სოფლის სამკითხველო გამოჩნდა...

ავდრისაგან სამკითხველოშიც ჩამობნელებულყო. იდგა წიგნების დახუთული სუნი. ქერამდე აყვანილ თაროებთან ქალი რაღაც წიგნს ფურცლავდა. ლადო მიესალმა და კედელთან მიდგმულ ძელსკამზე ჩამოჯდა.

ქალი ახალგაზრდა იყო, ოქროსფერი, დატალღული თმის მძიმე მურგვი კეფაზე დაემაგრებინა.

— ხელი შეგიშალეთ?

— უიმე, არა...

გაჩუმიდნენ.

— ეს წიგნები თქვენი დალაგებულაია? — ესლა მოიფიქრა ლადომ.

— კი, დიახ.

— ბევრი გქონიათ.

— ისე.

ქალიშვილი კრძალვით ებასუხებოდა.

— კარგი წიგნები გაქვთ?

— ცოტა-ცოტა.

— რატომ ცოტა, არ აგზავნიან?

— შესტია იტოვებს, — წყენით თქვა ქალიშვილმა, — ვაჟა-ფშაველა არ მომცეს, არც ჭავჭავიშვილის მეორე ტომი.

ლადოს მობეზრდა თავისი სულელური შეკითხვები.

— განაგრძეთ საქმე, მე გამოდარებას მოვუცდი.

— რას ბრძანებთ...

მას ცისფერი, ბუდეშურად მოყვანილი თვალები ჰქონდა.

გარედან ისმოდა წვიმის თხრაშენი.

— უეცრად დაუშვა, — თქვა ლადომ.

— ასე იცის აქ...

მან მობოდიშებით გაიღიმა და სახეზე თეთრი, ბავშვური ნათელი მოეფინა.

— რა გქვიათ? — ჰკითხა ლადომ.

— ქეთუ, — თვინიერად ქალიშვილმა.

— მე — ლადო.

— ვიცი, — დარცხვენით თქვა ქეთუმ, — ქალაქში კი არ ვართ.

გაჩუმიდნენ.

ფანჯარას წვიმის ცრიატი მარმაში ეგარა. გარეთ ნისლი იყო და სისველე. ბიბლიოთეკაში კი, სითბო და მყუდროება სუფევდა და, ამის შეგვრძნებ რატომღაც სიამოვნებდა ლადოს.

— გაკვეთილი გქონდათ? — გაუბედა ქეთუმ.

— დღეს პირველად.

— ალბათ, ძნელი იყო?

— ჰო, გამიჭირდა.

გულახდილობა შეეხასა ჰგვრიდა.

— აურიეს?

ლადომ ხელები გაშალა:

— რაღა დავმალო...

— არ შეგონა, — მორიდებული დიმილით თქვა ქეთუმ.

ლადოს უნდოდა ეკითხა — რატომო, მაგრამ არ ჰკითხა.

— კარგი ბავშვები კი ჩანან. — უპასუხა, — გულიანად ვიძუშაგებ.

— არ გავზართ აქაურ მასწავლებლებს.

ლადომ ინტერესით შეხედა.

— ეგ როგორ?

— არ ვიცი.

ქეთუ გრძნობდა ლადოს დაჟინებულ მზერას და ცისფერ, გრძელწამწამებიან თვალებს განაგებ არიდებდა. მერმე, თითქო ვეწროვა ტანზე შემოსხლტილი, ბალახისფრად დაფოთილი კაბა, გულმოდგინედ ჩამოისწორა, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა და ადგა, ფანჯარა გამოაღო.

სველი თივისა და დამბალი მიწის მძაფრი ოზშივარი მოეარდა. ლადოა წვიმაში გასვლა მოუნდა.

— მაგრად წვიმს... დასველდებით.

— ზოგჯერ კარგია წვიმაში...



მძიმე ნაბიჯებით გავიდა. ქეთუ სარკმლიდან ზედავდა მის ზურგს. უცებ, ლადო მობრუნდა, მთლად გაწუწული იყო, ილიმებოდა და ხელს უქნევდა.

### თავი მესამე

დადგა ოქროსფერი შემოდგომა. მთებზე შეფენილი ტყე ნელ-ნელა გადაჭრელდა. მზე მაინც აცხუნებდა. ვზებზე მოჩანდა თივით დატვირთული მარხილების მწკრივი. ხარები ნელა იძროდნენ და ლადოს ეჩვენებოდა — დგანანო. მთაში ნათიბი უეცე ჩამოჰქონდათ, სოფლის მიდამოებში მეორედ თიბავდნენ. ნაფეტვარებზე კალოები გაემართათ. ხარები დაათრევდნენ კევრებს და ისმოდა ბავშვების ქვილი-ზივილი..

სოფლის თავში, საიდანაც კოლექტივის სათიბები იწყებოდა, კირში მოსვრილ გლეხებს შენობის კედელი აპყავდათ. ლადოს დანახვაზე ქაფრები შეაჩერეს.

— აქეთ მობრძანდი, მიშგუ ლადელსი, — დაუძახა კაცმა, რომელსაც გადავრეხილი შავი უღვაშები ჰქონდა ეტყობოდა, ხელმძღვანელი იყო.

— ხოჩა ლადელ უ ჯარ, — მიესალმა ლადო.

— გისწავლია სეანური, — უღვაშამ სიამოვნებით ჩაიციხა.

სხებმა მოკრძალებით გაილიმეს.

— რას აშენებთ? — იკითხა ლადომ.

— სკოლას. ოთხკლასიანი იქნება, — თქვა უღვაშამ, — თორემ ბოვშები ცოდვა არიან ზამთარში. შორია თქვენი სკოლა.

— ზამთარი, ალბათ, დიდი იცის, არა?

— ჰე, აბა რაი? ნახავ შენ თითონ...

— და მეორეს მიუბრუნდა: — ქანზე არაყ<sup>2</sup>

დანარჩენები პატივისცემით შეჰყურებდნენ ლადოს. უღვაშამ მოზერის ყანწი გაავსო.

— საქმე დაგვილოცე, <sup>1</sup>ერქვესული  
— გაგიმარჯოთ, კიი საქმე წამოგვიწყიათ, კეთილად დაგებოლოვებინოთ...  
— ო, ივას უ ხარი!<sup>1</sup>...  
— ზოშა ღერმეთ<sup>2</sup> შეგეწიოს...  
— შაქრად! შაქრად!

არაყი ორნახადი აღმოჩნდა, ძალიან მაგარი იყო. ლადოს მერმე უღვაშამ დალია და სხვებსაც ჩამოურია.

მეორეზე სტუმარი დალოცეს — ძუნწად, მოკრძალებით.

— ერთიც დამისხით, — ითხოვა ლადომ.

— მოგეწიოს? — უღვაშა გაიბადრა, — ჩემი გამოხდილია.

— ახლა თქვენ გაგიმარჯოთ... თქვენს კაცობას და თქვენს უშხას!

— ჰეყ, უშხას რა გამარჯვება უნდა, სი მარე<sup>3</sup> — ჩაიქირქილა უღვაშამ.

— თქვენ გაგიმარჯოთ და უშხას, — ჯიუტად გაიმეორა ლადომ და გადაჰკრა.

— ხოჩა ბიჭია, მიშგვა სევლო,<sup>4</sup> — თქვა უღვაშამ, როცა ლადო წავიდა. მერმე ნიჩბები აიღეს და კირის არევა დაიწყეს.

ლადო უკაცრიელ, გადათიბულ ველზე გავიდა, რომელიც ტერფამდე უწევდა უშხას. არაყმა შეახურა, დასცხა. წელზევით გაშიშვლდა. დაბორცვილ კუნთებიან ტანზე შოკოლადის ფერი დაჰკრავდა. თვალეზმოკუტული უყურებდა მზეს და გამოუთქმელი სიხარული ეუფლებოდა. უხაროდა ასეთი მკვრივი და მოქნილი სხეული რომ ჰქონდა, რომ წინ დიდებული უშხა იდგა და მზეც ასე აცხუნებდა, თითქოს ყოველ სულდგმულს ესიყვარულებო. და ლადო იგსებოდა, უსასრულოდ იგსებოდა ამ გადათიბული ბალახითა და აჭრელბული ტყეებით, მთათა ჩამოთოვლილი გრეხილებითა და გამჟვირვალე, ღურჯი სივრცეებით... ამის შეგრძნება

<sup>1</sup> დიდ ხანს იყავი.

<sup>2</sup> დიდი ღმერთი.

<sup>3</sup> შე კაცო.

<sup>4</sup> კარგი ბიჭია, ჩემმა მზემ, სიტყვასიტყვით: კარგი ბიჭია, ჩემმა ღონემ, ჩანმა.

<sup>1</sup> გამარჯობათ. სიტყვასიტყვით: — კარგი დღე მოგეთ.

<sup>2</sup> მოიტა არაყი.





მეგრად სიამით უგანეირებდა... რალაცა სიმღერა წამოიწყო, რომლის ბგერებსაც იმ წუთში თხზავდა. ეს უცნაური ბგერები ახლა ყველაზე უკეთ ესიტყვებოდა მის გაიწყობილიყას...

ტყის ნაპირას, ბუჩქნარში, ნებიერად ვაიშხლართა. გრილი, ხორკლიანი ბალახი შიშველ ზურგს უშუშხავდა. პირქვე ვადაბრუნდა, სახე ბალახებში ჩარგო და ზეიმურ, ყოვლის მომცველ მღვთმარების შეერია. ხარბად ისუნთქავდა მიწისა და ბალახების გამაბრუნებელ ოსშივარს, თვალბში მუქი სიმწვანე ჩაუღდა.

სასიამოვნო გარინდებიდან აჩქარებულმა ლაპარაკმა გამოარყვია. იმ წუთში არავის დანახვა არ უნდოდა. შეუმჩნევლად გადახოხდა ხშირ ბუჩქნარში, მაგრამ ქალის ხმა იმდენად ნაცნობი ეჩვენა, ვეღარ მოითმინა, წამოიწია. მამინევე იცნო ქეთუ, რომელსაც კოლეტივის შოფერი, ჩოფე ვეზდენი, მკლავზე წაეტანა და ძალით გააჩერა.

— კისერს ნუ მომჭრი, დინა!  
— დამანებე თავი... დამანებე...  
ლადომ ბუჩქები მისწომოსწია, გაინახა.

— დემექ ჯესმია, დინა, იმ ჯატული?<sup>1</sup>  
— დემექ!<sup>2</sup>  
— ყველა დამცინის — დანიშნულმა მიგატოვაო...

ლადოს გულის მოხშირებულ ბაგუნისაგან კინალამ სუნთქვა შეეკრა.

— აბა, ისევ მაგ სიტყვაზე ხარ?  
— ვარ.  
— შითხარი მინც, რას მიწუნებ, დინა?

— ...  
— დანიშნული ხარ ჩემი, ჯესმიმო?  
— არ მესმის! არა! არა!

ჩოფემ ფეხები გაჩაჩხა და ვეება მუშტები სახესთან დაუტრიალა.

— უუუ, ჩემი ცოდო ჩემ ძმას... — ამოინიბინა სიმწრით.

— ამინ იყოს! — წყნარად თქვა ქე-

თუმ და გზის ვანგრძობა სცადდა. ჩოფემ მხარში ჩააფრინდა, დანთრინდა.

— ქეთუ...  
ხმაში თინმორეული მიმაკაცის ვედრება გაისმა. ქეთუ უსიტყვოდ, გააფთრებით ებრძოდა. ბოლოს, კბილებით მისწვდა მხარზე. ჩოფემ მოკლედ ამოიღმუვლა, ხელები უშვა და მთელი ძალით მოუქნია მარჯვენა. ქეთუ არ წაქცეულა. ამაყად გასწორდა და გაქვავდა.

— დამარტყი კიდევ!  
ჩოფემ შიშით დაიხედა ხელზე. უკან უკან წავიდა.

ლადო წამლეკავმა ინსტიქტმა ბრმად აიტაცა, ზამბარასავით მოსხლტა, ბუჩქებს გადაეგლო და გაშლილი მკლავით ლეწა ჩოფეს. ეს თავზარდამცემი იყო. ჩოფე დამარბაცდა, ხელები უმწეოდ ჩამოსცივდა, მაგრამ გონს უეცრადვე მოეგო.

... კატებივით გადაეხლართნენ ერთმანეთს, წაიქცნენ და ღრანტეში ჩავარდნენ, მამინევე ამოფორთხდნენ და აქოშინებულნი, ჯიქურ დადგნენ.

— გეყოს... მომეშვი... — თქვა ლადომ.

ავარგარებულნი ყვრიმალნი ხელის ზურგით მოისრისა, ჩოფე ნელა უახლოვდებოდა.

— ღორივით დაგკლავ...

ქამარზე ჩამოკიდული ტყავის ქარქაშიდან მონადირული დანა იძრო და ტკაცუნით ვახსნა. ლადოს ტანში ვაცრა. გამწარებით დაიხედა შიშველ ხელებზე. უცებ იაზრა, ვადახტა და გზოდან მსხვილი, წვეტიანი ქვა აიტაცა.

— აჰა! მოდი ახლა, — დაიძაბა გახელებით. ჩოფემ სისხლიანი ცხვირი ბლუხის სახელოს დააწმინდა.

— დააგდე! — თქვა ხრინწიანი ხმით.

— შენც დააგდე!  
იდგნენ და ზომავდნენ ერთმანეთს. ჩოფე ყოყმანობდა, ლადო — ელოდა. ბოლოს დანა ტკაცუნით დაიხურა.

— გაგისწორდები მე შენ! — თქვა ჩოფემ, კარტუზი აიღო, მუხლზე ჩამორტყმით გაფერთხა და უსიტყვოდ წავიდა იქით, საიდანაც წელან გამოჩნდა.

<sup>1</sup> არ გესმის, გოგო რას ვუბნებხე?  
<sup>2</sup> არა!  
2. მნათობი, № 6.

მეგრად



ლადომ შეგებით ამოისუნთქა, იქვე ჩამოჯდა. მერმელა გაახსენდა ქეთუ და მისი გაუჩინარება უმადურობად ჩათვალა. პერანგი მოძებნა, გადაიცვა და სოფლისაკენ გაემართა. ყვრიმალე აუტანლად ეწოდა, მთელი სხეული სტეხდა, მაგრამ არაფერს ნანობდა, პირიქით, თითქოს გაზარებულიც კი იყო.

... და უცებ, ახლანდითი ბალახის ზვინთან ქეთუ დაინახა. ქეთუმ თვალეზი ამოიშრალა, წამოდგა, გაღიმება სცადა. მწვანედ დაფოთილი კაბა ეცვა, მკერდის სისავსე და ტანის მოქნილობა თვალშისაცემად ენაკეთებოდა.

ლადო უხმოდ დაუდგა წინ. არცერთმა არ იცოდა რა უნდა ეთქვათ. ახლანდითი ბალახის გამაბრუებელი, მოტუბო სურნელი ორივეზე აღმვზნებლად მოქმედებდა.

ლადომ გაუბედავად ასწია ხელი, ფრთხილად გადაუსვა თმებზე; ტალღოვანი, რბილი თმის შეხებამ მთენთავი ერუანტელი მოჰკვარა.

— რა კარგი თმები გაქვს, ქეთუ...

ქეთუმ თავი ჩალუნა. გაჩუმდნენ.

— წავიდეთ... კარგი?

— ჰო...

ცისფერი თვალებიდან გამხელილი მადლობა, ნაღველი და მუდარა იცქირებოდა. ლადოს სიბრალულითა და სინახით შეეკუმშა გული. ნდაყვზე ალერსით მიელამუნა, უნდოდა რამე სანუგეშებელი ეთქვა, მაგრამ ვერაფერს იგონებდა.

— იმ ჩოფესთან მე შექნება საქმე...

— უიმე, არა!

— ვნახოთ, რა ბიჭია...

— არა! თქვენი ჰირიმიე... არა!

ქეთუს მღელვარებისაგან ხმა ჩაუწყდა. მოქანცული და გამოფიტული იყო. ლადოს გულის სიღრმეში ეამა მისი შესფოთება.

სახლებს რომ მიუახლოვდნენ, უთქმელად მიხვდნენ, სოფელში ერთად გამოჩენა არ ივარგებდა.

\*\*\*  
თეატრალური  
მადლობა

ეზოში თემრას მარხილის საძირეს თლიდა. ლადო მის გვერდით მიწაზე დაჯდა. ძელურ ბოსელთან წითელი ხარები იდგნენ და ზანტად იცოხნებოდნენ.

— ძველი გავიტყდა?

— აბა! ციცაბოზე ველარ დავიკავებ მარხილი. გადამიბრუნდა. დაეტანჯე ხარები. ნახევარი თივა გზაში დავყარე — კიდევ კარგი, თუ არავინ მომპარა.

— რაც თქვენ მაგ თივაზე წვალბოთ...

— ეე, შენ კიდევ რა იცი. ხან ისეთ ადგილებში ვთიბავთ, ფეხს ძლივს მოიკიდებ. ჩამოტანას არ იტყვი? ჯერ ვაცურებთ, მერე ზურგიით — მარხილამდუნულა იციოხავ.

— ჰო, ძნელია, — ჩაილაპარაკა ლადომ.

თემრას ნაღველიანად ჩაეცინა.

— ძნელიო?.. მე იმაზე ვიფიქრო, გაკვეთილი როგორ გადავცე, თუ ზამთარში სამყოფი თივა სად ვიშოვნო-მეთქი?... ხან, ვაჟა-ფშაველა მახსენდება. იმას შეეძლო მთელი დღე ცელი ექნია, საქონლისათვისაც მოეგლო, ღამე კი, ფიხის შუჭზე „სტუმარ-მასპინძელი“ დაეწერა. მე იმდენი სად შემიძლია? არადა, ოჯახი თავისას თხოულობს... უნივერსიტეტში ისეთი სადილობო დაეწერე ნადირობის კულტზე სვანეთში, — ცოტა რომ გააფართოვო საკანდიდატოდ გამოდგებაო. ვინდა მოიცალა? ჩამოვედი და ჩავრჩი... ჰოობივით არის სოფელი, რაც ღრმად შედიხარ, უფრო ვითრევს...

— ბევრი რამეა მოსავარებელი, — დაფანტულად თქვა ლადომ.

— მოგვარებული — სამოთხეშია. მე მაინც აქ მირჩევნია, — თქვა თემრასმა. ლადო უგულისყუროდ უსმენდა.

— თემრას!

— ჰო.

— ეს ჩვენი მეზობელი, ქეთუ უშვებნი, როგორი გოგოა?

თემრასმა ნაჯახი კუნძში ჩაასო.

— კარგი. რა იყო?

— არაფერი. ისე.

— უკვე დანიშნულია. ჩოფე ხომ იცი, ჩვენს დირექტორის ძმა?

— ვიცი. ქეთუს არ უყვარსო.

— ვინ ვითხრა?

— გავიგე.

— შეიძლება. მერე?

— ჩოფე მუტრუკია.

— მაინც უნდა წაყვეს.

— ეგ როგორ?

— ისე. წესი წესია.

— მაგას გულით ამბობ?

თემრავ მოიღუშა.

— მერე რა, გულით რომ არ ვამბობ. „წესი წესია“, აქ სხვა პასუხი არ იციან. თუ სვანეთში ჩხუბი, ან მკვლელობა ხდება, უმეტესად მაგ საქმეზე.

— ფუჰ!

— გირჩევ, ნურაფერში გაერევი. ჩოფე დირექტორის ძმაა. ეგვეც არ იყოს...

— ფეხებზე მკიდია ორივე — ჩოფეც და დირექტორიც!

— ნუ დიდგულობ. დამიჯერე.

მარხილს ახალი საძირე დაუყენეს, ხარები შეაბეს და მთაში დარჩენილი თივის ჩამოსატანად გაილაღეს.

მზე მიიდრეკია. ხეებს ჩრდილები დაუგრძელდათ. რუხი, წყლიანი ღრუბელი ტაბტით მიცურავდა მოკრიალებული უშბისაკენ.

თავი მეთხუთხე

კვირა იყო. ლადო უგულისხმოდ ათვლიერებდა სახვალოდ გადასაცემ მასალას.

ფანჯრიდან მოჩანდა ბოძებზე შემდგარი საქათმე. ვიწრო კიბეზე ქათმები ფრთების ფათქუნით მოტრიალდნენ დასაბუღრებლად. აივნისა და ქვასანაყის ჩაკუნის ისმოდა. მერმე ფანდურის ხმა და ნელი ლილინიც მოისმა. ეს მაწისა იყო. ლადოს ადგომის საბაბი მხეცა, წიგნები მიილაგა და აივანზე გავიდა.

ტეროს შავ კაბაზე უსახელოებო, დალიანდაგებული საბურთი ეცვა, თავსაფრიდან მხოლოდ მწვანე თვალები უჩანდა.

— სად არის თემრავ? — ლადო.

— დოლასუფში, — თქვა ტერომ თავაულებლად, — ქატოზე.

— მაღე მოვია? ტერომ მხრები აიჩჩია.

— დაუკარი, — ლადო მაწისას მიუბრუნდა, — რატომ განერდი?

მაწისა ისე უმხერდა დიდი, ციმციმა თვალებით, თითქო არ ესმოდა რას ეუბნებოდნენ. ნიდაყუებამღე შიშველი მკლავები უღონოდ ჰქონდა ჩამოშვეებული.

— მოდი „ზგიმზე“<sup>1</sup> წავიდეთ, — თქვა ლადომ.

მაწისა დუმდა — არ გინდა?

— კი.

გზა სიბეებით ნაგებ, ხაჭისა და გაბოლილ მაწიუბების ხვეულებში გადიოდა. ამ გზაზე ლადოს მუდამ უჩრდებოდა შეგრძნება — სადაცაა ჭრიალით დაეშვებაო ჯაჭვებზე დაკიდებული ზიდი, გამოჩრდება გოლიათი, შეაბჯრული სვანი, ელვარე შუბს განზე გასწევს და დვრინით იტყვისო:

— მობრძანდით ბატონო, მიშგუ ლადელ სი!

ქვევით, გაღმა სოფელში, მუხებით დაბურული „ლაშარისა“ პატარა ეკლესია მოჩანდა. გალავანში ბავშვები დარბობდნენ. მერმე სიმღერის მდორე ბგერებიც ამოისმა.

— ვინ არიან? — გაუკვირდა ლადოს.

— რა ვიცი, ყველა იქ იქნება...

— დღეობაა რამე?

— არა. ასე სჩვევიათ, მოსელის აღებას რომ დაამთავრებენ, ქეიფობენ.

— ქეთუც იქნება?

ეს კითხვა უნებლიედ დასცდა. მაწისამ ეპვით შეხედა.

— რომელი ქეთუ?

— არაფერი. წამო, მივიდეთ.

<sup>1</sup> ზგიმ — მთავრ წყალი, ვეჩა.

და ჯაფის დღეები, თვითველი ბრიგადა თითო კრავს ან ბურვეკს დაჰკლავდა, ცოტ-ცოტაობით არაყსაც ჩამოდგამდნენ და მოილხენდა სოფელი. იმ დღიდან გლეხი მხარებში აიშვებდა და საკუთარ კარშიდამოსთან დასაძგერებლად იცლიდა.

სუფრა მუხების ქვეშ, მწვანეში იყო გაშლილი. ქალები, უფროს-უმცროსობის რიგით, ბოლოში ისხდნენ და მორცხვად იციკუნებოდნენ. კაცები ზორბოცობდნენ, მშრალად მოხარულ ბორცს ფოთლებზე დაყრილ მარილში აწებდნენ, მაგარი კბილებით გლეჯდნენ და გაქონილ ტუჩებს ხელისგულებით იწმენდნენ. პატარა ბიჭები თუნგებით არაყს დაატარებდნენ და გამოცილილ სამისებს მაშინვე ავსებდნენ.

სოფლის მთელი ახალგაზრდობა აქ იყო. ლადოს დანახვაზე ზოგიერთი წამოხტა, პატივი დაუწყეს, ერთმანეთს არ აცილიდნენ, ეძახდნენ, აჩქარებდნენ და ისედაც შემცბარი, უხერხულად მოღიმარი ლადო, უფრო დააბნიეს.

თამიანი გვერდით ხელად გათავისუფლდა ადგილი.

თამილა კრაველის ბოხოხიანი ბრიგადირი ათმურზა იყო. ჩაის ჭიკა უსუნთქველად გამოსცალა, გადმოაბრუნა, ძირზე აკოცა და ხელუკუღმა ესროლა ჩოფეს. ჩოფემ დაუდევრად დაიჭირა. მაშინვე მოიბრინა პატარა ბიჭმა, აუცსო. ლადომ უნებლიედ გაიფიქრა, — ისე მოვიქცევი, ვითომ ვერ ვხედავო, მაგრამ შერცხვა ამ ფიქრისა, მოტრიალდა და ჩოფეს დაყინებულ მხერას აგდებული ღიმილი შეაგება.

ფრანცუზმა ორი ჭიკა აავსო და ლადოს მიანჩია. მას ნიკაბი ტუჩამდე ჰქონდა გაჩეხილი, ღიმილი სახეს უღრცედა.

— რავე გაჩუმებულხარ, სი მარე?

— არა, კაცო.

— აა დალიე მაგ და მოხვალ ხასი-ათზე.

— ვისი სადღეგრძელოა?

— ჩვენი ქალების.

ლადომ მათკენ გაიხედა და ქეთუს გა-

ფითრებული, ნალღლიანი კისრით მისაბა. ჭიქები ხელში შეაცივდა.

— ჰე კაცო, დალიე ახლა. ვერ შეეჩვიე ჩვენებურ არაყს?

— როგორ არა.

— დალიე, აა.

— გაუმარჯოს ქალღმს.

ლადომ თვალებით ანიშნა ქეთუს — გაგიმარჯოსო, ქეთუმ ოდნავ გაუღიმა.

— ო, შაქრად! — ფრანცუზმა მხარზე მოუტყაპუნა ხელი ლადოს და გამოცილილი ჭიქები თამიდას მიაწოდა.

ვილაკამ გამყივანი ხმით საცეკვაო წამოიწყო და სხვებიც აიყოლა. თავბრუდამხვევი ტაში ვახტურდა. მღეროდა ყველა, — ქალი, კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა. მღეროდნენ და ადგილებზევე უცეკვავდით სახეები, მკლავები, მუხლები, მაგრამ წრეში ვადმოხტომას მაინც ვერავენ ბედავდა.

სუფრა იმშალა, ყველანი ერთმანეთში აირივნენ. ბოლოს ისევ ტოლუმბაშმა, ათმურზამ ივარგა, სუფრას გადაეგლო, ჭამარი დაბლუჯა, თავი გაროზად დახარა და საქმიანი იერით შეუღდა ცერულს. ლადოდართს ისეთს დაჰკივლებდა, გახვითქულ მომღერლებს ცეცხლს ათმაგად უმატებდა. ახმაზი, დაშლილი სხეული შეეკრა და ისე ჩაქდა ცეცხლის რიტმში, გაჩერება რომ სდომებოდა ვეღარც მოახერხებდა...

ლადო სხვებთან ერთად უქრავდა ტაშს და ერთხანს ვერც კი იგრძნო, რომ ვილაკა მკლავზე ეწყოდა. სწრაფად მობრუნდა.

— საქმე მაქვს მე შენთან.

— აა, რავე ხარ, ძველო?

ჩოფე არ ელოდა ასეთ მომართვას.

— კარგად ვარ მე!

— ჰოო? კარგად იყავი.

— საქმე მაქვს შენთან!

— რა საქმე?

— უნდა გავსწორდეთ!

ლადოს არ უნდოდა სხვების ყურადღება მიექცია. განგებისი უღარდელი ღიმილით მოკიდა ნიდაყვზე ხელი.

— კი, მხოლოდ ახლა მაკალე ქეთვი.



ჩოფემ ზიზლით შეიფერება მკლავი და ლადოს ხელი მოიშორა. ლადოს საფეთქელთან უჩხელიტა რაღაცამ. მოთინება ელვოდა.

- აბა რერა რამაილა...
- ვოუ რერა რამაილა...

ერთმანეთს პირიდან გლეჯდნენ მომღერლები ორპირულ საცეკვაოს და ათმურზას ვახელებულ ცერულსაც დასასრული არ ექნებოდა, რომ ისევ მომღერლებს არ მოეფიქრებინათ და სიმღერა უეცრად არ მოეწყვეათ.

აქოშინებული ბრიგადირის სადღეგრძელო ყველამ წვეთ-წვეთად გამოსცალა; ჩოფე იღვა გაუნძრევლად, ტაში არ შემოუტრავს, არც შექმუხნული შუბლი გაუხსნია.

მოქეიფებმა რაკი ერთხელ გაშალეს მუხლი, ისევ სუფრასთან დაჯდომა აღარ ანდომეს და ახლა სხვა გასართობს დაუწყეს ძებნა. ზოგმა ქალებისკენ გადაინაცვლა და მალულად დაუწყაო მათ ჭერებზე. უფრო თავაწყვეტილ მოქეიფებს შუბლები ერთმანეთისთვის მიებჯინათ და ჩუმად ამბობდნენ სადღეგრძელოებს. პატარა ბიჭებმა სამრეკლოდან ჩამოვარდნილ ზართან წრე შეჰკრეს და ლიბურგიელ! გააჩადეს. გოგოები შეძახილებით ცდილობდნენ მათს გამხნეებას. უფროსი ბიჭები ვანზე იდგნენ. მათში ჩოფე ყველაზე მაღალი და ბეჭებგანიერი იყო. შავი, ყვითელსირმიანი ფაყუ შუბლზე ჩამოეფხატა, მკლავები გულზე დაეკრიფა და სდუმდა.

— თბილისიდან ახალი რა ისმის? — ჰკითხა ფრანცუზმა ლადოს.

— არ ვიცი, კაი ხანია არაფერი გამოვიდა.

— ჩვენმა „დინამომ“ წააგო გუშინ, — თქვა ავქსენტრი.

- შე კაცო!
  - რას ლაპარაკობ!
  - ფუი, მაგათი...
  - რადიოს ვუსმენდი.
- მას წვერი ჰქონდა მოშვეებული და ძა-

ლიან შეეფერებოდა სახელი „ავქსენტრი“

- მესხი იყო?
- კი.
- იამანიძე?
- ყველა იყო. მარტო ლოღობერიძე აკლდა.

— ეერ თამაშობენ უმაგისოდ, — ფრანცუზმა ხელი ჩაიჭინა.

— დაბერდა, სი მარე, — თქვა ავქსენტრი.

ბიჭებს უნებურად ეწადათ ლადოსთვის ეჩვენებინათ, რომ „ქალაქურ თემებზეც“ თავისუფლად შეეძლოთ ლაპარაკი. სინამდვილეში ფეხბურთი არც ერთს არ ჰქონდა ნანახი. ლადომ იცოდა ეს და ზრდილობიანად ისმენდა.

ჩოფე მოღუშული უყურებდა თავის მოწონების სურვილით ანთებულ მამლაყინწა ბიჭებს, რომლებიც ქოშინით ჯაჭგურობდნენ. სიცილი და შეძახილები კიდევ უფრო ავიყებდათ, მაგრამ ერთმანეთს ძერას მაინც ვერ უშვებოდნენ.

ლადო ფრთხილად იცქირებოდა ქეთუსკენ. წამით შეხედეს ერთმანეთს და ქეთუმ მაშინვე მოარიდა თვალი. შემკრთალი, დაბნეული სახე ჰქონდა.

— აბა, სუფრასთან, სუფრასთან! — დაიძახა ათმურზამ.

ჩოფემ რაღაცა გადაულაპარაკა ფრანცუზს. ფრანცუზმა გაკვირვებით ასწია ხელები, მერმე ორივემ ლადოსკენ გაიხედა. ლადო დაიძახა.

— აა, კაცო, მოდი თ ახლა, — იძახდა ათმურზა. ის უკვე სუფრის თავში იდგა და სავსე ჭიჭიბი ეჭირა.

ჩოფე ბიჭებს გამოეყო, თავადერილი მივიდა ზართან და ფეხი წაჰკრა.

— რა უნდა? — ჰკითხა ლადომ ავქსენტრის.

— აწევას უპირებს...

ზარი დიდი და მძიმე იყო. ქანგიანი ტანი მრავალგვარად ჰქონდა შემოტეფრული, მიწაში მკვრივად იჭდა, მის გარშემო ბალახი ამოსულიყო. სამრეკლოდან ჩამოვარდნის მერმე, ეტყობოდა, მისთვის ხელიც არავის ეხლო. — წმი-

და „ლამარიას“ ზარის აწვევა როგორ იქნება? — შიშით დაიძახა ვილაცამ. უცებ, ყავარჯიანი, მაღალი მოხუცი გამოვიდა, ჩოფეს უხეშად წაუბიძგა ჯოხით, თან მჭახედ უყვირა რალაცა.

— ასე ეუბნება, „ლამარიას“ ნუ არისხებო, — სიცილით უთარგმნიდა ავქსენტრი ლადოს, — შენი გულისთვის მთელი სოფელი ჯოჯოხეთში ჩაყარდებო...

ჩოფე გალაქული იდგა და კულმად უსმენდა მოხუცს. აშკარა იყო, გადაწყვეტილს ჯოჯოხეთს შიში ვერ შეაძვლევინებდა. ეს მოხუცმაც იგრძნო, ფაყუ მოიხადა, პირჯვარი გადაიწერა, ერთი გულიანად გადააფურთხა და წრიდან გავიდა.

ხალხზე ცოტა კი იმოქმედა მოხუცის ნათქვამმა, მაგრამ თვალის სეირისადმი ლტოლვა იმდენად ძლიერი იყო, რომ წაეიდა თუ არა მოხუცი, შეძახილებით დაუწყეს ჩოფეს აჩქარება.

ჩოფემ საქმიანად დაიფურთხა ხელებზე, დინჯად დასწვდა ზარის თავს, შეაყორავა, მერმე ბოლოშიც შეუვლო ხელი.

— აა, პე! — შემოუძახა ფრანცუზმა.

ჩოფემ უწვალებლად აიტანა ზარი მკერდამდე, ამოიქშინა, დაიქიმა, მკერდსაც ააცილა და სხეულის ძაბვით შეუდგა მკლავების გამართვას. გამოჩნდა ზარის ბნელი ხახა. ეპილებდაკრეტილმა ჩოფემ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, უკან გადაიწია, ზარი წაადლო, თვითონ კი — გვერდზე გადახტა.

მაყურებლებმა შევებით და ილტაცებით ამოიხრეს.

— მაღადეც! — დაიძახა ფრანცუზმა.

ჩოფე შიშველ სუნთქავდა. მან თვალეებით მოსძებნა ლადო და ყველას გასაგონად თქვა:

— სხვამ ასწიოს ახლა!

ლადო მიუხვდა.

— ეპაა, ამდენი არ მეცეკვა! — ვითომ სინანულით გადაიქნია თავი ათმურხამ, — ცალი ხელით ავწევდი მაგამ.

ახარხარდნენ, მერმე დუმილი ჩამოდგა. ლადოს თანდათან უძლიერდებოდა

მღელვარება. დაუოკებელმა სურვილმა აიტანა. ცერად გადახედა ბოლოდინით გაფაციცებულ სახეებს. მოეჩვენა, რომ ყველანი მას შესცქეროდნენ და ამან უფრო გაახელა.

— ვილაა მაგის აწვევი? — თქვა ავქსენტრი.

ლადომ მაჯაში სტაცა ხელი.

— რა გქვია შენ?

— მე? აქსენტრი.

— პა, აქსენტრი ხარ, თუ ავქსენტრი, მე რომ ავწიო?

— ჰეუ! აგერ არ არის? აილე აპა! —

უნდოთ ჩაიქირჩილა ავქსენტრი.

ზარი გადაბრუნებული ევლო.

ლადომ ოდნავი კრთომით დახედა მის დაბჩენილ ხახას და მოუზომავად, პირდაპირ დასწვდა. როგორც კი მიწას ააცილა, მაშინვე მიხვდა, — ვერ აწვევდა. საფეთქლებთან ძარღვები დაეებრა, სხეულში მომკვეთი ცახცახი ჩაუდგა... იძალა და მიანიც აიტანა მკერდამდე, ერთხანს ასე ეჭირა და დაბინდული თვლებით უყურებდა შემოიწერებულ, ერთმანეთში არეულ, უფორმო სახეებს... მერმე, უცერად, მთელი სიცხადით იგრძნო თავისი ჭკევედს უაზრობა. შეწუხებულმა დახედა ბნელპირიან ზარს. ველარ გავგო რატომ ეჭირა ხელში. უნიათოთ დაავლო. ზარმა მქისეთ, დაირაძგუნა..

ქალები გაცხარებით ჩურჩულდნენ. ფერღაკარგული ქეთუ სხვათა ზურგებს ეფარებოდა, ცდილობდა არ შეეხედა ლადოსთვის.

— ჩვენი მასწავლებელია, — მოესმა ლადოს პატარა ბიჭების გადალაპარაკება.

ჩოფემ რალაცა თქვა სვანურად. კანტიკუნტად გაიციინეს. ლადომ წრე გარღვია, თავი უბრუოდა, არაქათგამოცლილი იყო.

— მოიცადე, — დაეწია ჩოფეს ხმა.

— რა გინდა...

ჩოფე მთელი სახით იღიმებოდა.

— წამოდი, არაყი დაელოთ.

— მაღლობა..

— რათ მინდა მადლობა, — სიცილით თქვა ჩოფემ, — დაელით და ის იქნება.

— სხვა დროს შევხვდებით.

ჩოფე მოიღუშა.

— ჰკუთთ იყავი, გირჩევ!

ლადო აღარ უსმენდა, გელსიის კედელს მიეფარა. სახე ცივ, ხორკლიან ქვეშ მიაღო. საიდანლაც მაწისა მოვიდა, გაუბედავად შეეხო.

— წადი!

მაწისა არ განძრეულა.

— გაიგე? წადი — გაუმეორა ლადომ.

გოგო-ბიჭების ყვირილ-ხივილი ისევ ისმოდა. მაწისა თავჩაქინდრული მოსცილდა.

ლადომ ნაბურღლები გაიხარა, ყორეს გადახტა და შარასთან. მაღალ ბალახში დაქდა. არ იცოდა საით წასულიყო, ან რა გაეცეთებინა. ელექტრობოძის გვერდით, „იყის“ მარჯის მოტოციკლი იდგა. იცნო, სკოლის დირექტორისა იყო. ალბათ, ჩოფეს ჰყავდა წამოყვანილი. რაღაც მღვრიე მოსაზრებამ ლადო ფეხზე წამოაგდო. ბედად, ძრავა დაუკეტავი აღმოჩნდა. აღარ დაუყოვნებია, სტარტერი ამუშავა. მოტორი აჭახტახდა. ლადომ სიჩქარე ჩართო და სანამ თავისი საქციელის ავ-კარგზე დაფიქრებას მოასწრებდა, უკვე მიჰქროდა ღორღიან გზაზე. ყურებში ცივი ქარი უზუზუნებდა და სწეულს უთოშავდა... ხელად უკან მოიტოვა სოფელი, ხრამში ჩაქანდა, უმოაჯირო ბოგირი გადაიბრინა და ციცაბო ფერდი აივსა...

წინ იყო ნისლიანი უშმა.

ლადომ სიჩქარე მეოთხეზე გადართო და გახივ მოუშვა. მალე მეორე სოფელში შევარდა. მოტოციკლის ყურის წამლები ტერციალი ერთმანეთთან მიჯრილი სახლების ხავსიან კედლებს მოედო და მრუდზე შეუკებში ჩაიკარგა. გზაზე მომავალი ნაბირი დაფეთებული მიაწყდა შარის კიდევს...

ლადო მიჰქროდა. დაიწყო შიზრის ევლი. აქედან უშმა ძალიან ახლოს იყო. ტიტველ ქედებზე ახლად ჩამოეთოვა.

ვრცელი ველის დასასრულს, სიცილით ელაგდა რიყე.

ვექსთან, რომელიც სათიბის ბოლოში ამოდიოდა, გზა შეწყდა. იქიდან საცალფეხო ბილიკი, დაკიდულ აღმართს მიჰყვებოდა და ბეჩოს უღელტეხილს უერთდებოდა.

გამოჩნდა ცეცხლი და კარვის ბუნდოვნად მოხაზული სილუეტო. იქვე ადამიანები ფუსფუსებდნენ. ლადომ მოტოციკლი კარავთან მიაგდო და დაამუხრუჭა.

წყნარი, გამჭვირვალე დაისი იდგა. ლადო კარვისკენ წავიდა. მისთვის სულერთი იყო, ვინ დახვდებოდა იქ, ან რას ეტყოდნენ.

ორი ვაჟი იყო, ქალიც ახლდათ. მასაც, როგორც ვაჟებს, შმაშურა, ხავსფერი „შტორმოვკა“ ეცვა.

ლადომ სალამი თქვა.

— მობრძანდით ცეცხლთან, — შეებატიყა ქალი.

— გმადლობთ...

— აცივდა...

— ჰო...

კიდევ კარგი, დავამთავრეთ სამუშაო, — თქვა ვაჟმა, რომელსაც ბურთულიანი, ნაჭსოვი ქუდი ეხურა. მას ბორია ერქვა და ქერა, მეჩხერი წვერი ჰქონდა.

— საიდან ხართ? — იკითხა ლადომ.

— მოსკოვიდან.

— ეძებთ რამეს, თუ...

— ვეძებთ.

ქალი ვაჟურ ტანსაცმელშიც ლამაზი იყო.

— მდიდარი კეთხეა სვანეთი, — თქვა ვაჟმა, რომელსაც აპრეხილი ცხვარი და უკმაყოფილო სახე ჰქონდა.

— ამბობენ.

— მაგრამ უყურადღებოდ მიტოვებულნი.

— იურა ყველასთან ამაზე ჩივის.

— მოდი და ნუ იჩივლებ.

— არ ვიცი, — თქვა ლადომ, — გეოლოგიაში არაფერი გამეგება.

დიდი ხანი იყო, რაც ლადოს, რუსუ-



ლად სიტყვა არ ეთქვა და ახლა სიამოვნებით, შინაგანი კმაყოფილებით გამოთქვამდა თვითველ წინადადებას.

— თქვენ აქაური ხართ? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— თბილისელი.

— სვანი მეგონეთ, — გააგრძელა ქალიშვილმა, — ისეთი ვაჟკაცური სახე გაქვთ, რომ...

— სვანებს ვაჟკაცური სახეები აქვთ?

— ო, უკლებლივ. და ძალიან პოეტურები არიან.

— ტანიაშ თუ სვანებს ქება დაიწყო, მორჩა! — შენიშნა იურამ.

— იურა, ნუ ხარ შერიანი! — ტანიაშ თითი დაუქნია — თქვენ რა გქვიათ? ლადომ უთხრა.

— მაგრად ვლერს, — გადაჰარბებულ მოწონებით თქვა ტანიაშ.

— რას აკეთებთ სვანეთში? — ჰკითხა ბორიამ.

— ვასწავლი, ქართულ ლიტერატურას.

— არ მეგონა, — ტანიაშ კეკლუცად გაიღიმა — თქვენ უფრო რაინდს ჰგავხართ. „მოღრუბლული უშბის რაინდი“, შეიძლება ასე?

ლადოს მწარედ ჩაეციხა.

— ალბათ, სული გეხუთებათ ამ მთებში, არა? — ჰკითხა იურამ.

იგი ექვიანობდა ტანიაშზე და, როცა ლადოს მიმართავდა, ხმაში ირონია ეპარებოდა.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— დიახ.

— სცდებით.

— მართლა არ გენატრებათ ქალაქი? — გაუკვირდა ტანიას, — ჩვენ მხოლოდ ერთი თვეა აქა ვართ და...

ლადომ ღრმად ჩაისუნთქა.

— არა! — წაილაპარაკა ყრუდ.

— აი, ეს შესმის! — წამოიძახა ტანიაშ, — რუსოს მიმდევარი ხართ?

ლადოს გაეღიმა.

— ასე გამოდის.

— გეყოთ ფილოსოფიის განყოფილება, რიამ, — ჩაი აღუღდა.

ცეცხლის გრძელი ენები მოყვითანო შეუქ-ჩრდილით ანათებდა მათ სახეებს. ლადო გრძნობდა, უცხო იყო ამ ადამიანებისათვის, მყუდროებას ურღვევდა მათ და რაც მალე გაეცლებოდა, ის აჭობებდა. წამოდგა.

— ჩაის არ დალევთ? — ჰკითხა ტანიაშ, — დარჩით, ვთხოვთ.

— მეჩქარება.

— ტანია, თუკი ეჩქარება... — თქვა იურამ.

შისრის ველს ღამის სიბნელე ედებოდა. წვრილი წვიმა წამოვიდა. ნისლეტში ამყაღ ჩანდა უშბის კლდოვანი კენწერო.

• • •

თემრაზ და მაწისა აჩრდილებივით ისხდნენ აივანზე. მაწისა ფანდურს უკრავდა, ლადო კედელს მიეყრდნო. სიმღერის სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ მთელი არსებით გრძნობდა, — ეს იყო ჩემი, ნაღვლის მომქარებელი კვნესა.

ყო დღემ დეემ, მირანგულა, და...

დედს ისევ სი ვარ ხორდას, და...!

ლადოს უნდოდა შეუშინეწვლად შესულიყო ოთახში და საწოლზე პირქვე დამხობილს ესმინა მათთვის. ნაბიჯი მოინაცვლა. სიმღერა შეწყდა.

თემრაზ: მოხვედი?

— მოვედი.

— სად დადიხარ, ბიჭო?

— არსად, იმღერეთ.

შვეიდა, ლოგინზე მიეგდო და თვალები გაუშტერა ბნელს.

თემრაზ: დაწეკი ეხლა.

მაწისა: არ მეძინება.

თემრაზ: აბა, იჯექი.

კარმა დაიჭრიალა. მერმე უჩქამო დუმილი ჩამოწვა. ლადო ადგა, ნათურა აანთო. მინაველმა შექმა მკრთალად ინათა. უსასოო მარტოობის განცდა მოაწ-

<sup>1</sup> დედს დედს მირანგულა, და...

დედს მხოლოდ შენდა დარჩი, და...



ვა ყელში. თავში ფიქრების კორიანტელი უტრიალებდა. ფიქრებისა ეშინოდა ლადოს. კითხვები-უპასუხებოდ... კითხვები-უპასუხებოდ...

უცებ, ისე მძაფრად მოუნდა თბილისი, რომ სუნთქვა შეეხეთა. „ნეტა თემრაზ არ დაწოლილიყო, დავლევდით არაყს“.

აივნიდან ფანდურის ხმა მოისმა. ლადომ კარი გამოაღო.

- მაწისა!
- ო!
- შემოდი ჩემთან.
- დუმილი.
- გესმის?
- კი.
- შემოდი.

მაწისა გაუბედავად შევიდა, კუთხეში გაჩერდა და ფანდურის ტარს ისე მონდომებით დაუწყო სინჯვა, თითქო პირველად ხედავსო.

- ვერ ავწიე...
- დუმილი.
- დამცინოდით?
- ჩოფე ყვიროდა, — მოტოციკლი მომპარაო.
- იყვიროს. დამცინოდით?
- ვინ?
- რა ვიცი, ყველა.
- ყველა არა.
- ქეთუ?
- რა, ქეთუ?
- არაფერი. დაჭექი, რას დგებარ?
- არ მინდა, — თქვა მაწისამ ცრემლიანი ხმით.

მერმე კარისკენ გაიწია. ლადოს აღარ უთხოვინია დარჩენა.

თავი მახუთი

სკოლიდან ამობრუნებულ ლადოს თემრაზის დანაბარები დაახვედრეს: — უშვანებს კარტოფილის ამოღებაში ვეხმარებით, თუ არ დაიზარებ, ჩამოდიო. ლადოს ოთხი გაცვეთილი ზედიზედ

ჰქონდა ჩატარებული, დასრულებული მაგრამ დასვენება არც უფიქრია. სასურაფოდ ჰამა მაწონი და პური, მერმე ტანსაცმელი გამოიცვალა. ჩაიცვა ხავერდის ვიწრო შარავლი და ტანზე შემოჭერილი შავი სვიტრი. ლადოს უყვარდა ეს სვიტრი, რადგან ასე ჩაცმული თავისუფლად ფლობდა ტანს.

ფიწალი ბოსელში, სათივრე იპოვნა. ჩახურბულ, ნედლ თივას გამხმარი გვირილების სუნი ასდიოდა. ეს სუნი აღმგზნებად მოქმედებდა ლადოზე. ყავრის ჭურჭურტანებში სუსტად აღწევდა შუქი. ლადოს უხაროდა, რომ ქეთუს ნახავდა. თივაში ჩაწოლა მოუნდა და უნებურად, გვერდით ქეთუ წარმოიდგინა. ხილვა იმდენად ცხადი იყო, გაატრეოდა. ქვევით ჩამოვიდა, ფიწალი მხარზე გაიდო და ორდისფრად ანათებდა.

ლაპილს ვარდისფრად ანათებდა მცხრალი მზე, ტალახიან გზაზე ყვითელი ფოთლები ეყარა.

ლადომ შორიდანვე გააჩნია წახრილი, მოფუსფუსე ადამიანები. ყველანი რიტმულად, შეუფერხებლად მუშაობდნენ — კაცები ფიწლებით აბრუნებდნენ ბუდობებს, ქალები საჩქაროდ ჰკრეფდნენ ამოყრილ კარტოფილს და ნაკვეთის შუაში, წოპად ახოხოლავებულ გროვას უმატებდნენ. ლადო შრომის სურვილმა აიტანა. უნდოდა სწრაფად ჩაბმულიყო ამ უჩინარ ფერხულში...

თემრაზ და ტერო ერთად მუშაობდნენ. ლადო მათკენ წავიდა. მაგრამ გზაში ქეთუს შეეფეთა. მან ტალახიანი ხელები ზურგს უკან დამალა.

- რატომ შეწუხდით...
- არ მოესულეყავი?
- დაიღლებით.
- ლადოს გაეღიმა.
- რა დამღლის?
- შეუჩვეველი ხართ, და...
- თქვენი ნახვა მინდოდა.
- ჩემი?

ქეთუ გაწითლდა. სათლი აიღო და გაპაპირა კვალზე გავიდა. აქედან მათ ლაპარაკს სხვა ვერ გაიგონებდა.

მერმე ქეთუს პაპა ჯანყვათი მოვიდა.

ამაყად ჩამოართვა ლადოს დახეთქილი, ხაოიანი მარჯვენა.

— უნდა დაველოცო, ბატონო, — თქვა დედაკაცური ხმით და ჰიქა შეუვსო.

ბაბა ჯანყვით ნასვამი იყო. სქელი, თეთრი წარბებით გადმოხურული წვრილი თვალები ამღვრეული ჰქონდა, გრძელი ულვაშები აპბურდვოდა.

— ნუკი შეაწუხებ სტუმარს, — გაუბედა ქეთუმ.

— ჰე! არყით ვინ წუხდება, დინა? — ჩაეცინა ბაბას.

— მოსაელის ბარაქა ნუ მოგაკლოთ, — დაილოცა ლადომ.

— ო, მასთე!

ჯანყვითა ჰიქა გამოართვა და ოდნავი ბარბადით წაეღო. ლადო ფიწალს დასწვდა. უნდოდა მარჯვედ ეხმარა, მაამოლებაზე მიწაში არცერთ კარტოგრამ არ გამოუდიოდა. სხვები თუ ერთ ფილს არ ტოვებდნენ, თვითონ სამ-ოთხს ძლივს აგდებდა. შერცხვა, ეგონა ყველა მას უთვალთვალებდა.

— რალაც არ გამოდის...

— დაილაღეთ?

— კი არ დავილაღე, არ გამოდის.

— შეუჩვეველი ხარო, და...

— შევეჩვევი.

— ტარს მუხლითაც მიაწეკით, — ურჩია ქეთუმ.

ეს მართლაც აადვილებდა საქმეს.

ქეთუს ეცვა უბრალო შალის, კარგად მორგებული კაბა. ყოველ ჩახრისას, ან წამომართვისას, ტანის სისაფე და მოქნილობა ისე ცხადად ემჩნეოდა, რომ ლადოს უნებლიედ ჟრუანტელი უვლიდა.

ყველანი თავუღებლივ მუშაობდნენ. ისმოდა მხოლოდ კარტოფილის ბრაგუნნი ცარიელი სათლების ფსკერზე.

— ქეთუ!

— ბატონო.

— მოდი თქვენობით ნულარ ვილაპარაკებო, კარგი?

ქეთუ უცებ ვერ მიხვდა, მერმე გაიღმა. ღიმილი საოცარ შუქს ჰფენდა სახეზე.

— ჰა?

— როგორც გინდოდა, ჩემი მუხლიც თქვა ქეთუმ.

— არა, ეგრე ნუ.

— როგორც გინდოდეს, — დარცხვენით გაიმეორა ქეთუმ და გაწითლდა.

ბაბა ჯანყვით ისევე მოვიდა. კლდისფერი ფაყუ კეფამდე ჰქონდა გადაწეული და შუბლის ზემოთ თეთრი ღიმილი მოუჩანდა.

— გებრელის ძალა შეგვეწიოს, ერთიც დაგვილიე, ბატონო!

მის წვრილ, ქალურ ხმაში ბრძანება უფრო ისმოდა, ვიდრე თხოვნა. ლადოს ამისთვის არ მიუქცევია ყურადღება, სიამოვნებით მოიყურდა ჰიქა.

— ახლა დაისვენე, ბატონო, სტუმარი ბრძანდები!

— იმუშაოს, არ აწყენს, — ჩაიხითხითა მომიჯნავე ქალმა.

— ჩაქუც ზურალ,<sup>1</sup> სირცხვილია, — უქიმუნჯა მეორემ.

— ოხ, რა ეთქვი სასირცხო?

— ნუ მიეღებ-მოეღები, მარგალიტა! მკვახედ შეუტია ქეთუმ.

— ჰო, ჰო, გაუნდა მფარველი! — დაცინებით თქვა მარგალიტამ, — ზედმეტი არ მოგივიდეს, დინა!

მარგალიტა ჩოფეს ნათესავი იყო.

— აბა, მოეშვით სისულელეს! — დაიძახა თემრაზმა, — თუ მუშაობთ, იმუშავეთ!

ყველამ ხმა გაკმინდა და საქმე განაგრძო.

— არ გეწყინოს, — ჩაიჩურჩულა ქეთუმ, — ასე იცინა.

— არ მწყინს, — აგდებულად თქვა ლადომ.

— გამიმწარეს სიცოცხლე, — ჩაეარდნილი ხმით თქვა ქეთუმ.

— ნუ მიაქცევ ყურადღებას.

— როდემდე? როდემდე?

— ქეთუ... ვიყოთ შეგობრები... კარგი?

ქეთუმ სევდიანად გაუღიმა. ლადოს უსასრულოდ იზიდავდა ქეთუ, ამ წუთში სხვას ველარაფერს გრძნობდა.

<sup>1</sup> გაჩუმილი, ქალო.

— ნეტა მოვედებოდე, — წყნარად თქვა ქეთემ.

— რას ამბობ!

— ლაღო გაჩერდა. ქეთუს მშვიდი, ნაღვლიანი სახე ჰქონდა.

— მოვისვენებ და ის იქნება.

— ნუ ამბობ მაგას, ვთხოვ.

— ეკ...

— სად არის ახლა?

ქეთემ ტუჩები მოკუმდა, რომ ტირილი შეეკავებინა.

— მოუსვლელში.

— ნახულობ?

— ვემალები. ნუ ვილაპარაკებთ.

— უსიტყვოდ განაგრძეს საქმე. ბოლო კვლები გაჰქონდათ, როცა მოსახვევიდან ტენტთან „კოლხონი“ გამოვარდა და ხრიალით გაჩერდა ყორესთან. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გადმოვიდა, ზელში ფინაგენტის ჩანთა ეჭირა. უკან ფრანცუზი მოჰყვებოდა.

თავმჯდომარეს წითელი უღვაშები ჰქონდა, მოთეთრო ბუკლეს ქუდი ცხვირამდე ჩამოეფხატა. ხაკის „გალიფეზე“ დაგარმონებული „აზიაცები“ ეცვა.

— ეი, კაცო, მასწავლებლებიც შეწუხდით? — გაიკვირვა მან.

— ჩვენ რა ვართ, ვითომ? — თქვა თემარაშმა.

თავმჯდომარე ქეთუს მიუბრუნდა:

— ჰა, ქეთუ, უკაცო ოჯახს არ გვეზმარებო, ხომ დაგასიე მთელი სოფელი? რა გინდა მეტი?

— უკაცო რას მიქვია, სი მარე! მე არაფრად მავდებთ, თუ! — იწყინა ბაბა ჯანყვათმა.

— მოხუცი ხარ, ბაბა, — მოუბოდიშა თავმჯდომარემ.

— მოხუციო? გადაამაგდეთ აბა. რით მჯობია შენისთანები?

ბაბა ჯანყვათ მთვრალი იყო, გოროზად, ამპარტაველად იყურებოდა.

— კაი, ბაბა, კაი, — დაუყვავა თავმჯდომარემ.

— ო, ბაბა, — დაუძახა ფრანცუზმა,

— თითო „ქალახში“ არ მოგვიხდებოდა?

არყის ხსენებაზე ბაბას სხე მძვინვარეობდა.

— „ქალახში“ — კი!

— აბა ჰა, მორჩით და ვეწიოთ საქმეს! — შემოუძახა თავმჯდომარემ მომუშავეებს.

შეზინდებული იყო, როცა ამოღება გაათავეს. კარტოფილი ტომრებში ჩაყარეს და მარხილებზე დაუდეს. სოფელში სამეზობლო ვალი მოიხადა. გზაზე ლანდებივით ჩანდნენ მხარზე თოფივით ფიწალგანდებული ქალები.

ბაბა ჯანყვათ ჰინჯართან იდგა და მამითაღს თავდაბლად ეპატიებოდა. თავმჯდომარე, ფრანცუზი და სხვები უკვე აღიოდნენ სახლის კიბეზე. ვაშშმის მოლოდინში ყველას კბილები უკაწკაწებდა.

სტუმრები გრძელ მაგიდას შემოუსხდნენ. ქუდები ზედვე ეხურათ. ქორებივით უყურებდნენ სუფრას, რომელზედაც უწესრიგოდ დაეხევაებინათ სვანური „კუბდარ“—პურში ჩაცხობილი ნივრით შენელებული ხორცი, „ჰინჯარ“ — ყველიანი მჭადები, შემწვარი კარტოფილი, მრგვალად მოხარშული დედალი და ძროხის ხორცის ქონმოღებული, ბელტებივით ნაჭრები. ჩვილი სულგუნდიდან რძე მოწვეთავდა.

ქეთუს გამზრდელმა, გაღვულმა, შაოსანმა ნინომ, არყით საესე ბოთლებიც შემოიტანა.

— აბა ახლა აღარაფერი გვაკლია! — წამოიძახა თავმჯდომარემ.

ბაბა ჯანყვათ ჩაწითლებულ, მღვრიე თვლებს ძლივსდა ახელდა. საბოლოოდ მოერიდა თრობა, მაგრამ მაინც იძალა, ბორძიკით ადგა, ჰიქა აიღო.

— სანამ ცოცხალი ვარ. ამ ოჯახში პირველ ჰიქას სხვა ვერავინ დაუღეს! ხოშა ღერბეთ იყოს ჩვენი მფარველი!

სახეზე მთვრალი კაცის იერი გაუქრა, მბრძანებლური, შეუვალი იერი დაედო და წერილ, დედაკაცურ ხმაში უჩვეულო ფოლადი გაერიო. სხეებმა ჰაბა და ხორხოცი შეწყვიტეს, სმენად იქცნენ.

— ეე, ჩემი მურზა მყოლოდა აქ, ასე არ ვიქნებოდი, მარა...

ბაბა ჯანყვათს თვალები კედლისკენ წაუფიქრა. კედელზე ქეთუს დედისა და მამის ხისჩარჩოიანი სურათები ეკიდა. ისინი ახალგაზრდები იყვნენ და გაკვირვებულნი მხერით გადმოსტეპროდნენ მოქვიფიებს.

ბაბა ჯანყვათმა უნებლიე ცრემლი ხელის ზურგით ამომშრალა და ჭიქა მოიყუდა. არაყი ნიკაპზე ეწვეთებოდა და გულსპირში ჩასდიოდა. ქეთუ მივიდა, დაუცლელი ჭიქა გამოართვა, ძალით დასვა სკამზე.

— ო, ბაბაშ ლაღელ ეჩქამ! — თქვა ჯანყვათმა, მოუხერხებლად მიეტანა ქეთუს და შუბლზე აკოცა. მერმე ისევ წამოიწია:

— ო, თემრაზ, ჩოფე არ გამოჩნდა და... მიშგე ლაღელ სი, არაყი დაგვალევინე, მარე.

თემრაზს პატივი არ დაუწყია, ჭიქა შეავსო და ოჯახი აღდგერძელა. ყველამ ხარბად დალია, მერმე ისევ საკმელს დაეძგერნენ. მაღიანად იტენიდნენ თხელ პურებს ხახაში, ძროხის ცივი ქონით გააოხილ თითებს წრუბუნით ილოკავდნენ და მწყურვალეობით ხერხებდნენ არაყს. ქეთუ ვერ ასდიოდა საესე ბოთლების შემოტანას.

დალილებსა და მშიერებს არაყი მალე მოეკიდათ. გადაიფიყეს ლადოც რომ მათ შორის იყო და სევანურად აყაყანდნენ. ლადო დამაბული ისმენდა, მაგრამ არაფერი ესმოდა.

— რას ამბობენ? — შეეკითხა ფრანცუზს.

ფრანცუზმა კმაყოფილებით გაიციინა, ნაჭრილობევი სახე მოებრცია.

— უნდა ისწავლო სევანური.

— ჰო.

— ხო-ხო, რა იყო იმ დღეს! — უთხრა ფრანცუზმა, — გახსოვს?

— რომელ დღეს?

— მაინც მალადეც, შენ, სხვა მაგდენზეც ვერ ასწევდა.

— მომეშვი, თუ კაცია...<sup>1</sup>

— არაყია ჩვენი გართობაცა და შეჯიბრიც. — თქვა თემრაზმა, — ხანდახან ჩემი თავი მეზარება.

— თქვენ მე გადამრევთ დღეს, — თქვა ლადომ.

— ქეთუ! —

— დაიძახა თემრაზმა.

ქეთუ მაშინვე მოვიდა.

— დაეჭვი აქ, — უთხრა თემრაზმა და ლადოს გვერდით სკამი გამოსწია. ქეთუ მორჩილად დაჯდა. „ოღონდ ჩოფე არ მოვიდეს“, — ნატრობდა იგი, — „ოღონდ არ მოვიდეს“.

ლადოს საშინლად იზიდავდა ქეთუმისი თვინიერი, ლურჯი თვალები შეუცნობელი, მწვავე ნეტარებისაკენ ეწეოდნენ.

ქეთუ: ნუ მიყურებ ვერე.

ლადო: არ გიყურო?

ქეთუ: შეგამჩნევინე...

ლადო: რაღაც საოცრად ვარ, ქეთუ...

ქეთუ: ცუდად?

ლადო: არ ვიცი... არაფერი არ ვიცი...

ქეთუ არ იყო გამოშვები, მაგრამ ლადოს მაინც თავგზა ებნეოდა.

სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოწყვა, უთავბოლო ყაყანმა იმატა. ბაბა ჯანყვათს თავი მკლავებზე ჩამოედო და ეძინა.

— სმაში თუ მაგრად არ გვამე, ხელ აღ ვთვრები, — იძახდა თავმჯდომარე.

— მეც, კაცო! — ასიამოვნა ვილაცამ.

— თუ სმაა, სმა იყოს, თორემ მოცლილი კი არ ვარ მე! — სლოკინით ამბობდა უღვაშა აზარეთ.

— ე, არაყი აღარ გვაქვს და რას დალევე? — ხითხითებდა ამოურზა — ბრიგადირი. იგი მონდომებით ნთქავდა, რაც ხელში მოხვდებოდა, განუყრელი კრაველის ბოხობი ეხურა და ლადოს ეგონა — გამოწეული ფართო ყურები რომ არა, ბოხობი ნიკაპამდე ჩამოეფხატებოდა.

ქეთუ წამოხტა და არყის მოსატანად გაიქცა.

<sup>1</sup> ბაბას ლაღელ ეჩქამ — ბაბუას ღლე შეგვაბატოს.



თემრაზ ნაღვლიანი ღიმილით ათვალიერებდა სუფრის წვერებს. აივნის იატაკი მძიმე ნაბიჯებმა ააქრაქუნა, ოთახში ვეება სილუეტი შემოეყუდა, ხელი ასწია და ჩაიბუხუნა:

— კამპანიას გულმარჯოს!

ჩოფე სიმთვრალისგან ძლივს იდგა ფეხზე. მაგიდას კედელკედელ მიუახლოვდა. საკინძე გადაედგა, ჩექმები უსაშველოდ ამოეთუთხნა ტალახში. ქული არ ესურა და კინკრახოზე თმები მამლის ბოლოსავით ჰქონდა აბრეხილი. სათითაოდ დაუარა სუფრის წვერებს, ცდილობდა თავი შეეკავებინა, მაინც ბარბაცებდა.

თავმჯდომარეს ჯარისკაცივით გამოეჭიმა და ხელი აუღო.

— ზდრასტი, დედუშეა, — ჩასძახა მძინარე ბაბა ჯანყვასთ.

— ბრიგადირს ვახლავარ! — მხარზე მოუტყაპუნა თათი ამფურხას.

— კაც პაეივამ, შევარდენ, — წაუთაქა ფრანცუზს.

კედელზე აკრულ ქეთუს ცერად გადაჰხედა, მერმე თემრაზს და ლადოს მიუბრუნდა.

— ოპა, უჩიტლებს ხოჩა ნებოზ, უჩიტლებს!

— დაჭეი, თუ ჯდები! — მოუთმენლად უთხრა თავმჯდომარემ.

— საღ დალიე, ბიჭო? — ჰკითხა ათმერზამ.

— პირში — ხახა დაალო და თითი შეიტაკა.

პასუხი თვითონვე მოეწონა და ახარხარდა. ლადოს გვერდით, ქეთუს საკამზე დაჯდა, მაშინვე ძვლიანი ხორცი აიღო და წვეტიანი კბილებით ხვრა დაუწყაო. მერმე, მუჭლუგუნით მოახედა ლადო.

— შენ თბილისიდან ხარ, მაღია?<sup>1</sup>

— გახლავართ, — თქვა ლადომ.

— ვყოფილვარ, ორთაქალაში ვცხოვრობდი; მერე ჯარში წავედი. ჰე, მაგრათ ვიყავი იქ, მაგრათ...

— იქნებოდი, — თქვა ლადომ.

თემრაზმა ფრთხილად გადაინახა მისი თვალები და მისი ხელი დაინახა.

— ვიში უჩენნი ზავედენი რე? — თქვა ჩოფემ.

— დი—ახ.

— კაარგი. რატომ მომპარე მოტოციკლი? ჰა?

— არ მომიპარავს, — მშვიდად თქვა ლადომ, — წავიყვანე.

— კაარგი.

ჩოფემ გამოხრული ძვალი იატაკზე ისროლა, ამღვრეული, გამორტტებული მხერა მიაპყრო ლადოს.

— რა გიყო ახლა მე შენ? ჰა? რა გიყო?

ლადომ ცარიელი ბოთლი აიღო, ხელში შეატრიალა.

— თავს გაგიხეოქავ! — გამოსცრა ჩუმად.

თემრაზ სწრაფად წამოდგა.

— შემოსწრებულს წყვილი ჰქია! — დაიძახა და სასმისები მიაწოდა. ჩოფემ რაღაცა ამოჩამუვლა და სვენებ-სვენებით მოიყუდა.

სუფრა აოხრებულ ბრძოლის ველს ჰგავდა.

თემრაზ: ლადო, ჰქვიანად!

ლადო: მაშ, წესი — წესია, არა?

თემრაზ: ნუ გაერევი მაგ საქმეში.

ლადო: არ იცი შენ.

თემრაზ: კარგად ვიცი.

ჩოფემ გამოცილილი ჰიქები ჰახუნით დადგა მაგიდაზე. — კიდევ დავლევ, თუ გინდათ! — თქვა უმისამართოდ და თავი მკერდზე დაუვარდა.

ფრანცუზმა ნიდაყვი წაჰკრა ლადოს და კედელზე უმწეოდ აკრულ ქეთუზე ანიშნა:

— ძან გოგოა, ა?

— მერე, შენ რა?

— მაგისტანას არც თბილისში დაიწუნებენ.

ლადომ ხელი გაავლო.

— რის თქმა გინდა?

ქეთუ მომუდარე თვალებით ანიშნებდა რაღაცას. ლადოს ბავშვივით აუჩვილდა გული. იგარძნო, თუ სასწრაფოდ არ გაეცლებოდა აქაურობას, რაღაც საშინელს ჩაიდენდა. ფრანცუზს ხელი უშვა,

<sup>1</sup> კარგი სიღამო.  
<sup>2</sup> ხომ კი?

ადგა, კარისკენ გაემართა. თემრანმა დაუძახა, მაგრამ არ მიპხედა.

ცივი, ნისლიანი ღამე იყო. ლადომ განურებული სახე აივანის ბოძს მიადო. ოთახიდან ქაოტური ხმები ისმოდა. მერმე, სიმღერა წამოიწყეს:

ბუბა, ბუბა ქაქუჩელა, ბუბა ქაქუჩელა,  
ბუბას პარყილ ხაქუჩელა, ბუბა ქაქუჩელა.<sup>1</sup>

ლადომ უინიანად გადააქნია თავი, ამფორიაქებელი, გამაწვალებელი სურვილი ვერ დათრგუნა.

— ქეთუ!.. ქეთუ!.. ქეთუ!.. — მხუროდა შინაგანი ხმა.

ბუბას გვა ხაქუჩელა, ბუბა ქაქუჩელა...<sup>2</sup>  
დამწყვები, მკახე ხმა ჩოფესი იყო. ლადომ ბოღმით გაახრკიალა კბილები. ეს ნოტიო, უსახური ნისლი... ეს უცხო ადამიანები...

— რა გავაკეთო? რა გავაკეთო? — აღმოხდა კენესით.

ბეჭებზე ხელების შეხება იგრძნო, კუნთები შეეკრა, ჯიქურ მოტრიალდა.

— ლადო...

შეებით ამოიოხრა და მოდუნდა. ვერ არჩევდა მის სახეს, ხედავდა მხოლოდ სითერეს, — უსაზღვროდ, დაუოკებლად მიმზიდველ სითეთრეს.

— აღარ შემოიძლია, ქეთუ.

— ლადო... რა მოგივიდა, ლადო...

გამშრალი ტუჩები ძლივს მოძრაობდნენ. ქეთუ თრთოდა.

— ქეთუ...

— წამოდი, შევიდეთ.

— ქეთუ...

— ნუ დამლუბავ, ლადო...

ლადომ თმებზე დაადო სახე. ორივენი გაბრუდნენ. უცებ, ქეთუ გონს მოეგო, დაუსტლტა მკლავებიდან. ლადომ თვალები დახუჭა. უსამველოდ დაქანტული და მოთენთილი იყო.

#### თავი მეთექვსმე

რუხი, წყლიანი ღრუბლები უძრავად დალაგდა მთებზე. ნისლიდან ცალი თვა-

ლით გამოდრეწული მზე ქაქუჩას მკვებებად უშვებდა მცხუნერებულ კლტოებს სხივებს. სოფელი საშემოდგომო საქმეს მორჩა: თივა დააბინავეს, სიმინდი მოტეხეს, კარტოფილი ამოიღეს და მთაში საიალოოდ გადაწილი პირუტყვი ჩამორეკეს. ბოსლები ბზერებული ფუნით გამოგლისეს ზამთარში საქონლის დასათბუნებლად თადარიგიან ოჯახებს შეშაც მომარაგებელი ჰქონდათ, ზოგი კი — ახლა ეზიდებოდა. ტალახიან, ვიწრო შარახე ხშირად ჩანდა დატვირთული, ხრჭილით მიმავალი მარბილები, ნაოფლარ ხარებს ორთქლი ასდიოდათ...

დროის შეგრძნება დაიკარგა. უფერული, მსგავსი დღეები ზღაზვნით მიჰყვებოდა ერთმანეთს. ამის ატანა, ბოლოს, შეუძლებელი გახდა და ლადო მზად იყო გავარდნილიყო წვიმაში, ერბინა, ეყვირა, ან უშბის ჩაღამებულ პიტალოებს ფრჩხილებით დაბლაუჭებოდა, ოღონდ ასეთი ერთფეროვნება ნუ გამოუხრავდა სულს. სკოლაში ჩვიდმეტსაათიანი დატვირთვა ჰქონდა, თავისუფალი დრო ბევრი რჩებოდა. განუწყვეტელი კითხვა ისევე გამაზებურებელი იყო, როგორც უსასარულო წვიმები და ნისლიანობა. ღამე ცუდად ექინა. ხშირად ეზმანებოდა თბილისი და მზე. მერმე თვალს ვეღარ ხუჭავდა. დგებოდა და დაყიალობდა ცივ ნისლში გახვეულ აივანზე. იდგა შემზარავი, ქრუანტელის მომგვრელი სიჩქმე.

მამისაგანაც, დიდი ხანი იყო, არაფერი იცოდა. ამან მთლად დაუკარგა მოსვენება. ერთ დღეს მან და თემრანმა, ფოსტაში შეიარეს. თბილისში მეზობელს ტელეფონი ჰქონდა. ხაზი დაზიანებული აღმოჩნდა.

— ჯანდაბა მაგათ თავს! — თქვა ლადომ.

— აღადგენენ კვირისათვის, — ანუგეშა თემრანმა.

ისინი აივანის მოაჯირზე ისხდნენ და უკაცრიელ შარას უყურებდნენ. მზე ანათებდა, მაგრამ არ ათბობდა.

— გაცვეთილები რომ არ მქონდეს,

1. ბიბა, ბიბა, ქაქუჩელა, ბიბა ქაქუჩელა,

ბიბას არაყი მოუნდა, ბიბა ქაქუჩელა.

2. ბიბას ბიკოლა მოუნდა, ბიბა ქაქუჩელა.

მესტიიდან დავრეკავდი, — თქვა ლადომ.

— რებეტიცია ჩამეშლება, თორემ მეც წამოგყვებოდი. გაჩუმდნენ.

— რას შერება თქვენი გუნდი? თემრახს სიამოვნებდა გუნდზე ლაპარაკი.

— ძალიან მოინდომეს ბავშვებმა.

— რა ვქნა, წავიდე მესტიაში? —

— ნუ ლეღავ, — უთხრა თემრახმა, — არ შეგფერის.

მოულოდნელად გზაზე ქეთუ გამოჩნდა. მსუბუქი ნაბიჯით მოდიოდა, თითქო ფეხის წვერებზე დგებოდა. ლადო მიწაზე ჩაბტა.

— მესტიაში მივდივარ, — თქვა ქეთუ. — სალაპის მაგივრად, — კულტურის განყოფილებიდან დაურეკიათ.

ლადო დაფიქრდა. ყოყმანობდა, რალაც ვერ გადაეწყვიტა.

თემრახ ჩასცქეროდა გახეთს, თან ცალი თვალი მათკენ ეჭირა.

— მეც მინდა მესტიაში, — თქვა ბოლოს ლადომ, — უნდა დავრეკო მამასთან.

— აქედანაც შეიძლება.

— ხაზია დაზიანებული, — თქვა ლადომ და უცბად გადაწყვიტა: — წამოვალ, რაც იქნება-იქნება!

თემრახმა ნელა ასწია თავი.

— გაკვეთილებს რას უპირებ?

— სხვა შეაგზავნონ, მერე ავანაზღაურებ.

— ნუ წამოხვალ, ლადო, — თქვა ქეთუ და თემრახს გადახედა — თითქო შველას მისგან ელისო.

— ფული წაიღე, — უთხრა თემრახმა ლადოს, — დაგპირდება.

ძველი, სახელოებგაცვეთილი პიჯაკის ჯიბიდან ოცდახუთიანები ამოიღო და გაუწოდა. ლადომ ჩამოართვა, მერემე ქეთუს მიუბრუნდა, მკლავზე შეეხო.

— ნულარ ვაგვიანებთ.

ქეთუ გაუბედავი ნაბიჯებით მივიდა თემრახმა, დაქმუქნული შლიანა მოიხადა და კარგა ხანს უყურებდა მათ. ნაღვლიან თვალებში კეთილი ღიმილი ჩაუღდა.

ლადო და ქეთუ უხმოდ მიდიოდნენ. ქეთუს ბოჭყავდა აზრი, — დავინახებოდა და კორები მოედება სოფელსო. საბედნიეროდ, გზაზე არავინ ჩანდა. არც კოლექტივის კანტორისა და საავადმყოფოს წინ იდგა ვინმე. ფიცრული დუქნის ვიტრინიდან გამზდარი, მოწყენილი გოგონა იყურებოდა — ეს იყო და ეს. მზე ანათებდა, მაგრამ არ ათბობდა, ამიტომ გარეთ ყოფნა არავის უნდოდა.

ლადოს ხელები ზურგსუკან ელაგა, მიდიოდა რწვევით, მძიმე ნაბიჯებით, ქეთუ ჩუმულად აპარებდა თვალს მისკენ და, თუმცა შიშისაგან ვერ განთავისუფლებულიყო, მაინც უხაროდა ერთად რომ იყვნენ. ლადოს აუმღერეველი სიმშვიდე უნებლიედ მასზედაც ახდენდა გავლენას.

მანქანამ ჩქარა გამოიარა. ზუგდიდიდან რალაც ყუთები მოჰქონდა. დამტვერილმა შოფერმა ძარავის თუბთუბში ძლივს გააგონა ქეთუს და ლადოს:

— დაჭდებით?

— წავყვით, წავყვით, — აჩქარდა ქეთუ.

ლადო სწრაფად აბტა ძარახე. სანამ ქეთუ მოისაზრებდა, როგორ ასულიყო. მკლავებში ჩაეკიდა და მსუბუქად აიყვანა. მანქანა ყმუილით შეჰყვა აღმართს. მთელი ბეჩო სადღაც, ღარტაფში ჩაიკარგა. უშბას მხოლოდ მონისლული წვერი უჩანდა. ქვევით, უსამელოდ ქვევით, ვერცხლის ძაფით მიიკლანებოდა ენგური. გზა ტყეში შევიდა. ჩამოძარცულ ხეებს ტრიალ-ტრიალით სცვიოდა წითელ-ყვითელი ფოთლები.

ცივი, მშრალი ქარი სახეში სცემდათ. ღრუბლებიდან გამოლწეული მზის სხივები ქეთუს სახეზე მიეფინა და ოქროსფერ, დატალღულ თმებში ჩაეხლართა, ლადომ ნიკაპქემზე ხელი ამოსდო, თვალეზში ჩააქცერდა. ქეთუმ თავი და-



ხარა. გაუბედავად მივხვტა მკერდზე. მანქანა ჯაყჯაყებდა. ლადო ცდილობდა არ აპყოლოდა ნჯღრევას და ამ ბედნიერი წამების მომზიბლობა არ დაერღვია. ფრთხილად, მოკრძალებით შემოპხვია წელზე ხელი. სხეული მომადუნებელი ჩქროლვით აევსო...

გამოჩნდა ციციბოზე მოფენილი ლატალის სოფლები. დამრეცებს ობობას ქსელივით მოსდებოდა საცალფეხო ბილიყები.

შორს, შორს ბრწყინავდა კეკლუციო თეთნულდის სპეტაკი სილუეტი.

• • •

მანქანა სასტუმროს წინ გაჩერდა. ლადო ჩამოხტა, მერმე ქეთუს გაუწოდა ხელი. ქეთუ თამამად დაეყრდნო, თან აფრიალებული კაბის ჩასწორებას ცდილობდა და ხმამალა, გადამღებად იცინოდა. ლადომ შოფერს ფული მისცა, ქეთუს მკლავი გამოსდო და ასფალტმოგებული, ფართო ქუჩით წაიყვანა. ორივეს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მესტია სულ უცხო ადგილი იყო და მათი ურთიერთობით იქ არავინ დაინტერესდებოდა. ქეთუს ბედნიერი უღარდებლობა დაეფლა. ახლა ლადოს სიბლოვე კი არ ჰბოჭავდა, სიამაყეს უღვიძებდა. ამ წუთში მისთვის სულ ერთი იყო, რას იფიქრებდნენ, ან რას იტყვოდნენ სხვები.

მალალი, თეთრი კოსმეების ძირას აივნიანი საბლუბი იდგა. ნაძვნიანი სკვერში ლენინის ვერცხლისფერი მონუმენტი ჩანდა. მოულოდნელად, თვითმფრინავი ამოცურდა ახლად ჩამოთოვლილი ქედების კლდოვანი ორწოხებიდან. მისმა ვეება ჩრდილმა სწრაფად გადაიბრინა ასფალტზე და მდინარის გაღმა, აეროდრომთან გაქრა. უცნაური პარმონით იყო აქ შერწყმული დღეისდღე და საუკუნეთა მიღმური სიძველე.

ქუჩის კუთხესთან ვახეთების ჯიხური იდგა. მინები უცხოური და საბჭოთა ქურჩალების წითელ-ყვითელი თავფუ-

რცლებით იყო შემოჩითუფუფუფუფუფური „ფილის“ ყდაზე, ჰაერბრუნებელი ბაწმეური გულუბრყვილობით იცინოდა. ლადომ ქეთუს მიაბგვანა.

— ეს ქურჩალი მომეცით.

გამყიდველი ქალი აგურივით სქელ წიგნს კითხულობდა.

— ესა? არ იყიდება.

— აბა აქ რატომ გიღევს?

— კაი ხასიათზე მიაყენებს, — თქვა ქალმა.

— ჰოო, ჩაეღმა ლადოს, — გასაგებია.

მოედანი გადაჭრეს და ფოსტისკენ წავიდნენ. სადალაქოსთან ახალგაზრდები მოგროვილიყვნენ. სვანური ფაყუს ნაცვლად, მოთეთრო ბუკლეს „სტილინი“ ქუდები ეხურათ. ზოგს ჩინური, ლურჯი „მაკენტოში“ ეცვა. მათს მიზერაპოხვრამი, ლაბარაყის კილოში იგრძნობოდა სურვილი თბილისელ „გამოსულ“ ბიჭებთან დამგვანებისა. ქეთუ რომ უცხოსთან დაინახეს, გაჩუმდნენ და მოურიდებელი მზერა ადევნეს. ლადო უზრუნველად მიალაგებდა. მისი დაღურსმული, უხეში ფეხსაცმელები ასფალტზე ფხაჭუნა ხმებს გამოსცემდა.

ფოსტაში არავინ იყო, ტელეგრაფისტი გოგონა ჩინისფერი მინის იქით იფდა და ცივად გაჰკოიდა:

— იფარი... იფარი, მიბჰსუტე!... იფარი... ფუჰ, დაგწყველოს ღმერთმა!...

გოგონამ ყურმილი დაავლო.

— რა ბრაზიანი ყოფილხართ, — გაეღმა ლადოს.

— ერთი საათია მაწვალებს, — ჩაიბუხლუნა გოგომ.

— თბილისთან ვერ დამალაპარაკებთ?

— ხაზია დაზიანებული. ექვსამდე არ იქნება.

— იყოს ექვსზე.

ლადომ ნომერი და გვარი ჩააწერინა. ისევე ქუჩაში გამოვიდნენ. სამი სრულდებოდა.

ახლა რა გავაკეთოთ?

— სამზე რაიკოში უნდა ვიყო, — აჩქარდა ქეთუ.





— მე ცოტას გავივლო, — თქვა ლადომ, — ექვსისთვის ფოსტაში მოვიცდით.

ქეთუ წავიდა მოქნილი ტანის ამაყი, დახვეწილი რხევით. სხეულზე გრძობდა ლადოს თვალების სათუთ, ვნებიან ალრსს და უხაროდა...

ლადომ ერთხანს უმიზნოდ იყილა ქუჩებში:

რესტორანის შესასვლელთან, ფრანცუხს მოჰკრა თვალი. მანაც დაინახა ლადო, ფართოდ გაიღიმა. გვერდის ავლა აღარ შეიძლებოდა.

— ზღრასტი! რავე ხარ? — მიესალმა ფრანცუხი.

— ისე.

— დაგინახეთ შენ და ქეთუ.

— მე? თვემჯდომარე ჩამოვიყვანე თათბირზე. რა იქნა ქეთუ?

— წამო, ლუდი დავლიოთ.

ფრანცუხმა მოწონებით წაუტყაბუნა მხარზე ხელი. ისე ეტყეოდა, თითქოს განუყრელი მეგობრები ყოფილიყვნენ. ლადო ცდილობდა არ გაღიზიანებულყო.

რესტორანში ამკავებული ქერის სუნი იდგა. უგემოვნოდ მოხატული კედლების თავზე პაპიროსის მოლურჯო ბოლი დაეკურავდა. ხმამაღალი ლაპარაკისაგან ყურთასმენა აღარ იყო. დაბლში, თაროებზე, შამპანურის, ლიქორისა და კონიაკის ცარიელი, დამტვერილი ბოთლები შემოეწყობო.

ლადომ ორი ტოლწა ლუდი დაასხმევინა და ფული დახლზე დადო, მაგრამ ვიღაც ლურჯლაბადიანმა, დაბალმა კაცმა აიღო და მიჯაქის ჯიბეში ჩაუჭურთა.

— უკვე გადახდილია, — თქვა მან, თან იღიმებოდა და ინტერესით ელოდა, თუ რას იტყოდა ლადო. ლადომ საესე ტოლწები დახლზე დადგა, უცნობი შეათვალა და რაკი დაწმუნდა — ეხუმრებოდნენ, თვითონაც გაიღიმა.

— ვერ მიცანი? — გაიკვირვა დაბალმა.

ლადოს ეცნობოდა ეს სტუდენტი პარსული, მსუქანი სახე, რომელზედაც საკუთარი ღირსების სრული შეგნება იხატებოდა, მაგრამ ვერ მოეგონებინა — საიდან.

ეს იყო ჰამლეტ ავალიანი, ლადოზე ორი წლით ადრე დაამთავრა ეურნალიტიკის განყოფილება. უნივერსიტეტის გახეთის აქტიურ თანამშრომლად ითვლებოდა, ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომებზეც ხშირად გამოდიოდა სიტყვით. საერთოდ, ძლიერ სტუდენტად მიაჩნდა.

— გიცანი, — თქვა ლადომ, — გამარჯობა.

— ეი, სი მარე, მოდი თორემ გამიზრაველი, — დაიძახა ფრანცუხმა.

თავისუფალ მავიდას შემოუხსდნენ. ფრანცუხმა თავისი ტოლწა აიღო, ხარბალ მოსვა.

— ჰუუჰ! — ამოიქმინა კმაყოფილებით.

ლუდი მართლაც კარგი იყო.

— შემოვედი, ვხედავ — ლადო იმევილი. აქ საიდან, კაცო? — შესძახა ჰამლეტმა.

— ბეროში ვარ, მასწავლებლად, — მიუგო ლადომ.

— რას მეუბნები!

— შენ?

— რავე, არ იცი?

— არა.

— ბიჭებმა მაინც არ გითბრეს?

— არ უთქვამთ, — ლადოს გაეღიმა.

— მე, ძამა, თბილისში მოვეყურდი.

„საქართველოს კოლმეურნი“ გაგიგონია? რედაქციაში, ლიტმუშაკად.

ფრანცუხმა გონებაში გაიმეორა „მოვეყურდი“, უნდოდა დაეხსომებინა. მერმე ბიჭებში თავს მოიწონებდა. საერთოდაც, სიამოვნებდა, რომ „შეგნებულ და ნასწავლ“ ხალხში ჰქონდა საქმე. ცალი თვალი კარებისკენ ეჭირა, — იქნებ ვინმე ნაცნობმა დამინახოსო.

— კმაყოფილი ხარ? — ჰკითხა ლადომ.

— მართალი გითხრა, ავტორიტეტით ქსარგებლობ.

— კარგია, სხვა?

— სხვა... ვარ ნელნელა. ცოლი შევირთე.

— მოგისწრია.

— კი, კაცო, — ჰამლეტმა სიამოვნებით ჩაიკინა.

— ლექსებს ისევე წერ?

— წერ. ხანდახან, ჩვენ თურნალში მიბეჭდავენ. „ცისკარში“ გავგზავნე, მაგრამ რაღაც დააგვიანეს.

— აბა თბილისში მოყოლდომ უნდა შენ. აქეთ რამ გადმოგავდომ?

— ნათესავეს დასაფლავებაზე ჩამოვედი. თან ნარკვევის გაკეთებაც მინდა. აბა რა ვქნა, ცოტა ჰონორარიც თუ არ წავეურტყვი, მარტო ჯამაგირი რას მიეყოფა. ა, რას იტყვი?

— შენ იცი...

— შენ? ხარ და ხარ ბეჩოში? — დანტერესდა ჰამლეტი.

— ჰო, ვარ და ვარ.

— არ გამოგიჩნდა პატრონი, რომ თბილისში დარჩენილიყავი?

— არ გამომიჩნდა.

— ძნელი პროვინციაში ცხოვრება, — ამოიოხრა ჰამლეტმა, — მილიონი რომ მომეცენ, თბილისს ვერ მოვშორდები.

— არა, კაცო, ნუ მოშორდები.

— არ გავიშართლა შენ რაღაც, — თქვა ჰამლეტმა, — რატომ, მახსოვს, კაი სტუდენტი იყავი?

— არ მიმართლებს, ჩაეცინა ლაღოს, — არ მიმართლებს და... რა ვქნა?

— მგონი მოთხრობებსაც კი სწერდი, არა? თუ ის სხვა იყო?

— სხვა იქნებოდა.

— გულს ნუ გაიტეხ! — ანუ გემა ჰამლეტმა, — რა ვუყოთ!

— ვეცდები.

— ცხოვრება ბრძოლაა, — ხელი ასწია ჰამლეტმა, — უნდა იბრძოლო.

ფრანკული გამოცოცხლდა, რაკი ნაცნობი აზრი გაიფონა. მასაც უნდოდა ლა-

პარაკში ჩარევა, მაგრამ, ~~სწამდებოდა~~ — რის შინაარსი არ ესმოდნენ: ~~აქედან~~

— ცხოვრება კიბეა, ზოგი ადის, ზოგი — ჩამოდის! — განაცხადა დინჯად.

— ხო, აბა, — დაეთანხმა ლაღო; — ისე, ხანდახან გაიხედე, თავმჯდომარე არ გამოგვეპაროს.

ფრანკუსს ლაპარაკის საღერღელი აეშალა, გასვლა არც უფიქრია.

— სად წავიდა ქეთე? — ჰკითხა ლაღოს.

ლაღომ ტოლხა აიღო, ლუდი მოსვა.

— ქეთე რომელია? — დანტერესდა ჰამლეტი.

— არის ერთი, — თქვა ლაღომ პირქუშად.

— ქეთე უშხვანი. ბეჩოელია, სამკითხველოში მუშაობს. — დაახუსტა ფრანკუსმა.

— აა, უშხვანი? ვიცი, რავა არა. მაგისტანა ბუგერი არ დადის მესტიის რაიონში. ჩავრჩი თბილისში, თორემ...

— დანიშნულია, — თქვა ფრანკუსმა.

— ხო, რაღაც ხმები დადიოდა, — თქვა ჰამლეტმა, — არ მიყვებაო, თუ რაო?

ლაღომ დაცარიელებული ტოლჩები აიღო და ლუდის მოსატანად წავიდა, მაგრამ როგორც კი დაბრუნდა, ფრანკუსმა ისევე განაახლა.

— რა სათქმელია, მარა...

— სი მარე, შინაურები არ ვართ? — ჰამლეტი ახლოს მიუჩოჩდა.

— რვა წლის დანიშნულს ახლა ეუბნება: არ მიყვარხარ, არ წაგყვებიო.

— რას მელაპარაკები! — გაოცდა ჰამლეტი.

— ბოზის მეტი ვინ შობა ამას?

— ამბობენ რამეს? — ჰამლეტმა ფრანკუსის გაჩხილ ნიკაპთან მიიტანა ყურო.

ლაღომ ლუდი მოსვა. საშინლად მწარე ეჩვენა.

— სოხუმში სწავლობდა მაგი და ხომ იცი, იქ...

— ერთხელ თუ გაუგო გემო, მორჩა, ელარ გადაეჩვენა, — ჩაიხითხითა ჰამ-

ლექმა, მერმე ლადოს მიუბრუნდა. —  
ა, ბიჭო, ქალაქელები ყვარებია მაგას.

— ტყვილა უტრიალებს, — თქვა ფრანცუზმა, — ჩოფემ თუ გაიგო, ჰაყ! ლადომ ზიზლით მოქუტა თვალეპი.

— რას სულელობ, ბიჭო! ფრანცუზმა მაშინვე შეიცვალა კილო.

— გებუმრე, სი მარე. — შტერულად ხუმრობ!

ლადო ძლივს იკავებდა სურვილს, რომ მათთვის კისერში ჩაევლო ხელი და თავები ერთმანეთზე მიეჭახებინა.

— მე უნდა წავიდე, მეჩქარება, — თქვა, რაც შეიძლება, შშვიდად, — ნახვამდის!

სწრაფად გაშორდა იქაურობას. ქეთუ უკვე ფოსტაში იყო. მისი ცისფერი, ნლობითა და სიყვარულით საფხე თვალები იმდენ სიკეთესა და ბავშვურ უმწობას აშუქებდნენ, რომ ლადოს ეჭვები და გაბოროტება ერთბაშად გაულღვა.

— გაცდევინე? — უთხრა ფართული ალერსით.

— არა, — ვფიქრობდი ჩემთვის, ხელს არავინ მიშლიდა.

— რაზე ფიქრობდი?

— რა ვიცი... ყველაფერზე.

— მაინც?

— ყველაფერზე, ლადო.

— ჩემზეც?

ქეთუმ თავი დაუქნია და გაწითლდა. უხაროდა, რომ ფოსტაში არავინ იყო და მათ მოურიდებლად შეეძლოთ ერთმანეთთან ლაპარაკი.

ლადო სარკმელთან მივიდა.

— არ აღუდგენიათ, მაგ ოხრებს! — თქვა ტელეფონისტმა გოგომ.

— ეე, ვერ მითხარი კარგი ამბავი.

— რა ვქნა, გენაცვალე, ჩემზე რომ იყოს...

— დებეშის ბლანკი მაინც მომეცი. მელნით მოსერილ მაგიდასთან მივიდა და დაწერა: — „სასწრაფოდ შემატყობინე როგორ ხარ, ლადო“.

→ ასე მოკლედ? — გაუყვირდა ქეთუს.

— მამაჩემს არ უყვარს ზედმეტი ტყვები.

— არც დედას?

— არა მყავს. მამის მეტი არავინ არა მყავს. ისიც მასწავლებელია, მხოლოდ ჩემზე უკეთესი.

— ნეტაი მანახა, — თქვა ქეთუმ.

— ო, მკაცრია! გადმოგხედავს სათვალეების ზემოდან, თუ არ მოეწონე, პირდაპირ მოგახლის.

— უიმე, მაშინ ჯობია, არ ვნახო.

— შენ მოეწონები, — დაბეჭითებით თქვა ლადომ, — ნუ გეშინია.

ქეთუ სიამოვნებისაგან აილანძა.

ხამამლა ლაპარაკობდნენ და ტელეფონისტმა გოგომ კვიმარტი ინტერესით გამოყო სარკმლიდან ცხვირი. ლადომ დებეშა მიაგება.

— დღესეე იქ იქნება, — დააიძედა გოგომ, — თქვენ თბილისელი ხართ?

— აჭაური, ნახვამდის.

ისინი ქუჩაში გამოვიდნენ, რკინის მესერთან ბაღს შემოუარეს და ბეროსკენ მიმავალ შარას დაადგნენ.

— ვიაროთ, მანქანა გზაში დაგვეწევა ქეთუ უსიტყვოდ დაეთანხმა.

პატარა ბიჭები თხებსა და ძროხებს მიერეკებოდნენ, თან უღარდელად მღეროდნენ:

იმა მიე ხი, იმა დუშდულ, მიშვე ლადო სი?  
მიშვე მიე ხი, მიშვე დუშდულ, ისვე  
ნაცელ მი!

ტაქსმა „პობედამ“ ჩაიარა, გამაყრუებელი სიგნალი მისცა და ბიჭებმაც, ჯოხების ქნევით, პირუტყვი ტროტუარისკენ მიდნენ.

კარგა ხანს მიაბიჭებდნენ უხმოდ, ხელიხელჩაკიდებულნი. მათ გადაავიწყდათ, რომ ბეჩომდე ოცი კილომეტრი

1 ეისი შვე ხარ, ეისი შთვარე, შენ გენაცვალე?

შენი შვე ვარ, შენი შთვარე, შენი პირიმე!

იყო, მიდიოდნენ და, გარდა იმ ბედნიერებისა, რომელსაც ერთად სიარული ანიჭებდათ, არაფერს გრძნობდნენ. მალე ლენჯერში შევიდნენ. სოფელი ძალისთვის ეშვადებოდა, მაგრამ ლადოს მაინც ეჩვენებოდა, რომ საკმარისი იყო ერთი შეძახება და მასპინძლები ჩამოეფინებოდნენ კიბეებზე, თავს მდამბლად დახრიდნენ, მათ, ნეფე-პატარაძალივით, მწვანე ტოტების გვირაბში გაატარებდნენ და პირქუში, მაგარუბებიანი კაცები მჭებარი ხმით იმღერებდნენ მზის სადიდებელ უძველეს სიმღერებს...

— ქეთო, — თქვა ლადომ, — ღვთაებრივი ცოლ-ქმარი ვართ ჩვენ...

— ბნელა, ლადო, — თქვა ქეთომ, — გეშინია.

— ნუ გეშინია, ჩემთან არ უნდა გეშინოდეს.

— გული რაღაც ცუდს მეუბნება.

— ნუ ამბობ!

მკლავები მოჰხვია, ბავშვივით აიტატა და მძიმე ნაბიჯებით წავიდა.

— ჩემი ღვთაებრივი ცოლი!

ქეთო გაუბედავად მიეღობუნა ტუჩებით.

— შენთან ყველაფერი მეადვილება, ლადო. მაგარი ხარ და დიდი...

— ჰო და, აგრე!

— დამსვი, — დაიღვლები.

ღამის სიჩუმეში მანქანის ხმა შემოიქრა. გამოტყორცნილმა შუქის სვეტებმა ვეებერთელა მანძილი გადმოირბინა და მორტიტვლებული ვაკე გაანათა. მანქანა სწრაფად მოახლოვდა და გაჩერდა. „კოლხოზნიკი“ იყო.

— ოხო-ხო, თქვენ ხართ ეს? — იძახდა შოფერი, — კარგია, მიშვეა სველო! ლადომ მაშინვე იცნო ფრანცუზი. ქეთუმაც. უნებურად გადახედეს ერთმანეთს.

— ფეხით მიდიოდით, თუ რაფაა თქვენი საქმე?

— ჰო!

— კაია, კაი.

— წავიყვან? — მარტხაშენსკომ შშვიდად.

— თუ წამოხვალთ, კი! — ფრანცუზი ჩუმად ხითხითებდა.

ლადომ ქეთუს ჩაქლომა უშველა, მერმე თვითონაც ჩაქდა. წინა სავარძელში კოლმურწნობის თავმჯდომარე თვლებდა.

— მესტიდიდან მოდიხართ? — იკითხა

— ჰო.

— კარგია შეგხვდით, ახლა იქიდან სხვა მანქანა აღარ გამოვა.

— ჰო.

ლადოს ქეთუს ცხელი ხელი ეჭირა და ესიტყვოდ ეალერსებოდა. ბეჩომდე ხმა არ ამოუღიათ. სასადილოსთან თავმჯდომარემ მანქანა გააჩერებინა.

— მთელი ღღის მშვირი ვარ, შევიდეთ, რაღაცა შევეამოთ.

— მე წავალ, — თქვა ქეთომ.

— აიყვანე სახლამდე, — უთხრა თავმჯდომარემ ფრანცუზს.

ჩასვლისას ქეთომ მაგრად მოუჭირა ხელი ლადოს ხელს. მანქანა წავიდა, ლადო და თავმჯდომარე სასადილოში შევიდნენ. სიჩუმე და მყუდროება იყო. ცალთვალა მეზუფეტე მაშინვე მათთან გაჩნდა.

— ქორას ვენაცვალე, რას მერტყვი?

— გეშინია.

— ახლაც იქნება ყველაფერი.

ქორამ მოთეთრო ბუჯებს ქუდი მოიხადა, ხელი გადაისვა გამელოტებულ თავზე.

— ძაღლივით დავიღალე.

— ძნელია?

— რას იზამ.

ლადომ იცოდა, უმიზეზოდ არ ისხდნენ აქ და ფრთხილად იყო, ელოდა. თითო-ორთვალა ჭიქა რომ დალიეს, თავმჯდომარე მისკენ გადაიხარა, ხმადაბლა უთხრა:

— შენ მაგ გოგოსთან სერიოზულად, თუ... ა?

ლადო შეიწყობა.

— რომელ გოგოსთან?

— მოიცა ახლა, ნუ არტისტობ! შენ-  
თვის გელაპარაკები.

— რა გინდა, ეორა?

— რა მინდა და... თუ სერიოზულად  
ფიქრობ, გქონდეს ჩემი იმედი. თუ არა,  
და... მაშინ...

ლადომ გამომცდელად შეხედა. ეო-  
რას წითელი უღვაშები და ეშმაკურად  
წიშნირალი ჭროლა თვალები ჰქონდა.  
ლადომ გაიღიმა.

— მეტს არაფერს გეტყვი! — თქვა  
ეორამ.

ქიქები აიღეს და ერთმანეთს მიუქა-  
ხუნეს.

თავი მხვიდვი

1959 წლის 25 ნოემბერს კლუბში  
შედგება — დიდი კონცერტი — მოს-  
წაელეთა გუნდი შეასრულებს ჩვენ-  
ბურ სიმღერებს  
ხელმძღვანელი: მასწ. თეიმურაზ ჯაჭ-  
ვლიანი დასაწყისი 7 საათზე

აფიშა კოლმეურნეობის კანტორის  
აივანზე იყო გამოკრული. გლებები კის-  
რის ფხანითა და ჩამარცვლით კითხუ-  
ლობდნენ.

— დაუგიათ ფულის მახე!

— ფული აქეთ მომცენ, თუ წავედი...

— რა უნდა იყოს ჭყინტების სიმღე-  
რა?

— უარაყოდ სიმღერა ვინ გაიგონა!

— მუქთააო, ამბობენ.

— ჰეყ!

— თუ მუქთაა, მივიდეთ, რა გვენაღ-  
ვლება, — თქვა ბოლოს ერთმა. კაი გუ-  
ნებით დაიშალნენ.

ცალფეხა დარაჯმა კუქომ, საგანგე-  
ბოდ დაგავა კლუბის იატაკი და შეუღე-  
ბავ, რუხ კედლებზე, ფოსტაში ნათხო-  
ვარი წითელ-ყვითელი პლაკატები გამო-  
აგრა. დარბაზში ძელსკამები ერთმანე-  
თის მიყოლებით იყო ჩამწყრივებული.  
ოდნავ ამალეხულ სცენაზე, გაურკვე-  
ველი ფერის მოკლე, უხეში ფარდა ეკი-  
და. მოჩანდა კონცერტის მონაწილეთა

სწრაფად მოძრავი ფეხები და ისმობდა  
შეკავებული ხითხითი. პატარა დარბაზი  
მალე გაივსო. მოდიოდნენ მზარბეჭიანი  
გლებები, სხდებოდნენ, მერმე გახეთის  
ფარატიანაში დინჯად ახვეედნენ თუთუნს  
და ხევერიელად ამოვებდნენ. ეს ლო-  
დინს აადვილებდა. ზოგი მათგანი მშო-  
ბელი იყო და შეილის „წარმატების“  
ნახვა საკუთარი თვალით უნდოდა.

კუქო გალაჭული იდგა კარებში<sup>1</sup> და  
აბეზარ გოგო-პიქებს იგეროებდა. ისინი  
სახლიდან მოტანილი სკამებით ცდი-  
ლობდნენ დარბაზში შეძრომას. კუქოს  
ჯარისკაცის გამონაცვალი ხალათ-შარ-  
ვალი ეცვა, ყბებიც საგანგებოდ ჰქონ-  
და ჩამოპარსული და ძალიან უნდოდა  
სხვების ყურადღება მიექცია. შემომსვ-  
ლელებს აჩერებდა, დიდი ხნის უნახ-  
ვივით ეკითხებოდა:

— მაგვართ ხართ? მაგვართ?

— ო, კუქო...

— პოუ, რა იქნება!... — ჩურჩულებ-  
და საიდუმლო იერით.

თემრაზის და ლადოს დანახვაზე  
მთლად გაიბადრა, მოწიწებით ჩამოდგა  
გზიდან.

— დღეს უნდა მასახელო, კუქო. —  
უთხრა თემრაზმა.

— ო, მიშველ ლადელ სი!<sup>1</sup>

კუქოს გული აუჩვილდა, ხელები ფა-  
რთოდ გაშალა და კარებთან ატუზულ  
ბავშვებს შესასვლელი დაუცალა.

— ქანხადო, ქანხადო, ზოჩა ბოფშარ,<sup>2</sup>

— და ხის ფეხის კაკუნით სცენისაყენ  
წაჩლახუნდა. თემრაზიც უკვე სცენაზე  
იყო. მარტო დარჩენილმა ლადომ შემო-  
სულელებს დაუწყო თვალიერება.

გამოჩნდა საავადმყოფოს მთავარი  
ექიმი — გამხდარი, ოქროსკბილებიანი  
ცოლითურთ. მათ საკუთარი სკამები  
მოიტანეს და ყველაზე წინ დასხდნენ.  
ექიმს ორივე შეილი სამედიცინოზე  
ჰყავდა მოწყობილი და ამით მთელ სვა-  
ნეთში გაიგდო სახელი.

<sup>1</sup> როგორ ხართ? როგორ?  
<sup>2</sup> მოდიო, მოდიო, კარგო ბავშვებო...

საბჭოს თავმჯდომარემ ვეებერთელა ღიბით გაიკვლია გზა, ქშენით დაჭდა და სამი კაცის ადგილი დაიკავა.

ჟორას, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ბუჯკუს ქუდი დარდიმანდულად მოეგდო გვერდზე და ხმამაღლა ეხორხოცებოდა შალმობურულ ქალებს. ლადოს თვალი ჩაუკრა.

ჩვილბავშვიანი მასწავლებელიც მოვიდა. მიძინებული ბავშვი, მეტი ბარგივით, უხერხულად ეკირა, წოწოლა ქმარი მოჰყვებოდა, რომელიც მრისხანედ აბრიალებდა თვალებს.

სკოლის დირექტორმა ლადოს ჩაუარა, თავი ოდნავ დაუქნია და წინა რიგში, ექიმის გვერდით, დაჭდა.

დარბაზი ხმამაღლა, მოუთმენლად ზუზუნებდა. გოგო-ბიჭები პირდაპირ იატაკზე ისხდნენ და მწყობრად უკრავდნენ ტაშს, — დაიწყეთო. ამ დროს, ქეთუც გამოჩნდა. უკან ჩოფე მოსდევდა. მან მოურიდებლად წამოყარა ლადოს რიგიდან პატარა ბიჭები, დაჭდა და ქეთუც მოისვა. ქეთუც თავი ჩალუნა და აღარც აუხედაი ფარდის გადაწვევამდე. ჩოფე ფართოდ იღიმებოდა, მოთეთრო ზევითა ღრძილი უჩანდა და ლადოს გამომწვევად უყურებდა. ლადოს მშვიდი, დაყინებული მზერა ჰქონდა.

— კაი ბიჭი ხარ, შენ, კაი! — თქვა ჩოფემ.

— შენც!

— მეც? — ჩოფე იცინოდა, — მეც კაი ვარ?

ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყეს. გამოჩნდა დამფრთხალი კუპო, რომელიც ჩლაზუნით გაიქცა და რიგზე ჩამწკრივებული მოწაფეების ზურგებს ამოეფარა. კუქოს ძლიერი ბანი ჰქონდა და გუნდში მალულად ამღერებდნენ. დარბაზში სტენა და ხარხარი ატყდა.

— კუქოს გაუმარჯოს, კუქოს!

— გამოაჩინეთ, რას მალავთ!

სტენაზე მოწაფეებს საცქიელი წაუხდათ, სულელურად გაიჯგინდნენ. ბიჭებს ნათხოვარი ჩოხები ჩამოკიდულივით ედგათ ტანზე. გოგოებს ჩაფართხუნებული კაბების ქობა იატაკზე დასთრევე-

დათ... გამოჩნდა თემრას. ხმაური მიწყდა. თემრას გრძნობდა მღვდომარეობის კომიქურობას და ელიმებოდა. ჰრელი შარფის ცალი ბოლო მხარზე ჰქონდა გადაგდებული. მალაღ შეუბლზე ხელი გადაისვა და გაბზარული, მაგრამ მელერი ხმით გამოაცხადა:

— „ლილე“.

მერმე გუნდისკენ მიტრიალდა, თანქარი ასწია და ოდნავ დაიქნია.

ოო, ლილე, ოო...

წამოიწყო მალაღმა, მკაბე ხმამ. სხვებიც მიჰყვნენ. ხმები შეერწყა ერთმანეთს, გამოლიანდა, მალაღ აიწია. თანდათან გამოიკვეთა სიმღერის ძარღვი და რაღაც ძველისძველზე, დიდებულზე და ვაჟკაციურზე დაიწყო დინჯი, კეთილხმოვანი თხრობა...

ისევამი დიდაბიყო,  
ლილაბაი მილუდაი,  
ყოღვიო ლილე...

მირაქეზივით არილდნენ მალაღ-მალაღი, თეთრი კოშკები... ელეარე უშმა... ძვალმსხვილი, ცეცხლზე ალანძული სვანები ვეება უროებს უბაყუნებენ გრდემლებს... და, ყველგან მზე... ჩახჩახა, ცხელი მზე...

მომღერლები სკოლის მერხს არ ასცილებოდნენ, მაგრამ სისავსე წინაპართა ცხადდებოდა მათ ხმაში თუ მზერაში...

მიწყდა სიმღერა.

დარბაზი წამით სულგანაბელი იყო, მერმე ტაში მოვარდა. მომღერლებმა ერთმანეთს გადახედეს და გული მოიცეს. ტაშით გახარებულმა კუქომ ვეღარ მოითმინა, ზურგების უკან თავი ამოყო, მაგრამ მაშინვე დაქარჩეს და ისევ პატარა სკამზე დასვეს.

— „ბეთქილ“, — გამოაცხადა თემრასმა.

ეს იყო უძველესი ფერხული; მომღერლებმა მკლავები ერთმანეთს გადააქდვეს და ნული, დახვეწილი მოძრაობით შეკრეს წრე.

ბაილ ბეთქილ კუქორას მესყედლო,  
ბაილ ილბა ილბა ბაილ...

ბაილ ზე ლეზვერლი მელა-მეჯალ  
 ბაილ ილბა ილბა ბაილ...  
 მაყურებლები პირდაღებული შეს-  
 ცქეროდნენ. უკვირდათ, რომ ასე კარ-  
 ვად მღეროდნენ და „შეშპრობდნენ  
 ჭყინტები“. ლადო ფარულ სიამაყეს  
 კითხულობდა მათ თვალთა კილოებში  
 და აღტაცება თუ სიამაყე, უნებლიედ,  
 მასაც ედებოდა.

ბაილ ვიე ხავენოდ სამხორიშ ჭეხაშ  
 ბაილ ილბა ილბა ბაილ,  
 ბაილ სგავ ხოსიენა თვეთენა კვი-  
 როლს  
 ბაილ ილბა ილბა ბაილ...

— ქალ-ღმერთთან ნაწოლი იყო ბეთ-  
 ქილი!  
 — ქალ-ღმერთ დალს უყვარდა ბეთ-  
 ქილი!

— კოჭამდე ოქროს თმა ჰქონდა დალს  
 და ქვასავით მაგარი ძუძუები...

— ძნელია ღმერთის სიყვარული...

— ვოი, ბეთქილ... ვოი, ბეთქილ...

— უღალატა ბეთქილმა დალს, თამა-  
 რი შეუყვარდა — საკუთარი რძალი.

— ნუჯრის თვალები ჰქონდა თამარს,  
 მშვენიერი ნუჯრის თვალები...

— ძუძუებით იგრძნო დალს დალ-  
 მა!

— ვოი, ბეთქილ... ვოი, ბეთქილ...

— თეთრ ჭიხეს გაატყუებინა და  
 კლდეზე გადაჩეხა ბეთქილი!

— შური იძია დალმა... შური იძია!

— ვოი, საბრალ ბეთქილ, რატომ  
 უღალატე ღმერთ-ქალს?

— ვოი, საბრალ ბეთქილ, რატომ  
 უღალატე ღმერთ-ქალს?

მოწაფეებმა თავები ჩალუნეს და გაქ-  
 ვავდნენ. ლადოს უნდოდა დიდ ხანს  
 გაგრძელებულიყო ეს შინაგანი ხილვე-  
 ბით საესე წამები და სცენას სინანუ-  
 ლით გახედა. თემრაზ ელოდა ტაშის  
 დაცხრომას. კეთილად იღიმებოდა.  
 უეცრად, ლადომ იგრძნო, რომ ძალიან  
 უყვარდა იგი...

— „თამარ დედულა!“

სცენაზე ისევ აცეკვდნენ. მაწისა მოხ-  
 დენილად დაგოგმანებდა. იცოდა, კარ-  
 ვად გამოუდიოდა, საკუთარ თავს ესიყ-  
 ვარულებოდა და, თექვსმეტი წლის გო-

გონას აულაგმაგი სურვილით უნდოდა, ~~ქნდოდა~~  
 რომ ყველას, ყველას მოსწონებოდა...

— ხო-ხო, რა ყოფილა ეს თემრაზ!  
 — თქვა ვილაცამ.

— აბა, კაცო!

მერმე „ბიმურზელა“ იმღერეს. ხმები  
 თითქოს მრისხანე და შეუვალი გახდა.  
 ბიჭებმა გოროზად შეიკრეს შუბლი.  
 ლადომ არ იცოდა ეს სიმღერა, მაგრამ  
 გუმანით მიხედა, ეამთა სიამაყე და სის-  
 ხლის ნიაღვრებზე მღეროდნენ...

რერა ვოი საბრალ ზიმ ურზედა რერა,  
 რერა ლირდე ჯალდა ზიდ მაინე რერა...

— ჰაუ, ნამდვილი ვაჟკაცების სიმღე-  
 რაა ეს, — აღტაცებით წამოიძახა ჩო-  
 ფემ, — აი, ბექა ყოფილა, რაც ყოფი-  
 ლა.

მერმე ლადოს მიუბრუნდა და მხარზე  
 მოქაჩა.

— ჰა? რავარია?

— ვინ იყო ბექა? — ჰკითხა ლადომ.

— მონადირე იყო. მაგის ცოლი ბი-  
 მურზელას მოუტაცნია.

— ?!

— ბექა რომ ნადირობიდან დაბრუ-  
 ნებულა, მძებს უთქვიათ: — ასე და  
 ასეო. ბექა მესტიაში წასულა, ბიმურ-  
 ზელა — ჩიხი! მოუკლავს. ცოლისმამაც  
 მიუყოლებია... აბა!

ჩოფე შეჩერდა, ლადოს მიაშტერდა  
 — რას იტყვისო. ლადო დაეინებით  
 სდუმდა.

— მერე ნიშა ხარი დაკლა, — განაგ-  
 რძო ჩოფემ, — სოფელი დაპატიეა და  
 „კამპანია“ გადაიხადა.

— იქნებ არ უყვარდა ცოლს? —  
 თქვა ლადომ.

— ეუა! არ უყვარდა რას მიქვია!

— შენთვის რომ წაერთმიათ? —  
 ჰკითხა ლადომ უეცრად, — რას იზამ-  
 დი?

ჩოფემ გულწრფელად გადაიხარხარა,  
 ქეთუს დაუდევრად შემოიხვია ხელი და  
 გულზე მიიხუტა. ქეთუმ გაიბრძოლა,  
 გაეშვებრა. ნამალევი საყვედურით გა-  
 დახედა ლადოს.

— ვინ უნდა წამართვას? — იძახდა  
 ჩოფე, — შენ ხომ არა?



ლადომ ნაძალადევედ გაიღიმა.

— გეხუმრე.

— კაი ბიჭი ხარ შენ, კაი, — თქვა ჩოფემ.

ლადოს ბრაზი ახრჩობდა. „ყველაფერი უკუღმა გამოიშინა“ — გაიფიქრა უილაჯოდ.

კონცერტი დამთავრდა. მოკლე ფარდა დახურეს. მაყურებლები კიდევ დიდ ხანს უკრავდნენ ტაშს. მერმე წამოიშალნენ და უწყესრიგოდ გავხიზნენ კარებში. იყო ჭგლეთა და ყაყანი, ქეთუ გრძელი, აღუღუნებული წამწამების დახრით დაემშვიდობა ლადოს.

ჩაბნელებულ ცას მოწითალო ფერი გადაჰკრავდა. ყინავდა და ქვსავით გამაგრებული მიწის კოლობები ფეხქვეშ ხრახუნით იფხვენებოდა. ლადომ მთელი მკერდით ჩაისუნთქა ჯანსაღი სუსხი. მაყურებლები თანდათან მიმოიფანტნენ. ბოლოს, თემრაზ და მაწისაც გამოვიდნენ. მაწისას პალტოს ქვემოთ, კოჭებამდე, თეთრი კაბა უჩანდა, ძალიან უნდოდა ლადოს რამე საქებური ეთქვა მისთვის, მაგრამ ლადო ყურადღებასაც არ აქცევდა.

გვიან ააღწიეს სოფელში. საღდაციდან რადიო-რეპროდუქტორის ხმა ისმოდა. ერთფეროვანი ინტონაციით ჰყვებოდნენ უკანასკნელ ცნობებს. მერმე, საქათლოს პიშინი დაუკრეს. ლადოს თბილისი მოუხდა. არასოდეს ისე არ მონატრებია თბილისი, როგორც ამ ცივ, გამთოშავ სვანურ ღამეს. მონატრა საკუთარი სახლი... ახლა მამა ალბათ საწერ მაგიდასთან ზის, ცხვირზე სათვალე წამოუდგამს და გულმოდგინედ ჩაჰყურებს მოსწავლეთა საკონტროლო რვეულებს...

უკუნი ღამე იყო. უშბა არ ჩანდა. ისინი ტატიტ მიდიოდნენ ყორეებს შუა, ქვიან გზაზე. მაწისას უჭირდა სიარული გრძელ კაბაში, თან სციოდა. ლადომ „ეურტა“ გაიხადა და წამოახურა.

ბავშვებს უკვე ეძინათ. ტერო ბუზრის წინ იჭდა, ჩაფიქრებული უყურებდა დაღველილ ცეცხლს. შავი თაქსაფრი-

დან მხოლოდ თვალელები უნდა იქნებოდა ისი წლისას ჰგავდა. უსიტყვოდ სდგას სმეფება „ფიჩქი“ მოიტანა და ვახშმის გაშლა დაიწყო. მერმე ბუხარს შუშა მიუმატა. ცეცხლი აპრიალდა. თეთრად შეფეთილ კედლებზე გრძელი ჩრდილები ათამაშდნენ. მოჩუქურთმებულ მამაბაბეულ ზის საწოლზე ოთხივე ბავშვს ერთად ეძინა. თემრაზ ფეხაკრფით მივიდა, ხარბად ჩაძუნთქა მათი უმანკო სითბო, სათითაოდ აკოცა ოთხივეს და თითქმის შერცხვა ზედმეტი სინახისა, მაშინვე გამოტრიალდა.

ლადო არაყს მიეძალა. მწკლარტე, მღვრიე სითხე ცივად ეღვრებოდა სხეულში. გული დამძიმებული ჰქონდა. გაურკვეველი, დახლართული აზრები არ ასვენებდა.

ქალები დასაძინებლად გაიკრიფნენ. ცეცხლი მშვიდად გურგურებდა.

— ძალიან მომეწონა საღამო, — თქვა ლადომ.

თემრაზმა იცოდა, ყველაზე ნაკლებად ახლა ეს თემა აინტერესებდა ლადოს.

— რას ლაბარავობდით შენ და ჩოფე?

ლადო გაჩერდა.

— მიჭირს, — თქვა ბოლოს.

— თავს ზომ არ იტყუებ? — თემრაზმა გამომცდელად შეხედა,

— არა! არა მგონია.

— ცუდად იცნობ სვანეთს;

— მოდი, დიდი ჭიქებით დავლიოთ.

თემრაზმა დაბალი კარადიდან ჩაის ჭიქები გამოიღო, შეავსო.

— სვანეთს გაუმარჯოს!

— ალბათ, რომ მოდიოდი, სვანაირი გეგონა აქაურობა.

— მე მინდოდა ნამდვილი სვანეთი მენახა.

— ჰე, ნამდვილი! მერე, სადაა ნამდვილი? ძველიდან ის შემოგვრჩა, რაც მახინჯი იყო, ახალი ბოლომდე ვერ შევითვისეთ და დაერჩით ასე...

— სვანეთს გაუმარჯოს, — თქვა ლადომ, — მე ასეთიც მაკმაყოფილებს!



— გამეღელის თვლით იყურები, —  
უთხრა თემრაზმა, — საკუთარ ზურგზე  
არაფერი ვიწვინე. მაშინ სხვანიარად  
ილაპარაკებდი.

— მაგას რატომ ამბობ?

— არა ღირს... მოდი, დავლიოთ!

— მომისმინე, თემრაზ... ქალაქში  
როგორღაც ყველაფერი ადვილად გამო-  
დის... ისე, სხვათა შორის... მე კი... ბო-  
ლოს და ბოლოს, არ უნდა გავიგო ვინა  
ეარ მე?..

— აქ გაიგებ?

— ვნახოთ... მგონი — კი.

— მეც ვერე მეგონა, — ჩაფიქრებით  
თქვა თემრაზმა, — მაგრამ...

— რა მაგრამ?

— არ გამიძარტლა, ისე წავიდა საქმე.

— შე გამიძარტლებს!

— მაგას რაღა ჯობია, შე კაცო.

— წამყვეი ქეთუსთან, შე არაფრის  
დამალვას არ ვაპირებ!

— არ მეზარება, მხოლოდ იცოდე,  
სენათში ჯერ არ მომხდარა მავნაირი  
რამე.

— ახლა მოხდეს!

— მეც ეგეთი ვიყავი, — თქვა თემ-  
რაზმა ნაღვლიანად, — ახლა რაღა...

მერმე არყის ბოთლს მისწვდა, ჩა-  
მოასხა.

— შენს მომავალ გზებს გაუმარჯოს!

— შენსასაც!

თემრაზმა ხელი ჩაიქნია.

— ჩემს გზებს გამარჯვება არ ჰქირ-  
დება. ბევრიც რომ ვიბტუნო, აღარაფე-  
რი შეიცვლება. შენ—სხვა ხარ.

დალიეს. თემრაზ ბავშვების საწოლ-  
თან მივიდა, გადმოცურებული საბანი  
გაასწორა.

— ესენი მაცოცხლებენ, — თქვა ხმა-  
დაბლა.

ლადო თავის ოთახში გავიდა, შუქი  
აანთო და ბოლთის ცემას მოჰყვა. მერ-  
მე ვაჟა-ფშაველას „რჩეული“ აიღო და  
„ალუდა ქეთულაურზე“ გადაშალა. ეს  
ერთად-ერთი წიგნი იყო, რომელზეც  
თბილისიდან წამოიღო. კითხულობდა

ნაცნობ, საყვარელ სტრიქონებს...  
გრძნობდა, როგორ უღავდებოდა  
წილი ფიქრები...

მეორე დღეს, ნაჩქარევად ჩაატარა  
უკანასკნელი გაცვეთილი.

მთებზე რძისფერი ნისლი იდო. ჩა-  
მოძარცული, შავი ხეები მორჩილი გა-  
რინდებით ელოდნენ ზამთარს. შეხუ-  
თული მოთბო ჰაერი არ იძრო-  
და. დღეს თუ ზვალ, უეშველად მო-  
თოვდა და მთელი ეს მიდამო ღრმა  
ძილს მიეცემოდა. ლადოს არ უყვარდა  
ზამთარი.

სამკითხველოში პატარა გოგონები  
ისხდნენ, თითებს ინერწყვავდნენ და  
ისე ფურცლავდნენ წიგნებს. ლადოს  
მორიდებით მიესალმნენ. ქეთუ რაღა-  
ცას ეძებდა თაროზე და არ მობრუნე-  
ბულა. ლადომ ბავშვებს ანიშნა, დას-  
ხედითო, თვითონ „ახალგაზრდა კომუ-  
ნისტი“ აიღო და კედელთან მიდგა. ლუ-  
მელს მილი ფანჯარაში გადიოდა. ვა-  
რეცილი ბოლი სახურავისკენ მიიზ-  
ლანხნებოდა. ოთახში თბილოდა და  
წიგნების მძაფრი სუნი ტრიალებდა.

ქეთუს სახეზე გაოცება და სიხარუ-  
ლი გამოეხატა.

— მე სხვა მეგონე, — თქვა ჩუმად.

ბავშვებმა წიგნები ჩუმად დაკეცეს  
და გვერდულად გაიბტურწნენ. ქეთუს  
ყურადღება არ მიუქცევია მათთვის,  
კარგებს ძალაგამოცლილივით მიეყრდ-  
ნო. მერმე ისევ თაროსთან მივიდა, ვი-  
თომ ძებნა განაგრძო, მაგრამ ხელს  
უაზროდ აფათურებდა. სხეულში ბედ-  
ნიერების ქრუანტელი უვლიდა და თა-  
ვის სიხარულს თვითონვე უღიმოდა.  
ლადომ მეორე მხრიდან შემოკოხრა თა-  
როს; პირისპირ იდგნენ, მაგრამ ერთ-  
მანეთს ვერ ხედავდნენ და ასე უფრო  
ადვილი იყო.

— რა ვქნათ, ქეთუ...

— რასაც მეტყვი... შენი ჰირიმე.

— მოვალთ თქვენთან მე და თემრაზ.

— ვაიმე, ლადო...

— მოხდეს, რაც მოსახდენია!

თავი 80430

თოვა უეცრად დაიწყო. ზეცამ დაბლა დაიწია და ირგვლივ თეთრი სიბნელე დაამკვიდრა. სახლები, მთები არყოფილივით გაუჩინარდნენ. ხევირიელმა, ბარდანმა, თოვლმა ხეთა შიშველი ტოტები დახნიქა. ელოდნენ და მოვიდნამდელი ზამთარი.

სოფელში საჭმე გამოილია. ახლაცველანი სახლებში ძახდნენ და ზამთრის გრძელ, თეთრ ღამეებს „ცინგილების“ მოყოლით ჰლევდნენ. შუშა დაუზოგველად იხარჯებოდა. „დარბაზ“ გამოტენილი იყო სურნელოვანი თევით. ჩათბუნებული საქონელი ოხვრით იგონებდა მწვანე იალღებს. სხვევზე დამარილებული ღორის შაშხი ეკიდა, კიდობანი სავსე იყო პურის ფქვილით, ორმოები — კარტოფილით. გოზაურებში პირთამდე ესხა ქერის არაყი.

ბაბა ჯანყვით ბუხართან მიმჭდარიყო, საკუთარი ხელით გამოთლილ ყალიონს შინაური თუთუნით ტენიდა, თან დინჯად ღიღინებდა ყანსავ ყიფიანისა და სხვა ძველი ვაჟაკების სადიდებელ სიმღერებს.

წვრილი, ნაოკებში ჩაკარგული თვალეები სიხარულით აუციმციმდა, როცა კარებში დათოვლილი თემრაზ და ლადო დიანახა. იღბლად გამოჩნდნენ სტუმრები, თითო ჭიქა „ქალაში“ ახლა მისწრება იყო.

— ო, დინა! ხოშა ღერბეთმა სტუმარი გამოგვიგზავნა! — გასძახა ქეთუს.

ლადო და თემრაზ თოვლს ფეხების ბაკუნით იფერთხავდნენ.

ქეთუს ორივე ხელეები მკერდზე მიეკრა და შიშამდგარი თვალეებით უყურებდა სტუმრებს. მათ ხელი ჩამოართვეს ბაბა ჯანყვით და ბუხართან მისხდნენ. ლადომ ქეთუს გაჰხედა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მის წინ მტერი იდგა, რომელიც აუცილებლად

უნდა დაემარცხებინა და მოუტყენებინაგან სული ყელში ებჭინებოდა.

— დინილ, მოგვხედე! — გასძახა ბაბა ჯანყვით.

ქეთუს გაეხარდა ვასელის მიზეზი რომ იშოვნა. ბაბა ჯანყვით თავაზიანად ელოდა, რას იტყოდნენ სტუმრები, მაგრამ ისინი შეთქმულებივით დუმდნენ.

— ძალიან ზამთარი დავვიდგა, — თქვა ბოლოს ჯანყვით.

— გუბები ჩაიკეტება, — თქვა თემრაზმა.

— პირველად იკეტება, თუ? გავუძლებთ.

— ამბობენ, ენგურზე ჰესი უნდა ააშენონო. გზასაც ახალს გაიყვანენ, მერე აღარ ჩაიკეტება.

— ჰესი რა ეშმაკია? — უნდობლად იკითხა ჯანყვით.

— შუქს იძლევა, — აუხსნა თემრაზმა.

— შუქი არ არის ეს? — ბაბა ჯანყვითა მოკლე თითი ნათურისაკენ აიშვირა, — ახალი მოგინდათ?

— მოგინდა, — დაეთანხმა თემრაზ.

— ჩემ დროს უნდა გეცხოვრათ, ნახავდით რა მოგინდებოდათ, — ბაბა ჯანყვითა ბუხარში შეაწიტა, — მეტისმეტს ხოშა ღერბეთ იწყენს!

— ძველი კაცი ხარ, ბაბა...

— ძველი ვარ და კარგი ვარ. ამა რავა! — გაგულისებით თქვა ჯანყვით.

თემრაზ ცალი თვალთ ლადოს უყურებდა. მას უჩვეულოდ აგზნებული სახე ჰქონდა. თემრაზმა იცოდა, ეს კარგს არაფერს მოასწავებდა და ჩქარობდა საჭმეზე გადასვლას, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა როგორ დაეწყო.

მეორე ოთახში, კარებზე აკრული ქეთუ გაფაციკებით უსმენდა მათ ლაპარაკს. გული აჩქარებით უცემდა. გულეული, შავკაბიანი ნინო ტახტზე წინდასა ქსოვდა.

— ეინ არიან? — იკითხა თავაუღებლად.

— თემრაზ ჩაქვლიანი, და... — ქეთუს გაუჭირდა ლადოს ხსენება, თით-

1 ცინგილ — ზღაპარი.

2 დინა — გოგო.

ქოს ამით საიდუმლოს მიუხედებოდა ნინო, განგებოსი გულგრილობით დაუმატა: — თბილისელი მასწავლებელი, ჩვენ რომ მოგვეხმარა.

— ჩოფე მაინც მოსულიყო, — თქვა ნინომ, — არაყს დააღვეინებდა სტუმრებს. დათერება ბაბა და მოყვება აბლაუბდას.

ხელსაქმე გადასდო, ფარდაჩამოფარებულ თაიროდან სულგუნის კვერი აიღო და სქელ ნაჭრებად დაუწყუო თლა. ჩოფეს ხსენებაზე ქეთუს გააკანკალა.

— ესენი საქმეზე არიან, — თქვა გაუბედავად.

ლადოს სულის მოთქმა უქირდა. ნერვები უკიდურესად ჰქონდა გაღიზიანებული.

— თქვი, რისთვისაც მოვედი! — მიუბრუნდა თემრაზს.

— დამაცადე! — კუმტად თქვა თემრაზმა.

— თქვი, თქვი! — გაიმეორა ლადომ, — თქვი!

— ე, სი მარე! დავილოცოთ ჟერ; ო, ქეთუე, სად დაიკარგე, დინა! — დაიძახა ბაბა ჯანყვათმა.

ძალაგამოცლილი ქეთუ ტახტზე ჩამოკდა. მკლავები უმწეოდ დაუცვივდა.

— რა მოგივიდა, გოგო? — გაუკვირდა ნინოს, — გაიტანე საჭმელი!

ქეთუს თვალები სიციხიანივით შელავდა, უნდოდა ყელზე შემოხვევოდა ნინოს და ყველაფერი ეთქვა, მაგრამ ადგილიდან ვერ იძროდა. ახლა ეს აუცილებელი იყო და მაინც ვერ იძროდა. ჩუმი ტირილი აუვარდა. ნინომ თეფშები გაიტანა, სტუმრებს მიესალმა და გამობრუნდა.

— არ მეტყვი, რა მოგივიდა?

— არაფერი, — წაიჩურჩულა ქეთუ.

იმ წუთში განუხომლად უცხო იყო მისთვის ეს ქალი; ნინო აღარ ჩასძიებია, ახლა არაყი, შაშხი და პური გაიტანა. ლადო შინაგანმა იძულებამ ფეხზე წამოაგდო. ნინოს გზა გადაუღობა.

— სად არის ქეთუ?

ქალს თვალებში სიცივე ჩასვდა.

— რათ ვინდა, ბატონო!

„დაიღუპა ყველაფერი“ — სიმწრით გაიფიქრა თემრაზმა და სახე ზელებში ჩამალა.

— გამოვიდეს, საქმე მაქვს.

— რა საქმე, ბატონო?

ბაბა ჯანყვათ მძიმედ წამოიწია და მახვიის საკარცული აპტაქუნა.

— მე და ქეთუ... ჩვენ... გვიყვარა ერთმანეთი...

მტანჯველი სიჩუმე ჩამოეარდა. ლადოს ყურები უბუფოდა და მომაკვდინებელ დაქანცულობას გრძნობდა. სადღაც შორიდან ესმოდა ხმები:

ჯანყვათ: თემრაზ!.. მეჩვენება თუ...

ნინო: ქეთუს დანიშნული ყავს, ბატონო...

ჯანყვათ: თემრაზ!... ძაღლის შესაქმელად არავინ გაიხადოს თავი, იცოდე!

— ლადო! — დაუყვირა თემრაზმა,

— უჰ, შე... გაგოდი?

— მოიყვანეთ ქეთუ, — გაიმეორა ლადომ.

კარებში ქეთუ გამოჩნდა. თავი ამაყად ეჭირა. ბაბა ჯანყვათმა წვრილი, ბოროტი თვალები მიაბჯინა და ადგულზე გააქვავა.

— ოჯახის შერცხვენას არვის ვაპტიებ! — შეჰკიეღა გამსჭვალავი ხმით, — სისხლს ნუ დააქცევინებთ ისედაც უბედურ მამას!

კედლისკენ მიიხედა, სადაც შვილისა და რძლის სურათები ეკიდა.

— ჩემი მურზას სული დამიფიცია!

— ქეთუ, — ამოიძახა ლადომ, — თქვი ყველაფერი!

ქეთუ ამაყად იღვა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს არაფერი ესმოდა.

— რა უნდა, შვილო, ამ უცხო კაცს?

— ჰკითხა ნინომ.

— თქვი, ქეთუ! — ლადოს ხმაში მუდარა გაისმა.

— არ ვიცი! — მკაფიოდ თქვა ქეთუ.

— შენ ხომ არაფერ შუაში ხარ, შეი-  
ლო?

— არა!

ლადო გაშრა. თემრავ მივიდა, მკლავ-  
ში ხელი ჩასჭიდა.

— წამოდი!. ახლავე წამოდი!

— შენი გზა მოქებნე, ბატონო, —  
თქვა ნინომ.

— ჩემი გზა? — ლადოს მწარედ  
ჩაეცინა, — ჩემი გზა? კარგი!

— თემრავს!.. ყველაფერი მოგეკით-  
ხება, მიშველა სველო! — ხმას აუწია  
ჯანყვათმა, — შენთან მაქვს საქმე, იმას  
არ ვიცნობ მე! მე თუ ვერა, ჩოფე მა-  
ინც ისისხლებს!

ქეთუ იღმა გაქვავებული.

სტუმრებს გასაცილებლად არაფერ  
გაპყროლა. მიდამო რძისფერ ბუ-  
რუსს შთაენტქა. მსხვილი ფანტელე-  
ბის. კორიანტელი ტრიალებდა. ჩამი-  
ჩემი არსიდან ისმოდა თოვლი მუხ-  
ლებამდე იყო. წყლიანი ფანტელე-  
ბი აბეზრად ეხლებოდათ სახეზე,  
უძვრებოდათ ყელში. სიცივე, ლიბრვა-  
დაკრულ გონებაზე გამომაფხიზლებ-  
ლად მოქმედებდა. პირველი აზრი, რო-  
მელიც ლადოს მოუვიდა, იყო ის, რომ  
გათავდა ყველაფერი... ახლა შეიძლე-  
ბოდა მოსვენებით ცხოვრება. და მაშინ-  
ვე ველური გაცოფება მოედო.

\* \* \*

ლადო გაუხდელი ეგდო ლოკინზე.  
მოისმა ფრთხილი კაკუნია, არ განძრეუ-  
ლა. კაკუნია განმეორდა.

— ღიას!

შავმა ლანდმა მკვეთრი სიცივე შე-  
მოიყოლა, კარი მიივდო და იქვე გა-  
ჩერდა. ლადომ მხედველობა დაძაბა,  
მანაც ვერაფერი გაარჩია.

— ვინა ხარ?

ლანდი ჩუმად იყო.

— მე ვარ, — თქვა ბოლოს.

ლადოს უტბად მოეჩვენა, რომ ეს  
მირაყი იყო, ან შორეული, ბუნდოვანი  
სიზმრის გამეორება. სხეული თბილი  
ერეოლოთ აევსო.

— მოხვედი?

— მოვედი...

ლადო წამოდგა.

— ავანთებ შუქს.

— ნუ... ასე მირჩენვია.

— სულ მოხვედი?

— მიმიღებ?

— სულ მოხვედი?

— სულ.

— გაიხადე.

ქეთუმი სველი თავშალი და პალტო  
გადიძრო, ხელის ფათურით მოქებნა  
სკამი და გადაკიდა. მერვე თვითონაც  
ჩამოჯდა. დამდნარი თოვლის წვეთებმა  
პალტოდან მონოტონური ტკაპუნით  
იწყეს იატაკზე ცვენა.

— ლადო...

— ა?

— მაპატიებ?

ლადოს ეს შეკითხვა უაზროდ მოეჩ-  
ვენა. არ უნდოდა სიტყვები, ყველაფე-  
რი ისედაც გასაგები იყო. ხელუბის ცე-  
ცებით მივიდა ქეთუსთან, მხრებზე ჩა-  
მოეყრდნო. გული უსაზღვრო მადლიე-  
რებითა და სინაზით ევსებოდა.

— მცევა, — ძაგძავით თქვა ქეთუნ.

გაუბედავად მიეჭუჭკა მკერდზე.

ლადომ მსუბუქად აიყვანა. საფეთქ-  
ლები მძლავრად უშეოდა.

— ქეთუ...

— შენი ჭირიმე... მცევა...

გარეთ ბარდნიდა და ყინვა ჭირბავე-  
და ფანჯრებს. ლადომ ფრთხილად და-  
აწვინა ქეთუ, თვითონ ორივე მუხლე-  
ბით დაიჩოქა და სახე ძუძუებზე მია-  
ხუტა. ქეთუს საშინლად უფართქალე-  
და გული.

— მეშინია...

— ნუ!

— მაპატიებ?

— ქეთუ...

— შენი ჭირიმე...

ქეთუს ლადოს მკლავზე ედო თავი.  
მკიდრულ ეკვროდა მკვრივი, მოქნილი  
ტანით, ბედნიერების ერთნატივლი უვ-  
ლიდა. უხაროდა, რომ მთელი არსებით



„სხვა“ ეკუთვნოდა და ეს „სხვა“ ლადო იყო. უნაროდა, რომ „პატრონი“ ჰყავდა. ეს შეგნებული თვითდამცირება წარმოუდგენელ კმაყოფილებას ჰგრიდა და ამ წამებს აღარაფერზე ვასცვლიდა. ლადოს ხელი აიღო, სახეზე მოისვა. უხმოდ, შეგებით ატირდა. ცრემლები ნელა დაუცურდა თვალთა კილოებიდან.

- ნუ, ქეთუ, ნუ!
- ასე მირჩევნია, შენი ჭირიმე.
- ნუ იტირებ, ვთხოვ.
- აღარ ვიტირებ.
- მოდი ვილაპარაკოთ, კარგი?
- ჰო...

ქეთუმ ცრემლები მოიწმინდა.

- მითხარი რამე, — ჩურჩულებდა ცხარედ, — მითხარი.
- ნეტა არ ვათენდეს ეს ღამე.
- ეჰ...
- როგორ წამოხვედი?
- არ ვიცი... დაიძინეს და წამოვედი.
- ჩემო!
- თქვენს შერე, ჩოფე მოვიდა,

მთვრალი.

- რას ამბობ!
- ბაბამ ყველაფერი უთხრა. ვადაი-რია, შენთან მორბოდა, — მოგკლავო. ზვალეე წამოგყვები-მეთქი. ძლივს დაწ-ყნარდა...

- საიდან გადაგეკიდა, ქეთუ?
- ნუ გამახსენებ, შენი ჭირიმე... ცრემლებს ყლაპავდა და ძლივს გა-მოსთქვამდა სიტყვებს.

— მეცბრე კლასში დირექტორი ჩამაცივდა — ჩემი რძალი უნდა იყო. მოაგზავნეს მოციქულები. ბაბა, კარგი ოჯახის შვილიაო, დაეთანხმა. მე ვინ შემეკითხა... 'აოხუმში გავიბარე, ბიძასთან, — უნდა ვისწავლო-მეთქი; არ მო-მეშვა... ქალმა თუ მიგატოვა, სვანეთში ყველაზე დიდ სირცხვილად ეგ ითვლებოდა. არ იცი შენ აქაური წესები... ახლა თვითონაც ვეჩავრები, მაგრამ ძმა აღარ ანებებს. ერთხელ, ტყეში დამიდარაჯ-და... ხომ გახსოვს...

— კარგი... კარგი... — ბუტბუტებდა.

დაბნეული ლადო და მოუხერხებულად ეფერებოდა დიდი ხელებისას.

— შენი ჭირიმე... გაგამწარე, მაგრამ ასე ჯობდა.

... ჰო, ასე ჯობდა.

... უნდა მამატიო. ახლა შენთან ვარ და უნდა მამატიო...

დიღხანს კოცნიდნენ ერთმანეთს. ქეთუს ცხელი, მაგარი ტუჩები ჰქონდა. ლადომ თმებში ხელები შეუცურა და მსხვილი ნაწნავის დაშლა დაუწყო. მერმე თმა სახეზე მიიფინა და ხარბად შეისუნთქა აღმგზნებ სურნელი. ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ტუჩები ერთმანეთის ყურთან მიჰქონდათ. ლადო სიამაყითა და თვითრწმენით იყო სავსე.

— ასე მგონია, შეუძლებელს შევძლებ...

— მეც, ლადო...

— შევიდეთ აქედან, ქეთუ. ხვალვე წავიდეთ.

— არა, შენი ჭირიმე, მაგას ნუ მეტყვი. ჩოფე მიწაშიც გვიბოვის.

— აბა, რა ვქნათ?

გაჩუმდნენ.

— არაფერი. — ჩურჩულით თქვა ქეთუმ.

— მე მინდა სულ ჩემთან იყო...

— მეც...

სოფელში პირველად იყიელეს მამლებმა, ქეთუმ ლადოს სახე მოძებნა და შუბლზე აკოცა. იყო რაღაც დედობრივი ამ კოცნაში.

— ნუ წახვალ, ქეთუ!

ხელები მოხვია და ისევ ბალიშზე დააკრა. წამით ორივე თავდავიწყებას მიეცა. ისევ ქეთუმ გაიბრძოლა.

— გამიშვი, ლადო... გენაცვალე...

— ხვალვე შეგყრი სოფელს და გამოვუცხადებ, რომ ჩემი ცოლი ხარ!

— უიმე, არა!

— მაშინ გავიბაროთ!

— არა! არა!

— ცოდო ხარ, ქეთუ...

— სხვა მე არაფერი მინდა, ლადო...

მხოლოდ გაყურო შორიდან... სხვა მე არაფერი მინდა...

ლადომ ბოლომთ გაახრჭიალა კბილე-  
ბი.

— ჩოფეს უფროთხილდი, ლადო, შე-  
ნი ჭირიმე!..

— დედას ვუტირებ! გაიგე? დედას  
ვუტირებ ჩოფესაც, დირექტორსაც...

მამლებმა მეორეჯერ იყივლეს.

### თავი მეცხრე

სამასწავლებლოში ლადოს მეტი არა-  
ვინ იყო გრძელ, წითელსაფარიან მაგი-  
დასთან იჯდა და მეცხრე კლასის ყურ-  
ნალს ათვალეობდა. დეკემბრის ბოლო  
რიცხვები მიიწურა. რამდენიმე დღეში  
მეორე მეოთხედი თავდებოდა. ნიშნები-  
სათვის ცემა-ცხელემა უკვე მოედო  
სკოლას...

მითოვლილი ფანჯრებიდან მჭისე სი-  
თეთრის მეტი არაფერი ჩანდა.

ლადო ცდილობდა ყურნალი ყურად-  
ღებით ეფურცლა, მაგრამ გასულ ღამეს  
ვერ იშორებდა გონებიდან. ყურებში  
ედგა ქეთუს ცხელი ჩურჩული და თით-  
ქოს ხელახლა განიცდიდა მისი მკვრივი  
ტანის ცახცახს. მოხდა, რაც უნდა მომ-  
ხდარიყო. შემდეგ?.. შემდეგ?..

ფიქრი დამლაგებელმა გააწყვეტინა:

— გეტახიან, ბატონო, — თქვა მან, —  
ჩოფე არის, დირექტორის ძმა.

გაყვეთილის გამოსვლას თხუთმეტი  
წუთი აკლდა. „დაეუცდი თემრას და  
შერე გავალ“ — პირველად ეს აზრი მო-  
უვიდა ლადოს, მაგრამ ჩოფე იფიქრებ-  
და — შეეშინდაო. პალტო აიღო და კი-  
ბეები ჩაირბინა.

ჩოფეს ცხვრის ტყავის სათბური ეცვა  
და ნესტოებიდან პაპიროსის ბოლივით  
უშვებდა ამონასუნთქს.

— გამარჯობა!

ჩოფემ სიძულვილით გადმოხედა, არ  
უპასუხა.

— რას მიბრძანებ?

— აქ არ გეტყვი!

— სადაც გინდა, იქ წავიდეთ, —  
უთხრა ლადომ.

ჩოფემ წინ გააბოტა. თოვლი თითქმის  
წელამდე იყო. დერეფანივით გაკვა-

ლულ ბილიკზე მიდიოდნენ. ტრბის ძი-  
რებში მოჩანდა გამხმარე ვეჭვების  
თოვლიდან ამოშვერილნი. სრულად  
ბი. დამრეცად წაჭრილ მესერის თავებ-  
ზე თოვლი მეცხვარის წოწოლა ქუდე-  
ბივით იყო ჩამოცმული...

ლადოს არ მოსწონდა, ასე მორჩილად  
რომ მიჰყვებოდა ჩოფეს.

— სასადილოში შევიდეთ! — თქვა და  
პასუხს აღარ დაელოდა, თვითონ გაუძ-  
ღვა.

სასადილოში ბნელოდა, მომწვარი ხა-  
ხვის თბილი ოხშივარი იდგა. ჩოფემ  
ტყაპუტის დილიკოვები ჩაიხსნა, თოვ-  
ლი დაიბღერტა და ცარიელ მაგიდასთან  
დაჯდა. მათ მეტი არავინ იყო. ლადო  
დახლთან მივიდა.

— გვაქმევ რამეს? — ჰკითხა ცალ-  
თვალა მებუფეტეს.

— ე! რაც მაქვს, რავე დაგამადლი?  
გუშინ მივიღე კაი თევზის კონსერვი,  
კაი „კალბასი“...

— ზუგდიდიდან?

— აბაა.

— მანქანები ისევე დადიან?

— რავე არა, ჯერ რა თოვლია ისეთი.  
მესტიიდან ბევრი დადის, მარა დიზიდან  
— მეტია. მარმარილო გააქვთ — ჩქარო-  
ბენ გზის დაკეტვამდე.

— თუ იცი, ფრენაც არის? — არ ეშ-  
ვებოდა ლადო.

— დღეს მესტიიდან ჩამოიარეს შოფ-  
რებმა. სამი რეისი იფრინესო.

ლადოს გაუხარდა, რომ კავშირი  
„დიდ მიწასთან“ არ იყო შეწყვეტილი.  
ეს თითქოს იმედსა და ძალას ჰმატებდა.

— გაგვისხენი კონსერვი. ერთი „სტა-  
ლინისი“ მოგვეცი.

— არ არის საჭირო! — ღჭულ თქვა  
ჩოფემ.

— ეგ მე ვიცი!

— შენ კი არა, მე ვიცი! — ჩოფემ  
მაგიდას მუშტი დასთბლიშა. სამარილე-  
ახტა და გადმოპირქვადა. ცალთვალა  
დახლიდარმა თარსად გამოიხედა.

— ცოტა ნაწყენია, — თქვა ლადომ,  
— გაუვლის.

— არ გამივლის!



12  
 2013.01.15  
 2013.01.15

ჩოფეს სახე დაეღმიჭა და ლადო მიხვდა — იგი დაუნდობელი იქნებოდა, თუ ლადო შეერთმას დაიმჩნევდა. დახლიდარს საკმელი გამოართვა, არაყი დაასხა და თავისი ჭიქა ჩოფესას მიუჭაუნა.

— გაგვიმარჯოს...

ჩოფემ ნელა აიღო ჭიქა, უთქმელად გადაუშვა. ლადომ მეორედ დაასხა.

— ისევ გაგვიმარჯოს...

ჩოფემ ახლაც უსიტყვოდ დალია. ლადოს გულთან რაღაცა გაულღვო არაყმა, აზრები დაეწმინდა და მთლიანად დაიპყრო საკუთარი თავი. ჩოფე, პირიქით, უფრო გაგულისდა.

— სამი სახარება შეგვეწიოს, — თქვა ლადომ.

ჩოფემ ტუჩები ხელის გულით მოიწმინდა.

— დაანებე თავი ქეთუს! — მოსკრა კუშტად თავჩაღუნულმა.

— შენ დაანებე! — მშვიდად შესთავაზა ლადომ.

ჩოფემ მსხვილი, დაწითლებული თითები მაგრად მოუჭირა ჭიქას და გვერდზე გადადგა.

— ქეთუ საცოლეა ჩემი!

— არ უყვარხრ ქეთუს.

— ვიცი, — ამოიქშინა ჩოფემ, — მაგრამ ჩემი საცოლეა.

— თუ კი არ ეყვარები, რად გინდა?

— არ გეკითხება ეგ შენ.

ჩოფეს ყბებზე ძარღვები აუთამაშდა.

— რა გინდა, ძმაო, კაი ბიჭი ხარ, ყველაფერი, — დამანებე ახლა თავი. დამანებე, გუბნები მე შენ...

— ცოდოა ქეთუს!

— მეც ცოდო ვარ! —

— გიყვარს?

— გინდაც არ მიყვარდეს, შენ რა!

— არ დაგაღუპინებ!

— მთელი სოფელი „ნამცვირის“ დამიძახებს... — დუნედ გამოსკრა ჩოფემ.

— ეგ სჯობია, ვიდრე...

— იცოდე, წაეთრიე, საიდნაც მოტრეულხარ, თორემ...

ჭიქა ისევ აიღო და უახროდ დაუწყო ტრიალი. ლადო გულგრილად ათამაშებდა თითებს მუშამბაზე. ცალთვალა დახლიდარი გაფაციცებით ისმენდა მათ ლაპარაკს.

— თუ წავედი, ქეთუსაც წავიყვან! — თქვა ლადომ.

— უპ, შენი სისხლი...

ჩოფე შიშმოდ სუნთქავდა, მოღუნული ცხვირის ნესტოები ებერებოდა. ლადომ არაყი დაასხა და მიუწია.

— დალიე!

იმ წამს მარჯვედ ჩაიხარა მაგიდისკენ. მთელი ძალით ნასროლი, სქელი, თლილი ჭიქა კედელს შეეფშვნა.

— ვერ გცოდნია კარგი სროლა! — დაცინვით თქვა ლადომ.

— ჩოფე, რა დაგემართა, სი მარე, — დაუძახა დახლიდარმა, — ფული ღირს მაგ ჭიქა.

ჩოფემ ბოძით დაიქშინა და ტკაცუნით გაართყა ყბაში. ლადოს რეტი დაესხა, მაგრამ ინსტინქტით ავარდა, დაბლს აეკრა, ჩოფე ხარივით თავდაღუნული გამოექანა. ლადომ მოასწრო, ფეხი ჰკრა მუცელში, უკან გადაისროლა, თან გადაჰყვა, მთელი სხეულით დააწვა და შეტყუებულნი ორივე ხელი კეფაში უროსავით რამდენჯერმე მოუნაცვლა. ჩოფე შებარბაცდა, ჩაიჩოქა... დაბნეული, წამხდარი, სკამს დაებლაუჭა და მოქნევა სცადა. ლადომ ფეხი ჩაუკრა, გააგდებინა. ამ დროს, დახლიდარი ჩავარდა შუაში.

— ე, სი მარე, მასწავლებელს ჩხუბი რავე გეკადრება! — ამშვიდებდა ლადო.

ჩოფემ წაქცეული სკამი ააყენა, ლადომ დახლიდარი მოიშორა და თავის ადგილას დაჯდა. რატომღაც არ იყო გაბოროტებული, მხოლოდ კუნთები სტებდა.

— კიდევ დავლიოთ?

— ძალღმა დალიოს შენთან ერთად!

— აგრე? მაშინ მე წავეალ!

1 ნამცვირ-დაწუნებულ სასიძოს ნიშნავს. ეს ყველაზე დიდ სირცხვილად ითვლება სენაეთში.

ჩოფე უტბად გამოცოცხლა, ხელზე წაეტანა.

— მოიხედე, — თქვა ხმადაბლა, — არ იტყვი, რა გინდა ჩემგან?

— არაფერი, — თქვა ლადომ.

— თუ არაფერი, მომეწვი შენსას არ გედავები, ჩემსას არ დაგანებებ. მოკვედები და — არა!

— ქეთუ შენია?

— საცოლეა ჩემი!

ლადო დახლიდართან მივიდა, დანა ხარჯი გაისტუმრა.

— მარჯვე კი ყოფილხარ, — ჩუმი ხითხითით თქვა დახლიდარმა.

ჩოფე კარებში იყო გახიროლი.

— გამიწვი! — თქვა ლადომ ცივად.

— მოიცადე, — თქვა ჩოფემ, — მითხარი ბოლო სიტყვა.

— რა გითხრა?

— მოეწვი ქეთუს! — ჩოფეს ხმაში გაპრორტებული, დამცირებული კაცის თხოვნა ისმოდა.

— ქეთუ როგორც მოინდომებს, ისე მოიქცევა.

— საცოლეა ჩემი...

— მშვიდობით!

— აბა მასე, ხომ?

— ევრე.

— კარგი, — თქვა ჩოფემ, — ვნახოთ!

ტუქყიანი თოვლით დაფარული საფეხურები ჩაირბინა და ჭიქურ გასჭრა გაუკვალავი გზა.

გაწეული, უფორმო ღრუბლების ნაგლეჯებში მოჩანდა ლურჯი ცა. ლადო მთელი მკერდით ისუნთქავდა ჯანსაღ, მსუსხავ ჰაერს და უყურებდა უშბას. ამ ბოლო ხანებში უშბა პირველად იყო მოწმენდილი, ლადოს მონატრებოდა მისი დანახვა. უშბის პიტალოებზე ზამთარშიც ვერ იკიდებდა ფეხს თოვლი. იღვა ამაყად, ყინვისაგან ცისფერი გადაჰრავდა. ირგვლეუ მთები თეთრად იყვნენ მოსატეილი და ეს სითეთრე უფრო მკვეთრად აჩენდა უშბის შიშველი ტანის ზვიად სილურჯეს. ლადოს ყველაფერი გადაავიწყდა, უყურებდა, უშბას და სულში ადგილი აღარ რჩებოდა უბრალო, წარმავალი ფიქრებისათვის. უშ-

ბა ასწავლიდა, თუ რამდენად უნდა ეთქვა წერილმანებზე. მისი წიგნი უკვე დიდი დღეებით იძლეოდა უშბა. ლადო მიდიოდა და უშბა თანდათან ახლოვდებოდა. იგი ძლიერი და დიდებული იყო...

ფიფქი თოვლი წამოვიდა. გაწეული ღრუბლები შეერთდნენ და ზღაზვნით დაიძრნენ უშბისაკენ. ლადომ პალტოს საყელო წამოიწია, ფეხს აუჩქარა. გზა თოვლით დახუნძულ ბუჩქნარს მიჰყვებოდა.

„წაიფევან ქეთუს და წავალ, — გაიფიქრა უტბად, — დანარჩენს მომავალი დაგვანახებს.“

ლადომ იცოდა, შესწევდა საიმისო ძალა, რომ ეს გაეკეთებინა და უხაროდა; როგორც იქნა მოისვენა, გულიდან მძიმე ტვირთი გადაიგდო...

მოსახვევში მგზავრი გამოჩნდა. მისი შავი სილუეტი ბაცად რიალებდა ურიცხვი ფანტელების მიღმა. ლადო მალე დაეწია.

— მაწისა?... ასე გვიან რატომ მოდიხარ?

— ჯგუფის კრება გეკონდა, — დამორცხვა მაწისამ.

— მერე? რა დაადგინეთ? — ჰკითხა ალერსიანი დაცინვით.

— არაფერი...

— ვიართო, არ შეგცოდეს.

ლადომ მზრუნველად მოხვია მკლავი სუსტ მხრებზე და გულზე მიიყრდნო.

დაბეკნილ გზას სწრაფად გადაეკრა ახალი, ხრამუნა თოვლის თხელი ფენა. ლადოს ფაქიზი, გამჭვირვალე გრძნობა დაეუფლა. მას უყვარდა ეს ჩუმი, მოკრძალებული გოგონა; უნდოდა სახეზე თბილი ხელებით მოჭყერებოდა და შავი, ბრდღვიალა თვალები ამოეკოცნა...

მაწისა დაბნეული იყო. იგი ყოველთვის იბნეოდა ლადოს სიახლოვეს; გული როგორღაც უჩქარდებოდა, თითქოს მუხლებშიც სუსტდებოდა და ნაბიჯის გადადგმა უჭირდა. სიტყვები ძალად უნდა გათქმევიწინებინა...

— მაწისა, რას იტყვიან, ხვალ რომ თბილისში წავიდე? — ჰკითხა ლადომ. მაწისა გაჩერდა, შიშით აპხედა.



— რატომ?

— მენატრება თბილისი...

—?!..

— გეხუმრები. ვიაროთ.

მაწისას ფეხი უსხლტებოდა და უნებლიედ ეყრდნობოდა ლადოს მკლავს. ამას უხერხულად, შინაგანი წვალეებით აკეთებდა. ნაბიჯი სულ აერია. იღუშალი კრთომით ფიქრობდა ლადოს ნათქვამზე. სახლის კიბეზე აღიოდნენ, როცა დასძლია შებოჭილობა და უთხრა:

— რომ არ გაგიშვან სკოლიდან?

ლადოს გაეცინა.

— შენ ისევ მაგაზე ფიქრობ? გეხუმრე-მეთქი, აკი ვითხარია.

მაწისამ მაინც ვერ დაიჯერა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. პატარა ცოცხი აიღო და ლადოს თოვლის ჩამოფერთხვა დაუწყო. თემრავ ბუხართან იჭდა. ოთხივე ბავშვი გარშემო ეხვია და იყო ერთი სიცილ-კისკისი.

— სად დაიქარგე? — ჰკითხა თემრავმა.

— ერთ საქმეზე ვიყავი.

თემრავმა დამლაგებლისაგან იცოდა, ვისაც ვაკვდა ლადო.

— მერე? რა ჰქენი?

— დღეიდან ყველამ თავის თავს მოუაროს, — თქვა ლადომ ღიმილით.

მაწისა ბუნდოვნად გრძნობდა—რაღაც კავშირი იყო ლადოს წყლანდელ და ახლანდელ ნათქვამს შორის, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო—რა. ეპკვები გაუძლიერდა. „ვინდა გვასწავლის ქართულს“. — ფიქრობდა და თვითონაც არ იცოდა, რომ სხვა რამე უფრო აწუხებდა, ვიდრე ქართულის სწავლა. მერმე მოხარული კარტოფილი და ყველი მოიტანა. ლადომ ორი-სამი ლუკმა აიღო და მიანება. მაწისამაც ძლივს მოციქვნა.

— თუ გინდა, არაყი დავლიოთ.

— არა, — თქვა ლადომ, — ხვალისათვის სამუშაო მაქვს.

— ჰო, ეგ — კი. მოათავე ნიშნების დაწერა?

— თითქმის. აი, მაწისა დამრჩა. ხვალ უნდა გავიძახო და გავაძრობ ტყავს.

— თუ წინასწარ გააფრთხილებდი, გამოვიდა? — თემრავმა გაიჭრა. — მაწისამ თავი ჩაღუნა. „არ მიღის“, — გაიფიქრა სიხარულით.

— მოგვიახლოვდა ახალი წელი.

— ოო, აქ მაგარი ამბები ვიციოთ ახალ წელს, — თქვა თემრავმა. ბავშვები მათ ფეხებთან იყვნენ ჩაცუცქული და ყურადღებით უსმენდნენ. ტერომ ფრთხილად შემოაღო კარები. ფეხსაცმელები გარეთ დაეტოვებინა და შინ ნაქსოვი შავი წინდებით უხმაუროდ დადიოდა. თავშალი გადაიძრო, დაიქნია და ისევ მოიხვია. ცეცხლისაგან მოშორებით დაჯდა. მწვანე, ცივ თვალებს არ ახამხამებდა — რაღაც ფიქრში იყო გართული.

— რა ამბავი, ზურალ? — ჰკითხა თემრავმა.

— უშხვანებთან ვიყავი. საახალწლო არაყი უნდა გამოვხადოთ...

ტერომ ლადოს ელაპარაკებოდა. მწვანე თვალები ჩაიციებით მიეშტერებინა მისთვის.

— რაო, მერე? — თქვა თემრავმა.

— არ ცალიათ არაყისათვის, — ტერომ გვერდულად ჩაიღიმა უსისხლო ტუჩებით და ისევ ლადოს მიუბრუნდა, — ჩოფე მოვარდა. ქეთუს კლავდა. ძლივს გააშვებინეს...

ლადო წამოხტა.

— რა თქვი?

— კლავდა, — მშრალად გაიმეორა ტერომ.

— ზურალ, გაგიყდი? — თემრავმა ხმას აუწია. ტერომ არც მიპხვდა.

— ქეთუს ვიღაც სხვა ყვარებია, — ამბობდა ცივი ღიმილით და თვალს არ აშორებდა ლადოს. მაწისას გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

— გაირყვნა ახალგაზრდობა! — თქვა ისევ ტერომ.

— ჩაქუცი! — წამოიძახა თემრავმა, — რა გესმის შენ!

— ჰო, ჰო მარტო შენ გესმის ყველაფერი, — ხელები გაშალა ტერომ, — ვიწერია წიგნებში.

თემრავმა ნალვლიანად გაიღიმა.

— ისიც თქვეს, ვინც ყვარებია, — ტერო ლადოს უყურებდა, — გაასულე-  
ლა დინა. თვითონ რა ენალვლება, ადგე-  
ბა და წაევა. იკითხოს ქეთუმ...

— მოცილდით აქედან — უყვირა  
თემრავმა სმენად გადაქცეულ ბავშვებს,  
— შენც! — მიუბრუნდა მაწისას.

ბავშვები მორჩილად გაილაღნენ მეო-  
რე ოთახში. მაწისამ მძულვარებით გად-  
მოხედა ბიძას, ამაყად გავიდა.

ლადო იჭდა ნირწამხდარი.

— შეან რეღენი, მარე, რეღენი შეან!  
მიუბრუნდა ტერო თემრავს;

აღლევებისაგან, ჩამომკვანარ, ყვითელ  
ღაწეებზე მორუხო ტალეები გამოაყარა.

— ლადო, ნუ მიაქცევ ყურადღებას,  
— თქვა თემრავმა, — რამე მოვიფიქ-  
როთ...

— ყველაფერი მოფიქრებულია, —  
უპასუბა ლადომ მშვიდად.

ადგა, თავის ოთახში გავიდა. სიცივე  
და აუტანელი ღუმელი იყო. ფანჯრის  
მინებზე ხანტად ცურდებოდნენ წყლია-  
ნი ფანტელები.

მაგიდაზე კონვერტი შენიშნა. მამის-  
გან იყო. სასწრაფოდ გახსნა. მამა თავშე-  
კავებულად უჩიოდა სიბერეს, მარტო-  
ობას ველარ ვუძღვებო და, არდადეგები-  
სათვის, თუ გზები არ დაიკეტებოდა,  
რამდენიმე დღით ჩასვლას სთხოვდა.  
ლადოს ცრემლები მოადგა...

### თავი მათთ

ღირექტორმა კაბინეტში იხმო ლა-  
დო. ზარის დარეკვას ცოტადა აკლდა,  
ლადოს ხელში ეჭირა მეცხრე კლასის  
ყურნალი.

— დაბრძანდით.

— გაკვეთილი მაქვს, — უთბრა ლა-  
დომ.

— დაბრძანდით, — ცივად გაუმეო-  
რა ღირექტორმა.

ლადო დაჯდა. ღირექტორს ყველა  
დიღზე შებნეული სამხედრო კიტელი

ეცვა. პლარა, სწორი თმა მუხტუნავი ქო-  
ნდა ჩამოშლილი, ჩოფის მკვანარ

— ლაბარაკი მინდა შენთან, — თქვა  
მან.

— გისმენთ.

ღირექტორი ფიქრობდა როგორ და-  
ეწყო.

— გეტყვი პირდაპირ: შენი ჩამოსე-  
ლა არ გამხარებია!

და დაუმატა:

— გნახე თუ არა, მივხვდი რაც იყა-  
ვი.

— მართლა? — ლადოს ჩაეცინა.

— მაშინ არაფერი მითქვამს. არც  
მერე. მძულს ბევრი ლაბარაკი. შეგონა  
მასწავლებლად მანაც ივარგებდი. აბა!

— ვერ ვივარგე?

— ბავშვების ტყეში ტარება და რა-  
ღაც ყვაილების გროვება თუ მასწავ-  
ლებლობაა, კი!

ლადო ძლივს მოერია უცბად მოვარ-  
დნილ აღლევებს.

— ტყეშიც შეიძლება სწავლება,  
ზოგჯერ ასე უკეთ გამოდის.

— სიცრუეა ეგ!

— გააჩნია, ვისთვის როგორ, —  
მშვიდად თქვა ლადომ.

ორივემ იცოდა, რაც ითქვა, მხოლოდ  
შესავალი იყო. მთავარი აწი უნდა თქმუ-  
ლიყო. ლელავდნენ, მაგრამ არ იმჩინე-  
დნენ. ღირექტორი ფანჯარს მისწვდა და  
ფურცელზე უანგარიშოდ მოკყვა რგო-  
ლების გამოყვანას. დიდი, წითელი ხე-  
ლები ჰქონდა.

— ვერ გამოვიდა: რა კაცი ხარ? ვინ  
ხარ? — ჩაილაპარაკა თავისთვის.

— მეც მაგის გასაგებად ჩამოვედი, —  
ლადომ გაიღიმა.

— და ჩვენით გინდა გაიგო?

— ასე გამოდის.

ღირექტორმა წარბები აჭიმა, მოგო-  
ძო სახეზე ვაოცებამ თუ ბრავმა აპკრა.

— ზოგ-ზოგებში არ აგერიოს ვანო  
ვეზდენი! — ხმას აუწია.

— არ ამერევა, — ბეჯითად თქვა  
ლადომ, — არაფრით არ ამერევა.

მთავარი მანაც არ იყო ნათქვამი.

<sup>1</sup> შეან რეღენი, მარე, რეღენი შეან — სვანე-  
თი ირღვევა, კაცო, ირღვევა სვანეთი.



— იაშვილო!

ლადო მშვიდად ელოდა.

— რა გინდა ჩემ ძმასთან, თქვე პირ-  
დაპირ!

— ძნელია მაგის ახსნა, — თქვა ლა-  
დომ.

— იაშვილო, გათხოვილ ქალს მეო-  
რეჯერ თხოულობ? წერამ თუ აგიტანი!

— მოდი ერთ რამეში შევთანხმ-  
დეთ...

„მთავარია არ ავღელდე. ავღელვება  
არ შეიძლება“.

— რაზე შევთანხმდე მე შენთან?  
ოჯახი შეაგინე, წესი და რიგი შეაგინე,  
ვინ გაპატიებს ამას? უუ, თემრაზ, გა-  
ნანებ, თუ ვყოფილვარ ვანო ვეზდენი!  
— თემრაზ რა შუაშია? — გაეჭ-  
ვირა ლადომ.

— მა! ის მე ვაცი! ერთს ვეტყვი:  
სგანები სტუმართოყვარე ხალხი ვართ,  
მარა... წადი! გირჩევე, წახვიდე!

ლადომ შეამჩნია, დირექტორს ხმა-  
ში თხოვნა გაერია.

— თუ შენით წახვალ, განათლებაში  
მე მოვაგვარებ საქმეს. მეტი რა გინდა?

— მეტი არაფერი, — ლადომ ავღე-  
ბულად გაიღიმა, — სხვა რაღა უნდა  
მინდოდეს?

დირექტორმა შევებით ამოისუნთქა,  
უხაროდა ასე ავფილად რომ დაიყო-  
ლია. „შეშინდა. ანა რა ეგონა?“ დასარ-  
წმუნებლად ერთხელ კიდევ ჩაეკითხა:

— წახვალ მაღია?<sup>1</sup>

— უშეშვლად, ხვალვე.

დირექტორმა შუბლი გაიხსნა.

— მესტიაში მე გაგიკეთებ საქმეს.

— ო, დიდი მადლობა, — უთხრა ლა-  
დომ და თავი დახარა.

როცა კაბინეტიდან გამოვიდა და  
კლასისაკენ წავიდა, უკვე გადაჭრით  
იყო — მართლაც უნდა წასულიყო.  
მაგრამ როგორ შეატყობინოს ქეთუს?

ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ.  
მათ ბუნდოვანი მითქმა-მოთქმიდან იყო-  
დნენ, რომ დირექტორსა და მასწავლე-  
ბელს შორის უსიამოვნება იყო ჩამოვა-

რდნილი და, ცხადია, ლადოს მხარე უმჯობე-  
რათ, რადგან ვერც კი წარმართულია  
თუ ლადო მასწავლებელი ვინმესთან  
მტყუანი იქნებოდა, ან უსამართლოდ  
მოიჭკეოდა.

ისინი იმ ასაკში იყვნენ, როცა საყ-  
ვარელი მასწავლებლის სიტყვას თუ სა-  
ქმეს, მოწაფეები განუსჯელად იღებენ  
და მთელი გულითაც ენდობიან. ამ  
დროს, ჩვეულებრივ, არც იციან, თუ რა-  
ტომ უყვართ მასწავლებელი ასე თავგა-  
მოდებით. უყვართ და მეტი არაფერი.

ამაზე ლადოც ხშირად დაფიქრებუ-  
ლა: — რით დავიმსახურე ასეთი სიყვარ-  
ულიო. მართალია, მას შეეძლო მთე-  
ლი გაკვეთილის განმავლობაში ზეპირად  
ეკითხა „ბაბტრონი“, ან ფეხბურთი  
ეთამაშა ბავშვებთან, ან კიდევ, ტყეში  
ეხეტიალა მათთან ერთად და, საერთოდ,  
ბავშვთა ცხოვრების ისეთი მხარეებით  
დიანტერესებულყო, რომლითაც მას-  
წავლებლები იშვიათად ინტერესდებიან,  
მაგრამ ყოველივე ეს ლადოს ხასიათის  
ბუნებრივი თვისება იყო და ამიტომ სა-  
თვალაუშოც ვეღარ ავღებდა...

კლასს უმასწავლებლობა არ ერტო-  
ბოდა. ბავშვები წყნარად ისხდნენ ად-  
გილებზე. ლადოს შემოსვლამ ყველა  
გაახარა. თვლებში შესცქეროდნენ, —  
უნდოდათ მისი განწყობილება ამოც-  
ნით და ამის მიხედვით მოქცეულიყ-  
ვნენ. ლადო მიხვდა და ახლა, როცა სა-  
ბოლოოდ გადასწყვიტა აქედან წასვლა,  
უცებ იგრძნო, — ენანებოდა ბავშვების  
დატოვება. ძალიან ენანებოდა.

რა ხელად გაიბრძინა ამ ოთხმა თვემ!

სახალისო იყო მათთან მუშაობა. ლა-  
დო ხშირად ლამეებს ტეხდა ფიქრში,  
თუ როგორ ესწავლებინა ამ ჰკვიანი, და-  
მყოლი ბავშვებისათვის. ალბათ, ვერ  
იცავდა სწავლების მეთოდის ყველა  
მითითებას, მაგრამ გაკვეთილები მაინც  
საინტერესო გამოუდიოდა. ლადო ამას  
მოწაფეების გაბრწყინებული სახეები-  
დან გებულობდა და კმაყოფილი იყო, —  
შეგრძნებდა იმისა, რომ სასარგებლო საქ-

<sup>1</sup> მაღია — ხომ კი.

მეს აკეთებდა, თვითდაჯერებას ჰმატებდა.

ახლა კი, უნდა მიატოვოს ყველაფერი და წავიდეს. ნაღველი შემოაწვია. თან მეორე ფიქრიც არ ასვენებდა: „დღესვე თუ არ წავედი, გვიან იქნება; როგორ გავაგებინო ქეთუს?“

და უცებ, გაახსენდა: — „მაწისა! ბარათს გავატან. ეკვს ვერაფერს მიიტანს!“  
ბავშვებს მიუბრუნდა:

— ამის შემდეგ კიდევ გაქვთ გაკვეთილი?

— არა...

— ერთი ფურცელი მომეცით.

მაწისამ ყველას დაასწრო.

— დასვენებაზე ჩემთან მოდი, — ჩაულაპარაკა ლადომ.

— კი.

ლადო ფანჯარასთან მივიდა, ავტოკალამი ამოიღო, რამდენიმე სიტყვა დაწერა და ქალაღი სამკუთხედად დაკეცა.

— მე წავიღებ, მასწავლებელო! — წამოხტა მერზიდან კოსტა.

— რას?

— მაგ წერილს, მასწავლებელო.

— სად წაიღებ?

— სადაც შეტყვი, მასწავლებელო.

ლადოს გაეღიმა.

— არა, კოსტა, დაქექი.

კოსტამ წყენით აიწურა მხრები. ბავშვები იციინოდნენ. ლადოს პირველი გაკვეთილი გაახსენდა. მაშინ გაუძნელდა ბავშვებთან საერთო ენის გამონახვა, ახლა კი ხუთი თითივით იცნობდა თითველ მოწაფეს და მათთან ურთიერთობა მხოლოდ სიხარულის მომნიჭებელი იყო. იცოდა, ვინ როგორ ახროვებდა, ვის რა აწუხებდა, ან რა უღონბდა, ვინ ვისზე იყო შეყვარებული. კოსტა, მაგალითად, გრძელ-გრძელ სამიჯნურო ლექსებს უწერდა გოგოებს, თუმცა მათემიტიკა უფრო ემარჯვებოდა...

ზარი დაირეკა.

— მოდი ეს დღე ასე დავიხსოვოთ, — თქვა ლადომ,

კიდევ უნდოდა რალაცის თქმა, მაგრამ ყელში მოწოლილმა გრძობამ არ მისცა საშუალება. ბავშვებს არაფერი

ესმოდათ.

— დაისვენეთ, — <sup>ქართულში,</sup> ~~ქვეყნის~~ <sup>ქვეყნის</sup> ლადომ, — დაისვენეთ.

ბავშვები ზღაპრით წამოდგნენ. რას არ მისცემდა თვითველი მათგანი, ოღონდ გაეგო ლადო მასწავლებლის უფუნებობის მიზეზი. როცა კლასში აღარავინ დარჩა, მაწისა მორიდებით მიუახლოვდა ლადოს.

— სათხოვარი მაქვს შენთან, — უთხრა ლადომ, — შემისრულებ?

— კი, — წაიჭრუნულა მაწისამ.

— ეს წერილი ქეთუს უნდა გადასცე. მაწისას ცივმა ჭრუანტელმა დაუარა.

— თუ ბიბლიოთეკაში არ იყოს, სახლში მიდი. წერილი არავინ გინახოს! მიხედი?

ლადოს უნდოდა გაეფრთხილებინა — შენ თვითონაც ნუ წაიკითხავო, მაგრამ არ უთხრა. მაწისამ უჩუმრად აიღო პალტო და თავშალი და თავდაღუნული გაემართა კარისკენ.

— მოიცა!

მაწისა მორჩილად შედგა. ლადომ თითი ამოსღო ნიკაპქვეშ, თავი აუწია და თვალეშში ჩახედა. მაწისას დიდი, ბღღვრიალა თვალები ცრემლებით ჰქონდა სავეს. ლადომ შუბლზე აკოცა. მაწისა ფეთიანივით მიაწყდა უკან.

— კარგი, წადი! — და გაიფიქრა: „უცნაური ბავშვია“.

მაწისა სირბილით გაიჭრა დერეფანში, კედელთან ჩამწკრივებულ ამხანაგებს ჩაურბინა და თოვლიან ეზოში გავიდა. ბარათი ხელში ჰქონდა დაკეშული. როცა სკოლა თვალს მიეფარა, ამოიღო, ცახცახით გახსნა. თვალები აუჭრელდა... მერმე ისევ გაიქცა, მდულარე ცრემლებს გაყინული თითებით იწმენდა...

• • •

შინსკენ მიმავალ ლადოს კოლმეურნეობის სატვირთო მანქანა წამოეწია. კაბინის კარი გაიღო და თავმჯდომარემ გამოყო ბოზობიანი თავი.

— მოდი, ჩქარა, დაქექი, — დაუძახა ლადოს.

ლადო კიბეზე ახტა. საჭესთან ჩოფე იჭდა. მანქანა ერთ ადგილას აბულრაფ-

და, მერე თუხთუხით დაიძრა. მოყინულ თოვლზე სვლა უჭირდა და ბორბლებზე დახვეული ჯაჭვები გამაყრუებლად ჩხარუნობდა.

— რაა ხარ? გაგყინა სვანურმა ზამთარმა?

— ეორა „გადაკრული“ იყო.

— თბილისში მივდივარ, — ხმამაღლა თქვა ლადომ, რომ ჩოფესაც გაეგონა.

— თბილისში? რა გინდა თბილისში, არაყი არ გყოფნის, თუ ხორცი? — იცი-ნოდა ეორა.

— შენ სულ არაყი გელანდება.

— აბა რა მოშელანდოს? წიგნები? კაი, თუ გიყვარდე. მოიცა, მართლა მი-ღნობარ?

— მართლა.

ლადო ჩოფეს უყურებდა, უნდოდა გაეგო, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე ეს ამბავი. ჩოფე შუბლშეკრული ატრიალებდა საჭეს დიდი, წითელი ხე-ლებით და ხმას არ იღებდა.

— აბა, ჩოფეს ქორწილს ვერ დაესწ-რები? — ეორამ თვალი ჩაუტკრა.

— როდისაა?

— ევირას.

— ო, ვერა. მე ხვალ მივდივარ. მან-ქანას მათხოვებ?

— ჩოფეს არ აუბეღია.

— მოგაკვდეს ჩემი თავი! „კოლხოზ-ნიკი“ დამიმტვრია იმ შობელქაღალმა ფრანკულმა. ამას თუ იკადრებ, მიირთ-ვი.

— ვიკადრებო? რომელი დადემჭე-ლიანი მე მნახე?

— ჩოფემ მუშტი დაკრა საჭეს.

— მე არ წაიყვან.

— რატომ, ბიჭო? — გაიკვირვა ეო-რამ.

— იცი შენი

— ა, გამახსენდა. ვინ გაძალეხს, სი მარე, ფრანკულს ვეტყვი;

მერე ლადოს მიუბრუნდა:

— წამსვლელ-ღამირჩენი არ ცაღღეც-რძელათ?

— ახლა?

— ახლა, აბა როდის?

— კი ბატონო, — თქვა ლადომ, — მალე თემრაზიც ამოვა.

— უჰ, აგაშენა ღმერთმა. ვეღლით კიდეც. გააჩერე, ბიჭო.

მანქანა მოწყვეტით გაჩერდა, ეორა და ლადო გადმოვიდნენ და ბორბლები-საგან ავარდნილ თეთრ ბუჭში გაეხვიე-ნენ. ლადომ მკლავში გამოსდო ხელი ეორას და თოვლში ვიწროდ გაკვალულ გზაზე წაიყვანა.

— მართლა არაყის სურვილი კი არ მახრჩობს! გამაგებინე, რას აპირებ? —

— ამალამ მივდივართ.

— ო, მიშველ ლადელ სი. მეგონა იპა-რებოდი და მეწყინა. აბა მიგყავს?

— მიმყავს.

— კაცი ყოფილხარ!

— ცხენი მჭირდება, — უთხრა ლა-დომ.

— სი მარე, მაგი გედარდება? ხუთს გიშოვნი თუ გინდა! — თქვა ეორამ და უცებ, გამყივანი ხმით, მეგრული მაყ-რული წამოიჩყო:

ვი ჰეე დლოო, ეჩჩხი ბედნიერიო...

— მზიარული კაცი ხარ, ეორა, — თქვა ლადომ.

— მზიარული უნდა იყო ცხოვრება-ში. სიკვდილითაც მზიარულად უნდა მოკვდე, რა გგონია შენი! — იმა-ხდა ეორა, — წამო, წამო, ახლა მართ-ლა გვეკუთვნის „ქალაქში“!

აბა ეჩჩხი ბედნიერი ვი ვოიდა...

მალლობზე თეთრი სახლები საკვამუ-რებიდან აბოლებდნენ.

ყინვისაგან ლურჯად ავარგარებული უშმა მთელი ტანით ჩანდა და გაღიშე-ბულ ლადოს რწმენით ავსებდა.

თავი მეთერთმეტი

ტეროს და ბავშვებს ეძინათ.

აივნიდან ფრთხილი ნაბიჯების ხმა მოისმა. ლადომ და თემრაზმა სწრაფად ჩაიარეს კიბე. ზურგჩანთა და ჩემოდანი მიჰქონდათ.

ფეხის ხმაზე მაწისა ლოგინიდან წა-მობტა და ფანჯარას ეცა სახით მიეკრა შეკვირხლულ მინას. ევრაფერი გაარჩია. ტეროს გაღვიძებისა ეშინოდა, სახეზე



ხელები აიფარა და უხმოდ, მხრების ძაგმაგით აქვითინდა.

გვიანდა იყო სინანული.

ლადოს ბარათი ქეთუს ჰქონდა.

მაწისას ახლადაფეთქილი ქალწულის ვნებით შესძულდა ქეთუ. ტანი აუესო ენინანი, დაუცმაყოფილებელი სურვილებით. რა გააკეთოს, რომ ლადო დაბრუნდეს? იყვიროს სოფლის გასაგონად? კაცები გამოცვივდებიან და ქეთუს უკანვე წამოათრევენ. ლადოს?... ლადოს?..

— ღმერთმა დაიფაროს!..

შეაკანკალა.

ტეროს ძილში ჩაუსმა კენესა. მისმა მწვანე თვალებმა ბნელში კატის თვალებივით გაანათა, მაწისა დაინახა და სწრაფად მოსინჯა გვერდით ადგილი, სადაც თემრახ ეგულებოდა.

— იმთუ აჩად ისგუ ბაბა?!

თეთრპერანგინანი ტერო მოჩვენებას ჰგავდა. ლოკინიდან გადმოხტა და მხრებში ჩააფრინდა მაწისას.

— დემექ ჭესმია, დინა!?

— ქეთუ უნდა მოიტაცონ, — დუნედ თქვა მაწისამ.

— რას ამბობი ვინ?

— ლადო მასწავლებელმა და ბუბამ.

— უ, ქელეფენი! — ტერომ ზიზლით ჰკრა ხელი, — ადრე ვერ მოიხარო?

მაწისას ხმადალი კვითინი აუვარდა. სულს ძლივს ითქვამდა. ტეროს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, ტანსაცმელს მივარდა. მწვანე თვალები უელავდა.

\*\*\*

უშმა არ ჩანდა, მაგრამ იგრძნობოდა. მოლოდინით აფორიაქებული ლადო უმიზნოდ დაბიჯებდა გატკეპნილ თოვლზე, თემრახს სადავით ეჭირა ცხენი. ფერდობზე, ჩაბნელებული სახლების სილუეტები გარინდულიყვნენ. იქიდან უნდა მოსულიყო ქეთუ.

— დიზში გიორგი შუკვანი იკითხე, ცხენი იმას დაუტოვე, — თქვა თემრახმა.

— კარგი.

— უორას სახელით მიდი.

— კარგი.

— დიზში ზშირია მანქანები. ხვალ საღამოს ზუგდიდში იქნებით.

— რატომ არ მოდის? — თქვა ლადომ, — ჰა?

— ალბათ, გვიან დაიძინეს...

ლადომ მოსართავეები მოუჭირა ცხენს, მერმე ზურგჩანთა და ჩემოდანი უნაგირზე მიაკრა. ეს საქმე მალე შემოაღნა ხელში. ქეთუ მაინც არ ჩანდა.

— როდემდე ვიყოთ ასე?

— მოვა, — მშვიდად თქვა თემრახმა, — სადაცაა მოვა. და უცხად ინატრა:

— ნეტა მეც თქვენთან მოვდივარ!..

ეს ისე გულწრფელად იყო ნათქვამი, ლადომ საპასუხო სიტყვები ვერ მოძებნა. თემრახ, თითქოს ხმადალა ფიქრობსო, განაგრძობდა:

— თავისუფალი ხარ ჩიტვიით... წახვალ, დაიწყებ ახალ ცხოვრებას...

უეცრად ქეთუ გამოჩნდა, სწრაფი სიარულისაგან გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ლადოს მოუთმენლად წაეტანა მკლავზე.

— წავიდეთ, ჩქარა!

— ჰო, წავიდეთ...

— პასპორტი წამოვიღე და ექვსასი პანეთი, — უჩერებულა ქეთუმ, — შენ შეინახე.

ლადომ უბის ვიბეში ჩაიდო. მიხვდა, ქეთუ ქვეყნის დასასრულამდე გაპყვებოდა და მადლიერებით აივსო, თემრახს ადვირი გამოართვა.

— აბა, შეჭექი!

— ჯერ ფეხით წამოვალ, — უთხრა ქეთუმ, — შენთან ერთად.

— მაშინ დავიძრათ!

ქეთუმ პალტოს ქამარზე მოკიდა ხელი.

თემრახ განზე იდგა. ნადვლიანი ღიმილი არ შორდებოდა. თავი როგორღაც ზედმეტად იგრძნო და გული ჩასწყდა. რაღაც ისეთი გადიოდა მისი სულიდან, რასაც ველარასოდეს დაიბრუნებდა. წინ

1 სად წავიდა ბიძაშენი?

2 არ ვესმის ვაგო?



იყო მსგავსი დღეების უსასრულო რიგი და... მეტი არაფერი.

— ბედნიერად გეულოთ, — თქვა ჩუმაღ.

ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— მშვიდობით!

— მშვიდობით...

მიმავლები სწრაფად გაითქვიფნენ სიბნელეში.

უშვა არ ჩანდა, მხოლოდ იგრძნობოდა...

\* \* \*

ლადოს უზანგი ეკირა და მხარით ეკეროდა ქეთუს წვივს. ძლივს მიათრევდა გათოშილ, დამძიმებულ ფეხებს. თვითელი ნაბიჯი მწარე ტყვიულად უჭდებოდა. მაინც მიდიოდნენ. ჟუზიანი, თოვლით გადაგლეხილი მთები სულის შემხუთავი და ნალექის მომგვრელი იყო. მთვარე არ ჩანდა. ვარსკვლავები მეჩხრად ბეჭტავდნენ.

გაყინულ სინემეს დაპატარავებული ენგურის ყრუ შუილი არღვევდა. ლადო უფრო მკვიდროდ მიეხუტა ცხენის ბუცივს. სახეზე ცივი ოფლი ჩამოსდიოდა და ტუჩები მლამე ჰქონდა.

სადამეშიშვებელი ცხენი ნელა მიიკვლევდა გზას აბოზოლავებულ თოვლში. ქეთუმ იცოდა, — უჭირდა ლადოს, მაგრამ ზედმეტი თანაგრძნობით გაღიზიანებასაც ერიდებოდა. მოფუთნული შალიდან ცხელი ხელი გამოჰყო და მზრუნველად მოსწმინდა ოფლი. შეგრძნება ერთად ყოფნისა, ორივეს ამხნევებდა.

— ლადო, არ დაეოსვენოთ? — გაუბედა ბოლოს.

— არა. გათენებისას დიზში უნდა ჩავიდეთ.

— დაღლილი ხარ, ლადო.

— ვიაროთ.

— რა ხანია მოვდოვართ?

— არ ვიცი, ალბათ ხუთი საუკუნე; ან ათი! გეშინია?

— არა, ლადო.

— მაღლობელი ვარ.

ცხენი რომ არ ყოფილიყო, ლადო წა-

იქცეოდა. ზურგჩანთის ჯიბედან, *ქრუსულო* ნი ბოთლი ამოიღო და მოიტკბა: *ჩაქმეკა* მერ გათბა.

— შენი ჰირიმი, ცოტა შევისვენოთ...

— არა! — ლადომ კბილები დაკრიჭა, თუ დავჯექი, ველარ ავდგები.

— დაღლილი ხარ, ლადო.

ლაპარაკი ეზარებოდა. ქეთუთოები ეწებებოდნენ ერთმანეთს. „აბა, შენ იცი, ცხენო, ვიაროთ... გავუძლოთ...“ — ფიჭობდა ნაწვეტ-ნაწვეტ. უნდოდა ქეთუსათვის ეთქვა, მეძინებო, მაგრამ დაეზარა. ლოყა ცხენის ოფლიან კოსერს მიაღო, თვით, რბილ ბურანში გაეხვია. უცებ, ფეხი წამოკრა კოლობს და უმწეოდ დავარდა პირქვე. სიამის მომგვრელი იყო შეგრძნება წოლისა. სხეულმა მომთენთავი ბეუილი დაუწყო და ლადო მთელი არსებით მინებდა ძილს...

ცხენი გაჩერდა.

შიშისათვის დრო აღარ იყო. ქეთუ უნაგარიდან გადმოხტა, ჩაჩოქა და წვლებით მოახერხა მძიმე, მოღუწებული სხეულის პირალმა გადმობრუნება.

სახარლად ყინავდა. ირგვლივ, ახირხლული, გადათოვლილი მთების მეტი არაფერი იყო. ქეთუ ცაბცაზმა აიტანა. გაუბედავად ატირდა. ცხენი მოუთმენლად ფრუტუნებდა. მერმე თავი ასწია და შესჭინვინა გაჭვავებულ სივრცეს. ეს იყო საშინელი ბგერები, რომლის გამოძახილი მთების ხარზარს ჰგავდა.

ლადო შეხტა. თვალეები უპაროდ გაახილა.

— როგორ ბნელა, — თქვა ჩურჩულით.

— გაიღვიძე? შენი ჰირიმი, გაიღვიძე?

— დიდ ხანს მეძინა?

— არა! არა!

— ავდგეთ; გათენებისას დიზში უნდა ვიყოთ.

— ახლა შენ შეჯექი, ლადო, გენაცვალე...

— არა! — ჩიუტად თქვა ლადომ, — სიარულში უნდა გავხურდე.

— მაშინ არც მე შეეცდები.

ლადო ათრეული ნაბიჯებით მივიდა ცხენთან, კისერზე ხელი მოჰკიდა და დრუნჩზე აკოცა.

ლამე ცივ, ნოტიო თითებს აფათურებდა მათ სახეებზე. ახლა რომ გადაწმენდილიყო ეს შემზუთველი სიბნელე და ლურჯ ცაზე გამოჩენილიყო ჩაბჩაბა, დიდი მზე...

— მზე მინდა, ქეთო!

— მეც მინდა მზე. — თქვა ქეთომ ცრემლებს ყლაპვით.

გზას არ უჩანდა დასასრული.

• • •

ქეთოს ლადოს მკერდზე ჰქონდა სახე მიხუტებული, კანკალებდა. ლადომ თმები გადაუწია, აკოცა გაყინულ, დახეთ-

ქილ ტუჩებში. ჩაეკრწინა და გარინდნენ.


მზუტავი ვარსკვლავები თანდათან მიილიბრნენ. ზეცას მღვრიე ისი შეეპარა და მიდამომ რუბ, ცივ ერთფეროვნებაში ჩაჰყვინთა.

და უცებ, ორივენი წამოხტნენ. აშკარად მოესმათ აღმართში, ყმულით ამომავალი მანქანის ხმა.

— ვაიმე, ლადო, — ამოიკვნესა ქეთომ.

მანქანის ყმული ახლა სულ ახლოს ჩამოდა. ისმოდა ბორბლებზე შემოხვეული ჯაჭვების ჩახუნცი.

— ხომ არ მეჩვენება? — გაიფიქრა ლადომ, ყურებზე იტაცა ხელები; მანქანამ აღმართი ამოიგაჯა და შუქის სვეტებით ერთბაშად გაანათა ბურუსიანი არემარე.



კარო კარაძე

როგორ იცვალა შენი სოფელი...

როგორ იცვალა შენი სოფელი,  
როგორ იღვიძებს დილა, უყურეთ:  
მე და ვარსკვლავებმა უქრობელმა  
ციცქარმა ერთად ავაგუგუნეთ!  
ცას, განა მხოლოდ ფრენოსანთ კვალი—  
შორი სიმღერის კვალიც აჩნია,—  
მიშქრალ ოცნებებს მიაგნებს თვალი  
ლაქეარი ისე გაუხანჯლია...  
არა, ანძებით ზე—ამართული  
სოფელი ახლა ძველ სოფელს არ ჰგავს,  
მაგრამ სიახლე ახალგაზრდული  
მას ქართულ იერს არ დაუკარგავს!  
თეთრი შარვლები აცვიათ ხეებს,  
სახელო-მოკლე მაისურები,  
შვენით მზის შუქი და მებაღებებს  
გვიმზერენ შუქით დაისრულები.  
გაზაფხულია... და ესმით ლაღი  
დილის ვარჯიში ბლებსა და ვაშლებს,  
ხელებ-აწვდილი ისე დგას ბაღი—  
თითქოს ასროლილ ბურთს შესთამაშებს!  
მეც თითქოს განგებ აქ დამასახლა,  
აქ მიმიჩინა მყუდრო ალაგი  
და ღია ციდან ეს არი, ახლა  
გველაპარაკა დედა-ქალაქი...

დავო მკაღაშვილი

ყ ა ბ ა ხ ი \*

თავი მესამე

1

სამხრობისას უცებ ჩამოხველა. სპეროზადან აშლილი ნისლეები პანკისის ხეობაში ჩაწვენენ და კინაღამ აღვინამდე უწიეს. კეპანესა და ფურთალოს მხრებიდან დაძრული ღრუბლები პირიშისაზე დალაგდნენ. ალაზნისა და სტორის ხეობებიდან გამოვარდნილი ქარები ფშავლის ბოლოს შეერთდნენ და მერე საღამომდე რეგავდნენ ქალისპირს.

იღვა ნიკო მჭიდროდ დაგმანულ ფანჯარასთან და იქიდან უცქეროდა ძალა-მოჭარბებულ სტიქიონს.

შუა-სარმა შეგდებულ მოჭიდავესავით ბარბაცებდნენ მოზარდი ხეები. ელუწებოდათ ტოტები ხანში შესულ ვაშლებსა და მსხლებს. ყაბა-ყუბით ცვიოდა ნაყოფი და წითელ-ყვითლად ეფინებოდა ნაგვალეუ მიწას. ერთადერთი დიდი წაბლი იღვა წარბშუუხრელად და ძალოვან მხრებზე ილუწდა მოვარდნილ ქარაშოტს.

აგრეა ცხოვრებაშიც: მხოლოდ ისა დგას ფეხზე მაგრად, ვისაც ფესვები მაგრად გაუდგამს მშობელ მიწაში. ქარიშხლიანი იყო გზა ყრმობიდან დღევანდელ დღემდის. ყველა მხარეს იხრებოდა შიშელასავით და არც ერთხელ არ გადატეხილა. ფეხშიშველმა გამოვლო ეკლიანი გზა. ახლა კი იმ წაბლივით არი გაბარჯლული და გამაგრე-

ბული. ვინ არიან სოფლის ბიჭ-ბუჭები? რაიონიდან ვერ უჩნიათ ძვრა. რა ეშმაკად ეუბნებოდა უარს: დაე, მოვიდნენ. უფრო ახლოს იქნებიან და თუ დასჭირდა... კარგი მოჭიდავეც მუდამ ახლოს უშვებს მეტოქეს. დაე, მოვიდნენ, — კოლმეურნეობას ყოველი მუშახელი ერთ რამედ უღირს. ყველაფერი კი რევაზიდან დაიწყო. არა, არ უნდა შეეგუებინა ეგრე. ეგრე არ უნდა დაეახლოვებინა: თხუთმეტი წლისაც არ იქნებოდა მაშინ თამრიკო. უყვარდა წიგნები და უცხო ამბები. დედასავით მგრძნობიარე იყო ბალღობიდანვე. როგორ უხაროდა ხოლმე რევაზის მოსვლა... ყოველთვის მოუცლელი იყო, ყოველთვის საერთო საქმეს ჩაპკირკიტებდა. საკუთარი კი... იქნებ ამას მოყვა შემდეგ ყველაფერი? აარა! ეს ბიჭი სხვა ჯილაგისაა. ამ ამბამდეც ეურჩებოდა და მუდამ გაიწვერა იყო მას რატომ აპარპაშებს აქამდე? ნუთუ იმიტომ, რომ მისგან სიცოცხლით არი დავალებული? მომბახურებელია ამდენი ლოლიავი, უკვე სამაგიერო ბევრით გადაუხადა. აი, აივანი მოათავა და ახლა იმ ოთახსაც მართავს. ასეთი სახლი კი ბევრს თელავშიც არ ექნება. ვისთვის აკეთებს ყველაფერს ამას? ნუთუ იმისთვის? მართას უნახავს წყაროზე ერთად, რატომ თინამ არა უთხრა რა? იქნებ თვითონ მამიდა უწყობს ხელსა? არა ჰგონია, არც იგეთი სულელია მისი და. თუმცა ვინ იცის, დედაკაცისას გაიგებ რამეს?.. იქნებ არ უნდა დაეშალნა? — შებერვით ცეცხლი უფრო ძლიერდება ჩაქრობის ნაცვლად. დაუ-

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 5.

შელობაც არ იქნებოდა, მაგრამ ახალგაზრდობისათვის განა არსებობს დაბრკოლება? თვითონ ვინ იყო? — უბრალო მოჯამაგირე და „ხაზინის“ ქალის სიყვარული კი გაბედა. ახლა სხვა დროა, სხვა სიო უბერავს.

ბაღში კვლავ შოლტავდა ხეებს ქარი. ბაღს იქით რუბ-ლურჯად აპრილებდა საგულდაგულოდ დაგვილ შარავნას. პირქვე ემხოზოდნენ ფიჩხი-ლობიოს გადახნილი ჭიკოვები, მიწას ეკვრებოდნენ სიმინდის ღერები და ისევ იკლავებოდა გრილი საბერველის ქვეშ ნაყოფდაბლერტილი ხეხილი.

კვლავ წინ მოიწვედა ნისლის ყიამეთი. პირიშისიდან ღრუბლის ყორეები მოიმხვლეოდნენ. ერთბაშად ჩადგა ქარი. ხეებმა მხრები შეიბღერტეს და გაყუჩდნენ დაძაბულ მოლოდინში. თვალმისაწიერამდე იღვა სიჩუმე.

მთელი ცა შავად ჩამოიძენა. სადღაც სახურავს ზევით მუქარით არუხრუნდა.

ტანტიგორადან მოიგრაგნებოდა ღრუბლის კენაპეტი და აქოჩრილ თავზე ელვის ნაწყვეტებს მოიგრებდა ავი ტყაცანით.

წვიმის ნატრული დედამიწა ნელი ზმორებთ მიილუშა ვნებიანი დედაყაცივით.

სადღაც საშინლად იტეკა, რუხრუხი გაძლიერდა და ახლა მთელი ცა ჩამოსაქცევად გრაგანებდა.

ავმა მხარმა უთხრა ნიკოს, თითონაც არა ნაკლებ მოღრუბლული გაყურებდა ხეთა ფოთლებს, როგორ იწვედნენ ძირს წვიმის მსხვილი წვეთების დარტყმაზე. მერე ჭეკა-ქუხილი ერთ გაბმულ გუგუნად იტყა და ფანჯარაში მაქქერალის მახვილ ყურს მისწვდა, როგორ ძლიერდებოდა და ახლოვდებოდა გულის გამყინავი, ამაზრზენი ხვივილი. ნასროლი კენჭის ხმაზე გაიხმაურა ერთგან კრამიტმა, შემდეგ მგორებგან, მალე მესამესაც დაეცა და მერე ნელ-ნელა გახშირდა კაკუნი.

ძია ნიკომ ერთი ხელის გაცვრით ჩა-

მოათარა ფარდა ფანჯარას და მისი გავიდა.

საწვიმარ წამოსხმული თამარი მამიდას მიკვროდა და ნაღვლიანი თვლით უცქეროდა ეზოში მოხშირებული სორხოშელის ცეკვას.

— ღმერთო, ღმერთო, ღმერთო! — ჩურჩულებდა თინა და უფრო ფუთნიდა ძმისწულს საწვიმარში.

უცებ მთელ სოფელზე გაიბა გუგუნ-ხვივილი. სახურავზე ცხენების რემამ დაიწყო სირბილი, კრამიტებს ჩახაჩუხი აუტყდათ და წმინდა ელიამ მთელი ძალით მიუშვა ეტლი.

მოპირქუშებული უცქეროდა ნიკო, როგორ იღვწებოდა რტოები ცერის სიმსხო სეტყვის ქვეშ. ერთმანეთში ირუოდა ქარს გადარჩენილი ნაყოფი და დაჩენხვეილი ფოთოლი, ხეივნის რქას მოწყვიტილი მტევანი და მტევანს აგლევილი კუფხალი. ბროლის ნამსხვრევებში აითქვიფა ვასრესილი მარცვლები და სულ რაღაც ორიოდ წუთში ცივმა მინანქარმა დაფარა მიმკვლარებული ქალისპირი.

— ღმერთო, ღმერთო, ღმერთო! ღმერთო, შენი მადლის ჭირიძე, — ჩურჩულებდა თინა და ნიკომ თვალი მოაკრა, ხელუკულმა როგორ ისროლა ზედადგარი აივნიდან მიქელანთ სანდრუს ცოლმა.

რუხრუხი მიწელდა, სეტყვამ თანდათან გადაიღო. ნაფარეულსკენ წაიღო ხვივილი და შაქრიანს იქით ჩაიჩუმქრა.

და წუთით, მხოლოდ წუთით, შემზარავი სიჩუმე დაწვა სოფელს.

ნიკომ შეიღს საწვიმარი აართვა, მკაცრად დაუბარა, შინ შედიო, და კიბეზე დაეშვა.

გზადაგზა ამხნევდა სახლის აივნებსა, სათონეებსა, საჩეხებსა და მარნის კარებთან პირქუშად მდგარ ოჯახის დედაბოძებს. თავპირი ჩამოსტიროდათ კაბის კალთაზე ბალღებ-ჩაბღაუქებულ მათი ბალიშის მონახვერეებს.

ფეხშიშველა წვრილფეხა გოგოები კეპი კოჭებამდე ურევდნენ ფეხებს

გაუმდნარი სეტყვის ზვირნიშში და სიხარულით წიკვინებდნენ.

სოფლის ბიოლოსვე დაქვეითდა ნიკო. გონიერი პირუტყვი თითქოს გრძნობდა მომხდარ უბედურებას, თავჩაქინდრული მორჩილად მიჰყვებოდა მძიმე ნაბიჯით წინ მიმავალ პატრონს.

ქარისაგან მოცლილ სიმინდებს ფოთლის სამოსი შემოფრეწოდათ. ჭიგოებივით გასხებილიყვნენ თავჩაქინდრული მხესუმზირები. ალაგ-ალავ გერბემაღ ვადამტვრეულებს ყინულში არეულ სიმწვანეში წაერგოთ განიერი კალათები.

ზერის დასაწყისში შედგა და დიდხანს გაკუყრებდა წაქცეულ სარებსა და სარზე აგლეჯილ მავთულებს, ძირს დაფენილ შაბიამნით დაფორეჯებულ ფოთლის ნაფლეთებს და შემრეწილ ყურძენს.

დაუნანებლად ჩაყრილი სადაფრით ბრჭყვიალებდა მწკრივებშუა სეტყვის თეთრი ზოლი. უნიათოდ მიჰკროდნენ მავთულებს დაბეგვილი რქები და აქა-იქ ქანაობდა პწკალზე დაკიდებული დაღწილი ლერწი.

მიჰყვებოდა განიერ საურმეს ნიკო. მიხარაშუნებდა ნათარეშალ მიწაზე ცივი წყლით გაიეებულ ტუფლებს.

მსუსხავი სიგრილე მოდიოდა კულტივირებული რიგთაშორისებიდან და ახალგამოთოხნილი ვაზის ძირებიდან.

თავგადაკაფულ თელასთან შეჩერდა და ცხენიც შეაჩერა. დიდხანს იდგა და უმზერდა დაკორძილი საფერავის ძირას სეტყვის გროვამი ჩოჭზე დაცემულ კაცს, რომელიც ლურჯად შემღვრეულ მტევნებს კრფდა მიწიდან და ისევ მავთულზე ჰკიდებდა. კაცს ხელები უკანკალუბდა, გაუბარსავ ყელზე ზორზი დროდადრო აუღ-ჩაუდიოდა და თანაც არღაცას ბურღლუნებდა ჩუმად თავისთვის. ნიკომ იცნო ვარდუაანთ იოსება, მივიდა, სადავე იქვე მღვარი ქოხის ბოძს ვადაავდო და თითონაც ვაზებში შეერია.

იოსებამ ფეხის ხმაზე თავი აიღო. ამ-

ღვრეული თვალი თბებდა მწკრივების შევლო. არაფერი უთქვამს, მხოლოდ მუტაში შეგრთვილი მარცვლები ვეება ხელის გულზე გაშალა და მერე თითების თრთოლვით ძირს სათითაოდ ჩამოაბნია.

ნიკოს ყელში რალაც მოაწვა გორგალივით. ყბების კუნთები დაქიმა, კბილი კბილს დააჭირა და გორგალი უკანვე ჩააბრუნა. მევენახესთვის არც შეუხედავს. მსხვილი თითები განიერ ზურგზე რამდენჯერმე ფრთხილად მოუთათუნა და ჩახუფრული თვალებით განზე, შორს, ალაზნის ვაღმა გაიხედა.

იოსება მძიმედ წამოდგა, ცალი ხელით ნაჭრილობევი მუხლი ნელა გაიზილა და მწკრივების ბოლოსაყენ სეტყვის ბილიკს ლაჭუნით გაუყვა.

უხმოდვე გამობრუნდა უკან თავმჯდომარე და ცხენი ახსნა ქოხის ბოძიდან. გვერდზე გაუარა ყინულის საფანტით ძირმოკალულ თაღარს და ვენახის ნაპირს დაუყვია თავქვე.

ქვევით მწკრივებიდან ვილაც გამოვიდა. ნაპირის სარზე ტალახიანი ფეხსაცმელი გაიწმინდა და ზევით გამოსწია.

ნიკომ რევახად შეიცნო. შედგა. მერე მობრუნდა და უზანგში ფეხი გაუყარა. ცხენი რიყეზე ჩაიყვანა და ბერხევას ვაღმა გასასვლელად ააჩქარა. მშვიდობით ავიდა კლდეს ჩამოლადრულ ბილიკზე და უკან მობრუნებულმა თვალი ჰკიდა სველ კალაპოტში როგორ მოგორავდა მსხუილით ახლად მოვარდნილი ბერხევა. წყალი რუხი-თიხისფერი იყო და პირზე მოგდებული ტოტები, ნარიყი, ფოთოლ-ბალახი, სეტყვის მარცვლები და ჭუჭყიანი ქაფი მოჰქონდა.

სალამო ხანს ცამ ისევ მოხსნა პირი. ჯერ ნელ-ნელა ეინეღავდა, მერე კი დააწყო მამა-პაპურად.

მარტოღმარტო იჯდა ნიკო თავის ვეებერთელა კაბინეტში. მაგიდაზე შეკრული მუშტი დაედო, ამ მუშტზე მეორე მუშტიც დაეყოლებინა და ზედ ნიკაპი ჩამოედო. ფანჯრიდან მოჩანდა, რო-





გორ ლუმპავდა წვიმა ყურებჩამოყრილ ცაცხვს, როგორ ჩუჩუნებდა ბამბუჯის პატარა რაყაში და შეუწყვეტელ ნაკადად როგორ ჩხრიალებდა, კრამიტებიდან ძირს ჩამოდენილი.

უცნაური განმარტოების გრძნობას მოეცვა კაბინეტში მყოფი. გულში რაღაც, ნაღველზე მწარე დუღდა და გადმოდიოდა. და როდესაც წვიმისაგან მთლად გაწუწული შავლეგო შემოვიდა, მაინც ვახსენდა სამეგრელოს ჭკვიანი მთავარი, რომელმაც, მიუხედავად ძნელი ავადმყოფობისა, თურქთა ცბიერი ელჩების მიღება გადასწყვიტა და პირში საფანტები ჩაიწყო. სცადა გაღიმება, მაგრამ არ გამოუვიდა. არც მოსულს უჩანდა საღიმილო პირი.

— საბედის კაკალს მეზი დასცემია და სახურავზე გადმოხრილი ტოტი მოუხლეჩია.

ნიკო ნაღვლიანად უტყუროდა პირისპირ მჯდომს.

— ტოტი სახურავს დასცემია და თავზე ჩაუმტვრევია.

თავმჯდომარე სკამის ზურგს მიესვენა.

— თავზე და კავები ქერს დასცემიან და თან ჩაუტანიათ.

ნიკო კვლავ მაგიდაზე გადმოიხარა.

— ქერი სახლის პატრონს დასცემია და იქ მყოფ აგრონომს ძლივს გადაურჩენია.

თავმჯდომარე წამოდგა, საწვიმრის კალთები უკან მოიგდო და ხელები შარვლის ჯიბეებში გაიყარა. ნელა დადიოდა წინ და უკან: ჩაფიქრებული, ჩუმი და ამინდივით უღიმდამო. მერე ფანჯარას მიადგა და წვიმის გაბმულ ღარებს უყურებდა კარგა ხანს.

— მადლობა ღმერთს, რომ გადაარჩენილა.

— გზაზე მოდენილ ჩახრიალას წყალს ღობე გაურღვევია და გომური პირამდე გაუღვსია. ძლივს გადაკვეტევიცოდი, რომ აქ იქნებოდი და შემოვიარე.

— ეხლა სად არი თითონ საბედა?

— აგრონომს წაუყვანია თავისი თავმჯდომარე იდგა და კვლავ მდებარე უმზერდა, როგორ კენწლავდნენ წვიმის წვეთები ფანჯრის მინებს. დიდხანს უმზერდა. შემდეგ გამობრუნდა და კვლავ ბოლთის ცემა დაიწყო.

— ამგვარ ამინდში კარგი პატრონი ძაღლს გარეთ არ გაავადებს. თქვი, რამდენი კაცი და რა მასალა დაგვირდება. — თავმჯდომარე თავის სკამზე დაჯდა, წვიმით გაყიებული ქუდი მინაზე დაადო და თვალები სახეზე ჩამოსმულ ხელისგულებში ჩაშალა.

— ხალხი არ დამჭირდება. მხოლოდ ორი დურგალი მომეცი ერთი დღით, ოთხი ცალი კოჭი, თავზე, დირე და ორმოციოდე კავი. ლამფა ცოტაოდენი. კრამიტი მაინცდამაინც ბევრი არ დამტვრეულა. რაც დააკლდება, რევაზიდან წავიდებ. ვიცი ბლომად აქვს. ჯერ არ დასჭირდება, მაშინ დაეუბრუნებთ, როცა სახლის მშენებლობას დაიწყებს. რევაზის ხსენებაზე ნიკომ სახეს ხელები მოაკილა და თვალების წაქურვით გახედა შველეგოს.

სტუმრის მზერა ცივი, მკაცრი და პირქუში იყო, ხოლო ხმას მბრძანებლური იერი დაჰკრავდა.

„დასწყევლოს ღმერთმა, ხომ არ შეიშალა ეს ბიჭი! ითხოვს, თუ... მოითხოვს?“

— ალატოზს არ წაიყვან?

— არ მინდა, ქვეთარის კედელი მთელია დარჩენილი.

თავმჯდომარე ისევ წამოდგა სკამიდან და კვლავ დიდხანს დადიოდა ოთახში თავჩაქინდრული. მერე შავლეგოსთან მივიდა, მხარზე ხელი ორიოდეჯერ მსუბუქად დაარტყა და ფანჯარაში სევდიანად გაიხედა.

— რას იზამ, წაილე, რასაც ითხოვ. კლუბისთვის მჭონდა დახერხილი და გამზადებული. მასწავლებლები ქვაქვისი შეგროვებაში მებმარებოდნენ. ამ გაზაფხულზევე ვაპირებდი დაწყებას. კარგი შემოდგომის იმედი მჭონდა. ვენახებს კარგად ესხა. ყურძენს ბლო-

მად ჩაებაარებდი ნაფარეულში. წევრებზედაც კარგად ვაგანაწილებდი. ღვინო ბლომად იქნებოდა, არაყიც. ცოტა ხელს გაიმართავდა გლეხკაცი. მუშაობას ვულს დაუდებდა. ეხლა კი... თითქოს მე ვიყო დამნაშავე, არ ვიცი, ხვალ რა პირით შევხედო ხალხსა... სისულელე ვქენი, ვითომ ფულს გაუფრთხილდი. რომ დამეზღვივა წელს ვენახები, ცოტა შეღავათს მაინც მომცემდა. ძალიან მიეჭარე. ყოველ წელს ვაზღვევდი. წელს კი ეშმაკი შემინდა. ფული მინდოდა ვადამერჩინა. ზოგიერთ სოფელს საკუთარი აბანოცა აქვს, მე კი კლუბი ვერ ავაშენე... რაღა უნდა ვაგანაწილო? რიღათი ვაგვიყვან კოლმეურნის სამუშაოდ? გლეხკაცს ერთი ფილოსოფია აქვს: უდგას ჯამი და ჩაყურებს. აევისება—მღერის, დაეცლება — ტირის.

მოსული დიდხანს იყო ჩუმად. მერე წამოდგა, მადლობა გადაიხადა და დაემშვიდობა.

— როდინან აპირებ? — კარებთან მიიწვდინა ძია ნიკომ.

— როგორც კი წვიმა გადაიღებს და მიწასაც ცოტა პირი წაუშრება.

თავმჯდომარე ცოტა ხანს გაყუჩდა და მერე ყოყმანით თითქოს სხვათაშორის იკითხა:

— იმ დედაკაცს სხვა ხომ არაფერი უქირს?... საჭმელი... ან...

სტუმარმა კრუტა თვალეში ვერაფერი ამოიკითხა და პასუხი დააყოვნა.

— არა მგონია, — და კარი გაიხურა.

## 2.

სამჭერა სცადა ილუამ წყალში შესვლა და სამჭერვე უკან გამობრუნდა. მეოთხედ კიდევ წაუბედნავა გულმა, მაგრამ კოჭში ქვა მოხვდა და რის ვივავლახით ამოწაახუნდა ნაპირზე.

შავი ტალახისფერი მოდიოდა ლოპოტა. თითქმის გაეცხო კალაპოტი. ხრავუნით მოაგორებდა ქვებსა და ლოდებს. ალაგ-ალაგ იტოტებოდა, მაგრამ

ამ ტოტებიდან ერთი, რომელიც მაინც გაუვალი იყო მეჭურჭლე-მჭურჭლე მანქანა, აღარც ურემი და არც ვინმე ფეხით მოსიარულე მოჩანდა რიყის ნაპირას. ეტყობოდა, შოფრებს ვაგვით გზის წახდენა და ახმეტიდან უვლიდნენ, ახალ ხილზე. მხოლოდ ორი თუ სამი ბიჭი ცოდვილობდა წყალში სანახევროდ ჩაძირულ „პობედასთან“.

წყლისპირა ქვაზე ჩამოჯდა ილუა და ნატყენი კოჭი გაისინჯა. გალურჯებოდა და ოდნავ სტენდა. გამხმარი კანქუების შავ ბალახზე რუხ შლამნარევი მღვრიე წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. გაქნაჭულ მუხლებზე ხელი უნდოდა გადაისვა და შარვალი უფრო ზევით აიკარწახა.

გუშინდელს აქეთ შემორჩა შაქრიანელ ნათლიამამსთან პურმარილს და დღესაც კინაღამ იქ დაუღამდა. კიდევ კარგი, ვანკა-მღვდელს შეპირებული დროზე გაახსენდა. რა უშავს, ერთი ორი კვირითაც აღრე რომ ავიდეს თეთრ გიორგში, მაინც თავზე საყრელი იქნება მლოცველი. ჭობელასა და ვანკას კი სველი ხელადა არ დაეღვეათ.

ქისა მოიხმრეკა და დიდად გაოცებული დარჩა, როცა თამბაქოს ნამცეცსაც ვერ მიაგნო. ყალიონი ისევ ქამარში გაიყარა და მიიხედ-მოიხედა. ნაპირზე კაცის ქაჭანება არ იყო. მანქანასთან მოჩალიჩე ბიჭებს კი შეიძლება არც პაპიროსი ჰქონდათ და თუნდაც ჰქონდათ, ჯანა ამ ხევიელ-შხუილში ხმას მიიწვდენდა? ან ვინ ეშმაკი გამოსტოპავდა იქიდან აქ ამ ახირებული და უადგილო თხოვნის შესასრულებლად?

მაგრამ არა უშავს, აი, ვინმე ღვთისნიერი გამოივლის და გაიყვანს, ან იქნებ ურემიც გამოჩნდეს. მერე იქვე სანიორის მაღაზიაში შეივლის და ზედიზედ მოსწვევს სამ ჩიბუხს ერთად.

ჯიბეში ხელი ჩაიყო, დიდხანს აფათურა შიგა და ახლა მეორე ჯიბეში გადაინაცვლა.

აი, უბედურება თუ გინდა! მთელ ტანზე ასხმული ყველა ჯიბე მოიქექა,



მაგრამ გროსსაც ვერსაით მიაყვლია. ცოტა ხანს შეიცადა და ისევ მოსინჯა. სასწაული არ მომხდარყო. შეიძლება უღვინოდ გაძლოს კაცმა, მაგრამ უთამბაქოოდ? ცა მოღრუბლულია, შეიძლება კიდევ იწვიმოს, გზაზე გაღმაც კი არაფერს ვაჭანებს. მალაზის ნოქარს კი სულაც არ იცნობს. ან ვინ სულელი ენდობა ნისილ მთავრობის საქონელს?

გასიებულ ქვედა ქუთუთოებში ლობოტასავით ამღვრეული თვალები წყენით ააპარბალა და ქვედა ტუჩი ქვიჩვირით ჩამოუვარდა. ახლა რომ ნატერის თვალი მისცა, ჯერ თამბაქოს ინატრებდა და მერე ზაჭროს, რომ აღიდგებულ წყალში გაეყვანა. აფსუს, სად არი ეზლა ის დევის ნახევარი!

ჩაფიქრდა. ხომ არა სჯობდა ისევ უკან დაბრუნებულიყო? თამბაქოსაც იშოვიდა და საწრუპავსაც. ლობოტა მთის წყალია. შეიძლება ამაღამ არც იწვიმოს. ხვალე ჩამოჯდება და მერე დაუხმარებლადაც ვაფა. მაგრამ შაქრიანამდე მისთვის პატარა მანძილი კი არ არი. არა უშავს, იჯდება აქა და კიდევ დაიციდის. თუ შემოაღამდა, აქვე, ნაფარულში მივა ვისთანმე. — ქართველ კაცს ოღონდ სტუმარი აუჩინდეს და სულს არ დაზოგავს.

ხელები მუხლებზე დაილაგა, ზედ ნიკაბი ჩამოდო და წყალს დააკვირდა, როგორი დარუებული მოდიოდა შუა დინებაში.

ერთხანს იყო ასე გაყუჩებული და მერე იმითი გაერთო, რომ წყალმა თვალი უქცია და ახლა თითონ გარბოდა ჯდომელა აღმა.

კარგა ხნის შემდეგ წყლის შხუილში დურდური გააჩნია და თავი აიღო.

ოთხი თუ ხუთი დედაკაცი მოუყვებოდა ნაპირს. წინ მომავალი ხან წყალს უცქეროდა და ხან ნაპირთან მჯდომს. მერე თავზედაც წამოადგა და შეჩერდა.

— შენ რას აკეთებ აქა?

ილუას უნდოდა ეთქვა, ციგის ფეხებსა ვთლიო, მაგრამ გადაიფიქრა და შემოიხველი შეათვალღერა. ზორზოხა დე-

დაკაცი იყო. სახედაქორფულად ექვეყნებოდა ცხვირბრტყელი. უზარმაზარი გზააღრებივით ელაგა ბამბაზის კაბაში და ძვალმსხვილი მკლავები მხარზე გადაგდებული ხურჯინის თვალზე ჩამოეწყო. ხმის კილოზე მიხვდა, რომ ოსები იყვნენ და თავში ცუდლუტური აზრი მოუვიდა.

— ზო არ დაგიყრუვდი, კაცო, არ გესმის შენა? რას აკეთებ აქა?

ილუამ დანარჩენი ოთხი შეათვალღერა და ორი მათგანი საიმედოდ ჩათვალა.

— რას უნდა ვაკეთებდე, ვერა ხედავ, რომ ხალხი გამყავს და გამომყავს? დედაკაცმა მეჭურჭლე თვლით გაზომა, მერე შიშველ კანკებზე დახედა და თავისიანებს რაღაც გადაულაპარაკა. ცოტა ხანს ერთმანეთში იჭუჭღუნეს და მერე ზორზოხა გამყავს-გამომყავს მიუბრუნდა.

— რამდენი გამოგართმევ?  
მეჭურჭლემ წარბი შეიკრა.

— აქ დუქანი კი არ არი, არ იცით, რო თითო სულზე მანეთია?

დედაკაცებმა კიდევ ითათბირეს, მერე უბიდანა და სახელოებიდან დაძრობილი მანეთიანები ილუას ჩაუთვალეს.

მეჭურჭლემ წყლის პირას გაამწკრივა თავისი არმია და თითონ წინ გენერალივით ჩაუარა.

—სამა მარცხენა მკლავში ჩამჭიდეთ ხელი და ორმა მარჯვენაში. — ზორზოხა გამოარჩია და გვერდით ქვევიდან მოიყენა. — აფსუს, რომ ჩვენ ფერმაში არა ხარ! წველაღობის გეგმას ორი თვით აღრე შევასრულებდით. — მერე ასწავლა: — მაგრად წამველეთ და სანამ არ წაიქცეთ, ხელი არ გამიშვათ.

პირველად ზორზოხამ დაიხადა ფეხთ, დაიკალთავა და თეთრი, ბარაქიანი წვივები გამოაჩინა.

გამწკრივდნენ და კედელივით შეტოპეს წყალში.

პირველი სამი ტოტი, ღვთის წყალობით, კარგად გაიარეს. მეოთხემ და უკანასკნელმა კი გულში შიში ჩაუღვარათ

და მუხლები დაუძახუნათ. შუაში მიმავალი მეჭურჭლე ერთბაშად ჩაეშვა სიღრმეში და დედაკაცებს ციმციმ რომ არ აეწივნათ, ალაზნამდე ისე ატარებდა წყალი, თავს ზევით არ ამოაყოფინებდა:

ისტობარი არ გაიტეხა, მობრუნდა და შეუწყრა: თქვენი ბრალია, რატომ არ ჩამომყვებითო.

გაიარეს შუამდინარება და ის იყო ნაპირზე გასვლას აპირებდნენ, რომ პატარა, ხმელ დედაკაცს ქვაზე ფეხი დაუსხლტა, წაბარბაცდა და ხელი გაეშვა. აკვილდნენ დანარჩენები და შეიცხადეს.

მეჭურჭლემ მოასწრო მშრალზე ასვლა. მობრუნდა იქიდან და თვალი მოჰკრა, ზვირთებმა ფეხები როგორ გამოთქრიფეს და წააქციეს.

დედაკაცი ლოდს ჩაებღაუტა.

ზორზობამ ხურჯინი რიყეზე დააგდო და ახალ ქარონს მუშტი ცხვირთან დაუტრიალა.

— ეხლავე გამოგიყვანე!

მეჭურჭლემ ერთი კიდევ გახედა წაქცეულს, ხალათის ჯიბე მშვიდად გაიხსნა და ფული პატროსნად დააბრუნა.

— საფერავის მადლმა, ჩემ სიცოცხლეში ნაარმალი არ მიჭამია, — ხელი ჩაიქნია და შარვალს მისწვდა გასაწურად. — გაუშვი, მაგისი მანეთიც მაკლდეს.

### 3.

მართამ ქვაბი ვადმოდგა. მოხარული ქათამი ლამბაქზე ვადმოიღო და ნივრის ფცქვნა დაიწყო.

სპილოსძვლისფერი ნივრის კბილები ერთიმეორის მიყოლებით ცვიოდნენ ფილში.

ყვითელი, მორუხოტალებიანი კატა ზმორებით წამოდგა ბუხართან, ვაიჭიმა, ზანტად დაამთქნარა, მაგიდისაკენ დაიძრა და პატრონის იქით შედგა. დედაკაცმა ავი თვალით შეხედა.

თავების სულთამხუთავი იქვე დაეცუა, ტუჩები ხაოიანი ენით ხარ-

ბად მოილოკა და მწვანე ფეხებით გულალმა დაცემული ქვეყნის მთელს ელაკულ ბარკლებს ალერსიანად გაუღიმა. ავარდნილი ორთქლის მოტყბო სუნი სასიამოვნოდ უღტიენებდა ნესტოებს.

დაბალ ჰერზე მიკრული ელნათურა თმების გუნჯალსა და შავგვრემან კისერზე ჩახახებდა. ხვავიან ბეჭებზე ვაშლის ყვავილებიანი ჩითის კაბა ვადაკიმულიყო. მოკლე სახელოებიდან თეთრი, სავსე მკლავები ანათებდნენ.

ყოველთვის უყვარდა ნიკოს, როცა ჭოპელას რძალი ამ კაბით დახვდებოდა. მაშინ რაღაცენაირად ნაზი და ალერსიანი იყო მთელი ღამის განმავლობაში. ამ ბოლო დღეებში კი მისი სახლის გზა აიშამბა, თუმცა მამამთილი მთელი კვირაა — თეთრი-გიორგში ვადასახლდა. დღეს მალაზიასთან შეხვედრისას კი სიტყვა ვადაუდგო, რომ ამაღამ მისი სტუმარი იქნებოდა. ღმერთო, რა არი მარტოხელა ქალის ცხოვრება. ლოდინი, ლოდინი, ლოდინი და დაუსრულებელი ლოდინი... ღვინო ორი თუ სამი ბოთლიდა შემორჩა, მაგრამ არა უშავს, შეიძლება ამაღამ თითონ მოაყოლოს. ქვეყანაზე ორი რამ უყვარს ნიკოს: მართა და ცივად მოხარშული დედალი ნივრით. და არასოდეს დანით დაჭრილი. ხოლო როცა შეღვინიანდება, თავისივე ხელით აჭმევს მასაც. მაგრამ მხოლოდ კვირაობით არი ასეთი ბედნიერი. ღმერთო, რატომ კვირაში შევიდევ დღე კვირა არ არი! მობეზრდა გულისგამაწყვალბებელი მარტოდ გათეული ღამეები. რატომ უნდა დაიშრიტოს ჯერ კიდევ ეგრე ახალგაზრდა, სისხლითა და ხორციით სავსე სხეული. ეს ბებერი ლომი, მართალია, ერთ ახალგაზრდას კიდევ ვასცევთავს, მაგრამ მართას საკუთარი უნდა, მხოლოდ საკუთარი, რომელიც ყოველ საღამოს მისი ძველი ფიქრულის დერეფანში მიაყუდებს თოხს. ყოველ საღამოს იგრძნობს გვერდში ვაზის ლერწმის, სიმინდის ქეჩიჩისა და ოფლის მომწარო სუნთან შერეულ მამაკა-

ცის ესოდენ სასიამოვნო სუნს. მიწისა, ფოთლებისა და ბალახის გამაბრუნებელ სუნს.

მართამ ნიორი დაარჩია და ფილთაქვას გადასწვდა ხუთიოდე წუთის ზტოდა ფილი ქალის კალთაში. მერე დანაყული ნიორი ამოიღო და ძმრით შეახავა. დროდადრო ბოსტნისკენ გაქრილ ფანჯარას გახედავდა და სმენას დამაბედა.

გარეთ კვლავ წვიმა ჩხრიალებდა. ქარი ხამუშ-ხამუშ გაჰკრავდა ფრთას ეზოში დარგულ კვიპაროსს, ჩამოძვრებოდა ბუხარში და მისუსტებული ცეცხლის ალს აბარბაცებდა.

საშინელებათა ლოდინი, გულის გამაწვრილებელი ლოდინი. წარა-მარა აყურადებდა, მაგრამ ბოსტანში მხოლოდ ქარი და წვიმა განაგრძობდა თავის ლამეულ კალმასობას.

დედალს ორთქლი დაელია და კატას ნერწყვი. ცეცხლი მიინავლა. საჭირო გახდა შეშის წამატება და შეჩინჩხალედა.

წამოდგა და სუფრის გაწყობა დაიწყო. პამიდორით სავსე ბადია გადმოიღო და სალათის გაკეთებან შეუდგა.

ჯერ ხახვიც არ დაექრა, რომ კარებზე დააკაუნეს.

მართას დანა ზელში შეაცივდა.

„ვინ უნდა იყოს? ნიკოს არასოდეს კარზე არ დაუკაუნებია, — ფრთხილად მოვა, ბოსტნის მხრიდან ფანჯრის გულზე სამჯერ, ზოლო აქეთ-იქით მინებზე თითოჯერ დაჰკრავს წყნარად თითხა და, თუ შეგნიდანაც ასეთივე პასუხი მიიღო, მაშასადამე, მამამთილი სახლში არ არი. ეს კი ვილაც გზა აბნეულია. ჭანდაბაშიამც წასულა. რა დროს ეხლა სტუმრობათ, რას იტყვის ნიკო, სახლში რომ ვინმე უცხო ნახოს მოსვლისას?“

მცირე ხნის შემდეგ ისევ დააკაუნეს და დაიძახეს კიდევ:

— ეგრე ადრე რამ დაგაძინებდა, გიგა, გიგა, გააღე კარები!

მართამ ხმაზე იცნო მონადირე და დაფაცურდა:

ქათამი განჯინაში დამალა, მაგიდა გადაასუფთავა და თანაც დროის გასათრევად შიგნიდან დაუძახა:

— რომელი ხარ, რაღა დროს ეხლა სტუმრობათ?

— განა სტუმარს ეგრე ტყბილად დებულობენ ჰალისპირში? გააღე, თორემ ლამის გავითოშო, დედაკაცო.

ამგვარ ამინდში ნადირსაც კი ჰერი არ დაეჭირება, მაგრამ რას იტყვის, ნიკომ რომ მოუხწროს? რამ ამოიყვანა ეს გაგარეულელებული კაცი ამ დროს სოფლის თავში?

— გადი, ძაღლო, რა ფეხებში მეხლართები. პა, რა დაგემართათ, კაცო, მიშეგებთ თუ არა?

როდესაც ქალმა ყოველგვარი კვალი გააქრო ვახშმის სამზადისისა, მობრუნდა და რაზას წაეტანა.

— კაცო ხარ?

— ამ სალაშომდის კაცო ვიყავ და, ეხლა თუ არ შემისვებ და არ გამოთბობ, სახვალიოდ მძორი ვიქნები.

მართამ რაზა ამოავდო.

ღია კარში თავით-ფეხამდე წვიმიით გალუმალმა კაცმა მძიმედ გადააღაჯა ზღურბლსა და მიესალმა.

— აქა მშვიდობა.

— გავიმარჯოს, — უნდომლად წაიბუზღუნა ჰოპელას რძალმა, პატრონს მიყოლებული ძაღლი უკანვე გაავდო და კარი მიხურა.

— რას დაგიშავებს, შემოვიდეს, ცოდოა, ცოტა გათბება.

მასპინძელმა წარბი შეიკრა:

— მე აქ ფარეხი კი არა მაქვს. ეგ, როცა შენ თითონ გექნება სრა-სახლები, მაშინ შეიწვიე იქა.

მონადირეს აღარა უთქვამს რა, ხელი ჩაიჭნია, გაბრუნდა და ბუხრის პირას დაჯდა.

იატაზე ტალახიანი ნაფხურები და ტანსაცმლიდან ჩამონადენი წყლის კვალი დარჩა.

— ეგ ტურტლიანი ფეხები ვეღარ დაიწმინდე?

კაკომ ჩუსტებზე დაიხედა. მოიხსნა ჩანთა, იქიდან ქუქკიანი ჩვარი ამოიღო და მუხლებზე გადაბულ თოფს გულმოდგინედ დაუწყო გამშრალება.

მართა მოშორებით ტახტზე ჩამოჯდა და ამრეზილი იქიდან უთვალთვალებდა მონადირის ჩემ საქმიანობას.

გარეთ ქარი დაწანწალებდა. წვიმა სახურავსა და ფანჯრის მინებს ურტყამდა. დერეფანში დარჩენილი ძაღლი წკმუნდა, კარებს ფხაჭნიდა და სახლში შესვლას ითხოვდა.

მონადირე ხანდახან ყურს წაუგდებდა ერთგული ძაღლის ხვეწნას, მერე მასპინძელს მაყვედრებელი თვალით გახედავდა და ისევ თოფს მიუბრუნდებოდა.

მასპინძელი გოროზი და შეუვალი იყო.

— შეშა მაინც მოიტანე და ცეცხლი დაანთე. ძაღლი გარეთა კვდება სიცივით და მე შიგნით.

მართა წამოდგა და დერეფანში გავიდა.

კაკომ თოფი კუთხეში მიაყუდა, სავაზნე მოიხსნა და ბუხარს მიუფიცხდა.

ატაკუნდა შეშა, გაფიცხდა ცეცხლი და სტუმარი ოხშივარში გაახვია.

კვლავ ტახტზე იჯდა მართა და ყურები გარეთა ჰქონდა.

ბოსტნის მხარეს ფანჯარა მდუმარებდა და წვიმაში თვლემდა.

მოსულს ოთახში სიგრილე და სინესტე შემოეტანა. და არა მარტო სინესტე...

ბოლოს მასპინძლის მოვალეობამ დასძლია მდგომარეობას და გულგრილად უთხრა: პური გეშვებო.

— დილას აქეთ კბილებს ნაწილი არ უნახავთ, შუადღის შემდეგ კი კუჭი სულ პატრონის საჩივარს მღერის.

ქალმა ფანჯრის რაფაზე შემოდგმუ-

ლი ბადია მოიტანა და უნდაც მშობლის სალათა მოაყოლა.

სუფრის გაწყობას ბოლომდე აღარ დაუცადა კაკომ, ჭერ კიდეც გაუმშრალი მიეახლა მაგიდასა და ვეება პამიდორი სამაბრილეში ჩაჩარა. მზრებსა და ბეჭებზე ისეთი ორთქლი ასდიოდა, როგორც პირამზისას ნისლი ნაწვიმარზე.

უეცრად შეკრთა მონადირე, ყბა შეუჩერდა, მუხლზე ხელი დაირტყა და წამოდგა. მთელ-მთელი პური აიღო, გარეთ გაიტანა, ძაღლს მიუგდო და შემდეგ უკვე დაარხებინებული ისევ მიეძალა სუფრას.

სტუმრის მადამ მასპინძელს გაახსენა, რომ ისიც თიხისაგან იყო ნაყეთები.

— თუ მასპინძელი არ ხარობს, სტუმარსაც მოეწყინებო. შენ კი არა, ჩემთან მინისტრებს უჭამიათ პური, აიღე, რა პირში შემომციცინებ, ჩემი შეტება-რივით.

მართას გაეღიმა ამ მშვენიერ შედარებაზე და ჩანგლები მოიტანა.

ჭამდნენ ჩუმად და მადიანად.

სასიამოვნო იყო ხახვსა და მწვანოში არეული პამიდორის სალათა.

— მარლი მეტი მოგვსვლია მასპინძელი, წყალი არ გედგმება სურაში?

ჭობელას რძალი წამოდგა და წყალი მოიტანა. მერე სიჩუმე უნერხულად ჩათვალა და უბრალოდ იკითხა:

— საითა ჰყოფილხარ, აქეთ საით მოხვდი?

— მთაში ვიყავი, შავ ტყეში ვნადირობდი.

— რამდენი ხანია მესმის ეგ სახელი და ვერ გამიგია, რატომ დაურქმევიათ. ტყე მწვანე გამიგია და არა შავი.

— ყველა ტყე მწვანეა, მაგრამ იმისთანა მწვანე იშვიათია. იმოდენა ხეებით არი დაბურულნი, შიგ რომ შეხვალ, ღამესავითა ბნელა. ალბათ, იმიტომ დაურქმევიათ. აიმ ბოთლივით არი შავი.

ქალმა გაიხედა და მიხვდა, რომ ფანჯრის ძირას მიდგმული ღვინო ცუდად შეენიღბა ვახეთით.

დამვიწყებიაო, თქვა და მოიტანა.



კაკმ დაისხა და მართასაც დაუსხა. ქალმა ჭერ იუარა, მაგრამ მერე სულ-მა წასძლია და თითონაც გამოცალა ქიქა.

მძიმე-მძიმედ შეჰყვნენ. ცოტა გუნება გამოუკეთდა მასპინძელს და დაინტერესდა.

— ვერა მოჰკალი რა?

— ვერაფერი. მთელი დღე უიღბლოდ ვიარე.

— იქნება შეგხვდა და დააცდინე.

მონადირეს გამჭირდავად გაუღიმა.

— კაკოსთვის ჭერ არც თოფს უმტყუნია და არც თვალს.

— მაშ არაფერი შეგხვედრია?

— არაფერი, მხოლოდ ერთი შვლის ნუკრი ვნახე.

— ახლო არ მიგიშვა?

— როგორც აქედანა და განჯინაში რომ მოხარშული ქათამია, ეგრე მივედი, მაგრამ უდღეური იყო და არ ვესროლულე.

მართამ წარბი შეიკრა. მიხვდა, უთვალთვალა გარედანო. ბოსტნის მხარეს წვიმის შხაპუნს წაუვდო ყური, მერე თითქოს რაღაც გადაწყვიტაო, თანამესუფრეს ღიმილით მოუხედა და წამოღდა.

ნივრიანმა ქათამმა და სასმელმა მაღაუფრო გაახელა. მოკლე-მოკლე სადღეგრძელოები დაგრძელდა და ჭოპელას რძალს ახლა გაახსენდა, მისი სტუმარი მასთან ყოველ შეხვედრაზე რა ხარბი მზერით გააცილებდა ხოლმე კარგა მანძილზე. როგორი ჩუმი, ურცხვე და ნანატრი თვალით წაეაღერებოდა გათქვირულ მკერდსა და ახოვან ტანს.

ერთს მეორე ბოთლი მოჰყვა და ქალს თვალები თანდათან მოუწყლიანდა: ცნობიერებაში წამოტივტივდნენ ახლო და შორეული მოგონებები. ეჰ, ვინ იცის, თვითონ მართაც რამდენი ხანია აღევნებს თვალს საიდანღაც გადმოხვეწილი კაცის მარტობას. აი, აჰა, აბა შეხედეთ: ვითომ რითია ვინმეზე ნაკლები? იქნება მეტიც არი? მაღალი ტანი, ჭანიანი მხრები, გრძელი, ძლიე-

რი მკლავები და სწრაფი ფეხები, ვეუოთ, თუ ცალი ყბა მთელ სიგრძეზე გახეთქილი აქვს და ზედ ღილისფერი ნაიარევი გაძაბულა ჭიაყელასავით? თითქოს უხდება კიდევ. საოცარია, წინათ კი ყოველ დანახვაზე პირს გვერდზე იბრუნებდა. მხოლოდ ეგ არი, რომ გზააბნეული ვინმე ჩანს და დაუდევარი. კარგი ცოლი და კარგი ოჯახი...

— შენი სადღეგრძელო იყო, მასპინძელო. ეტყობა სიდღერსაცა ვყვარებივარ და სიმამრსაც. მხოლოდ შენ შემომხვდი წარბმეკრული და ძალიც კი არ შემომამშვევინე გასათბობად.

ქალმა სადღეგრძელო დაუმადლა.

ღვინო სხეულში ვაიშალა და ძარღვებში ტუბილი, საოცრად ტუბილი მოთენთილობა ჩაღვარა.

მართა წამოღდა, სტუმარს უცნაური მზერით გადახედა, გამოუცნობი ღიმილით გაიღიმა და კარისკენ წავიდა.

სინათლის ზოლი დერეფანში გაიჭრა.

ზღურბლთან წამომდგარმა ძაღლმა უკანა ფეხები დაჭიმა, კისერი მხრებში ჩაიძვრინა, ნაწვიმარი ბალანი საფუძვლიანად გაიბღერტა და სწრაფი ნაბიჯით სახლში შესული იატაკზე გაწვა ბუხართან.

დაფეთებული კატა განჯინის თავზე შეხტა.

ქალი გამობრუნდა და ოთხფეხა სტუმარს გამოხრული ძვლები დაუყარა.

მაგიდასთან მობრუნებულ მასპინძელს ნაღვინევმა კაცმა წელზე ხელი წაატანა.

მართას არაფერი უთქვამს. ფრთხილად, უწუმრად გააშეგბინა. მაშინ მონადირე წამოღდა და გრძელ მკლავებში მოიჭყია.

ქალი დათვივით ღონიერი ჩანდა, კვრანასავით რბილი და ირემივით სასურველი.

წინააღმდეგობა დიდი იყო, სურვილი — უზარმაზარი.

და როდესაც გახელებული სტუმარი მსუქანს, რბილსა და ცხელ ტუჩებს



მისწვდა, მასპინძელი სახსრებში მოიშალა, მოითენთა, მოიღვენთა და იქვე ტახტზე ნელი ზმორებით მიესვენა.

## 4

მოხუცი ტახტზე პირქვე იწვა. წაფარებული საბანი ზურგზე ამობურცოდა. თითქოს კუზი ვასჩენიაო. იწვა გაუნძრევლად და ოდნავ ეუტავდა უფერულ თვალებს.

შავლეგომ სალამი თქვა და იქვე დაბალ სკამზე ჩამოჯდა.

ექიმი სამფეხაზე ისე შემობრუნდა, რომ ავადმყოფიც მხედველობაში ჰყოლოდა.

ერთხანს მდუმარედ უცქეროდა მწოლიარეს შავლეგო, მერე წამოდგა და იკითხა: დღეს ჰამე თუ არა რამეო.

მოხუცს გაეღიმა.

— აქამდე მშიერს ვინ დამარჩენდა? ზურგზე, საბანქვეშ რალაც გაჩხარესდა და მიუხრდა.

— ჯერ დრო არ არი, წყნარად იწექი. თავისით უნდა მოგძვრეს.

შავლეგომ ტახტურეტი გაასწორა, ზედ გახეთი ვადააფარა და თან მოტანილი კალათა პიიჩოჩა.

— ეს შენმა ძმაცაცმა მოკარტავა.

— მე, ძკონია, ეყოფა, სანდრო.

— დაიცა, არ ვაინძრე, მე თვითონ მოვაცილი.

ექიმი საბანი გადახადა თომას და პერანგის ქვეშედან ზურგზე მოკიდებულ კოტონშები დააბრო.

— ვინ ძმაცაცმა, ბიჭო? — სიამოვნებით იცვალა გვერდი ავადმყოფმა.

— გოდერძი-პაპამ.

— როდის ჩამოვიდა?

— ჩამოუსვლელად მოვიკითხა. დედაჩემის გამზადებულა.

შავლეგო გახეთზე აწყობდა მოხარულ ქათამს, ახალგამომცვარ შოთებს, პამიდორს და პატარა ქვაბით ერბოკვერცხიან მწვანე ლობიოს. ხოლო, როდესაც სამლიტრიანი ბოთლის თავი ვა-

მოჩნდა. ბებერ მეფუტყრეს, უფერული თვალები თაფლისფერი გაუხდა.

— ეგ საღლა გიშოვნია?

— ეს საბედამ გაახლა.

— წინანდლისა და ნაფარეულის მარნები დაშრება, დაიჯერე, საბედასი კი არასოდეს.

ექიმი დაიჯერა.

— რაო, თვითონ როგორ არი? ძალიან კი გადარჩენილა.

— ძალიან.

— ისევ იმ ვოგოსთან არი?

— იმ ვოგოსთან არი.

— ჰო, რა ლეთისნიერი ვინმეა ის დალოცვილი. ნიკო სახლს უშენებსო, მართალია?

— უშენებს.

— აკი ვფიქრობდი, ჯერ მთლად არ წამხდარა ქვეყანა-მეთქი. საით რას გადაარჩინა ეგ ღვინო, საკვირველი დედაკაცია. მარანი წყლით ავსებიაო?

— არც ბევრი აკლდა ავსებას. შემთხვევით შევესწარი. მერე მივეყარე ჩემი ბიჭები და სულ ვედროებით ამოვხაპეთ.

— ღვინო?

— წვეთიც არ ჩასულიყო. ქვევრის პირს სარქველქვეშ თიხა ჰქონდა დატანებული და მალლიდანაც მიწა ეყარა.

— ზედვე აპირებთ აშენებას?

— ზედვე.

— როდის დაიწყებთ?

— დღეს თუ კაი მზე გამოვიდა, სულ გააშრობს მიწას. ხვალვე დაიწყებთ.

— ხვალამდე მეც წამოვღვები და ხელს წავახმარებთ. არა, სანდრო?

— ხვალ ისევ იწექი, სჯობია იწვე, ზეგ კი შენი ნებაა.

— იქ შენი დანახვა და საუბარი თუ გავგებარდება, თორემ დანახვა არ დაგვეკირდება. მგლებივით ბიჭები არიან, გვერდზე მიხედვასაც არ დაგაცლიან.

— საუბარი საქმეს არ შეულის, ოფლი უნდა მოიწმინდო.

— შენ ისაუბრე, ჩვენ ოფლს მოვიწ-

მენდავთ. ხშირად პატარიდან იწყებენ. ვინ იცის, ცოტა ხნის შემდეგ დიდაც შევებათ.

— მე ეჭვით არ მიიშვამს, შვილო. ღმერთმა მეტი შნო და უნარი მოგცეთ. არგი მოგიფიქრებია. შარშანწინ ბულალტერს გომური დაეგრა, მიადგენ ძალაყინა და ქოსა ვასია და მუქთად აუშენეს. დახმარება ბეჩავსა და საწყალს უნდა, თორემ ნასყიდას თითონ ეხვეწებიან ხელოსნები. — მოხუცს რაღაც კმაყოფილად ჩაეცინა. — ერთხანად კი ვფიქრობდი, რომ გლეზ-კაცის ქირ-ვარამს გულთან არ მიიტანდი.

თომამ გაშლილ სუფრაზე ანიშნა ექიმს, მაგრამ ექიმმა უარი თქვა: პურ-ნაჭამი ვარ და ამ შუადღისას ღვინოს ვერ დავლევო.

არც თუ მეორე სტუმარს აღმოაჩნდა ჭამის ხალისი.

— აბა, მე სულ არა ვარ ჭამის ხასიათზე.

— ერთი ჭიქა რომ გადაგეკრა, მადას მოგცემდა.

— გინდა, ძია თომავ, წყალში ჩავაცოებ.

— სადღაა წყალი, შვილო, გვალვამ სულ დააშრო. თუმცა, ამ ტილის შემდეგ, მგონი, ისევ მოწინააწკარებს. გახსოვს, როგორი ცივი იყო?

— მე ისიც არ დამვიწყნია, რომ მუშა ფუტკრები გარეთ გამოყრილ მამლებს სამამლე ბლარტსაც თან მიაცილებენ ხოლმე.

ბებერ მეფუტკრეს კვლავ ჩაეღიმა და სიამოვნებით გაიფიქრა: გუმანი არ გამიტყუნებიაო.

- დედაშენი ხომ კარგად არი?
- მადლობთ, არა უშავს.
- გულს კიდევ უჩივის?
- ცოტათი.
- თუ კიდევ უნდა თაფლი, წაიღე. მე კიდევამა მატებს.
- გმადლობთ, თუ დასჭირდა, წავუღებ. მაშ ჩავაციო?
- კარგი, ჩააციე. იქნება მაშინ

თქვენც მოგვევართო მადა მაგ ვილმა.

და როცა შავლეგო კვლავ შემობრუნდა, თომამ მადლობა გადაუხადა იმ ყურადღებისათვის. რომელიც წარადგებში გამოიჩინეს მისი ნამყენის გამო.

— რომ დამცლოდა, კიდევ რამდენიმე მქონდა მინიშნებული.

— სამი მაქალო დავატოვებინე და ერთიც პანტა სანამყენედ.

— მე მაგდენიც არ მახსოვს წარადგებში, — გაუხარდა ავადმყოფს. — გახადებულისათვის გავუვლი. — მცირე ხნის შემდეგ კი დაუმატა, — არ კი მეგონა, თუ იმ ქაირილეტებს ვგრე დაიმორჩილებდი.

შავლეგოს უკანასკნელი სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მძიმედ წამოდგა და საბნიდან გამოყოფილი ფეხი ისევ ლოგინში შეუჩურთა.

— ზუსტად დაცვა ექიმის რჩევისა, თორემ თავიდან მოგხდებოდა ავადმყოფობის დაწყება. ან იქნებ საქმე აღარაფერი გაქვს და ლოგინში წოლა მოგენატრა?

მებაღე ბავშვივით დაემორჩილა. მერე ნელ-ნელა სახე მოედრებულა და ტაბურეტზე დალაგებული შოთების ნახევარ მთვარეებს მიაჩერდა.

— მართლაც აღარაფერი აღარა მატებს საკეთებელი. ერთხანად წაილო სეტყვამ ყველაფერი. ზედ გამოვიღიდი და დაინახავდი. მიწა აღარა ჩანს გაყრეინებული ნაყოფის ქვეშ, ხეებს შტო და კვირტი აღარ შერჩენიათ. ყვავილები მიწაში ჩანაყა, ყურძენი რქაფოთოლში ახილა. ყველაფერი წაილო. მხოლოდ სკებს ვერა დააკლო რა. მაღალზე მედგა ყოველთვის, საფარად ხეხილი ჰქონდა. ხეხილი გაატიალა. სკებს კი ვერაფერი დააკლო. მხოლოდ ერთში შესულიყო ცოტა წყალი და მალევე მივასწარ. მას შემდეგ გავცივდი. არ მოვერიდე სეტყვას და გავცივდი. ბალი საესეა ნაალაფართ. პაპაშენს ღორი სავსეა, — გავიდე რამდენსაც შესძლებ გავუტა, ვისაც გინდა, მხო-

ლოდ. შენს მეტი ფეხს ნუ შემოდგამს ბაღში. ვერც იმ ახალმოქცეულებს ვენდობი. უთხარი რუსუდანსაც თუ გინდა. თუმცა რუსუდანს თვითონ ეყოფა თავისი ბალი თავში საცემად. რა ქნა, მე ამის მომგონის ქვევრი და მარანი! როგორ ცარიელზე დასვა ხალხი. როგორ მთელი წლის ნაამაგარზე ააღებინა ხელი.

— ყური მოვკარი: სეტყვის საწინააღმდეგოს იგონებენო. მალე, ალბათ, მაგასაც ეშველება.

— ნეტავ ვერც იყოს, შვილო, რომ ჩვენ თხას მგელი დაეჭიროს. შენ ერთი ეს მითხარი, წარაფებამდის უწია სეტყვამ?

— კონდახასეული იგრე გადასჭრა შუაზე, გეგონება, ლარი დაუღვიაო. წარაფებს გვერდი აუარა.

— მაშ ის ნამყენი გადარჩებოდა.

— გადარჩებოდა.

— ეჰ, შვილო, ნეტავ შენსავეთ ფიქრობდეს ყველა. აი, კაცი, საავადმყოფოს ბაღში თავისი ხელით ამოჭრა ორმოები, ნამყენები მე მივეცი და დავრგეთ. მარტო შემოღობვა უნდოდა. ეხვეწა, ეხვეწა თავმჯდომარეს და იმან ბაიბურად არ გაიკარა ყურთან. იმდღეს ვილაცის ცხენი შესულა ღამე და სულ გადაუმტვრევია იქაურობა. ამბობს: ერთი ცხენი იყო. ერთი ცხენი იმდენს ვერ გააფუქებდა. ან ვინ იცის, სხვა დროსაც რამდენი ძაღლი და ღორი დაეხეტება შიგნით. ვასწავლე როგორც უნდა მოქცეულიყო და ჯავახიანთ ია ორ დღეს ეზიდებოდა ჯავსა. მეორე დღეს კი აუარა ნიკომ და ლანძღვა-გინებით გამოავლო: „საქმეს გაურბინარ და მახათი იშოვეო?“ რა უნდოდა, ის კაცი შრომადღევებს არა სთხოვდა, სანდროს ჯიბე რაში ენაღვლებოდა?

— შენ არაფერი უთხარი, ძია სანდრო?

ექიმმა ზანტად აუქნია ხელი შოთზე დამჯდარ ბუზს.

— ისეთი ზრდილობიანად შემახსენა, ბალი რომ კოლმეურნეობას ეკუთვ-

ნოდა და კერძო პირს მისაღებ, არც უნდა მებოდა რა, რომ თავი დამნაშავედ ჩავთვალე.

— სანდრო განა საიქიოს თან წაიღებდა? გააკეთებდა და კოლმეურნეობაც ისარგებლებდა და ეს კაციც.

შავლეგოს გაუღიმა მეფუტკრის დაქინებაზე.

— მე არ ვამართლებ თავმჯდომარეს, მაგრამ მაგ საქმეში მინც რაღაცა ურევია კერძო მესაკუთრული.

ავადმყოფი ინახით წამოჯდა და თვლები ააპარბალა.

ექიმი წამოდგა, თომა ისევ მიაწვინა და ურჩია: არ არი საჭირო გაფიცებაო.

— ექრძომესაკუთრულიო? განა უმაგისოდ შეიძლება გაკეთდეს რამე? მთავარია დაინტერესება. გლეხს გული აკრუებული აქვს, რადგან შრომადღეზე არა ნაწილდება რა. მოსავალი თანდათან კლებულობს, რადგან გულაცრუებული კაცი ცუდად ამუშავებს მიწას. მიწაც იმითვე უხდის დამამუშავებელს, ხოლო გლეხის ოჯახი სურსათის ნაკლებობას განიცდის.

— და არა მარტო სურსათისას, — ექიმმა ნელა მოისრისა წვერი.

— გამოდის, რომ მთავარია დაინტერესება. აბა, საკარმიდამო ნაკვეთები ნახე. განა დიდი ხანია, რაც კოლმეურნეობაში მუშახელზე ნაკვეთების გაპიროვნება შემოიღეს? მემრე რა გამოვიდა? ის გამოვიდა, რომ გლეხი წაქეზდა: თუ შენი ნაკვეთიდან კარგ მოსავალს მიიღებ, პრემია მოგვეცემაო. ეხლა ყველამ იცის, რომ რამდენადაც მეტ მოსავალს მოიყვანს, იმდენად მეტი პრემია მიეცემა.

— მაშ რატომ არ აიწია მოსავალმა სოფელში?

— როგორ არ აიწია!

— მაშ რატომღა უჩივით, ცოტა ნაწილდება შრომადღეზეო?

— აი, რას გეტყვი, შვილო: როცა გლეხი თავისთვის იყო, მაშინ თვითონ ზომავდა, თვითონ ჰკრიდა და თვითონვე კერავდა. იმას არც საწყობის გამგე



სჭირდებოდა, არც ბულალტერი, არც თავმჯდომარე, არც ბრიგადირი და არც ათასი სხვა ჯანდაბა. ყველაფერი თვითონ იყო და ამდენი მუქთამუჭამელი არა ჰყავდა შესანახი. ანდუ, ჩემს მეზობლად ცხოვრობს მარკოზა და სანამ თავის მარანსა და ბედელს არ გაავსებს, შინამ კოლმეურნეობა არ გაახსენდება. და განა სხვები ნაკლებს ეზიდებიან? შარშანწინ ნიკომ ორი კაცი დააჭერინა, კონდახასეულ ვენახებში იყვნენ ყარაულდებად. დამდამობით სულ კალითა და ჯიბით ეზინათ ყურძენი შინა. შეიძლება, ვერავის გაეგო, მაგრამ სისულელე მოუვიდათ: რალაცაზე წაიჩხუბნენ და ერთიმეორე გასცეს. წყალი სათავიდან არი ამღვრელი.

— აუცილებელი არ არის სათავე, ხშირად სათავის წმინდა წყალს შენაკადები აბინძურებენ.

— დათეს როცა ქონი შემოაკლდება, სიფიციხე ემატება, — კვერი დაპკრა მეფუტკრემ.

— ბუზიც ეგრეა. ზამთრის პირას მაგრად იკბინება.

— ბუზი მარტო შემოდგომაზე იკბინება ეგრე მწარეთ, მაგრამ შინაური ტურები წლის ყოველ დროს ცდილობენ რამე ააღლიტონ კოლმეურნეობას.

— შინაურ ტურებს მოეცვლებათ, ძია თომავე, მხოლოდ ეგ არი, მაგარი ხელი უნდა.

— განა მარტო შინაური ტურებია? — გარეული მგლებიც არ აკლებენ. მაგარი ხელი უნდაო. მერე როდემდე? მანამდე, სანამ დუმიტ გაეპოხება. ზოლო რაც დუმიტ იპოხება. — რბილდება. შენ მაშინ ბალღი იყავი, მაგრამ ნიკოს თავმჯდომარეობა მაინც გეხსოვება. პაპაშენს ურმებით მიპქონდა ხოლმე სახლში პურ-ღვინო. თვითონ თავმჯდომარე არ ჰქამდა და არც სხვას უშვებდა საჭმელად. მემრე კი დრომ თავისი გააკეთა. ვერც კი შეამჩნია, როდის დაიწყო, და დღეს უკვე ვეღარ გაუნებებია თავი. მოსწყინდა მავასაც კაიკაცობა.

ხედავდა, რომ მაინც ვერ დათითონაც დაიწყო.

— მაგაში ვერ დაგეთანხმები, ძია თომავე, ალბათ, თავიდანვე ჰქონდა მიდრეკილება საპირადოსაკენ და ვერ ამჩნევდით. ხოლო თუ არა ჰქონდა, მაშინ ავკაცობის მუხრუჭები არ უვარგოდა. მაშ ამჩნევს და ხმას არ იღებს?

— ამოდენა კოლმეურნეობაში ყველას როგორ შეამჩნევ? ნაბიას ხომ იცნობ? — შაშვიანთ ნაბიას, მთელ სოფელში პირველი მეცხვარე იყო. ათასხუთასი სული ცხვარი ჰყავდა და ყოველ წელს ას სულ ღედა ცხვარზე ასათ-ასოც ბატკანს იღებდა ნამატს. ეხლა? ეხლა კოლექტივის მეცხვარეობის ფერმის გამოგვა. რაოდენობითაც ათასხუთასი ჰყავს ცხვარი, მაგრამ რას იღებს ყოველ ას სულზე? კოლმეურნეობაში შესვლის დღიდანვე იკლო ნამატმა. იკლო, იკლო, იკლო და წელს ყოველ ას სულზე ორმოცდახუთმეტი, თუ სამოცი სული მიიღეს ბატკანი. ვერც სარევიზიო კომისიამ გაუგო რამე, ვერც სპეციალურად გამოყოფილმა კომისიამ და ვერც ნიკომ, თუმცა პირადად თვითონ სამჯერ თუ ოთხჯერ დაესწრო დოლობას შირვანში. ყველაფერი წესიერად მიდიოდა და აღრიცხვით რაოდენობა არ შეცვლილა. ნაბია ირწმუნება: ცხვარი გადაავარდაო. ვინ იცის, იქნებ მართალიც არი, მაგრამ ვინ შეუცვლის უკეთესი ჯიშით? კოლმეურნეობას არც მაგისი ღონე შესწყვეს და არც ნიკოს ეხალისება.

— არ ეხალისება და თავმჯდომარედ ის დასვით, ვისაც ეხალისება. მაშინ აღარც ტურები შეგაწუხებენ და აღარც მგლები.

თომა კვლავ წამოიწია იდაყვზე. ეჭიმს ამჯერად აღარ დაუშლია, მხოლოდ საბანი ამოუჭუჭყნა კარგად ბეჭებთან.

სერგომ კიდევ ერთი ჭიქა გამოცალა და წამოდგა.

— ყური დამიგდე, — მოაბრუნა მამამ. — კარგად დააკვირდი, სხვა ძროხა არ გამოგატანონ, ამ ღვინის ფერია და ქვედა ლაშზე მარცხენა მხარეს შავი ხალი აქვს.

— ვაიმე, ვაიმე, განა ეგრეც გამოვქლიავდი? მამ გარდაიცვალოს ყარაჩოდელი გიჟუა, თუ მეძროხემ რამე „აქამოს“!

— გუშინდელი ნაყიდი ბოჩოლა ეხლავე წაიყვა და დეკეულის მავივრათ მიუყვანე იმ კაცს.

სერგომ ფეხი ფეხს მიუტყაპუნა, გაიჭიმა და ხელი ქუდთან მიიღო.

— არის!

კუპრაქა გოცდა.

— რადას უყურებ?

— „ვოლნა“ არ გითქვამს.

— მიქარვას თავი გაანებე. წადი, სანამ დრო არი. თუ არ აუსწარი, ხვალ ხორცი არ მექნება. დეკეულს ხომ არ დავკლავ.

სერგომ ცალი ფეხი მოუშვა მუხლში. მამისთვის თვალი არ მოუშორებია, მანქანის ვასალები თითზე რამდენჯერმე გადაიხვია და მერე ერთბაშად მოიგდო მუჭაში.

— მაყუთი? — ცერსა და საჩვენებელ თითს უსვამდა ერთმანეთს და ცივად უცქერდა.

— გზაში რა ეშმაკად გინდა ფული?

— მჭირდება.

მამამ შუბლი შეიკრა.

— ფული არ არი საჭირო. დაუდე ეხლავე.

— საჭიროა.

— რად გინდა გზაში, ბიჭო?

— მჭირდება.

— ჭანდაბას შენი თავი. წადი და დედაშენს უთხარი, მამაჩემმა მითხრათქო.

სერგო ზანტად მიტრიალდა და გავიდა.

ზურნა ხმამაღალი ქყვიტინით შეძვრა ღრიჭოდ დარჩენილ კარში. ყურის წამლებად აბაგუნდა დოღი და ზედ მედო-

ლე გიგოლას ბაიათურბანს მსკეპს მსკეპს ხალხილი ხმა მოჰყვა.

ზევიდან მოდიოდნენ

ხარება და გოგია-აია.

გოგია ეუბნებოდა,

რომელი გზა ჯობია-აია.

ვახტანგი მოიღუშა, ადგა და კარები რაჭგუნით მიკეტა.

— ნეტა არ იღლებს ეს მკვდარძალი მაინც?

— რა გინდა, ყველა თავის ჭიას ახარებს. კუპრაქამ გულგრილად მიიწია მწვადიანი თეფში და ხახვს ფცქენა და უწყყო.

— არა ვარ მაგის ხასიათზე.

— ახლოს დამიჯექ და მე მოგიყვან ხასიათზე. კალატოხი ეგ არა მყავს და დურგალი. ხელომა ეგ არი და პურს მაგითი ქამს.

ვახტანგი დაჯდა.

— სერგო სად წავიდა?

— ერთ ფერმის გამგეს მოვურიგდი: კი დეკეულს მოგცემ სანაშენედ მეთქი. ძროხაში ვუცვლი.

— ეინ სულელი გიცვლის დეკეულში ძროხას?

— ძროხა მშრალი და ბერწია, რა ხერი იქვთ? დეკეულმა კი შეიძლება მოიგოს და იწველოს. იმისთვისაც ხერიია და ჩემთვისაც: ძროხა ორი იმ დეკეულის წონა იქნება. სულადობით კი არ დააკლდება.

ვახტანგი მდუმარედ უცქეროდა მოსაუბრის ცხვირქვეშ შუა გაყოფილ კედრატულ უღვაშებს.

მერე ღვინო დალია და ჭიქა დუნედ დადგა მაგიდაზე.

— ახალი „პობედის“ ყიდვას ვაპირებდი, მაგრამ ფული შემომეხარჯა.

— მაგას რას უჩივი?

— მაინცადამაინც არაფერს. ცოტა ფერი არ მომწონს.

— უბრალო რამეა. რუსთავში ერთი ძმაკაცი მყავს. მაგ საღებავს გადააცვლის და როგორი ფერიც გინდა, იმაზე შეგიღებავს. იგრე გააკეთებს, ახალს დაემჯობინება.

— სხვებმაც მოთხრეს რუსთავი. ჯერ-  
ხნობით ვაძარებ, მერე კი დროს ვი-  
შოვი და წავალ.

— თუ წასვლა გინდა, ეხლავე სჯო-  
ბია, მერე სულ ველარ მოიცილი.

— არა, ჯერ იმ ახმაზთან მინდა გავა-  
სწორო ანგარიში.

კუპრაძა გაშტერებით მიაჩერდა მე-  
გობარს და წარბი შეიკრა.

— ხომ არ შეიშალე? გგონია მეორე-  
ჯერ ეგზე ადვილად გადაჩრები?

— მოვკლავ, მაგისი დედაც.

— ყური დამიგდე, ვახტანგ: მაგათ  
ჯიშს კარგად ვიცნობ, — სისხლში ძა-  
ლიან ბევრი რკინა ურევიათ. იმას რომ  
რამე დაემართოს, მაგისი პაპა დედამუ-  
დინანდ ვაგვუჟავთ. თითონ ის ბიჭი  
ჩვენისთანებს ცალი ხელით ყურძნის  
მარცვლებივით დაჭყუნავს.

— სულ ერთია, მოვკლავ.

— ფრთხილად-მეთქი, ვახტანგ! იმ  
იმერელივით არ მოგიდნეს, რომელმაც  
ცული გადაავდო და წალდიც თან გა-  
დააყოლა. იმასთან კინკლაობა შენ ხელს  
არ მოგცემს. სერგოსაც კარგებისა წა-  
ვეუკითხე. რას ეჩრება უტარო კოვზი-  
ვით, სადაც არ ჰკითხავენ? ზაქროსაც  
ტყუილად ემდურები, ხათაბალას გადა-  
გარჩინა. შენ რომ მაშინ იმისთვის ნი-  
ჩაბი დაგერტყა, დღეს მე აქ შენი შესა-  
ნლობარი უნდა დამელია. დაიცა, ნუ  
გაყდები. ვიცი, არ გეშინიან, მაგრამ  
ქუას წიხლი დააჭირე. ხედავ, შენმა  
ნათლიამ რა საქმეები წამოიწყო. რად  
გინდა, ოხრად დარჩეს ყველაფერი?

ვახტანგს არაფერი უთქვამს. ერთ ხანს  
გარინდებული უცქეროდა მეგობრის  
დაწყურულ თვალებს, მერე ღვინო და-  
ისხა, ერთბაშად გადასჭრა და ცარიე-  
ლი ჭიქის პირი ნიკას შეაყინა...

— განა მაინც ოხრად არ დარჩა ყვე-  
ლაფერი?

— რაო, რაზე ამბობ?

— სეტყვამ იგრე გარეგვა ვენახები,  
რომ რქაც აღარ შეარჩინა. რალა ეშმა-  
კები... — ვახტანგი შედგა და გოაცე-  
ბით მიაჩერდა სასადილოს გამგეს.

კუპრაძა ისეთი მჭახელ **ქეჭქეხელად** ||  
რომ ერთბაშად დაფარა **კანას** **ჩქქქქქქქქქ**  
მთვრალი კომპანიის ბლავილი და გიგო-  
ლას დოლის ბავუნი. მერე როგორც  
იყო მოითქვა სული, ღვინო დაისხა და  
ორი ყლუპით გამოცალა.

— ორიოდ სოფელი დაისეტყვა, გა-  
ნა მთელი კახეთი, ბიჭო! ვაიმე, ვაიმე!  
იმ მოსკოვს სულ დაუბნევია შენთვის  
დაფთრები. ჩემმა მზემ, აქ უფრო დალა-  
გებული იყავი. — მერე ხმას დაუწია-  
იდაყუვებს დაუბჯინა, წინ ვადაიხარა და  
მაგიდის იქით მჭდარს მკაცრი თვალი  
მიაპყრო. — ყველასთან და ყოველგვარ  
კინკლაობას თავი გაანებე და რა საქმეც  
მოგანდეს, იმას გაუხზი მუყაითი. ღვი-  
ნის სარდაფის გაღებამდე კიდეც დრო  
არი. ეხლა მთავარია, ის გამოიყენო,  
სადაცა ხარ. საშრობი ჩიშინი ფურია,  
შეგიძლიან სწველო, სანამ მთლად გა-  
შრება. ძია ნიკომ ტყუილად არ დაეს-  
ვა იქ გამგედ. იხეილე და ახეილე. ვერა-  
ვინ ვერ მოგთხოვს პასუხს: ძველი საშ-  
რობის გამგე თავისი თავის მტერი არ  
არი და არც მწონავეები ჩაიგდებენ პრო-  
კურატურის ხელში თავს. ვიცნობ ლო-  
ტოს კოქს. უტვინოა, მაგრამ ყლაპვა  
უყვარს. აფსუს, ვის ფლავი აქვს, და  
ვის იშტა! მანდ ტონობით არი ზედმეტი  
ხორბალი, რომელიც უწყისებში არ არი  
გატარებული. მერე სიმინდიც მოგის-  
წრებს. ვაზიდე, რამდენიც შეგიძლიან.  
თუ მეტი მოგივიდა გაზიდვა, აწონიან,  
ოქმს შეადგენენ და ჩამოგაწერენ, რად-  
გან ეგ საშრობია და მარცვლეული  
შრობაში იყლებს.

კუპრაძა შეჩერდა და ვახტანგს მომ-  
ნუსხველად მიაჩერდა. თითქოს ახლა  
შეამჩნია პირველად, რომ მსმენელს  
ვეებერთელა ყურები ჰქონდა. ესიაშო-  
ნა. მწვადს გადასწვდა, მერე ცარიელი  
ბოთლი გვერდზე გადადგა და სავეს  
აიღო.

—ყოველთვის ვახსოვდეს ეს ერთი  
სიბრძნე: ეშვები დამალე, სანამ დაუძე-  
რიათ. ეცადე ყველას თეთრი კბილი უჩ-  
ვენო. ჩვენი ხელობა ეგეთია და თუ თე-

ეზი გინდა, ფეხის დასველებასაც არ უნდა მოერიდო.

დიდხანს დასკვნებოდა ვახტანგი სავეტიქიას ვარინდებულის.

— კარგი, ვეცდები ყურად ვიღო ეგ შენი სიბრძნე და ეშვები ყბებს იქით შევიწინხო. მაგრამ იცოდნენ: როგორც კი დრო დამიდგება, მაშინვე გამოვჩაჩენ.

— აი, ეგ კი ჰკვიანური. ეხლა მინდა, რომ აზრზეც მოხვიდე: მართალია, მანქანა გაქვს, მაგრამ პედალიდან ჰალისპირი მაინც შორია. ზოგჯერ შეიძლება ლობოტა იგრე ადიდდეს, რომ როგორც იმ დღეს სერგოს, შენც ჩავეფლას რიყეში მანქანა.

ვახტანგი გამოცოცხლდა და ღიმილმაც კი დაუგრია ტუჩის ცალი კუთხე.

— ილუას მართლა გამოუყვანია ლობოტაში ოსის დედაკაცები და ერთი წყლისთვის გაუტანებია?

— მართალია. სერგო ამბობდა, ძლივს დავეწიეთო. წყალი ბევრი უყლანია, მაინც გადარჩენილა.

— თვითონ ილუა?

— ნაპირზე იდგა და ფულს ითვლიდაო.

ვახტანგი სიცილისაგან ახიხინდა.

— ო, რა თარსი ვინმე ყოფილა.

— ჩვენზე ჰკვიანია: არცა ხნავს, არცა თესავს და დროსაც ჩვენზე კარგად ატარებს.

და როცა საშრობის გამგე სიცილს მორჩა, სისადილოს გამგემ ვანაგრძო:

— იმას გეუბნებოდი: ზოგჯერ შეიძლება აქ დარჩენა მოგიხდეს. დამაცადე, მჭადი ხომ არა ხარ, რომ ყელზე მადგები. შენ ცუდად არ გამიგო. ჩემი ოჯახი იგრე იგულე, როგორც შენი საკუთარი, მაგრამ დაუფიქრდი, რამდენ უზებრულებას შეიძლება გადაეყარო და მეც ვადამყარო. ძია ნიკოც აგრეთვე. აი, რას გეტყვი: ნასყიდა თავქუდმოგლეჭილი დარბის და მუშტარს დაეძებს. უნდა თავისი სახლი გაყიდოს, რომ მუქთანად ჩამორთმევა თავიდან აიცილინოს. ინფორმაციები შესულა რაიკომში და

საქმე უჭირს. ნახევარსაღამოს ბინებ ხელში.

— არ მინდა, რაც ფული მქონდა, ნათლიაჩემს მივეცი მანქანაში.

კუბრაქამ ყელში ხელი სტაცა ბოთლს და მავიდაზე ძირით დასთხლიშა. ბოთლის პირიდან ამონაჩქეფი მსხვილ-მსხვილ წვეთებად დაესხურა უსუფრო მავიდას.

— ლამის გამაგიყოს ამ კაცმა ტუტუტუ! საშრობიდან გატანილი მარცვლეულის ნახევარიც არ დასჭირდება იმის ყიდვასა და მეორე ნახევარი გამართვა-გაკეთებას.

მერე უცებ კარებს მიჰხედა თვალების ბრაილით და აწეული ხმა ისევ ნორმაზე დააყენა.

— არა, ამ ხუთ წელიწადში სულ გადაყრუებულხარ მეზობლის ძალივით. ყურა დამიგდე და კარგად დიხსომე: სახლი ორსართულიანია და დამლაშა-ლაშა ექვსი ოთახია. წინ მშვენიერი ეზოა და ვენახი ათასტუთას ვაზიანი. მთელი მიწა ნოლ ოცდახუთი მეასედია: — ზუსტი ნორმა კოლმეურნეობის წვერისა. შენ უკვე კოლმეურნე ხარ და, მაშასადამე, უფლება გაქვს ფლობდე ჰალისპირში ამდენ ნაკვეთს. ისარგებლე მდგომარეობით და ნახევარფასად ჩივილებს ხელში. ნასყიდა ბრყვი. ვნახავ, ცოტა ფასს მივეცემ და მერე შენ მოურიგდი.

— რატომ შენ თვითონ არა ყიდულობ?

— მე თელავშია ციშენებ სახლსა და ჰალისპირში მეორე სახლს არაივნ შემარჩენს.

— უფროს ბიჭს მისცემდი.

— უფროს ბიჭს უკვე დავედგი ამბეტაში.

— თელავში შენთვისა მართა?

— ჩემთვის.

— ეიცო სადაც აშენებ. რატომ დროზე არ ამთავრებ, რად აჭიანურებ?

— ერთბაშად არ მინდა, რომ „მეგობრებს“ თვალში ეცეთ, თორემ ჩემმა დედაკაცმა ტვინი ამომჭამა: როდის გა-



დავლთ ახალ სახლშიო. ფრთხილად მი-  
დი ნასყიდასთან. თვითონ უნდოდა მო-  
ეთავებინა, მაგრამ აქ ერთი ენუქაანთ  
რევაზაა, იმან ააღებინა ხელი ყველა-  
ფერზე. ნაღდად ეიცო, რომ მოუთავა-  
ბელს ყიდის.

— ენუქაანთ რევაზა? მაგას დაუმლა-  
შებია, მგონი, ჩემზე რაღაც-რაღაცეები  
გამგეობის კრებაზე. დედას ვუტირებ,  
მე მაგას...

— სისულელეს თავი დაანებე, ვახ-  
ტანგ. წყლიგიფივითა და მწარიასავით  
სამსახარაოდ არ გაიხადო საქმე.

— ეგენი ვილა ოზრები ყრიან?

— არც ვინა. აქაურები არიან. ძალ-  
ლებივით არიან გადაკიდებულები. გუ-  
შინ საღამოს აქვე, ზედ კარებთან მოუ-  
ვიდათ ჩხუბი და გამვლულ-გამომვლე-  
ლი ახარხარეს.

— გამოდის, რომ კისერი უნდა წავი-  
შვირო და ყოველ ცინგლიანს ვუთხრა:  
მოდით, რაც გინდათ ის მიქენით-მეთქი.

— კისრის წაშვერა არ დაგვირდება.  
მხოლოდ ჰკუჟას მოუხმე და შენ თვი-  
თონ დააჯდები იმათ კისერზე. ერთ  
ჰკვიან კაცს უთქვამს: ან უნდა არწივი  
იყო, მაღლა კლდეზე რომ აფრინდე და  
ან გველი, რომ აზოხდეთ. ვისაც ფრთე-  
ბი არა აქვს, იმან უნდა იზოხოს. ავე,  
ნათლიაშენი, ჯერ ერთი საწყალი დედა-  
კაცი შეილიანძირიანად ამოავდო, ეხლა  
კი დანგრეულ სახლს უშენებს ნასახლა-  
რზევე.

ვახტანგი ღვინიან ბოთლს დიდხანს  
უცქეროდა მდუმარედ. მერე ძლივს შე-  
სამჩნევი ღიმილით შეგობარს თვალი  
თვალში გაუყარა და სავსე ჰქია ახლოს  
მიიჩოჩა.

— ვეცდები ყველა შენი სიბრძნე იგ-  
რე გამოვიყენო, როგორც შევიძლებ.  
ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და ყველა  
წმინდაც შეგვეწიოს.

თავი მეთერთმეტე

„ყოველ დღე ახალი უსიამოვნება,  
ყოველ დღე ახალი უსიამოვნება“ განა

დიდი ხანია, რაც ჰალისპირეთი ვაქცე-  
ვა?\*

ლუარსაბ სოლომონიმა ყურმილი  
პლასტმასის ორყაბაზებზე დაახეთქა და  
ზედვე შეაცივდა მარჯვენა. ღია ფანჯა-  
რაში გაიხედა და წარბი შეიკრა.

— თელავისკენ ცა მოწმენდილია,  
ლალისყურისკენ რალა ღმერთი გაუწყ-  
რა? აგვისტოში იშვიათად მოსულა,  
წელს რა სახლიკაცად შემეყარა? ფუი!  
დასწყევლოს ეშმაკმა მომდგებიან ოლ-  
ქში და მე გამჭორავენ: ტყუილად ყბე-  
დობ და ურებს ყალბი ცნობებით  
გვიჭედავო. ხორბლის აღება მოვასწა-  
რი, მაგრამ, ვინ იცის, კიდევ რა მოელის  
დაკრეფამდე ვენახებს?

მარცხენა ხელი ჰალარა საფეთქელზე  
შემოიდო და გამოციებული მზერით  
ცარიელი კაბინეტი უსაგნოდ მოათვა-  
ლიერა. გაახსენდა, თუ როგორ გამოს-  
ძალა რაიკავშირმა ერთი საათის წინ  
ნადიკვარსა და შუამთაში რესტორნე-  
ბის გახსნა და ტუჩები უსიამოდ დაეპ-  
რანჯა.

„ვის რაში სჭირდება რესტორნები?  
ტურისტებსა და სხვა რაიონებიდან მო-  
სულთ ის ერთი რესტორანი და უმარა-  
ვი სახინკლე-სასადილოებიც ეყოფათ.  
ეს რისთვისილა? ნუთუ იმისთვის, რომ  
ოციოდე საქმოსანს მოგების წყარო  
გაუზხსნა? მერე უცხოთა გარდა, ვინ  
ივლის იქ? — ჯობიერები, ზულიგნები,  
მამის კისერზე შემსხდარი ფრანტები  
და სპეკულიანტები, გამფლანგველები  
და მიმთვისებლები. პატიოსან მშრო-  
მელს ოჯახის შემდეგ განა საქეიფო  
ფული რჩება? მაშასადამე, გამოდის,  
რომ მე აშკარად და უნებლიეთ ხელს  
ეუწყობ ყოველივე მაგენ გადმონაშთს.  
მაგრამ თითქოს აუცილებელიც არი:  
ნადიკვრის ცოც ჰაერზე შაბათ-კვირას  
ანდა თუნდაც ყოველ საღამოს გავლი-  
ლმა მშრომელმა კაცმა რომ ცივი ლუ-  
დი ან ღიმილითი დალიოს, რითია ცუ-  
დი? ნახევარი ლიტრი, ან თუნდაც ერ-  
თი ბოთლი ღვინო რომ დააყოლოს სა-  
სიამოვნო სეირნობას, განა გასაკიცხია?

მუამთა მშვენიერი ადგილია. დიდებუ-  
ლი ბუნება, ცივი წყარო, სუფთა და  
ლალი ჰაერი. ვანა სასიამოვნო არ არი  
შესასვენებლად და დასაწყობებლად  
თბილისიდანა და გომბორიდან თელავ-  
ში, ანდა აქედან იქით მიმავალი მგზავ-  
რებისათვის? რა უცნაურია, ხშირად  
ჩემდა საზიანოდ ვთანხმდები ისეთ რა-  
მეზე, რაც შემდეგ საწვალეხელი მიხდე-  
ბა. — დღესვე მოედება მთელ თელავს  
ჩემი ნებართვის ამბავი და ხვალ მათ-  
ხოვრების მთელი ლეგიონი მომადგება  
კარზე. იოლი გამდიდრების მისა დი-  
დია, ხოლო ადგილი სულ რამდენიმე-  
რომელ ერთს ვაწვდევ? ისევ მოტყუე-  
ბა, ისევ დაპირება, ისევ ღიჯინი, ისევ  
ცრემლები და მლიქვნელური აღტაცე-  
ბა ჩემი ჭკუითა და გულმოწყალებით.  
მაინც რა საოცარი სწრაფეა ამ ჯიბის-  
დამცლელი ფაბრიკებისაკენ? აი, აჰა,  
მშვენიერი მსახიობი იყო ბარძიმაშვი-  
ლი, თეატრში მუშაობას თავი დაანება  
და ალაზნის ბიკას გადასახლდა ზიდის  
ყურის სასადილოში: მთელი კვირის  
გაურეცხავი თეთრი ხალათი აცვია, ახ-  
ალბედა მიმტანისათვის მოუხერხებელი  
სისწრაფით ეზიდება კერძებს მისთვის  
ჭერ კიდევ აუთვისებელი წელშიმოხრი-  
ლობით და მშვენიერი ხმის ჩახლეჩილი  
კანკალით მღერის ბაიათებს ვალეშილ  
ამწანანეთა საზოგადოების გასართობ-  
ად. რატომ წავიდა თეატრიდან? დიდი  
ოჯახი ჰქონდა სარჩენი და იქ ხალტუ-  
რას ვერ ვააყეთებდა?.. მსახიობები...  
დროით უნდა გვაათავო თამაში იმ ლა-  
მავ ქარაფშუტასთან, თორემ თუ ვა-  
მომეტლანდა, კარგი არა გამოვა რა ამ  
კომედიიდან.

მდივანმა ყურმილს ხელი შეუშვა და  
დაღლილი თვალები ღონივრად მოის-  
რისა. მერე კვლავ ფანჯარაში გაიხედა  
და დიდხანს უმზერდა ცაცხვის მწვანე  
კენწეროს ზევით რძისფერი ღრუბლე-  
ბით შეჭორფლილ ლილისფერ ცას.

„აი, ლალისყურიც დაისეტყვა. ვარ-  
დისუბანი, შრომა და ჭალისპირი ადრე-  
ვე მორეგვა. რა უნდა ქნას საბრალო

გლეხმა? მთელი წელი ~~ქნებამო~~ შინას  
ჩასჩერებია, მთელი წელი საშირში შე-  
ბმული ხარვეთი წაუხრია კისერი, რეს-  
ტორან-სასადილოებში მყოფნი კი სი-  
მსუქნით ლპებია, ფულს გამომწვევად  
ახჩრიალებენ, მსუბუქი მანქანებით და-  
ბრძანდებიან და თავიანთ უწიგნურსა  
და გამოყვეყნებულ ცოლშვილს გრილ  
აგარაკებზე აკვლევინებენ ზაფხულის  
ცხელ დღეებს. მხოლოდ ისინი არიან  
უდარდელნი, მხოლოდ ისინი არიან  
უზარალნი. რაში ეკითხებათ, თუ სა-  
დღაც ლეჩქრულ ფშაველს მთელი წლის  
სარჩო გაუნადგურდა? მათი შემოსავა-  
ლი წლის ყოველ დროს დაუსეტყვავია.  
და ვანა მარტო ეს, სამზარეულოს  
ორთქლში გამოყვანილნი არიან ეგრე?

მაშ რა დაშავა გლეხმა? ვანა მას აწ-  
ყენს აგარაკზე დასვენება და კულტუ-  
რული გართობა? ამას ყველაფერს თან-  
ხა უნდა, გლეხს კი თანხას წლის მოსა-  
ვალი აძლევს. შორს რად გვინდა წასე-  
ლა, აი, ჭალისპირი: სამი წელია კლუ-  
ბის მშენებლობა დაიწყეს, მაგრამ  
მუხლს ზევით ვერ ააცილეს ჭერაც კე-  
დლები მიწიდან. წელს ჰქონდა ნიკოს  
იმედი მშენებლობის განახლებისა, მასა-  
ლა გამაზნებელი აქვს. რითღა განაგ-  
რძოს, თუ მოსავალი ასე უმტყუნებს?  
თავმჯდომარეზეც ბევრი რამ არი დამო-  
კიდებული. კარგი თავმჯდომარე გვე-  
ლის ფხაში ვაძერება და საქმეს საქმე-  
ზე მოიყვანს. ხოლო თუ არა სწადიან,  
იმასაც წაახდენს, რის გაცეთებაც შეუძ-  
ლიან. ნაღვარევეს პატარა კლუბი ჰქონ-  
და და დაანგრის. ჭერ ახლის აშენებას  
არ დაადგა საშველი. ააშენეს და უცნა-  
ურ მოღაზე დაპროექტებულ გომურსა  
ჰგავს. რუისპირელების მეზობლები მა-  
ინც არ იყვნენ. იქიდან მაინც აეღოთ  
მავალითი. მაგრამ კოლმეურნეობის თა-  
ვმჯდომარე თავის ტყავს გაუფრთხილ-  
და: წესიერ კლუბს არჩია კოლმეურნე-  
ები ჰყოლოდა კმაყოფილი, რადგან გა-  
დარჩევნები ახლოვდებოდა. შრომა-  
დღეზე ბლომად გაანაწილა, ხოლო ნა-  
ხევრად აყვანილ კედლებს თუნუქი გა-



დაპატრონა და კლუბად გამოაცხადა. კლუბიც წაახდინა და თავისი საქმეც, — ახალგაზრდებმა ყველაფერი უანგარიშეს და მაინც გადაირჩიეს. ერთი რამ არი საოცარი: ხალხი რატომ სხვის მაგალითზე ჭკუას არა სწავლობს? აბა, გადაირჩიეს და ვითომ უკეთესი აირჩიეს. ყოველგვარი მონაცემი აქვს ამ კაცს: უმაღლესი განათლებით არი, დარბაისელია და ჭკვიანი. მაშ რატომ არი, რომ ნაღვარევეს წინანდელზე მეტი უკეთესობა არ დაეტყო.

ინფორმაციებიც ძველებურად მოდის კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე: უდარდელიაო, სოფელი ფეხებზე ჰკიდიაო, ძალიან რბილიაო, გამფლანგველებსა და საკოლმეურნეო ქონების დამტაცებლებს თვალს არიდებსო, არავის წყენინების პოლიტიკას ანხორციელებსო... რამხელა სისულელეა: ღამე შეუსწრია მელიორაციის ფერმის გამგე, სახლში რომ ტომართ სიმიინდი მიჰქონდა, როცა შეკითხვაზე უპასუხნია: მამიდიდან მომავსო, თავმჯდომარეს აუკრძალნია. —

„მეორედ აღარ გავიგო, რომ მამიდიდან სახლში სიმიინდი წაიღოვო“.

რა სისულელეა, განა მეორედ ისევ მამიდიდან წაიღებს? უნდა კისერში ჩაველო ხელი და მეორე დღესვე სააშკარაოზე გამოეყვანა ხალხის ქონების მითვისებელი. რა ღორები უნდა დამისულქოს, თუ საყვები ფერმაში მომუშავეთ სახლში აზიდვინა? სოფელი კი რას ვავს: ერთადერთი ორასი მეტრის სიგრძე მთავარი სასოფლო გზა აქვთ და იმაზედაც ასფალტი ვერ დაასხეს, რომ მანქანების გავლისას ხალხი მეტრის ბუღით არ დაიღრჩოს. საბჭოსაც თავი მიუწებებია და მისი თავმჯდომარე მხოლოდ იმას ფიქრობს, მეოთხე მსუბუქი მანქანა მეხუთით როგორ შეცვალოს. საკვირველია, ზოგს ერთიც ვერ შეუძენია, მან კი საიდან მოახერხა მეოთხის ყიდვა. რა აქვს ხელფასი, რითი არჩენს ცოლშვილს, რითი იცვამს და რითი პურ-მარილობს წარამარა? ინფორმაციებ-

ში რომ სწერენ, ხელოსნებს უნდა უნდა ხელობაზე უშვებს ჩემად ქრთამებს იღებსო, განა რამდენს აძლევნი?”

ლუარსაბ სოლომონიჩმა მაგიდის უკრა გამოსწია და რვეულის ფურცელი ამოიღო ბატიფეხურით აქინჯულული. ასოები წაღმა-უკულმა გარბოდ-გამორბოდა და სუფთა ქალაღზე გასმულ ცისფერ ხაზებს ავსებდა. ჩაიკითხა და მინახე დააგლო.

„აბა, ესეც ახალი. ჩვეულებრივ, ხელს არ აწერენ. საოცარია, რატომ ეშინიათ ამ პატარა კაცისა, რომელსაც ათი კლასის განათლება ძლივს მიუღია და თავის სიცოცხლეში ორი წიგნიც არ წაუკითხავს? ეტყობა, დიდი ვაჭინილი და ეშმაკი კია. მაინც საიდან მოიგონა, რომ სოფლის წყალს დაპატრონებოდა საბჭოს სახელით და მეკომურთათვის მოსარწყავად საათში ხუთ მანეთად მიეყიდნა? ფულს თურმე თითონ იღებს ჭიბეში. ყოველ შემთხვევაში არა ყოფილა შემოსავალში სადმე აღრიცხული. იქნებ მართალია? ერთი უნდა თვითონ გადაეიდღ და დავებდო, თორემ რაიღმასკომი ყურს არ იბლერტავს.“

წყალი!

წყალი!

წყალი!

რა გახდა ეს წყალი? ყოველ წელს და ყოველი წლის ამ დროს ასეთი ამბავია წყალზე. გამოფიტა და გადაახმო საშინელმა გვალვებმა ყველაფერი. როდისღა ეშველება აქაურობას? კიდევ ვარგი, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ისმინა ჩვენი ლაღდისი და პირიქითი ალაზანი სურს გადმოუგდოს. წყალი გვირახბით გამოვა ბორბალოს მთის ძირში, შეუერთდება პირაქეთა ალაზანს, პანკისის თავზე გადაივლის, ახმეტას მარცხნით მოიტოვებს და ასე ივლის ჩაილურის ვაღმა ველებამდე, სანამ დიდ ალაზანს არ შეუერთდება. აბა, მამინახე, მარჯვენა ნაპირის სოფლები როგორ აყვავდებიან. ზღვა მოსაქალი ვასკდება და ერთი ასად ანაზღაურებს ამ

არხზე დაბარჯულ თანხას. სახელმწიფოც იხეირებს და გლეხიც მადლობელი და კმაყოფილი დარჩება».

მდივანმა მაგიდის მინაზე დაგდებული ქალაღის ფურცელი უჭრაში შეინახა და ისევ ფანჯარას მიჰხედა.

ცაცხვის ზევით რძისფერი ღრუბლებით აჭრილი ცა ჩამუჭებულიყო და უხვად დადღაბნილი შავ-მუჭი საღებავებით ნელ-ნელა ფარავდა მათ შორის მიწიატურული ტბებივით აქა-იქ შემორჩენილ კრიალა ლილისფერს.

მდივანმა მაგიდის ქვეშ ელექტროლილს თითი ამოსდო.

ზარის ხმაზე მდივანი ქალი შემოვიდა და კარებში გაჩერდა.

— შოფერს უთხარი, მანქანა გამოიყვანოს. ახალსაბურავიანი სათადარიგო თვალიც წამოიღოს, გაღმა ზონაზე წავალ-თქო, ლალისყურში.

ქალი გავიდა.

„ადამიანი მთელი წელი ელოლიაგება თვითეულ ვაზსა და თვითეული სიმინდის ღერს. წამოვა სეტყვა და შეილივით ვაზრდილ... შეილივით... განა ჩვეს კი არა ვზრდილ და ველოლიაგებით შეილებს? და მერე რით გვიხდიან ისინი? არც კი გვეტყვიან, ძაღლი მიგაკვდეთ სულშიო, ადგებიან, დახუჭავენ თვალებს და ვიღაც თაღლითს ჩამოეკიდებიან კისერზე. არა, ეს სულ ეფროსინეს ბრალია. დედაც ასეთი უნდა! დაასრულა ზღვისპირა ზაფხულის რეისი და სახლში სიძით გამდიდრებული დაბრუნდა“.

მდივანს სახე ზიზლით დაეპრანჭა, უგემურად ჩააპურჭა სანაგვე წულში და ტუჩები თახახაუტეხავი ცხვირსახოცით მოიწმინდა.

„რა დროს ვათხოვება იყო? წელს აბირებდა სამედიცინოზე მოწყობას. მაინც რა ყველა ამ სამედიცინოს ჩასციეზია? — იქნებ იმიტომ, რომ იმედგადაწყვეტილ ავადმყოფებს უღვთოდა ფქვენთან და თავიანთი გულღრძობით საიქიოს უდროოდ გაგზავნილთათვის პასუხს არ აგებენ? საავადმყოფოს მთა-

ვარი ექიმი და ჯანგანის გამოყენებით გავრეკე აქედან სულელური: როგორც მაღლები ძვალზე, ისე წაიხტებნენ მომაკვდავზე, რომელიც სამიათას იძლეოდა წარმატებით ჩატარებული ოპერაციისათვის. ავადმყოფი მაგიდაზე სულს ებრძოდა, ისინი კი ცხვირ-პირს ალუწავდნენ ერთმანეთს კაბიხეტში. რა გვეშველებოდა, ყველა რომ მათ გავდეს? —

ფული და სიხარბე! სიხარბე და ფული! — და განა ამან არ მოიყვანა ჩემი სიძე ჩემამდის? გულუბრყვილო და გამოუცდელი გოგო მოხიბლა ბრწყინვალე გარეგნობითა და მსახიობური მანერებით, ხოლო მე პატივი მქონდა მელიარებინა იგი საყვარელ სიძედ. ყველაფერი გამოვიკითხე და გავიგე. საპნის ბუშტი გამოდგა ადიგენის მდივნობა და მისი განათლება. ყოფილი ქურდი, მოთამაშე და აფერისტი. საშუალოც ძლივს დაუმთავრებია. გაქნილი და ქალების მუსუსი. მინდოდა ძალივით გამეგდო, შეიღმა არა ქნა, თავის მოკვლითაც კი დამემუჭრა, თუ მის ალფონსს რამეს გავუბედავდი... ცხვირ-პირი უნდა დაამტერიოს კაცმა ეფროსინეს ამის გულისთვის... ახლა რა უნდა ვუყო? და უსწრებლად უნდა დაეამთავრებინო აქვე ინსტიტუტი და სამუშაოზეც სადმე მოეაწყო. მერე და სად უნდა იმუშაოს? განა რაიკომის მდივნის სიძე სადმე უბრალო სამსახურს იკადრებს? ვათახსირებულო! დადის რესტორან-სასაიდლოებში ვიღაც თავის ამფსონებთან, დანახარჯის გადაუხდელოდ ტყვრება ღვინით და ჩემი სახელით უკვე გოჭები და ვარიები მოჰყავს კოლმეურნეობებიდან. წუხელ გავლანძღე რიგიანად, მაგრამ მან წარბიც არ შეიხარა. უშნოდ გაიღრიჭა და მეუბნება:

„ფრთხილად, მამიკო, განა თქვენთვის სასიამოვნო იქნება, ძვირფასი დედიკო და თქვენი საყვარელი ქალიშვილი ამანათებით ციხის კარზე ნახოთ?“

ვისზე გადამიკრა? გაიძვერა ძაღლის ლეკვი! ნელ-ნელა უნდა შევემზადო „ნებიერა“ გაყრაზე, თორემ შევილსაც



დამიღუპავს ის გარეწარი და ოჯახსაც".  
მდივანი ქალი შემოვიდა და მოახსენა, მანქანა მზად არისო.

ღია კარში ვილაცის სახე გაკრთა და ყელყელაობა დაიწყო.

მდივანმა თვალი შეასწრო და წარბე შეიკრა.

— ვინ მიცდის მანდ?

ქალმა უკან მიიხედა და შეყოყმანდა.

— ერთი კაცია, ამას წინათაც იყო თქვენთან.

— კარგ დროს მოსულა. უთხარი, მიდის-თქო.

— ვუთხარი, რომ არა გცალიათ, მაგრამ... დიდი ხანია გიცდით.

მდივანი წამოდგა და ფანჯრისაკენ გასწია.

— რამდენი მაგარშუბლიანია ქვეყანაზე. უთხარი მოვიდეს.

— მობრძანდით.

ქალი გავიდა.

კარებში თედო შემოვიდა და ღიმილად იქცა.

მდივანმა ფანჯრიდან ძირს მომლოდინე მანქანას ჩახედა და მობრუნებულმა გაიოცა.

— ოჰო, შენა ხარ, თედო?!

თედომ ხელი ჩამოართვა მდივანს და ერთგული ჩალის შლიაბა მკერდზე მიიკუჟნა.

მდივანმა საათზე დაიხედა.

— აბა, ერთბაშად ამოშაქრე, თორემ გალმა მეჩქარება.

თედო უშნოდ იღიმებოდა და მო-

წითლო თვალებით მორჩილად შეხედა ციციენბდა ქვევიდან ტანმაცხლმანქანას. ცეცხლისფერი უღვაში კომბაინით მოკლედ აღებული ნამჯის ღერობივით გამოჩრილიყო ჭორფლიანი ცხვირის ბალნიანი ნესტოების ქვეშ, ხოლო მოკლე და თხელი მწითური წამწამები მოკრძალებით პარპალებდნენ გაჯაგრულ წარბებს ქვევით.

მდივანმა ზიზიი ძლიეს დამალა და მეგობრულად ჰკითხა:

— ახალს რას იტყვი?

თედომ გახურულ კარს გახედა და აჩურჩულდა:

— ნიკომ კლუბისთვის დახერხილი ხეტყე ერთ თავის ნათესავ დედაკაცს მიჰყიდა, კოლექტივიდან ხელოსნები და მუშახელი გაუგზავნა და ინტრიგან რევუზ ენუქაშვილთანა და ქალაქიდან გადმოხვეწილ ერთ ჩხუბისთავთან ერთად ახალო-ახალი სახლი წამოუჭიმა. რევუზას ხომ იცნობთ? — ბრიგადირია და ზედსიძედ უნდა სახლში მიიყვანოს თავმჯდომარემ. მევენახეობიდან გაანთავისუფლა, მთელი მემინდერეობა იმას ჩააბარა და ეხლა სასიძო-სასიძემრო ერთად განაგებენ მთელი სოფლის ბედს.

მდივანმა უღიმღამო თვალით ერთ ხანს უცქირა შემოსულს. მერე გაბრუნდა და საკიდარიდან ახალი კეპი მძიმედ ჩამოიღო.

(გაგრძელება იქნება)

ჯონ სპინეპეი

ზამთარი ჩვენი მღმდვარეზისა\*

მისტერ ბეიკერი მომიბრუნდა.

— რა გინდოდა, ითენ? რითი შემომ-  
ლია დაგეზმარო?

მე ჩუმაღ ვუპასუხე:

— ცალკე უნდა ვითხრაო რალაც,  
თან მალაზიასაც ვერ მივატოვებ.

— გადაუღებელი საქმეა?

— დიახ.

— დამხმარე უნდა გყავდეს დუ-  
ქანში.

— ვიცი.

— თუ მოვახელთე, მოვალ. ტეილო-  
რისა ხომ არაფერი გაგიგია?

— ჯერ არა, მაგრამ ისე კი დავყნოსე  
აქა-იქ.

— ვეცდები, მოვიდე.

— მადლობელი ვარ, სერ. — ვიცო-  
დი, რომ ნამდვილად მოვიდოდა.

და მოვიდა კიდეც. ერთი საათიც არ  
გასულა. მანამ მუშტრებს გავისტუმრე-  
ბდი, იღვა და მიცდიდა.

— აბა... რა გინდოდა, ითენ?

— მისტერ ბეიკერ, ეჭიმი, ვეჭილი,  
მღვდელი ვალდებული არიან საიდუმ-  
ლო შეინახონ... ბანკირიც თუ ემორჩი-  
ლება ამ წესს?

მისტერ ბეიკერმა გაიღიმა.

— სადმე გაგიგონია, რომ ბანკირს  
თავისი კლიენტის საქმე საქვეყნოდ გა-  
მოეტანოს?

— არა.

— მაშ, სცადე ერთი, მკითხე, ეგეც  
რომ არ იყოს, მე ხომ შენი შეგობარი  
ვარ, ითენ!

— ვიცი. ვატყობ რომ კალაპოტიდან  
ამოვყარდი. რამდენი ხანია, ბედს არ  
გაუღიმიო ჩემთვის.

— ჰა?!

— ახლავე ყველაფერს აგიხსნით, მი-  
სტერ ბეიკერ. მარტლოს საქმე ვერ არის  
კარგად.

უფრო ახლოს მოიწია ჩემკენ.

— მაინც?

— დანამდვილებით ვერ გეტყვით,  
სერ, მაგრამ, მე მგონი, არალეგალურად  
უნდა იყოს შემოპარული.

— ვინ ვითხრა?

— თვითონვე ვითხრა... კი არ ვით-  
ხრა, მაგრამოხინა. მარტლოს ამბავი ხომ  
იცით?!

თითქოს თვალნათლივ ვხედავდი,  
როგორ აუთამაშდა ტვინი, როგორ კრე-  
ფდა და აკოწიწებდა ცალკეულ ფაქ-  
ტებს.

— მერე, მერე... თუ მართლა ასეა,  
მაშინ გასახლების ამბავი უნდა იყოს.

— მეც ასე მგონია. მუდამ კარგად  
მექცეოდა, მისტერ ბეიკერ, არ მინდა,  
ცუდი რამე გავუყეთო.

— შენს თავზეც უნდა იფიქრო,  
ითენ. რაო, რა შემოგთავაზა?

— პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ  
ისე ვხედეზი, მისი არეული ლაპარაკი-  
დან. ხუთი ათასი რომ მქონდეს ნაღდი,  
მე მგონი, მალაზია ჩემი ვახდებოდა.

— ეტყობა გაპარვას აპირებს. მაგ-  
რამ შენ ეს არ იცი!

— დანამდვილებით არაფერი ვიცი.

— მაშინ ვერც დაგწამებენ თანა-  
მზრახველობას. პირდაპირ არაფერი  
უთქვამს?

— არა, სერ.

— მაშ, ეს ხუთი ათასი საიდან მოი-  
ტანე?

\* ვაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 5.



— მაგას რა ბევრი რამე უნდა, სერ. მეტი არ ეღირება მთელი ჩვენი ავლადიდება.

— იქნებ ნაკლებად დაგიომოს!

— ვინ იცის.

მისტერ ბეიკერმა სწრაფად შეათვალიერა და შეაფასა მთელი მალაზია.

— ვარაუდი თუ გაგიმართლდა, კარგა დატრიალებულა შენი საქმე.

— არ მეხერხება ამისთანა საქმეები.

— შენც ხომ იცი, მივიბუღ-მოკიბული ლაპარაკი და საქმე არ მიყვარს. იქნებ პირდაპირ მოველაპარაკო.

— წასულია ქალაქიდან.

— როდის დაბრუნდება?

— არ ვიცი, სერ. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია, რატომღაც მომეჩვენა, ზუთითასი რომ მომკა, დამითმობს-მეთქი. ხომ იცით, როგორ ვუყვარვარ.

— ნამდვილად.

— მაგრამ არ მინდა შემთხვევით ვიწარგებლო.

— ხომ შეიძლება სხვას მოელაპარაკოს. ათათასსაც თამამად მისცემენ.

— მაშ, სულ ფუჭი ყოფილა ჩემი იმედი.

— ასე ადვილად არ უნდა დასთმო. ჯერ თავო და თავოო...

— ჯერ ცოლოო — ეს ფული ხომ მერისაა.

— მერე რა! რას აპირებ მაინც?

— საბუთს რომ მომიზადებდეთ, ისე რომ არც თარიღი ეწეროს და არც თანხა!... პარასკევს გამოვიტანდი ფულს.

— რატომ მაინცადამაინც პარასკევს?

— ეგვეც ვარაუდია. რაღაცაზე ახსენა — უქმეებზე ქალაქი დაიკლებო. ვიფიქრე, იქნებ სწორედ იმ დროისათვის ჩამოვიდეს-მეთქი. ფული ხომ თქვენთან აქვს!

— არა, ღმერთმანი! სულ გაიტანა ამ ცოტა ხნის წინ. აქციები უნდა ვიყიდოო. არც გამკვირვებია — ადრეც ბევრჯერ გაუტანია, და მერე უფრო მეტი შემოჰქონდა ხოლმე. — მაცივარზე

ჭყეტელა ფერებით გამოსახულ ნახავს მიამტერდა, მაგრამ მისი გამომწვევი სიცილისათვის არ უბასუნხია, — ვი თუ სულ ჩავარდე! ეგ რა გიფიქრია?

— როგორ თუ ჩავვარდე?

— ჯერ ერთი, სხვა მუშტრებიც ბევრი ეყოლება, მეორე — ვინ იცის, იქნებ დაგირაგებული ჰქონდეს.

— მაგას შტატის სამმართველოში შევამოწმებ. ისედაც რამდენი საქმე გაქვთ, მისტერ ბეიკერ, და გაავცდინეთ. ვიცი, რომ ჩემი ოჯახი გიყვართ, და ამით ვსარგებლობ, ანკი ვის უნდა ვკითხო ამისთანა საქმეებში რჩევას!

— დაგირაგების ამბავს ტომ უოტსონი გამიგებს. ეჰ, ცუდი დრო შეგვხვდა, ითენ. ხვალ საღამოს მე თვითონ მივემგზავრები ცოტა ხნით. მართლა თუ ყალთაბანდი გამოდგა ის შენი მარულო, ცარიელზე დაგტოვებს, პირწმინდად გაგფცქენის.

— მოდი, სულ დავანებო თავი! მაგრამ ღმერთო შეგცოდე, და, მომწყინდა ეს ნოქრობა, მისტერ ბეიკერ.

— თავი დაანებე-მეთქი, მე ეგ არ მითქვამს. მე ისე გაგაფრთხილე.

— პოი, როგორ გაიხარებს მერი, ეს დუქანი რომ ჩამადგდებინა ხელში, მაგრამ თქვენ მართალი ხართ. მერის ფულს საალაზბედოდ ვერ გავხდი. მე მოგონი აჯობებს სასამართლოს მიემართო.

— მაშინ ველარაფერ ხეირს ნახავ.

— რატომ?

— გასახლება თუ მიუხაჯეს, ადგება და აგენტის შეშვებით გაჰყიდის მთელს ქონებას — იმისთანა ფასს დაადებენ ამ დუქანს, რომ ველარ იყიდი. თან, დარწმუნებული ხომ არ ხარ, რომ ნამდვილად აპირებს გაპარვას! აღრიცხვაზე ჰყავთ თუ არა, ისიც კი არ იცი.

— მართალია.

— კაცმა რომ თქვას, სულაც არ იცი მისი ასავალ-დასავალი. რაც შენ მითხარი, ბუნდოვანი ექვებია და მეტი არაფერი. ხომ მართალს ვამბობ?

— ასეა.



— ამიტომ, მოეშვი მაგას.

— უცნაური არ იქნება, ამდენი ფული გამოვიტანო და ზედ არ აღვნიშნო რა საქმეზე გამომაქვს?

— რამეს დაწერ ჩეკზე... ვთქვათ ასე: „ა. მარულოს საბაჟალო მალაზიის დასაფინანსებლად“. საქმე საქმეზე რომ მივიდეს, თავის გასამართლებლადაც გა მოვადგება.

— თუ არაფერი გამოდნა?

— უკანვე შემოიტან ფულს.

— რისკის გაწევა ღირს?

— ურისკოდ არაფერი კეთდება, ითენ. ამდენი ფული რომ ნაღდად გამოგაქვს, თავისთავად ეგეც რისკია.

— გავუფრთხილდები.

— ნეტა, ქალაქიდან არ გავდივარ.

ჩემი ვარაუდები ახლაც გამართლდა: ამ ხნის განმავლობაში ერთი მუშტარიც არ შემოსულა. ბოლოს კი ერთბაშად შემოლაგდნენ — სამი ქალი, ერთი ბერიკაცი და ორი ბავშვი. მისტერი ბეიკერი ჩემკენ ვაღმობიხარა და ჩუმად მითხრა.

— ას დოლარიანებს გაგიმზადებ და რომრებსაც ჩავეწერ. თუ ჩააგლეხ, შეგძლება უკანვე გამოიტანო, — ქალებს მძიმედ დაუქრა თავი, ბერიკაცს გამოეხმაურა — „დილაშვილობის, ჯორჯ“, ბიჭებს კი ქოჩორზე. მოუთათუნა ხელი. ჭკვიანი კაცია მისტერი ბეიკერი.

### თავი მეთორმეტი

პირველი ივლისი. თითქოს თმა გავტყვიო შუაზე, ისე ორ თანაბარ ნაწილად იყოფა ამ დღეს წელიწადი. მეც სასაზღვრო ხაზად წარმომედგინა იგი — გუშინ სხვა ვიყავი, ხვალ კი სულ სხვა გავხდები. ისეთი რალაცეები ვავაკეთე, რისი უკან დაბრუნება აღარ შეიძლება. დროცა და შემთხვევებიც მხარში მედგნენ, თითქოს ჩემი თანამზრახველები ყოფილიყვნენ. არც კი ვეცდილვარ, საკუთარი თავისთვის მაინც დამეფარა იმის ნამდვილი არსი, რასაც ვაკეთებდი. მე თვითონ ავირჩიე ეს გზა, არავის და-

უძალებია. კეთილდღეობისა და დროების დაცვისა და ხვალინდელი დღის უზრუნველყოფის ხათრით დროებით გადავუხვიე ჩემს ჩვეულებასა და შეხედულებებს. სულ ადვილად დავარწმუნე თავი იმაში, რომ ამას ჩემი ოჯახის გულისთვის ვაკეთებდი — ბოლოსდაბოლოს, მათი კეთილდღეობა და მომავლის უზრუნველყოფა ჩემივე ღირსების საქმეა. მაგრამ ჩემი მიზანი სავსებით ნათელი და განსაზღვრული იყო — მივალწვედი თუ არა საწადელს, კვლავ იმ ძველ ჩვეულებასა და შეხედულებებს უნდა დავბრუნებოდი. ვგრძნობდი, რომ ამას შევძლებდი კიდევ. ომმა ხომ მკვლელად არ მაქცია, მიუხედავად იმისა, რომ ხალხს ვხოცავდი ფრონტზე. მზვერავებს რომ ვავგზავნიდი, წინასწარვე ვიცოდი, ზოგს მოჰკლავდნენ, მაგრამ სხვარულს როდი განვიციდიდი ამ მსხვერპლის გაღებით, როგორც სხვა ოფიცრებს მოსდიოდათ ხოლმე, არასოდეს არ ვავუხარებოვარ ჩემს საბრძოლო საქმიანობას, არც თავის მართლება ჩამითვლია საჭიროდ, არც მიტყევა. მთავარი იყო იმ მიზნის ცოდნა, რისთვისაც ამა თუ იმ საქმეს აკეთებ, და მიზნის მიღწევის შემდეგ სწრაფადვე შეჩერება. ამას კი მხოლოდ მაშინ მოახერხებ, როცა წინასწარვე კარგად იცი, რას აკეთებ და თავს არ იტყუილებ — ხვალინდელი დღის უზრუნველყოფაო, საკუთარი ღირსების დაცვაო, და მორჩა. ომის გამოცდილებით ვიცი, რომ ბრძოლის ველზე მოკლულები განსაზღვრული მიზნისა და მისწრაფების მსხვერპლი არიან და არა გაგულისების, სიძულვილისა თუ სისასტიკისა. დარწმუნებული ვარ, განსაზღვრულ მომენტში გამარჯვებულსა და დამარცხებულს, მკვლელსა და მოკლულს შორის სიყვარულიც კი წარმოიშვება.

მაგრამ დენის ნაჯღაბნისა და მარულოს მადლიერების გრძნობით აღსავსე თვალების წარმოდგენაზე გული მწუხარებით მეწურებოდა.

ბრძოლის წინაღამეს ხალხს ძილი არ

უკარბაო, ამბობენ. მე არასოდეს არ დამფრთხობია ძილი. მიუწებოდი თუ არა, ხელად ჩამეძინებოდა, ტკბილად და მავრად, გათენებისას კი შვებით ვიღვიძებდი. მაშინვე წამოვტებოდი, თუმცა სხვა დროს დიდი ხნობით მიყვარდა, გაღვიძებულს, ლოგინში ნებეირობა. ჩემად გამოქვეყნი ლოგინიდან, სააბა-ჩანოში ჩავიციე და კიბეზე დავეშვი, ვდებოდი კედელთან ახლოს ვყოფილიყავი. სულაც არ გამკვირვებია, როცა უცებ განჩინის წინ აღმოვჩნდი. კარი გამოვალე და ხელის ცეცებით მივაგენი ვარდისფერ ბორცვს. ჯიბეში ჩავიღვი და განჩინის კარი გასაღებით დავკეტე. ჩემს დღეში არ გამიბრანია ეს ქვა სახლიდან, და იმ დილას თუ წავიღებდი, არც ეს მიფიქრია წინასწარ. გუმანით გავიკვლიე გზა ჩაბნელებულ სამზარეულოში, უკანა კარი გავიარე და რიყრუყით შენაცრისფერებულ ეზოში ვავედი. ფოთლებით დაბურული თელების თალოვანი ხეივანი ჩაშვებულ გამოქვაბულს დამსგავსებოდა. მარულოს პონტიაკი რომ იქა მქონოდა, ჩავვდებოდი და ნიუბეიტაუნიდან გავიდოდი. ჩემი პირველი მოგონებების გამოღვიძებულ სამყაროსკენ ვაქიროლებდი. თითებმა სხეულის ტემპერატურით შემობარ თილისმაზე გამოკვეთილი დაუსრულებელი ხაზები მოძებნეს ჯიბეში.

პაპიდა დებორა, რომელიც ბავშვობაში გოლგოთაზე მაგზავნიდა, სიტყვებს მანქანასავით ისროდა ხოლმე. აბდაუბდა ლაპარაკს ვერავისგან ვერ იტანდა და არც მე მანებებდა. მაინც რა ძალა ჰქონდა ამ მოხუცებულ ქალს! უკვდავება რომ სდომოდა, ჩემს წარმოდგენაში ჰქონდა კიდევ ეს უკვდავება. როცა დამინახა, ბორცვის მოყვანილობის ქვეს თითს ვუსვამდი, მითხრა.

— ითენ, ეს ზღვის ქვა იქნებ შენი თილისმა გახდეს.

— თილისმა რას ნიშნავს?

— რა ზბრი აქვს, რომ გითხრა, ყურში მაინც არ შეუშვებ. წიგნში ჩაიხედე და ნახე.

რამდენი სიტყვა შემითვისებდა ამ იმის წყალობით, რომ პაპიდა დებორა ჯერ ინტერესს აღმიძრავდა, ხოლო შემდეგ მაიბულებდა მე თვითონ გამომერკვია მისი მნიშვნელობა. მე რა თქმა უნდა, ვუპასუხე:

— ახლა ეგ მაძარდე!

მაგრამ მშვენივრად იცოდა, რომ მაშინვე მივევარდებოდი ლექსიკონს, და ამიტომ დამარცვლით წარმოთქვა: „თილისმა“, დიდი მოწიწებით ეტყეოდა ხოლმე სიტყვებს, ისევე ვერ იტანდა მათ დამახინჯებასა და დაუდევრად წარმოთქმას, როგორც რაიმე ძვირფასი ნივთის ტლანქი ხმარება გააღიზიანებს კაცს. ახლაც, ამდენი ხნის შემდეგაც, თითქოს წინ მედოს გადამლილი ლექსიკონი დავკითხულობდე — „თილისმა“. არაბული ჩემთვის რაღაც დახვარქნილ ხაზს წარმოადგენდა, რომელსაც ბოლოში პატარა ბურთულა ჰქონდა დატანებული. ბერძნულის წაკითხვას კი ვაზერჩებდი, იმავე მოხუცი ქალის მეცადინეობით. „ქვა ან სხვა რამ საგანი, რომელზედაც ამოტიფრულია რაიმე გამოსახულება ან სიტყვები. სწორედ ამ გამოსახულებას მიეწერება პლანეტების ვავლენითა და ზოდიაქის ნიშნებით გამოწვეული ოკულტური ძალები. ჩვეულებრივ, წარმოადგენს ბოროტისგან დამფარავ და ბედნიერების მომტან ავგაროზს“. ამის შემდეგ საჭირო გახდა მომეძებნა „ოკულტი“, „პლანეტები“, „ავგაროზი“. ასე იყო ხოლმე. ერთ სიტყვას მეორე მოჰყვებოდა, ჯაჭვის რგოლებივით.

კარგა ხნის შემდეგ რომ ვკითხე — „გწამს კი ამ თილისმის-მეთქი“, ასე მიპასუხა: „ჩემი რწმენა თილისმასთან რასახსენებელია“.

მერე ხელში ჩავუღვიე ქვა.

— ეს გამოსახულება რას ნიშნავს?

— ეს ხომ ჩემი თილისმა არაა — შენია, რაც თვითონა გსურს, იმას ნიშნავს, ისევე განჩინაში შეინახე. გამოვადგება.

ახლა, თელების ვადმობურულ ხეივანში რომ მივაბიჯებდი, კვლავ ცოცხლად წარმომიდგა პაპიდაჩემი, და ნამ-

დვილი უკვდავებაც ხომ ამას ჰქვია. სულ ერთმანეთში იყო გადახლართული ქვაზე ამოტვიფრული კლანკილი ხაზი — ზემოთ, ქვემოთ, ირგვლივ გარშემო, არც დასაწყისი ჰქონდა, არც დასასრული, თითქოს უთავო და უკუდო გველი ყოფილიყო. პირველად გამოვიტანე სახლიდან მე ეს ნივთი — ბოროტის ასარიდებლად? თუ იმისთვის, რომ ბედნიერებას ვწერდი? ბედის მკითხაობა არა მწამს, და უკვდავებაც გულგატეხილი ხალხისათვის მოგონილ უბადრუკ ნუგეზად მიმაჩნია.

ელვარე სხივებით მოვარაყებულნი აღმოსავლეთი — ეს უკვე ივლისი იყო, რადგან ივნისი დამითვე გაემგზავრა. ივნისის ოქრო ივლისში სპილენძად იქცევა ხოლმე, ივნისის ვერცხლი — ივლისში ტყვიაა. ივლისის ჭოთღობი მძიმეა, სქელი და დაბურთული. ჩიტების გალობა ივლისში — ერთი გაგრძელებული ჰყვივია, უგულო და თავისმომავლებელი, რადგან ბუდეები ამ დროს ცარიელდება და ახალშებუბმული ბარტყები საცოდავად დაფართხალებენ. არა, არც იმედის თვეა ივლისი და არც დაკმაყოფილებული გულისწადილისა. ხილი კი მწიფდება, მაგრამ არც სიტკბო აქვს, არც ფერი, სიმინდის მწვანე ღერო ჯერ სულ ქორფაა, მაგრამ მოყვითალო ხაშარი მაინც გამოუღია. გოგრას ჯერაც არ მოშორებია ჰიპლარივით მიმხმარი ყუავილი.

პორლოკზე გავედი, გამაძარსა და ნაპატეებ პორლოკზე. განთიადის სპილენძისფერ სხივებს კარგად გაენათებია შებერებული ვარდების სიმამით წელში გახანჭილი ბუჩქები — თითქოს ქალებიაო, რომელთაც კორსეტი უკვე აღარ უფარავს წამობერილ მუცელს, თუმცა კანკები კვლავ ჩამოქნილი და ლამაზი შერჩენიათ.

მივყვალობდი ჩემთვის და ვლულ-ლულუბდი „მშვიდობით, მშვიდობით“, „ნახვამდის“, კი არა — „მშვიდობით“ „ნახვამდის“-ს ტკბილი სევდის იერი დაპკრავს, „მშვიდობით“ კი მოკლეა და

საბოლოო, აღესილი კბილები ეჭყურო-მელიც წარსულისა და მომავლისა დამაკავშირებელ ძაფს კვნიტს.

ქველ ნავსაყუდელს მივადექი. რას ვემშვიდობებოდი? არ ვიცი. აღარ მახსოვს. ალბათ ჩემს თავშესაფარში შესვლა მინდოდა, მაგრამ ვინც ზღვისპირას ცხოვრობს, ყველამ იცის — ამ დროს ზღვის მოქცევაა და ჩემი თავშესაფარი შავი ტალღებით იქნება დაფარული. წუხელ ახალი მთავარ დავინახე, ოთხიოდე დღის თუ იქნება, მოღუნულ ქირურგიულ ნემსსა ჰგავს, მაგრამ ძალი მაინც ეყო ტალღები წამოეჭოჩრა და ჩემი გამოქვაბულის შესასვლელი ამოვესო.

დენის ქონში შეხედვასაც აღარ ჰქონდა აზრი. განთიადის სინათლეზე უკვე კარგად ჩანდა, როგორ წამოზრდილიყო ბალახი იმ ადგილზე, საცა ადრე დენის ფენით გათეული იყო ბილიკი იყო.

ქველი ნავსაყუდელი საზაფხულო კარკაებს ჩაემუქებინა, აქა-იქ აღრიანად გამოსულ ხალხსაც შენიშნავდით — ანძებს მართავდნენ და ზღვაში გასასვლელად ემზადებოდნენ.

ახალ ნავსადგურში მეტი ფუსფუსი იდგა. მისადგომ ბაქანზე მიბმული ნაგები მგზავრებს ელოდებოდნენ — თევზაობაზე გადაგებულ ხალხს, რომლებიც ფულს უხვად ფანტავენ და საღამო ხანს იმდენი თევზი დაუგროვებნათ ნავში, რომ, დაბნეულებმა, აღარც კი იციან, რა უქნან. ტომრები და კალათები სულ გატეხილები აქვთ, გემბანზე მთასავით დაუხვავებიათ ქორჭილა, კაპარკინა, ქაშაყი; საცოდავად სხმარტალებენ თევზები, სულს ლაფავენ, მერე ისევ ზღვაში გადადუძახებენ და თოლიების კერძს ვახლიან. თოლიები გუნდ-გუნდად გროვდებიან და ელიან, იცნობენ ამ მოხალისე მეთევზეებს, იციან, რომ მალე თვითონვე აუერვათ გული ამდენი თევზით და გადაპკრიან. მთელ ტომარა თევზს ვინ დაუჭდება და ვინ გამოწლავს ან ვინ აწონის? დაქერა უფრო ადვილია თევზისა, ვიდრე მისი თავიდან მოცილება.

სარკესავით გლუვ ზღვაზე სპილენძისფერი სინათლე იღვრებოდა. არხის სათავეში ტივტივები ირწყოდა და თვითუღი ტივტივის ქვეშ, წყლის სარკეში, მეორე ასეთივე ტივტივა ირეკლებოდა.

ფლაგშტოკისაყენ შეგბრუნდი და ომის მონაწილეთა ობელისკზე, შინ დაბრუნებულ გმირთა შორის, ჩემი გვარიც ამოვიკითხე. ასოები ვერცხლით იყო ამოტიფრული — კაპიტანი ი. ა. პოული. ქვემოთ კი ოქროთი ამოტიფრული გვარები თვრამეტი ნიუბეიტაუნელი ჭაბუკისა, რომლებიც შინ დაბრუნებას ვერ ეღიარებენ. მათი უმრავლესობის გვარები კარგად მახსოვდა და ბევრს ვიცნობდი კიდევ — არაფრით არ განსხვავდებოდნენ სხვებისაგან; ახლა კი იმით განსხვავდებიან, რომ იმათი გვარები ოქროთია ამოკვეთილი. ერთი წუთით ვინატრე, ნეტა მეც მათთან ვიყო-მეთქი, ოქროს ასოებით ამოკვეთილი კაპიტანი ი. ა. პოული, ქვემოთ სიამში — ლანჩებსა და სიმულიანტებს შორის, არამზადებსა და გმირებში; მართო მამაკებს კი არ ხოცავენ ომში. ეს არის რომ, უფრო ხშირად ილუბებიან მამაკებს.

ჩასუქებული უილი მოვიდა მანქანით, ჩამოხტა და უკანა სავარძლიდან დროშა გამოიღო.

— გამარჯობა, ით, — მითხრა მან. მერე დროშის ყური სპილენძის რგოლში დაამაგრა და ნელ-ნელა აღმართა ფლაგშტოკის თავზე, მიგმივით დაეკიდა დროშა, თითქოს ვინმე ჩამოუხრჩვიათო, — უკვე გადასავდები, — ქოშინით თქვა უილიმ, — ამა ერთი შეხედვით, კიდევ ორი დღე და ახალი უნდა გამოფინოთ.

— ორმოცდაათ ვარსკვლავიანი?

— კარგად მიმიხვდით. ნეილონის დროშა გვაქვს, უშველგებელი, ორი ამხელა იქნება, მაგრამ ორჯერ უფრო მსუბუქი.

— ქვეყნის საქმე როგორ არის, უილი?

— დიდი სამღურავი არ ჩქარობს, მაგრამ მიანიც უნდა ვთქვა. ეს ოთხი ივლისის დღესასწაული თავგზას გვირეცს. მით უმეტეს, ორშაბათს თუ დამთხვავა. მაშინ იკითხე უბედური შემთხვევები, ჩხუბი, ლოთობა... განსაკუთრებით ქალაქგარეთ. ჩაქვქით, მაღაზიაში მივიყვანათ.

— მაღლობელი ვარ. ფოსტაში უნდა შევიარო, თან იქნებ ერთი ფინჯანი ყავაც დავლიო.

— ოკეი. ფოსტამდე მივიყვანათ. ყავაზეც შემოგვებოდით, მაგრამ სტონი ძალღვივთ იღრინება.

— რა ღმერთი გაუწყრა?

— რა ვიცი. ორი დღით იყო წასული და ძაღლის გუნებაზე დაბრუნდა.

— სად იყო?

— ეგ არ უთქვამს, მაგრამ ძაღლის გუნებაზე კი დაბრუნდა. შედით ფოსტაში, მე აქ დაგიციდით.

— ნუ შესწუხდებით, უილი, წეროლები მაქვს გასაგზავნი.

— თქვენი ნებაა, — უკანა სვლით წავიდა და მთავარი ქუჩისკენ შეუხვია.

ფოსტაში ჯერ ისევ ბინდ-ბუნდი იდგა. იატაკი ახლახან გაპერილობით და იქვე წარწერა გამოეკრათ. **ფრთხილად! ფეხი არ დაგიცურდეთ!**

რაც ეს ფოსტა ააშენეს, ჩვენ სულ შეიღი ნომერი საბონემენტო ყუთი გვაქვს. ავკრიფე G<sup>1</sup>/<sub>2</sub>R და დახვავებული ქაღალდები გამოვიღე — სულ გეგმები და რეკლამები, „აბონენტის“ სახელზე. მეტი არაფერი არ ყოფილა, მხოლოდ ეს, სანაგვე კალათში ჩასაყრელი ქაღალდები. მთავარ ქუჩას დაეუყევი, ყავას დავლევე-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ რესტორანს რომ გავუბარდაპირდი, აღარ მომიინდა ყავა, ან იქნებ ვინმესთან გამოლაპარაკებას მოვერიდე, ანდა... ერთი სიტყვით, არ ვიცი რატომ, მაგრამ „მთავარი ანძის“ კაფეში შესვლა აღარ მომიინდა. ღმერთო დიდებული რამდენაირი გრძნობა ბორგავს ხოლმე კაცის გულში... ქალის გულშიაც, რა თქმა უნდა.

დუქნის წინ ტროტუარსა ვკვიდი, როცა თელის ქუჩაზე მისტერ ბეიკერი გამოჩნდა და ბანკში შევიდა, რათა წმინდა ცერემონიალი ჩაეტარებინა. ხოლო როცა ნესვებს უხალისოდ ვალაგებდი ხონჩაზე, ძველებური მწვანე ჯავშნიანი მანქანა მიადგა ბანკის შესასვლელს. კომანდოსებოვით შეიარაღებული ორი მცველი ძარიდან გადმოხტა და ნაცრისფერი ფულის ტომრები ბანკში შეიტანეს. ათიოდე წუთში უკანვე გამოვიდნენ, ჯავშნიან ციხე-სიმაგრეში აძვრნენ და დაიძრა კიდეც მანქანა. ალბათ დაუცადეს, მანამ მორფი დაითვლიდა ფულს, მისტერ ბეიკერი კი შეამოწმებდა და ხელწერილს მისცემდა. ხათაბალა ფულის ანგარიში. ზიზსაც კი იგრძნობ, როცა სხვის ფულს ანგარიშობო, მორფიმ იცის თქმა. ტომრებს სილიდებუ. ეტყობოდა, რომ ამ სადღესასწაულოდ ბანკი დიდძალი ფულის გაცემას მოელოდა. მე რომ უბრალო მძარცველი ვიყო. სწორედ დღევანდელ დღეს შევარჩევდი ყველაზე შესაფერი სად; მაგრამ უბრალო მძარცველი როდი ვარ — ჩემმა გულითაღმა მეგობარმა ჯოიმ დამამოძღვრა. კაციშვილი ვერ შეედრება ამ საქმეში, თვითონვე რომ მოიწადინოს. მივირის კი, ერთხელ მაინც რატომ არა სცდის, თუნდაც თავის თეორიის შესამოწმებლად.

დილიდანვე გახურდა ვაჭრობა. რასაც ველოდი, იმაზე უარესი დღე დამადგა. მზემ დააჭირა და საშინლად იკბინებოდა, ნიავეი ოდნავდა თუ იძროდა, ამისთანა სიცხეში კაცს არჩევანის თავი აღარა აქვს — საცა მოახერხებს, იქით გასწევს სახაფხულოდ. მაღაზიაში რიგი გაჩნდა. როგორადაც არ უნდა დატრიალებულიყო საქმე, ერთი რამე მტკიცედ გადავწყვიტე — უსათუოდ თანაშემწე უნდა გამეჩინა. თუ აღენი არ გამოდგება, ავღგები და სხვას მოვიყვან.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა დუქანში მისტერ ბეიკერი შემოვიდა. ძალიან ეჩქარებოდა, და ამიტომ მუშტ-

რები ცოტა ხნით მივატოვე. მუშტში გაეყვანე მისტერ ბეიკერი.

ხელში ორი კონვერტი მომაჩეჩა — ერთი დიდი და ერთიც პატარა, ისე ეჩქარებოდა, რომ სტენოგრაფიული სიძუნწით მომაყარა სიტყვები.

— ტომ უოტსონმა, წყალი არ გაუვაო. დაგირავებაზე ვერაფერს გეტყვიო. მგონი არ უნდა პქონდესო. აგერ საბუთები. საცა დანიშნული მაქვს, ხელი მოაწერე. ნომრები გადაწერილი და ჩანიშნული მაქვს. ეს ჩეკიც შევსებულა: ხელის მოწერადა უნდა. შენთან ბოდიშს ვიხდი, რომ ასე მეჩქარება. არ მიყვარს ნაჩქარევი საქმე.

— მაშ, მართლა მირჩევი? ვცადო?

— რა ღმერთი გიწყრება ითენ, ამდენი მაწვალე და ახლა...

— უეცარავად, სერ, უეცარავად. მართალი ბრძანდებით. — ჩეკი რძის ფხვნილის კოლოფზე დავედ და ქიმიური ფანქრით მოვაწერე ხელი.

ახლა აღარ გამოუჩენია მისტერ ბეიკერს ისეთი სიჩქარე — გულმოდგინედ შეამოწმა ჩემი ხელწერა.

— პირველად ორი ათასი შეაძლიე, და მერე ორას ორასობით მოუმატენუ დაგავიწყდება, რომ ბანკში ხუთასი დოლარია გრჩება! ღმერთმა ნუ ქნას, რომ კიდეც დაგპირდეს ფული.

— საქმე თუ კარგად წავიდა, მაშინ დუქნის დაგირავებითაც ხომ შემეძლება ფულის სესხება?

— რა თქმა უნდა, მაგრამ პროცენტები შეგჭამს.

— არ ვიცი, რითი გადაგიხდით მადლობას.

— ნუ მოლბები, ითენ. თავს ნუ შეაცოდებინებ.

— ვიცი, რომ სულ დატკბება და დაითაფლება. ასე იციან იტალიელებმა. ყველაზე წინ საკუთარი თავი უნდა დაყენო.

— დიდი მადლობელი ვარ.

— აბა, წავსულეარ, — თქვა მან, — მინდა გვაასწრო მთავარ გზატკეცილზე, მანამ ყველა გამოეფინებოდეს. —



ფეთიანებით ვაფარდა, კინდამ გადააყი-  
რავა ზღურბლზე მისის უღლოუ, რომე-  
ლიც უკვე მეორეჯერ სინჯავდა სათი-  
თაოდ ყველა ნესეს.

მთელი დღე შეუნღებელი ფუს-  
ფუსი იდგა. სიცხემ, ეტყობა, ვადარია  
ხალხი, სულ დააცოფდა და გაპირვეუ-  
ლა. ვეგონებოდა, სადღესასწაულოდ  
კი არ ემზადებთან, რამე უბედურებას  
მოელონო. ძალიანაც რომ მომენდომე-  
ბია, იმის დროსაც კი ვერ გამოვძებნი-  
დი, რომ მორფისათვის სენდვიჩი ვადა-  
შეტანა.

მართო ხალხის მომსახურება რომ  
ყოფილიყო, ვინ დაეძებდა; ისედაც  
უნდა მჭეროდა თვალი ფხიზლად. მუშ-  
ტრების უმრავლესობა საზაფხულოდ  
ჩამოსული უცხოელები იყვნენ. თუ  
კარგად არ უყურებ, თვალსა და ხელს  
შუა აგწაპნის რამეს. თითქოს უნებურ-  
ად გავპარებათ ხელი. ზოგჯერ იმისთან-  
ა საქონელს გააცოცებენ, რომ, ატყობ  
მაინცდამაინც არც კი სჭირდებათ. გან-  
საკუთრებით დელიკატესის ქილებზე  
კარგავენ ჭკუას — ბატის კუჭ-მაჭის  
პაშტეტი, ზიზილალა, ქორფა სოკოს  
კონსერვი! ამიტომაცაა რომ ამ კონსერ-  
ვებს მარულო ყოველთვის დახლის ში-  
გნითა თაროებზე მადებინებს, საცა მუ-  
შტარი ვერ მისწვდება. ქურდის დაპე-  
რა დუქანში საქმისათვის არ ვარგაო,  
მარიგებდა ხოლმე. ყველას ააღვლეგებს,  
რადგან ვინ იცის, თავის გუნებაში მა-  
ინც იქნებ ყველა სცოდავდესო, ამი-  
ტომ, სჯობს ეს ზარალი სხვას აზღვევი-  
ნოო. როცა შევნიშნავ, ვინმე საეჭვოდ  
მიუტოცდება თაროს, წინასწარვე ვი-  
შერ თადარიგს — „ეს წინილი სწორედ  
კოკტილის მოუხლებმა-მეთქი“, ჩვეუ-  
ლაბარაკებ. დაკვირვებვივარ, ცივად  
ფიქროდება მუშტარი, თითქოს მისი  
ფორტები წამეკითხოს. რატომ უნდა და-  
სწამო ცილი ადამიანს?! არ მიყვარს  
უსაფუძვლო ეჭვი. გული მომდის ხო-  
ლმე — გამოდის რომ, ერთმა ბევრი  
უნდა შეურაცხყოს.

დრო ისე ზანტად მიიზღაზნებოდა,  
ლამის ყელში ამომივიდა ის დღე.

ხუთი უკვე გასული იყო, როცა დუქან-  
ში მთავარი პოლიციელი სტუმარი  
ვიდა. ჩამომხმარი, უცხვირპირი, გაბო-  
როტებული. ტელევიზიაში, რომ რეკ-  
ლამას უკეთებენ, ის საზოგადო იყიდა —  
სოფლური ბიფშტეკი, სტაფილო, კარ-  
ტოფილის პიურე, შექმნილი და გამ-  
ზადებული, ალუმინის კოლოფში ჩაცი-  
ვებული.

— თითქოს, მზეს! დაუკრავსო, უფ-  
როსო, ისეთი საზე გადევთ! — ვუთხა-  
რი მე.

— არა. მშვენიერად ვარ. — მართ-  
ლაც საცოდავი შესახედავი იყო.

— ორი სადილი?

— ერთი. ცოლი სტუმრადაა. პოლი-  
ციელისათვის დღესასწაული არ არსე-  
ბობს.

— ვერ არის კარგი საქმე.

— იქნებ, ასე სჯობდეს. ამ არეულო-  
ბის დროს შინ მაინც ვერ დავიღვება  
გული.

— სადღაც ყოფილხარო.

— ვინ გითხრათ?

— უილიმ.

— მაგას ურჩევნია, მაგრად მოკუ-  
მოს თავისი გაფლანგული პირი.

— ცუდი კი არაფერი ჭქონია გულში.

— ცუდსაც ვერ მოახერხებს მაგისი  
ჭკუის პატრონი. იმდენ ჭკუას მაინც  
გამოიჩენდეს, რომ ოთხ კედელში არ  
გამოკეტონ.

— მაგას ჭკუა ვის ექნება? — ეს გა-  
ნგებ ვთქვი, და არც ველოდი, რაე გა-  
მიმართლა.

— ვითომ რა, მაგითი რისი თქმა  
გსურს, ითენ?

— იმდენი კანონი შემოიღეს, რომ  
კაცს ამოსუნთქვისაც გეშინია, კანონის  
დარღვევა არ გამომივიდესო.

— მართალი ხარ. ყველაფერს ვერ  
დაიხსომებ.

— ერთი რაღაც უნდა მეკითხა, უფ-  
როსო... დუქანს რომ ვალაგებდი, რე-  
ვოლვერს წააწყდი, ძველი დაქანგული  
ჩვეოლვერია. მარულო ამბობს, ჩემი  
არ არისო. ჩემი, მით უმეტეს, საიდან  
იქნება! რა უნდა ვუქნა ამ რევოლვერს?



— მე ჩამაბარე. ნებაართვის ალებას თუ არ მოისურვებ.

— მაშ ხვალ წაპოვილებ შინიდან. ზეთის თუნუქაში ჩავაგდე. რას შერებთ ხოლმე, სტონი, ასეთ ღრას?

— ჯერ გავარკვევთ, ეისია, რაა, და მერე ოკეანეში გადავუძახებთ.

— ცოტათი თითქოს მოსკლიერდა, იმისთანა ცხელი და გრძელი ღლე იყო, რომ გამიკვირდა კიდევ.

— გახსოვთ, ამ ორი წლის წინ რაღაც პროცესი იყო — პოლიციელებს ასამართლებდნენ, ჩამორთმეული იარაღის გაყიდვისათვის!

— სტონის ალიგატორის ტყბილი და მიამიტი ღიმილი გადაეშალა სახეზე.

— ეს კვირა ჩემთვის მთელი ჯოჯობითი გახდა, ით, მთელი ჯოჯობითი ასე რომ, ჩხვლეტას მოეშვი, რაღად გინდა, ისედაც ჯოჯობითი გამოვიარე.

— უკაცრავად, უფროსო, იქნებ წესიერი მოქალაქე გამოვადგეთ რამეში. ვთქვათ, დაგველია ერთად?

— ნეტა კი შემეძლოს! არაფერი ისე არ მინდა, როგორც ერთი მაგარი გამობრუყვა.

— მავასაც რომ ბევრი რამე უნდა!

— მაშ, არაფერი გავიგია? ანკი საიდან გეცოდინება! ნეტა მე თვითონ გამაგებინა მაგისი თავი და ბოლო.

— ვერ მივხვდი! რას მელაპარაკები!

— არც გინდა, დაივიწყე, ით, თუმცა რატომ... ნუ დაივიწყებ. შენ მისტერ ბეიკერის მეგობარი ხარ. ახალი ხომ არაფერი წამოუწყია?

— არც ისეთი გულითადი მეგობარი ვარ, უფროსო, რომ ეგ ვიცოდე.

— მართლმ? მართლო სად წავიდა?

— ნიუ-იორკში თავისი ართრითი უნდა გაასინჯოს.

— ღმერთო დიდებულო! ველარაფერი გამოგია. სულ ამებნა თავგზა. რამე კვალისთვის რომ მივაგნებინა, მერე მე ვიცი.

— რა უთავბოლოდ ლაპარაკობ, სტონი!

— მართალი ხარ, ზედმეტიც წამოვროშე.

— ქუთით მაინც დამინტერესებენ, მაგრამ თუ გამაძლავს სტინბეკისუბუქებმა...

— აჰ, არა, არასდიდებით. ამას მაინც არავის ვათქმევინებ, საიდუმლოს ვერ ინახავსო. დაივიწყე, ით, ხომ ხედავ, რა გაწამებული ვარ.

— მე რომ გამანდო, ამით არაფერი დაშავდება, სტონი. რა მოხდა — ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იყო?

— შენც გცოდნია?!

— ცოტათი.

— ამის უკან რა იმალება?

— პროგრესი.

— სტონი სულ ახლოს მოვიდა ჩემთან და მკლავზე ისე მომიჭირა თავისი რკინის ზელები, რომ გამამწარა.

— ითენ, — მითხრა გაყოფებით, — რას იტყვი, მე კარგი პოლიციელი ვარ?

— საუკეთესო.

— ვცდილობ, რომ საუკეთესო ვიყო.

— გულით მინდა, ით, რას იტყვი — კაცმა რომ თავის გადასარჩენად მეგობრების გაცემა მოვთხოვოს, სწორი იქნება?

— არა. ნუ შგონი, არა.

— მეც ასე შგონია, მთავრობა რომ ამას იცისრებს, მაგისთანა მთავრობას პატივს ვერა ვცემ. იცი, რა მაწუხებს, ით — თუკი ჩემს საქმეს პატივს ვერა ვცემ, როგორღა უნდა ვიყო კარგი პოლიციელი?!

— რამეზე ჩავაგლეხ, უფროსო?

— შენი არ იყოს, იმდენი კანონი შემოიღეს, ერთი მაგრად რომ ამოისუნთქო, უკვე კანონის დარღვევა გამოდის. ოჰ, იესო მაცხოვარო! ჩემი მეგობრები მაინც არ ყოფილიყვნენ. მაგრამ არსად წამოგცდეს, ითენ!

— არასდიდებით. შენი სატელევიზიო სადილი დაგაეიწყა, უფროსო.

— ეჰ! მივალ სახლში, ფეხთ გავიხდი და ტელევიზორში პოლიციელების საქმიანობას ვუყურებ. ხომ იცი, ზოგჯერ მარტოკა რომ ხარ სახლში, უფრო კარგად ისვენებ. ნახვამდის, ით.

— კაი ბიჭი იყო სტონი. კაი პოლიციელი. ნეტა გამაგებინა, კვალი სად მიიყვანს.



ეს იყო, დუქანი უნდა დამეკეტა, და ვიწყე კიდევ ზილის ზონჩების ალაგება, რომ ჯოი მორფი შემოყალიდა.

— ჩქარა! — შევძახე მე, კარები მოვხტურე და მწვანე ფარდები ჩამოვუშვი, — ჩურჩულით ილაპარაკე.

— რა მოგივიდა?

— კიდევ არ მოუნდეთ რამეს ყიდვა.

— ეჰ! მივიხვდი, ღმერთმა დასწყევლოს ეს ვაჭიანურებული დღესასწაულები, რაც ჭი რამ ცუდი აქვს ადამიანს, არ იქნება, ასეთ დღეებში არ გამოამტლანოს. დილით ცოფიანებით გამოვარდებიან ხოლმე, საღამოზე კი მოჩვარულ-მოთენთილები ბრუნდებიან შინ.

— ყელს არ გაისველებ, მანამ აქაურობას მივალაგებ?

— არ იქნება ურიგო. ცივი ლუდი გაქვს?

— აქ დალევა არ შეიძლება.

— აქ არ დავლევ, შენ ოღონდ გამიხსენი.

ორი სამკლეთხა ნახვრეტი გავუჭერი ხუფში, და მორფომ ხელადვე მოიყუდა, პირი დაალო და ჩასცალა.

— იჟ! — თქვა მან და ჭილა დახლზე დასლო.

— ჩვენც მივიმგზავრებით.

— საით, თქვე საცოდავებო?

— არ ვიცი, ჭერ არ დავვირტყამს მაგ საგანზე ერთმანეთისათვის.

— რაღაცა ხდება ჩვენს ირგვლივ. რა უნდა იყოს, არ იცი?

— იქნებ მიმახვედრო!

— მი თვითონ არ ვიცი. ისე ვგრძნობ, კეთა მეფხანება. ეს კი უტყუარი ნიშანია. ცოტად თუ ბევრად, ყველა ამოვარდა კალამოტიდან.

— იქნებ გეჩვენება.

— ვინ იცის, მაგრამ მისტერ ბეიკერი თავის დღეში უქმეებზე ქალაქიდან არ გასულა. ახლა კი ერთი სული ჰქონდა, მანამ წავიდოდა.

გამეცინა.

— წიგნები არ გადაქექე?

— იცი რა — მართლა შევამოწმე.

— შენ ხუმრობ.

— ერთ ფოსტმანისტერს ვიცნობდი, პატარა ქალაქში. ვილაც შტერი ბიჭი მუშაობდა მასთან, რაღფი ერქვა — გამოხუნებული თმა, სათვალე, მოციკნილი ნიკაბი, ჩიუვივით გამოხუნილი ადენოიდები. მარკების ქურდობაზე ჩაველეს ამ რაღფს — კარგა ბლომად მოეზარა, ათას რვაასი დოლარისო, მგონი, ვერაფერს ვერ ვახდა. შტერს რა უნდა მოჰკითხო!

— შენ ისე ამბობ, თითქოს არ მოუპარავსო.

— რა მნიშვნელობა აქვს — მოიპარა, არ მოიპარა. მე მუდამ გაფაციკებული ვარ ხოლმე. ჩემზე თუ იქნა დამოკიდებული, არასოდეს არ ჩავარდები.

— ცოლშვილსაც ამიტომ არ მოეციდე, ხომ?

— ვინ იცის, ნაწილობრივ იქნებ ეგეც იყოს მიზეზი.

წინაფარი დაკვეციე და უჭრაში ჩავდევი, სალაროს ქვეშ.

— რამდენი დრო და ხათაბალა დასჭირდება ყველას რომ ექვით დაუწყოცქერა, ჯოი. მე მაგისი დრო ვინ მომიცა.

— ბანკში თუ მუშაობ, დროც უნდა გამოძებნო. ერთი რომ გამოგრჩეს, მოარჩა. უბრალო გადაჭრულება კმარა.

— ვითომ ასეთი ექვიანი ხარ?

— ალლოთი ვგრძნობ. ოდნავ რომ გადაბრუნდეს საქმე, მაშინვე საგანგაშო სიგნალები ამიძოძრავდება.

— ამასაც ცხოვრება ჰქვია?! შენ ხუმრობ, ალბათ!

— ესურობ, მართალი ხარ. ოღონდ, თუ რამეს მოჰკრა ყური, უსათუოდ შემატყობინე — მე თუ შეგხებოდეს, რა თქმა უნდა.

— თუკი რამე ვიცი, ყველას სიამოვნებით ვუამბობ. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მე არავინ არაფერს მიაშობს. შინ მიდიხარ?

— არა. რესტორანში ვკამ რამეს.

ვიტრინის სინათლე გამოვრთე.

— მოდი, ხეივანს დავუყვით. ხვალ

დილიდანვე მოგვიზადებ სენდვიჩებს, მანამ ხალხი მოაწყდებოდეს. ერთი ლორით, ერთიც ყველით, პეავის პურზე, სალათი და მაიონეზი, ხომ ასეა? და ერთი ბოთლი რძე.

— ნამდვილი საბანჯო კაცი ხარ, — მიიხზრა მან.

ხომ მარტოდ მარტო ცხოვრობდა ეს კაცი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სხვებზე მეტად მაინც არ გრძნობდა ამ მარტოობას. „მთავარი ანძის“ შესასვლელთან დაეშორდით ერთმანეთს, და ერთიც, წამით გულიც კი დამწყდა, ნეტა მეც შემძლებოდა შეყოლა-მეთქი. წარმოვიდგინე, რა ალიაქოთი დამხვდებოდა შინ.

გამართლდა კიდევ ჩემი ვარაუდი. მერის უკვე დაეწყო ჩვენი მოგზაურობის გეგმა. მონტოკის კონცხის მახლობლად ერთი უბადრუკი რანჩოა — მონრდილებისათვის გადაღებული კოვბოური ფილმები რომ გინახავთ, სწორედ ამ ყაიდაზე მორთულ-მოწყობილი. გემო იმაშია, რომ ეს გაბლავთ მთელს ამერიკაში უძველესი რანჩო. ჯერ ტეხასის სხენება სად იყო. ეს რანჩო რომ არსებობდა. თავდაპირველად კარლოს მეორეს უბოძებია ამისი გუჯარი. რაც ნიუ იორკს ხორცი სჭირდებოდა, იმის საჭონელს სულ აქ ამოგებდნენ ზოლმე, მწყებებს კი, ნაფიცი მსაჯულების მსგავსად, წილის ყრით ირჩევდნენ, განსაზღვრული ვადით. ახლა გულის გადასაყოლებლადლა არის ეს რანჩო, მაგრამ ნახირი ახლაც ძოვს მინდვრებში. კვირა ღამის საღამე სოფლის სასტუმროში გატარება მერის მომხიბლავ იდეად ესახებოდა.

ელენს ნიუ იორკისკენ მიუწევდა გული, იქ სასტუმროში დაბინავება და ტაიმს-სკვერზე ორი დღის გატარება სურდა. ალენს კი სულაც არ ეპიტნაებოდა შინიდან წასვლა. ასე იცის ზოლზე — რითიმე უნდა მიიქციოს ყურადღება და გაჩვენოს, მეც კაცი ვარო.

მთელი სახლი მღელვარებით ცახცახებდა. ელენი ჩუმ, მღულარე ცრემ-

ლებს აფრქვევდა; გაუღრმებულ შერის სახე წამოქარბლებოდა და ერთიანად მოშლილიყო; გაბუსხული ალენი კუთხეში მიმჯდარიყო, თავისი პატარა რადიო მოემარჯვებინა და ვილაც დღე-კაცს უგდებდა ყურს, რომელიც გამწარებული კნავილით გაცრუებულ სიყვარულს მისჩნაოდა. „ერთგულუბნებს რომ შემშირდი, ასე რად მიმატოვე, გული რისთვის გამისრისე, რისთვის ამითვალწუნე?“

— ღამის ყველაფერს მივანებო თავი, — წამოიძახა მერამ.

— ესენიც ვითომ გეხმარებიან!

— ესენი იმას ცდილობენ, რაც შეიძლება გამამწარონ.

— არაფერი ჩემთვის არ შეიძლება, — სლუკუნებდა ელენი.

სასტუმრო ოთახში ალენმა რადიო აღრიალა — „გული რისთვის გამისრისე“....

— ჩაეკეტოთ სარდაფში ესენი და ჩვენ თვითონ წავიდეთ, ჩემო სტაფილო.

— ახიც იქნება, — ყვირილით მიბასუხა მერამ, რომ „გასრესილი გულის“ ბლავილში როგორმე გამეგონა.

ერთაშაღ ცოფმა მოშიარა. მიეტრიალდი და სასტუმრო ოთახისკენ გავემართე, რათა სულ დამეგლოჯა ჩემი ვაჟიშვილი და მისი „გასრესილი გული“ ფეხით გამეთელა. მაგრამ კარის ზღურბლს რომ გადავაბიჯე, მუსიკა შეწყდა. „ამით ვწყვეტ კონცერტს და გადმოგცემთ საგანგებო ინფორმაციას. დღეს ნიუ ბეიტაუნისა და უესესქის ოლქის მმართველებმა უწყებები მიიღეს, რათა ნაფიცთა სასამართლოს წინაშე წარსდგნენ და პასუხი აგონ ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის ფულის მითვისებისა, მექრათამეობისა და სხვადასხვაგვარი გამოძალვის“....

გაებნენ — მერიც, მუნიციპალიტეტიც, მოსამართლეებიც. მთელი საქმე გაიხსნა. ვისმენდი და თითქოს არც მესმოდა, გულზე რაღაც დამაწვა და და-

მამისმა. იქნებ, მართლაც მიუძღვით ეს დანაშაული, მაგრამ იმდენი ხანია ამას სჩადიან და ისე მიეჩვივნენ, რომ დანაშაულად აღარც მიაჩნიათ. თუნდაც არ იყვნენ დამნაშავენი, ადგილობრივი არჩევნების ჩატარებამდე თავის გამართლებას მაინც ვერ მოასწრებენ, და ეგეც რომ არ იყოს, თუნდა სულ გამართლდეს ადამიანი, მისი პასუხისმგებლობა მიცემის ამბავი მაინც ყველას ახსოვს. მორჩა, გაძაგრეს. ალბათ, თვითონაც გრძნობენ ამას, სმენა გავამაზვილე, იქნებ სტონის გვარიც ვაგიგონო-მეთქი, მაგრამ არ უხსენებიათ. ეტყობა, მან ვასცა, რათა თვითონ დაეძვრინა თავი. ისე აფორიაქებული და დამძარებული რომ იყო, ეგ არაფერს ნიშნავს.

მერი კარებში იდგა და ისმენდა.  
— შეზედე, ერთი, — თქვა მან, — რამდენი ხანია ასეთი არაფერი მომხდარა ჩვენს ქალაქში, ვითომ მართალი იქნება, ითენ?

— მაგას რაღა მნიშვნელობა აქვს, — უთხარი მე, — განა მაგის გამოა წამოწყებული ეგ საქმე.

— ნეტა, მისტერ ბეიკერი რას ფიქრობს?

— ის სადღესასწაულოდ წავიდა. ნეტა მართლა რას ფიქრობს?

ალენი უკმაყოფილოდ აწრიალდა, მუსიკა რომ გაუწყვიტეს.

ამ ინფორმაციამ, სადილმა და ჭურჭლის რეცხვამ ჩვენი გამგზავრებაზე მოლაპარაკება გადასდო, ხოლო შემდეგ უკვე მეტისმეტად გვიან იყო, რაიმე გადაწყვეტილება მიგველო, ანარა და ისევე ჩხუბი და ტირილი წამოგვეწყო.

ლოჯინში რომ ჩაეწეით, კანკალმა ამიტანა. ცივმა და უმოწყალო უღმობელობამ სისხლი გამიყინა, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულის თბილი ღამე იდგა.

— როგორ აგბურძგლა, გენაცვალე, — მითხრა მერიმ, — ვირუსული გრიპი ხომ არ შეგეყარა?

— არა, ჩემო ოცნებაე, რა დღეში

იქნებიან-მეთქი, წამრვიდგინე, ~~ჭეჭეჭეჭეჭეჭე~~ თი უტრიალებდა ალბათ გულში.

— კარგი, ითენ. ყველას უბედურებას ხომ ვერ მიიტან გულთან!

— ეტყობა, მიმაქვს.

— ნეტა, რა ბიზნესმენი უნდა დადგეს შენგან. ზედმეტად მგრძობიარე ხარ, ითენ. შენ რა ბრალი მიგიძღვის იმთ საქმეში!

— მე კიდეც იმას ვფიქრობდი — იქნებ, ჩვენ ყველა დამნაშავენი ვიყოთ-მეთქი.

— ვერა გამიგია რა.

— მეც ვერაფერი გავიგე, ჩემო სულო და გულო.

— ვინმესთან დატოვება რომ შეიძლებოდეს!

— რაო, ჩემო კოლომბინა?

— როგორ მინდა მე და შენ მარტო გავატაროთ ერთი დღესასწაული მაინც. რამდენი ხანია ეს აღარ გვღირსებია.

— კარგი იქნებოდა, ვინმე მარტოებულა მოხუცი ნათესავი ქალი გვეყოლოდა. აბა ერთი დაფიქრდი. ცოტა ხნით რომ შეიძლებოდეს მაგათი დამარილება ან წნილად ჩადება! იქნებ მოიფიქრო რამე, მერი, ჩემო მადონა. ისე მინდა, სადმე უცხო ადგილას წავიდე შენთან ერთად! ვიყილებდით დიუნებში, ღამით ტიტვლები ვიცურავებდით და მერე სულ აგწმწავდი გვიძრის ლოჯინში.

— ვიცი, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო. ვიცი, რა დღეში ხარ. შენ გგონია, ვერა ვხვდები!

— მოდი, უფრო მომეკარო, მოვიფიქროთ რამე.

— კიდეც გაძიგძიგებს. გცივა?

— მცივა კიდეც და მცხელა კიდეც, სავსეც ვარ და სულ გამოფიტულიც... გადავიღალე.

— მოვიფიქრებ რამეს. უსათუდ. ბავშვები როგორ არ მიყვარს, მაგრამ...

— მესმის, მეც ჩემს წინწყლებიან ბანტს გავიკეთებდი...

— ციხეში რომ ჩასვან?!

— ნეტა მართლა...

— იმ ხალხზე გეუბნები.

— არა. რაში სჭირდებათ. სასამართლოს იქითა სამშაბათამდე ვერ შეგყვრიან, ხუთშაბათს კი არჩევნებია. ყველაფერი გამოზომილი აქვთ.

— ეს რა ცინიზმია, ითენ! სულ არ გიხდება. უსათუოდ წაივადეთ, რაჟი ასეთი ცინიკოსი გახდი — ეს შენ ხუმრობით არ გითქვამს, ზედვე გეტყობოდა. შენს ხუმრობას მაშინვე ვხვდები. ახლა სერიოზულად სთქვი.

შეშმა შემიპყრო, მაშ, შემეტყო რამე?! ეგ არაფრის დიდებით არ შეიძლება.

— ჰა, პატარა თავუნია — ცოლად არ გამოიყვები?

მაგრად კი დაფეთდი, არაფერი შემეტყოს-მეთქი. თავი კარგა ხანია დაეარწმუნე, რომ თვალეები სრულებითაც არ არის სულის სარკე. რამდენი ამარი დედაკაცი მინახავს, სახე და თვალეები ანგელოზისა ჰქონიათ. ისეთებიც გამოიკრევა, სულში რომ ჩაგხედავენ და შეხს გულისნადებს ამოიკითხავენ, მაგრამ ძალიან ცოტა. ხალხის უმრავლესობას საკუთარი თავის მეტი არაფერი აინტერესებს. ერთხელ ერთი კანადელი გოგო რაღაც ამბავს მომიყვა, რასაც იგი, თურმე გულისხმაში ჩაეგდო, და მეც დამაფიქრა. ეს გოგო წარმოშობით შოტლანდიელი იყო. როცა წამოვიჩიტეო, იმ გოგომ მითხრა, მეჩვენებოდა, თითქოს ყველა ამრეზით მიცქერდაო. თურმე სულ წითლდებოდა და ცრემლებით იზრჩობოდა. ბოლოს თავისმა მთიელმა პაპამ რომ შენიშნა, როგორ იტანჯებოდა საწყალი გოგო, თურმე შეუტია — „ნეტა რა გაწუხებს, მართლა თუ გგონია, რომ შენთვის სცხელა ვინმეს!“ მაშინვე მოშვებოდა იმ გოგოს გულზე, და მას შემდეგ მეც უფრო თვითდაჯერებული გავხდი, რადგან ეს მეც შენიშნა. მაგრამ მერი ხომ თავისივე დარგული ვარდების თალარში ცხოვრობს, და ახლა რაღაც ენიშნა, რაღაც ეუცნაურა. ეს კი საშიში იყო, რადგან ზვალინდელი დღე ჭერ წინ მდებოდა.

ერთბაშად რომ მომსვლდა მისევე გეგმა თავში — უკვე დამუშავებული და მომზადებული — ალბათ მაშინვე უარეზყოფდი, როგორც სისულელეს. ამისთანა საქმეს აბა ვინ გააკეთებს, თამაშით კი ხშირად თამაშობენ ხოლმე საიდუმლო თამაშს. ეს ჩემი თამაში მაშინ დაიწყო, როცა ჯოიმ ბანკის გაქურდვის ხერხები მასწავლა. ჩემი მუშაობით გულგაწყალებული, ამ თამაშით ვერთობოდი ცოტას, და ყველაფერი უწყობდა ხელს თამაშს — ალენი და თავისი ნიღაბი, ტუალეტის მოშლილი ავზი, დაეანგული რევოლვერი, მოახლოებული დღესასწაულები, ჯოიმ რომ ქალაქით დაამაგრა კარები, ისიც. ჩაეები ამ თამაშში და თან დროსა გზოგავდი, ვვარჯიშობდი, ვეჩვეოდი. ბოლოს და ბოლოს, ყაჩაღებიც ხომ თავის დროზე ბავშვები ყოფილან, პატარაობიდანვე შესჩვევიან სათამაშო დამბაჩის სროლას და ისე დახელოვნებულან, რომ ხელი რევოლვერისკენ გაურბით.

ვერ ვიტყვი, როდის დაკარგა ამ ჩემმა თამაშმა თამაშის ხასიათი. ეგებ მაშინ, როცა დაერწმუნდი, მალაჩის ყიდვა იქნებოდა შესაძლებელი და ამისთვის კი ფული დამჭირდებოდა. ეგეც რომ არ იყოს, მწელია ასე უნაკლოდ დაწყობილი გეგმა გდააგდა და ნამდვილ საქმეზე არ გამოსცადო. უსინდისობას თუ ვიტყვით — ბოლოს და ბოლოს, ეს ბოროტმოქმედება ფულის მიმართ არის და არა ადამიანებისა. არავის არაფერი დაუშავდება. ფული დაზღვეულია. დანაშაული ისაა, რაც ადამიანების წინააღმდეგ იყო მიმართული — დენისა და მართლოს წინააღმდეგ. ისე თუ გამომივიდა ყველაფერი, როგორც მინდა, ქურდობა რა სახსენებელია. მით უმეტეს, რომ ეს დროებითია. აღარასოდეს განმეორდება. თანაც, მანამდე მქონდა ყველაფერი აწონილ-დაწონილი და გამოანგარიშებული, სანამ მიეხვდებოდი, რომ ეს უკვე თამაში აღარ იყო. სათამაშო დამბაჩა მომარჯვებულმა ბიჭ-

მა უცებ იგრძნო, რომ ხელში ნამდვილი რევოლუერი ეჭირა.

ხიფათს ვინ დაემალემა ქუჩას რომ სტრი ან ხის ქვეშ რომ გაივლი, მაშინაც კი მოსალოდნელია ხიფათი. არა მგონია შიში მქონდეს, იმდენი ვივარჯიშე, რომ შიში სულ გამიქრა; დღევით კი ვლელავდი, როგორც მსახიობი პრემიერაზე ფარდის ახდის წინ. და როგორც ნამდვილი თამაშის დროს, ახლაც უოველგვარი მარცხი თუ დაბრკოლება წინასწარვე მქონდა გათვალისწინებულნი.

არ მეგონა, ასეთ ღელვაში თუ დამეძინებოდა, მაგრამ დამეძინა და კარგა მავრადაც, მგონი სიზმრებსაც არ შეეუწუხებია და ჩვეულებრივზე უფრო გვიან გამეღვიძა. განთიადის ბინდ ბუნდს ნერვების დამამშვიდებელ ოცნებაში გავატარებამეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ თვალემა რომ გავახილუე, ძროხის კუდი ისე გარკვევით გავარჩიე ტბაზე, ეტყობოდა ნახევარი საათის გათენებული მინც იქნებოდა ისე წამოვვარდი ლოგინიდან, გეგონებოდა საშინელი აფეთქების ტალღა დაძრულაო. ასეთი უცარი გავიძიების დროს ადამიანს შეიძლება ძარღვები დაეჭიმოს. მერის კი გავალეძე, ისე შეინჯღრა ლოგინი.

— რა მოხდა?

— დამავიანდა.

— სისულელეა. ჯერ აღრეა.

— არა, ჩემო აბლატიუსო. ჯოჯოხეთი დღე მელის. ყველას დღეს მოუწდება საბაყალეთო მალაზია. შენ იწევი.

— კარგად უნდა ისაუზმო.

— იცი რას ვიზამ? „მთავარი ანძიდან“ მუყაოს ფინჯნით ყავას წავიღებ და ზარულოს თაროებს მგელივით დავაცხრები.

— ნამდვილად?

— შენ მოისვენე, პატარა თავუნია, და იმაზე იფიქრე, ჩვენს საყვარელ ბავშვებს თავი როგორ დავაღწიოთ. ეს უსათუოდ საჭიროა. არ გეხუმრები.

— ვიცი. რამეს მოვიფიქრებ.

მანამ კიდევ მოასწრებდა ჩემთვისვე უკვე საკეთილდღეოდ რჩევა-დარიცხვებს, რომ ცემას, მე ჩავიცივი და შინიდან გამოვედი.

ჭოი უკვე კაფეში იჯდა, და რომ დამინახა, გვერდით სკამზე დაატყაუნა ხელი, მიმიწვია.

— არ შემიძლია, მორფი. დამავიანდა. ანო, იქნებ მუყაოს დიდი ბოთლით ვამატანო ყავა.

— ორ პინტს ვაგატან, თუ გინდა, ით!

— ორი პინტი იყოს. მით უკეთესი.

ყავა მუყაოს პატარა ბოთლებში ჩამისხა და ქალაღდის პარკში ჩამილაგა. ამასობაში ჯოიმაც გაათავა ყავა და ერთად გამოვედით.

— დღეს უბისკობოსოდ მოგიწევს წირვა.

— ასე გამოდის. ახალი ამბები როგორ მოგწონს?

— ჯერაც ვერ მღვსულვარ გონს

— გახსოვს, რალაცის სუნი მომდის-მეთქი, რომ გითხარი?

— რადიოს რომ ეისმენდი, მაშინვე შენ ვამახსენდი. ძან მგრძნობიარე ცხვირი გქონია.

— ჩემი ხელობის ხალხს ასე მოსდგამთ. ახლა კი გულდამშვიდებით დაბრუნდება ბეიკერი. გულმა თუ მისცა!

— დაბრუნებაზე ამბობ?

— არაფერი გენიშნება?

უმწეოდ შევხედე.

— ვგრძნობ, რომ რალაც ხდება, მაგრამ რა უნდა იყოს, ვერ მივმხვდარე.

— ღმერთო დიდებულო!

— უნდა ვხვდებოდე, ხომ?

— რა თქმა უნდა. კლანჭების კანონი ჯერ არ გაუქმებულა.

— ო, ღმერთო ჩემო. რამდენი რამე არ ვიცი ამ ქვეყანაზე. შენ, მგონი, სალათაც გიყვარს და მაიონეტიც, არა?

— ისიც და ისიც. — სიგარეტს ტელეფონის ქალაღდი შემოახია, დაქმუნა და კლიტის ჭრილში შესდო.

— წავედი, — ვთქვი მე, — დღეს ჩიის საგანგებო ვაჭრობაა დანიშნული, კოლოფის ხუფს ჩააბარებ და საჩუქრად

ბავშვს მიიღებ! ქალები არავენ გყავს ნაცნობი?

— კი მყავს, მაგრამ მაგისტანა საჩუქარი ყულში ამოსდით. სენდვიჩებს ნუ მომიტან, ნუ შეწუხებები, მე თვითონ გადმოვალ.

კარი მიიხურა, მაგრამ დაკეტვის ხმა არ გამოვიწია. ჯოი ალბათ ვერასოდეს ვერ გაიგებს, რომ მისთანა მასწავლებელი მე ჩემს დღეში არა მყოლია. განა მარტო თეორიულად მასწავლიდა, საქმიოთაც მაჩვენებდა და თან გზასაც მიხსნიდა.

ვინც კი ამისთანა საქმეში ერკვევა — ნამდვილი მცოდნე და გამოცდილი ხალხი — ერთხმად გაიძახის, ფულმა ფული იცისო. ყველაზე საუკეთესო გზა — ყველაზე უბრალოა ხოლმე. ჩემი გეგმის მთელი ძალა — მისი საოცარი უბრალოება იყო. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ოცნება ოცნებადვე დარჩებოდა, რომ მარულო თავისივე წინდაუხედაობით უფსკრულის პირას არ აღმოჩენილიყო. მხოლოდ მაშინ ჩამოვიდა ჩემი მალა მოფარფატე ოცნება მიწაზე, როდესაც დავრწმუნდი, რომ სულაც არ იყო შეუძლებელი, მაღაზია ჩემი საკუთრება გამხდარიყო. თითქოს ბუნებრივი, მაგრამ სინამდვილეში უსაფუძვლო შეკითხვა შეიძლება დაებადოს ადამიანს: თუკი მაღაზიას ჩაიგდებ ხელში, ფული რაღად ვინდაო? მისტერ ბეიკერს არ დაემაღებოდა ასეთი კითხვა, არც ჯოის, და, ამ შემთხვევაში, არც მარულოს. საბრუნავი კაპიტალი თუ არა გაქვს, ისე მაღაზიის ჰქონას არცულა სჯობს. ვაკოტრების აპოური გზასულ დარიბ და მფარველობას მოკლებულ საქმოსანთა საფლავებით არის მოფენილი. ერთი საფლავი უკვე მეცა მაქვს იქ. ყოვლად უგუნურე სარდალიც კი არ მიაყრის მთელს თავის ძალასა და რესურსებს გარღვევაზე, თუ მარაგში არც სამარქაფო ვარი ჰყავს და არც ნაღმტყორცნებისა თუ სხვა იარაღების ხელუხლებელი ფონდი. მართალია, შარვლის უკანა ჯიბე მერის ფულებით

მაქვს გამოტენილი, მაგრამ ეს ხომ მარულო წაიღებს. აგერ იმ თვის პირველიც ახლოვდება. საბითუმო ფირმები მაინცდამაინც ხელგაშლილად როდი აწვდიან საჭონელს ისეთი სავაჭროებს, რომელთაც ჯერ ნდობა არ დაუქმასხურებიათ. ამიტომ მჭირდებოდა ფული. და ეს ფული მე იმ ჩხაყუნა რკინის კარების უკან მელოდებოდა. ამ ფულის მოპოვების ხერხი და საშუალება, აქამდე თუ მხოლოდ ოცნებაში მესახებოდა, ახლა უკვე რეალური და ხელშესახები გახდა. ძარცვა რომ კანონის დარღვევაა, ეგ იმდენად როდი მაწუხებდა, არც მარულოს ბედს შეეწუხებდითარ დიდად: ახლა კი მსხვერპლი გახდა, მაგრამ სხვა დროს თვითონაც ასეთ გეგმას დააწყობდა. დენი არ მაძლევდა მოსვენებას, თუმცადა კარგად ვიცოდი, რომ მისი საქმე უკვე გათავებული იყო. რაც მისტერ ბეიკერმა სცადა და ვერ მოახერხა, მხოლოდ ის გავუკეთე მე დენის, და ეს თითქოს ამართლებდა ჩემს მოქმედებას, სხვებს ამდენი საბაბიც არ დასჭირდებოდა. მაგრამ დენის გახსენება მაინც გულგვამს მიწვავდა, ეს ისეთივე ტკივილი იყო, როგორც მოგებულ ბრძოლაში მიღებული ჭრილობა. ამ ჭრილობით უნდა ვიცოცხლო, იქნებ თანდათანობით ვანიკურნოს კიდევ, ან დავიწყების საბურველში გავხვიოს, როგორც ნაღმის ნამსხვერვეს შემოეხვევა ხოლმე ბრტელი.

ახლა ფულის შოვნა იყო ჩემი გააღადებული საქმე, და აქაც ყველაფერი გულმოდგინედ მქონდა აწონილ-დაწონილი და გამოანგარიშებული, როგორც ელექტრომექანიზმი.

მორფის კანონები კარგი გამოდგა, კარგადაც შეეითვისე, ის კი არა და, ერთი კანონი მეც წაეუმატე. პირველი კანონი: არაფერი ჩირქის მომცხები არ უნდა გქონდეს წარსულში. არც მაქვს. მეორე: არც თანამონაწილე, არც შენი საიდუმლოს მცოდნე ვინმე! დანამდვილებით შემძლია ვთქვა, რომ არც ერთი მყავს და არც მეორე. ქალის სახსენე-



ბელიც არ უნდა იყოს! კაცმა რომ თქვას, ჩემ ნაცნობ ქალთაგან მხოლოდ მარჯი იანგ-ჰანტი შეიძლება ასეთ ქალად მივიჩნიოთ, მაგრამ არავითარი სურვილი არა მაქვს, შამპანური მისი ფაქტურებით დავლიო. მეოთხე: ფულში ბაჭობას არ უნდა მოჰყვე! ანკი რაში მჭირდება?! გამოვიზოვებ და საბითუმო ვაჭრობისთვის ვიხმარ ხოლმე ცოტ-ცოტაობით. შესანახი ადგილი მომიპოვება. ტაძრელი რაინდების ქული რომ მაქვს, იმის ყუთში ფსკერზე ზავერდია გადაჭიმული, სწორედ ჩემი თავის სიდიდისა და ფორმისა. მოვამერე ფსკერი ამ ყუთს და გავამზადე, ნაპირები კი ცემენტით ამოვუვლისე, რომ, რა წუთშიც დამჭირდეს, თავის ადგილზე მოვათავსო.

რომ მიცნონ? მიკი-მაუსის ნიღაბს გავიკეთებ. კაციშვილი ვეღარ მიცნობს. მარტლოს ძველ საწვიმარს ჩავეცვამ — ეს ყვესფერი საწვიმრები სულ ერთმანეთს ჰგავს — ხელბზე ცელოფანის ხელთათმანებს წამოვიცვამ, რა წუთშიაც მოგინდება, წაიძრობ. ნიღაბი ამ რამდენიმე დღის წინათ გამოვეჭერი, ნიღაბის ყუთსა და კორნფლექსს კი ტუალეტში ჩავეუძახე, მერე ნიღაბსა და ხელთათმანებსაც მათ მივაყოლებ. ძველი მოვერცხლილი „აივორ-ჯონსონი“ ლამის ბოლით გავშურე. ტუალეტში ქილითსაბოხი ზეთი მიადგას, ჯერ იმ ზეთში ჩავეშვებ, მერე კი, როცა მოვახელთებ, სტონის ჩავაბარებ.

ბოლოს, ერთი ჩემი საკუთარი კანონიც დავუმატე ნუ იღორებ! ბევრს ნუ მოხვეტავ და მსხვილი ფულის წამოღებასაც ერიდე. ექვსიდან ათი ათასამდე, ათი და ოც დოლარიანები თავსაყარად გვეუფა, კარგადაც დამალავ და არც მოხმარა გავიჭირდება. ტორტის კოლოფი, აგერ მაცივარზე რომ დგას, ხელის მოსანაცვლებლად გამოდგება, ხელადვე გაიცლება, ტორტი ჩაიდება და ისევ თავის ადგილზე განდდება. იმ საშინელი ლერწმის მილით ვცადე ხმის შეცვლა, მაგრამ მერე გადავიფქრე,

უზმოდ — ეცსტებით მოქმედებდა. ჩემი ჩემი. ერთი სიტყვით, ყველაფერი მოფიქრებული და გამზადებული მქონდა.

თითქმის მწყინდა კიდევ, რომ მისტერ ბეიკერი წასული იყო. მარტომორფი, შარი რობიტი და ედით ოლდენი იქნებოდნენ. ყველაფერი წამოებით მქონდა გამოანგარიშებული. ცხრას რომ ზუთი დააკლდება, ცოცხს შესასვლელში დაედებ. ვიმეორებდი და ვიმეორებდი მთელი მოქმედების გეგმას. წინსაფრის კალთების ამოკაბიწება, ტუალეტის ჯაჭვზე საწონის დამაგრება, რათა წყალმა ცამუღმებით იღინოს. ვინც არ უნდა შემოვიდეს, ჩხრიალს გაიგონებს და სათანადო დასკვნას გამოიტანს. საწვიმარი, ნიღაბი, ტორტის კოლოფი, რეველვერი, ზელთათმანები. დარეკავს თუ არა ცხრა, ქუჩას გადავჭერი, განის კარს შევალე, ნიღაბს ავიკრავ და როცა საათის გუგუნი მიწყდება და ჯოი სეიფს გააღებს; შევევარდები. რეველვერს მოვიმარჯვებ და სამივეს ძირს განრთხმას ვუბრძანებ. თავს არ გამოიღებენ. აკი ჯოიმ თვითონ თქვა — ფული დაზღვეულია, მე კი არაო. ფულს გამოვიღებ, ტორტის კოლოფში ჩავეყრი, ქუჩას გადავოქრი, ხელთათმანებსა და ნიღაბს ტუალეტში ჩავეუძახებ, რეველვერს ზეთში ჩავეშვებ, საწვიმარს გავიხდი, წინსაფრის კალთებს ჩამოვუშვებ, ფულს ქულის კოლოფში შევიანახე, ცოცხს ავიღებ და ტროტუარის გვას მოვჰყვებ; განგაშს რომ ასტეხენ, ყველას დასანახავად ქუჩის გვამი ვიქნები გართული. ერთი წუთი და ორმოცი წამი სჭირდება მთელს ამ საქმეს; ეს გამოანგარიშებული და ათასჯერ შემოწმებული მქონდა. მაინც ველეავდი და სუნთქვა მეკროდა. ქუჩის კარების გაღებამდე დუქანი დავგავე. გუშინდელი წინსაფარი მეკრა, რომ ახალგაუთოებელი წინსაფრის ნაკეცები თვალში არავის სცემოდა.

თარგმანი ინგლისურიდან

მანბანს ვაილინსა

(გაგრძელება იქნება)



აქამ სანაირიკამ

მხოლოდ ახალი და ისევ ახალი.

„ლიტერატურულ გაზეთში“ 1935 წელს დაიბეჭდა ლექსი „მირანგულა“, რომელსაც მანამდე სრულიად უცნობი ავტორი, რევან მარგიანი აწერდა ხელს. ამ ლექსმა მაშინვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. შემთხვევითი არ არის, რომ ეს პირველი ლექსი დღემდე ერთი საუკეთესოთაგანია საერთოდ რ. მარგიანის შემოქმედებაში. თითქმის სამი ათეული წელი გავიდა, რაც „მირანგულამ“ მზის სინათლე იხილა, ამ ხნის მანძილზე დიდად ვაფართოვდა რ. მარგიანის პოეტური სამყარო, გამრავალფეროვნდა მისი ლექსების თემატიკა, ამაღლდა მხატვრული ოსტატობა, მაგრამ პოეტის მთელ შემოქმედებას რელიეფურად გასდევს სევანეთის თემა. ეს ბუნებრივიცაა, ყოველ შემოქმედს თავისი მშობელი კუთხის სურნელი მოაქვს, მის მიწაში უდგას ფესვები და მას უმღერის. თუმცა ამ შემთხვევაში ყურადსაღებია სხვა ფაქტიც. მარგიანამდე სევანეთის თემა, სევანური მოტივები, სევანური პეიზაჟები, შეიძლება ითქვას, სრულებით არ არსებობდა ქართულ პოეზიაში (პროზაში სევანეთი აისახა და კარგად აისახა. გაიხსენეთ თავები კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებიდან“, — ლ. ქიანელის, ს. კლდიაშვილის, ელ. ზედგინიძისა და სხვათა მოთხრობები). უშუალოდ და თეთნულდი, ლატფარი და ენგურა, „ლილეო“ და „ბეთქილი“ თავიანთ მებოტბეს ელოდნენ და იგი მოვიდა „მირანგულას“ ავტორის სახით.

თავის ლექსებში პოეტმა აახა ჩვენი

ხალხის ცხოვრების არსებითი მხარეები, დახატა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისა და თავდადებული ბრძოლის სურათები, გამოთქვა თავის თანამედროვეთა ყველაზე სანუკვარი გრძნობები და მისწრაფებანი. რ. მარგიანის პოეზიისათვის იმთავითვე დამახასიათებელი იყო პუბლიცისტური მგზნებარება, ცხოვრებისეული ემოციური სახეები, აზრის ლაბილარულად გადმოცემის უნარი და პეიზაჟების ფერწერული ხატვა.

ახალ კრებულში თავმოყრილი ლექსები უდავოდ განსხვავებულია რ. მარგიანის ადრინდელი ლექსებისაგან. რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?! ჩვენი აზრით, რ. მარგიანის პოეზიას დაეტუო წლების მანძილზე დაგროვილი ცხოვრების გამოცდილება. ცხოვრებაზე უფრო ღრმად ჩაფიქრებამ იჩინა თავი მის ლექსებში. ეს კანონზომიერი მოვლენაა ქვეშარტი პოეტისათვის. მაგრამ ქვეშარტი პოეტი მარად ჰაბუკი უნდა იყოს შემოქმედებით. და რ. მარგიანიც — ცხოვრებისაგან დაბრძენებული, ღრმად ჩაფიქრებული პოეტი, მაინც ახალგაზრდული ტემპერამენტით შეჰპარის გარემოს, ადამიანებს, მომავალს... აკი თვითონვე ამბობს ამავე წიგნში მოთავსებულ ერთ ლექსში: „ბევრი ვიარე დარშიც და ქარშიც, და ქართულ სიტყვას კვლავ ვეძიებდი. შუახნის კაცი ისევ ვარ ბავშვი იისფერ მელნით მოსვრილ თითებით“.

კრებულის პირველ განყოფილებებისათვის „მარილი, მადლი და სიზარული“



დაურქმევია ავტორს. ერთი შეხედვით, თითქოსდა უცნაური სათაურია. მაგრამ — ვინც ყურადღებით გადაიკითხავს ამ რკალის ლექსებს, დაგვერწმუნება, რომ პოეტს საერთო სათაური ზედმიწევნით ზუსტად შეურჩევია. მართალია, ამ განყოფილებაში არის ლექსები „მარილი“ და „დარდიც“, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი... მთავარია პოეტის დამოკიდებულება ამ სამი ცნებისადმი. რა თქმა უნდა, დარდი და სიხარული გასაგებია, მარილში კი რ. მარგიანი გულისხმობს პოეტურ მარილს, ურომლისოდაც ლექსი არ იქნება. და აი, რა მოხდენილად გამოიყენა ამ ლექსში, ისევ თავისი სვანეთი პოეტმა, აი, როგორი თავისებური, ლამაზი სიმბოლიკით შეასახოროცი მშვენიერ პოეტურ ჩანაფიქრს;

ერთოდ, ლიტერატურის შთაბეჭდილებას წყაროა. სამაგიეროდ, მამაზე მალე იშვიათია ლექსები (გვაგონდება პ. იაშვილის, ა. აბაშიძის, მ. ლებანიძის და სხვათა ლექსები). იშვიათია, ალბათ, იმიტომ, რომ დედის სახეს, დედის გულს უფრო მეტი გააჩნია პოეტური, ნაზი ნიუანსები... რ. მარგიანის წიგნში ორი ლექსია მამისადმი მიძღვნილი. ისიც ზომ ზდება, რომ გულში წლობით დაგუბებული მწუხარება უცბად იფეთქებს და გადმოიდგრება. წარმოიდგინეთ ისეთი პოეტი, რომელიც მახლობელი აღამიანის გარდაცვალებისთანავე დაჯდება და მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსს დაწერს... რ. მარგიანმა თოთხმეტი წლის შემდეგ დაწერა „დაგვიანებული ლექსი მამას“. ხოლო მეორე ლექსშიაც მეტად თავისებურად, გააზრებულიად და მძალაბმეტრულად თქვა თავისი სათქმელი:

იქნებ, ავლია ჩემს ლექსს მარილი  
და სვანეთივით სხვის ვეცესებზე,  
ალბათ, იმიტომ ქარიშხალვით  
არ მტუხარებენ ჩემი ლექსები.

იქნებ, ავლია ჩემს ლექსს მარილი,  
არ არის მყარი და ძვალმავარი,  
თუმცა წინ მინთია კელატარივით  
ჩემი სამშობლოს ღერძი მთაბარი.

იქნებ!  
არ ვიცო, მელავერ ეპეებო,  
სიტყვა არ მიჭრის ბასრი ხმალივით,  
ვერ დაეჭვებო.

ვერ შეეჩვევი,  
რომ მართლა ჩემს ლექსს ავლდეს მარილი.  
მაგრამ ვაითუ აქაც მიწია  
ჩემმა ქილაგმა,

ჩემმა სვანობამ?  
ვერ დაეჭვებო, არ შემიძლია...  
უმარილობა თუ მიწეალობა.  
წაეღო აღზევანს,  
ცხრა მთას,

ცხრა წყაროს  
და ურმელვით გზებს გადავივლი,  
რომ საქართველოს შემდეგ ვაპარო,  
როგორ ვიშოვე სვანმა მარილი.

არ გვეგულება თანამედროვე ქართველი პოეტი, რომელსაც დედისადმი მიძღვნილი ლექსი არ დაეწეროს. ეს გასაგებიცაა დედა, დედობის თემა, სა-

თოთხმეტი წელი. ღზინა და ტირილს  
უშნოდ შეეხვდი და შენდაგვარად.  
უცბად შეენიშნე უღვაშზე თრთვილი,  
უცბად შეენიშნე თამაში ჭაღარა.

შენ მხოლოდ გასციდი  
ორმოცდაცამეტს,  
როცა მოგხვია სიყვდილმა ხელი,  
მას შემდეგ დედას აცლა დამე  
კუპრივით შავი,  
კუპრივით პნელი.

ღიღი ხნის შემდეგ შედეგები შიშით,  
დავითელი ჩემი სიციხლის წამებზე,  
როცა გავცდებო ჭირსა და ღზინაში  
გამოტარებულ ორმოცდაცამეტს.

როგორც აღვნიშნეთ, რ. მარგიანის ახალი ლექსები გამოირჩევა პოეტური დაფიქრებითა და ლირიკულობით. თუ აღვრე პოეტი უმთავრესად ცხოვრებისეული მოვლენების მხატვრულ ასახვას ახდენდა, ახლა უფრო და უფრო მიმართავს თავისი ფიქრების, თავისი აზრების პოეტურ ხორცშესხმას. პოეტის პიროვნება, პოეტის „მე“ ასეთ ნაწარმოებებში ყოველთვის პირველ პლანზე დგას. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა,

რომ ამიტომ რ. მარგიანის ლირიკა ინდივიდუალისტურ ხასიათს ატარებს. პირიქით, რ. მარგიანის, ქართული პოეტისა და თანამედროვე საბჭოთა მოქალაქის „მეს“ გამოსახვა, ათეულათასობით საბჭოთა ადამიანების ინტელექტუალური სამყაროს გამოსახვაა ნიშნავს. ამ აზრის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს რ. მარგიანის მთელი რიგი ლექსები, მათ შორისაა სწორედ „დარდი“:

და განა დარდი მეუცხოება?  
გულში ლევილება სვედის ხანძარი!  
ეს იმიტომ, რომ ამ ჩვენს ცხოვრებას  
თუნდ ერთი წუთით ვერ გაეასწარი!

ამ ლექსში პოეტ-მოქალაქის კიდევ ერთი კარგი თვისება მკლავდება. როგორი თავმდაბლობით დაპირაჯობს იგი თავის პოეზიაზე, როგორ თვითკრიტიკულად და ეპეიანად ეკიდება საკუთარ შემოქმედებას. ეს დამახასიათებელია რ. მარგიანისათვის. განა იგვევ აზრი არაა გატარებული ლექსშიც „როდის შექნება ამის უფლება“, რომელშიაც პოეტი ამბობს: „არა, არ მინდა, როგორც საწყალი უხმოდ წავიდე სირცხვილნაჭაში, თუ დაღვინება ვერ მოვასწარი, ვინმეს ხსოვნაში ჩაერჩე მაჭარი...“ ანდა მეორე ლექსიდან: „ეწერ, მაგრამ არ მეწერება, გამოიმეტოს ვინმემ წყალობა, იქნებ მეწვიოს ბედნიერება და ბუღბუღივით ვიწყო გალობა“.

„მარილი, დარდი და სიხარული“ ერთ კრიალოსნად ასხვეული, სხვადასხვა ფერისა და ელვარების, ლექსებია. რა თქმა უნდა, შეუძლებელია შევეხვით ყოველ მათგანს, რადგან ცუდ ტრადიციად გადქცეული ჩამოთვლა გამოგვივა, მაგრამ მაინც უნდა გამოვყოთ ორიგინალურად გააზრებული და ოსტატურად დაწერილი შემდეგი ლექსები: „ჩემს ძველ ბინაში“ და მისი „მინაწერი“, „მეც ხომ ვარ“... „მოგონებებო, წამით შეჩერდი!“ „მე მინდა ვიყო შემოდგომა“, „ეს ყოველივე მე შემჩრა დღემდე“, „საქართველოში სადაც გავივლი“... „ჩითილი“, „ახუნდენლო ჩემო სიზმარო“ და სხვ.

რ. მარგიანმა არა ერთი და ორი მარ-

თალი, ამაღლევებული ~~სურათი~~ ~~მეჭმე~~ სამამულო ომის თემაზე ~~მწერა~~ ~~მწერა~~ მოქალაქემ შებრძოლის ფარავა გადაიკვია და კალამთან ერთად, ხიშტითაც ებრძოდა მტერს. ასევე წავიდა ფრონტზე მისი თანამემამულე და მეგობარი მირზა გელოვანი — ქართული საბჭოთა პოეზიის ომისწინა თაობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი. წავიდა, მაგრამ აღარ მობრუნებულა... სადღაც უცხო მიწაში ასენია 27 წლის პოეტი-კავიბანი, რომელსაც რ. მარგიანმა ბრწყინვალე ლექსი უძღვნა. რ. მარგიანმა ისუნთქა ღენთის მწვავე ბოლი, ნახა მეგობრის დაღუბვა, მახლობლებთან განშორების სიმწარე... სწორედ ამიტომ: „ტყვიით შერუჯულ გარდასულ დღეთა გადავიწყება არ შეგვიძლია“.

შენ ჩემი იყავ, ვით გელომისანი,  
ჩვენ ყველაფერი გვიკვდა მდღერული,  
ბედის წინ, როგორც კობხის ნიშანი,  
უხმოდ ვიდევით თავჩაქინდრული...

მიმართავს პოეტი თავისი ცხოვრების თანამგზავრს და ხელშესახებად, ადამიანურად გვიხატავს დაუვიწყარ დღეებს, რომლებშიც წარუშლელი კვალი დასტოვეს ჩვენს სულში. ეს ზურგის სურათია, თრონტზე ვი: „შავი სიკვდილი დამჩრწის ქალაქში, ბომბმა დაგლიჯა ცაფერმიხილი, ჩვენი სარდაფის ქუქრუტანაშიც ჩასაფრებულა თურმე სიკვდილი“... პოეტს აგონდება ყამიზ-ბურუნის, სადაც „ახლა ტყვიების ისმის ზუზუნის, ახლაც დაჭრილი ბიჭის ხმა ისმის“ და „დაპჭრიან, ევრსად ემაღლებიან გავარებულ ტყვიებს ჩიტები“... აგონდება: „ობობას ქსელი — მავთულხლართები, ნაღმსატყორცების უღვითო წივილი“ და „ბებერ გარისკაცივით დასტირის“ დაღუბულ ძმასა და მეგობარს...

სწორედ ამიტომ ამბობს პოეტი: „ალბათ, ოდესმე ჩემამდე მოვა, რაც გამეფანტა ომში სიზმრებში“; სწორედ ამიტომ მიმართავს ხიროსიმას: „შენ ტყვილი ხარ, შენ ხარ ნაღველი, ჩემი ყველაზე მწუხარე ლექსი“... სწორედ ამიტომ სწერს პოეტი:



დაბრუნებულად მშვიდობის საგზოთ,  
მე ჩამოვეყვი მშვიდობის ნიაფს,  
შინ შინაც მომყვა სიმკაცრე სანჯარის,  
ზუნზე მიმსჯარი ვერავის ტყვია.

მე მოვწმენდ სისხლს,  
შევეშრობ ცრემლს.  
მე მოვწმენდ ნისლით,  
ქათქათა ღრუბლით  
წარსულის ვარამს,  
წარსულის დარღს,  
რომ სარკედ ვაქციო  
მყინვარის შებლღ,  
წინაპარ ვეცქირო  
წარსულში მღვანს...

ომისდროინდელმა შთაბეჭდილებებმა, ფრონტისა და ზურგის სურათებმა ღრმა ნაკვალევი გაავლო პოეტის შეგნებაში. რ. მარგინი ისევე და ისევე უბრუნდება იმ მოტივებსა და საბეჭებს, რომლებიც დიდმა სამამულო ომმა წარმოშვა. უფრო მეტი ლირიკული სიღრმითა და ცხოვრებისეული სიმართლით გვიხატავს პოეტი თანამედროვე ადამიანის შინაგან სამყაროს, რომლის სულშიაც ჯერ კიდევ არ წაშლილა ომის საშინელებანი.

„ელეგია მეგობრის სიკვდილზე“ ტიან-შანის ყინულოვან მწვერვალზე ტრავიკულად დაღუპული ქართული მთამსგულტლის ილია გაბლიანის ხსოვნას ეძღვნება. ერთ-ერთმა რეცენზენტმა შენიშნა, ნაწარმოები სენტიმენტალურ შთაბეჭდილებას სტოვებსო. მაგრამ მეგობრის სიკვდილზე დაწერილი „ელეგია“, ცხადია, პირადი დარღისა და მწუხარების გამოხატვა იქნება! დარდიც ისეთივე ადამიანური და ვაქცატური თვისებაა, როგორც სიხარული, ან სიყვარული... მართალია, პოეტი დამწუხრებულია მეგობრის დაღუპვით, ცრემლნარევი სტრიქონებით მიმართავს მას, მაგრამ ამაყობს კიდევაც, რომ სვანმა ვაქცატმა მრისხანე ტიან-შანი მოღრიცა და „მამულისათვის თავდადებულნი, ო, არ იციან, არ იციან, მხოლოდ ომებმა“. ანდა, რა მშვენიერი პოეტური სახეებია ამ „ელეგიაში“, „ვარსკვლავებისგან ბევრჯერ გქონდა ხელი დამწვარი“; „შენ დედის ცრემლი, სიმწრისაგან სტყავად ქცეული, გაჭვავებული, დაგეჟრება, ცრემლი მდღღარი“; „და მოვა წვიმა, დაეშვება ციდან სიმებად, ცხენის ძუხზე უფრო წერილი, ბაწაწინები, ჩამოჰკარ თითი და ჩანგყით აქეთიინდება, აწკრიალდება ნადვლიანი წვიმის სიმება“.

უწინშარი საბჭოთა კოსმონავტიკის ა. ნიკოლაევისა და პ. პოპოვიჩისადმი მიძღვნილი ვრცელი ლექსი „ორი ხომალდი“. რ. მარგინი აქაც, ასე ვთქვათ, ამ საზეიმო ლექსშიაც არ დაღატობს თავის მანერას. არა მყვირალა ფრაზები, აღტაცებული შექაზილები, პათეტიკური სიტყვები, არამედ თბილი, ადამიანური განცდა, როგორსაც ყველანი ეჭვანობდით იმ ისტორიულ დღეებში. პოეტი გმირებს მიმართავს: „თქვენ ვარსკვლავები გებგვიან, როგორც ფუტკრები“ და შემდეგ ეკითხება: „ხანდახან მთვარე რატომ არის გაფითრებული, ხანდახან მთვარე გულიანად რატომ იციინის?... რაოდენ გულში ჩამწვდომია პოეტის სიტყვები: „თქვენ მიწიერი მტხუნვარებით უნდა გაგებოთთ ცის სამყაროში ვარსკვლავების მყუდრო ცხოვრება...“

ჩვენ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ რ. მარგინის პოეტური აქსესუარების სიმდიდრეზე. ბევრი ლამაზი, ფრთიანი პოეტური თქმა დაგვრჩა მოსახსენებელი, მაგალითად: „და ვერ შეფუთა ცოლმა ბარგივით მინებს მიმსჯარი ჩემი სიცილი“; „და კუბრის ზღვაში ჩვენი მიწა — ერთი კალათა, მწვანედ ტოვტი-

ასევე თავისებურად უმღერის რ. მარგინი მშობლიურ საქართველოს ლექსში — „ფიქრები მამულზე“. ესაა ვრცელი ლირიკული აღსარება, ხმამაღლა თქმული ფიქრები, ფიქრები სანუკვარ მიწაზე. „ფიქრები მამულზე“ მეტად გულთბილი გრძნობებით აღსავსე ჰიმნია მშობელი ქვეყნისადმი. ამავე დროს თვითონ პოეტიც განუყოფელია მამულისაგან, ერწყმის მას, სამშობლოს ორგანული ნაწილია:

შენს ბებერ მხარებს,  
შენს ბებერ ხმლებს,

## ქართული

გებს უკვდავების ერთი კენძული“; „და ჩამოსული შენს სანახავად სასთუმლად დარჩა გავსილი მთვარე“; „ლოყაზე სიმწრის ცრემლი ასხლტება, როგორც ზუჩს მტრისგან ნასროლი ტყვია!“

ფორმის მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „რიწა“, „ისევ გვალდა, გვალდა“, „მოდის ლეონიძე“. ასევე ყურადღებას იქცევენ ლექსები: „გაბმულია სიმებად“, „ლეჩხუმის მოვონება“, „რა შორს იყო შორი“, „თოვლი მოდის, თოვდება“.

ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციების დაცვა, სამშობლოს ალალი სიყვარული, თანამედროვეობის მძლავრი მაჩისტემა, კეთილშობილი ჰუმანიზმი უდევს საფუძვლად რ. მარგიანის შემოქმედებას. აზრის მგზნებარება და ფიქრის სიმძაფრე, სახეების ბუნებრიობა და სიტყვის ლაკონიურობა, შინაგანი მუსიკალობა და დახვეწილი ქართუ-

ლი ენა მისი პოეზიის (განსაკუთრებით პონენტებია) შესანიშნავად თქვა პოეტმა საკუთარი „მეს“ შესახებ წიგნში შეტანილ ერთ ლექსში:

მეც ჩემი სიტყვა ვაქვი მორიდებო,  
 არ დავერღვიე სხვას მყუდროება.  
 არც ურცხვად სხვისი სიტყვით ვმღიდრდები  
 ვემსახურები ამ ჩვენს დროებას.  
 მე არ გავცვივით ზოგიერთივით  
 ლექსი ტაშის და ვაშას აღმურში  
 და, რაც გამაზნდა გულში კოილი,  
 სანთლად ავიანთ ამ ჩემს მამულში.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ეს კრებული რ. მარგიანის ლექსების ახალი წიგნი კი არაა, პირიქით, ახალი ლექსების წიგნია. 1958 წელს პოეტმა გამოაქვეყნა ლექსების კრებული „მხოლოდ ახალი“. და ახლა, ოთხი წლის შემდეგ გამოვიდა მისი წიგნი „ისევ ახალი“. ნამდვილად აღსანიშნავი მოვლენაა.

ნოზარ ნათაძე

## ისტორია და შემოქმედება

(ლ. გოთუას „გმირთა ვარაში“)

ლევან გოთუას ქართველი მკითხველი კარგად იცნობს, როგორც ნოველისტსა და დრამატურგს. მისი „ერეკლე მეფე“ და „დავით აღმაშენებელი“ დიდხანს წარმატებით იდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. მისმა „კრწანისის სევდამ“ და „უგზო ქარაგანმა“ იმთავითვე მიიჭცია მკითხველის ყურადღებამ, როგორც ახალმა სიტყვამ ტრადიციებით მდიდარ ქართულ საისტორიო პროზაში. მე-19 ს-ში და ნაწილობრივ მე-20 ს-შიაც ქართული საისტორიო მწერლობის დიდი ნაწილი ჩვენი წარსულის საგმირო ფურცლებს ეტანებოდა, დიდმასშტაბიანი ისტორიული ძეგლების ასახვას ეძებდა, ჩვენი ეროვნული გრძნობებისთვის განსაკუთრებულად საამაყო აღმავლობისა და აყვავების ეპოქათა გაცოცხლებას ესწრაფოდა. ლევან გოთუამ ამ ტრადიციაში სიახლე შეიტანა იმ მხრივ, რომ მან სცადა ისტორიის არსი პატარა მოვლენებში, პატარა ადამიანთა ბედსა და ურთიერთობაში გამოესახა. დიდი ისტორიული მოვლენები, რომლებიც მისი ნოველებს ნამდვილ თემას შეადგენენ, ამ პატარა ადამიანების თავგადასავლის პრიზმაში დაენახა და მით ნამდვილად ისტორიული, ე. ი. არა მარტო წარსულში გადატანილი, არამედ ისტორიული ფაქტების გააზრებისა და გაცოცხლებისათვის განკუთვნილი ნოველა შეექმნა. მას არ გამოუყენებია ისტორია როგორც მასალა, როგორც ფონი ეთიკური და ფსიქოლოგიური ზოგად-ადამიანური პრობლემების დასმისათვის

(ასეთი მიდგომის კლასიკური ნიმუში მას ექნებოდა „მრისხანე ბატონის“ სახით. თვით ლ. გოთუა ამ გზას მხოლოდ „ყინწვისის ანგელოზში“ დაადგა). გოთუასთვის ისტორია თემაა და არა მასალა. მწერლის მიზანია ჩვენი წარსულის ნამდვილი ამბების ხორცშესხმა, ხოტბა თუ დატირება, ოღონდ ამას იგი დიდი ტილოების შექმნის ნაცვლად ფსიქოლოგიური ეტიუდების მეთოდით აკეთებს. აქედან გამომდინარეობს მწერლის განსაკუთრებული ინტერესიც ჩვენი ისტორიის არა სასიხარულო, არამედ ყველაზე ტრაგიკული პერიოდებისადმი: უცნობი, რიგითი ადამიანის პატრიოტული თავდადების, კეთილშობილებისა და მამულიშვილური ტრაგედიის დასახატად ეს ეპოქები ყველაზე ხელსაყრელ ფონს წარმოადგენენ.

ბუნებრივია, რომ როდესაც ავტორმა ხელი მოაქიდა ისტორიულ ეპოპეას („გმირთა ვარაშის“ პირველი ორი წიგნი 1958 წ. გამოვიდა), მკითხველი გულსყურით მოელოდა ამ დიდი შრომის დასასრულს. მკითხველს აინტერესებდა, როგორ გამოადგება ავტორს საკუთარი, ნოველებში ნაცადი სტილი დიდი ისტორიული ტილოს შექმნისას; აინტერესებდა, რა სახეს მიიღებს რომანში ის დიდმასშტაბიანი, შავისა და თეთრის მკვეთრ კონტრასტებზე აგებული კონფლიქტები, რომელთაც გოთუას პიესებთან ვიცნობდით, დაბოლოს, მკითხველს აინტერესებდა, როგორ დაინახავს, როგორ დახატავს, რა შემარბილებელი თუ გამამაფრებელი ტენდენციით გი-

აზრებს ავტორი ჩვენი ისტორიის იმ უშვებუნელს ეპოქას, რომელიც შაჰ-აბასის ლაშქრობით, კახეთის აწყვეტა-გადასაღლებით, სამცხის ვაგერანებითა და გათურქებით დამთავრდა.

„გმირთა ვარამის“ უკანასკნელი წიგნი გასული წლის ბოლოს გამოვიდა. ამავე დროს „გმირთა ვარამის“ შექმნა მკითხველთა შორის საკმაოდ დიდი აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც რომანის ისტორიულ ჩანაფიქრს, მხატვრულ ღირსებას და თვით ენის შეფასებას ეხება.

„გმირთა ვარამში“ აღწერილი ეპოქა — XVI-XVII ს-თა უკიდურესი ძნელბედობისა და რბევა-ტყვევნის ეპოქა — ნამდვილად ღირსია რომ მწერლისა და ისტორიკოსის ღრმა შემეცნებითი ინტერესისა და ანალიზის საგანი გახდეს. ალბათ ვაზვიადება არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ქართველი ერის ისტორიის არც ერთი სხვა ხანა არ აღძრავს დღეს ჩვენში იმდენ სიმწარესა და სინანულს, იმდენ ვნებათაღელვას ისტორიული ფიგურების როლის შეფასებაში, როგორც ეს წინააღმდეგობრივი და უბედურებით აღსავსე დრო, რომელშიაც ჩვენი ეროვნული ხასიათისა და ეროვნული ტემპერამენტის მრავალი მკაფიო ნიშანთვისება ჩამოყალიბდა. ამ ეპოქის მატრიანემ შემოგვინახა ჩვენ ბიძინა ჩოლოყაშვილისა და მის თანამებრძოლთა გმირობა, რომელთაც თურქმანი მებაღე-მწვეთების გაწყვეტით კახეთი მოსპობას ვადაარჩინეს, ხოლო შემდეგ თავიანთი ფეხით ეახლნენ სპარსთა სარდლობას, რათა ქვეყანა ახალი შემოსევისგან ეხსნათ. ამავე ეპოქის ეკუთვნის ყველაზე უსაშინლეს გამცემლობათა და ფეოდალურ თავკერძობათა მავალითები, რაც კი საქართველოს ისტორიამ იცის. ისტორიამ იცის, რომ შაჰ-აბასი ჩინებულად ლაპარაკობდა ქართულს და თავისი კარიერის პირველ წლებში ე. წ. „ყულის ქარს“ ეყრდნობოდა, რომელიც სინახევროდ ქართველებისგან იყო შემდგარი. ამავე დროს იგი იყო საქართველოს უბოროტესი მტერი, რომელსაც საქართველოს მოს-

პობა შეგნებულ მიზნად ქმნიდა დასახული; ცნობილია, რომ შაჰ-აბასის ბებია, მამის მზრიდან, ქართველი ქალი იყო — სწორედ იმ სამცხის მკვიდრი, რომელიც მისმა ქმარმა შაჰ-თამაშმა სწინლად ააოხრა. ამავე დროს მატრიანე მოგვიტბრობს, რომ სპარსეთში დატყვევებულ სეიმონ ქართლის მეფეს ამ ქალმა ლეჩაქი და ზმალი მოუტანა ასარჩევად. „ქართველ ქალთა წესისამებრ“ ვაქაცობისკენ მოუწოდა და უთხრა: „ჩვენიც (ე. ი. სპარსეთს) მოგვეხმარე (თურქთა წინააღმდეგ) და შენს საბატონოსაცო“; ამ პერიოდს ეკუთვნის სპარსეთის აგენტის, სპარსეთში გაზრდილი ავანტიურისტის ზოსრო-მირზას (როსტომ მეფის) ხელმწიფობა, რომელმაც ქართლ-კახეთის პოლიტიკური თვითმყოფობა უმაგალითოდ შეაყიდა, ქართულ ეროვნულ საწმუნოებას ძირადამოუთხარა და, მემბტიანის სიტყვით, ქართველები გარყვნა. ამავე ეპოქის ეკუთვნის შაჰნავაზის (ვახტანგ V) მეფობა, რომელიც როსტომივით სპარსთა დასმული იყო და სჯულით მაჰმადიანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველო მოაშენა, ეკლესია განამტკიცა, ზნე-ჩვეულებანი განწმინდა და ეროვნება გაამაგრა. ერთი სიტყვით, არც საქართველოს რღვევა-განადგურების საზარელი პროცესი, არც მტრის მოწინააღმდეგე ძალების დარაზმვა-მობილიზაცია, არც ქართველთა სავარგო დიპლომატიის ტაქტიკა და არც შინაგან სოციალურ ძალთა განაწილება მარტივი და სწორხაზოვანი ისტორიული ფაქტი არ ყოფილა. ეს ტრაგიკული ეპოქა და ქართველთა ქცევა თუ განცდა ამ ეპოქაში მეტად რთული ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების ნასკვი იყო, რომლის ხლართებში გარკვევა, ერთსა და იმავე დროს ძნელიც არის და უადრესად საინტერესოც.

რას ვგებულობთ ამ საულისხმო ეპოქის შესახებ „გმირთა ვარამიდან“? მკითხველი ამაოდ დაუწყებს რომანში ძებნას ისტორიული პროცესების ახლე-



ბერ განუვრეტას, გამახვილებულ ისტორიულ ინტუიციას, რომელიც ფაქტების ღრმა ცოდნას ემყარება, ეპოქალური შინაარსით დატვირთულ შვედთა განზოგადებულ სახეებს. ავტორის ისტორიული კონცეფცია, მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტიკური მრწამსი აღწერილი ეპოქისათვის მთლიანად თავსდება იმ საყოველთაოდ გაზიარებულ უზოგადესი დებულებების ჩარჩოებში, რომლებსაც ჩვენ ისტორიის სახელმძღვანელოებიდან ვიცნობთ: საქართველოს მთავარი უბედურებაა ფეოდალური გათიშულობა; მთავარი სავარეო პრობლემაა ორიენტაციის ძიება; ირანი და ოსმალეთი საქართველოს მოსისხლე მტრებია, განსაკუთრებით მეორე; რუსეთი პოტენციური მოკავშირეა სპარსოფრქვა წინააღმდეგ, მაგრამ მისი ძალა ჩერკავესიამდე არ მოსულა. ამ მომავალი მოკავშირის ერთგულება საქართველოს სისხლისა და აზრების ფასად უკდება; თქმა არ უნდა რომ ეს კონცეფცია საესებით სწორია. უფრო მეტიც: ეს ერთადერთი სწორი ისტორიული კონცეფციაა ამ ეპოქისთვის. მაგრამ აღწერილი ეპოქის არსს ეს მეტად ზოგადი კონცეფცია მაინც ვერ გვიჩვენებს, ვერ გვიჩვენებს იმიტომ, რომ იგი ღარიბია. იგი ვერ ამოსწორავს ამ რთული ეპოქის ისტორიულ ფაქტთა სიუხვესა და შრავალფეროვნებას და ვერ გამოხატავს მოვლენათა შინაგან ლოგიკას. ეს ზედმეტად სწორზაზოვანი კონცეფცია მხოლოდ საერთო ჩონჩხია, რომელიც, თუკი ავტორს სურს იგი ისტორიული ეპოქის ძირითად კონცეფციად აქციოს, კონკრეტული მასალით შეესებას მოითხოვს.

ეს კონკრეტული მასალა ენება ქართველი ხალხის ცალკეული სოციალური ჯგუფების განწყობილებას და მათი პოლიტიკური ქცევის მოტივებს, ადამიანთა გავრცელებულ შეხედულებებს პოლიტიკაზე, მორალზე, სოციალურ ურთიერთობებზე, მათს მსოფლმხედველობას, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციით ნაანდერძევ ადამ-წიგებს. სხვა-

ნაირად რომ ვთქვათ, საკითხი ეხება ქვეყნის ადამიანური მოტივების ჩვენებას ისტორიულ მოქმედებას განსაზღვრავდა. ასეთი სურათის შექმნა ისტორიული რომანის ერთი მთავარი ამოცანაა. ეს ისტორიული ფაქტების ადამიანურ, ე. ი. მხატვრულ ინტერპრეტაციას უდრის.

სამწუხაროდ, რომანში ეს მხარეა ნაშინად ჩრდილში მოქცეული და ეს ამ მოწმენეტური თხზულების ძირითადი ნაკლია. როგორ არის რომანში გამოხატული, მაგალითად, ქართველთა ეროვნული გრძნობების მოტივი? თუმცა „გმირთა ვარამი“, პირველ ყოვლისა, პატრიოტულ თემაზე დაწერილი ნაწარმოებია, ეს მოტივი — სამშობლოსთვის ქართველთა განსაკუთრებული თავდადების ფსიქოლოგიური მოტივი — აქ მკრთალად უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მეტად ზოგადად, არაინდივიდუალურად არის მოცემული. მართლაც, რა ამოძრავებს, რომანის მიხედვით, ერს, რომელიც ამოღენა სიმტიციეს, მტრებისადმი ასეთ შეურიგებელ წინააღმდეგობას, ამოღენა პატრიოტულ შემართებას იჩენს? რომანში ბევრია ლაპარაკი „საქართველოთა ერთიანობაზე“ (გათიშული ქართული პროვინციების გაერთიანებაზე), ქართველი ერის ისტორიულ ბედზე, მის ეროვნულ თვისებებსა და მომავალზე. მაგრამ საბოლოო ჯამში ერთადერთ პატრიოტულ მამოძრავებელ ძალად ქართველი მეფეთავადებისა და მღვდელმთავრების მოქმედებაში, ანუ საქართველოს იმდროინდელი მესვეურების მოქმედებაში, რომელთა ხელითაც ქართველი ხალხის პოლიტიკა იჭედებოდა, რჩება განუყენებელი „ზნობა“, რომელსაც ზოსიმე ბერი ქადაგებს და რომელიც გამარჯვება-დამარცხების გადამწყვეტ ძირითად ფაქტორადაც კია მიჩნეული. საკითხავია: ნუთუ იმ დროს ყოველი ან თითქმის ყოველი ქართველი თავადისა თუ მღვდელ-მთავრის წინაშე უფრო დიდი და მწვავე ცდუნება არ იდგა, ვიდრე ეს რომანშია ნაჩვენები, რომ სა-

ქართველოს ეროვნული ინტერესების რაღაც ნაწილი დაეთმო და მით არა მარტო სიცოცხლე ან კეთილდღეობა, არამედ ბევრი სხვა პოლიტიკური თუ სხვა ხასიათის უპირატესობები მოეგო? რომანისტს ხომ უთუოდ მოეხსენება, რომ ამ ქართველი თავადებისთვის (ისევე როგორც საქართველოს ცალკეული პროვინციების მეფე-მთავრებისათვის) საერთო-ეროვნული ინტერესების დაცვა ხშირად საკუთარი საბატონოს გაწირვას უდრიდა და პირიქით? განა საეკვივოა, რომ თავის მოსატყუებლად ისინი შეძლებდნენ მრავალი „საბატიო“ საბაბის მოძებნას იმ მოქმედებისთვის, რომელიც ობიექტურად ერის ინტერესთა ლალატს ნიშნავდა? განა ამ ფაქტორის გარეშე აიხსნება ის მრავლისაგან უმრავლესი შემთხვევები, როცა დიდი მარცხის შემდეგ ქართველი ფეოდალები მეფის დაუკითხავად რიგრიგობით „მოვედიდნენ“ ხოლმე გამარჯვებულ მტრის სარდალს? ან განა ავტორს არ მოეხსენება, რომ თვით ამ გამთიშველ დიდგვარიანთა ქცევაც კი სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა მტრის მიმართ განსხვავებული იყო, რომ ზოგ გამარჯვებულ მტერს, მაგ., თემურ-ლენგს არც ერთი ქართველი თავადი არ ჰხლებია და რომ მისი შემოსევების ეპოქიდან ქართულმა მართიანემ არც ერთი ლალატის შემთხვევა არ შეგვიჩანს? განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა მტრის შემოსევა საქართველოსთვის ეროვნული ხიფათის მხრივ სხვადასხვანაირი იყო, რომ ქართველი ხალხი, რომელსაც ამ დროს აღარ შეეძლო ყოველთვის და ყველა მტერთან თავგადასხვებული ბრძოლა, ისტორიულ პირობებს რაღაც ანგარიშს უწევდა, ზოგ მტერთან რაღაც კომპრომისში შედიოდა, ხოლო ზოგს, სადაც კომპრომისი შეუძლებელი იყო, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდა? რატომ მოხდა, რომ, მიუხედავად ამ ქრელი პირობებისა, ქართველი თავად-აზნაურობა მაინც სამშობლოსთვის სისხლს ღვრიდა და

მაინც ეროვნული თავდაცვითი მოქმედებების იძულებული იქნა, რომ მოხსენებულ ცენტრალურ ხელისუფლებისადმი შეურიგებელი პოლიტიკური წინააღმდეგობისა, მეფის გვირგვინს მაინც მეტი სიფრთხილით იცავდა, ვიდრე ამას მისი ეკონომიური თუ პოლიტიკური, კლასობრივი ინტერესები მოითხოვდა? რა თქმა უნდა, ამის მიზეზი არ იყო მხოლოდ საქართველოს ბუნების ფიზიკური სიყვარული, როგორც ეს რომანშია. ამის ერთერთი მთავარი მიზეზი იყო ეროვნული ტრადიცია და ეროვნული თვითშეგნება, „გორგასლიანი და დავითიანი დროშის“ ავტორიტეტი, რომელიც უწყვეტი ტრადიციით მოდიოდა ქართული ფეოდალური მონარქიის ერთიანობის ხანიდან. ამის ქაფიოდ ჩვენება რომანში მოცემულ ქართველ თავადთა ხასიათებს უფრო რეალურსაც ვახდინდა ისტორიული თვალსაზრისით და მათ მეტ „ფორტოვენურობასაც“ მინიჭებდა მხატვრული თვალსაზრისით. როგორც იყო ქართველ თავადთა ეროვნული და კერძო-ფეოდალური ინტერესების გადაჯაჭვის რთული ხლართი, რომელიც მორალის უთვალავ სხვადასხვა ტრადიციას მოიცავდა, დაწყებული უხალო მამულიშვილობით და გათავებული შეგნებული მოღალატეობით? ავტორს რომ ეს ეჩვენებინა, რომანი განუხომლად მოიგებდა, როგორც რეალისტური ისტორიული ტილო. დრამატიზმსაც, რომელიც ლ. გოთფას, როგორც რომანისტს, საერთოდ, ძალიან იზიდავს, მრავალზე მრავალ ხასიათში ეროვნული დრამატიზმის, ამასთანავე ზუსტი ისტორიული აზრის მქონე დრამატიზმის სახე მიეცემოდა. ქართველი ერის მესვეურთა ის დამოკიდებულება მამულიშვილური მოტივებისადმი, რომელიც რომანშია განსახიერებული, ამ ისტორიულად ცნობილ წინააღმდეგობებთან შედარებით ერთგვარად სქემატიზირებულ სწორხაზოვან სახეს ატარებს.

რაც შეეხება გლეხთა მამულიშვილური ღვაწლის ფსიქოლოგიური მექანიზმის გახსნას, აქ რომანისტის წინაშე კი

დევ უფრო რთული და ფაქიზი ამოცანა იდგა. ხომ ისტორიული ფაქტია, რომ ამ ეპოქაში რიცხვობრივად მცირე ქართველმა მშრომელმა მოსახლეობამ ისეთი სულიერი თუ ფიზიკური ძალა და მამულისადასრული ზღვის მოძალდებისადმი ისეთი წინააღმდეგობის უნარი გამოიჩინა, რომელიც ბევრ უფრო მრავალრიცხოვან ერებს არ აღმოაჩნდათ. მაშასადამე, ისიც უდავოა, რომ ქართველთა პატრიოტიზმსა და მამულისთვის თავდადებას ამ დროს სხვა უფრო რთული წყაროებიც კვებავდა, ვიდრე მხოლოდ კერის სიყვარული, რომელიც მსოფლიოს ყველა ტომს ახასიათებს, მაგრამ შედეგად ასეთი მტკიცე ეროვნული გამტანობა არ მოჰყვება. ამ ფაქტს თავისი ახსნა უნდა, ღრმა ჩაწვდომა წარსულ საუკუნეთა გარემოსა და სულისკვეთებაში, რომლის გარეშე ნაწარმოები თავის შემეცნებით ღირებულებას დაკარგავს და პატრიოტულ თემზე დაწერილ რომანში მამულიშვილური თავდადების ჩვენების ნაცვლად ასეთი თავდადების ქადაგებალა შეგვრჩება. მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტაში რომანისტი დგას საკმაოდ ხანდაზმული ლიტერატურული ტრადიციის ნიადაგზე; თუ თავადი ზოგი ერთგულია და ზოგი მოღალატე, გლეხი ყოველთვის სამშობლოს ერთგულია და ამ საკითხში მერყეობა არ იცის. ასე რომ, ღვაწლმოსილი და ყოველგვარი პატრიარქალური სათნოებით შემკული ოქრო-პაპა, რომელიც რომანში გლეხთა პატრიოტიზმის სიმბოლური გამოხატულებაა, მეტად წაგავს ჰადარა ომგადახდილი გლეხის სახეს, რომელიც ჩვენთვის მე-19 საუკუნის ლიტერატურისა და ცნობილი. საკითხი დგას: სწორია თუ არა ისტორიულად ქართველი გლეხის მამულიშვილური გრძნობების ასე მართივად ჩვენება, ჩვენება ისე, თითქოს ამ გრძნობებს არავითარი ცთუნება არ ხვდება და არავითარი სხვა მოტივები

წინ არ ელობება? ვფიქრობთ, რომ მამულიშვილური მიდგომა ერთგვარ გაუბრალებლად შეიცავს, რომ თემა მეტ სიფაქიზებსა და დეტალურ დამუშავებას მოითხოვდა. ჩვენ არა გვგონია, ქართველი გლეხის ბედი მე-16 საუკუნეში ეთიკური მხრივ უფრო მარტივი ყოფილიყო, ვიდრე ქართველი თავადისა, არა გვგონია, რომ როცა ქართველი გლეხსაცია, ნებით თუ უნებლიედ, სამშობლოს მოსწყდებოდა, მის წინ პატრიოტული ვალისა და პირადი ინტერესების ნაკლებ მწვავე და რთული კონფლიქტი წამოჭრილიყო, ვიდრე თავადის წინაშე. ეს კონფლიქტი კი ნამდვილად ღრსი იყო იმისა, რომ დიდ პატრიოტულ რომანში მას ადგილი დასთმობოდა. ან განა საფიქრებელია, რომ „ყულის ჯარში“, რომელიც შაჰ-აბასის დიდი ერთგული იყო და რომელსაც შაჰ-აბასმა საქართველოში ლაშქრობამდე ცოტა ხნით ადრე მუსრი გაავლო, ყველა ქართველი ნატყვევარი და ძალად მიყვანილი ყოფილიყო? საერთოდ, თავის დადებით გმირთა პატრიოტულ გრძნობებს (გლეხობა მთლიანად ამ დადებით გმირებს ეკუთვნის) ავტორი ყოველგვარი ჩრდილგანი მხარეებისგან სრული განყენებით, სრული იზოლაციით ხატავს. რომანი, ალბათ, მოიგებდა, რომ ეს გრძნობები ამგვარ ცთუნებათა ფონზე, მათთან ჭიდილში დახატულიყო. მაშინ ამ გრძნობათა გამოსახვა უფრო რეალისტრიკი იქნებოდა და უფრო დრამატულიც. ასეთი მიდგომით ავტორის მამულიშვილური და მხატვრული ინტუიცია უთუოდ მიაგნებდა მე-16 საუკუნის ქართველთა პატრიოტული გრძნობების იმ ცოცხალ მფეთქავ ძარღვს, რომელიც უამრავი უბედურების, დაღატაკისა და გარეგნული გადაგვარების მიუხედავად, ეროვნული თვითმყოფლობის სულ ახალი და ახალი ძალით აფეთქებას იწ-

ვედა<sup>1</sup> ეს რომ ექნა, ავტორს, ალბათ, არ დასჭირდებოდა იმ არადამაჯერებელი და ეროვნული თავმოყვარეობისათვის არცთუ სახარბიელო პასაჟის შემოტანა, როცა სასოწარკვეთილებამდე მისული ზალბი სიცოცხლისა და ბრძოლის ძალას ბერის ექსტრავაგანტულ გამოსვლაში პოვებს, რომელიც მას ზმლების მაგიერ... წინაპართა ძელებით აიარალებს.

გარდა უკმარობისა ავტორის ისტორიულ კონცეფციას ზოგი უზუსტობაც ახასიათებს. ასე, ისტორიული სიზუსტის ნაკლებობაა ეპიზოდში, სადაც ალექსანდრე მეფე ჰედელ გლეხებს თავისი მოხელის მკვლელობას ამატებს: ამ სცენაში სრულებით დავიწყებულია, რომ ქართველ მეფესაც თავისი წოდებრივი ინტერესები ჰქონდა, რომელსაც იგი, ამის დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, ვერ გადაუხვევდა და რომ მეფის ურჩობის დაუსჯელობა სახელმწიფო ინტერესებსაც ლახავდა.

რა ავებს რომანში აზრობრივი პლანის ამ ხარვეზს, რა სცელის ეპოქის სულსა და ადამიანურ ურთიერთობებში ჩაწვდომის ესოდენ სასურველ სიღრმეს? აღწერილი ეპოქის ნამდვილ ფაქტურ-თიერთობათა გახსნის ადგილს რომანში ხშირად იქერს ზოგად-ისტორიული ჰერეტა, აფორიზმები ან ისტორიაზე საერთოდ, ან საქართველოს ისტორიაზე კერძოდ: ქართველი კაცი გმირია და რაინდი; ერის ზნეობის დანგრევა ადვილია, ხოლო მისი აღდგენა ძნელი; საქართველო ქვეყნიური სამოთხეა და მტრები მას იმიტომ ეტანებიან (1,292); „ასეა ჩვენში — ლაღობენ და დარღობენ. ლაღობენ და დარღობენ“ (1,21); „გურჯი მეომარი მარცხ-ზიფათიან ცხოვ-

რებას მუდამ არჩევს, ვინც მისი მტერი ეგუება“; „ქართველი წარმართია, თავისი ლტოლითა და ბუნებით, ხოლო თემის შეილითა თავისი მოქალაქეობით... თემი დაეშალეთ, მყარმთლიანი სახელმწიფო კი დიდი ზნით ვერ შევქმენით“ (IV, 501). „ჩვენში არც სხვისი სახელით გმირობა არის შესაძლებელი, ამიტომ არის, რომ ჩვენ მრავალსაუკუნოვან „ქართლის ცხოვრებაში“ რას არ შეხედები, მაგრამ ცრუმარქვია მეფობას კი არა და არა“ (503). და ა. შ. ამგვარი ზოგადი დაკვირვებები, მსჯელობები და აფორიზმები რომანში სხედასხვა მხატვრული ღირებულებისაა და სხედასხვა სიღრმისა, ამათში ზოგი მკითხველს ჰქმნარბიტ ესთეტურ სიამოვნებას ანიჭებს, როგორც ყოველი მკაფიო და თვალსაჩინო ფორმაში გამოთქმული ჰუმმარტება. მაგრამ აღწერილი ეპოქის შეცნობას ასეთი ჰუმმარტების გაგება, რაღა თქმა უნდა, მაინც არ ნიშნავს.

დაბოლოს, რაკი ავტორის ისტორიული რეალიზმის ხარისხს და ხასიათზეა ლაპარაკი, შეიძლება ერთი მომენტიც დავასახელოთ. საქმე ეხება არა ცალკეული ფაქტის ასახვას, არამედ აღწერილი ეპოქის საერთო აღქმას, საერთო გაგებას ავტორის მიერ. ყოველ ისტორიულ ეპოქას ჩვენს თვალში თავისი დომინანტური ფერი აქვს, თავისი ძირითადი ოპტიმისტური თუ ტრაგიკული ტონი და მწერალიც, მით უმეტეს ისეთი ნაწარმოების ავტორი, როგორიც „გმირთა ვარამია“, უსათუოდ ამ საერთო ტონის დაქერას ცდილობს. ჩვენ, ალბათ, გვეჩოთიერებოდა თამარის ეპოქაზე მუქ ფერებში წერა, ან ფოიხტვანგერის მიერ

<sup>1</sup> ქართველთა უმაგალითო თავდადების მოტივებზე ანტიამპადიანურ ბრძოლათა ეპოქაში ისტორიულ მეცნიერებას ზოგი ობიექტური თავიდან დასახელება შეუძლია. მაგალითად, აღმოსავლური მიწათმფლობელობის წესი ამ დროს თურმე დღეად განსხვავდებოდა ქართული მიწათმფლობელობის წესისაგან: იქ კერძო მიწათმფლობელობა შეზღუდული იყო, გლეხს მიწა

საშვილიშვილად არ ეკუთვნოდა და მრავალწლიანი ულტურების, მაგ. ბალ-ვენახის, მოშენება არ შეეძლო. ამიტომ სამშობლოსთვის ბრძოლა ამ დროს ქართველი გლეხის თვალში მიწისთვის ბრძოლასაც ნიშნავდა. სხვათა შორის, ამიტომ იყო, რომ თემურ-ლენგი საქართველოში ვენახებს კაფავდა, თუმცა, რასაკვირველია, ასეთი მოტივის გათვალისწინება რომანისტისათვის არც აუცილებელია და არც საკმარისი.

ასახული „ოდეველთა ომის“ ეპოქის მხიარულ ფერებში წარმოდგენა. შაპაბასის ეპოქა ქართველთა თვალში მტეხი ფერით აღბეჭდილი ეპოქაა, რომლის პათოსის გმირობის შარავანდით მოსილი ტრაგიზმი შეადგენს. „გმირთა ვარამი“ თავის კომპოზიციურ ჩანაფიქრში ერთგვარად სცილდება ამ ტრადიციულ აღქმას. რომანი ოპტიმისტურად თავდება (კახნი მამა-მამის მკვლელ კონსტანტინეს კლავენ და მტრის ჯარს კახეთიდან სდევნიან), თუმცა ავტორმა კარგად იცის, რომ კრიტიკულად წლის შემდეგ საქართველოს შაპაბასის უღმრთელი შემოსევები და უნახავი აზრება დაატყდა თავს. რატომ არჩევს ავტორი ასეთ დასასრულს, ამაზე მსჯელობა მკითხველისთვის, რა თქმა უნდა, ძნელია. შესაძლოა, ავტორმა მკითხველის გრძნობა დაინდო; შესაძლოა, მან იგულისხმა, რომ ეს ეპოქა მთლად უღმრთელო წყვედიანს ეპოქაც არ იყო, ვინაიდან ქართველებმა ბოლოს მაინც შესძლეს თავისი ეროვნების შენარჩუნება და შაპაბასის ჩამოსახლება მოახალშენე თურქმანების გაწყვეტა. თუ რომანის ოპტიმისტური დასასრულით ავტორს მართლაც ამის თქმა უნდა, მაშინ მკითხველისთვის ძნელია მას არ დაეთანხმოს, მაგრამ თუ ეს ოპტიმისტური დასასრული მხოლოდ იმისთვისაა გამოიზნული, რომ სიკეთისა და თავისუფლების გამარჯვების იდეა ზოგადი ალეგორიული ფორმით გვამცნოს, ამას მკითხველი ასეთი მადლიერებით ვეღარ შეჰხედავს. ასე ალეგორიულად ნაქადაგებ იდეას მკითხველი ისევ ეპოქის ნამდვილი ფერისა და ნამდვილი ტრაგიკული ატმოსფეროს შენარჩუნებას არჩევდა.

\*\*\*

ისტორიკოსი რომანისტი სელში უძლიერესი იარაღია ისტორიული გარემოს შექმნა — ეპოქის ყოფისა და სულსკვეთების გაცოცხლება, დაწყებული ყოფის გარეგანი დეტალებით და გათავებული ამ ეპოქის ადამიანთა თა-

ვისებური სულიერი წყობილება. მკვლევარს აინტერესებს, როგორ ხდებოდა ცხოვრობდნენ ამ ჩვენგან დამორბეულ ისტორიულ ხანაში. როგორ იყო გადატეხილი მათ სულში ის სამარადისო გრძნობები, რომლებიც დღეს ჩვენ გვაღელვებს, როგორ საუბრობდნენ ისინი, როგორ იცვამდნენ, როგორ ეჭირათ თავი და ა. შ. ამ ნამდვილი ისტორიული ფაქტურის სისუსტეს წარსულისადმი მიძღვნილ ნაწარმოებში ვერ აინახლავთ ვერც საინტერესო სიუჟეტი, ვერც ისტორიულ ქარგაზე გადატანილი თანამედროვე ვნებები, ვერც ისტორიული ამბების ალეგორიული (ზოგად-სიმბოლური) აზრი. თანამედროვე რომანისტიკაში წარსულის ასეთი გაცოცხლების კლასიკური ნიმუშია ჰაინრიხ მანის რომანების ციკლი ანრი IV-ზე. ამ რომანებში გმირები ერთსა და იმავე დროს ზოგადად ადამიანებიც არიან და თავიანთი ვიწროდ შემოსაზღვრული ეპოქის შვილებიც. ჩვენ ყოველ წუთში ვგრძნობთ, რომ მათი ყოფა და მათი წარმოდგენები სხვაა, ვიდრე ჩვენი ყოფა და წარმოდგენები, და ამ განსხვავებათა ფონზე ჩვენსა და მათ შორის საერთოს. ზოგად-ადამიანურს კიდევ უფრო მკვეთრად შევიგრძნობთ.

სამწუხაროდ, ეს მხარე — ისტორიული გარემოს დამაჯერებელი მოხაზვა — „გმირთა ვარამის“ ყველაზე ვიწრო ადგილია. რომანისტი არა თუ ცდებდა ისტორიული რეალიზმის ხატვაში (შეცდომას მას მკითხველი ადვილად აპოტივებდა), არამედ შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს იგი უგულვებელყოფს კიდევ ამ რეალიზმს, მათ რომანისათვის უმნიშვნელოდ მიიჩნევს. ასე, მისი ლექსები და სპარსელები რატომღაც თურქული სიტყვებით ლაპარაკობენ („ბეი-უკ-ყონალი“ — დიდი მეგობარი. 1. გვ. 87); „ბეი-ხანუმი“ — დიდი ხანუმი. IV, 236). „მანიმ“ — ჩემია, IV; 506); რომანის გმირს სულხან-საბას ლექსიკონი უდევს უბეში და კითხულობს საბას კლასიკურად ქცეულ განმარტებას:

„შური სხვისა სიკეთისათვის წუხილი“. ზოსიმე ბერი თურმე სასწავლად ათონს გამგზავრებულა (ათონი ამ დროს უკვე დიდი ხნის გაუქმებულა, როგორც განათლების კერა); შამხალს „ბუზმენტებიანი“ ჩოხა აცვია; („ბუზმენტება“ ანუ „პოზუმენტება“ კავკასიაში XIX საუკუნეში შემოვიდა) გვირგები „ანაბაჟს“ ახსენებენ (ანაბაჟი ფოლკლორის პერსონაჟია, რომლის პროტოტიპი მე-19 საუკუნეში ცხოვრობდა); მე-16 საუკუნის გურიაში ნარიჩ-თურინჯი ხარობს; რასაკვირველია, ყველა ესენი წვრილმანებია და დიდი უბედურება არ აქნებოდა, რომ ავტორს რამდენიმე ასეთი პატარა ლაფსუსი მოსვლოდა. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ავტორი კი არ ცდებდა, იგი ნებისმიერად ცვლის ისტორიულ დეტალებს, როგორც კი ამას სიუჟეტის განვითარების ან ზასიათის მოხაზვის უმცირესი საჭიროება უკარნახებს. რატომ არის, მაგალითად, საჭირო, რომ სულხან-საბას თხზულება მე-16 საუკუნეში გადმოვიტანოთ? მხოლოდ იმისთვის, რომ ზაზას ტყვეობის უმისოლად ერთი ნამცეცი მარლი მივუმატოთ და ზაზას მომავალი პოლიგლოტობა გავუადვილოთ. მაგრამ ასეთი უზუსტობა მკითხველის თვალში ნდობას უკარგავს ავტორს როგორც ისტორიკოსს; ისტორიული ყოფის სხვა სურათებიც ამით დამაყვრებლობას კარგავს.

კიდევ უფრო გულდასაწყვეტია ასეთი უზუსტობა, როცა იგი პერსონაჟთა ენის მოდერნიზაციაში ელინდება. მართალია, ისტორიული ნაწარმოების გმირი თავისი ეპოქის ენით არ უნდა მეტყველებდეს, არამედ იმ ენით, რომლითაც ავტორს ყველაზე უკეთ მოუხერხდება მისი სათქმელის გამოხატვა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პერსონაჟმა უნდა იხმაროს გამოთქმები და სიტყვები, რომელთაც ხაზგასმულად თანამედროვე, ზოგ შემთხვევაში კი მწიგნობრული ელფერი დაჰკრავთ. — შე-

ნი ერი თუ უბედურია, შენ კი შენსეული — სადღაც არ ყოფილხარ პატიოსანი“. „მეფე და მისი მდივანბეგი არ ჩავგვკრას ამ პირტიტელმა მწიგნობარმა“ (1, 303). „ვშთები თქვენ მონამორჩილად, სახლთუნუცესი ომან“ (IV, 557). „ალავერდელმა იწყინა — და საერთოდ, რა წესია, ვეუო, გზაზე გადაფერხება და სხვაგან წვევა?“ 1, 432 (განა „ვეუო“ და ბარბაროზში „და საერთოდ“ შეიძლება ერთი ადამიანის პირიდან ამოვიდეს?) „ზოსიმეს სიმწირის ოფლმა დასხა. — საერთოდ... ნანადირეგზე მე ვერაფერს მოგახსენებთ. — კერძოდ“?

ასეთი მოდერნიზმი მით უფრო გასაკვირია, რომ სხვა დროს რომანის გმირები ძველი ქართულით მეტყველებას ცდილობენ, რაც ავრთვე ზედმეტია, მით უფრო, რომ ეს ძველი ქართული მუდამ სწორი არ არის: „არამც გვიყვან ზიანი“ (ეს ნიშნავს „არაფერი გვიყვან ზიანი“ და არა „არაფერი გვიყვან ზიანი“ როგორც რომანშია). „იქმნენ ნათელი (უნდა იყოს: „იქმნინ ნათელი“). „შენდობასა და კურთხევას ვითხოვ... თქვენი მეოხ ვარ“ (უნდა იყოს: „თქვენი მოაჯე ვარ“, „მეოხი“ მფარველია და არა საპატრონო).

რომანს დიდად აზარალებს უზუსტობა ისტორიულ წესთა და ზნე-ჩვეულებათა წარმოდგენაშიც. უზუსტობა, რომელსაც ავტორი ზმირად საეპეოლირების ეფექტთა შექმნისათვის იყენებს. ასე, მკითხველს სჭერა კიდეც და ილიკებს კიდეც თავისი არაჩვეულებრიობით ქართველ ქალთა — სათინოსა და საბედლოს დაღესტანში გადასვლა ქმარ-შვილის დასახსნელად. მკითხველი იქვეის თვალთ უყურებს „ქალთა ელჩიონის“ მოგზაურობას საქართველოში ქეთევან დედოფლის ბელადობით (ქალთა ამგვარი მოგზაურობის ამბები არც ამ ეპოქის, არც უფრო მშვიდი ეპოქების მატრიანეებს არ შემოუნახავთ). მაგრამ მკითხველი აღარ ენდობა ავტორს, როცა იგი მოგვითხრობს სამიათასიანი „ქალთა ლაშქრის“ წასვლას ისპაანში ქეთევანისვე წინამძღოლობით. კიდევ



უფრო დაუჭერებელია, როცა „სიმწრის გორის“ ბრძოლაში ავტორი ქეთევანს თითქმის სარდლის როლს ანიჭებს (ამის მსგავსი რამ თამარის არც ერთ იტორიკოსსაც კი არ მოსვლია აზრად). მაგრამ განსაკუთრებით გულდასაწყვეტი ისტორიული უხუსტობა მაშინ არის, როცა იგი გმირთა განცდის, გმირთა აზროვნებისა და მეტყველების წესს ეხება (ენახე აქ აღარ ვლამაზაკობთ); „კაცს თუ ნიჭი გააჩნია (იგულისხმება: დაკვრა-სიმღერა) — სოფლისაა ეს ნიჭი“ — ამბობს ოქროპაპა, თითქოს ის აღაზნისპირელი გლეხი კი არა, განმანათლებელთა იდეებზე გაზრდილი მე-19 საუკუნის ინტელიგენტი იყოს (ან განა მე-16 საუკუნის გლეხი რომელიმე ქვეყანაში არტიტულ ნიქს სიმღიდრედ აღიქვამდა, როგორც ჩვენ დღეს აღვიქვამთ?)

გმირთა ფსიქოლოგიის ამგვარი მოდერნიზაცია რომანში ბევრია.

ყველა ეს გაუშართობა (ჩვენ არ გვინდა ვთქვათ: რეალიზმის ლალატი) შემთხვევითი არაა. მათ ერთი და იგივე მიზეზი აქვთ. ავტორის პირველი მიზანი თითქოს ის კი არაა, რომ ნამდვილ ეპიკურა ალწეროს თუ შეიციოს, არამედ მას განუზრახავს რაღაც ზოგადი თუ კერძო იდეები გადმოგვცეს ისტორიულ ქარგაზე. ამ რომანში ავტორი ცდილობს ისტორია მასალად გამოიყენოს და არა თემად, ცდილობს გვამცნოს და არა მოგვითხროს. მართალია, თვით ის იდეები, რომლებიც ამ ნაწარმოებშია გამოხატული, არაა ზოგადკაცობრიულ ეთიკურ-ფილოსოფიური იდეები, როგორც „თაისში“, „მრისხანე ბატონში“ და ნაწილობრივ „დიდოსტატის მარჯვენაში“ — ეს იდეები ისევ ქართული ეროვნული იდეებია, რომლებიც ისევ ქართული ისტორიის ზოგად საკითხებს ეხებიან. მაგრამ აღწერილი ეპოქისთვის ეს იდეები ისევე არასაკუთარია, ისევე უცხო და გარედან შემოტანილი, როგორც ზემოხსენებულ ნაწარმოებთა წამყვანი ფილოსოფიური იდეები ამ ნაწარმოებებში

აღწერილი ეპოქებისთვის. რას ვხედავთ? —  
 ლეხისაა თუნდაც ისეთი განსწავლულნი რომ „ქართველი წარმართთა თავის ლტოლვითა და ბუნებით, ზოლო თემის შვილია თავისი მოქალაქეობით“? განა ეს შთაბეჭდილება ნაკარნახევია იმ ეპოქის ფაქტთა და ისტორიულ პირობათა ხასიათების შესწავლით, რომელსაც რომანი ეხება? ან რატომ შეიძლება ამ რომანის წამკითხავმა ავტორს დაუჭეროს, რომ გაპირებებში ჩავარდნილ ერს „მართო სამხედრონი ველარ უშველიან“, რომ „საქირთა ზნეობრივი სარდალიც“ (IV, 611); რომ „მდაბიო გრძნობები“ ხშირად „უფრო ძლიერია მაღალზე და ამაღლებულზე“, რომ ერის ზნეობის დანგრევას ცოტა დრო უნდა, მის შექმნას კი დიდი დრო; რომ „კარგია ცხოვრება და სამშობლოს გრძნობა, ომისა და მტრობის ვარამი რომ არ იყოს დედამიწაზე“? განა ასეთი დასკვნის საშუალებას მე-16 საუკუნის ქართველთა ყოფის შესწავლა უფრო გვაძლევს, ვიდრე ჩვენი ისტორიის ნებისმიერი სხვა პერიოდის ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის ისტორიის შესწავლა? განა ავტორი იმდენად ღრმად შეიჭრა მეთექვსმეტე საუკუნის ქართველთა ყოფაში და ადამიანთა ფსიქოლოგიაში, რომ მათში ასეთი ფაქიზი თავისებურება დაენახა? არა, ეს იდეები რომანში იგავურადაა გამოხატული და გამოთქმული, ეს ალევგორიაა, მიუხედავად იმისა, რომ ალევგორიის ორივე წევრი: ისიც, რაც ნათქვამია, და ისიც, რაც იგულისხმება, ერთსა და იმავე სფეროს — საქართველოს ისტორიას ეკუთვნის. ალევგორია კი, როგორც ცნობილია, მხატვრული უშუალოდის მტერია. ცალკეულ დეტალებში, ცალკეულ ხასიათებსა და ეპიზოდებში, სადაც ავტორი ჭიდავება-ალევგორიის პლანს სტოვებს და მთელ თავის ყურადღებას რეალურ ისტორიულ ატმოსფეროში ჩაწვდომას უთმობს, იგი კეთილშობილურ მხატვრულ სიძლიერესა და ისტორიულ დამაჯერებლობას აღწევს. ამის ყველაზე მკაფიო მაგალი-



თბა რომანში კახთ ბატონის ალექსანდრეს სახე. რომანის ბოლოში ეს პერსონაჟი ქვეყნის ბრძენ კირისუფლად მოჩანს, ნამდვილი ეროვნულ-ქართული პოლიტიკის მტკიცე და ფიზიკურ გამტარებლად, ყოველი ეგოიზმისგან თავისუფალ ერის მოამბედ, დიპლომატად და სახელმწიფო მოაზროვნედ, რომელიც ტოლს არ უდებს არც ერთ თავის თანამედროვე პოლიტიკოსს, შაჰ-აბასის ჩათვლით. მაგრამ ამ ხასიათის განვითარების რთულ ნახაზში არსად არ გვჩვენება შთაბეჭდილება, რომ ავტორი გმირს საკუთარ გრძნობა-წარმოდგენებს ახვევს თავზე, მას თავის ფიქრებს აფიქრებს, თავისი შეთხზული იდეალური პოლიტიკური კონცეფციით ამოქმედებს. პირიქით, კახეთის მეფე წინააღმდეგობითა და ხელის ფათურით ეძებს უწორი პირადი და ეროვნული მოქმედების გზას, ეძებს სანახევროდ გრძნობით და სანახევროდ გონებით ერთი სიტყვით, ეს ტემპერამენტია და ყველა ადამიანური ენება-სისუსტით აღქმურვილი ადამიანი ისე იტყვევებს და ისე ყალიბდება რომანის ბოლოსაფვის იდეალურ მეფედ, როგორც უნდა მოქცეულიყო მეთექვსმეტე საუკუნის პატრიოტი და ამავე დროს ყველა ფეოდალური ენება-სწრაფვით შეპყრობილი ქართველი მეფე. მკითხველისთვის, რომელსაც ისტორიის ღრმა და უტყუარი გაგება მსურს, ეს სახე მკაფიოა, დამაჩერებელი და ამაღლევებელი. ამ სახის სიმართლე არაა პედანტური ფაქტობრივი სიმართლე: პირიქით, ფაქტობრივ მასალას ალექსანდრესა და მისი შვილების თავგადასავლის თხრობაში ავტორი საკმაოდ თავისუფლად ეტყვევებს (ასე, მატიანის მიხედვით, გიორგი ბატონიშვილია დამნაშავე დავითის წინაშე და არა პირიქით, თუმცა დავითი იმდენადვე „მრისხანე და ამაყია“, როგორც რომანში. ალექსანდრეს თავდასხმას სვიმონ მეფეზე უფრო მდამალი მოტივები აქვს საფუძვლად, ვიდრე ეს რომანში წერია). მაგრამ სამაგიეროდ აქ არის უფრო დიდი ისტორიული სიმართლე:

ის დროის რჩეულ სახელმწიფო მოღვაწეთა წრეში მართლაც უცნობი არ უნდა ყოფილიყო საქართველოს მთლიანი ეროვნული პატრიოტობის მაღალი იდეა, რაც თუნდ იქიდან ჩანს, რომ ამ იდეამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა მე-17 საუკუნის ქართულ ფეოდალურ მწერლობაში: ამიტომ ამ იდეის შეტანა მე-16 საუკუნის ქართველ პოლიტიკოსთა მოქმედების მოტივაციაში ისტორიულად გამართლებული და დამაჩერებელია.

ისტორიული ატმოსფეროსა და სულისკვეთების მძლავრი განჭვრეტისა და მახვილი ინტუიციის უდავო მაჩვენებელია ასეთი განზოგადებებიც: „არ შეიძლება მთელი სიცოცხლე წამდაუწუმ თავის დაკარგვაზე იფიქრო და ბოლოს იგი არ შეგიყვარდეს“ (ეს კარგად გვიხატავს დესპოტურ სპარსეთში გადახვეწილ ქართველთა გადაგვარების ფსიქოლოგიურ მექანიზმს); უბრალო ხალხი დღევანდელი დღით ცხოვრობს, „სასახლის ცხოვრება კი სულ სხვა ფხაზე იყო ნაგები. აქ უფრო ან წარსული იყო, ან მომავალი... პირმოთნეობა და ჩასაფრულობა — ურთიერთშურით დაქარგული უბრალოება, კოშკის წიბოებივით ჩასაყვებულ-ჩაქვავებულ გარიგებანი“. მეტად დამაჩერებელია და ინდივიდუალური იერის მქონეა ქართველ მეფეთა შაჰ-აბასთან ურთიერთობის ეპიზოდები. მკვეთრი და დიდი ისტორიული აზრით დატვირთულია სცენა, რომელიც გვიხატავს ქართველი თავადის დაძველებულსა და ძვალრბილში გამჭდარ შურმტრობას ქართველი მეფისადმი.

„... ვინმეს მეურვედ დაგინიშნავ (ნაბოძვარ ქონებაზე)... ჩემი ნების აღმასრულებლად. ხმა ამოიღე, ხმა!“ — ეუბნება გიორგი ამილახვარს შაჰ-აბაზზე ძალად გათხოვილი თუ გაყიდული ქალიშვილი.

— თანახმა ვარ... ყველაფერზე თანახმა. — ძლივს წაიღულულა ამილახ-



ვარმა. — მაგრამ ერთს მაინც ვთხოვ —  
ვინც გინდა იყოს, გარდა შეფისა და  
კახთბატონისა...

— რატომ? — გაკვირდა ქალი.

— რატომ? რატომ? — თავისთავს  
შეეცინა გიორგი და თავდაც არ იყო-  
და რატომ... აქ შაჰისაგან დამცირებას  
აიტანს, ირან-დედოფლისაგან დამცი-  
რებას აიტანს, მაგრამ იქ — გიორგისა-  
გან ან ალექსანდრესაგან... არა და არა!

მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი შესანიშ-  
ნავი ისტორიული განკვეთები რომან-  
ში გამოწაკლისია.

ყველა ჩამოთვლილი ნაკლოვანება  
უთუოდ ჩრდილს აყენებს „გმირთა ვა-  
რამს“, როგორც ისტორიულ რომანს.  
მაგრამ რატომ არის, რომ მიუხედავად  
ამ ნაკლოვანებებისა, რომანი არა მარ-  
ტო ინტერესით, დიდი მღელვარებით  
იკითხება, რომ მკითხველთა შორის იგი  
გატაცებას და სიმპათიას იწვევს? ამის  
მიზეზი არაა უქმი ცნობისმოყვარეობა,  
რომელიც მხოლოდ სიუჟეტის განვითა-  
რებას მისდევს. ავტორმა შესძლო თა-  
ვისი რომანით ნამდვილი სულიერი ფა-  
სეულობის შექმნა და მით თავისებური  
ახალი სიტყვა უთხრა მომთხონ თანა-  
მედროვე მკითხველს. ეს სულიერი ფა-  
სეულობაა მამულიშვილური გრძნობის  
უსასრულო და უმდიდრესი ნაირობა  
რომანში, მისი გამოხატვის სიწარფელე  
და სიბოზო, რომელიც თითქმის ყოველ  
მკითხველს იყოლიებს. „გმირთა ვარა-  
მი“ ფაქტიურად ერთბაშად ნაწარმოებია,  
ერთ — პატრიოტულ თემაზე დაწერილი  
ნაწარმოებია, და რომანის ხელში აღე-  
ბამდე, შესაძლოა, ეპი შეგვეპაროს,  
რომ ეს თემა ამოდენა ეპოპეას გას-  
წვდება. მაგრამ რომანის კითხვისას ეს  
ეპი ძალიან მალე ქარწყლდება, რად-  
გან ეროვნული თემა რომანში ნიუანს-  
თა მრავალფერებითაა გაშლილი, რომა-

ნისტმა მამულიშვილურ გრძნობაზე  
მამულიშვილური ტრადიციის კუთხით  
თითქმის ახლებურად შეაფასა ადამი-  
ანის ბედი და განცდა-ვნებები, კაცთა  
ძველს, ოდიოზანვე ცნობილ და ათას-  
ჯერ გადამღერებულ გრძნობებს ახალი  
სისხლის ნაკადი შეჰმატა და ლიტერა-  
ტურის უძველეს თემებს ახლებური  
შუქი მოჰფინა. ეს ახალი ტრადიციული  
შუქი გმირთა განცდას თავისებურ ელ-  
ფერს აძლევს, ამიტომაც გმირთა სუ-  
ლიერი ცხოვრება მდიდარია და მრავ-  
ალფეროვანია.

ასეთი გრძნობები და დრამატული  
კონფლიქტები რომანში ბევრია — სიყ-  
ვარული და განშორება, პატივმოყვარე-  
ობა და შური, სიკოცხლე და სიკედ-  
ლის შიში. როგორც წესი, ეს კონფლიქ-  
ტები მსხვილი შტრიხებით, დრამატურ-  
გისთვის ჩვეული მსხვილი მასშტაბები-  
თაა ნაბატი. ისეთი ეპიზოდები, როგო-  
რიცაა გიორგი უფლისწულის იძულებ-  
ებით ქორწინება თავისი საყვარელ  
მკვდარი ძმის საცოლესთან, ალექ-  
სანდრე კახთ-ბატონისგან შვილების  
შეგნებული გამეტება სამძევლოდ და  
სასიკვდილოდ, ზაზა კახიანურისა და  
ამილახერის ქალის მიჯნურობა და ბე-  
ერი სხვა, რომანის უკეთეს ეპიზოდთა  
რიცხვს ეკუთვნის.

მართალია, ჩვენ გვეჩივნა, რომ მამ-  
ულიშვილური გრძნობის ადამიანურ  
სიმართლესთან ერთად რომანში ამ  
გრძნობის კონკრეტული ისტორიული  
სიმართლეც ასევე უხვად და უშურვე-  
ლად ყოფილიყო მოცემული. მაგრამ  
მკითხველის მხრივ დიდი უმადურობა  
იქნებოდა ავტორისთვის არ დაემადლე-  
ბინა ნამდვილად ადამიანური და კუ-  
თილშობილური გრძნობათა იმ ვრცელი  
სამყაროს შექმნა, რომელსაც დღეს მის  
რომანში ვხედავთ.

ა. თოფჩია

გიორგი ჭიბლაძის „კრიტიკული ეტიუდები“

გ. ჭიბლაძის „კრიტიკული ეტიუდების“ მეორე და მესამე წიგნებში მოთავსებულია ვრცელი მონოგრაფიული ნარკვევები გამოწვეულ ქართველ საბჭოთა მწერლებსა და პოეტებზე: გიორგი ლეონიძეზე, გალაკტიონ ტაბიძეზე, შალვა დადიანზე, იოსებ გრიშაშვილზე, ლეო ჭიანჭველზე, მიხეილ ჯავახიშვილზე და თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის განვითარების ზოგიერთ პრობლემურ საკითხებზე. ამ ნარკვევებს, მართალია, არა აქვთ დასახელებული მწერლების შემოქმედების ამომწურავი ანალიზის პრეტენზია, მაგრამ მათ საკითხების გაშუქების თანმიმდევრობით უძველად გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია ყველა იმათთვის, ვინც დაინტერესებულია არამხოლოდ აღნიშნული მწერლების, არამედ საერთოდ ჩვენი ლიტერატურის შესწავლით.

ნარკვევში „გიორგი ლეონიძე“ მოცემულია ქართული საბჭოთა პოეზიის ამ ერთერთ ფუძემდებლის რთული შემოქმედებითი გზის საკმაოდ ღრმა და მართებული დახასიათება. გ. ლეონიძის შემოქმედებითი ბიოგრაფია 1912 წლიდან იწყება. მალე იგი „ცისფერ ყანწილების“ ლიტერატურულ წრეში მოექცა. ეს ხანა მის შემოქმედებაში ზოგჯერ იქცა ცალმხრივი ინტერპრეტაციის საბაზად, რაც არსებითად სიმბოლიზმის, როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმართულების, მხოლოდ მახინჯი ნიშნების მიხედვით გაგებიდან გამომდინარეობდა. უკანასკნელ ხანებში თვით ფრანგული ლიტერატურის ისტორიის უახლესი მონაცე-

მებიდან საგრძნობლად შესამჩნევია პროგრესული ფრანგული კრიტიკის მიერ ფრანგული სიმბოლიზმის რამდენადმე ახლებურად გადაფასების ტენდენცია. ქართული სიმბოლიზმის მიმართ ამგვარი მიდგომის აუცილებლობა ადრევე შენიშნა ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ.

გიორგი ჭიბლაძე ერთი პირველთაგანია იმ კრიტიკოს-შეკვლევართა შორის, რომლებიც ქართულ სიმბოლიზმს განიხილავენ როგორც შინაგანად ორი ურთიერთსაპირისპირო ნაკადის, ორი განშტოების გამოხატულებას. ქართულ სიმბოლიზმთა ერთი ნაწილი (გ. ლეონიძე, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი და სხვ.) ადრინდელ შემოქმედებაშივე ნათლად იგრძნობა ორგანული სიახლოვე ქართული ლიტერატურის რეალისტურ ტრადიციებთან, პატრიოტული სულისკვეთება და გატაცება, ლექსის იდეური და ემოციური დატვირთულობა, რამაც მტკიცედ განაპირობა ახალ, სოციალისტურ სინამდვილესთან მათი სწრაფად და ახლო მოსვლა.

გ. ლეონიძის შემოქმედებითი ბიოგრაფიის საწყისი პერიოდის გარკვეული, სწორი თვალსაზრისით წარმოდგენა საშუალებას აძლევს მკვლევარს მკითხველს მკაფიოდ უჩვენოს პოეტის შემოქმედებითი განვითარების ძირითადი ეტაპები, მის პოეზიაში საბჭოთა სინამდვილის მაღალი იდეურ-მხატვრულ ფორმებში გამოსახვის მთავარი განმსაზღვრელი ნიშნები, მისი ლირიკის სიღრმე, ნოვატორული ბუნება, ეპიკური ნაწარმოებების („სამგორი“ და სხვ.) ძლიერი და სუსტი მხარეები. ქარ-

თული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ისტორიული პროცესები ცალკეული მწერლებისა (გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, შ. დადიანი, ფ. ქიაჩელი, მ. ჯავახიშვილი) მონოგრაფიული შესწავლის გზით უფრო ფართოდ არის განხილული „კრიტიკული ეტიუდების“ მესამე წიგნში, რომელიც 1959 წელს გამოქვეყნდა.

როგორც ცნობილია, ქართული საბჭოთა ლიტერატურა კანონიერი მემკვიდრეა ყოველივე იმ ჭანსაღისა და პროგრესულის, რაც ქართველ ხალხს შეუქმნია თავისი სულიერი განვითარების მთელ მანძილზე და ძვირფასი საგანძურის სახით მემკვიდრეობა გადმოუცია შთამომავლობისათვის. ამიტომ ყოველი ჰეშმარიტი კრიტიკოსი, სწავლობს და იკვლევს რა თანამედროვეობის აქტუალურ მოვლენებს, გვერდს ვერ აუვლის წარსულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომლის სწორი კრიტიკული ათვისება საბჭოთა ლიტერატურისმკვლევების ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანაა. ეთორვე ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდების“ პირველი წიგნი (გამოცემული 1950 და 1958 წლებში) უპირველესად ამ ამოცანის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. მისი უმთავრესი მიზანია გაამუქოს მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის რამდენიმე საკითხი — კერძოდ რომანტიზმისა და კრიტიკული რეალიზმის პრობლემები რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მსგავს ლიტერატურულ ფაქტებთან პარალელების გავლების გზით. ამასთან წიგნში კვლევის უმთავრეს ობიექტად ავტორის მიერ მიჩნეულია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ალ. ყაზბეგის ესთეტიკური მოძღვრება, სერგეი ვესხის ლიტერატურული შეხედულებანი, რომელთა დამუშავებამ შესწავლას წინ უძღვის ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გიორგი ერისთავის შემოქმედების საფუძვლიანი განხილვა-ანალიზი. არსებითად ამ გზას განაგრძობს გ. ჯიბლაძე „ეტიუ-

დების“ მეორე წიგნში, რომელსაც მხოლოდ გაკვრით შევხვით წიგნის მხოლოდ დასრულებული ნაწილი

ამ წიგნში დანიელ ჭონჭაძის შემოქმედებისა და აკაკი-ფშაველას ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების განხილვა მოცემულია დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ბესარიონ ბელინსკისა და ნიკოლოზ ჩერნიშევსკის ცხოვრება-მოღვაწეობის ვრცელი დახასიათების შემდეგ. ეს უკანასკნელი ორი ეტიუდი ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ესთეტიკური მოძღვრების არა მხოლოდ თანმიმდევრული გადმოცემით, არამედ ავტორის იმ წრფელი სიყვარულით, რომელიც ნათლად იგრძნობა რევოლუციამდელი მოწინავე რუსული კულტურის ამ ორი დიდი წარმომადგენლისადმი.

ამრიგად, გ. ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდების“ სამტომეულის მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა რომ მათში დაცული არ არის გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, ცილდება მე-19 და მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესწავლისა და თეორიული განზოგადების შედარებით ვიწრო ფარგლებს. ისინი ცალკეულ მწერალთა შემოქმედების იდეურ-სოციალური საფუძვლების გარკვევასთან დაკავშირებით აღძრავენ და აშუქებენ აგრეთვე მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მთელ რიგ ზოგად საკითხებს.

გ. ჯიბლაძის კვლევა-ძიების განსაკუთრებულ საგნად თავიდანვე იქცა ესთეტიკური აზროვნების სფერო, რომელსაც მიეძღვნა 1955 წელს გამოქვეყნებული სადოქტორო დისერტაცია „ხელოვნება და სინამდვილე“ (ტ. 1).

1961 წელს გამოქვეყნდა მისი ახალი წიგნი „ესთეტიკის თეორიის საკითხები“.

ამ წიგნის მიზანი, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, არის ის, რომ გამოაშკარავოს იდეალისტური ესთეტიკის შინაგანი წინააღმდეგობანი, შეძლების-

დაგვირად მოგვეცეს ზელოვნების მეტაფიზიკური თეორიების ზოგიერთ ძირითად დებულებათა კრიტიკა და გაარკვიოს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის რამდენიმე შემოქმედებითი პრინციპი“. ეს მიზანი წიგნში შეძლებისდაგვარად ხორციელდება ავტორის მიერ „ესთეტიკურ პრობლემათა სამი ათეული წლის კვლევა-ძიების“ შედეგად. ამდენად, იგი ჩვენს ყურადღებას პირველ რიგში იქცევს როგორც ქართული საბჭოთა ესთეტიკური აზროვნების ფორმირებისა და განვითარების გარკვეული ისტორიული პროცესების გამოხატულება.

ამ მხრივ მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წიგნში მოთავსებული სტატია „სოციალური ესთეტიკის საკითხისათვის“, რომელიც დაწერილია 1931 წელს და რომლითაც გამოჩნდა გ. ჯიბლაძე პირველად როგორც კრიტიკოსი-მკვლევარი. 1930-იან წლებში, როგორც ცნობილია, პრინციპული ბრძოლა წარმოებდა იდეალისტურ-ეკლექტიკური კონცეფციების წინააღმდეგ აზროვნების ყველა სფეროში, მათ შორის, ზელოვნების თეორიაშიც. ახლა, როცა ამ დროის მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლის ქარტეხილები განვლილი ეტაპია, ამგვარი პოლემიკური წერილების მნიშვნელობა დღევანდლობისათვის განისაზღვრება პირველ რიგში იმ ისტორიული პერიოდის ცოცხლად აღდგენით, რომელშიც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ქართული საბჭოთა ესთეტიკური აზროვნება, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის შემოქმედებითი პრინციპები.

გ. ჯიბლაძე სტატიაში „სოციალური ესთეტიკის საკითხისათვის“ მარქსის, ენგელსისა და ლენინის ფილოსოფიურ-გნოსეოლოგიურ შეხედულებათა უნარიანი მომარჯვებით დამაჯერებლად ცხადყოფს ორგანოტროპიზმის მეტაფიზიკურ, ეკლექტიკურ ხასიათს, მის კავშირს „ბურჟუაზიული მეცნიერების სხვადასხვა სისტემასთან“ „იდეალისტური მოადრებების პრინციპულ საფუძე-

ლებთან“ და, აქედან გამომდინარე, თელყოფს ზელოვნების უდიდეს როლს საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისა და განვითარების საქმეში.

ამჟამადვეა რა „საზოგადოებრივი ცხოვრებასთან ზელოვნების გადაკავშირების“ შესახებ ორგანოტროპული თეორიის მექანიკურ ბუნებას, გ. ჯიბლაძე ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ წერდა: „ზელოვნების მკვლევარმა ზელოვნება კი არ უნდა გადააკავშიროს საზოგადოებრივი ცხოვრებას (ეს კავშირი თავისთავად, ობიექტურად არსებობს, რასაც გვერდს უვლის ორგანოტროპიზმი), არამედ მან უნდა გამოარკვიოს, აღმოაჩინოს, შეისწავლოს, ცხადყოს ზელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთმიმართების კანონზომიერება, კანონები, რომლებიც ამ კავშირში არსებობენ. მოქმედებენ და ამ ნიადაგზე შეიძლება სწორი მეცნიერული შეხედულება ზელოვნების განვითარების ემპირიული სინამდვილისადმი მისი ურთიერთობის შესახებ“ („ესთეტიკური თეორიის საკითხები“, 1961, გვ. 19).

გარდა ზემოთდასახელებული სპეციალური გამოკვლევისა „ზელოვნება და სინამდვილე“ წიგნში შესულია აგრეთვე ისეთი საყურადღებო სტატიები, როგორიცაა: „სისადავის პრობლემა მხატვრულ შემოქმედებაში“, „გრიბოედოვის ფილოსოფიისათვის“, „თანამედროვე იდეალისტური ესთეტიკის არსება“, „პლენანოვის ესთეტიკური იდეალები“, „რუსთაველის ესთეტიკური პრობლემატიკა“, „ესთეტიკური პრობლემები“ და სხვ.

წერილი „პოეტიკურ-ესთეტიკურ ტერმინთა ისტორიისათვის“ ჩვენს სინამდვილეში სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლა-განზოგადების საფუძველზე ესთეტიკურ-თეორიული აზროვნების ისტორიული ძირების დაძვინის სერიოზული და საგულისხმო ცდაა. მოაქვს

რა საბასეული ლექსიკონიდან ერთ-ერთი ძირითადი ესთეტიკური ცნების სახის („სახე“) განმარტება, გ. ჯიბლაძე შენიშნავს, რომ „ეს ფრიალ მნიშვნელოვანი მომენტია ზოგადი თეორიის თვალსაზრისითაც, ვინაიდან თვით სახის ბუნებას აახლოებს ტიპოლოგიის თეორიასთან იმავე ზოგადპრინციპული ასპექტით, მიუხედავად იმისა, რომ სახე და ტიპი ერთმანეთისაგან თითქმის არსებითად განსხვავდებიან“. („ესთეტიკური თეორიის საკითხები“, 1961, გვ. 311).

გ. ჯიბლაძეს ამ შემთხვევაში უეჭველად მხედველობაში აქვს სახის ცნების ფართო და მრავალსიმომცველი გაგება (ლიტერატურაში ეს სიტყვა იხმარება ვიწრო გაგებითაც. აქედან წარმოსდგება სახე-ნივთი, სახე-უიზაჟი, სახე-გმირი, პოეტური სახე და სხვ.), რაც არსებითად განსაზღვრავს ხელოვნების, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკის, მისი უდიდესი იდეურ-შემეცნებითი და საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი მნიშვნელობის არსს. ხელოვნება, უწინარეს ყოვლისა, სახეებით აზროვნებაა. ტიპიზაცია, ტიპი სახეობრივ აზროვნებაში შედის, როგორც დიდი საზოგადოებრივი მოვლენებისა და იდეების, ადამიანთა მალალი მისწრაფებებისა და ხასიათების გამოხატვის საშუალება. ყოველი დიდებული ლიტერატურული ტიპი დიდებული ლიტერატურული სახის შექმნის აუცილებელი გზაა, მაგრამ ყოველი სახე როდია ტიპი. ანტიკურ დროიდან შუა საუკუნეებამდე ლიტერატურამ მრავალი შესანიშნავი მხატვრული სახე შექმნა, მაგრამ კი არ ლაპარაკობენ მათს ტიპოურობაზე, არამედ მიუთითებენ მათში მოცემულ დიდ ხასიათებსა და ვნებებზე. თვით კრიტიკული რეალიზმის ეპოქიდანაც შეიძლება დავასახელოთ მაგალითები ისეთი უკვდავი ლიტერატურული სახეებისა, რომლებიც დაშორებული არიან რეალურ სინამდვილეს, მა-

გრამ ამავე დროს ინარჩუნებენ დიდებულ-ესთეტიკურ ღირებულებას. მოვიგონოთ დანკო მ. გორკის მოთხრობიდან „მოხუცი იზერგოლი“, ან მინდია ვაშაფშაველას „გველსმქამელიდან“. როგორც პირველი ისე მეორე გარკვეული იდეური შინაარსის (ხასიათის) მატარებელია, მაგრამ არ შეიძლება მათ ტიპები ვუწოდოთ.

საკითხის მთელი არსი აქ იმაშია, რომ სახე (მასთან ერთად ხასიათი) ლიტერატურას, ხელოვნებას თან მოყვება მისი წარმოშობის დღიდანვე როგორც განუშორებელი ატრიბუტი. ხელოვნებაში რეალიზმის გაბატონებამდე ხასიათები ლიტერატურაში წინა პლანზე იყო წამოწეული და იგი წარმოადგენდა სახის შექმნის პრიორიტეტულ საშუალებას, რეალიზმმა კი ხასიათი დაუქვემდებარა სინამდვილის სწორად გამოსახვის მიზნით ტიპის შექმნის, ამ გზით სახის კიდევ უფრო სრულყოფის ამოცანას. ტიპს არ შეუძლია არსებობა სახეობრივის გარეშე. ამ გაგებით ყოველი ტიპი უეჭველად სახეა (ლუარსაბ თათქარიძე, ოთარაანთ ქვრივი, სიმონა ძალაძე, ტარიელ გოლუფა), მაგრამ ზოგჯერ სახეს მინიჭებული აქვს თავისთავადობის უფლება (მინდია, დანკო).

ამრიგად, სახისა და ტიპის ურთიერთ ცნებობრივ შეფარდებისას აუცილებელია მათი განმასხვავებელი და შემაერთებელი ნიშნების ცხადყოფა, რომლისკენაც ესოდენ სიმამხვილით მივივითოთქმს გ. ჯიბლაძე შემოთმობტანილ ფორმულირებაში.

ჩვენ აქ შევეცადეთ, მხოლოდ ძირითად ხაზებში, სქემატურად გადმოგვეცა გიორგი ჯიბლაძის უმთავრესი კრიტიკულ-შემეცნიერული შრომების საერთო ხასიათი.

გ. ჯიბლაძე ავერ თითქმის სამი ათეული წელია ნაყოფიერად მუშაობს კრიტიკისა და ესთეტიკის დარგში. მის ამ სასარგებლო მუშაობაზე მეტყველებს ჩვენს მიერ განხილული წიგნები.



კ. სურგულაძე

ივ. ველოზვიძის უსწრებო რეკლამური ფელეტონი

(პოეტის დაბადებიდან 90 წლის შესრულების გამო)

მიმდინარე წლის მაისში ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივობამ, ჩვენმა პრესამ აღნიშნა ცნობილი ქართველი პოეტის იროდიონ ევდოშვილის დაბადების 90 წლისთავი. ქართული ლიტერატურის ისტორიკოსებს, ქართულ მხატვრულ კრიტიკას და საზოგადოებრივი აზრის განვითარების მკვლევარებს საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი ირ. ევდოშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, გარკვეული და დადგენილი აქვთ მისი როლი და ადგილი ქართული მწერლობის ისტორიაში. ქართველ სამოციანელთა პოეზიის ხალხურ-პუმიანისტურ ტრადიციებზე აღმოცენებული შემოქმედება ირ. ევდოშვილისა წარმოადგენდა ახალ ეტაპს დიდი მოქალაქეობრივი პათოსით აღბეჭდილი ქართული პოეზიის განვითარებაში. სიახლე ირ. ევდოშვილის პოეზიისა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ პოეტი სამწერლო ასპარეზზე გამოხვდისთანავე დაუკავშირდა 90-იან-900-იან წლების სახალხო რევოლუციურ მოძრაობას, ამ მოძრაობის წარმმართველ მუშათა კლასს, მის ზეღმძვანელს — მესამე დასის მემარცხენე ფრთას. ირ. ევდოშვილი პირველი ქართველი პოეტია, რომელმაც გააზიარა რა ახალი, აღმავალი კლასის მრწამსი და იდეალები, პოლიტიკურად და კლასობრივად გათვითცნობიერებული მშრომელი ადამიანის თვლით შეხედა თავისი დროის უდადეგ სოციალურ მოვლენებს, გამოხატა თვითმპრობედლობის და უჭლებული პრივილეგიარებული ფენების ბატონობის დასაშლად ქურჩზე გამოსული მასების რევოლუციური სულიცვეთება, მათი იმედიაინი სულიერი განწყობილება, მათი ურყევი რწმენა მშრომელთა სამართლიანი საქმის გარდუვალ გამარჯვებაში.

ირ. ევდოშვილი იყო ახალი ტიპის რევოლუციური პოეტი-ტრიბუნი, რომლის შინაგან სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენდა თავისი შემოქმედება დაქვემდებარებინა იდეური მისწრაფებისათვის, რევოლუციური მოძრაობის ვადაუდებელი ამოცანებისათვის. 1908 წლიდან იყო რა ისრული მიმდინარეობის ქართული ურნალ-გაზეთების მუდმივი თანამშრომელი, ირ. ევდოშვილი თავისი გულის კარნახით წერდა ბრძოლისაკენ მომწოდებელ მგზნებარე ლექსებს, შთაბამებელი პოეტური სახეებით მასების შეგნებაზე მიჰქონდა გამანათავისუფლებელი მოძრაობის დიდი იდეები. უკველდლოური მუშაობა პროგრესული გაზეთების რედაქციებში, საქმიანი იდეური კავშირი ზოლშეცდურ პარტაბთან, მასების ცხოვრების, მათი შრომისა და ბრძოლის შუაგულში დგომა ასაზრდოებდა ირ. ევდოშვილის შემოქმედებას, პარტიული იდეურობით, პოლიტიკურ-სოციალური სინახილით მსჭვალავდა მის პოეზიას, რეპრატულობას ანიჭებდა მის კალამს. ხალხის სასიკოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე შემოქმედებითი პრაქტიკა ირ. ევდოშვილისა მუდამ დაჩრება მისაბამ მავალითად ყოველი კემშარტი პოეტიხათვის.

ირ. ევდოშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა არ იფარგლება მხოლოდ პოეზიით, მხოლოდ ლირიკით. ამასთან იგი წერდა მოთხრობებს, პუბლიცისტურ სტატაბებს, პამფლეტებს, პატარა ფელეტონებს რევოლუციური მოძრაობის პროცესში წამოქრილ საკიბროტო თემებზე. მინი ფელეტონის ფორმა იყო ეროვნული, კოლორიტული, გასაგები და მისაწვდომი ქართული მასობრივი მკითხველისათვის, რაც აიხსნება იმით, რომ თვითმპრობედლობისადმი, პოლიტიკური ჩვეულისადმი, რეაქციულ-რეტროგრადული და კონსერვატორული ძალებისადმი თავის სატირიკული-უმორისტული-ირონიული დამოკიდებულების გამოსახატავად პოეტი მიმართავდა ქართული ფოლკლორის გამოსახედი სერბებს და ძველი მწერლობის არქაულ სტაბლს. ასეთი მანერით დაწერილ პატარა ფელეტონის ნიმუშად გამოდგება ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ფელეტონი ირ. ევდოშვილისა „უარამინაინი“, რომელიც განხილულია ქვემოთ მოთავსებულ პატარა ნარკვევაში.





• • •

დაწყებული მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან იროდიონ ევლოშვილი სისტემატურად თანამშრომლობდა ქართული პერიოდული პრესის წამყვან ორგანოებში — „იერიასა“ და „კვალში“, რომლებშიც გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა, პუბლიცისტური ზასიათის მასალებსაც ათავსებდა. განსაკუთრებით საყურადღებოა პოეტის მოღვაწეობა ცხრაასიანი წლების ლეგალური და არალეგალური ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე.

ი. ევლოშვილის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ძირითადად ფელეტონები ჭარბობენ. მათში მალალი მოქალაქეობრივი შეგნებულობითა და ქეშმარიტი რევოლუციონერის პრინციპულობით არის დანაწული ეპოქის უმნიშვნელოვანესი სოციალ-პოლიტიკური მოვლენები. ერთერთი ასეთი ფელეტონის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს „ყარამანიანი“, რომელიც ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის „მნათობის“ მეორე ნომერში დაიბეჭდა 1907 წლის ორ იანვარს.<sup>1</sup>

ფელეტონი ეგება მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკას რუსეთის პირველი და მეორე სახელმწიფო სათათბიროს პერიოდში. ქვესათაურში ევლოშვილი ასახელებს ფელეტონის მთავარ მოქმედ პირებს: „აჭა ამბავი კაცისა ჩაფხუტოსნისა, ყარდამ ვიტესი და ფალევან სტოლიპინისა“. როგორც ვხედავთ, ავტორი ვიტესა და სტოლიპინის მსგავსად პირდაპირ არ ასახელებს ფელეტონის პირველ და უმთავ-

რეს მოქმედ პირს, მაგრამ დიდი მიხედვრილობა არაა საჭირო, რომ მის ვინაობაში გავერკვეთ. ფელეტონის საერთო ხასიათზე რომ არაფერი ვთქვათ, ავტორის მიერ ალევგორიული ფორმით გამოყენებული სამეფო ტიტულის შესაფერი რეგალიები „ჩაფხუტი“, „ძოწიელი“, „კარიბჭეები“ და „კაპარტი“, ავრთვე ეს მონური მორჩილება, რომელსაც ვიტე და სტოლიპინი იხევენ ჩაფხუტოსანთან დამოკიდებულებაში, ნათლად ამტკიცებს, რომ ჩვენს წინაშეა სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი, გვირგვინოსანი იმპერატორი ნიკოლოზ მეორე.

ფელეტონის დასაწყისშივე ი. ევლოშვილი გვიხატავს რევოლუციური მოძრაობის გამძაფრებით გამოწვეულ მეფის შეშფოთებას, როცა იგი კრიტიკული მომენტიდან თავდასაღწევად მზად არის დროებით პოლიტიკურ დათმობაზე წავიდეს მასების წინაშე:

„გზასა ზედა იყო მჯდომარე კაცი ვინმე. სტიროდა იგი და ფრიად ვოდებდა. იხიჯდა პირსა და ირტყმიდა ზელსა შებლსა ზედა.“

წვერი გაწეწა, ზედ ნაკარი დაეყარა და იყო ვითარცა შმაგი.“

ეს „გზასა ზედა მჯდომარე კაცი ვინმე“ არის „კაცი ჩაფხუტოსანი“, გამოუვალი მდგომარეობით დაფეთებული ნიკოლოზ მეორე, რომელსაც მხსნელად გრაფი ვიტე მოველინება თავისი ლიბერალური პოლიტიკური პროგრამით. ხელმწიფე-იმპერატორი ფელეტონში იძულებულია თხოვნა-ვედრებით მიმართოს გრაფს:

— „ვიტე ყარდამ! თვით ზეციის მოუვლინისბარ შენ ჩემთა ჭირთა საოხად. აწ ისმინე სიტყვანი ჩემნი, დასდე მალამო წყლულებსა ჩემსა და გაამაგრე თავსა ზედა ჩემსა ჩაფხუტი.“

შეხედე ძოწიელსა ჩემსა — საღდა იგი?  
შეხედე მლაყთა ჩემთა — ნავეში იგი!  
შეხედე კარის ბჭეთა ჩემთა — ინგრევა იგი!

<sup>1</sup> ი. ევლოშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობა წერტილობით თითქმის სავსებით შეუსწავლელია. გამონაკლისს წარმოადგენს მკვლევარ შ. გოზალიშვილის ნაშრომი „1905-1907 წლების რევოლუცია და იროდიონ ევლოშვილი“.

აღქაყნი შემომესიენ მე, აქანჭარებენ ჩაფხუტსა ჩემსა და დაყარვა სულმან ჩემმან შშვილობა. ვაი თავსა ჩემსა, ვაი ჩაფხუტსა ჩემსა!“

მოყვანილი ციტატიდან არცთუ ისე ძნელი შესამჩნევია, რომ „ჩაფხუტის ქანჭარი“ და მისი „გამავგრების“ სურვილი აწ უკვე შერყეული სამეფო ვიარგვინისა და ტახტის განმტკიცების ცდას მოასწავებს, ხოლო „ყარისბჭეთა ნგრევა“ თვითმპყრობელობის მთელი სახელმწიფო აპარატის ნგრევას ნიშნავს.


ვიტეს რჩევით, აბობოჭრებულ ზალხს „გულის მოსალობო ძღვნად“ მთავრობამ პირველი სახელმწიფო სათათბირო მიართვა, მაგრამ როგორც ცნობილია, ამ პოლიტიკურ მანევრს სასურველი შედეგი არ გამოუღია. მთავრობა იძულებული გახდა დაეთხოვა სათათბირო, ვინაიდან ევდოშვილისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, დეპუტატებმა ჩაფხუტოსანს „არცა თავი მოუდრიკეს და არცა მუხლებზე დაეშენენ. არამედ აგრგვინდა ხმა მათი და შეჰკადრეს ასეთი:

— ჩაფხუტოსანი! დრონი შენი ვარდასულ არიან და სიცოცხლესა შენსა გამოესალმები შენი!“

ფელეტონის დასკვნით ნაწილში აღწერილია სტოლიპინის რეაქციის დასაწყისი და მზადება მეორე სახელმწიფო სათათბიროს მოწვევისათვის. დაიწყო რეპრესიები და მშრომელთა მოძრაობის საყოველთაო ჩახშობა. რევოლუციით დაშინებული მთავრობა ტერორითა და საარჩევნო წესების გამრუდებით ცდილობდა თავისი მორჩილი საპარლამენტო ორგანოს შექმნას. იროდიონ ევდოშვილი სწორი პოლიტიკური პოზიციიდან აშუქებს მთავრობის საქმიანობას, ამხელს იმ მეთოდებს, რომელსაც იგი მიმართავს თავისი მიზნების მი-

საღწევად. „ყოველსა მტრსა ჩაფხუტოსანსა მას მრავალი მხარაჲი მისდით და და სასთუმალი მისი მრავალი სისხლით იღებებოდა და ესრეთ დამყარდა მშვიდობა და სათნოება მის გარშემო. სტკებობდა ჩაფხუტოსანი იგი ასრეთი სიტკებობითა და ჰკვირობდა ფალეტონ სტოლიპინის ფალეტონობასა“. ამრიგად, ევდოშვილის ამ ფელეტონში მეფე გამოყვანილია როგორც უზუნაეის დამნაშავე, ხოლო სტოლიპინი და ვიტე მისი უპირველესი და უერთფელესი დამქაშები. ამაშია ფელეტონის უმთავრესი ღირსება. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ პირველი სახელმწიფო სათათბიროსადმი ბოლშევიკების პარტიამ ბოიკოტის ტაქტიკა გაატარა. ეს განწყობილება ფელეტონშიაც შეინიშნება, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ბოიკოტი ამ დროს ბოლშევიკური პარტიის პოზიციებზე იდგა.

მკვლევარი შ. გოზალიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ ევდოშვილის ეს ფელეტონი გაზეთ „მნათობის“ დახურვის ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო. მართლაც, პოლიტიკურად ასეთ გამიზნულ ნაწარმოებს არ შეიძლება ადგილობრივი ხელისუფლების რეპრესიები არ გამოეწვია. გაზეთი „მნათობი“ თბილისის დროებითი გუბერნატორის ბრძანებით შეაჩერეს პირველივე ნომრის გამოსვლიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ.<sup>1</sup> ექვს გარეშეა, ამაში თავისი წვლილი იროდიონ ევდოშვილის „ყარამანიანსაც“ მიუძღვის. ეს ფელეტონი ავტორის დიდი გაბედულებისა და რევოლუციის საქმისათვის მისი თავდადების ნიმუშს წარმოადგენს, ამიტომ ქართული ფელეტონის ისტორია მოვალეა ღირსეულად დააფასოს იგი.



პირველი ნომერი  
**რუსთველიანას ეპილოგი\***

საუკუნეთა საილუმინაციის ამოხსნის  
ახალი დადგენილება

ნარკვევი მეორე

**იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის მატინიანი  
და შოთა რუსთველის მოსახსენებელის თარიღი.**

ნაწილი მეორე

**მოგზაურობა XIII—XIV საუკუნეებში  
ჯვარის მატინიანების მოსახსენებელთა მიხედვით.  
მინ — მინ იყო.**

მიმოხილვის პირველ ნაწილში ჩვენ გაეარკვეეთ ჯვარის სამონასტრო მატინიანეთა ქრონოლოგიის ზოგადი საკითხები. დადგინდით, რომ ჯვარის მოღწეული მატინიანები იწყება მე-13 საუკუნის დასაწყისიდან.

მიმოხილვის მეორე ნაწილში ჩვენ მოგვიხსენებდა ხანგრძლივი მოგზაურობა XIII—XIV საუკუნეებში ჯვარის მატინიანების მოსახსენებელთა მიხედვით, რათა დავადგინოთ, ვინ — ვინ იყო, და ვისი მოსახსენებელი მატინიანში როდის იყო ჩაწერილი.

**I**

**მოსახსენებელი, ნაწილი ჯვარის მატინიანებში  
1200 წლიდან — 1250 წლამდე**

თამარ მეფის „დალოცვანი სვინაქსარა ზედა“,  
განწესებული 1212 წელს.

თამარ მეფის ღვაწლი იერუსალიმის ქართულ სავანეთა წინაშე დიდი იყო. თამარ მეფის ისტორიკოსი, „ისტორია-აზმათა“ მეორე ნაწილის ავტორი, გადმოგვცემს თამარის სამონასტრო მშენებლობის შესახებ საზღვარგარეთ: „არა ოდენ საქართველოსა მონასტერნი აღაშენნა, არამედ პალესტინეს

\* ვაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 5.

იერუსალიმსა შინა აღაშენა — მონასტერი, და კუალად კვიპრეს ღმერთსა შიგნითა და აღაშენა მონასტერი, და კუალად კონსტანტინეპოლისს აღაშენა მეტროქი მათი“<sup>1</sup>.

თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი გადმოგვცემს თამარის შესახებ:

„წარაველენდის სარწმუნოთა თვისთა და დავედრის ესრეთ: „იწყეთ ალექსანდრიით, ყოვლისა თანა ლუბისა (= ლობისა), სინის მთისა“, და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტეანეთა მოიკითხვიდის. ხოლო იერუსალიმისათვის რადღა სახმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამით ყოველთა შინა ეკლესიათა — ოქროთა აურაცხელთა“<sup>2</sup>.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე წერს თამარის შესახებ:

„საბერძენეთისა, მთაწმიდისა, იერუსალიმისა და შავ-მთისა საყდარნი და ეკლესიანი რომელნიმე დარღუეულნი აღაშენა, რომელნიმე მათითა საფასოათა დაიხსნა ხარკისაგან უცხო თესლთასა“<sup>3</sup>.

მემკვიდრის ბოლო ცნობა, რომ თამარმა „რომელნიმე საყდარნი და ეკლესიანი (მონასტერნი) მათითა საფასოათა დაიხსნა ხარკისაგან უცხო თესლთასა“, ეხება იერუსალიმის ქართულ მონასტრებს, და კერძოდ ჭვარის ქართულ საეანეს-იერუსალიმის აღების შემდეგ სალაღინის მიერ 1187 წელს, სალაღინის ისტორიკოსის ბეჰა-ედ-დინის ცნობით, იერუსალიმში ჩავიდა საქართველოს მეფის ელჩი, რომელიც მოითხოვდა ქართველთა უფლებების აღდგენას იერუსალიმის ქართულ მონასტრებზე“<sup>4</sup>.

1192—3 წელს, როგორც გადმოგვცემს იბნ-შედადი, თამარ მეფემ 200.000 დინარი აღუთქვა სალაღინს, თუ იგი გაანთავისუფლებდა ტროფეის სახით წაღებულს „ჯვარ პატიოსანს“ (რომელზედაც, ქრისტიანულის გადმოცემით, ჭვარის აცვეს ქრისტე) და ქართველებს მათ მონასტრებს დაუბრუნებდა“.

სალაღინმა, როგორც მოხსენებული გვექონდა, პირველად უარით უპასუხა თამარს; ხოლო შემდეგ, თუმცა არ გაანთავისუფლა „ჯვარი პატიოსანი“, მაგრამ დაუბრუნა ქართველებს, საფასურის მიღების შემდეგ, ქართველთა მონასტრები, მათ შორის ჭვარის საეანე. ეს მომხდარა, როგორც მოხსენებული გვექონდა, 1200 წლის აბლო.

იმ დიდი ღვაწლის აღსანიშნავად, რომელიც თამარმა გასწია ქრისტიანული მსოფლიოსა და იერუსალიმის ქართულ საეანეთათვის, ჭვარის ტაძარში ყოველწლიურად, გარკვეულ დღეებში დანიშნული იყო თამარის მოხსენება „წართქმით“, გალობით წარმოითქმინდა თამარის „დალოცვა“.

თამარის დალოცვის დღეები აღნიშნულია ცალკე ხელნაწერში (იერუსალიმის სენიქსარი № 45). ხელნაწერის იმ ნაწილში, რომელიც ჩვენ დრომდე მოღწეულა, აღნიშნულია წლის მანძილზე 24 დღე, რომლებშიც ხდებოდა თამარის „დალოცვა“ (იანვრის 5, 6, 27; აპრილის 23; მაისის 8; ივნისის 24, 29; ივლისის 15, 21, 27; აგვისტოს 6, 15; ოქტომბრის 29; ნოემბრის 8, 10, 14, 18, 21, 27, 28; დეკემბრის 6, 18, 24, 25). დალოცვის დღეები სხვაც უნდა ყოფი-

<sup>1</sup> იხ. თამარის მეორე ისტორია, ქართლის ცხოვრება II, გვ. 91.

<sup>2</sup> იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 141.

<sup>3</sup> იხ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 361.

<sup>4</sup> იხ. Pilgrim Palestinian Text Society, London, 1897, XIII, გვ. 364. გ. ფერაძის წერილი, Georgia, 1937, № 4—5, გვ. 186. იხ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962, გვ. 57.

<sup>5</sup> იხ. Rec. des historiens des croisades, III, 299, 345. იხ. ცაგარელი, Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, გვ. 49.

ლიყო, მაგრამ ხელნაწერს ფურცლები აკლია. ამავე ხელნაწერის არმოდლებულ ნაწილში, ცალკე ფურცელზე, ცხადია, აგრეთვე აღნიშნული უნდა ყოფილიყო დღეები, რომლებშიაც დანიშნული იყო თამარის აღაპნი.

მოსახსენებელნი თამარისა განუწყესებიათ თამარის გარდაცვალების შემდეგ (1212 წელს). თამარის სენაქსარში, იმავე ხელთ, რომლითაც ჩაწერილია ყველა მოსახსენებელნი, 27 იანვრის თარიღის ქვეშ ჩაწერილია:

27 იანვარი.

„ქ. ამასვე დღესა განცვალა აქაჲ ესე მეფობაჲ ცხორებად და სუფევად საუკუნოდ ნეტარებით მოქსენებულმან თამარ დედოფალმან, რომლისა ქსენებაჲ და კურთხევაჲ საუკუნომცა არს“.

ეს მოსახსენებელი ამ ხელნაწერიდან პირველად ალ. ცაგარელმა გამოაქვეყნა იერუსალიმის ჯვარის ქართულ ხელნაწერთა აღწერაში. პირდაპირ უცნაურია, რომ ალ. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული ამ მოსახსენებლის გამო ისტორიკოსი თ. ჟორდანიას აღნიშნავდა: „წარწერაში მოხსენებული თამარ დედოფალი არ უნდა იყოს თამარ მეფე, რადგან ყველა წარწერებში იხსენიება მეფედ და არა დედოფლად“<sup>1</sup>. საოცარია, როგორ მოუვიდა ასეთი მძიმე შეცდომა ისეთ დაკვირვებულ მკვლევარს, როგორც თ. ჟორდანიას იყო. ცნობილია, რომ დიდი თამარი თანამედროვე წყაროებში მოიხსენება როგორც „მეფე“ და „მეფეთ-მეფე“, მაგრამ ამავე დროს იგი მოიხსენება აგრეთვე როგორც „დედოფალი“ და „დედოფალთ-დედოფალი“. მაგალითად, ანჩის-ხატის წარწერაში, რომელიც ზემოთ გვქონდა მოყვანილი, თამარი მოიხსენება როგორც „დედოფალთ-დედოფალი“ (იხ. დასაწყისი წარწერისა: „ბრძანებითა... ღმრთივ-გვრჯნოსნისა დიდისა დედოფალთ-დედოფლისა თამარისითა...“, „მნათობი“ № 5, გვ. 160, შენიშვნა). თამარის გულზედ საკიდი ჯვარის წარწერაში თამარს ეწოდება როგორც მეფე, ისე დედოფალი: „ძელო ქეშმარითო, ძალო ჭუარისაო, შენითა წინ ძლომითა ყოვლადვე შეშე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“ (იხ. იქვე, გვ. 155).

მით უფრო ბუნებრივია დედოფლად მოხსენება გარდაცვლილისა, როდესაც, ქრისტიანული შეხედულებით, მარადისობის წინაშე სწორდება მამაკაცი და დედაკაცი; ხოლო ამ მოსახსენებელში თამარ დედოფლის „მეფობაც“ მოიხსენება: „ამასვე დღესა განცვალა აქაჲ ესე მეფობაჲ ცხორებად და სუფევად საუკუნოდ ნეტარებით მოხსენებულმან თამარ დედოფალმან...“.

რომ აქ დიდი თამარი იგულისხმება, ამაში, რასაკვირველია, არ შეიძლება არსებობდეს არავითარი ეჭვი. საქმე ის არის, რომ იმავე ხელნაწერში, რომელშიაც ჩაწერილია თამარის ეს მოსახსენებელი, იქვე, იმავე ხელთ, ჩაწერილია მოსახსენებელი თამარის ვაჟისა და მემკვიდრის გიორგი მეფისა (29 დეკემბრის თარიღზე); იგი ასე იკითხვის:

29 დეკემბერი.

„დიდებულ ყავ, ქრისტე, სული გიორგი მეფისაჲ, თამარის ძისაჲ“.

საქართველოს ისტორიამ არ იცის სხვა გიორგი მეფე, ძე თამარისი, გარდა გიორგი IV-ისა (გიორგი-ლაშასი).

ამ ჩანაწერის მიხედვით აგრეთვე ისიც ირკვევა, რომ თამარის მოსახსენებელნი ჯვარის ქართულ სივანეში განწესებული ყოფილა თამარის გარდაცვალების შემდეგ მისი ძის გიორგი-ლაშას მიერ.

ჯვარის სენაქსარის ჩანაწერი თამარის შესახებ კერძოდ იმ მხრივაც არის

<sup>1</sup> იხ. თ. ჟორდანიას, ქრთნივები, II, გვ. 91.

მნიშვნელოვანი, რომ ამ ავთენტიური ტექსტის მიხედვით ირკვევა, რომ მისი დაკვლების დღე: დიდი თამარი გარდაცვლილა 27 იანვარს. ხოლო წელი თამარის გარდაცვალებისა არის 1212.<sup>1</sup>

მოსახუნებელთა II ჯგუფი. 1210—1220 წლები.

ა. ნიკოლოზ გულაბერისძე, კათალიკოზ უფილი. — ბ. ანასტასი (მოლაწე ქალი).

2. ნიკოლოზ გულაბერისძე.

ერთ-ერთი უძველესი ალაბი, რომელიც ჩაწერილია ჩვენამდე მოღწეულ ჯვარის სამონასტრო მატრიანეში — ალაბთა მეორე მთავარ წიგნში — არის ალაბი ნიკოლოზ გულაბერისძისა, ქართლის კათალიკოზ უფილისა, მე-12—13 საუკუნეთა ცნობილი ქართველი მწერლისა.

ნიკოლოზ გულაბერისძე, როგორც ეს სავარაუდებელი ხდება წყაროების ჩვენებათა სინქრონული შეფარდებიდან, დაბადებულია 1130/35 წლებში. გარდაცვლილა მოხუცებას მიწვენილი (75—80 წლისა) 1210 წლის ახლო. ქართლის კათალიკოზად იყო 1165/70—1178 წლებში. კათალიკოზობიდან ვადაძვარა 1178 წლის ახლო და გამგზავრებულია იერუსალიმში.

თამარს, მის მეფობის დასაწყისში, 1184/5 წლებში, ნიკოლოზი გამოუწვევია იერუსალიმიდან. თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდვარი ვადმოგვცემს: „აღმოუწოდა [მეფემან თამარ] წმიდით ქალაქით იერუსალიმით ნიკოლოზ გულაბერისძესა, რომელსა, სიმდაბლის ძლითა, ეკმნა (თავი მოერიდებინა, ვადაძვარიყო) ქართლისა კათალიკოზობისაგან“<sup>2</sup>.

ნიკოლოზ გულაბერისძე, ანტონ ქუთათელ საღირისძესთან ერთად, იყო ზღმძღვანელი საეკლესიო კრებისა, რომელიც გაიმართა თამარ მეფის მოწვევით 1184/5 წლებში.

ნიკოლოზი 1190-იან წლებში წასულა სამოღვაწეოდ მთაწმიდის (ათონის) ივერიის ქართულ მონასტერში (იერუსალიმი, როგორც ცნობილია, 1187 წელს აიღეს მუსულმანებმა, ქრისტიანული მონასტრები მათ პირველ ხანებში დახურეს და ნიკოლოზ გულაბერისძე ამის გამო აღარ დაბრუნებულა იერუსალიმში).

1190-იან წლებსა და მე-13 საუკუნის დასაწყისში ნიკოლოზი მთაწმიდის მონასტერში დიდ მშენებლობას აწარმოებდა. მთაწმიდის ივერიის მონასტრის წინამძღვრები ამ დროს იყვნენ პავლე (1170—1199) და გიორგი (1199—1210-იანი წლები). მთაწმიდის მონასტრის ერთ ალაბში, რომელიც 1198 წელს (პირველ ინდიკტიონს) არის დაწერილი, აღნიშნულია, რომ ნიკოლოზ გულაბერისძემ, „ვიანათგან მოიწია წმიდასა ამას უდაბნოსა... ეკლესიაჲ მთავარანგელოზისაჲ ალაშენა ყოვლითურთ, მოხატვით, გამოქვიკვით, დაქრელებით; და მერმე გარეთსა ლაკუსა დაძარბვით იგი კუთხი — ბურლოდ ალაძალა, რამეთუ დია მდაბალი იყო (იხ. ალაბი № 144)<sup>3</sup>. მე-13 საუკუნის დასაწყისში ნიკოლოზი ჩამობრუნებულია საქართველოში; 1203 წელს ისევ წასულა მთაწმიდას და წაუღია თამარ მეფის შეწირულება მთაწმიდისათვის (ალაბი № 152)<sup>4</sup>.

უფრო გვიან ნიკოლოზ გულაბერისძე დაბრუნებულია თავის ძველ სამოღვა-

<sup>1</sup> თამარის ქრონოლოგიის საკითხებს ჩვენ სხვა ადგილას ვებზეთ დაწერალებით და აქ ამ გზის ამ მოკლე შენიშვნებით ვავეყაროვით.

<sup>2</sup> ბასილი ეზოსმოდვარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 117—118.

<sup>3</sup> იხ. ათონის ივერიის მონასტრის ზღნაწერი ალაბებით, 1901 წ., გვ. 254—258.

<sup>4</sup> როგორც ირკვევა ათონის № 152 ალაბის ბოლო ცნობის მიხედვით (რომელიც ბიზანტიის კისარის ალექსი III-ეს შეეხება) ეს ალაბი, რომელშიც მოხსენება ნიკოლოზ გულაბერისძე, ჩაწერილია მატრიანეში 1203 წელს.

წყო აღვიდას, იერუსალიმს, ჯვარის ქართულ სავანეში (იერუსალიმის ქართველთა მონასტრები ამ დროს უკვე გამოხსნილი იყო მუსულმანთა ტყვეობიდან მათი მეფის მიერ). იერუსალიმში ყოფნის დროს ნიკოლოზი განაგრძობს მოღვაწეობას ჯვარის ქართული სავანისათვის; კერძოდ მას შეუყვლიდა და დაუბრუნებია მონასტრისათვის იერუსალიმის ჯვარის მონასტრისეული ზვრები, რომლებიც მუსულმანთა მძლავრობის დროს მონასტრს დაუკარგავს.

ნიკოლოზი გარდაცვლილა, როგორც მოეხსენიეთ, 1210 წლის ახლო. მისი ალაბი ჩაწერილია ჯვარის მონასტრის მატრიანეში (მთავარ სააღაპე წიგნში), საფიქრებელია, ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ, 1210-იან—1220-იან წლებში (ალაბი № 127/125).

მოგვყავს ალაბის ტექსტის დასაწყისი და ბოლო:

25 დეკემბერი.

„ამასვე წმინდასა და ცხოველს-ყოფელსა შობასა... ალაბი არს ბერისა ნიკოლოზ გულაბერის ძისა...“

(ალაბში საუბარია ნიკოლოზის მიერ „უკუშობადული ვენახის“ შესახებ და ალაბი თავდება ცნობით):

„წაგებული მისგან ამას მონასტრსა შინა მისისა დაწერილსაგან სენათ“.

როგორც საფიქრებელია ტექსტის მიხედვით, ნიკოლოზი ალაბის დაწერის დროს, ჩანს, გარდაცვლილია, მისი ალაბი ნიკოლოზის ძეგლი „დაწერილის“ შესაბამისად განუწესებიათ.

### 3. ანასუღლი

მოღვაწე ქალი ანასუღლი იყო მეურვე (ქტიტორი) მთაწმიდის (ათონის) ქართული სავანისა. მთაწმიდის მონასტრის ალაბში № 264 აღნიშნულია:

1 იანვარსა.

„... განუწესეთ ალაბი ანასუღლის და შეიღსა მისსა იაღისს... ამისთვის, რამეთუ მოსცა მონასტრსა დააკანა ბოტანიიტი 110“.

უფრო გვიან ანასუღლი მოღვაწეობს იერუსალიმში.

ალაბში, რომელიც განწესებულია ანასუღლის სსოვნის აღსანიშნავად და შეტანილია სამონასტრე მატრიანეში (მთავარ სააღაპე წიგნში), ვკითხულობთ (იხ. ალაბი №287/280):

6 აგვისტო.

„ამასვე დღესა ალაბი არს ანასუღლისი საუკუნოდ მოგვცა ასოცდათი დეკატრ. და ამისა შემდგომად შექმნა ჯვარის ოთხმოც დეკატრად და დასუქნა საკურთხეველსა ზედა.“

„და ამისა შემდგომად მეფე იმართესა და გავწერა და რადაც მონასტრისა იყო დაგვირა, ოქროსა გუბოვდა, და დღესა კირსა შეეცვლით უღონობისაგან, და ასი დეკატრი მისთვის შეგუაჟია. ჩუენ დაუწესეთ, რომელ ზედა-წირველი ყოველთა ჯამისწირვეთა და-ლოციედეს სახელდებით მას და შეიღსა მისსა| იაღისა...“

იერუსალიმის მეფე, რომელიც მოხსენებულია ალაბში, არის იერუსალიმის მუსულმანი მფლობელი. თუმცა თამარ მეფემ დიდი საფასური გაიღო, რათა მუსულმანებს მოეხსნათ ხარკი ქართველი მონასტრებიდან, მაგრამ მუსულმანები, როგორც ირკვევა, დრო-დროითი ისევ მიმართავდნენ ქართული მონასტრების დაბეგრვას.

ალაბი ანასუღლისა ჩაწერილია მატრიანეში იმავე ხელით, რომლითაც ჩაწერილია ალაბი ნიკოლოზ გულაბერისძისა. ამის მიხედვით იგი 1210—1220 წლებით თარიღდება.



მოსახუნებულთა III ჯგუფი. 1210—1220 წლები.

4. სუნღულ მამლაქანისძისა ასული თამარ.

5. ელია მიხრიკისძე.

აღაპები ამ ორი პირისა ჩაწერილია მთავარ მართანეში ერთი და იმავე ხელით (№№ 315/310 და 150/148), ისინი ერთდროულია. თვით ტექსტებიც სავსებით იდენტურია.

მოგვყავს მათი ტექსტები:

ამაღლება.

„ამასე დღესა აღაბი [ს]უნღულ მამლაქანისძისა ასულისა თამარისი, და ვინცა არ გარდაჲდას, კრულ იყოს ღმრთისა დაუსაბამოსა პირითა, და ვინ მტკიცედ აპურას, ღმერთმან აკურთხოს“.

6 იანვარი.

„ამასე დღესა აღაბი ელ[ია] მიხრიკისძისა და ვინცა არ გარდაჲდას, კრულ იყოს ღმრთისა დაუსაბამოსა პირითა, და ჟუარისა პატოსნისა მადლითა, და ვინ მტკიცედ აპურას, ღმერთმან აკურთხოს“.

აღაპები დაწერილია საუცხოვო ხელით, სტილიზებული ნუსხა-ხუცურით, რაც თამარ მეფის — ლაშა-გიორგის ხანაზე მიუთითებს; იგი მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედზე გვიან დროს ვერ მიეკუთვნება.

აღსანიშნავია ამას გარდა შემდეგი: ამ ორი აღაბის ბოლო ფორმულა („შეკრის“ ტექსტი) იმავე სახისაა, როგორც ნიკოლოზ გულაბერისძისა და ანასულისა აღაპებში; ამ მხრით ეს ოთხი აღაბი (ნიკოლოზ გულაბერისძისა, ანასულისა, და აქ განხილული აღაპები თამარისა და ელიას) გამოირჩევა ჟუარის მონასტრის ყველა დანარჩენი აღაპებიდან. ამაგარა ისინი ერთდროულია იცავენ ერთს ლიტერატურულ-სტილისტიკურ ტრადიციას, რაც ამ დროს მიღებული ყოფილა ადგილობრივ მწიგნობართა შორის.

აქ აღენიშნავთ ამასთან, რომ აღაბი თამარ მამლაქანისძისა ეგრეთწოდებულ „მოძრავი კალენდარის“ წრისაა. იგი ეკუთვნის „მოძრავი კალენდარის“ იმ ეპისკოპოსის რიცხვს, რომლებიც ჩაუწერიათ მთავარ სააღაპე წიგნში მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში (იხ. ამის შესახებ ზემოთ, „მნათობი“, № 5, გვ. 171—173).<sup>2</sup>

1 შეადარეთ სტილისტიკური დამთხვევები ბოლო ფორმულისა („შეკრის“ ტექსტისა):

აღაბი ნიკოლოზ გულაბერისძისა:

„ვინცა ესე ზუნე მიერ გაგებული და განწესებული შეცვალოს... კრულ იყოს ღმრთისა დაუსაბამოსა პირითა, და ჟუარისა პატოსნისა მადლითა, და ვინ მტკიცედ იპურას,— ღმერთმან აკურთხოს!“

აღაბი ელია მიხრიკისძისა:

„ვინცა არ გარდაჲდას, კრულ იყოს ღმრთისა დაუსაბამოსა პირითა, და ჟუარისა პატოსნისა მადლითა და ვინ მტკიცედ იპურას,— ღმერთმან აკურთხოს!“

თამარ მამლაქანისძის აღაბის ბოლო ფორმულა უდგება ელია მიხრიკისძის ტექსტს (იხ. ზემოთ); ასევე ანასულის აღაბის ფორმულა უდგება ნიკოლოზ გულაბერისძის ტექსტს (შეადარეთ — ანასულის ტექსტი: „ესე ზუნე გაგებული... ვინცა შეცვალოს... კრულ იყოს არს დაუსაბამოსა ღმრთისა პირითა...“; ნიკოლოზ გულაბერისძის ტექსტი: „ვინცა ესე ზუნე მიერ გაგებული და განწესებული შეცვალოს... კრულ იყოს ღმრთისა დაუსაბამოსა პირითა...“).

2 აღაბი თამარ მამლაქანისძისა (ისევე როგორც მისი ჯგუფის ეპისკოპოსები) მთავარი სააღაპე წიგნიდან შემდეგ შეუტანიათ აღაბთა მოკლე ნუსხაში (იხ. ტიშენდორფისებულ ზღანაწერისა № 64, მარსიუელი ზღანაწერისა № 45).

მოსახსენებელი IV გვუფი. 1212—1222 წლები.

- ა. მეფე გიორგი-ლაშა (IV) და დაახლოვებულნი პირნი —
- ბ. შერგილ დადიანი და დაახლოვებულნი პირნი. — გ. წავახ თორელის ოქა-  
ბი. — დ. სალომე ქართველი მოწამე.

6. მეფე გიორგი-ლაშა (IV) და დაახლოვებულნი პირნი:

7. შალვა ხუტურისძე (ვაზირის მანდატურთ-უხუცესის მეორე მოადგილე,  
მესტუმრე);

8. ინაჲ ბოცოვამსძე.

გიორგი ლაშას მოსახსენებელი, გარდა იმისა, რომ იგი ჩაწერილია თამარის „დალოცვათა“ წიგნში (იხ. ზემოთ, გვ. 121), ჩაწერილია აგრეთვე მთავარ სამონასტრო მატიაწეში ორგზის:

ა. 6 აგვისტოს თარიღს ქვეშ (ალაბი № 284/280, შენ): ტექსტი ჩაწერილია სინგურით (წითელი მეღვინით), რითაც ხაზგასმულია მოსახსენებელის განსაკუთრებული მნიშვნელობა:

6 აგვისტო.

„ფერისცვალების [ღღუქა წირვა] [და] [აღ]აბი საუქუნო [ა] მეფე [თა] მეფისა [ა] გიორგი [ა]“

ბ. 25 ივლისის თარიღს ქვეშ (ალაბი № 280/276):

25 ივლისი.

„ამსვე დღესა აღაბი საუქუნო მეფეთა-მეფისა გიორგისი, წირვითა, გარდაიღვებოდეს დაუკლებლად ვინცა შეცვალოს, შემცაიცილებს შველისაგან ქრისტიანეთასა“.

რომ ეს ალაბები გიორგი-ლაშას ეკუთვნის, უდავოა. მათი ტექსტი ჩაწერილია მატიაწეში იმავე ხელით, რომლითაც ჩაწერილია მოსახსენებელი მე-13 საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწეთა, — შერგილ დადიანისა და მის დაახლოვებულ პირთა (იხ. ქვემოთ, გვ. 126—127).

აღნიშნავთ ამასთან, რომ ალაბებში შემდგომი ხანის მეფეთა, გიორგი ბრწყინვალისა, გიორგი VII-ისა და გიორგი აღსტანლისა, გარდა იმისა, რომ ისინი ჩაწერილია მატიაწეში სხვა ხელით, სტილისტიკური რედაქცია ამ უკანასკნელი ალაბებისა განსხვავდება გიორგი-ლაშას მოსახსენებელთაგან.

მოსახსენებელი მეორე პირისა, მესტუმრის (ვაზირის მანდატურთ-უხუცესის მეორე მოადგილის) შალვა ხუტურისძისა იკითხვის შემდეგნაირად (ალაბი № 303/298):

30 აგვისტო.

„ამასვე დღესა აღაბი მესტუმრისა შალვა ხუტურისძისა საუქუნო, წირვითა, გარდაიღვებოდეს დაუკლებლად, და ვინცა შეცვალოს და დაკლოს, შემცაიცილებს შველისაგან ქრისტიანეთასა, და მისთამცა ბრალთაჲ პასუხისა გამცემელი მას საუქუნესა წინაზე ღმრთისა, ამენ“.

თანამდებობა მესტუმრისა (ვაზირის მოადგილისა) დიდ და საპატიო პოსტად ითვლებოდა. ეს შეგვიძლია გავითვალისწინოთ შემდეგის მიხედვითაც: როდესაც მეფე დავით VII (ლაშას ძე) გაემგზავრა მონგოლთა ურდოში ბათო ყაენის წინაშე, მან სამეფოს განმგებლად დასტოვა მესტუმრე ჯიქური, რომელსაც, ისტორიკოსის სიტყვით, მეფემ „ხელთ უღვა სამეფოსა და სახლის განგება“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. ჯამთა-აღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 229—230.

ვაზირის მოადგილეს მესტუმრეს, სხვათა შორის, ევალეზოდან და მალე დასრულდა წარმომადგენელთა მიღება. ისინი აგრეთვე იგზავნებოდნენ მეფის წარმომადგენლად უცხოეთში.

მესტუმრე შალვა, ჩანს, წარგზავნილი იყო იერუსალიმში შეწირულებათა ჩასატანად და ალამთა განსაწესებლად, მას როგორც ირკვევა განუწყობებია ლაშა-გიორგის ალაპები (არაა გამორიცხული, რომ მანვე განაწესა, გიორგი ლაშას დაეალებით, თამარ მეფის „დალოცვანი“ ჭვარის მონასტერში 1212 წელს, რის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი).

შალვას თითონაც გაუღია შეწირულებანი და ამის გამო ალაპი განუწყობებიათ შალვას სახელზედაც. რომ გიორგი-ლაშას და შალვას ალაპები ერთდროულად არის ჩაწერილი, ეს დასტურდება არა მარტო იმის მიხედვით, რომ ორივე ალაპი ერთი ხელით არის ჩაწერილი, არამედ თვით ტექსტი გიორგი-ლაშას ალაპისა და შალვას ალაპისა სავსებით იდენტურია.

მხოლოდ შალვას, ალაპის ბოლოს, მეტის სიმტიცისათვის ჩაწერინებია დამატება, რომ ვინც ეს არ შეასრულოს „მისთამცა ბრალთა (ე. ი. შალვას ცოდვთა) პასუხისა გამკველია მას საუკუნესა წინაშე ღმერთისა“. (შალვა, როგორც ვხედავთ, როდესაც საქმე მას ეხებოდა, მეტად ფრთხილი და წინდახედული ყოფილა...).

მესამე პირის **ინა ბოცოვასძის** (ბოცოსძის) მოსახსენებელი იქითხვის შემდეგნაირად:

25 მისი.

„ქ. ამსვე დღესა პანაშვილ საუკუნოა ბოცოვასძისა ინაძისა და მისისა მეულისა გარდაიქმნობდეს დაუკლებლად“.

ეს მოსახსენებელი ჩაწერილია იმავე ხელით, რომლითაც ჩაწერილია ზემოთ-მოყვანილი მოსახსენებელი გიორგი-ლაშასი და მესტუმრე შალვასი.

ბოცოვასძეთა (ბოცოსძეთა) სახლი დიდად დაახლოვებული იყო გიორგი ლაშასთან. ჟამთა-აღმწერელი გადმოგვცემს, რომ განძის ომში, რომელიც გადაიხადა ახალგაზრდა ლაშამ მისი მეფობის პირველ წლებში, ბრძოლაში მისი უშუალო თანამხლებელი და მცველი იყვნენ ყვარყვარე ჭაყელის ვაჟი ბექა, ბიბილა გურკელი და ბოცო ბოცოსძე.

ბრძოლის ერთ ეპიზოდს ასე ავეიწერს შემატანე: „თვით მეფე ლაშა წინა მიეტევა მზნელ და ილიერად. თვით გოლიათი მკლავითა სვიანითა, რომლსა თანა წინამბრძოლობდეს ძლიერად ყვარყვარე ჭაყელისა შვილი პირშიო [ბექა], ბიბლა გურკელი, ბოცო ბოცოსძე, ძმა შემნასი, რამეთუ ესენი წინა განუწყობეს“.<sup>1</sup>

ამრიგად, **ინა ბოცოსძე** (ბოცოვასძე) გიორგი-ლაშასთან დაახლოვებული ბოცოსძეთა სახლის წევრი ყოფილა. მესტუმრე შალვას, ლაშა-გიორგის შეწირულებასთან ერთად, ჩაუტანია იერუსალიმში აგრეთვე შეწირულება ინასი: სამივე ალაპი — ლაშასი, ინასი და შალვასი ერთდროულია, რასაც ადასტურებს როგორც ხელის იგივეობა, ისე ტექსტების სტილისტიკური სიახლოვე.

9. შერგილ და 10. ნათელ დადიანი.

შერგილ და დიანის სახლთან დაახლოვებულნი პირნი:

11. ეგნატე ზობისა წინამძღვარი;

12. ბარამ უშაფათელისძე.

ჭვარის სამონასტრო მატთანებში შეტანილია მთელი რიგი მოსახსენებელი მე-13 საუკუნის განთქმული სახელმწიფო მოღვაწის ცოტნე და დიანისა, მისი ოჯახის წევრთა და მახლობელ პირთა, საიდანაც ირკვევა, რომ ოდიშის ერისთავთ- ერისთავთა სახლი, ცოტნე დადიანი და მისი მამა შერგილ დადიანი,

<sup>1</sup> ჟამთა-აღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 153.

საქართველო  
საქართველოს  
საქართველოს

მე-13 საუკუნეში ყოფილან მთავარი ქტიტორები (მეურვენი) იერუსალიმის  
ჯვარის ქართული სივანისა.

ყველაზე ადრინდელი მოსახსენებელი ამ სახლისა, შეტანილი ჯვარის მატია-  
ანეებში, არის ცოტნეს დედ-მამის შერგილ და ნათელ დადიანთა  
შემდეგი მოსახსენებელი (აღაბი № 186/184):

27 იანვარი.

„ქ. ამასვე დღესა აღაბი შერგილ დადიანისა და მისისა მუელისა ნათელისი.  
მწუხრი, პანაშვითა, საუკუნო დაუკლებელ აღსრულებოდეს, და ვინცა შეცვალოს, შემ-  
ცაიკლებს.“

აღაბი ჩაწერილია მატიანეში იმავე ხელით, როპლითაც ჩაწერილია ზემოთ-  
განხილული მოსახსენებელი გიორგი-ლაშასი და მის მახლობელ პირთა, ინაფსა  
და შალვასი, და ამრიგად იგი მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედს, 1212—122  
წლებს ეკუთვნის.

იმავე მდივან-მწიგნობარს, რომელსაც ჩაუწერია აღაბი შერგილ და ნათელ  
დადიანთა, ჩაუწერია აგრეთვე შემდეგი მოსახსენებელი (აღაბები №№ 120/117  
და 232/229):

20 დეკემბერი.

„ქ. ამასვე დღესა აღაბი ეგნატი ხობისა წინამძღვრისა...“

9 მაისი.

„ქ. ამასვე დღესა პანაშვილ და წირვა უშაფათელისძისა ბარამისი...“

როგორც უკვე იცის მკითხველმა, ხობის სავანე იყო საკუთარი მონას-  
ტერი შერგილ დადიანისა და მისი სახლისა; იგი განუახლებია და მოუხატეინებია  
შერგილს მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში. აქ დაცულია ფრესკები შერგი-  
ლისა და მისი მუელის ნათელისა; მათთან ერთად გამოსახულია ცოტნე, ჯერ  
კიდევ უმაწვილი.

ისევე როგორც გიორგი-ლაშას წარუგზავნია იერუსალიმში მოსახსენებელ-  
თა განსაწესებლად ვაზირის მოადგილე მესტუმრე შალვა, ასევე შერგილ დადი-  
ანს, როგორც ირკვევა, წარუგზავნია იერუსალიმში ეგნატე ხობისა წი-  
ნამძღვარი, და მასთან ერთად ბარამ უშაფათელისძე; ესეც  
ოდიშიდან არის (უშაფათი — სოფელია ოდიში).

ეგნატე ხობისა წინამძღვრისა ახლობელი:

13. ნისიმე, დედა ეგნატესი;

14. უელგარძელი, ძმა ეგნატესი.

ეგნატე ხობისა წინამძღვრისა დედა ნისიმე იერუსალიმში მონაზონად  
შემდგარა (იერუსალიმში, როგორც მოხსენებული გვექონდა, იყო ქართველთა დე-  
დათა მონასტერი, რომელსაც კაპათა ერქვა, დაარსებული მე-11 საუკუნეში ბო-  
რენა და მარია-მართა დედოფალთა მიერ).

ნისიმეს ორი მოსახსენებელია შეტანილი ჯვარის მონასტრის მატიანეებში:

1) აღაბი № 141/139 (ჩაწერილია იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელ-  
საც ჩაუწერია ზემოთმოყვანილი მოსახსენებელი ეგნატესი):

30 დეკემბერი.

„ამასვე დღესა აღაბი დისა ჩუენისა ნისიმესი...“

2) აღაბი № 189/187 (იგი, ჩანს, შემდეგ არის ჩაწერილი; ხელი სხვაა):

30 იანვარი.

„ამასვე დღესა პანაშვილი ნისიმესი, ეგნატის დედისა...“

მეორე დღისათვის, 31 იანვრისათვის, დანიშნულია მოსახსენებელი ნისიმეს

შვილის ყელგრძელისა (აღაბი № 190/188). იგი ჩაწერილია მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია ზემოთმოყვანილი მოსახსენებელი ნისიმესი № 189/187.

31 იანვარი.

„ამასვე დღესა პანაშვიდი ნისიმეს შვილისა ყელგრძელისა...“

#### 15. ჭავჭავ თორელი.

16. ჭავჭავ თორელისა ასული ბობაძე.

ჭავჭავ თორელისათვის განწესებულია აღაბი № 197/195; მისი ასულისათვის აღაბი № 129/127.

სხვა წყაროებით ისინი ცნობილნი არ არიან.

ორივე მოსახსენებელი ჩაწერილია იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია ზემოთ-მოყვანილნი მოსახსენებელნი გიორგი-ლაშასი, შერგილ დადიანისა და მათ მახლობელ პირთა. ამის მიხედვით ჭავჭავ თორელისა და მისი ასულის მოსახსენებელნი მე-13 საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება.

#### 17. სალომე, ქართველი მოწამე.

ჯვარის სამონასტრო მატრიანეში შეტანილია მოსახსენებელი სალომე ქართველი მოწამისა:

„ამასვე დღესა წამება სალომე ქართველისაჲ, რომელი პირველ შესცოა სპარსთა მიერ და ქრისტე უარყო. ამისა შემდგომად კელად აღიარა სარწმუნოებაჲ ქრისტესი, და თავი წარეყუთა, და ცეცხლისა მიერ სრულ იქმნა წამებაჲ მისი“.

სხვა ცნობები სალომე ქართველი მოწამის შესახებ არ შენახულა.

მოსახსენებელი ეკუთვნის მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედს; ჩაწერილია იმავე ხელით, რომლითაც ჩაწერილია მოსახსენებელნი ლაშა-გიორგისა, შერგილ დადიანისა და მათ მახლობელ პირთა.

როგორც ირკვევა, სალომე ქართველი უწამებიათ მას შემდეგ, რაც იერუსალიმი მე-12 საუკუნის დასასრულს დაიპყრეს მუსულმანებმა.

#### 18. მიქაელ ივლიაძე შვილი.

19. ეფრემ დმოთიარი-

მიქაელ ივლიაძე შვილისათვის განწესებულია აღაბი № 20/19; ეფრემ დმოთიარისათვის № 188/186.

სხვა ცნობები ამ პირთა შესახებ არ შენახულა.

ორივე მოსახსენებელი ჩაწერილია მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია აღაბები ნისიმესი № 189/187 და მისი შვილის ყელგრძელისა № 190/188; ამის მიხედვით მოსახსენებელნი ეკუთვნიან მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს.

#### მოსახსენებელია V გვ. 1222—1242 წლები.

#### 20. რუსუდან მეფე.

რუსუდან მეფის აღაბი, როგორც ირკვევა, დაკარგულია. იერუსალიმის სვინაქსარს (ჯვარის მონასტრის ხელნაწერს № 24—25), რომლის არშიებზე მიწერილია აღაბები, აკლია ფურცლები; ერთ-ერთ დაკარგულ ფურცელზე, ჩანს, მოთავსებული იყო რუსუდანის აღაბი.

რომ რუსუდანის აღაბი არსებულა და მერმე დაკარგულა, ამას შემდეგი ადასტურებს. როგორც მოხსენებული გვქონდა, ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები ჯვარის მონასტრის „სულთა მატრიანისა“, რომელიც გამოქვეყნებული აქვს

ნ. მარს და რომელიც შედგენილია მე-14 საუკუნეში (იხ. ზემოთ, მნათობი № 5, გვ. 175). სულთა მატიანე წარმოადგენს ალაბთა წიგნების გამოცემას, სულთა მატიანეში შექმნიდათ მოსახსენებელი იმ პირთა, რომელთათვის დაწესებული იყო ალაბები. ხოლო ჯვარის მონასტრის ზემოთდასახლებულ სულთა მატიანის ფრაგმენტში მოიპოვება მოსახსენებელი რუსუდანისი (იხ. ნ. მარი, ალაბნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, გვ. XVIII):

„სელსა დეოფელისა რუსუდანისა შეუნდვენ ღმერთმან“.

#### მოსახსენებელია VI ჯგუფი. 1225—1250 წლები.

ა. შერგილ დადიანის მეორე მოსახსენებელი (განწესებული ცოტნე დადიანის მიერ). — ბ. გრიგოლ დრანდელი.

9-ა. შერგილ დადიანის მეორე მოსახსენებელი.

იგი ჩაწერილია მთავარ საალაბე წიგნში (ალაბი № 102/99) და იკითხვის შემდეგნაირად:

#### 7 დეკემბერი.

„ამისვე დღესა ალაბი და პანაშვიდი ერისთავთ-ერისთავისა შერგილ დადიანისა საუკუნოა. შეუნდვენ ღმერთმან.“

ზელი, რომლითაც ჩაწერილია ალაბი, მატიანეებში სხვაგან არ გვხვდება.

ალაბი, როგორც ირკვევა, განწესებულია შერგილ დადიანის გარდაცვალებების გამო, ცოტნე დადიანის განკარგულებით.

რომ ალაბი არაა განწესებული თვით შერგილის მიერ თავის სიცოცხლეში, ამას, სხვათა შორის, შემდეგი დასტურებს: თუკი ეს ალაბი თვით შერგილს განეჩინა, იგი თავის თავთან ერთად მოიხსენებდა აგრეთვე თავის მუდღელს ნათელს (როგორც ამას ეხედავთ ზემოთ-განხილულ ალაბში № 186/184, რომელიც შერგილს თავის სიცოცხლეში ვაწესებია). და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა წარწერებში, რომლებიც შერგილ დადიანისაგან მოღწეულა, შერგილს ყოველთვის თავის გვერდით დასახლებული პაყს მუდღელ ნათელი (წარწერა ხობის ზატისა, რომელშიაც ჩასვენებული იყო თამარის გულზედ-საკიდი ჯვარი; ხობის ფრესკები, წარწერებთ; „სულთა-მატიანე“ სინას მთისა, გვ. 243).

ამრიგად ეს ალაბი, რომელშიაც მხოლოდ მარტო შერგილი არის მოხსენებული, როგორც ირკვევა, მისი გარდაცვალების გამო არის განწესებული.

შერგილი გარდაცვლილია 1220-იან წლებში, 1230 წელზე ადრე. ეპითა-ალმწერელობაში 1230 წელს უკვე მოიხსენება შერგილის მემკვიდრე ცოტნე დადიანი, როგორც ერისთავთ-ერისთავი, მხედართმთავარი დასავლეთ საქართველოს ლაშქრისა; მემატიანე პირველი სიტყვებიდანვე გაგვაცნობს ცოტნეს, როგორც „კაცსა წარჩინებულსა და სათნოებინასა“<sup>1</sup>.

#### 21. გრიგოლ დრანდელი.

მე-13 საუკუნის მეორე მეოთხედში იერუსალიმის ჯვარის ქართულ სავანეში მოღვაწეობს გრიგოლ დრანდელი ეპისკოპოსი; იგი ოდიშიდან იყო (ოდიშის საერისთავოში ამ დროს შედიოდა სუბსიკომოსო კათედრები: ჭყონდიდისა, ცაიშისა, ბედიისა, მოჭვისა და დრანდისა).

ჯვარის მონასტრის მთავარ საალაბე წიგნში შეტანილია მოსახსენებელი გრიგოლ დრანდელისა (ალაბი № 306/301):

„ქორციელისა კრიაყესა საუკუნოა ალაბი და წირვამ პანაშვილითა. — ვინ გარდაჰქადოს, შეუნდვენ ღმერთმან, — გრიგოლი დრანდელი ეპისკოპოსისაჲ. ვინცა უგულზელს უოს, კანონსამცა ქვეშე არის და მისთამცა ბრალთა მხდელია.“

პირველი ნაწილი ალაბისა ჩაწერილია მდივან-მწიგნობრის მიერ, ხოლო მეორე ნაწილი, დაწყებული სახელიდან — „გრიგოლი დრანდელი ეპისკოპოსისაჲ“,

<sup>1</sup> იხ. ეპითა-ალმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 182.

ჩაწერილია განსხვავებული ხელით, ჩანს თვით გრიგოლის მიერ, განწესების მგატი სიმტიციცისათვის.

აღაბი გრიგოლ დრანდელისა ეკუთვნის „მოძრავი კალენდარის“ იმ ექვს აღაბათა რიცხვს, რომლებიც ჩაწერილია მთავარ სალაბე წიგნში 1250 წელზე უწინარეს (ეს ექვსი აღაბია: № 306/301 — გრიგოლ დრანდელისა; № 314/309 — იოსებ ხავთაძისა; № 315/301 — თამარისი, სუნულუ მამლაქანისძის ასულისა; [№ 316/311 — გრიგოლ ფანასკერტელისა]; № 317/312 — შოთა რუსთველისა; № 318/313 — ძაგან აბულეთისძისა. — იხ. ამ საგანზე ზემოთ, „მნათობი“, № 5, გვ. 171—173).

გრიგოლ დრანდელის აღაბი განმეორებულია აღაბთა მოკლე ნუსხაში (ტიშენდორფისეული ხელნაწერისა № 3, მარისეული ხელნაწერისა № 2):

„ქორციელისა კრიაიკსა წირვამ და აღაბი და პანაშვილი საუკუნოც გრიგოლი დრანდელისა...“

გრიგოლ დრანდელი, როგორც ირკვევა, ოდიშის ერისთავთ-ერისთავის ცოტნე დადიანის სახლის წარმომადგენელია იერუსალიმში მე-13 საუკუნის მეორე მეოთხედში (ისევე როგორც, გრიგოლის შემდეგ, 1250/5—1271 წლებში ოდიშის ერისთავთ-ერისთავის სახლის წარმომადგენელია მეორე ეპისკოპოსი ოდიშიდან — იოვანე).

გრიგოლ დრანდელის შესახებ ჩვენ ისევ გვექნება საუბარი. როგორც ირკვევა, ჯვარის მონასტრის მხატვრობის განახლებაში, რაც შესრულებულ იქმნა 1245—1250 წლებში, და რომელშიაც მონაწილეობა მიუღია შოთა რუსთველს (მისი წარმომადგენელის ანტონ ალავერდელის მეშვეობით), მონაწილეობა მიუღია აგრეთვე გრიგოლ დრანდელს, ცოტნე დადიანის სახლის წარმომადგენელს.

#### მოსახსენებელთა VII ჯგუფი. 1240—1250 წლები

##### 22. იოსებ ხავთაძისძე (ხავთაძისი).

##### 23. ძაგან აბულეთისძე.

ამ ორი პირის აღაბთა თარიღის შესახებ ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი. აღაბები ამ ორი პირისა ეკუთვნის ეგრეთწოდებული „მოძრავი კალენდარის“ კიკლს; სახელდობრ ეს ორი აღაბი შედის „მოძრავი კალენდარის“ იმ ექვს აღაბთა რიცხვში, რომლებიც ჩაწერილია მთავარ სალაბე წიგნში არა უგვიანეს 1250 წლისა (იხ. ზემოთ, „მნათობი“, № 5, გვ. 171—173, ხოლო უფრო დაწერილებით ქვემოთ, გვ. 172—173 და შემდგომში).

აღაბი იოსებ ხავთაძისძისა შეტანილია მთავარ სალაბე წიგნში № 314/309.

აღაბი ძაგან აბულეთისძისა შეტანილია მთავარ სალაბე წიგნში № 318/313.

ამ ორ პირთა შორის საისტორიო წყაროებით ცნობილია ძაგან აბულეთისძე. იგი ეკუთვნოდა ქართლის დიდ ფეოდალურ გვარეულობას. ჩვენამდე მოღწეულა მისი ერთი სიგელი 1259—1260 წლებისა, რომელშიაც იგი ასე მოიხსენება: „აბულეთისძე ძაგან, ძე ერისთავთ-ერისთავისა ივანესი“. ძაგან აბულეთისძეს მონაწილეობა მიუღია ბაღდადზე ლაშქრობაში 1258 წელს<sup>2</sup>.

რაც შეეხება ჯვარის მონასტრის აღაბს, ისიც იმავე ხანებშია განწესებული, მხოლოდ ოდნავ ადრე, როგორც აღენიშნეთ — არა უგვიანეს 1250 წლისა.

აღაბი მეორე პირისა, იოსებ ხავთაძისძისა, როგორც ირკვევა, დაახლოებით

<sup>1</sup> ესევე აღაბები განმეორებულია აღაბთა მოკლე ნუსხებში (ტიშენდორფისეული ხელნაწერ-ნი №№ 48, 74; მარისეული — №№ 35, 52).

<sup>2</sup> იხ. თ. კორძინას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 145—148.



იმავე ხანებშია განწესებული, 1240-იან—1250 წლებში. იოსებ ხათათაძის აღწერაში ჩაწერილია მთავარ საალაბე წიგნში იმ მდივანმწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია 1250 წლის ახლო იმავე წიგნში ალაპები გიორგი დადიანისა და ავაგ გომთახაძის და მიქაელ ოდარიანის ოჯახთა (იხ. ქვემოთ, ჯგუფი X).

**მოსახსენებელი VIII ჯგუფი. 1230—1250 წლები.**

ა. ანტონ იშხნელი. — ბ. გრიგოლ ფანასკერტელი.

**24. ანტონ იშხნელი.**

მოსახსენებელი ანტონ იშხნელისა ორგზის არის შეტანილი მთავარ საალაბე წიგნში:

ა. ალაბი № 165/163:

17 იანვარი.

„ამასვე დღესა ალაბი ანტონი იშხნელისაჲ...“

ბ. ალაბი № 173/171:

20 იანვარი.

„ამსვე დღესა ალაბი და წირვად საფუთომდ ანტონი იშხნელისაჲ დაფულებლად...“

ანტონ იშხნელის ალაპები, მათი დამწერლობის, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, მე-13 საუკუნისაა. ანტონი ცნობილი პირია.

1248 წელს პირველ ვაზირს მწიგნობართ-უხუცესს ბასილის, როდესაც მას დაუკავებია პირველი ვაზირის პოსტი, დაუმტკიცებია მისი წინამოადგილის არსენი მწიგნობართ-უხუცესის სიგელი; ბასილისთან ერთად ამ სიგელს 1248 წელს ამტკიცებს „იშხნელ ყოფილი და აწ საწოლისა და საქურკლის მწიგნობარი ანტონ ნ“<sup>1</sup>. 1248 წელს ანტონი პირველი ვაზირის პირველი მოადგილე ყოფილა. ზოლო იშხნელი მთავარეპისკოპოსის პოსტი მას სტერია ამაზე ადრე, 1230-იან წლებსა და 1240-იანი წლების პირველ ნახევარში; ამ პერიოდში, იშხნელობის დროს, არის განწესებული ზემოთ მოყვანილი ორი ალაბი.

1240-იანი წლების ბოლოს (1250 წლის ახლო) ანტონის დაუტოვებია ვაზირის მოადგილის თანამდებობა და იგი მოღვაწეობს თავის სამშობლო მზარეში ტაოში, სადაც ადრე იშხანის კათედრა ეჭირა (ანტონი დაახლოვებული პირია ტაოს ერისთავთ-ერისთავთა ფანასკერტელთა); ამავე დროს ანტონის კავშირი აქვს აგრეთვე იერუსალიმთან, სადაც ანტონი არა ერთგზის ჩასულა ფანასკერტელთა საგანგებო დავალებებით.

**25. გრიგოლ ფანასკერტელი.**

გრიგოლ ფანასკერტელი ერთ-ერთი მთავარი მეურვეა იერუსალიმის ჯვარის ქართული საეანისა მე-13 საუკუნეში. მისთვის განუწესებიათ 1250 წლის ახლოს ზუთი ალაბი. ზოლო 1250 წლის შემდეგ გრიგოლისათვის დამატებით კიდევ განუწესებიათ ალაბი.

ალაბთა თარიღები ირკვევა შემდეგის მიხედვით.

გრიგოლ ფანასკერტელისათვის განწესებულ ალაბთა პირველ ჯგუფში ერთი ყოფილა „მოძრავი კალენდარის“ წრისა (№ 315/311), რომელიც ეკუთვნის იმ ეკვს ალაბთა რიცხს, რომლებიც ჩაწერილი იყო მთავარ საალაბე წიგნში 1250 წელზე ადრე (ალაპები გრიგოლ ღრანდელისა, იოსებ ხათათაძისა, თამარ მამლაქანისძისა, შოთა რუსთველისა, ძვან აბულეთისძისა, და მათთან ერთად გრიგოლ ფანასკერტელისა; იხ. ამ საგანზე ზემოთ, „მნათობი“, № 5, გვ. 171—173).

<sup>1</sup> ს. კაპაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, II, 1925., გვ. 131—133; დამატება-შესწორებანი იასე ცინცაძისა, საქართველოს არქივი II, 1927 წ., გვ. 25—27.

ხოლო ერთი ალაპი გრიგოლ ფანასკერტელისა, ჩაწერილი ალაპთა მოკლე წესისა (ტაშენ-დორდისეული ხელნაწერისა № 32, მარისეული ხელნაწერისა № 23), გუთუნის მოკლე ნუსხის მეორე ფენას და ამრიგად იგი 1250 წლის შემდეგ არის გაწესებული.

მთავარი მოსახსენებელი, გაწესებული გრიგოლ ფანასკერტელისათვის, შემდეგს გადმოგვცემს (იხ. ალაპი № 123/120):

24 დეკემბერი.

„ამსევ დღეს საუენო ალაპი გრიგოლ ფანასკერტელისა. მისცა და შემოსწირა ჟვარისა მუნასტერისა აქიას ადგილი, რვას დრაქნად ნასყიდი. და გავუციეთეს წ[ე]ლიწადასა შიგანა ხუთი ალაპი პანაშუადითა და წირვითა...“

მასევ დღეს შვიდი ათასი თეთრი ვაიყუაეთ იმ რუსალემს მყოფთა ქრისტიანთა ქართველთა.

მიეცეთ პატრიარქსა და მისთა მუნასტერთა ორი ათასი თეთრი ამსევ დღეს.

ამის ოქროსა მომღებელთა ანტონის მოძღუარსა და მერჩასა და ვასაკსა შეუნდვენს ღმერთმან.“

მოსახსენებელზე შემდეგ მიწერილია (№ 123a/121):

„მეორედ გამოგზავნა მურვანის კელით ოცდათვერ ათასი და ვიფიდეთ აქიას შამელი ოცდაოთხი ათასად და სხუად სალოცავად გავეციეთ.“

და ათასი თეთრი ანტონის კელითა გამოგზავნა. შეუნდვენს ღმერთმან.“

ამრიგად, გრიგოლ ფანასკერტელს დიდი სიმდიდრე გაუგზავნია იერუსალიმში.

პირველად გაგზავნილი საფასითგან ჟვარის მონასტერს შეუძენია იერუსალიმის სანახებში, აქიას უბანში, ადგილი „რვას დრაქნად ნასყიდი“. იერუსალიმის ქართული მონასტრებისათვის გაუყვიათ 7.000 თეთრი; პატრიარქისათვის და ბერძნული მონასტრებისათვის გადაუციათ 2.000 თეთრი.

მეორედ და მესამედ გრიგოლ ფანასკერტელის წარმომადგენელთ ჩაუტანიათ იერუსალიმში 31.000 თეთრი. აქედან ჟვარის მონასტერს შეუძენია იერუსალიმში, აქიას უბანში „ამჟული 24.000 თეთრად“, ხოლო დანარჩენი გაუციათ სალოცავად იერუსალიმის სხვადასხვა მონასტრებში.

იერუსალიმის ჟვარის მონასტერში, როგორც ჩანს მოსახსენებელთაგან, ალაპთა გაწესებისათვის იგზავნებოდა ჩვეულებრივ ათასი — ორი ათასი თეთრი, და ამის მიხედვით შეგვიძლია ვავითვალისწინოთ, თუ რა დიდი სიმდიდრე გაუგზავნია გრიგოლ ფანასკერტელს იერუსალიმში.

გრიგოლ ფანასკერტელის შეწირულებანი იერუსალიმში პირველად ჩაუტანია გრიგოლის მიერ საგანგებოდ წარგზავნილ პირთ, ანტონის მოძღუარის მეთაურობით. ზემოთ მოყვანილი მოსახსენებელი № 123/120 ჩაწერილია საალაპე წიგნში გრიგოლ ფანასკერტელის წარმომადგენელის ანტონის მიერ. ეს ჩანს იმის მიხედვით, რომ ალაპის აღმწერელი ლაპარაკობს პირველი პირით, გრიგოლ ფანასკერტელის სახელით („გ ა გ უ ი კ ე თ ე ს წ ე ლ ი წ ა დ ა ს ა შ ი გ ა ნ ხ უ თ ი ა ლ ა პ ი პ ა ნ ა შ უ ა დ ი თ ა წ ი რ ვ ი თ ა“ და სხვ.).

ვის არის ეს ანტონის მოძღუარი, გრიგოლ ფანასკერტელის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც გრიგოლის სახელით მოქმედებს? იგი არის ჩვენთვის ცნობილი ანტონი იშხნელ-ყოფილი, რომელიც 1230-იან წლებში იშხანის მთავარეპისკოპოსად იყო, შემდეგ, 1240-იან წლების მეორე ნახევარში, ვაზირის მწიგნობართ-უხუცესის მოადგილის თანამდებობა ეჭირა, ხოლო შემდეგ განთავისუფლებულა ვაზირის მოადგილის თანამდებობიდან და დაბრუნებულა თავის სამშობლოში, ძველ სამოღვაწეო ადგილას, ტაოში. იშხანის კათედრა (სამთავარეპისკოპოსო), როგორც ცნობილია, მთავარი კათედრა იყო ტაოს საერისთავთ-საერისთავოსი, და ვასაგებია, რომ გრიგოლ ფანასკერტელს იშხანის იერარქი აურჩევია იერუსალიმში წარსაგზავნად საგანგებო დავალებით (აღსანიშნავია,

რომ დიდი ფეოდალური გვარეულობანი იერუსალიმში თავის წარმომადგენლებს ჩვეულებრივ გზავნიდნენ საეპისკოპოსოთა მეთაურებს; ასე, დადიანთა სახლის წარმომადგენლებია იერუსალიმში 1225/30—1250 წლებში გრიგოლ ღრანდელი, 1250/5—1260/5 წლებში იოანე მთავარეპისკოპოსი; შოთა რუსთველის წარმომადგენელია იერუსალიმში 1245—1250 წლებში ანტონი ალავერდელი). ანტონი იშხნელ-ყოფილი ატარებს ტიტულს „მოძღვარი“ (ანტონი მოძღვარი), ისევე როგორც ანტონის თანამედროვე იოვანე მთავარეპისკოპოსი ოდიშელი, მთავარეპისკოპოსობიდან განთავისუფლებისა და იერუსალიმში დამკვიდრების შემდეგ (1250/5—1260/5) აგრეთვე ატარებს იმავე სახელწოდებას „მოძღვარი“ (იოანე მოძღვარი, — იხ. ქვემოთ, გვ. 142). ასევე ჭვარის მამა პიმენ მაწყვერელ-ყოფილი ატარებს იმავე ტიტულს „მოძღვარი“ (იხ. აღაპები №№ 124/122, 136/134, 138/136; შეად. აღაპი T—75/M—52)¹.

მოსახუნებელთა IX ჯგუფი. 1245—1250 წლები.

26. შოთა რუსთველი.

27. ანტონ ალავერდელი.

გადავდივართ მთავარ საკითხზე — შოთა რუსთველის აღაპის საკითხის განხილვაზე.

ჭვარის მონასტრის მთავარ სააღაპე წიგნში ერთდროულად არის ჩაწერილი ორი აღაპი, შოთა რუსთველისა და ანტონი ალავერდელისა.

აღაპები იკითხვის შემდგენაირად.

ა) შოთასი (აღაპი № 317/312):

ორშაბათი სულისა წმიდისა მოსლვისა.

„ამასვე ორშაბათსა აღაპი შოთასა მეპურტულეთუხუცესისა ვინ შეცვალოს, შემცაცვალებულ არს სჯულისაგან ქრისტიანეთასა“².

ბ) ანტონი ალავერდელისა (აღაპი № 54/52):

8 ნოემბერი.

„ამასვე დღესა აღაპი ანტონი ალავერდელისა ვინ შეცვალოს, შემცაცვალებულა წესისაგან და სჯულისა ქრისტიანეთასა“.

ორივე აღაპი ჩაწერილია მთავარ სააღაპე წიგნში ერთდროულად კლასიკური ნუსხური დამწერლობით. ტექსტებიც, როგორც ვხედავთ, იდენტურია. მსგავსება იქამდის მიდის, რომ თვით ადგილმდებარეობაც ამ ორი ტექსტისა ერთნაირია ხელნაწერში, ორივე მიწერილია ერთგვარის განრიგით ხელნაწერის ქვედა არშიებზე: უეჭველია ეს ორი აღაპი ჩაწერილია ერთდროულად ერთი პირის მიერ.

თავდაპირველად აქ აღიძრვის საკითხი, — ვინ იყო ანტონ ალავერდელი, რა ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო იგი შოთასთან? ნუთუ შემთხვევითია, რომ

1 გრიგოლ დანასკერტელისათვის განწესებულ აღაპთა შორის ავტენტური სახით მოღწეულა ზემოთ დასახლებული აღაპები №№ 123/120, 123a/121 და T—32/M23; აღაპისათვის T—70 (= 316/311) ზე-14 საფურცლის დასაწყისში შეუცვლიათ თარიღი, მის ადგილას ჩაწერიათ გიორგი ბრწყინვალის აღაპი T—69, ხოლო მოსახუნებელი კრიგოლ დანასკერტელისა გადაუტრიათ სხვა ახალ თარიღზე: T—62 (იხ. ელ. მეტრეველი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 19). ასევე ახალ თარიღებზეა შემდეგ გადაწერილი გრიგოლის აღაპები №№ 182 და 135.

2 ესევე აღაპი შოთასი განმეორებულია აღაპთა მოკლე ნუსხაში, სადაც იგი იკითხვის შემდგენაირად: „ორშაბათსა სულისა წმიდისა მოსლვისა წარვა და აღაპი შოთასა მეპურტულეთუხუცესისა“ (იხ. ტიშნადორდისელი ხელნაწერი № 71, პარისელი — № 49).

შოთას და ანტონის ხსენება ერთდროულად არის ჩაწერილი მატიანეში პირის მიერ?

როგორც ირკვევა, ეს არ ყოფილა შემთხვევითი.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს მეთაური — მეფენი, დიდნი ხელისუფალნი — ვაზირნი, ერისთავთ-ერისთავნი, საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებში საგანგებო მისიით ჩვეულებრივ გზავნიდნენ სასულიერო პირთ. ამის მაგალითებს ჩვენ ვხედავთ ასევე ჭვარის მონასტრის ისტორიაში, კერძოდ იმ პერიოდის მანძილზე, რომელიც ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს. ასე, როგორც ვნახეთ, ერისთავთ-ერისთავს შერვილ დადიანს იერუსალიმში წარუგზავნია დადიანთა კარის მონასტრის — ხობის წინამძღვარი ეგნატე ხობელი. ცოტნე დადიანის დროს დადიანთა სახლის წარმომადგენლებია იერუსალიმში 1125/30—1250 წლებში გრიგოლ დრანდელი ეპისკოპოსი, 1250/5—1271 წლებში იოვანე მთავარეპისკოპოსი. 1250 წლის ახლო ტაოს ერისთავთ-ერისთავს გრიგოლ ფანასკერტელს იერუსალიმში წარუგზავნია საგანგებო მისიით ანტონი იზხნელ-ყოფილი, რომელსაც მანამდე ეპირა ტაოს მხარის პირველი იერარქის, იზხნის მთავარეპისკოპოსის კათედრა.

შოთა რუსთველი, როგორც დადგენილია, იყო ერისთავთ-ერისთავი ჰერეთის მხარისა; ხოლო ალავერდელი იყო პირველი ეპისკოპოსი (მთავარეპისკოპოსი) ჰერეთ-კახეთის ქვეყნისა. ამიტომ საფიქრებელი ხდება, რომ ანტონი ალავერდელი, რომლის სახელი შოთასთან ერთად ერთდროულად არის ჩაწერილი მატიანეში, იყო შემსრულებელი შოთას საგანგებო მისიისა იერუსალიმში. და ეს მართლაც ასე ყოფილა.

ირკვევა ამასთან ერთად ისიც, რომ თვით მოსახსენებელი შოთასი ჭვარის მატიანეში ჩაწერილია ანტონი ალავერდელის მიერ, მისი ხელით.

მაგრამ ჯერ იმის შესახებ, თუ რა დროს არის ჩაწერილი შოთას მოსახსენებელი მატიანეში.

ჩაწერილია იგი 1245—1250 წლებს შორის. ამას ადასტურებს შემდეგი.

ა) როგორც გამოჩვეული იყო, შოთა რუსთველი, ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა და რუსთავისა, იყო ვაზირად მეჭურჭლეთ-უხუცესად მოხუცების წამს, 1245—1250 წლებში. ხოლო ალაპში შოთა მოიხსენება როგორც მეჭურჭლეთ-უხუცესი. ამავე დროს, იერუსალიმის ფრესკაზედაც იგი წარმოდგენილია როგორც მოხუცი. ასეთი დამთხვევა ყველა ჩვენებათა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შოთას ალაპი მატიანეში ჩაწერილია 1245—1250 წლებს შორის.

ბ) რომ შოთას ალაპი ჩაწერილია მატიანეში არა უგვიანეს 1250 წლისა, ამას აგრეთვე დოკუმენტალურად ადასტურებს შემდეგი.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ალაპები ეგრეთწოდებულ „მოძრავი კალენდარის“ (მთვარის კალენდარის) წრისა, რომლებიც სხვადასხვა წლებში სხვადასხვა თარიღებზე მოდიოდა, თავდაპირველად იწერებოდა ჭვარის მონასტრის მთავარ საალაპე წიგნში, დაწყებული 1204/1210 წლებიდან ვიდრე 1250 წლამდე. შემდეგ უფრო მიზანშეწონილად მიუჩნევიათ, რათა კალენდარის ამ ორი განსხვავებული ციკლისათვის ორი სხვადასხვა წიგნი შემოეღოთ. ამიტომ 1250 წლის ახლო დროიდან „მოძრავი კალენდარის“ ციკლის ალაპებისათვის შემოუღიათ ცალკე სპეციალური ხელნაწერი, რომელშიაც შექმნდათ ამ ჯგუფის ალაპები 1250 წლიდან მოკიდებული, ვიდ-

რე 1305/9 წლებამდე (იხ. ამ საგანზე ზევით, „შნათობი“, № 5, გვ. 171—172) ლო უფრო დაწერილებით ქვემოთ, გვ. 172—177).

შოთას ალაბი „მოძრავი კალენდარის“ ჯგუფს ეკუთვნის (იგი დადებულია „სული-წმიდის მოფენის“ ორშაბათს, რაც მოძრავი კალენდარის ციკლისაა, ე. ი. სხვადასხვა წელს სხვადასხვა თარიღებზე მოდის).

ამრიგად, თუ შოთას ალაბი ეკუთვნის 1250 წლის უწინარეს დროს, იგი შეტანილი უნდა იყვეს ალაბთა მთავარ წიგნში; ხოლო თუ იგი ეკუთვნის 1250 წლის შემდეგ დროს, 1250 წლიდან ვიდრე 1305/9 წლებამდე, იგი შეტანილი უნდა ყოფილიყო არა მთავარ სააღაპე წიგნში, არამედ მეორე საეკლესიო წიგნში. ხოლო შოთას ალაბი შეტანილია მთავარ სააღაპე წიგნში; მაშასადამე იგი 1250 წელზე აღინდელია.



გადავიდეთ ამის შემდეგ საკითხზე ანტონ ალავერდელის შესახებ.

თავდაპირველად ფიქსირება გავუკეთოთ შემდეგ ფაქტს: ანტონ ალავერდელის მოსახსენებელი, როგორც ვნახეთ, შეტანილია სააღაპე წიგნში შოთას მოსახსენებელთან ერთად; **მაშასადამე იგი ეკუთვნის 1245—1250 წლებს.**

ამის შემდეგ ვიკითხოთ, შენახულა თუ არა სხვა ცნობა ანტონის შესახებ, და თუ შენახულა, რა მიმართებაშია ეს ცნობა აქ დადგენილ ფაქტებთან?

ცნობა ანტონის შესახებ შენახულა. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ანტონი სწორედ ამ პერიოდში, მე-13 საუკუნის მეორე მეოთხედში, იერუსალიმში ყოფილა. ჩვენამდე მოღწეულა ანტონის ჩანაწერი იერუსალიმის ჭვარის ხელნაწერში № 21; ეს ჩანაწერი მე-13 საუკუნის მეორე მეოთხედს ეკუთვნის.

გავეცნოთ ჯერ იერუსალიმის ამ ხელნაწერის ისტორიას.



ჩვენ უკვე მოყვანილი გვქონდა ერთი დოკუმენტი მე-13 საუკუნისა, რომელიც გიორგი ჯვარელს ეკუთვნის; იგი მოვეითხრობს იმ აოხრების შესახებ, რომელიც განუცდიათ ქართულ მონასტრებს იერუსალიმში მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე, მას შემდეგ, რაც იერუსალიმი დაიპყრეს მუსულმანებმა. კერძოდ მონასტრების აოხრების დროს მუსულმანებს დაუბრუნებიათ ქართულ მონასტერთა ბიბლიოთეკები და დაუტაცებიათ ხელნაწერები. რადგან ხელნაწერი წიგნი, როგორც აღნიშნული გვქონდა, დიდად ფასობდა, გიორგი ჯვარელის სიტყვით „არ სადა აღნიშნულია ერთისა წიგნისა ფურცელი“.

იერუსალიმის ქართულ მონასტერთა რიცხვს, რომელთაც მდიდარი ბიბლიოთეკები ჰქონდათ, ეკუთვნოდა, როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ქართული მონასტერი კაპათა (რომელსაც აგრეთვე უწოდებდნენ კაპათა და კაპკათა) და რომელიც დაარსებული იყო მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში ბორენა და მარამ-მართა დედოფალთა მიერ. კაპათას მონასტერი მდებარეობდა ჭვარის გვერდით.

იერუსალიმის სხვა ქართულ მონასტრებთან ერთად მე-12—13 საუკუნეთა მიჯნაზე კაპათას მონასტერსაც განუცდია აოხრება და ამ დროს დაუტაცებიათ ხელნაწერები კაპათას ძველი მდიდარი ბიბლიოთეკიდან.

გიორგი ჯვარელის ცნობით, მე-13 საუკუნის მეორე მეოთხედში, 1230/1240-იან წლებში იერუსალიმის ქუჩებში ხშირად იყიდებოდა ქართული წიგნები, დატაცებული ძველი ქართული ბიბლიოთეკებიდან. ასე, გიორგი ჯვარელი მოგვითხრობს, რომ „იერუსალიმის შუკათა შინა“ მას შეხვდა ორი ქართული წიგნი, გატაცებული კაპათას ძველი ბიბლიოთეკიდან; გიორგის მოუნდომებია მათი გამოსყიდვა, მაგრამ მუსულმანი გამყიდველი იმდენად ძვირად აფასებდა წიგნებს, რომ გიორგის დიდი ვაჭრობის შემდეგ ძლიერ მოუხერხებია ერთი

ხელნაწერის შეძენა, ხოლო მეორე ხელნაწერი გამოიდევალს ან დამუშავდა და თან წაუღია. გიორგის, მის მიერ შესყიდული ხელნაწერი, ისევე შეუწარმოეს კაპათის მონასტრისათვის, „რომლისაჲ პირველ ყოფილიყო“ — როგორც ვაღმომგვეცემს გიორგი (იხ. ზევით, „მნათობი“, № 5, გვ. 173—175).

ერთი ასეთი წიგნი, რომელიც გატაცებული ყოფილა იმავე კაპათის მონასტრიდან, გამოუსყიდია იერუსალიმში ანტონის და მის ბოლოს ჩაუწერია ანდერძი წიგნის ტყვეობიდან გამოხსნის შესახებ; ეს ის წიგნია რომელზედაც აქ გვაქვს საუბარი, — ჯვარის მონასტერში დაცული ხელნაწერი № 21.

მოგვეყავს სრული ტექსტი ანტონის მინაწერისა:

„სახელთა ღმრთისაჲთა, და მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისაჲთა, და ძლიერებითა პატიოსნისა ცხოველს-მყოფელისა ჯუარისაჲთა, ესე წიგნი, თარგმანი სახარებისაჲ კაპაპთური, წარტყუჭნული სპარსთაგან, მე ანტონი ფრიად ცოდვილმან ვიკსენ ჩემითა საფასოჲთა, და შეესწირე მუნვე კაპაპთას, სალოცველად სულისა და მშობელთა ჩემთა. აწ, უფალნო, ვინცა სადა მიემთხვენეთ წმიდასა ამას წიგნსა, რაჲთაცა მიზეზითა გამოაჭუსს წმიდასა კაპაპთასა, გან-მცა-კუჭბულ არს სჯულისაგან ქრისტიანეთაჲსა, კანონსა-მცა ქუჭმე არს“.

ვინ არის ეს პირი, რომელი ანტონია იგი?

როგორც ირკვევა ჯვარის აღაპებიდან, მე-13 საუკუნის მეორე მეოთხედში იერუსალიმის ჯვარის ქართულ სავანეში ორი ანტონი მოღვაწეობდა: ანტონი იშხნელ-ყოფილი ტაოს ქვეყნიდან, და ანტონი ალავერდელი კახეთ-ჰერეთის ქვეყნიდან.

ამ მინაწერის ავტორი არ არის ანტონი იშხნელი. ჩვენ ვიცით ანტონ იშხნელის ხელი; როგორც გამორკვეული იყო, ანტონ იშხნელის ხელით არის ჩაწერილი აღაპი გრიგოლ ფანასკერტელისა № 123/120. ხოლო ზემოთმოყვანილ მინაწერს იერუსალიმური ხელნაწერისა № 21 არაფერი აქვს საერთო ანტონ იშხნელის ავტოგრაფთან, ისინი სხვადასხვა სტილის დამწერლობას წარმოადგენენ<sup>1</sup>.

ხოლო თუ ჩვენ შევადარებთ დასახელებულ მინაწერს და ანტონი ალავერდელის ტექსტს აღაპთა წიგნში, დეტალური პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად უდავო ხდება მათი ხელის იგივეობა. მართალია ანტონი ალავერდელის ტექსტი აღაპთა წიგნში ჩაწერილია უფრო წვრილი ასოებით, ვიდრე ანდერძი ჯვარის ხელნაწერისა № 21, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს. აღაპთა წიგნის ტექსტი მიწერილია არშიაზე (აღაპები საერთოდ სვინაქსარის წიგნის არშიებზე იწერებოდა). ხოლო ანტონის ანდერძი იერუსალიმის ხელნაწერისა № 21 ხელნაწერის ტყვეობიდან დახსნის გამო საზეიმო ხასიათს ატარებს, იგი მოთავსებულია ცალკე თავისუფალ გვერდზე; ამიტომაც ასოები ამ საზეიმო ანდერძისა უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე აღაპთა წიგნის არშიაზე მინაწერი ტექსტისა. ხოლო დეტალური პალეოგრაფიული ანალიზი, შედარება როგორც დამწერლობის საერთო სტილისა, ისე ყოველი ცალკეული ასოს მოხაზულობისა, არ სტოვებს ეჭვს. რომ ხელი ერთი და იგივეა.

აქ აღიძვრის აგრეთვე ასეთი საკითხი, თუ რისთვის მოიხსენება ანტონი ჯვარის № 21 ხელნაწერში არა როგორც ალავერდელი, არამედ ტიტულს გარეშე, მარტივად ანტონი.

ეს ცხადია იმით აიხსნება, რომ ანტონი, იერუსალიმში ჩასვლის შემდეგ, დარჩა ჯვარის მო-

<sup>1</sup> ამას გარდა, დასახელებულ მინაწერს, პალეოგრაფიულს ნიშნებით, არაფერი აქვს საერთო იმ მდივან-მწიგნობრის ხელთანაც, რომელსაც ჩაუწერია ანტონ იშხნელისათვის განწესებული აღაპები № 165/163 და № 173/171.

ნანტრში და ალავერდობიდან განთავისუფლდა (რომ 1245—1250 წლებში ანტონიუ ფრანკო-სლავი ურად განთავისუფლებული ალავერდობისაგან, ამის აღსტურებს შიო-მღვიმის სიგელი № 1248 წლისა; ამ სიგელს ამტკიცებს იოანე ალავერდელი, რომელსაც შეუცვლია ანტონი ალავერდელის კათედრაზე)¹.

აღსანიშნავია ამასთან, რომ თვით სხელგანთქმული, დიდად დამსახურებული მოღვაწე ნიკოლოზ გულაბერისძე, კათალიკოზ-ყოფილი, ჯვარის აღაშენებელ მოიხსენება ყოველგვარი ტიტულის გარეშე, უბრალოდ — „ბერი ნიკოლოზ გულაბერისძე“ (აღაბი № 127/125, იხ. ზევით. გვ. 123). ასევე მეორე ანტონი (ტაოს მხარიდან) — ხან მოიხსენება როგორც ანტონი იშხნელ-ყოფილი, ხან ანტონი მოძღვარი, ხან მარტიად ანტონი (იხ. აღაბები № 123/120, 123a/121) ასევე იოვანე შთავარებისკომოსი ოდიშელი ხან მოიხსენება შთავარებისკომოსის ტიტულით (აღაბი № 164/162), ხან როგორც იოვანე მოძღვარი (აღაბი № 207/204).

მაშასადამე ის გარემოება, რომ ჯვარის მონასტრის № 21 ხელნაწერის მინაწერში ანტონი აღარ მოიხსენება როგორც ალავერდელი, ამის მაჩვენებელია, რომ ანტონი იერუსალიმში ჩასვლის შემდეგ განთავისუფლებული ალავერდის კათედრიდან და იერუსალიმში დარჩენილა სამოღვაწეოდ.

ამრიგად ირკვევა, რომ მოსახსენებელი შოთა რუსთველისა და ანტონი ალავერდელისა ჩაწერილია ჯვარის მონასტრის მატრიანეში ანტონის მიერ, რომელიც იერუსალიმში შოთას დავალებათა შემსრულებელი ყოფილა. და რასაკვირველია ამ ჩანაწერს არავითარ შემთხვევაში არ ამჩნევია შოთას ხელი, არამედ იგი, ცხადია, ბერის ჩანაწერია.

აქ საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ შემდეგი. როდესაც ჩვენ ვაღარებთ შოთას და ანტონის აღაბათა ტექსტებს და № 21 ხელნაწერში ჩაწერილს ანტონის ტექსტს, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ ერთგვარი სტილისტური პარალელიზმიც. შეადარეთ:

შოთას აღაბის ტექსტი:

„ამსვე ორშაბათსა აღაბი შოთასსა მეჭურჭლეთ-უზუცესისაა.

ვინ შეცვალოს, შე-მ-ც-ა-ც-ვ-ა-ლ-ე-ბ-უ-ლ-ა-რ-ს-ს-ჯ-უ-ღ-ი-ს-ა-გ-ან-ქ-რ-ი-ს-ტ-ე-ან-ე-თ-ა-ს-ა.“

ანტონის აღაბის ტექსტი:

„ამსვე დღესა აღაბი ანტონი ალავერდელისაა.

ვინ შეცვალოს, შე-მ-ც-ა-ც-ვ-ა-ლ-ე-ბ-უ-ლ-ა-წ-ე-ს-ი-ს-ა-გ-ან-და-ს-ჯ-უ-ღ-ი-ს-ა-გ-ან-ქ-რ-ი-ს-ტ-ე-ან-ე-თ-ა-ს-ა.“

№ 21 ხელნაწერის ტექსტი:

„ვინცა... გამოაკოს წმიდასა კაპაბთისა,

გან-მ-ც-ა-ქ-უ-ე-ბ-უ-ლ-ა-რ-ს-ს-ჯ-უ-ღ-ი-ს-ა-გ-ან-ქ-რ-ი-ს-ტ-ე-ან-ე-თ-ა-ს-ა.“

ამრიგად, აღაბებში იკითხვის: „ვინცა შეცვალოს“; ამას მიჰყვება: „შე-მ-ც-ა-ც-ვ-ა-ლ-ე-ბ-უ-ლ-ა-რ-ს-ს-ჯ-უ-ღ-ი-ს-ა-გ-ან-ქ-რ-ი-ს-ტ-ე-ან-ე-თ-ა-ს-ა.“

ხოლო № 21-ის ტექსტში იკითხავს „ვინცა... გამოაკოს“. ამას მიჰყვება იმავე წყობაზე აგებული: გან-მ-ც-ა-ქ-უ-ე-ბ-უ-ლ-ა-რ-ს-ს-ჯ-უ-ღ-ი-ს-ა-გ-ან-ქ-რ-ი-ს-ტ-ე-ან-ე-თ-ა-ს-ა.

წინადადებები, როგორც ვხედავთ, ერთ თარგზეა აგებული: „შეცვალოს“

→ „შე-მ-ც-ა-ც-ვ-ა-ლ-ე-ბ-უ-ლ-ა-რ-ს-ს-ჯ-უ-ღ-ი-ს-ა-გ-ან-ქ-რ-ი-ს-ტ-ე-ან-ე-თ-ა-ს-ა.“

დასასრულ შენიშვნა იერუსალიმის № 21 ხელნაწერის შემდეგი ბედის შესახებ.

ამ ხელნაწერზე მართლაც აღსრულდა ცნობილი ლათინური ანდაზა: აქვს თავისი ბედისწერა წიგნებსაც.

1274 წელს ჯვარის მონასტერი ცვლავ დაიპირეს მუსულმანებმა და მთავარ

1 იხ. 1248 წლის სიგელის ტექსტი, გამოცემა, თ. გორდანიასი, ქრონიკები 11, გვ. 102.



ტაძარში მეჩეთი გამართეს. მას შემდეგ ჯვარის მონასტერი მუსულმანებად გადასცემისა და 31 წლის მანძილზე, ვიდრე 1305 წლამდე.

1274 წელს, ჯვარის მონასტრის დაქვრის დროს, მუსულმანებმა იეარჯვეს ქართული მშობის ქონება, კერძოდ დაარბიეს ბიბლიოთეკა და დაიტაცეს ხელნაწერები; მათ შორის ტყვეობაში ისევ ჩავარდნილა ზემოთ-მოხსენებული ხელნაწერი № 21.

იგი გამოუხსნია 1274 წელსვე მეფის დავით VII-ის (რუსუდანის ძის) მოძღვარს ილარიონ ოპიზარს, რომელიც ამ დროს იერუსალიმში ყოფილა. წიგნის ახალ წარწერაში 1274 წლისა ილარიონ ოპიზარი შემდეგს გადმოგვცემს:

„ესე წიგნი ჯუარისაჲ, მეფეთ-მეფისა და ვითის ცოდვითა შესანდობელად, მე მისმან მოძღუარმან ოპიზარმან ბერმან ილარიონ დავიკენ სპარსთავან მას ეჲსა, ოდეს ჯუარისა მონასტერი სპარსთა დაეჭირა. აჲ ვინც წაიკითხვიდეთ, მეფეთა მეფისა და ვითის თვის შენდობას იტყოდით“.

თავისთავად ეს უკანასკნელი თარიღი, რომ წიგნის მეორეხელ გამოსყიდვა მომხდარა 1274 წელს, არაა მნიშვნელობას მოკლებული. აქ აღძრული საკითხების გაშუქებისათვის: ეს იძლევა ახალს, დამატებითს საკონტროლო შემოწმებას იმისა, რომ პირველი გამოსყიდვა წიგნისა ანტონის მიერ ამაზე ადრე მომხდარა, —სახელდობრ, როგორც გამოირკვა, — მე-13 საუკუნის მეორე მეოთხედში, 1245—1250 წლებს შორის.

ჩვენ ამგზის ამით დავასრულებთ განხილვას საკითხისას შოთა რუსთველის აღაპის თარიღის შესახებ.

ზოგიერთ დეტალებზე შემდეგ გვექნება საუბარი, როდესაც დავეთავრებთ XIII საუკუნისა და XIV საუკუნის პირველი ნახევრის აღაპთა ზოგად მიმოხილვას.

## II

მოსახლანებადნი, ჩაწარილნი მატანებაში  
1250 წლის აგლო

მოსახლანებელია X ჯგუფი.

ა. ვარდან, აგუტი და გიორგი დადიანი. — ბ-გ. ავგ გომამსხისა და მიქაელ ოღარიანის ოჯახნი.

28—29. ვარდან დადიანი (მსახურთ-უხუცეს ყოფილი) და მისი დედა აგუტი-30. გიორგი ვარდანის ძე დადიანი.

ჯვარის მონასტრის აღაპთა მოკლე ნუსხაში, ძირითადი ტექსტის მეორე ფენაში, შეტანილია აღაპი ვარდან დადიანისა (ტიშენდორფისეული ნუსხა № 30, მარისეული ნუსხა № 22):

„დიდსა ხეთშაბათსა წირვამ და აღაპი საუკუნოჲ ვარდან დადიანისა და დიდსა მისისა აგუტისაჲ...“

ეს არის თამარის ეპოქის მოღვაწე ვარდან კონსტანტინეს ძე დადიანი, რომელიც თამარის მეფობის დასაწყისში იყო ვაზირი მსახურთ-უხუცესი<sup>1</sup>. როგორც ცნობილია, ვარდან დადიანი, გიორგი ბოგოლიუბსკის მიმხრობის გამო, გადაეყ-

<sup>1</sup> იხ. ვაზირთა სია № 22.

აღენიშნავთ ამასთან, რომ მე-13 საუკუნეში ცნობილია აგრეთვე მეორე ვარდან დადიანი (ძმა ბედლიან II დადიანისა, მანდატურთ-უხუცესისა), მაგრამ იგი სხვა პირია; წყაროთა ცნობით ამ უკანასკნელის დედას ერქვა ნათელი (იხ. წარწერა, გამოქვეყნებული თ. ფორდნაის მიერ, ქრონიკები, II, გვ. 130); ხოლო პირველი ვარდანის დედის, როგორც ეს დასტურდება აღაპის ტექსტიდან, აგუტის ერქვა (ამასთან ეს ორი პირი მდგომარეობითაც სხვადასხვაა, მეორე ვარდან არ იყო არც ვაზირი და არც ერისთავთ-ერისთავი).

ნებულ იქმნა ვაზირის თანამდებობიდან 1191 წელს. მაგრამ ეს აკმარეს, <sup>ქვემოთ</sup> დასჯით არ დაუსჯიათ; ბოლოს იგი „შეწყალეს“ კიდევ, აბატივეს დანაშაულებრივად <sup>ქვემოთ</sup> ვარდანი ცოცხალი ყოფილა მე-13 საუკუნის 20-იან წლებში (მას ცოცხალ-თა შორის მოიხსენებს თამარის მეორე ისტორიკოსი, ისტორია-აზმათა მეორე ნაწილის ავტორი, რომლის საისტორიო თხზულება მე-13 საუკუნის 20-იან წლებშია დაწერილი; ისტორიკოსს მოხსენებული ჰყავს ვარდან დადიანი, ბოცო ბოცოსძე და მათნი მიმდგომნი, „რომელნი ჩანან შეწყალებულნი“)<sup>1</sup>.

ზემოთ-მოყვანილი ალაბი, როგორც მოვიხსენეთ, შეტანილია ალაბთა მოკლე ნუსხის ძირითადი ტექსტის მეორე ფენაში; მეორე ფენა, როგორც გამორკვეული გვაქვს, იწყება 1250 წლის ახლო დროიდან, და ამრიგად ეს ალაბი 1250 წელზე ადრინდელი არაა.

ხოლო 1250 წელს ვარდან დადიანი უკვე ცოცხალი არ იქნებოდა; ამჟამად ალაბი განწესებულია ვარდან დადიანის ოჯახის მიერ, ვარდანის გარდაცვალების შემდეგ.

როგორც საისტორიო წყაროებიდან დასტურდება, ვარდან დადიანის ვაჟს ერჭვა გიორგი (ვარდანი, ვარდანის მამა კონსტანტინე და ვარდანის ვაჟი გიორგი მოიხსენებიან ათონის ალაბებში)<sup>2</sup>, როგორც ირკვევა, იერუსალიმის ჯვარის მონასტერში ვარდანის ალაბი მის შვილს გიორგი დადიანს განუწესებია; საქმე ის არის, რომ გიორგი დადიანს ჯვარის მონასტერში თავისთვისაც გაუჩენია ალაბი; იგი შეტანილია მთავარ საალაბე წიგნში (ალაბი № 156/154):

10 იანვარი.

„ამსვე დღესა ალაბი საუკუნოა გიორგი დადიანისაჲ...“

\*

მთავარ საალაბე წიგნში, იმავე ხელით, რომლითაც ჩაწერილია გიორგი დადიანის ზემოთ-მოყვანილი ალაბი, ჩაწერილია აგრეთვე ალაბები:

31. გოშოახსძე ავაგისა (№ 158/156);

32. გოშოახსძის ცოლისა მამქანისა (№ 159/157);

33—34. მიქაელ ოდარაინისა და მისი მეუღლისა ბორენახის (№ 179/177); ამრიგად ეს ალაბებიც 1250 წლის ახლო დროს ეკუთვნის.

### III

#### მოსახსენებელი, საწერილი მატრიანოებში 1250—1274 წლებს შუა.

\*

მოსახსენებელთა XI ჯგუფი. 1250—1260-იან წლები.

ცოტნე დადიანი და მისთან დაახლოებულნი პირნი.

35. ცოტნე დადიანი და დედა ცოტნესი ნათელი (10-ბ).

ჯვარის ალაბების მოკლე ნუსხაში, მეორე ფენაში, შეტანილია ალაბი ცოტნე დადიანისა და მისი დედის ნათელისი (ტიშენდორფისეული ხელნაწერი № 25, მარისეული № 18):

„ლაზარობისა შაბათსა წირვად და ალაბი საუკუნოა ცოტნესი და ნათელისი...“  
ალაბი განწესებულია ცოტნე დადიანის მიერ 1250—1260 წლებს შორის<sup>3</sup>.

1 იხ. თამარის მეორე ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 81.

2 იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი, ალაბებით, გვ. 258, ალაბი № 150.

3 ალაბთა მოკლე ნუსხის (ძირითადი ტექსტის) მეორე ფენა, როგორც გარკვეულია, იხსნება 1250 წლიდან; ხოლო ცოტნე გარდაიცვალა 1260 წელს (იხ. ვაზირთა სია, № 63). ამის მიხედვით ირკვევა ალაბის თარიღის ფარგლები 1250—1260 წლები.

35-ბ. ცოტნე დადიანი, და მეუღლე ცოტნესი ბორენა (36).

ჯვარის ალაბთა წიგნებში ცოტნე დადიანისა და მისი ოჯახის წევრთა სხვა ალაპებიც ყოფილა შეტანილი. მაგრამ ზოგიერთი მათგანი არ მოღწეულა.

ჩვენამდე შენახულა ფრაგმენტი „სულთა მატიანისა“, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, და რომელიც მე-14 საუკუნეში ყოფილა შედგენილი. (იხ. ზემოთ, „მნათობი“, № 5, გვ. 175). „სულთა მატიანე“, როგორც ცნობილია, წარმოადგენს გამონაკრებს ალაბთა წიგნებიდან, მასში შეჭკონდათ მოსახსენებელი იმ პირთა, რომელთათვის ალაპები იყო განწესებული.

„სულთა მატიანის“ ამ ფრაგმენტში ჩვენ გვხვდება მოსახსენებელი ცოტნესი და ბორენასი, რომელიც ასე იკითხვის:

„სულსა ცოტნე დადიანისა,

სულსა ბორენა(ასსა), ღმერთმან შეუნდვენ“.

ბორენა, მეუღლე ცოტნე დადიანისა, როგორც ამის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, არის ცნობილი პოეტი ქალი ბორენა( იხ. „მნათობი“, № 5, გვ. 162—168).

37. იოვანე ჯვარის მამა, ოდიშელი (ბედიელი) მთავარეპისკოპოსი.

10-გ. ნათელ დადიანის მესამე მოსახსენებელი.

38—41. მელანია, მეუღლე შერგილ [ფალქოზისძისა]. — გიორგი ფალქოზისძე, მეუღლე თოვლაძე, ძე მარუშვიანი.

XIII საუკუნის მესამე მეოთხედში იერუსალიმში მოღვაწეობს მთავარეპისკოპოსი ოდიშიდან (საფიქრებელია ბედიელი) იოვანე, რომელიც ჯვარის ქართული სავანის წინამძღვრად ყოფილა 1250/5—1271 წლებში (იხ. წინამძღვართა სია, „მნათობი“, № 5, გვ.178).

იოვანე, ჩანს, ჩასულა იერუსალიმში 1250-ის მომდევნო წლებში, გრიგოლ დრანდელის შემდეგ, რადგან იოვანე არ მონაწილეობს ჯვარის მონასტრის მხატვრობის განახლებაში 1245—1250 წლებში.

იოვანე მთავარეპისკოპოსი ახლო ნათესავი ყოფილა ცოტნე დადიანისა, როგორც საფიქრებელია ერთი ალაპის მიხედვით — ძმა ნათელისა, ცოტნეს დედისა.

იოვანეს მიერ განწესებულია ცხრა ალაპი, აქედან ერთი ჯგუფი ალაბთა ცოტნე დადიანის სახლის წევრთათვის, ხოლო მეორე ჯგუფი ოდიშისა და გურიის დიდებულთა გვარების წარმომადგენელთათვის, რომელნიც დაახლოვებულნი ყოფილან ცოტნე დადიანის სახლთან.

ამ ალაპებიდან სამი ჩაწერილია თვით იოვანეს ხელით.

ალაპებს, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ მდივან-მწიგნობრები წერდნენ მატიანეებში, და ის გარემოება, რომ ეს სამი ალაპი იოვანეს თითონ ჩაუწერია, იმის მაჩვენებელია, რომ ეს პირნი მისნი მახლობელნი იყვნენ.

მოგვეავს ამ ალაბთა ტექსტები.

10. გ. ალაპი, განწესებული ნათელ დადიანისათვის (№ 164/162):

16 იანვარი.

„ამასვე იანვარსა 16-სა ალაპი არს ნათელ დადიანისაჲ. რადენიცა მღვდელი იყოს ჯვარს შინა, ეამსა უწირვიდენ. და ვინცა და რაბათაცა მიზეზითა შეცვალოს, შემცაიცვალვის სჯელისაჲან ქრისტეანთაჲსაჲ. მე იოვანე მთავარეპისკოპოსსან მოვაქსენე ჩემი ათისი თეთრი და მით ვახუჩინე.“

38. ალაპი განწესებული მარუშვიან ფალქოზისძისათვის (ალაპი № 36/34):

17 ოქტომბერი.

„ამასვე დღესა ალაპი არს საუკუნოჲ პანაშვითთა ფალქოზისძისა მარუშვიანე-



სა მ. ჭყარს რაოდენიცა მწირველი იყოს, ეამსა უწირვადეს, და ავიღეთ ათის ზეთის ღარი და ვინცა და რამანცა კაცმან შეეცალოს და არ გარდიჯადოს, შემეცაიცივლების სჯელისაგან ქრისტიანეთასა.”

39. მარუშთან ფალქოზისძის ამ აღაბის შემდეგ, მის გვერდით, მომდევნო დღის თარიღზე (18 ოქტომბერს), ჩაწერილია აღაბი მეღანისი შერგილის დედისა (№ 37/35). მეღანია, როგორც ირკვევა, ფალქოზისძეთა გვარეულობას ეკუთვნოდა, იგი ყოფილა დედა შერგილ ფალქოზისძისა. მოგვეყავს აღაბის ტექსტი (იგი ჩაწერილია პირველ ორ აღაბთან ერთად, სამივე აღაბი არა მარტო ერთი ხელითაა ჩაწერილი, არამედ სტილისტიკურადაც ახლოა ერთმანეთთან):

18 ოქტომბერი.

„ამსვე დღესა აღაბი საუკუნოჲ მეღანია შერგილის დედისაჲ. მოგუცა ათისი ღრამაჲ. რაოდენიცა ჭყარს მწირველი იყოს, ეამსა უწირვიდეს, და ვინცა და რამანცა კაცმან შეეცალოს, შემეცაიცივლების სჯელისაგან ქრისტიანეთასა“.

ზემოთ მოყვანილ აღაბებში ყურადღებას იქცევს შემდეგი. ფალქოზისძეებს, აღაბთა განწესებისათვის, გაუღიათ მონასტრისათვის დაწესებული საფასური, მეღანისა — ათასი თეთრი (ღრამა), მარუშთან ფალქოზისძეს — ათასხუთასი თეთრი. ხოლო ნათელი აღაბის განწესებისათვის საფასური გაუღია თვით იოვანეს; იგი წერს: „მე იოვანე მთავარებისკოპოსმან მოვახსენე ჩემი ათასი თეთრი და მით განუჩინე“.

დადიანთა სახლს, აღაბის განწესებისათვის, ცხადია, გარეშეთა დახმარება არ სჭირდებოდა. ამჟამად, იოვანე მთავარებისკოპოსი უახლოესი ნათესავია ცოტნეს დედის ნათელისა, ან მამა მისი, ან ძმა. რადგან ნათელი, დედა ცოტნესი, 1250/5 წლებში ღრმად მოხუცებული იქნებოდა, 70—80 წლამდე მიწვენილი, ნათელი, ცხადია, არაა შვილი იოვანესი, არამედ უფროსი დაი. ეს აღაბი იოვანეს, ჩანს, განუწესებია 1250/60 წლებში, როდესაც მას იერუსალიმში მიუღია ცნობა ნათელის გარდაცვალების შესახებ.

გარდა ზემოთ-განხილული სამი აღაბისა, რომლებიც მთავარ მატრიანში თვით იოვანეს ხელით არის ჩაწერილი, ჭვარის აღაბთა მოკლე ნუსხაში, მეორე ფენაში (რომელიც 1250 წლის შემდეგ არის გახსნილი), მოიპოვება სამი აღაბი იმავე ფალქოზისძის ოჯახის წევრთა; მოგვეყავს ისინი:

38-ბ. „მესამესა შაბათსა წმიდათა მარტავთასა წირვად და აღაბი საუკუნოჲ გიორგისა შეიღოსა მარუშთანისა ფალქოზისძისა...“ (T—17/M—12).

მარუშთანის გიორგის შვილი ფალქოზისძე იგივე პირია, რომლისთვისაც განწესებულია ზემოთ-მოყვანილი აღაბი № 36/34.

შემდეგი ორი აღაბი მარუშთანის დედ-მამისათვის არის განწესებული:

40. „შეოთხესა კვირაცესა შობითგან ბრძინასა წირვად და აღაბი საუკუნოჲ ფალქოზისძისა გიორგისა...“ (T—54/M—40).

! შერგილ ფალქოზისძე მოიხსენება აღაბში № 85/82. შერგილს შვილის შალვასათვის განწესებით აღაბი მე-14 საუკუნის დასაწყისში (იხ. ჰვემოთ, გვ. 159).

ფალქოზისძეთა გვარეულობა, როგორც ირკვევა, ნათესაურ კავშირში იყო დადიანთა სახლთან. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ფალქოზისძეთა გვარში მიღებულია, ცხადია დანათესავების გზით, დადიანთა ძველი საგვარეულო სახელი მარუშთან (დადიანნი გვარად იყვნენ მარუშთანნი, იგივე მარუშისძენი; ამავე დროს, „მარუშთან“ სახელადაც იხმარებოდა). აგრეთვე დადიანთაგან უნდა იყვეს შეთვისებული ფალქოზისძეთა გვარში სახელი შერგილი (ცოტნეს მამის სახელი).

41. „მეორე ორშაბათსა ზატყთასა პანაშვიდი თოვლაჲსი, გიორგი გეგუაძისა მისა მეუღლისაჲ...“ (T—44/M—31).

ვინაიდან მოკლე ნუსხა, ტიშენდორფისეული ხელნაწერი — პირს წარმოადგენს, გადმოწერილს პირველდენიდან (ხოლო მარისეული ხელნაწერი ტიშენდორფისეული პირიდან არის გადმოღებული), ამის გამო გაურკვეველია, ვისი ხელით იყო ეს აღაპები ჩაწერილი პირველ დედანში; მაგრამ ცხადია ისინი ერთდროულია ზემოთ განხილული სამი აღაპისა, იოვანეს ხელით რომ არის ჩაწერილი მთავარ სააღაპე წიგნში.

35-გ. ცოტნე დადიანის მესამე მოსახსენებელი (გარდაცვალების გამო განწესებული).

42. მარიამ-ყოფილი მაკრინე, ვარდანისძე-გურიელისა ასული.

ქვემოთ განხილული სამი მოსახსენებელი (ერთი ცოტნესი, ორი მარიამ-ყოფილი მაკრინესი), განწესებული იოანეს წინამძღვრობის დროს, ეკუთვნის 1260 წლის ახლო დროს.

35-გ. ცოტნე დადიანის გარდაცვალების გამო განწესებული აღაპი.

მოგვეყავს მისი ტექსტი (აღაპი № 247/243):

12 ივნისი.

„ამსვე დღესა აღაპი მანდატურთ-უხუცესისა და ერისთავთ-ერისთავისა ცოტნე დადიანისა. მოაქსენა პატიოსნისა ჭუარისა მონასტერსა გურიელისა ასულმან მარიამ ყოფილმან მაკრინე[ვ] ათასი თეთრი, შეუნდგნეს ღმერთმან...“

ცოტნე დადიანი (1200—1260) იყო ერისთავთ-ერისთავი ოდიშისა 1225/30—1260 წლებში; 1242—1248 წლებში იყო ლიხთ-იმერეთის დასავლეთი სადროშოს მხედართმთავარი („ღუმნის თავი“); 1259—1260 წლებში ვაზირი მანდატურთ-უხუცესი. გარდაიცვალა ცოტნე 1260 წელს (1260 წლიდან ოდიშის ერისთავთ-ერისთავი და ვაზირი მანდატურთ-უხუცესი არის ბედიანი II ჭუანშერისძე. იხ. ვაზირთა სიაში — ცოტნე № 63, ბედიანი № 64).

შეწირულება ცოტნე დადიანისათვის აღაპის განსაწესებლად ჩაუტანია საქართველოდან იერუსალიმში ვარდანისძე-გურიელის ასულს მარიამ-ყოფილ მაკრინეს, რომელიც მონაზონად ყოფილა შემდგარი.

მარიამ-ყოფილი მაკრინე, ვარდანისძე-გურიელის ასული ამას გარდა ორგზის მოიხსენება ჭუარის სამონასტრო მატიაწებში:

აღაპი № 207/204:

25 მარტი.

„ამსვე დღესა დიდებულსა ზარბაზსა გუჩანეთ ზეუნ ამა პატიოსნისა ჭუარისა მონასტრისა მამამან იოვანე მოძღვარმან და სრულიად ერთსულებით კრებულმან თქვენ ვარდანისძისა დასა და ასულსა მარიამ ყოფილსა [მაკრინეს]...“ (ხოლო აქლია).

მოსახსენებელი № 249/245:

12 ივნისი.

„ამვე გურიელისა ასულმან მარიამ ყოფილმან მაკრინე მოაქსენა[ვ] პატიოსნისა ჭუარისა მონასტერსა ორი ათასი თეთრი...“

ეს მეორე მოსახსენებელი (№ 249/245) უშუალოდ მისდევს ცოტნე დადიანის გარდაცვალების გამო განწესებულ აღაპს (№ 247/243). ჩაწერილია იგი იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია ცოტნეს დასახელებული აღაპი.

რაც შეეხება პირველ მოსახსენებელს (აღაბი № 207/204) მისი ხელი ოდნავ განქრულია, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ისიც იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ იყოს შესრულებული, მხოლოდ სხვა დროს (№ 207/204, რომელიც აღაბის პირველ განწესებას წარმოადგენს, უფრო ადრინდელია, ვიდრე № 249/245).

**37. იოვანე, ჭვარის მამა, და მისი ძმა ნიკოდიმე.**

იმავე „სულთა მატინის“ ფრაგმენტში, რომელშიაც ჩაწერილია მოსახსენებელი ცოტნესი და ბორენაძის, ჩაწერილია შემდეგი მოსახსენებელი:

„სულა ჭუარისა მამისა იოვანე და მისისა ძმისა ნიკოდიმესა [შუნდვენ ღმერთ-მან]...“

ჭვარის მამა იოვანე არის ზემო-მოსხსენებული წინამძღვარი ჭვარის ქართული საეპისკოპოსოსის 1250/5—1271 წლებში.

**მოსახსენებელია XII გვ. 1250—1274 წლები.**

**43. მეფე დავით VII (ლაშას ძე).**

**44. მეფე დავით VI (რუსუდანის ძე).**

**45. ვაზირი შაპანშა მხარგრძელი.**

მთიი მოსახსენებელი შეტანილია აღაბთა „მოძრავი კალენდარის“ მოკლე ნუსხაში, სახელდობრ მოკლე ნუსხის ძირითადი ტექსტის მეორე ფენაში, რომელიც 1250 წლის მომდევნო დროს ეკუთვნის. მოკლე ნუსხაში აღაბები ასე იკითხვის:

**43. დავით VII-ისა (აღაბი T—12/M—8):**

„შაბათსა თევდორობისასა აღაბი დავით მეფისა...“

თევდორობის შაბათს აღაბს განაწესებდნენ გარდაცვლილათვის. დავით VII გარდაიცვალა 1270 წელს; აღაბი ამ წლის ახლო ხანებში უნდა განწესებულიყო.

**44. აღაბი დავით VI-ისა (T—16/M—12):**

„მეორე კვირისასა — მარხვათასა წარვა და აღაბი საუქნომ დავით მეფისა... რუსუდანის შვილისა...“

აღაბი ჩანს განწესებულია 1270-იან წლებში. ამ დროს იერუსალიმში იმყოფებოდა დავით VI-ის მოძღვარი ილარიონ ოპიზარი, როგორც ჩანს დავით VII-ის საგანგებო დავალებებით. ილარიონი მოწამე გამხდარა ჭვარის მონასტრის მუსულმანთა მიერ დაჭერისა 1274 წელს. ამ დროს ილარიონს ტყვეობიდან გამოუხსნია რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც მუსულმანებს დაუტაცნიათ ჭვარის მონასტრის დაჭერის დროს. ამის შესახებ დაცულია ცნობები ჭვარის ხელნაწერთა ანდერძებში.

ანდერძში ჭვარის მონასტრის ხელნაწერისა № 16, რომელიც ილარიონს ტყვეობიდან დაუხსნია, ვკითხულობთ:

„ესე წიგნი ჭუარისაჲ, პატრონისა დავით მეფისა სალოცავად, მისმან მოძღვარმან ილარიონ დავიქსენ სპარსთაგან. მას ეამსა, ოდეს ჭუარი სპარსთა დაიჭირეს. და ვინცა რაბათაცა მიზეზითა ჭუარისა სახლსა გამოავოს, კრულმცა არის აქაცა და საუკუნესაცა.“

**ანდერძში მეორე ხელნაწერისა № 21, ილარიონი გადმოგვცემს:**

„ესე წიგნი ჭუარისაჲ მეფეთ-მეფისა დავითის ცოდვათა შესანდობლად, მე მისმან მოძღვარმან ბერმან ილარიონ დავიქსენ სპარსთაგან მას ეამსა, ოდეს ჭუარისა მონასტერი სპარსთა“

დაეპირა, აწ ვინც წაიკითხვიდეთ, მე ფეთა და ვითის თქონს შენდობას იტყოდით“.

ამ ანდერძის შესახებ, რომელიც დართული აქვს ზელნაწერს № 21, უკვე გვქონდა საუბარი (გვ. 136—138). ზელნაწერს ორგზის განუცდია ტყვეობა: პირველად იგი გამოუხსნია ანტონი ალავერდელს (1240-იან წლებში), ხოლო მეორედ ილარიონ ოპიზარს (1274 წელს).

#### 45. ალაპი ვაზირის შაპანშა მხარგრძელისა (T—29/M—21):

„კრიაკესა ბაიაობისასა წირვამ და ალაპი საუკუნომ შაპანშაჲსი.“

შაპანშა (შანშე) მხარგრძელი იყო ვაზირი მანდატურთ-უხუცესი ჯერ რუსუდანის, ხოლო შემდეგ დავით VII-ის კარისა 1225—1261 წლებში. რამდენადაც ალაპი ჩაწერილია ძირითადი ტექსტის მეორე ფენაში, იგი განწესებული ყოფილა 1250 წლის შემდეგ, 1250-იან—1260-იან წლებში.

#### მონახუნებელია XIII ჯგუფი. 1250—1274 წლები

##### 46. კვირიკე მარკოზეთი.

##### 47. გრიგოლ მშვიდი.

46. ჯვარის მთავარ მატეანეში შეტანილია ალაპი (№ 57/55) კვირიკე მარკოზეთისა (მარკოზეთი — გვარია):

10 ნომბერი.

„ამსვე დღესა 10-სა წმიდისა გიორგის დღესასწაულსა ალაპი სრული... მარკოზეთი კვირიკესთვს, ვარდაიქდებოდეს საუკუნო მიუტუნისამდე, სახლი ალაშენა, წაეგო ხუთასი დრამამ, მერმე აქაის საშენებლად მოგუცა ორმოცდაათი დრამკანა“.

აქაიას ადგილი შემოსწორა ჯვარის მონასტერს გრიგოლ ფანასკერტელმა 1250 წლის ახლო; მას შემდეგ, იმავე გრიგოლ ფანასკერტელის შემოწირული თანხით, მონასტერმა იყიდა „აქაიას მამული ოცდართხ ათასად“ (იხ. ზემოთ, გვ. 132).

ხოლო მარკოზეთი კვირიკეს მშენებლობა უწარმოებია აქაიას მამულში, მაშასადამე 1250 წლის შემდეგ. ხოლო ეს მშენებლობა კვირიკეს უწარმოებია არა უგვიანეს 1274 წლისა, რადგან 1274 წელს ჯვარი დაიჭირეს მუსულმანებმა და მომდევნო პერიოდში, 1274 წლიდან — 1305 წლამდე ჯვარის მონასტერში მშენებლობა აღარ წარმოებდა, მონასტრის ძმობა შეეწროებული მკვიდრობდა ჯვარის მეტოქეში.

47. გრიგოლ მშვიდაის ალაპი (№ 13/12) შეტანილია მთავარ მატეანეში იმავე ხელით, რომლითაც ჩაწერილია კვირიკე მარკოზეთის ალაპი. ამრიგად, ესეც 1250—1274 წლებს ეკუთვნის.

#### მონახუნებელია XIV ჯგუფი. 1250—1274 წლები.

ჯვარის „მოძრავი კალენდარის“ მოკლე ნუსხაში, ძირითადი ნაწილის მეორე ფენაში, შეტანილია მთელი რიგი ალაპები, რომელთა დათარიღება ზუსტად ხერხდება და რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

ესენია, როგორც გამოირკვა, შემდეგი ალაპები: 28—29. ვარდან დადიანისა და მისი დედისა აფუტისი. — 25. გრიგოლ ფანასკერტელისა T—32/M—23.—35. ცოტნე დადიანისა და ნათელისა (10-ბ). — 39, 40, 41. გიორგი, თოვლა და მარტოშან ფალქოზისძეთა. — 43. მეფე დავით VII-ისა (ლავის ძისა). — 44. მეფე დავით VI-ისა (რუსუდანის ძისა). — 45. შაპანშა მხარგრძელისა.

ხოლო ამთ გარდა იმავე მეორე ფენაში შეტანილია 24 ალაპი, რომლებშიც დასახელებულნი პირნი სხვა წყაროებით ცნობილნი არ არიან.



ეს ალაბები, რამდენადაც ისინი ძირითადი ტექსტის მეორე ფენას ეკუთვნის, შეტანილია მატიაწებში არა უადრეს 1250 წლისა და არა უგვიანეს 1305 წლისა, ანუ, უფრო ზუსტად, არა უგვიანეს 1274 წლისა.

მატიანეთა ტექსტების შესწავლიდან შემდეგი ირკვევა. 1274 წლიდან ვიდრე 1305 წლამდე, რა ხნის მანძილზე ყვარის შთავარ ტაძარში მეჩეთი იყო მოწყობილი და ყვარის ძობა მეტოქეში იმყოფებოდა, ყვარის თემსა ლეზღობაში შეწირულებას სიჭრათველოდან, მაგრამ ალაბთა განწესება და მათი მატიაწეში შეტანა არ წარმოებდა, რადგან მონასტრის არ ჰქონდა შესაძლებლობა ალაბთა გადახდისა. ალაბთა განწესება იმ პირთათვის, რომელნიც დახმარებას უწევდნენ მონასტრის 1274—1305 წლებს მანძილზე, მოხდა 1305 წლის შემდეგ. ამით აიხსნება, რომ არც შთავარ სალაბე წიგნში, და არც სხვა სამონასტრო მატიაწებში არ მოიპოვება ალაბები, რომლებიც განწესებული ყოფილიყოს 1274—1305 წლებს შორის (ალაბი თვით ლუკასი, ყვარის წინამძღვრისა, რომელიც აწაუხს მუსულმანებმა მონასტრისათვის 1274 წელს, განწესებულ იქნა 1305 წლის შემდეგ. ამის შესახებ იხ. ჭვემოთ, გვ. 153).

დასახელებული 24 ალაბი, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, ეკუთვნის ძირითადი ტექსტის მეორე ფენას და რომელიც განწესებული ყოფილა 1250—1274 წლებს შორის, განწესებულია შემდეგ პირთათვის:

48. ცოტნე აფაქისძე (ალაბი № 47/34)¹.
49. ტაიბულა აფაქისძე (ალაბი № 59/42).
- 50—51. ჩარქაზ აფაქისძე და ბედიანის ასული ნათელი (ალაბი № 73/51).
52. ხადირ გოშოძისძე (ალაბი № 34/24).
53. ივანე გოშოძისძე (ალაბი № 35/25).
54. ბეშქენ შვეციძისძე შოლარეთ-უხუცესი (ალაბი № 10/7).
55. ჯავახ ჭილაძისძე (ალაბი № 22/15).
56. ცოტნე ჭველიძისძე (ალაბი № 5/3).
57. ხადირ ჭველიძისძე (ალაბი № 7/4).
58. შალვა ქუაბულისძე (ალაბი № 49/36).
59. ნათელი ქუაბულისძის ასული (ალაბი № 46/33).
60. ხადირ გარეყანისძე (ალაბი № 9/6).
61. არხლან აფრიდონისძე (ალაბი № 14/9).
62. დუღაი დაღატიძისძე (ალაბი № 15/16).
- 63—64. ვარდან გაწისძე და მისი შვილები თაბაი (ალაბი № 18/13).
65. გიორგი ჭავჭავაძისძე (ალაბი № 20/14).
66. ივანე ღვინაძისძე (ალაბი № 24/17).
- 67—68. ფსიტაი და მისი შვილები ნათელი (ალაბი № 40/27).
69. ზუაშაი ქაიურთა (ალაბი № 43/30).
70. იობ, ბეთლემეაზა ბიძაი (ალაბი № 48/35ა).
71. მარტუშაი ნორაძისძე (ალაბი № 52/38).
72. ბუცი ყოფილი ზოსიმე (ალაბი № 53/35).
73. ჭველი კუჭეციძისძე (ალაბი № 60/43).
74. ივანე მახუჯავაძისძე (ალაბი № 61/44).
75. მასილი ბუღელუხისძე (ალაბი № 66/47).

ნათელის შესახებ, რომელიც აფაქისძეთა ოჯახის წევრი ყოფილა (მისი ალაბი განწესებულია ჩარქაზ აფაქისძისთან ერთად, 50—51), საჭიროა შემდეგი აღნიშვნის. ნათელი მოიხსენება მამის შვილობით (ცხადია, მამის მაღალი მდგომარეობის გამო), როგორც ასული ბედიანისა. ბედიანი, როგორც ცნობილია, საგვარეულო სახელია დადიანთა. ნათელი, ჩანს, არის ასული ბედიანის დადიანისა, რომელიც იყო ვაზირი მანდატურთ-უხუცესის XIII საუკუნის მეორე ნახევარში, მან შესცვალა 1260 წლიდან მანდატურთ-უხუცესის პოსტზე ცოტნე დადიანი (ამ გაიგივებას იხილეთ ვინაშეა, რომ ბედიანის დედას ნათელი ერქვა; ბედიანის ასულზე გადასულა დიდდის სახელი). აფაქისძენი ოდნისი ფეოდალური გვარეულობა იყო და ისინი დანათესავებულნი ყოფილან დადიანთა სახლთან.

1 ალაბთა ჭვემოთმოყვანილ ოჯახზე ნუმერაციაში პირველი რიცხვი აღნიშნავს ნომერს ტენდორატისეული ხელნაწერისა, მეორე — ნომერს მარსეული ხელნაწერისა.

## IV

## მოსახლენებელი, ჩაწერილი უპარის მატრიკული

XIII საუკუნეში, 1274 წლამდე

(გეროდებად გაუნაწილებელი)

\*  
მოსახლენებელი XV საუკუნეში.

ქვემოთ ჩამოთვლილი 16 ალაბი, ჩაწერილი მთავარ საალაბე წიგნში, ხელის, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XIII საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს. ჩაწერილია ისინი მე-13 საუკუნის მანძილზე, ვიდრე 1274 წლამდე, როდესაც უპარის სავანის მუსულმანთა მიერ დაჭერის გამო შეწყდა ალაბთა ჩაწერა მატრიკულში.

განწესებულია ეს ალაბები შემდეგ პირთათვის.

## a

76. იჩქით გურგენის ძე (ალაბი № 78/76).

იჩქით გურგენისძე მოიხსენება ჭავჭავთის წუნდის ეკლესიის წარწერაში.<sup>1</sup> იგი წუნდის კანტონის მფლობელი ყოფილა.

## b

77. ანტონ ბედელაძისძე (ალაბი № 167/165).

78—79. თომამ და ძმამ მისი მოხე (ალაბი № 267/263).

ეს ორი ალაბი ჩაწერილია ერთი და იმავე ხელით, კლასიკური დამწერლობით.

## c

80. გიორგი დევდარიანი (ალაბი № 157/155).

81. მარკოზ ჭუარელი (ალაბი № 218/216).

82. მიქაელ ხუნთაიანისა მეუღლე აგურანდი (ალაბი № 184/182).

83—84. მიქაელ ხუნთაიანი და ძე ხარგისი (ალაბი № 175/173).

პირველი სამი ალაბი ჩაწერილია ერთი მდივან-მწიგნობრის მიერ. მეოთხე ჩაწერილია სხვა ხელით.

## d

85. ფურთუხ (I), გარეყანის ძმა (ალაბი № 236/233).

86. მეღანია, მეუღლე მარუშიანისა, გარეყანის ძისა (ალაბი № 268/264).

ჩაწერილია ერთი მდივან-მწიგნობრის მიერ.

## e

87. ლიპარიტ გიშელი (ალაბი № 39/37).

88. რუსუდან, კონსტანტინეს დედა (ალაბი № 40/38).

89. იოზ, შოშილელი დეკანოზი (ალაბი № 86/83).

90. მარიამ, სარგისის დედა (ალაბი № 293/286).

ჩაწერილია ერთი მდივან-მწიგნობრის მიერ.

## f, g, h

91. ვარდან ფავნელი (ალაბი № 31/30).

92. ფილიპე ჭუარელი (ალაბი № 35/33).

<sup>1</sup> ი. ვ. ცისკარიშვილი, ჭავჭავთის ეპიგრაფიკა, გვ. 46—49.

93. ივანე ჯავახიანი (ალაბი № 64/62).

ჩაწერილია XIII საუკუნის სხედასხვა ხელით.

ჩვენ დავამთავრეთ მიმოხილვა მოსახსენებელთა, რომლებიც შეტანილია ჯვარის მატრიანებში XIII საუკუნის მანძილზე, ვიდრე 1274 წლამდე.

V

**ჯვარის ქართული საგანის პირველი ბუნება**  
 1274—1305 წლებში.

ჯვარის ქართული საგანის პირველი ტყვეობა, როგორც აღენიშნეთ, მოხდა XII საუკუნის დასასრულს, იგი გაგრძელდა 1187—1200 წლები.

მეორე ტყვეობა მოხდა XIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნის დასაწყისში; იგი უფრო ხანგრძლივი იყო, გაგრძელდა 31 წელი, 1274—1305 წლები.

ამ მეორე ტყვეობის შესახებ გადმოგვცემენ ცნობებს როგორც ქართული წყაროები, — აღწერა ლუკას მარტილოზისა, ცნობები ჯვარის სამონასტრო მატრიანეთა, — ისე არაბი ავტორები XIV—XV საუკუნეთა: ელომარი (გარდაიცვალა 1348 წელს), იბნ-კესირი, ელკალკაშანდი, მაკრიზი, ელანი, მუჯირედინი (წერდა 1496 წელს)<sup>1</sup>.

ქართული წყაროსი — ლუკა მარტილოზისა და არაბული წყაროების შეჯერებიდან ირკვევა, რომ ჯვარი დაიჭირა შეიხ ხიდარმა ეგვიპტის სულტანის ბეიბარსი ბუნდუქდარის მეფობის დროს 1260—1277 წლებს შორის.

ჯვარის სამონასტრო მატრიანის ერთი ცნობა იძლევა შესაძლებლობას ეს თარიღი უფრო დაზუსტდეს, — ჯვარი დაუჭერიათ მუსულმანებს 1274 წელს (იხ. ამ საგანზე დაწერილებით ქვემოთ, გვ. 150—152).

ჯვარის დაჭერის დროს მუსულმანებმა აწამეს ჯვარის წინამძღვარი ლუკა მუხაას ძე აბაშიძე.

საგანიდან გამდებულ ქართველ ძმობას არ მისცეს ნება გაეტანათ ჯვარიდან რაიმე ქონება, არც სამონასტრო, არც პირადი<sup>2</sup>.

მხოლოდ ნაწილი წიგნებისა მოუსწრიათ გაეტანათ მონასტრიდან (ანდა გადაემაღათ), ხოლო ნაწილი ბიბლიოთეკისა, რომელიც ხელში ჩაეარდნია მუსულმანებს, გაჩანაგებულა; ამის შემდეგ ისევ დაწყებულა დატაცებული ქართული წიგნებით ვაჭრობა იერუსალიმის ქუჩებში. ჩვენამდე მოღწეულა ხელნაწერები, რომელთაც აქვთ წარწერა, რომ ხელნაწერი „დაიხსნეს“ და „იყიდეს“, ოდეს მუსულმანთა „ჭური დაიჭირეს“ (ორი ასეთი წარწერა ჩვენ ზემოთ გვქონდა მოყვანილი, იხ. გვ. 138, 143—144).

ჯვარის საგანის დაჭერის შემდეგ მუსულმანებმა მთავარ ტაძარში გამართეს მეჩეთი.

ჯვარის ქართველ ძმობას არ დაუტოვებია იერუსალიმი და დამკვიდრებულა იერუსალიმის ჯვარის მეტოქში.

ჯვარის ქართული საგანე, 31-წლოვანი ტყვეობის შემდეგ, საქართველოს

<sup>1</sup> იხ. В. Тизенгаузен, Заметка Эпикальашанди о грузинах, Записки Вост. Отд. Русского Арх. Общ., вып. I, гв. 208—216. ალ. ცაგარელი, Памятники грузинской старины, гв. 95—97. დ. ვიფშიძე, Жизнь Прохора, муч. Луки и муч. Николая Двали, Известия Кавк. ист.-арх. института, II, 1927, гв. 42—48, 60—62.

<sup>2</sup> ლუკას მარტილოზაში მოთხრობილია, რომ შეიხი ხიდარი „მიუღდა ძმთა ჩუენთა ქართველთა და არა რაჲ შეაჩინა არცა მონასტრით, და არცა თჳსად, რაჲცა თჳსაგან ჰქონდა, და ვეგითი გაძრკულნი გამოასხნა“ (იხ. მარტილოზა, გვ. 61).

მთავრობის მოლაპარაკების შედეგად ეგვიპტის სულტანთან, ისევ დაიბრუნეს ქართველებმა 1305 წელს. მთავარი ღვაწლი ჯვარის მონასტრის გამოსწნაში და განთავისუფლებული ჯვარის მონასტრის განახლებაში მიუძღვის დიმიტრი თავდადებულის შვილს საქართველოს მეფეს დაეით VIII-ეს (1293—1312 წ.).

## VI

მოსახსენებელი, ჩაწერილი ჯვარის მახანაძეში  
პირველ პერიოდში ჯვარის განთავისუფლების შემდეგ  
1305—1314 წლებში

## მოსახსენებელი XVI ჯგუფი.

## 94. არიშიანი ვარდანისძე.

ალაბი, განწესებული არიშიანი ვარდანის ძისათვის (№ 145/143) გადმოგვცემს:

## I იანვარი.

„ქ. ამასვე ღღესა ალაბი სენათ ერისთვსა ვარდანისძისა მსახურთ-  
უხცესისა არიშიანისა. მოგუცა ათას ხუთასი თეთრი მას ეამსა, ოღეს ჯვარისა მონასტერი სპარსთა დამპირელი ქონდა და მამა მეტოქს შიგან ვიყვენით, დიდსა დაჭირებასა შინა ვიყვენით. დიდად ნუგეშინის გუცა...“

არიშიანი ვარდანისძე, სენათ-ერისთავი/გურიელი, ვაზირი მსახურთ-უხუცესი, იხილეთ ვაზირთა სიაში (67-ე).

არიშიანი ვარდანისძეს დახმარება გაუწევია ჯვარის ძმობისათვის მონასტრის „ტყვეობის“ დროს, 1274—1305 წლებს შორის.

ხოლო ალაბი განუწესებიათ არიშიანისათვის და შეუტანიათ მატთანში 1305 წლის შემდეგ, წარსულში გაწეული ღვაწლისათვის (რომ ალაბი განწესებულია 1305 წლის შემდეგ, როდესაც მონასტერი ტყვეობიდან განთავისუფლდა, ეს დასტურდება მოსახსენებლის ტექსტიდან; მონასტრის ტყვეობის შესახებ აქ წარსულ დროშია საუბარი).

## მოსახსენებელი XVII ჯგუფი.

## 95. მეფე დაეით VIII

ალაბი, განწესებული მეფის დაეით VIII-სათვის (№ 295/288), გადმოგვცემს:

## 15 ავგისტი.

„ამასვე ღღესა წირვად და ალაბი საუკუნოდ დაეით მეფეთა-მეფისა და მეორედ აღმანებელისაა წმიდისა მონასტრისა, რომელმან სარკინოთაგან წარტყმნილი მონასტერი და ეკლესია მიხვითად შეცვალბული ვაღუსთადვე სალოცვლად შეცვალა და ეუბლად აგო ნათესავსა ქართველთა, რომლისა საუკუნოდ არს სცხენებელი, და ვინცა არ გარდაიქლიდეს, საშველი მიჰყადნ ღმერთმან საუკუნოდ.“

დაეით VIII-ის ღვაწლის შესახებ ჯვარის მონასტრის გამოხსნისა და განახლების („მეორედ აღმენების“) საქმეში ჩვენ საუბარი გვექნება აგრეთვე შესამე ნარკვევში, როდესაც შევეხებით ჯვარის მონასტრის მხატვრობის ისტორიას.

ამავე მდივან-შვიგნობარს, რომელსაც ჩაუწერია მატთანში დაეით VIII-ის შემოთ-მოყვანილი ალაბი, ჩაუწერია აგრეთვე ცხრა მოსახსენებელი, განწესებული შემდეგ პირთათვის:

თეგლას  
ქართული  
საქართველო

96. სარგის ჭაყელი ათაბაგი (ალაბი № 243/244); განწესებულია მისი მეუღლის თეგლას მიერ).
- 96-ბ. სარგის ჭაყელი ათაბაგი (მეორე ალაბი, № 246/242), აგრეთვე განწესებულია მისი მეუღლის თეგლას მიერ); 97. ბექა მანდატურთ-უხუცესი (ალაბი № 246-ბ/242); ვაგრძელდა ზემოთ-დასახლებული ალაბისა № 246/242).
98. შაჰნაზიკი შვილი არდაშერი (ალაბი № 240/236).
99. დავით მანაწკერტელი (ალაბი № 298/291).
100. ბეშქენ ვილაძისძე (ალაბი № 113/110).
- 101—103. ჭოდღანი ინახარისძე, მისი შვილი ხადირ, და დედა თეკლა (ალაბი № 175/174),
104. შიქაველ ქუაბისჭყარელი (ალაბი № 174/172);
105. შიქაველ ჭყარელი მოწაწონი (ალაბი № 160/158);
106. ათანახე ჭყარელი მოძღვარი (ალაბი № 169/167).

ამრიგად, ყველა ეს ალაბი შეტანილია მატიანეში 1305—1314 წლებს შორის.

დასახლებულ ბირთა შესახებ საჭიროა შემდეგი აღნიშნოთ.

96—97. სარგის I ჭაყელი-ციხისჯვარელი საქართველოს სახელმწიფოს ვაზირად ათაბაგად იყო 1281—1284 წლებში; გარდაიცვალა 1284 წელს (იხ. ვაზირთა სიაში 52-ე). ბექა I, კანონმდებელი, ძე სარგის I ათაბაგისა, საქართველოს სახელმწიფო ვაზირად მანდატურთ-უხუცესად იყო 1302—1309 წლებში; გარდაიცვალა 1309 წელს (იხ. ვაზირთა სიაში 53-ე). ორივე ბირთა ალაბი ჩაწერილია ერთდროულად, 1305 წლის შემდეგ (1305—1309 წლებს შორის)<sup>1</sup>.

98. არდაშერ შაჰნაზის შვილი არის ძე საქართველოს სახელმწიფოს ვაზირის მანდატურთ-უხუცესის შაჰნაზი I მხარგრძელისა (გარდაიცვალა 1261 წელს), ძმა ივანე II-ისა, რომელიც იყო ვაზირად მანდატურთ-უხუცესად 1261—1290 წლებში (იხ. ვაზირთა სიაში შაჰნაზი I — 43-ე, II — 53-ე; იხ. აგრეთვე მხარგრძელთა გენეალოგიური ტაბულა, მარი ბროსე, Additions..., გვ. 362).

99. დავით მანაწკერტელის მოსახსენებელი ჩაწერილია მატიანეში მეფის დავით VIII-ის მოსახსენებელთან ერთდროულად; არა მარტო ხელი, არამედ თვით ფრაზეოლოგია ამ ორი მოსახსენებლისა სავსებით იდენტურია:

შეადარეთ მოსახსენებელთა „შეკვრის“ ტექსტი:

მეფის დავით VIII-ის მოსახსენებლისა: „და ვინცა არ ვარდაიჯიღდეს, საშველი მიჰკადუნ ღმერთმან საუკუნოდ“.

დავით მანაწკერტელის მოსახსენებელისა: „და ვინცა არ ვარდაიჯადოს, საშველი მიჰკადუნ ღმერთმან საუკუნოდ“.

მანაწკერტი (მანასკერტი), როგორც ცნობილია, იყო სამხრეთი კანტონი ვალაშკერტის ქვეყნისა, რომელიც ეფერატის ხეობაში მდებარეობდა, და რომელიც საქართველოს სახელმწიფომ შემოიერთა 1240-იან წლებში<sup>2</sup>. მანაწკერტი, როგორც ირკვევა, მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში ისევ საქართველოს საზღვრებში შედიოდა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ არისტოკრატიაში, გრიგორიანობასთან ერთად, მართლმადიდებლობაც ყოფილა გავრცელებული; მათ რიცხვს ჰკუთვნებია დავით მანაწკერტელი.

<sup>1</sup> როგორც აღნიშნულია მოსახსენებელში, სარგის ჭაყელი ათაბაგის ალაბი განწესებულია მისი მეუღლის თეგლას ჭეჩინებით. არაა გამორიცხული, რომ თეკლა ჩისულიყო იერუსალიმში 1284 წლის ახლო ხანებში, როდესაც გარდაიცვალა სარგის ჭაყელი. ხოლო ამ დროს, 1280-იან 1290-იან წლებში, როდესაც ჭყარის მონასტერი მუსულმანებს გაყარა და ჭყარის ძმობა მეტოქეში შევიდნობდა, ალაბა ჩაწერა მატიანეში, როგორც შესასრულებლისა, არ ხდებოდა. ალაბი ჩაუწერიათ მატიანეში, როგორც შესასრულებელი, 1305 წლის შემდეგ (როდესაც მონასტერი განთავისუფლდა ტყვეობიდან) — ჭეჩა მანდატურთ-უხუცესის ალაბთან ერთად.

<sup>2</sup> იხ. ემთა-აღმწკერტი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 212—213; იხ. ზემოთ, „მნათობა“, № 4, გვ. 141—142.

## მოსახლენებელთა XVII-ს ჩვუფი.

97-ბ. ბექა მანდატურთ-უხუცესის აღაპნი. მეორე წყება.

ბექა მანდატურთ-უხუცესის აღაპნი (გარდა ზემოთ დასახელებული აღაპისა № 246b/242b) სხეებიც არის შეტანილი მთავარ მატრიანეში, მხოლოდ სხვა დროს, სხვა ხელით. ეს ახალი აღაპებია — სამი: №№ 5/4; 152/150; 310/305. ჩაწერილია სამივე ახალი აღაპი ერთდროულად, ერთი და იმავე ხელით.

მათ იგივეობას აღატურებს თვით ფრაზეოლოგიის იდენტიუობა; შეადარეთ:

ა) აღაპი № 5/4 (8 სექტემბერი):

„აღაპი და წირვია მანდატურთ-უხუცესისა ბექასათუკს...“

ბ) აღაპი № 152/150 (7 იანვარი):

„აღაპი და წირვია მანდატურთ-უხუცესისა ბექასათუკს...“

გ) აღაპი № 310/305 (შესამე კვირიაკე მარხვათა):

„მანდატურთ-უხუცესისა ბექასათუკს აღაპი და წირვია...“

ადრინდელი აღაპი (№ 246b/242b) განწესებულია 1305—1309 წლებში (ე. ი. ბექას სიცოცხლეში); ახალი სამი აღაპი, ჩანს, განწესებულია 1309 წლის ახლო.

## მოსახლენებელთა XVIII ჩვუფი.

მოსახლენებელთა XVIII ჩვუფი შეიცავს 6 აღაპს, რომლებიც შეტანილია მთავარ მატრიანეში. ყველა ისინი ჩაწერილია ერთი მდივან-მწიგნობრის მიერ 1305—1314 წლებს შორის.

## 107. მეფე ვახტანგ III.

აღაპი, განწესებული ვახტანგ III-ისათვის (№ 206/203) გადმოგვეცემს:

25 მარტი.

„ამსვე დღესა დიდებულსა ხარებისაა აღაპი და პანაშვილი, და რამაზომია მღვდელი და დიკონი იყოს მეფეთამეფისა ვახტანგისთუკს და მეუღლისა მისისა რიფსი-მესთუკს (შემონაზონებულისა) შეიმოსნენ... მის ეამსა ოდეს ჭუარისა მონასტერი 26 წელსა სპარსთა წაეღო, მაშინ რუგა თავი ლაპრი და ათასი თეთრი ჩუენ მამამან სოლომონ და სუჰეონ მოეკმარეთ მონასტერსა...“

მეფე ვახტანგ III-ის ამ აღაპს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ იგი იძლევა საშუალებას დაზუსტდეს თარიღი, სახელდობრ რომელ წელს მოხდა ჭუარის მონასტრის დაჭერა მუსულმანთა მიერ XIII საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც აღნიშნული გვექონდა, ქართული ძეგლის — ლუკას მარტიელობისა — და არაბული წყაროების შეჭრებიდან ირკვევა, რომ ჭუარის დაჭერა მუსულმანთა მიერ და ჭუარის მთავარი ტაძრის მეჩეთად გადაკეთება მომხდარა სულტანის ბეიბარსი ბუნდუკდარის მეფობის დროს 1260—1277 წლებს შორის; ხოლო ჭუარის დაბრუნება ქართველობის მიერ მოხდა 1305 წელს<sup>1</sup>. მაშასადამე ჭუარი მუსულმანთა ხელში იყო არა უმეტეს 45 წლისა (1305—1260=45) და არა ნაკლებ 28 წლისა (1305—1277=28).

ხოლო აღაპის ცნობით მეფე ვახტანგ III-ეს მიუძღვნია შეწირულება ჭუარის მონასტრისათვის „მას ეამსა, ოდეს ჭუარისა მონასტერი 26 წელსა სპარსთა (მუსულმანთა) წაეღო“ ე. ი. ამ დროს ოცდაამეცხვე წელი ყოფილა მუსულმანთა მფლობელობისა ჭუარში.

როდის უნდა მომხდარიყო შეწირულების ეს მიძღვნა ვახტანგ III-ის მიერ ჭუარის მონასტრისათვის?

ცნობილია, რომ 1299—1300 წლებში მონგოლთა ყაენს ყაზანს და მის მო-

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 147—148.

კავშირებს საქართველოს მეფეს ვახტანგ III-ის დიდი ომი ჰქონდათ სირია-პალესტინაში ეგვიპტის სასულტნოს წინააღმდეგ.

ალ. ცაგარელი თავის შრომაში „Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае“, პირველწყაროებზე დამყარებით, ასე აგვიწერს საქმის ვითარებას ამ დროს, 1299—1300 წლებში:<sup>1</sup>

„В 1299 и 1300 г.г. грузины под предводительством Вахтанга III вместе с Газан-шахом и полководцем его Чобаном сражались против египетских мамлюков при Хомсе (в Сирии) и преследовали их до границ Египта... По словам некоторых путешественников и писателей того времени, Газан-шах (+1304), разбив мамлюков в Сирии в 1300 г., приказал войскам преследовать их до самого Египта, взял Иерусалим и передал его грузинам; часть отнятых у мамлюков владений близ Киликии предоставил армянскому царю, а часть брату своему“.

ყაზან ყაენისა და მისი მოკავშირე საქართველოს მეფის ვახტანგ III-ის ლაშქრობას სირია-პალესტინაში 1299—1300 წლებში ეხება მონგოლთა ხანის ძველ-ქართველი ისტორიკოსი ჟამთა-აღმწერელი. მონგოლთა და ქართველთა ლაშქარი, ქართველი ისტორიკოსის ცნობით, 130.000 კაცისაგან შესდგებოდა. ლაშქრობა, როგორც ცნობილია, 1299 წელს ნოემბერში დაიწყო. დიდი ბრძოლების შემდეგ ეგვიპტის სულტანი დამარცხდა, ჟამთა-აღმწერელის სიტყვით — „ივლტოდეს მეგვიპტელნი და სულტანი ნასარ მელიქი“. ეგვიპტელთა დამარცხებულ ჯარს უკან მიუღდა მონგოლ-ქართველთა ჯარი, და როგორც გადმოგვცემს ქართველი ისტორიკოსი „მიუწია ლაშქარმან ვიდრე წმიდად ქალაქად იერუსალიმად, სადა იგი მრავალი სული მოისრა ქრისტიანე და უმეტეს სპარსნი (მუსულმანნი)“. ლაშქრობის ეს პირველი პერიოდი, ქართველი ისტორიკოსის ცნობით, გაგრძელდა ოთხი თვე და ამას შედეგად მოჰყვა ოკუპაცია სირია-პალესტინისა მონგოლ-ქართველთა ჯარის მიერ. 1300 წლის ზაფხულში მოხდა განდგომა დამასკოში, რამაც გამოიწვია ბრძოლების განახლება და მონგოლ-ქართველთა ახალი ლაშქრობა. ამ ლაშქრობის დროს თუმცა ქალაქი დამასკო ვეღარ აიღეს, მაგრამ მონგოლ-ქართველთა ჯარმა ისევ განამტკიცა ოკუპაცია სირიისა და პალესტინისა, ანტიოქიიდან ვიდრე ლაზამდე, ე. ი. პალესტინის სამხრეთ მიჯნამდე („განვლეს დიდი ანტიოქია და მივიდეს ვიდრე ლაზამდე“, გადმოგვცემს ძველ-ქართველი ისტორიკოსი). ამ მეორე ლაშქრობის დროსაც ვახტანგ III, ქართული ჯარით, ექვსი თვის მანძილზე, 1300 წლის დასასრულამდე, ისევ სირია-პალესტინაში იმყოფება.<sup>2</sup>

იმ დიდი მონაწილეობის გამო, რომელიც მიიღო ქართველმა ჯარმა ამ ომში, მონგოლებს უყენიათ ქართველთა განსაკუთრებული უფლებები იერუსალიმში, ანუ როგორც გადმოგვცემენ წყაროები, იერუსალიმი გადაეცა ქართველებს. აღსანიშნავია ამასთან, რომ ამ დროსვე, 1300 წელს მონგოლებმა გააფართოვეს აგრეთვე ტერიტორია კილიკის სომხეთის სამეფოსი. გადასცეს სომხებს ანტიოქიის მხარეში განთავისუფლებული რაიონების ერთი ნაწილი (ხოლო მეორე ნაწილი ამ მხარისა სამფლობელოდ მიიღო ყაზან ყაენის ძმამ).

აი ამ დროს, 1300 წელს, როდესაც მონგოლებმა სცნეს საქართველოს განსაკუთრებული უფლებები იერუსალიმში, ვახტანგ III, რომელიც ჯარში იმყოფებოდა და ლაშქრობას ხელმძღვანელობდა, შესულა იერუსალიმში და თავისი უფლებების განსამტკიცებლად გაუცია განკარგულებანი. ცხადია, ამ დროს იგი

<sup>1</sup> იხ. დასახელებული შრომა, გვ. 53—54.

<sup>2</sup> Jean de S. Victor, Archives de Orient latin, t. I, გვ. 649.

<sup>3</sup> იხ. ჟამთა-აღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 315—316 (1299—1300 წ.); 317—318 (1303 წ.).



უნდა სწევოდა იერუსალიმის ქართულ კოლონიას, რომელიც, ჯვარის მონასტრის ნილი, მეტოქში მკვიდრობდა, გადაუცია შეწირულება ჯვარის მონასტრისათვის.

იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის მკვლევარი ელ. მეტრეველი აფიქრობს, რომ შეწირულების გადაცემა უნდა მომხდარიყო ამ პერიოდში, მხოლოდ ერთი წლით ადრე, 1299 წელს<sup>1</sup>. მაგრამ ეს თარიღი ნაკლებ საეარაუდებელია. საქმე ის არის, რომ ლაშქრობა დაიწყო 1299 წლის ნოემბერში, 1299—1300 წლების მიჯნაზე გამწვავებული ბრძოლები მიმდინარეობდა და ამ საქმეებისათვის ცხადია არავის ეცალა. შეწირულების გადაცემა ჯვარის მონასტრისათვის უნდა მომხდარიყო 1300 წელს, როდესაც მონგოლთა და ქართველთა ჯარმა გაიმარჯვა და მონგოლებმა სცნეს ქართველთა განსაკუთრებული უფლება იერუსალიმში.

ყურადღებას იქცევს თვით შესაწირავის ხასიათი.

ვახტანგ III-ეს გადაუცია ჯვარის ძმობისათვის ფულადი 'შესაწირავი და ამასთან ერთად გადაუცია „რვათა თავე ლაპრი“ (=ლარი) ე. ი. რვა თავე ძვირფასი ფარჩა, ძვირფასი ქსოვილები. ელ. მეტრეველი სამართლიანად ჰფიქრობს, რომ ეს „რვა თავე ლარი“ არის ომის ტროფეები.

აქ აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი. 1300 წელს, იმ პერიოდის მანძილზე, როდესაც იერუსალიმი მონგოლთა და ქართველთა ჯარების ოკუპაციის ქვეშ იყო, მუსულმანებს ცხადია უნდა მიეტოვებინათ ჯვარი და მას დროებით ქართველები უნდა დაჰპატრონებოდნენ. ეს ასეც მომხდარა, ამას ადასტურებს ალაპის ტექსტი. ჯვარის ძმობის წინამძღვარი გადმოგვცემენ ამ ალაპში: „მას ეამსა, ოდეს ჯუარისა მონასტერი 26 წელს სპარსთა (=მუსულმანთა) წაელო, მაშინ რვათა თავე ლაპრი (ლარი) და ათასი თეთრი მოვანმარეთ მონასტერსა“.

აქ დასახელებულია თვით მონასტერი ჯვარისა (რომელიც ამ დროს ჩანს მიტოვებული იყო მუსულმანთაგან და ქრისტიანულ წესზე მოწესრიგებას მოითხოვდა).

ეს ალაპი ვახტანგ III-ისა, როგორც ვხედავთ, განსხვავდება ტვეთობის დროინდელი მეორე ალაპისგან № 145/143, რომელიც განწესებულია ვაზირის არიშინ ვარდანისძისათვის და ეხება იმ დროს, როდესაც მუსულმანებს ჯვარი ეჭირათ. ამ ალაპში, რომელიც ზეით იყო მოყვანილი, საუბარია არა ჯვარის მონასტერზე, არამედ ჯვარის ძმობაზე, რომელიც მეტოქში მკვიდრობდა. ამ მეორე ალაპში იგივე ჯვარის წინამძღვარი წერენ: „მოგუცა (არიშინმან) ათას ხუთასი თეთრი მას ეამსა, ოდეს ჯუარისა მონასტერი სპარსთა დაჭირვით ჰქონდა, და ძმანი მეტოქს შივან ვიყვენით, დღსა დაჭირებასა შინა ვიყვენით, დიდდ ნუგეშინს გუცა...“ (იხ. ზემოთ, გვ. 148).

ქართველთა ძმობის მიერ ჯვარის მონასტრის დაკავება 1300 წელს, ჩანს, ხანმოკლე იყო და როგორც კი დასრულდა 1300 წლის ბოლოს იერუსალიმის ოკუპაცია მონგოლთა და ქართველთა ჯარების მიერ, მუსულმანებს ისევ დაუკავებიათ ჯვარი, ხოლო საბოლოოდ ჯვარი ისევ დაიბრუნა ქართველობამ, როგორც აღნიშნული იყო, ხუთი წლის შემდეგ, 1305 წელს.

ამრიგად, ვახტანგ III-ის ალაპის ტექსტი 1300 წლის ამბავს ეხება. ხოლო თვით ალაპი (ჩაწერილი იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია ქვემოთ დასახელებული 5 ალაპი 1305—1314 წლებისა) განწესებულია 1305 წლის შემდეგ, როდესაც ქართველებმა საბოლოოდ დაიბრუნეს ჯვარი და რა დროიდანაც იწყება ახალი ალაპების განწესება და ჩაწერა მათიანეში.

<sup>1</sup> იხ. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 42.

შესაძლოა ამ თარიღის დაზუსტება. ალაბი, საფიქრებელია, განწესებულია 1309 წლის ახლო, ვახტანგ III-ის გარდაცვალების ახლო ხანებში. ალაბი ვახტანგ III-ისთან ერთად, დასახელებულია მისი მეუღლე, რომელიც მოიხსენება რიფსიმეს სახელწოდებით; დედოფალი ჩანს ამ დროს შემონაზონებულია (მას არ ეწოდება დედოფალი) და თვით სახელი რიფსიმე ჩანს მონაზონობის დროს გარდაცვალების შემდეგ და ალაბის განწესების დროს „მეფეთა მეფის ვახტანგის“ გვერდით მოუხსენებიან აგრეთვე, „მეუღლე მისი რიფსიმე“, რომელიც ამ დროს არა დედოფალი, არამედ სქემოსანი მონაზონი ყოფილა.

**108. კონსტანტინე, მეფე დასავლეთ საქართველოსი (აფხაზეთისა).**

ალაბი, განწესებული კონსტანტინე მეფისათვის (№ 239/235), გაღმობვეცემს:

21 მისი.

„ამსვე დღესა ალაბი და პანაშვიდი აფხაზეთა მეფეთ-მეფისა კონსტანტინესი, ჭვარისა მონასტრისა ახლად შემკაზმავისა, გარდაიქმნობდეს დაუკლებულად...“

კონსტანტინე, მეფე დასავლეთ საქართველოსი (1293—1327 წ.), არის ძე მეფის დავით ნარინისა, რუსუდანის ძისა.

საქართველოს მეფესთან დავით VIII-სთან ერთად, რომელსაც მთავარი ღვაწლი მიუძღვის ჭვარის განახლებაში მე-14 საუკუნის დასაწყისში, კონსტანტინე მეფესაც აგრეთვე დიდი მონაწილეობა მიუღია ამ საქმეში, იგი ყოფილა „ჭვარისა მონასტრისა ახლად შემკაზმავი“.

**109. ლუკა მოწამე.**

ალაბი, განწესებული ლუკა მოწამისათვის (№ 256/252):

27 იენისი.

„ამსვე დღესა ალაბი და ღამისთევად ღირსისა მამისა ჩუენისა და მოწამისა ლუკასი, რომელი მონასტრისათჳს იწამა. გარდაიქმნობდეს დაუკლებულად, ვითარცა წმიდათა მოწამეთა, უნაკლულად, რაათა ღმერთმან ჩუენ უნაკლულად გუყუენეს მასითა შეიხეზითა.“

ლუკა მუხაბას ძე აბაშიძე, წინამძღვარი ჭვარისა, როგორც მოვიხსენეთ, აწამეს 1274 წელს, როდესაც ჭვარის მონასტერი დაიჭირეს მუსულმანებმა; ხოლო ალაბი განწესებულია 1305 წლის შემდეგ, როდესაც მონასტერი განთავისუფლებულ იქნა ტყვეობისაგან.

**110. სოლომონ წინამძღვარი ჭვარის ქართული სავანისა.**

სოლომონ წინამძღვარის ხსოვნის აღსანიშნავად ორი ალაბი განწესებული.

ა. ალაბი № 227/224:

7 მისი.

„ამსვე დღესა ალაბი და პანაშვიდი და წიგნად, რაოდენიცა მოღვლი ივოს, მამისა ჩუენისა სოლომონისთჳს დაუკლებულად გარდაიქმნობდეს, ვითა ვეპართლებით, აგრე.“

ბ) ალაბი № 251/247:

17 იენისი.

„ამსვე დღესა ალაბი სოლომონისთჳს, ამას დღესა მიიყვალა.“

სოლომონი იყო წინამძღვარი ჭვარის ქართული სავანის ძმობისა ჭვარის ტყვეობის დროს 1271—1305 წლებში, როდესაც ძმობა მეტოქეში მკვიდრობდა (1300 წელს მეფე ვახტანგ III-ემ წინამძღვარს სოლომონს და მის თანამოღვაწესა და თანამეწეუს სვიმონს გადასცა შეწირულება ჭვარისათვის). სოლომონი მოსწრებია ჭვარის განთავისუფლებას და იგი ხელმძღვანელობს ჭვარის

მონასტრის განახლებისათვის წარმოებულ დიდ საქმიანობას ეხმარებოდა  
წლებში.

სოლომონს, როგორც ირკვევა, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღოდა  
ჯვარის ქართული საეპისკოპოსოს წინაშე; ამის გამო არის ალაპში საგანგებოდ აღნიშნუ-  
ლი, რომ სოლომონის ალაპი მთელის სივსებით, დაუკლებელად გარდაიხდებო-  
დესო, „ვითა ევმართლებით, აგრე“:

111—113. რუსუდან, ასული მეფის დიმიტრი თავდადებულისა. — თაყა  
ფანასკერტელი, ერისთავთ-ერისთავი შავშეთ-კლარჯეთ-ტაოთა. — ევაგრე, ტაო-  
ელი მოღვაწე.

ალაპი № 65/63, განწესებული დასახელებულ პირთათვის, გადმოგვცემს:

14 ნოემბერი.

„ამთ წმიდათა მარხვათა ქრისტეს შობისათა და წმიდათა დიდთა მარხვათა ყოველთა შაბათ-  
კვირათა, და ტაძრად მიყვანებასა, ხარებად, და დიდსა ხუთშაბათსა, გავგენ ია ევაგრესი,  
რუსუდანესთვს და თაყა ფანასკერტელისთვს. გევაზინეთ ზუენ ჭუარის მა-  
მან სკმონ ელმელიქისძემან, მოძღვარმან აღდგომისამან, დეკანოზმან და იერუ-  
სალიმს და ჭუარის მყოფთა ძმათა ერთსულობით. გამოგზავნა დიდსა დაჭირებასა შიგან დე-  
მეტრე მეფისა ასული რუსუდანს და თაყა ფანასკერტელსა შვილი  
ათასი თეთრი და ამისთვის მათთვის სალოცავად... შენდობასა იტყოდენ შაბათსა რუსუდანი-  
სთვს და კრიაკესა თაყასთვს. და ათასი თეთრი სხვათა გამოგზავნა მათვე საბანაშ-  
ვლედ, რომე ტაძრად მიყვანებად რუსუდანისთვს გარდაიხდებოდეს და თვედობობას  
თაყასთვს, მისითა განგებითა, და ვინცა ესე გარდაავდოს რაჟსაცა მიზეზისათვს, სადამდის  
ქართველი იყუნენ, უნაწილომცაა ქრისტესვან.“

რუსუდან, ასული დიმიტრი თავდადებულისა, და რუსუდანის მეუღლე  
თაყა ფანასკერტელი, ცნობილი ისტორიული პირებია.

რუსუდანის შესახებ იხ. ეპითა-აღმწერელი და წარწერა ტაოს მხარის ვაჩხორის ტაძრისა  
1306 წლისა.

თაყა ფანასკერტელის შესახებ იხ. ეპითა-აღმწერელი.

ევაგრე, რომელიც მოსახსენებელში პირველად არის დასახელებული,  
ჩანს არის მოძღვარი ფანასკერტელთა სახლისა.

ევაგრე, მეორე ტაოელ მოღვაწესთან — სოლომონ ვაჩიძორელ-  
თან ერთად, მოიხსენება აგრეთვე ჯვარის მონასტრის მეორე ალაპში, რომელ-  
საც ქვემოთ ვეხებით.

მოსახსენებელი განწესებულია სვიმონ ელმელიქისძის წინამძღვრობის  
დროს; ამის მიხედვით იგი განწესებულია არა უადრეს 1310 წლისა.

114. იმავე მდივან-მწიგნობრის ხელით, რომლითაც ჩაწერილია ზემოთ-მოყ-  
ვანილი მოსახსენებელი, ჩაწერილია აგრეთვე ალაპი ვარდან საღირისძისა  
(№ 204/201). ამრიგად ისიც 1305—1314 წლებს ეკუთვნის.

#### მოსახსენებელი XVIII-ბ ქვემოთ.

111-ბ. რუსუდანის, დიმიტრი თავდადებულის ასულის, ალაპი სხვაც არის  
შეტანილი მთავარ სააღაპე წიგნში, ჩაწერილი სხვა დროს, სხვა ხელით (ალაპი  
№ 131/129).

113-ბ. ევაგრე და 115. სოლომონ ვაჩიძორელი.

<sup>1</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 281, 286.

<sup>2</sup> იხ. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში, 1938 წ.,  
გვ. 58.

<sup>3</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 311.



ევაგრესათვის (რომელიც მოხსენებულია რუსუდანთან და დავით აღმაშენებელთან ერთად აღაპში № 65/63) და სოლომონ ვაჩიძის სათვის განწესებულია აღაპი, რომელიც ჩაწერილია აღაპთა მოკლე ნუსხის დამატებაში (I—102).

**მოსახენებელი XIX ჯგუფი.**

მოსახენებელი XIX ჯგუფი შეიცავს 8 აღაპს; ჩაწერილია ყველა ეს აღაპები ერთი მდივან-მწიგნობრის მიერ, რომლის ხელი, დამწერლობა, მეტად თავისებურია; ასევე თავისებურია მისი მართლწერა (ყერძოდ იგი ქარაგვის ნიშანს ურთავს ყველა სიტყვას, როგორც შემოკლებულს, ისე შეუმოკლებელს).

ჩაწერილია ეს აღაპები მატიანეში 1305 წლის ახლო, თარიღი ირკვევა ქვემოთ-მოყვანილი აღაპიდან.

116—117. ინასარ ინასარისძე და მეუღლე ავუბი.

მათი აღაპი (№ 151/149) გადმოგვეცემს:

7 იანვარი.

„ამსვე დღესა აღაპი არის ინასარ ინასარისძისა და მისისა მეოღლისა ავოტიისა საუკუნოა. მას ეამსა, ოდეს სორტანმან ჭყარი მოგვეა, ათის დრამა სორტოლი შემოგვწირა...“

ამრიგად აღაპი განწესებულია 1305 წლის ახლო, ჯვარის განთავისუფლების შემდეგ.

ამის მიხედვით ირკვევა თარიღი დანარჩენი შვადი აღაპისა, რომლებიც, როგორც მოვიხსენეთ, ჩაწერილია იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ.

ეს აღაპები განწესებულია შემდეგ პირთათვის:

118—119. ფორთხ შაკარის ძე გარეჯანისძე და მისი მეუღლე ხაოთა, ბეშქენ ვარდანისძის ასული (აღაპი № 140/138).

120. ვარდანისძე შაპა (აღაპი 187/185).

120-ბ. მიქაელ ქუაბისჯვარელი (აღაპი № 311/306).

121. საღირ ლაშაგასა-შვილი (აღაპი № 312/307).

122. უონდო ჭახობისძე (აღაპი № 313/308).

123—127. გომოსენი მიცვალბულნი: ზვადი, ივანე, კეპე, ბეშქენ და სარგან (აღაპი № 307/302).

128. ზოსიმე თარგმანი (აღაპი № 183/181).

ოთხი აღაპის შესახებ, რომლებიც მოძრავი კალენდარის ციკლს ეკუთვნიან (აღაპები №№ 307/302, 311/306, 312/307, 313/308), ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი.

აქ კი შეეჩერდებით მწერლის ზოსიმე თარგმანის აღაპზე (№ 183/181). იგი ასე იკითხვის:

25 იანვარი.

„ამსვე დღესა აღაპი... ზოსიმესი თარგმანისა და რამზომიკა ზუცისი იუოს, ეამსა უწირილეს; მოგვეა ათის დრამა, დღესა შ[ო]პირ[ვებასა] ეყვენიო...“

აღაპის ტექსტი დაზიანებულად არის მოღწეული<sup>1</sup>. მაგრამ ტექსტის დაზიანების მიუხედავად აქ მაინც გაირჩევა მოსახენებლის ის ნაწილი, სადაც აღ-

<sup>1</sup> ტექსტის დაზიანება იმით არის გამოწვეული, რომ მონასტერს შემდეგ მოუხდენია აღაპთა თარიღების შეცვლა, ზოსიმე თარგმანის აღაპი გადაუტანიათ სხვა ადგილას, სხვა თარიღზე (იხ. აღაპი № 155/153, 9 იანვრის თარიღზე; ტექსტი იხ. ქვემოთ გვ. 155, შენ. 1). თარიღის ამ გადასწავლასთან დაკავშირებით მეორე ნაწილი ძველი აღაპისა ოდნავ გადაუფხვკათ (ტყავზე ძველებური მელნით ჩანაწერის ამოშლა ადვილი არ იყო, ძველი ნაწერი ისევე გაირჩევა) და მის ადგილას ჩაუწერიათ აღაპი სხვა პირისა, გრიგოლ ფანასკერტელისა (იხ. ელ. შებრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 157).

ნიშნულია, რომ ზოსიმე თარგმანს დახმარება გაუწევია მონასტრის წინამძღოლებს (აღიღწა მოჭირვებასა ვიყენით“-ო, გადმოგვეცემს ჩინაწერი). აქ, მაშასადამე, საუბარია იმ გაჭირვებაზე, რომელშიაც იმყოფებოდა ჯვარის სავანე ტყვეობიდან გამოსხნის ეამს, 1305 წელს, და რაზედაც მოგვიტობობენ აგრეთვე სხვა მოსახსენებელნი.

ამრიგად ზოსიმე თარგმანის შესახებ მოსახსენებელის თარიღი ზუსტად ირკვევა: ეს მოსახსენებელი, ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ, ჩაწერილია მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია მოსახსენებელი ინასარ ინასარისძისა 1305 წლის ახლო („ოდეს სულტანმან ჯუარი მოგუცა“-ო, აღნიშნულია ამ მოსახსენებელში); ხოლო, ამას გარდა, თვით ტექსტი მოსახსენებლისა მოგვითხრობს გაჭირვებაზე, რომელშიაც იმყოფებოდა ჯვარის სავანე 1305 წელს, ტყვეობიდან გამოსხნის დროს.

ზოსიმე თარგმანი, როგორც ირკვევა, თავისი დროის გამოჩენილი მწერალი მთარგმნელი ყოფილა, რაკი მას ზედწოდების სახით შერქმეული ჰქონია ეს სახელი „თარგმანი“ (მთარგმნელი, კომენტატორი)¹. ცნობილია, რომ ეს ზედწოდება „თარგმანი“ ძველ ქართულ ლიტერატურაში მიემართება მხოლოდ გამოჩენილ მწერალთ, მთარგმნელ-კომენტატორებს, როგორც მაგალითად მთაწმიდელებს („ეფთიმე თარგმანი“, „გიორგი თარგმანი“) და სხვებს.

ზოსიმეს ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩვენ დრომდე არ მოღწეულა, რადგან ამ ეპოქის, XIII—XIV საუკუნეთა ქართული მწერლობის ძეგლები თითქმის მთლიანად დაღუპულია.

რაკი ზოსიმე თარგმანი, როგორც საფიქრებელია, ცნობილი მწერალი ყოფილა და მას ჯვარის სავანესთან ჰქონია კავშირი, აღიძვრის საკითხი, ზომ არ არის ზოსიმე ავტორი იმ ლიტერატურული ძეგლებისა, რომლებიც XIV საუკუნის დასაწყისში ჯვარის სავანეში შეიქმნა, ზომ არ ეკუთვნის მას სვინაქსარული ცხოვრებანი ლუკა მუხაას ძის აბაშიძისა და ნიკოლოზ დვალისა.

#### მოსახსენებელი XIX-ბ ჯგუფი.

##### 129. ბეშქენ ვარდანისძე.

მის ალაპში (№ 60/58) იკითხვის:

16 ნოემბერი.

„ამსვე დღესა ალაპი და პანაშვიდი საუკუნოა ბეშქენ მანდატურთ-უხუცესისა ვარდანისძისა. მოგუცა მისმან სიძემან ფურთუხ გარეყანის-ძემან ორი ათისისა თეთრისა წითელი...“

ბეშქენ ვარდანისძე, სვანთ-ერისთავი/გურიელი, არის ვაზირი მანდატურთ-უხუცესი (იხ. ვაზირთა სიაში 66-ე).

ვაზირის მანდატურთ-უხუცესის ბეშქენ ვარდანისძის სიძე ფორთოხ გარეყანისძე (მისი მეუღლე იყო ხათუთა, ასული ბეშქენისა), მოიხსენება ზემოთდასახელებულ ალაპში XIX ჯგუფისა (№138/140), რომელიც 1305 წლის ახლოა განწესებული.

ეს ალაპიც ამავე დროს, 1305-ის ახლო ხანს ეკუთვნის.

#### მოსახსენებელი XX ჯგუფი.

##### 130. რუხი ჩხეტისძე.

მისი ალაპი (№117/114) გადმოგვეცემს:

¹ აღსანიშნავია, რომ განაჩლებულ მოსახსენებელშიც (ალაპი № 155/153) ზოსიმე ასევე „თარგმანის“ სახელწოდებით მოიხსენება (9 იანერის თარიღზე): „ამსვე დღესა წირვად და ალაპი საუკუნოა ზოსიმე თარგმანისა...“.

17 დეკემბერი.

„ამსვე დღესა პანაშვილი რუსი ჩხეტისძისა. მოგუცა ზუთასი თეთრი ღიღასა და პირველასა შინა, მას ეამსა, ოდეს ჟუარი შემოგუცუკეს...“

ეს ალაპიც, ამრიგად, აგრეთვე 1305 წლის ახლო დროს ეკუთვნის.

მოსახსენებელი XXI ჯგუფი.

მოსახსენებელი XXI ჯგუფისა შეიცავს 5 ალაპს.

131—132. იოვანე და კახაბერი.

მათი ალაპი (№ 8/7) გადმოგვეცემს:

8 ნოემბერი.

„ამსვე დღესა ალაპი საუკუნოა პანაშვილი... იოვანე და კახაბერი [ისთეს]... შემოსწირა მონასტერსა ორი ათასისა დრამა დიდსა დაჭირებასა შინა მონასტერსასა...“

ალაპი ჩაწერილია შესანიშნავი, მდივან-მწიგნობრული სტილის, ნუსხა-ხუცურით, რომელიც XIII—XIV საუკუნეთა მიჯნას შემდგომ არ გვხვდება.

ალაპში, როგორც ვხედავთ, საუბარია გაჭირვების შესახებ, რომელსაც ჯვარი განიცდიდა 1274—1305 წლებში, ტყვეობის დროს, და 1305 წლის ახლო ხანაში, პირველ პერიოდში ჯვარის ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ.

იმავე მდივან-მწიგნობარს, რომელსაც ჩაუწერია იოვანეს და კახაბერის ზემოთ-მოყვანილი ალაპი, ჩაუწერია აგრეთვე ალაპები, განწესებული შემდეგ პირთათვის:

133. შიქაელ აფხაზი (ალაპი № 3/2).

134. სიღბან, ზუამაქისა ვაზრდელი (ალაპი № 83/80).

135. გიორგი თფილელი (ალაპი № 170/168).

136—137. მახარებელი და სუმონ (ალაპი № 229/226).

მოსახსენებელი XXII ჯგუფი.

138. ქავთარ ნიკოლოზის შვილი.

მის ალაპში (№ 62/60) იკითხვის:

16 ნოემბერი.

„ამსვე დღესა სრული ალაპი ნიკოლოზის შვილის ქავთარისი. წააკო მონასტერსა სასაურავოდ შვიდი ათასი დრამა დიდსა დაჭირებასა ჩუენსა შინა მყოფთათს...“

ეს ალაპი იმავე პერიოდს, 1305 წლის ახლო დროს ეკუთვნის.

მოსახსენებელი XXIII ჯგუფი.

139—140. დავით არდაშელისა შვილი და მეუღლე ზუარაშან.

მათი ალაპი (№ 305/301) გადმოგვეცემს:

31 აგვისტო.

„ამსვე დღესა ალაპი არდაშელისა შვილისა დავითისი და მისისა მეუღლისა ზუარაშანისა. და შემოსწირა ათასი დრამა დიდსა დაჭირებასა შინა...“

ეკუთვნის იმავე 1305 წლის ახლო ხანას.

141. შიქაელ გონგლიბაძე ბედიელი.

მისი ალაპი (№ 11/10) ჩაწერილია მატიანეში იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია ამის წინ მოყვანილი ალაპი № 305/311.

მოსახსენებელი XXIV ჯგუფი.

142. გიორგი ხარაზი.

მისი მოსახსენებელი ორგზის არის ჩაწერილი მატიანეში, №№ 211/209 და 34/32.

მოსახსენებელი 211/209 შემდეგს გადმოგვეცემს:

22 აპრილი.

„ამსვე დღესა პანაშვიდი მისა ჩუენისა გიორგისი ხარაზისა. მოვეცა ხუთასი დრაზა დილსა დაჭირვებასა შინა...“

#### 143. ბახილი ჭუარელი.

მისი მოსახსენებელი ჩაწერილია მატიანეში იმავე მღვივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია გიორგი ხარაზის მოსახსენებელი 34/32.

#### მოსახსენებელია XXV ჩვეუი.

#### 144. ხუტლუბუღა მანკაბერდელი, სადუნის ძე, ვაზირი.

მთავარ სააღაპე წიგნში ჩაწერილია ალაბი (№ 263/259):

1 აპრილი.

„ამსვე დღესა წირვად და ალაბი საუკუნოდ სადუნის შვილისა ხუტლუბუღაასი...“

ეს არის ცნობილი ისტორიული მოღვაწე მე-13 საუკუნის მეორე ნახევრისა ხუტლუბუღა სადუნის ძე მანკაბერდელი, რომელიც იყო საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი, 1281—1289 წლებში — ამირსპასალარი, ხოლო 1289—1296 წლებში ათაბაგ-ამირსპასალარი (იხ. ვაზირთა სიაში 54-ე).

ხუტლუბუღა დაახლოებული პირი იყო მონგოლთა ყაენის კარისა, მონგოლთა პოლიტიკის გამტარებელი საქართველოში. ხუტლუბუღამ, როგორც ცნობილია, იუდას როლი შეასრულა დიმიტრი თავდადებულის მიმართ, რომელიც მონგოლებმა მოკლეს 1289 წელს (ამ დროიდან, 1289 წლიდან იწყება ხუტლუბუღას განსაკუთრებული აღზევება, მან ამ წელს მიიღო ათაბაგ-ამირსპასალარის თანამდებობა).

ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, — ჯვარის მონასტრის მატიანეებში განწესებულია ალაბები დიმიტრი თავდადებულისა (გიორგი ბრწყინვალის მიერ). ამრიგად, მის გვერდით, აქვე გვხვდება ალაბი თვით იუდასი, ხუტლუბუღასი.

ვის მიერ არის განწესებული ალაბი ხუტლუბუღასი არა ჩანს. შესაძლოა შეწირულება ალაბის განსაწესებლად თვით ხუტლუბუღამ წარგზავნა ჯვარის მონასტერში თავის სიცოცხლეში, მე-13 საუკუნის ბოლო ათეულში. თუ ასეა, ალაბი ჩაწერილია მატიანეში, როგორც შესასრულებელი, 1305 წლის ახლო, როდესაც განახლებულია ახალ ალაბთა ჩაწერა სამონასტრო მატიანეში.

#### მოსახსენებელია XXVI ჩვეუი.

#### 145—146. ხუაშაქ დადიანი და ძე მისი გიორგი დადიანი.

მთავარ სააღაპე მატიანეში შეტანილია ერთი და იმავე ხელით ჩაწერილი ორი ალაბი, განწესებული შემდეგ პირთათვის:

№ 227/224: დიოფალთ-დიოფალი ხუაშაქი;

№ 304/299: გიორგი დადიანი.

დიოფალთ-დიოფალი ხუაშაქი არის მეუღლე ბედიან II დადიანისა, რომელიც იყო ვაზირი მანდატურთ-უხუცესი დსაავლეთ საქართველოსი 1260—1290-იან წლებში (იხ. ვაზირთა სიაში 64-ე). ხოლო გიორგი დადიანი არის ძე ბედიან დადიანისა და ხუაშაქისა!

ორივე ალაბი (რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, ერთი ხელით არის ჩაწერილი), განწესებულია, როგორც ირკვევა, გიორგი დადიანის მიერ მე-14 საუ-

1 ბედიან დადიანისა, ხუაშაქისა და მათი ძის გიორგის შესახებ იხ. ზობის ძეგლი წარწერები (თ. უორდანი, ქრონიკები, II, 29—131; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, კრებული „ძველი საქართველო“, III, გვ. 139—143).



ქუჩის დასაწყისში, მას შემდეგ რაც ჯვარი ტყვეობიდან განთავისუფლდა წელს და განახლდა აღაბთა ჩაწერა მთავარ სააღაპე წიგნში.

**მოსახლენებელთა XXVII ჯგუფი.**

მოსახლენებელთა XXVII ჯგუფი შეიცავს ექვს აღაბს, რომლებიც ჩაწერილია მთავარ მატრიანეში ერთი მდივან-მწიგნობრის მიერ. განწესებულია ეს ექვსი აღაბი შემდეგ პირთათვის:

- 147. ნიკოლოზ აფხაზეთისა კათალიკოზი, ბედიელ ყოფილი (აღაბი № 100/97);
- 148. მარტუშიან აფაქისძე (აღაბი № 50/48).
- 149. შიპაელ აფაქისძე (აღაბი № 49/47).
- 150. ზაფი ფალქოზისძე (აღაბი № 46/44);
- 151. შალვა შერვაშიძის შვილი ფალქოზისძე (აღაბი № 85/82);
- 152. ნიანია ამასყელი (აღაბი № 111/108);

ნიკოლოზ აფხაზეთისა კათალიკოზი, ბედიელ ყოფილი არის „კარის გარბეგბაში“ მოსახლენებელი აფხაზეთისა კათალიკოზი ბედიელი (იხ. გვ. 14). მისი კათალიკოზობა ვეუთენის XIII საუკუნის დასასრულს და XIV საუკუნის დასაწყისს, 1280/90-იან—1300-იან წლებს (იხ. ზევით, ჟურნალი „მნაიობი“, № 5, გვ. 180). აღაბი, ცხადია, ჩაწერილია XIV საუკუნის დასაწყისში, 1305 წლის შემდეგ, როდესაც ჯვარი განთავისუფლდა ტყვეობიდან და განახლდა აღაბთა ჩაწერა სამონასტრო მატრიანეში.

ამდროინდელი ყველა დანარჩენი აღაბები ამ ჯგუფისა, რომლებიც, როგორც აღენიშნეთ, ერთი მდივან-მწიგნობრის მიერ არის ჩაწერილი. აღსანიშნავია ამასთან, რომ ყველა ეს პირი ერთი მხარიდან, დასავლეთ საქართველოდან არიან.

**მოსახლენებელთა XXVIII ჯგუფი.**

**153. ნაეროზ აბაზასძე.**

მოსახლენებელი № 29/89 გადმოგვცემს:

4 დეკემბერი.

„ამასვე დღესა ნაეროზისთვის პანაშვი ვარდაქდებოდის... ვიდრემდის მონასტერი ესე ეგოს...“

მოსახლენებელში დასახლებული ნაეროზ ჩანს არის ნაეროზ აბაზასძე ამირეჯიბი და ამირახორი სამეფო კარისა, აბლო თანამოღვაწე დავით VIII-ისა<sup>1</sup>. დავით VIII, როგორც აღნიშნულია ჯვარის მატრიანეში, იყო ჯვარის მონასტრის „მეორედ აღმაშენებელი“ (განმასახლებელი), და ბუნებრივია, რომ ჯვარის აღაბებში, დავით VIII-სთან ერთად, გვხვდება სახელი მისი თანამოღვაწის ნაეროზ აბაზასძისა.

ნაეროზის მოსახლენებელი ჩაწერილია მატრიანეში არა უადრეს 1305 წლისა (გამოთქმა მოსახლენებლისა — „ვიდრემდის მონასტერი ესე ეგოს“ — იმისი მარჯვენებელია, რომ მონასტერი ამ დროს ტყვეობაში აღარ იმყოფება); ამასთან მოსახლენებელი განწესებულია არა უგვიანეს 1312 წლისა, რადგან ნაეროზი ჯერ დევნას განიცდიდა ვახტანგ III-ის მიერ და მას ჩამორთმევია სამფლობელო („აბაზასძეთა მამული“), ხოლო 1312 წლის აბლო, გიორგი მცირის გამეფების დროს, ნაეროზი, რადგან მისი დევნა არ შეწყვეტილა, გადახვეწილა სპარსეთში<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. დავით VIII-ის სიგელი 1927 წლისა, ს. კეკელიძის გამოცემა, სისტორიო მოამბე, II, 1924 წ., გვ. 141—142.

<sup>2</sup> იხ. ანგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა, გვ. 348.

ეროვნული

ბიბლიოთეკა

## 154. მართა, გუარანდუბტისა და.

მოსახსენებელი მართასი (№ 265/261) ჩაწერილია მატიანეში იმავე მდივან-შწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია მოსახსენებელი ნაეროზისი (ჩაწერილია ისინი ერთდროულად: მთელი ტექსტი ორივე მოსახსენებელისა სავსებით იდენტურია).

## მოსახსენებელია XXIX-ა ჩვუფი.

## 155—156. ტამბულა ღონგოსძე და მეუღლე ბურდუხან.

როგორც ირკვევა წყაროებიდან, ღონგოსძეთა სამფლობელო სამცხეში XIII—XIV საუკუნეთა საზღვარზე, ბექას მთავრობის დროს დაამკვიდრა ახალმა გვარეულობამ, ღასურისძეთა გვარმა<sup>1</sup>.

აღაბი ღონგოსძეთა (№ 219/217) ჩაწერილია მატიანეში XIV საუკუნის დასაწყისში (1305/9 წლებში).

## 157. აფა-ყოფილი ანა, სიქანელისძისა ასული.

აღაბი აფა ყოფილისა ანასი (№ 269/265) ჩაწერილია მატიანეში იმავე მდივან-შწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია ზემოთ მოხსენებული აღაბი ღონგოსძეთა.

## მოსახსენებელია XXIX-ბ ჩვუფი.

## 158—161. სუმმატ ლასურისძე და მეუღლე ნათელი.

## ინა, ძე სუმმატ ლასურისძისა და მეუღლე ბობა.

სუმმატ ლასურისძე არის თანამედროვე და ხელისუფალი (მსახურთ-უხუცესი) სამცხის მთავარის ბექა ჯაყელ-ციხისჯვარელისა.

სუმმატ ლასურისძეს დაუშვებელია ღონგოსძეთა სამფლობელო სამცხეში ბექას მთავრობის დროს, XIII—XIV საუკუნეთა მიჯნაზე<sup>2</sup>.

აღაბი № 148/146, რომელშიაც მოიხსენებიან სუმმატ ლასურისძე და მისი ოჯახის წევრები (მეუღლე ნათელი, შვილი სუმმატ და რძალი ბობა) განწესებულია XIV საუკუნის პირველ მეოთხედში.

## მოსახსენებელია XXX ჩვუფი.

## 162—163. ბეშქენ ერისთავთ-ერისთავი, ჯაყელი-კორიდელი.

## ეფრემ, მლოცველი მურვანისა, ჯაყელ-კორიდელისა.

ჯვარის აღაბი (რომლის ტექსტი გამოქვეყნებული აქვს ნ. მარს, გვ. XIV)

გადმოგვიცემს:

„ერისთავთ-ერისთავმან ბეშქენ, და მურვანის მლოცველმან მე ეფრემ, ძელ-ვაჟე შენებად ტრაპეზისა ამის და გამოიუფეთეს აღაბი საუკუნოა...“

ერისთავთ-ერისთავი ბეშქენ ჯაყელი-კორიდელი არის ძე ივანე ამირახორისა (დიდი ყუთლუ-არსლანის შვილიშვილისა). ივანე ამირახორი მოიხსენება 1260—1270 წლებში<sup>3</sup>. ივანე ამირახორის მემკვიდრის ბეშქენ ერისთავთ-ერისთავის საფასით, კორიდელთა სახლის წარმომადგენელს იერუსალიმში ეფრემს უწარმოებია შშენებლობა ჯვარის მონასტრის ტრაპეზისა 1305 წლის ახლო ხანებში, ჯვარის განთავისუფლების შემდეგ.

აღაბი მატიანეში ჩაწერილი ყოფილა თვით ეფრემის ხელით.

<sup>1</sup> იხ. ჩვენი „კოსთველიანა“ (1926 წ., გვ. 157—162, თხზულებათა კრებული, I, 1963, გვ. 91—94).

<sup>2</sup> იხ. იქვე.

<sup>3</sup> იხ. ზემოთ, „მნათობი“, № 4, გვ. 125—126.

მოსახენებელთა XXXI ჭკუფი.

164. ლიპარიტ ქვეშელი.

ლიპარიტ ქვეშელის ალაპი შეტანილია ჯვარის ალაპთა მოკლე ნუსხაში (ტიშენდორფისეულ ხელნაწერისა № 42, მარისეულ ხელნაწერისა № 29).

ჯავახეთის ღრტილას ეკლესიის 1307/8 წლის წარწერაში მოიხსენება „ქვეშელისა ლიპარიტისა ცოლი და თმოგველთა ქალი რუსუდანი“, რომელსაც აუგია ღრტილას ეკლესია<sup>1</sup>. ამ დროისათვის ლიპარიტ ქვეშელი, მეუღლე რუსუდანისა, ჩანს გარდაცვლილი ყოფილა, რადგან მშენებლად მხოლოდ რუსუდანი არის დასახელებული.

ამრიგად, ეს ალაპი ლიპარიტ ქვეშელისა 1307/8 წლის ახლო ხანებში არის განწესებული.

ლიპარიტ ქვეშელის ალაპის შესახებ ჩვენ ქვემოთაც გვექნება საუბარი.

მოსახენებელთა XXXII ჭკუფი.

დიმიტრი თავდადებულისა და გიორგი ბრწყინვალის ალაპთა პირველი წყება (ორი ალაპი) განწესებულია 1305—1314 წლებში.

მათ ვეხებით ქვემოთ, გიორგი ბრწყინვალის სხვა ალაპებთან ერთად, რომლებიც განწესებულია უფრო გვიან, 1314—1320 წლების მანძილზე.

VII

მოსახენებელნი, ზაქარიას ჯვარის მატანებაში  
გიორგი ბრწყინვალის დროს  
(1314—1346 წ.)

გიორგი ბრწყინვალის დროს ისევ აღდგა საქართველოს ძველი პოლიტიკური ძლიერება. კერძოდ აღდგენილ იქმნა საქართველოს განსაკუთრებული უფლებები იერუსალიმში, რაც თამარის მეფობის მეორე პერიოდიდან და ლაშა გიორგის დროიდან დამკვიდრდა.

როგორც ცნობილია, ქართველ პილიგრიმებს, რომლებიც პალესტინაში მიემგზავრებოდნენ, პალაბში (ალეპოში) შეხვედებოდა არაბი საგანგებო მოხელე, რაც განსაკუთრებული პატივის მომასწავებელი იყო. ეს საგანგებო მოხელე გააცილებდა ქართველ პილიგრიმებს პალაბიდან იერუსალიმამდე, რათა გზაში რაიმე უსიამოვნება არ შეხვედროდათ და ასევე უკან გამოაცილებდა იერუსალიმიდან პალაბამდე. ქართველები პალესტინაში მოგზაურობის დროს არავითარ ხარკს და გადასახადს არ იხდიდნენ. ქართველებს ნება ჰქონდათ ვაშლილი ეროვნული დროშებით შესულიყვნენ იერუსალიმში<sup>2</sup>.

არც ერთ ევროპელ ქრისტიან ხალხს ასეთი უფლებები იერუსალიმში არ ჰქონია.

გიორგი ბრწყინვალის მეურვეობით ეგვიპტის სულტანმა გაანთავისუფლა ქრისტეს საფლავად მიჩნეულ ადგილთან გაშენებული საფანე, რაც ქრისტეანეთა უდიდეს სიწმინდედ ითვლებოდა და კლიტენი საფანისა (რომელსაც ქართულ წყაროებში „კლიტენი იერუსალიმისანი“ ეწოდება) ქართველებს გადაეცა. პა-

<sup>1</sup> იხ. ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 94—96.

<sup>2</sup> იხ. ნ. მარი, Отчет о работах на Синае и в Иерусалиме, გვ. 51. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 304.

ლესტინის ერთ ძველ აღწერილობაში, რომელიც ლათინურად არან მარტინუსი<sup>1</sup>, აღნიშნულია: ამ საფლავის კლიტე-გასაღები ქართველეს აქვთ ღმრთის მსახურად ლავს ისე იტყვენ, რომ იქითგან დიდძალი ოქროს საფასურადაც კი ერთ მარტულსაც არავის დაანებებენო<sup>2</sup>.

გიორგი ბრწყინვალე, რომელიც განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ქართველთა უფლებების დაცვისათვის პალესტინაში (რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცებისათვის), კერძოდ იყო ქტიტორი იერუსალიმის ქართული კოლონიის ცენტრისა — ჭვარის ქართული საგანისა.

ამას, სხვათა შორის, ისიც ადასტურებს, რომ გიორგი ბრწყინვალის მოსახსენებლად ჭვარის საგანში განწესებული ყოფილა მთელი რიგი აღაპები.

#### მოსახსენებელი XXIII-ბ ჭვავი.

165. მეფე გიორგი ბრწყინვალე (V).

166. მეფე დიმიტრი თავდადებული (II), მამა გიორგი ბრწყინვალისა.

167. დედოფალი ნათელი, მონაზონობაში ნიხიშე, დედა გიორგი ბრწყინვალისა.

აღაპები გიორგი ბრწყინვალისა და გიორგის მამის დიმიტრი თავდადებულისა (რომლის მოსახსენებელნი გიორგი ბრწყინვალეს განუწესებია) სამჭერ სხვადასხვა დროს არის ჩაწერილი ჭვარის მონასტრის მატრიანეებში.

#### პირველი წება

პირველი წება აღაპთა, ორი აღაპი, ერთი გიორგი ბრწყინვალისა და მეორე დიმიტრი თავდადებულისა, ჩაწერილია მთავარ მატრიანეში. ისინი ასე იკითხვის:

ა. გიორგი ბრწყინვალისა (№ 48/46):

3 ნოემბერი.

„ამასვე დღესა აღაპი გიორგი მეფისაა, შეუცვალეული უკუნისამდე.“

ბ. დიმიტრი თავდადებულისა (№ 42/40):

26 ოქტომბერი.

„ამასვე დღესა აღაპი დემეტრე მეფისაა. შეუცვალეულმცა არს უკუნისამდე.“

ორივე აღაპი ჩაწერილია მატრიანეში ერთი და იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ; ჩაწერილია ერთდროულად: თვით ტექსტები, როგორც ვხედავთ, სავსებით იდენტურია.

#### მეორე წება

მეორეჯერ ჩაწერილია მატრიანეებში ხუთი აღაპი გიორგი ბრწყინვალისა და ერთი — დიმიტრი თავდადებულისა.

ამათგან ოთხი აღაპი გიორგი ბრწყინვალისა ჩაწერილია მთავარ მატრიანეში ერთი მდივან-მწიგნობრის მიერ, ერთდროულად: ტექსტები სავსებით იდენტურია. აი მათი ტექსტები:

ა. აღაპი № 26/25:

26 სექტემბერი.

„სეკდენბერსა 26-სა იოვანე მახარებლისა დღესასწაულსა წირვამ და აღაპი მეფეთმეფისა გიორგისი, საუკუნომცა არს საკსენებელი მათი, ამინ.“

<sup>1</sup> მუდისეული ტექსტი რუდოლფ სულციმის მოგზაურობისა იერუსალიმში 1331—1341 წლებში.

<sup>2</sup> იხ. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 278. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 48.

ბ. ალაბი № 126/124:

25 დეკემბერი.

„ქრისტეს შობისა წირვამ და ალაბი საუკუნო მეფეთ-მეფისა გიორგისთვის, საუკუნომცა არს საქსენებელი მათი, ამინ.“

გ. ალაბი № 149/147:

6 იანვარი.

„ნთოლისებნასა წირვამ და ალაბი საუკუნო მეფეთ-მეფისა გიორგისთვის, საუკუნომცა არს საქსენებელი მათი, ამინ.“

დ. ალაბი № 258/254:

29. იანვარი.

„ამას დღესა წირვამ და ალაბი საუკუნო მეფეთ-მეფისა გიორგისი, საუკუნომცა არს საქსენებელი მათი.“

მეხუთე ალაბი გიორგი ბრწყინვალისა, რომელიც „მოდრავი კალენდარის“ დღესასწაულზე (მზობის კვირიაკეზე) არის განწესებული, ჩაწერილია ალაბთა მოკლე ნუსხაში (რომელშიაც მე-14 საუკუნის ათეულიდან შეპქონდათ ახალი ალაბები „მოდრავი კალენდარის“ წრისა).

ამ მეორე მატთანეშიაც ალაბი ჩაწერილია იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია მთავარ მატთანეში ზემოთ-მოყვანილი ოთხი ალაბი გიორგი ბრწყინვალისა. ეს მეხუთე ალაბი ასე იკითხვის (T—28/M—20):

„ვრიაყესა ბაიობისასა წირვამ და ალაბი საუკუნო მეფეთ-მეფისა გიორგისი, საუკუნომცა არს საქსენებელი მათი.“

როგორც ვხედავთ, ამ მეხუთე ალაბის ტექსტიც იდენტურია პირველ ოთხთან და, ცხადია, მათთან ერთად არის განწესებული და მატთანეში ჩაწერილი.

შექვევს ალაბი ამ მეორე წყებისა განწესებულია დიმიტრი თავდადებული-სათვის. რამდენადაც ეს ალაბი „უძრავი კალენდარის“ წრეს ეკუთვნის (ალაბი დადებულია 12 მარტს), იგი, წესისამებრ, შეტანილია მთავარ მატთანეში (№ 202/200). ჩაწერილია იგი მატთანეში იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია გიორგი ბრწყინვალის ზემოთ-მოყვანილი ხუთი ალაბი. ხოლო ტექსტი სხვაობს, დიმიტრი თავდადებულის შესახები ტექსტი უფრო გავრცელებულია და საზეიმო, ვინაიდან იგი მოწამეს ეხება. მისი ტექსტი ასე იკითხვის:

12 მარტი.

„ამსვე დღესა მეფეთ-მეფისა და მოწამისა დიმიტრისთვის ალაბი საუკუნო. რამდენიცა მღვდელი იყოს ჭეპარს და მონასტერს შინა, ჟამი უწირონ, და ვინცა შეუცვალოს, სკულისავანცა შეიცვლებს.“

12 მარტი, რა დღესაც განწესებულია დიმიტრი თავდადებულის ალაბი, წამების დღეა დიმიტრისა.

#### მესამე წება.

მესამეჟერ გიორგი ბრწყინვალის ალაბი ჩაწერილია ალაბთა მოკლე ნუსხაში (რადგან იგი განწესებულია „მოდრავი კალენდარის“ თარიღზე, „სული წმიდის მოსვლის“ დღესასწაულზე).

მოკლე ნუსხის ტიშენდორფისეულ ხელნაწერში ტექსტი შემდეგ შესწორებულია და შევსებული. ხოლო თავდაპირველად ტექსტი ალაბისა ტიშენდორფისეულ ხელნაწერში, როგორც ირკვევა, ასე იკითხვოდა:

„სულისა წმიდისა მოსვლისა ვრიაყესა წირვამ და ალაბი საუკუნო ღმრთივ-გვრჯნოსნისა მეფეთ-მეფისა დიდისა გიორგისი, შეუნდვენ ღმერთმან.“

მოკლე ნუსხის მარისეული ხელნაწერი (მისი პირველ-დედანი), როგორც აღნიშნული გვქონდა, გადმოწერილია ტიშენდორფისეული ხელნაწერიდან 1320

წლის ახლო. გიორგი ბრწყინვალის აღაპს ამ დროს, 1320 წლის ექვთუმიანის სათვის, ტიშენდორფისეულ ხელნაწერში ისეთი სახე ჰქონია, როგორც „გეორგი“ მოვიყვანეთ. მარისეულ ხელნაწერში ეს ტექსტი ასე გადმოუწერიათ (ოდნავი შემოკლებით):

„სულს წმიდის მოსლვის კვრიაყსა წირვა-აღაბი მეფეთ-მეფისა გიორგისი, შეუნდენს (ღმერთმან).“

ხოლო უფრო გვიან ტიშენდორფისეულ ხელნაწერში ტექსტი აღაბისა შეუვსიათ გიორგის დედისა და მეუღლის მოსახსენებლით და აღაპს საბოლოოდ ასეთი სახე მიუღია:

სულსა წმიდისა მოსლვისა კვრიაყსა წირვა და აღაბი საუქუნო ღმრთივ-გვრგუნოსნისა მეფეთ-მეფისა გიორგის

(შემდეგ დამატებულა):

„დედისა ნისიშესაჲ, შეუნდენ ღმერთმან, აჲნ.“

(არშინავე დამატებულა):

„[დ] შე[უ]ღლ[ს] მისისა...“

გიორგი ბრწყინვალის დედას, როგორც ცნობილია, ნათელი ერქვა; ხოლო ნისიშე, როგორც ამ აღაპის მიხედვით ირკვევა, მონაზონობის დროს მიღებული სახელია ნათელისი<sup>1</sup>.

რა დროს ეკუთვნის აღაბა ეს საბი წყება.

გიორგი ბრწყინვალე, როგორც ცნობილია, პირველად იქმნა გამოცხადებული მეფედ 1299 წელს, როდესაც გიორგი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო. ფაქტიურად ამ დროს მას მეფობა არ დაუშკვიდრებია. ამის შემდეგ საქართველოში ზღვობს დავით VIII 1312 წლამდე, მისი თანა-მეფეა ვახტანგ III, ხოლო 1312—1314 წლებში საქართველოს მეფეა გიორგი VI დავითის ძე. გიორგი ბრწყინვალემ დაიმკვიდრა მეფობა 1314 წელს და მისი მეფობა გაგრძელდა 1314—დან 1346 წლამდე.

აღაბთა პირველი წყება უფრო ადრინდელია, ვიდრე მეორე და მესამე წყება. პირველი წყების აღაპში გიორგის ეწოდება მეფე, ხოლო მეორე და მესამე წყების აღაპებში — მეფეთ-მეფე, დიდი მეფეთ-მეფე.

პირველი წყების აღაპი (ე. ი. აღაბი გიორგი ბრწყინვალისა, და მასთან ერთად გიორგის მიერ განწესებული პირველი მოსახსენებელი დიმიტრი თავდადებულისა), როგორც ირკვევა ეკუთვნის დროს 1314 წლამდე.

ხოლო მეორე და მესამე წყების აღაპი ეკუთვნიან დროს 1314 წლიდან მოკიდებულს.

შესაძლოა თარიღის უფრო დაზუსტება: მეორე და მესამე წყების აღაპი განწესებულია 1314—1320 წლებს შორის, არა უგვიანეს 1320 წლისა. ეს დასტურდება შემდეგის მიხედვით. აღაპები „მომრავი კალენდარის“ წრისა, რომლებიც ჩვენ გვხვდება მეორე და მესამე წყების აღაბთა შორის, შეტანილია მთელ ნუსხის ორივე ხელნაწერში, როგორც ტიშენდორფისეულში, ისე მარისეულში. ხოლო, როგორც გამოჩვენებული გვეჩვენდა, ეს ორი ხელნაწერი დაშორდა ერთმანეთს 1320 წლიდან. აღაპები „მომრავი კალენდარის“ წრისა, რომლებიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს და რომლებიც შეტანილია ორივე

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, მონაზონად შედგომის დროს ჩვეულებრივ ეღებულობდნენ სახელს, რომელიც ხელბოდა ადრინდელ სახელს დასაწყისი ბევრით, როგორც მაგალითად: მარია II (მონაზონობამდე) → მარია II (მონაზონობის დროს), ნათელი → ნისიშე და სხვანი. აღსანიშნავია, რომ ამავე საუკუნეში სამეფო გვირეულობაში ჩვენ სხვა შემთხვევით ვაპყნის, როდესაც სახელი ნათელი, იგივე ნათია, მონაზონად შედგომის დროს შეუცვლიათ როგორც ნისიშე: „დედოფალი ნათია უდიდო ნისიშე“ — მეუღლე ანდრონიკე ალსტენელისა ბაგრატიონისა, დი ივანე ათაბაგისა (იხ. აღაბი № 223/221).

ხელნაწერში, ეკუთვნიან ალაბთა მოკლე ნუსხის მეორე ნაწილის პირველ ფენას, ე. ი. ისინი ჩაწერილია მატიანეში 1320 წლის უწინარეს (ამ სათარიღო მაჩვენებლის განმარტება იხ. ზემოთ, „მნათობი“, № 5, გვ. 174—175). გიორგი ბრწყინვალის ალაბთა დათარიღების საკითხთა გამო იხ. შემაჯამებელი შენიშვნები, გვ. 167—168.

**მოსახენებელთა XXXIII ჯგუფი.**

ალაბთა მოკლე ნუსხის მეორე ნაწილის (ე. ი. დამატებული ნაწილის პირველ ფენაში, რომელიც ჩაწერილია 1305/9—1320 წლებს შორის, არა უგვიანეს 1320 წლისა, და რომელიც წარმოდგენილია როგორც ტიშენდორფისეულ, ისე მარისეულ ხელნაწერში, შეტანილია ალაბები, განწესებულნი შემდეგ პირთათვის:

- 168. ყვარყვარე სპასალარი (ალაბი T—56/M—41).
- 169. გამრეველი ერისთავთ-ერისთავი ღობიარი (ალაბი T—72/M—51).
- 170. აღბულა კობულისძე (ალაბი T—45/M—42).
- 171—172. გიორგი და შიქელ ლაშხის-შვილნი (ალაბი T—50/M—37).
- 173. შიქელ, გრივოლის ძმა (ალაბი T—26/M—19).

168. ყვარყვარე სპასალარი არის ძე ბექა ჯაყელ-ციხისჯვარელისა, ვაზირის მანდატურთ-უხუცესისა. ეამთა-ალმწერელი გადმოგვცემს, რომ ბექა მანდატურთ-უხუცესის გარდაცვალების შემდეგ (1309 წელს) — „დაიპყრეს სამცხე სამთავე ძეთა მისთა: უხუცესმან სარგის, და შემდეგმან ყუარყუარე, და უმრწემესმან შალვა“<sup>1</sup>.

სარგის II ბექას ძემ მიიღო სავაზირო თანამდებობა თავისი მამისა — მანდატურთ-უხუცესობა; ეს პოსტი სარგის II-ეს უპყრია 1309—1334 წლების მანძილზე (იხ. ვაზირთა სიაში 59-ე). ყვარყვარე ბექას ძემ ჯერ მიიღო სამცხის სპასალარობა, რა თანამდებობაც უპყრია 1309—1330/5 წლებში, ხოლო 1330/5 წლებიდან იგი მიიღებს ვაზირის ამირსპასალარის თანამდებობას (იხ. ვაზირთა სიაში 70-ე). შალვა ბექას ძემ, ყვარყვარეს შემდეგ, მიიღო სამცხის სპასალარობა (1330/5 წლებიდან); მანვე მიიღო ვაზირის ათაბაგის თანამდებობა, ხოლო უფრო გვიან (ყვარყვარეს გარდაცვალების შემდეგ) ათაბაგ-ამირსპასალარობა (იხ. ვაზირთა სიაში 71-ე).

რამდენადაც ალაბები XXXIII ჯგუფისა განწესებულია 1320 წლამდე, ყვარყვარე სპასალარის ალაბი განწესებული ყოფილა 1309—1320 წლებს შორის<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. ეამთა-ალმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 323.

<sup>2</sup> ალაბთა ტიშენდორფისეულ ხელნაწერში ტექსტი ალაბისა ისე იკითხვის: „ამალეზად წირვად და ალაბი საუჯუნოჲ [....] სპასალარისა ყუარყუარისაი, და მწუხრი მანაშუღი მისევე. შეუნდვენ ღმერთმან“. იმ ადგილს, სადაც ტექსტში რაკლებში ჩასმული წერტილებია [....], ი. ასფალგის ცნობით ხელნაწერში დამწებულია ფურცლის ნაჭერი. ი. ასფალგი ვარაუდობს, რომ დაწებულ ადგილს ქვეშ უნდა წერებულყო „ამირ“<sup>1</sup>. ე. ი. ტექსტი უნდა წაეკითხათოთ: „[ამირ] სპასალარისა ყუარყუარისაი“. მაგრამ ეს ვარაუდი არაა სწორი. თუ აქ აკლია სიტყვა, უნდა აკლდეს არა „ამირ“ არამედ „სამცხის“ (ე. ი. ტექსტი ასეთი უნდა ყოფილიყო: „[სამცხის] სპასალარისა ყუარყუარისაი“). რომ ტექსტში თავდაპირველად ეწერა „სპასალარისა“ და არა „ამირსპასალარისა“ ამას ადასტურებს ორი რამ:

ა. ალაბი მატიანეში ჩაწერილია 1320 წლამდე (იგი არის როგორც ტიშენდორფისეულ ხელნაწერში, ისე მარის ხელნაწერში); ხოლო ამ დროს ყვარყვარე სპასალარი (სამცხის სპასალარი) იყო და არა ამირსპასალარი.

ბ. მარისეული ხელნაწერი გადმოწერილია ტიშენდორფისეულიდან. მარისეულ ხელნაწერში ზოგჯერ, თითო-ორიოჯ შემთხვევაში, ცოტათი შემოკლებულია ტიშენდორფისეული ხელნაწერის ტექსტი, მაგრამ არაა შემთხვევა, რომ აქ ტექსტი შეცვლილი იყოს. ხოლო მარისეულ ხელნაწერში იკითხვის „სპასალარისა“ და არა „ამირსპასალარისა“.



169—173. დანარჩენი პირნი, მოხსენებულნი XXXIII ჭგულის ალაბებში, სხვა წყაროებით ცნობილნი არ არიან.

ამათ შორის გამრეკელი ერისთავთ-ერისთავი ღობიარი არის მფლობელი ღობიეთის კანტონისა სამცხის მხარეში.

•

მოსახსენებელთა XXXIII-ბ ჭგუფი.

174. სარგის II ჭაყელი-ციხისჯვარელი, მანდატურთ-უხუცესი.

ჯვარის მატიანეში შეტანილი ყოფილა ალაბი სარგის II ჭაყელ-ციხისჯვარელისა მანდატურთ-უხუცესისა, მაგრამ მისი პირველდანი არ მოღწეულა (სეინაქსარის ფურცლების დაკარგვის გამო).

მოსახსენებელი ამ ისტორიული მოღვაწისა შეტანილია ჯვარის „სულთა-მატიანეში“ XIV საუკუნისა (რომელშიაც მოსახსენებელნი გადმოწერილია ალაბებიდან. ტექსტი მოსახსენებლისა იხ. ნ. შარი. გვ. XVIII).

სარგის II ჭაყელი-ციხისჯვარელი, როგორც მოეხსენეთ, იყო ვაზირად მანდატურთ-უხუცესად 1309—1334 წლებში.

•

მოსახსენებელთა XXXIII-გ ჭგუფი.

175. მურვან ღობიერი.

ალაბი მურვან ღობიერი ს ა ჩაწერილია მთავარ მატიანეში (№ 178/176).

ღობიერნი (ანუ, რაც იგივეა, ღობიარნი), როგორც აღვნიშნეთ, იყვნენ მფლობელნი ღობიეთის კანტონისა სამცხის მხარეში. ერთ წარმომადგენელს ამ გვარისას — გამრეკელ ღობიარს — უკვე გვეცნაით (მისი ალაბი, როგორც გამოირკვა, განწესებულია 1305/9—1320 წლებს შორის).

ღობიერთა სამფლობელო, როგორც ეს ირკვევა წყაროების ჩვენებათა მიხედვით, შემდეგ გადასულა დიასამისძეთა გვარეულობაზე, რის შემდეგაც ღობიერთა სამფლობელოს „დიასამისძეთა სახლი“ დაარქმევია<sup>1</sup>. ეს მომხდარა 1320 წლის ახლო (იხ. ქვემოთ, გვ. 171). მურვან ღობიერი ამაზე ადრინდელი მოღვაწეა, მისი ალაბი განწესებულია არა უგვიანეს მე-14 საუკუნის ათიანი წლებისა. მურვან და გამრეკელ ღობიერნი, ჩანს, თანამედროვენი არიან (საფიქრებელია — ერთი ოჯახის წევრებიც).

•

მოსახსენებელთა XXXIV ჭგუფი.

176. სვიმონ ელმელიქისძე, წინამძღვარი ჯვარისა.

1300 წელს, როდესაც ჯვარი ჯერ კიდევ მუსულმანთა ტყვეობაში იყო, სვიმონ ელმელიქისძე მოიხსენება როგორც თანაშემწე და თანამოღვაწე ჯვარის ძმობის წინამძღვრის სოლომონისა (ალაბი № 206/203, იხ. ზემოთ, გვ. 150). სოლომონის გარდაცვალების შემდეგ, 1310 წლის ახლო დროიდან, სვიმონი აურჩევიათ ჯვარის წინამძღვრად. სვიმონი განაგრძობს სოლომონის წინამძღვრობის დროს დაწყებულს მუშაობას ჯვარის განახლებისათვის, რაც ტარდებოდა, უმთავრესად, მეფის დავით VIII-ის თანამოღვაწეობით. ასევე სვიმონი არის ხელმძღვანელი ჯვარის საეანისა გიორგი ბრწყინვალის მეფობის პირველ პერიოდში, 1314—1320-იან წლებში, როდესაც ჯვარმა აღიდგინა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა, როგორც იერუსალიმის ქართული კოლონიის უდიდესმა

<sup>1</sup> იხ. ჩვენი „რუსთველიანი“ (1926, გვ. 157—162, თხზულებათა კრებული I, 1963, გვ. 91—94). თ. გორდანი, ჭრონიკები, II, გვ. 53.

ცენტრმა. სოლომონს დიდი ავტორიტეტი მოუპოვებია, იგი მოიხსენიება როგორც წმიდა ა. აღაპში № 84/81, რომელიც განწესებულია სვიმონის გარდაცვალების შემდეგ, 1350 წლის ახლო, ვკითხულობთ:

26 ოქტომბერი.

„ამსვე დღესა წირვად და აღაპი საუკუნოა წმიდისა მამისა სვმეონ ელმელიქისძისა...“

ჯვარის წინამძღვართა შორის, გარდა ჯვარის აღმასწავლებლის პროხორესი, მატრიანებში წმიდა ეწოდებოდა ლუკა მუხაძის ძეს, რომელიც ეწეა მონასტრისათვის 1274 წელს, და სვიმონ ელმელიქისძეს.

177. ზონიმე მოძღვარი.

ზონიმე, მოძღვარი ჯვარისა, არის თანამოღვეწე სვიმონ ელმელიქისძისა. სვიმონთან ერთად იგი ამტკიცებს ჯვარის მონასტრის მისახსენებლებს (№№ 4 a, b, c; 301/294, 301a/295, 301b/297).

მისახსენებელთა XXXV ჯგუფი.

აღაპთა მოკლე ნუსხის მეორე ნაწილის (ე. ი. დამატებული ნაწილის) მეორე ფენაში, რომელიც იწყება 1320 წლიდან, და რომელიც წარმოდგენილია მხოლოდ ტიშენდორფისეულ ხელნაწერში, შეტანილია აღაპები, განწესებული შემდეგ პირათათვის:

178—180. შალვა ქვენიფნეველი ერისთავი, შვილი პიპა, პიპას მეუღლე თამარ (აღაპი T—63).

179-ბ. პიპა, შალვა ქვენიფნეველის შვილი (აღაპი T—55).

181. შაპანა (11) (აღაპი T—39).

182. შაპანას (მანას) ახული, დედ-ნამით (აღაპი T—51).

183. გამარცხელი კახას შვილი (აღაპი T—11).

178—190. პიპა, ძე შალვა ქვენიფნეველისა (ქსნის ერისთავისა), როგორც ამის შესახებ მოგვითხრობს ძველ-ქართული საისტორიო ტექსტი „ძეგლი ერისთავთა“, წარგზავნილი იყო ელჩად ეგვიპტის სულტანთან გიორგი ბრწყინვალის მიერ, რათა ეგვიპტის სულტანს გადმოეცა ქართველთათვის ქრისტეს საფლავის სავანე და კლიტე ქრისტეს საფლავის სალოცავისა, რომელსაც წყაროებში „იერუსალიმის კლიტე“ ეწოდება და რომელიც მუსულმანებს ეპყრათ.

ჩვენ უკვე გვქონდა ამ სავანზე საუბარი. ეგვიპტის სულტანმა, ამ ელჩობის შედეგად, გადასცა ქართველებს სავანე ქრისტეს საფლავისა და „იერუსალიმის კლიტე“ წოდებული გასალები. ამან, როგორც აღვნიშნავდით, დიდად ამაძღლა საქართველოს სახელმწიფოს პრესტიჟი ქრისტიანულ სამყაროში.

მისიის შესრულების შემდეგ, იერუსალიმში ჩამოსრულს პიპას განუწყვეტებია დასახელებული აღაპები.

აქ რამდენიმე შენიშვნა ქრონოლოგიის საკითხებზე.

არაბულ წყაროებში აღნიშნულია, რომ გიორგი ბრწყინვალეს ორჯონ წარუგზავნია ელჩები ეგვიპტის სულტანთან, 1318 და 1320 წლებში. ხოლო რომელი ელჩობის დროს გადაწედა ქართველთათვის გადაცემა ქრისტეს საფლავის სავანისა და იერუსალიმის კლიტეთა?

ელჩე მებრეველი, რომელმაც საყურადღებო ექსკურსი უძღვნა ქრისტეს საფლავის სავანის ქართველთათვის გადაცემის ისტორიას, მოხსნა ზოგიერთი მცდარი შეხედულება და დაზუსტა ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხი, თარიღის საკითხს დიად სტოვებს. აღნიშნავს რა, რომ გიორგი ბრწყინვალეს ორჯონ გაუგზავნია ელჩები ეგვიპტის სულტანთან, 1318 და 1320 წლებში, ავტორი ამბობს, რომ პიპა ქვენიფნეველის ელჩობა, რომლის დროსაც გადაწედა სავანის გადაცემა ქართველთათვის ერთ-ერთ ამ თარიღზე მოდისო?.

<sup>1</sup> იხ. D. Lang, Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant, BSOAS, 1955, გვ. 91. ვლ. მებრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

<sup>2</sup> იხ. ელ. მებრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

უფრო საფუძვრებელია, რომ ეს მოხდა 1320 წელს, და ამ რატომ.

იერუსალიმის ჭვარის მატთანებში მოსახსენებელი ვიორჯი ბრწყინვალისა და მისი ელნის პიპა ქვენიფნეველისა განწესებულია შემდეგი თანდათანობით.

1) 1314 წლამდე განწესებულია ვიორჯი ბრწყინვალის ერთი აღაპი (პირველ წყებისა), რომელშიაც ვიორჯი ბრწყინვალე ჯერ კიდევ არ მოიხსენება როგორც მეფეთ-მეფე და რომელიც ეკუთვნის 1314 წლის წინანდელ ხანას, ვიდრე ვიორჯი სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფობას დაიკვიდრებდა.

2) 1314 წლის შემდეგ განწესებულია აღაპთა მეორე წყება (რომელშიაც ვიორჯი მეფეთ-მეფედ იწოდება). ვიორჯი ბრწყინვალე, როგორც ირკვევა, უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველებს უფლებათა დაცვას პალესტინაში და ვიორჯის მისიის შემსრუტებელნი მისი გამეფების პირველ წლებშივე სწავებან პალესტინის ქართული კოლონიის ცენტრს ჭვარის საეპისკოპოსოსში. ვიორჯი ბრწყინვალეს, ჩანს, დიდი შეწირულება გაუგზავნია ჭვარში, რათა ქართულ კოლონიას საშუალება მისცემოდა დემოკრატიზაცია ჭვარის განახლება, რომელიც წამოწყებული იყო 1305—1314 წლებში. თუ რამდენად დიდი იყო ვიორჯი ბრწყინვალის ვაგზავნილი სახსრები, ჩანს იმის მიხედვით, რომ ვიორჯი ბრწყინვალისათვის განწესებული ბუთი ილაპი (ეს იმ დროს, როდესაც ჭვარის მეურვე დანარჩენ მეფეთათვის, დავით VIII-ისათვის, ვახტანგ III-ისათვის და კონსტანტინესათვის განწესებულია თითო აღაპი). ეს მეორე წყება ვიორჯის აღაპთა (ბუთი აღაპი) განწესებულია და ჩაწერილია მატთანებში, როგორც გამოირკვეა, ერთდროულად. განწესებულია ისინი 1314 წლის შემდეგ, უახლოვეს წლებში (როგორც ირკვევა, 1314—1318 წლებს შორის).

3) მეორე წყების ბუთი აღაპის შემდეგ, როგორც გამოირკვეულა ვეკონდა, განწესებულია ერთი აღაპი შესამე წყებისა. ეს შემდგომი ხანის აღაპი ვიორჯი ბრწყინვალისა, ჩანს, განწესებულია 1318 წელს ვიორჯი ბრწყინვალის ელჩებს, რომელნიც წარგზავნილი იყვნენ ეგვიპტის სულთანთან და ვხად განწესეს იერუსალიმში.

4) კიდევ უფრო გვიან არის განწესებული აღაპი პიპა ქვენიფნეველისა (რომ პიპას აღაპი უფრო გვიანაა პირველ სამ ქვეფთან შედარებით, ეს დოკუმენტრად დასტურდება იმის მიხედვით, რომ აღაპები პირველ ქვეფებისა შეტანილია მოკლე ნუსხის ახალი ნაწილის პირველ ფენაში, ხოლო პიპას აღაპი შეტანილია უფრო გვიანდელ მეორე ფენაში).

როგორც ირკვევა „ქველი ერისთავთა“-ს მოთხოზობიდან, პიპა ქვენიფნეველს აღაპები განწესებია ეგვიპტის სულთანთან ელჩობის შემდეგ, როდესაც მან გამოიარა იერუსალიმში ამის მიხედვით პიპას ელჩობა უნდა მიეკუთვნოს 1320 წელს. ვიორჯი ბრწყინვალის პირველ ელჩებს, რომელნიც ჩვიდნენ კაიროში 1318 წელს, სხვა პოლიტიკური საკითხები ვადაუწყვეტიათ. ხოლო ვადაცემა ქართველთათვის ქრისტეს საფლავის საგანისა და „იერუსალიმის კლიტედ“ წოდებულ ვასალებთა მეორე ელჩობის დროს, 1320 წელს მომხდარა.

181—182. შაპანშა (შანშა), მოხსენებული აღაპებში T—39 და T—51, არის შაპანშა II მხარგრძელი, რომელიც იყო საქართველოს სახელმწიფოს ვაზირად (ჯერ მანდატურთ-უხუცესად, ხოლო შემდეგ ათაბაგ-ამირსპასალარად) 1290—1320 წლებში (იხ. ვაზირთა სიაში, 55-ე). რამდენადაც აღაპი ჩაწერილია 1320 წლის შემდეგ, იგი განწესებული ყოფილა შაპანშას გარდაცვალების გამო. განწესებულია იგი მის ასულს (T—51).

183. გამრეკელი კახას შვილი არის თორელი. ერისთავთ-ერისთავი; იგი მოიხსენება ეპითა-აღმწერელთან მე-14 საუკუნის დასაწყისში<sup>1</sup>. აღაპი გამრეკელისა, ისევე როგორც დანარჩენი აღაპები XXV ქვეფისა განწესებულია 1320 წლის ახლო (ჩაწერილია იგი მატთანებში, როგორც მოვიხსენეთ, არა უადრეს 1320 წლისა).

#### მოსახსენებელია XXXV-პ ქვეფი.

183. ზაქარია შანშეს ძე ათაბაგი.

იმავე მდივანმწიგნობარს, რომელსაც ჩაუწერია ვიორჯი ბრწყინვალის ზემოთ განხილული აღაპები მეორე წყებისა, რომლებიც 1314—1320 წლებს ეკუთ-

<sup>1</sup> იხ. ეპითა-აღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 317.

ენის, უფრო გვიან, 1230-იან წლებში, მთავარ მატრიანეში ჩაუწერია ალაბე 74, რომელშიც იკითხვის:

21 ნომბერი.

„ამას დღესა წირვად და ალაბი საუჯუნო შანშეს შვილისა ათაბაგისა ზაქარაიასი.“

იგი არის საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი ზაქარია III (შანშე II-ის ძე) მხარგრძელი, რომელიც ათაბაგად იყო 1320—1330/5 წლებში (იხ. ვაზირთა სიაში 56-ე).

მოსხენებელთა XXXVI ჯგუფი.

XXXVI ჯგუფი შეიცავს 9 ალაბს, რომლებიც ჩაწერილია მთავარ მატრიანეში ერთი მდივან-მწიგნობრის მიერ, და რომლებიც განწესებულია შემდეგ პირთათვის:

168-ბ. ბექას შვილი უუარუარე (ალაბი № 53/51);

185. ბექას შვილი შალვა (ალაბი № 22/21);

186. შანშაჰს ძმა ალბულა (ალაბი № 29/28);

187. შანშაჰს ძმა ვაჰრამ (ალაბი № 30/29);

188—189. სარგისის ცოლი თამარი, და მისი დედა ხათუთა (ალაბი № 97/94);

190. ამირლამბარ ფანასკერტელი (ალაბი № 105/102);

191. რუსუდანი, ფანასკერტელის მეუღლე (ალაბი № 250/246);

192—193. პეტრიკ კოპაძეს და მისი მეუღლე ვახაბი (ალაბი № 121/118);

194. მირიან კოპაძეს (ალაბი № 192/190);

168-ბ, 185. ბექას შვილნი ყვარყვარე და შალვა არიან ცნობილი ისტორიული მოღვაწენი, ძენი ბექა ჯაყელ-ციხისჯვარელისა, ვაზირის მანდატურთ-უხუცესისა (იხ. ზემოთ, გვ. 165).

186—187. შანშაჰს ძმები ალბულა და ვაჰრამ არიან ძმები შანშა (შაჰანშა) II მხარგრძელისა, საქართველოს სახელმწიფოს ვაზირისა<sup>1</sup>.

188—189. ალაბი № 97/94 მოხსენებულნი პირნი არიან: სარგის (III) თმოგველი, მისი მეუღლე თამარი და დედა ხათუთა.

190—191. რუსუდანი, ფანასკერტელის მეუღლე, ჩანს, არის რუსუდანი, მეუღლე თაყა ფანასკერტელისა, ტაოს ერისთავთ-ერისთავისა, რომელიც მოხსენება ზემოთ განხილულ ალაბებში (იხ. გვ. 154). ამირლამბარ ფანასკერტელი, ჩანს, არის შემკვიდრე თაყა ფანასკერტელისა ტაოს ერისთავთ-ერისთავის თანამდებობაზე.

192—194. კოპაძენი — ტაოელ დიდებულთა გვარეულობა.

ალაბები ეკუთვნის 1320-იან—1330-იან წლებს.

მოსხენებელთა XXXVI-ბ ჯგუფი.

იმ პირთა შორის, რომლებიც მოხსენებიან XXXVI ჯგუფში, ორი პირისათვის განწესებულია აგრეთვე სხვა ალაბები (რომლებიც ჩაწერილია მთავარ მატრიანეში სხვა დროს და სხვა მდივან-მწიგნობრის მიერ), სახელდობრ შემდეგ პირთათვის:

186-ბ. ალბულა მხარგრძელი (ალაბი № 237/269).

194-ბ. მირიან კოპაძეს (ალაბი № 137).

ალაბი ალბულასი ასე იკითხება:

<sup>1</sup> იხ. გენეალოგიური ნუსხები მხარგრძელთა მ. ბრძოლში („Additions...“) და ლ. ალიშანისა („შირაკი...“). ვლ. მეტრეველი. დასაბ. შრომა, გვ. 125.

<sup>2</sup> იხ. ჩვენი „რუსთველიანა“ (თხზულებათა კრებული, I, 1963, გვ. 32—35).

20 იელისი.

„ამასვე დღესა აღაბი შანშას შვილისა აღბუღასი... ვაჟინა ყუარყუარეს მუღლუმან ბორენა“.

აღბულა მხარგრძელი იყო შანშა (შაპანშა) I-ის შვილისშვილი და შანშა II-ის ძმა. ამ აღაბში იგი მოიხსენება როგორც შვილისშვილი შანშასი (I-ისა), ხოლო ზემოთ განხილულ აღაბში № 29/28 იგი მოიხსენება როგორც ძმა შანშასი (II-ისა).

აღბულა მხარგრძელისათვის აღაბი განუწესებია ბორენას, ყუარყუარეს მუღლუმანს. ეს ყუარყუარე არის ბექას შვილი ყუარყუარე ჯაყელი-ციხისჯვარელი, რომელიც მოხსენებულია ზემოთ განხილულ აღაბებში №№ 53/51 და T—56/M—41. ჯაყელ-ციხისჯვარელთა სახლი და მხარგრძელთა სახლი XIII—XIV საუკუნეებში ოჯახურად იყვნენ დანათესავებულნი.

#### მოხაზუნებულთა XXXVII ჯგუფი.

XXXVII ჯგუფი შეიცავს 15 აღაბს. ჩაწერილია ისინი მთავარ მატრიანეში ერთი და იმავე ხელით, ერთი მდივან-მწიგნობრის მიერ (თვით სტილი ამ აღაბებშია, და კერძოდ „შეკერის“ ტექსტი, ერთნაირია). განწესებულია ეს აღაბები შემდეგ ბირთათვის:

- 168-გ. ყუარყუარე ჯაყელი-ციხისჯვარელი (აღაბი № 194/192).
195. არსენი გორაძესე (აღაბი № 231/228).
196. საბა ჯვარის შამა (აღაბი № 95/92).
197. ივანე, ქართლის ერისთავისა ძმა (აღაბი № 302/296).
- 198—199. ბახილი ჭყონდიდის დეკანოზი (აღაბი № 109/106) და შიკელ ფახულანის დეკანოზი (აღაბები № 241/237), — ორივე ოდიშიდან.
200. არსენი ჩიხუარელი (აღაბი № 116/113), სოფლიდან ჩიხუარა ანუ ჩიხორი (სოფელი ამ სანჯლუღებში ორია ცნობილი: ლიხთ-იშერეთში და შავშეთ-იშერებევში).
201. ასუა ძოდელი (აღაბი № 91/88), ლიხთ-იშერეთიდან, სოფლიდან ძოდი (ამჟამად ზოდი).
202. მახარებელი ქარციხეშე (აღაბი № 242/238).
203. პავლე ქლიაიხსე (აღაბი № 260/256).
204. ბახილი კაჭაძე (აღაბი № 143/141).
205. გიორგი წურერიდი (აღაბი № 217/214).
- 206—207. პავლე და მახარებელი (აღაბი № 261/257).
208. დავითაძე (აღაბი № 134/132).
209. ივანაძე (აღაბი № 243/239).

168-გ. ყუარყუარე, მოხსენებული აღაბში № 194/192, ცხადია არის ყუარყუარე სპასილარი (შემდეგ ამირსპასილარი), ჯაყელი-ციხისჯვარელი, რომლისთვისაც განწესებულია ზემოთ განხილული აღაბები №№ 53/51 და T—56/M—41.

ამის მიხედვით აღაბთა ეს ჯგუფი თარიღდება მე-14 საუკუნის პირველი ნახევრით. იგი, ჩანს, ჩაწერილია მატრიანეში სხვადასხვა დროს, უმთავრესად 1320-იან წლებში.

ნაწილი აღაბებისა შესაძლოა ჩაწერილი იყვეს ოდნავ ადრეც; ასე აღაბი ყუარყუარე სპასილარისა, თუ იგი ერთდროულია აღაბისა T—56/M—41, ჩაწერილი უნდა იყვეს 1320-იან წლებზე ადრე, 1305—1320 წლებს შორის, რა დროსაც ეკუთვნის T—56/M—41 (იხ. ზემოთ, გვ. 165). ხოლო ნაწილი აღაბებისა შესაძლოა 1320-იან წლებზე ოდნავ გვიანია (როგორც აღაბი საბა წინამძღვრისა, რომელიც ჯვარის მამად უფოფლა სვიმონ ელმელიქისძის შემდეგ, ე. ი. ან 1320-იანი წლების დასასრულიდან, ან 1330-იანი წლებიდან მოკიდებულია).

195. არსენი გორაძესე ჩანს არის ის არსენი, რომელიც წარმოდგენილია ჯვარის მონასტრის მხატვრობაში და რომლის წარწერას, დაზიანებულს (ყველა ნიშნებით მხატვრობის განახლების დროს არასწორად აღდგენილს), ასე კითხულობენ: „არსენ აერის“ (? კითხვითი ნიშნით, ნ. ჩუბინაშვილი), „არსენი[ს] ვრს“ (აღ. ცაგარელი).

არსენის შესახებ საუბარი გვაქვს მესამე ნარკვევში, რომელიც სპეციალურად მიძღვნილია ჯვარის მხატვრობისათვის. არსენის, როგორც ირკვევა, მონაწილეობა მიუღია ჯვარის მონასტრის მხატვრობის განახლებაში მე-14 საუკუნის პირველ მეოთხედში, ჯვარის გამოხსნის შემდეგ (ამ დროინდელი, კერძოდ, ფრესკა მოწამის ლუკა მუზაას ძისა, ჯვარის წინამძღვრისა).

ამავე პერიოდს, 1320 წლის ახლო დროს, ეკუთვნის არსენის ალაბი. იგი ასე იკითხვის:

მ შიოს.  
 „ამავე დღესა ალაბი არსენი გორაასძისაა, საუენოა სრული...“

**მოსახსენებელია XXXVIII ჩუღუი.**

210—212. ვარამ დიასამისძე, მისი პირველი მეუღლე ესნათოზ, მეორე მეუღლე თამარ.

ჩვენ უკვე საუბარი გვქონდა იმის შესახებ, რომ ლობიეთის კანტონი სამცხეში, რომელიც ლობიერთა გვარეულობის სამფლობელოს წარმოადგენდა, შემდეგ გადასულა დიასამისძეთა გვარეულობაზე, რის შემდეგაც ამ კანტონს „დიასამისძეთა სახლი“ ეწოდა.

ვარამ დიასამისძე, როგორც ირკვევა, პირველი წარმომადგენელია ახალი გვარისა, დიასამისძეთა სახლისა, რომელმაც დაიმკვიდრა ლობიერთა სამფლობელო.

ვარამ დიასამისძისა და მისი ოჯახის წევრთათვის ჯვარის მთავარ მატთანში ოთხი ალაბია ჩაწერილი.

მათ შორის ყველაზე ადრინდელია მოსახსენებელი ვარამ დიასამისძის პირველი მეუღლის ესნათოზისა (№ 66/64), რომელიც ასე იკითხვის:

15 ნოემბერი.  
 „[დიასამისძისა ვარამის ცოლსა ესნათოზს შეუნდვენ ღმერთმან. მისთვისა გაეპინეთ შაბათ-კვირათა პანაშუდი, ეთა რუსუდანისი იყო...“

აქ დასახელებული რუსუდანი არის მეუღლე თაყა ფანასკერტელისა, რომელთათვის გაჩენილი იყო შაბათ-კვირათა პანაშუდი 1310-იან წლებში სვიმონ ელმელიქისძის მიერ, რომელიც იყო ჯვარის წინამძღვრად დაახლოებით 1310—1320-იან წლებში (იხ. ზევით, გვ. 167). ის გარემოება, რომ რუსუდანი აქ დასახელებულია როგორც ახლო შავალითი, გვიჩვენებს, რომ ესნათოზის მოსახსენებელი ბევრით არ არის დაშორებული დროის მიხედვით რუსუდანის მოსახსენებელს, რომ იგი აგრეთვე განწესებულა იმავე წინამძღვრის სვიმონ ელმელიქისძის მიერ, რომელმაც განაჩინა რუსუდანის მოსახსენებელი (ესნათოზის სსოფნის განმწესებელი წინამძღვარი აქ იგონებს თავისსავე წინა განკარგულებას). ამის მიხედვით მოსახსენებელი ვარამ დიასამისძის მეუღლის ესნათოზისა 1230 წელზე გვიანდელი არ არის.

რაც შეეხება ვარამ დიასამისძისა და მისი ოჯახის წევრთა დანარჩენ მოსახსენებლებს, ისინი განწესებულია შემდეგ, 1250/60-იან წლებში, სახელდობრ ალაბები თვით ვარამ დიასამისძისა № 103/100 (ჩაწერილი მატთანში შდივან-მწიგნობრის მიერ, რომელიც ჩანს მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში) და ვარამის მეორე მეუღლის თამარისა (ალაბები №№ 104/101, 79/77).

**მოსახსენებელია XXXIX ჩუღუი.**

213. ეფთუმე ქართლისა კათალიკოზი.  
 იგი იყო თანამოღვაწე გიორგი ბრწყინვალისა. მისთვის განწესებულია ორი ალაბი (№№ 172/170, 234/231, ჩაწერილი მთავარ მატთანში).

214. საბა ჭუარელი. მოსახსენებელი საბა ჭუარელის მონაზონისა (რომელიც ორგზის არის განმეორებული, №№ 233/230 და 235/232) ჩაწერილია მთავარ მატრიანეში იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია ალაბი ეფთვზე კათალიკონისა № 234/231.

მოსახსენებელი XL ჯგუფი.

215. მელქისედეკ ალასტნელი ბაგრატიონი.

მელქისედეკ ალასტნელი, მთავარი ჭავჭავაძისა, სამხრეთ ქართლისა (ქართლის სომხითისა) და ანისის მხარისა, არის თანამედროვე გიორგი ბრწყინვალისა. მისთვის განწესებულია ალაბი № 144/142 (ჩაწერილი მთავარ მატრიანეში).

VII

საპატივითი მონაზონის  
ჯვარის ქართული საბანის ალაბათა შესახებ  
„მოძრავი კალენდარის“ ციკლისა

ჩვენ დავამთავრეთ მიმოხილვა ჯვარის მატრიანეთა მთავარი, უძველესი ნაწილისა, რომელიც მოიცავს ცნობებს XIII საუკუნისა და XIV საუკუნის პირველი ნახევრის შესახებ, დავადგინეთ ვინ — ვინ იყო, და ვისი ალაბი როდის არის ჩაწერილი მატრიანეებში.

მიმოხილვის დასასრულს, ჩვენ ერთხელ კიდევ დავებრუნდებით ჯვარის მონასტრის ალაბების ერთ ციკლს, სახელდობრ „მოძრავი კალენდარის“ ალაბებს; ეს იმის გამო, რომ შოთას ალაბი სწორედ ამ ჯგუფს, „მოძრავი კალენდარის“ ციკლს ეკუთვნის. ჩვენ შევაჩამებთ ყველა იმ ცნობებს, რაც ამ ციკლის ალაბების შესახებ დადგენილი გვქონდა გამოკვლევის მანძილზე და აღვადგენთ მთლიან სურათს. ეს შეჩამება მოგვცემს საშუალებას ერთხელ კიდევ შევამოწმოთ სათარიღო მიჯნები, დავაზუსტოთ ქრონოლოგიის საფუძვლები.

თუ რას წარმოადგენს „მოძრავი კალენდარი“, ამას შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. როგორც ცნობილია, ქრისტიანული დღესასწაულები ორნაირი კალენდარით აღინიშნება: „უძრავი კალენდარით“ (ე. ი. მთავარის კალენდარით) და „მოძრავი კალენდარით“ (ე. ი. მთავარის კალენდარით). დღესასწაულები „უძრავი კალენდარისა“ (შპის კალენდარისა) ყოველ წელიწადს მოდის ერთსა და იმავე თარიღზე, ერთსა და იმავე თვესა და რიცხვს. ხოლო დღესასწაულები „მოძრავი კალენდარისა“ (მთავარის კალენდარისა) მოძრაობს, სხვადასხვა წლებში სხვადასხვა თარიღებზე მოდის (როგორც, მაგალითად, გაზაფხულისა და ზაფხულის დღი დღესასწაულების ციკლი, დაწყებული აღდგომიდან, ვიდრე „სულიწმინდის მოფენისა“ და ათენგენობის დღესასწაულებამდე).

თუ ჩვენ შევუფარდებთ ერთმანეთს იმ ცნობებს, რაც გამოიკვება „მოძრავი კალენდარის ალაბათა შესწავლის დროს, ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ „მოძრავი კალენდარის ალაბები ხუთ ქრონოლოგიურ ჯგუფს შეადგენს.

პირველი ჯგუფი: 6 ალაბი, განწესებული 1210/20—1250 წლებს შორის (მათ შორის არის შოთას ალაბი).

მეორე ჯგუფი: 35 ალაბი, განწესებულია 1250—1274 წლებს შორის.

(შემდეგ პერიოდში, 1274 წლიდან — ვიდრე 1305 წლამდე, როდესაც ჯვარის მონასტერი მუსულმანებს ეპირათ, მატრიანეებში, როგორც გამოიკვება, ახალი ალაბები, როგორც შესასრულებელი, აღარ შეიქმნა).

მესამე ჯგუფი: 6 ალაბი 1305—1309 წლებისა.

მეოთხე ჯგუფი: 7 ალაბი 1305/9—1320 წლებისა.

მეხუთე ჯგუფი: 16 ალაბი 1320—1400 წლებისა.

გავეცნოთ უფრო ახლო თვითვეულ ჯგუფს.



## პირველი წიგნი

 6 ალაბი 1210/1250 წლებსა  
 (ჩაწერილი მთავარ სააღაპე მატჩანეში)

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ჭვარის მთავარ სააღაპე მატჩანეში, რომელიც გახსნეს XIII საუკუნის დასაწყისში, თავდაპირველად იწერებოდა ორივე ჭკუფის ალაპები, როგორც „უძრავი კალენდარისა“ (მზის კალენდარისა), ისე „მოძრავი კალენდარისა“ (მთვარის კალენდარისა). ხოლო შემდეგ, როდესაც მოალაპეთა რიცხვი გაიზარდა, უფრო მიზანშეწონილად დაუნახავთ, რათა მეორე ჭკუფისათვის, „მოძრავი კალენდარის“ ალაპებისათვის, ცალკე ახალი სპეციალური წიგნი შემოეღოთ (რადგან ორი ცალკე წიგნის მიხედვით უფრო მოსახერხებელი იყო ყოველდღიური შეფარდება, თუ თვის რა რიცხვზე ხედებოდა ერთმანეთს „უძრავი“ და „მოძრავი“ კალენდარის ალაპები).

გაყოფა კალენდარის ამ ორი წრისა და „მოძრავი კალენდარის“ ალაპათთვის ცალკე სპეციალური წიგნის შემოღება, მომხდარა, როგორც გამორკვეული იყო, 1250 წლის ახლო (იხ. ზევით, „მნათობი“ № 5, გვ. 171—173).

მოძრავი კალენდარის ალაპთა პირველი უძველესი ჭკუფი, რომელიც ჩაწერილია მთავარ სააღაპე მატჩანეში (ორი კალენდარის გაყოფამდე), შეიცავს ექვს ალაპს, რომლებიც, როგორც გამოირკვა, განწესებულია სხვადასხვა დროს, 1210/20-იან წლებიდან ვიდრე 1250 წლამდე. სახელდობრ, ალაპები განწესებულია შემდეგ პირთათვის, შემდეგ წლებში:

1. თამარ, მამლაქანისძისა ახული. 1210—1220 წ.  
(ალაბი № 64/65. — იხ. გამოკვლევაში, რიგით მე-4).
2. გრიგოლ დრანდელი. 1225/30—1250 წ.  
(ალაბი № 3/2. — იხ. გამოკვლევაში, მე-21).
3. იოსებ ზაფთაძის (ზაფთაძისძე). 1240—1250 წ.  
(ალაბი № 48ბ/35ბ. — იხ. გამოკვლევაში, 22-ე).
4. შოთა რუსთველი, მეჭურჭლეთ-უზუტევი. 1245—1250 წ.  
(ალაბი № 79/49. — იხ. გამოკვლევაში 26-ე).
5. ძაგან ახულეთისძე. 1250 წლის ახლო.  
(ალაბი № 74/52. — იხ. გამოკვლევაში, 23-ე).
6. გრიგოლ ფანასკერტელი. 1250 წლის ახლო.  
(ალაბი № [T-79]—იხ. გამოკვლევაში, 25-ე).

## მეორე წიგნი

 35 ალაბი 1250—1274 წლებსა  
 (ჩაწერილი მოძრავი კალენდარის ალაპთა  
 სპეციალურ წიგნში)

მეორე სპეციალური სააღაპე წიგნი მოძრავი კალენდარისა, როგორც აღვნიშნეთ, შემოღებული ყოფილა 1250 წლის ახლო დროიდან. ეს მეორე სპეციალური წიგნი, მისი პირველდანი, ჩვენ დრომდე არ მოღწეულა, მაგრამ ალაპები, რომლებიც შეტანილი იყო ამ მეორე სპეციალურ წიგნში, გადმოწერილია მოკლე სააღაპე ნუსხაში, რომელიც დაუმზადებიათ ჭვარის მონასტერში 1305—1309 წლებს შორის. ამრიგად, თუ როგორი იყო შედგენილობა ამ მეორე სპეციალური სააღაპე წიგნისა, ამის დადგენა ზუსტად ხერხდება ჩვენამდე მოღწეული მოკლე სააღაპე ნუსხის მიხედვით.

სულ ამ მეორე სპეციალურ წიგნში ჩაწერილი ყოფილა 35 ალაბი 1250—1274 წლებსა. განწესებულია ეს ალაპები შემდეგ პირთათვის, შემდეგ წლებში:

<sup>1</sup> ალაპთა ქვემოთ-მოყვანილ ორმაგ ნუმერაციაში პირველი რიცხვი აღნიშნავს ნომერს ტიპურად აღნიშნული ხელნაწერისა, მეორე — ნომერს მარსიველი ხელნაწერისა.

I ქვეჯგუფი:  
 6 ალბი 1250-იანი წლებისა

- 6-ბ. ვრცელ ფანსკერტელი. 1250 წლის ახლო.  
 (ალბი № 32/23. — იხ. გამოკვლევაში, 25-ე).
- 7-8. ვარდან დადიანი და დედა მისი აგუბი. 1250 წლის ახლო.  
 (ალბი № 30/22. — იხ. გამოკვლევაში, 28-ე და 29-ე).
- 9-10. ცოტნე დადიანი და დედა მისი ნათელი. 1250—1260 წ.  
 (ალბი № 24/18. — იხ. გამოკვლევაში 35-ე და 10-ბ).
11. გიორგი ფალქოზისძე. 1250/5—1260 წ.  
 (ალბი № 54/40. — იხ. გამოკვლევაში, 39-ე).
12. თოვლაძე, მუხლან ვიორგი ფალქოზისძისა. 1250/5—1260 წ.  
 (ალბი № 44/31. — იხ. გამოკვლევაში, მე-40).
13. მარუშია ვიორგის შვილი ფალქოზისძე. 1250/5—1260 წ.  
 (ალბი № 17/12. — იხ. გამოკვლევაში, მე-41).

 II ქვეჯგუფი:  
 3 ალბი 1260—1274 წლებისა

14. მეფე დავით VII, გიორგი-ლავას ძე. 1270 წლის ახლო.  
 (ალბი № 12/8. — იხ. გამოკვლევაში, 43-ე).
15. მეფე დავით VI, რუსუდანის ძე. 1274 წლის ახლო.  
 (ალბი № 16/11. — იხ. გამოკვლევაში, 44-ე).
16. შაჰნა I მზარგაძელი. 1250—1274 წ.  
 (ალბი № 29/21. — იხ. გამოკვლევაში, 45-ე).

 III ქვეჯგუფი:  
 26 ალბი 1250—1274 წლებისა  
 (ქრონოლოგიურად განწილებული)

სია და განმარტებანი იხ. 145 გვერდზე.

 \*  
 მისამი ჯგუფი

## 6 ალბი 1305—1309 წლებისა.

როგორც მოეხსენება მკითხველს, 1274 წლიდან ვიდრე 1305 წლამდე ჯვარის მონასტერი მუსულმანებს ეკიბათ, მთავარ ტაძარში გამართული იყო მეჩეთი; ჯვარის ძმობას არ დაუტოვებია იერუსალიმი, ისინი მეტოქში იყვნენ შეფარებულნი, სადაც დიდ შევიწროებას განიცდიდნენ.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებაც, რომ 1274 წლიდან ვიდრე 1305 წლამდე ჯვარის ბიბლიოთეკა გაჩინაგებულა. 1274 წელს, როდესაც მუსულმანებმა დაიპყრეს ჯვარი, ქართველთა ძმობას არ მისცეს ნება გაეტანათ ჯვარიდან რაიმე ქონება, არც სამონასტრო და არც პირადი. მხოლოდ ნაწილი წიგნებისა გაუტანიათ მონასტრიდან, ანდა გადაუმალაეთ (მეუღ მონასტრებში არსებობდა სავანებო სამალაეები, სადაც, მონასტრის განსაცდელის დროს, მალავდნენ წიგნებს).

1305 წელს, როდესაც ქართველებმა დაიბრუნეს მონასტერი, ნაწილი გადარჩენილი წიგნებისა დაზიანებული აღმოჩნდა. ასე, მაგალითად, მთავარი საალაპე წიგნი 1274—1305 წლების მანძილზე დანესტიანებული და საჭირო გამხდარა ნაწერის ვაცხოველება-განახლება (ნაწერი 1305 წლის ახლო ხანებში ვაცხოველება ჯვარელ მწიგნობარს, სახელდობრ იმ პირს, რომელსაც ჩუქურთა მატიანეში ალაპთა XVIII ჯგუფი, იხ. ზევით, გვ. 150—154).

რაც შეეხება მეორე სპეციალურ საალაპე წიგნს, სადაც იწერებოდა „მოძრავი კალენდარის“ ალაპები, იგი იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ მასში ახალი ალაპების ჩაწერა შეუწყვეტიათ. 1305 წლის ახლო, როდესაც საჭირო გამხდარა ოთხი ახალი ალაპის ჩაწერა მატიანეებში მოძრავი კალენდარის თა-

საქართველოს  
ისტორიის

რიღზე, იგი ჩაუწერიათ არა ამ სპეციალურ წიგნში, რომელიც დანიშნულნი იყვნენ შაჰი მოძრავი კალენდარისათვის, არამედ მთავარ საალაპე წიგნში:

- 45. მიქაელ ჭუბისჭუარელი (ქუდისჭუარელი). 1305 წლის ახლო. (ალაბი № 65/46. — იხ. გამოკვლევაში, 104-ე, 104-ბ).
- 46. საღორ ლაშხაბა შვილი. 1305 წლის ახლო. (ალაბი № 36/26. — იხ. გამოკვლევაში, 121-ე).
- 47. უონდო ჭაბობისძე. 1305 წლის ახლო. (ალაბი № 41/28. — იხ. გამოკვლევაში, 122-ე).
- 48-52. გომისძენი (მიცვალებულნი): ზვადი, ივანე, კეკე, ბეჰქენ და სარგის. 1305 წლის ახლო. (ალაბი № 65/46. — იხ. გამოკვლევაში, 123—127-ე).

ოთხივე ალაბი ჩაწერილია ერთდროულად, ერთი მდივან-მწიგნობრის მიერ (რომელსაც ჩაუწერია აგრეთვე ალაბი № 151/149, სადაც აღნიშნულია, რომ ალაბი განწესებულია — „მას ეამსა, ოდეს სულ ტანმან ჭუარო მოგუცა“, ე. ი. 1305 წელს).

ამის შემდეგ, რაც 1305 წლიდან აღდგა ნორმალური ვითარება ჯვარის მონასტერში, სავანის მესვეურნი შესდგომიან სამონასტრო მატანეთა მოწესრიგებას. რაკი „მოძრავი კალენდარის სპეციალური საალაპე წიგნი დაზიანებული ყოფილა, ამიტომ მისგან გადაუღიათ კობიო, მოკლე ნუსხის სახით. აი ეს კობიო არის ეგრეთწოდებული ტიშენდორფისეული ხელნაწერი, რომელიც ჩვენ დრომდე მოღწეულა.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ტიშენდორფისეულ ხელნაწერში არა მხოლოდ გადმოუღიათ კობიო მოძრავი კალენდარის ძველი ალაპებისა, არამედ ამის შემდეგ იგი უქცევიათ დედნად, რომელშიაც შეჰქონდათ ახალი ალაპები, დაწყებული 1305—1309 წლებიდან, ვიდრე მე-17 საუკუნემდე, ჩათვლით.

აქ რამდენიმე შენიშვნა იმის შესახებ, თუ როდის არის გადაწერილი ტიშენდორფისეული ხელნაწერი, ე. ი. მისი ძირითადი პირველი ტექსტი.

ტიშენდორფისეული ხელნაწერის პირველი გამოცემული ვლ. შეტრეველი აღნიშნავს, რომ ხელნაწერი ეყუთვნის მე-13—14 საუკუნეთა მიჯნას, არა უგვიანეს მე-14 საუკუნის დამდეგისა.

ეს თარიღი ზოგადად სწორია, მაგრამ იგი შესაძლოა კიდევ უფრო დაზუსტდეს; ტიშენდორფისეული ხელნაწერი, მისი ძირითადი ტექსტი, გადაწერილია 1305 წლის შემდეგ, 1305—1309 წლებს შორის.

ვიღრე შევხებოდე ტიშენდორფისეული ხელნაწერის თარიღის საკითხს, ჩვენ აქ აღვნიშნავთ, მოძრავი კალენდარის იმ ალაპებს ვარდა, რომლებიც ზევით აყო ჩამოთვლილი, კიდევ ორ ალაპს, რომლებიც მე-14 საუკუნის დასაწყისს ეყუთვნის და განწესებულია შემდეგ პირთათვის, შემდეგ წლებში:

- 53. ლიპარიტ კვიციანი. 1305/9 წ. (ალაბი № 42/29. — იხ. გამოკვლევაში, 164-ე).
- 54. ბექა მანდატურო-უზუცესი. 1309 წლის ახლო. (ალაბი № T-19. — იხ. გამოკვლევაში, 97-ე).

რომ ტიშენდორფისეული ხელნაწერი გადაწერილია არა უადრეს 1305 წლისა და არა უგვიანეს 1309 წლისა, ეს ირკვევა შემდეგის მიხედვით:

1. ტიშენდორფისეულ ხელნაწერში (მის ძირითად პირველ ტექსტში) შეტანილია მოძრავი კალენდარის არა მხოლოდ ძველი ალაპები მე-13 საუკუნისა, არამედ აქ შეტანილია ოთხი ალაბი 1305 წლის ახლო დროისა, 1305 წლის შემდეგ განწესებული (მიქაელ ჭუბისჭუარელისა, საღორ ლაშხაბა-შვილისა, უონდო ჭაბობისძისა და გომისძეთა), რომლებზედაც აქვე, ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ. ამვე გვერდზე, №№ 45, 46, 47, 48—52). როგორც მოვიხსენეთ, მდივან-მწიგნობარი, რომელსაც შეტანია ეს ოთხი ალაბი, ჩანს ჯვარის სახეთებში 1305 წლის შემდეგ, მას შეაქვს ალაპები მთავარ მატანისა იმ დროიდან, რაც ჯვარი დაიბრუნეს ქართველებმა 1305 წელს (ალაბი № 151/149 იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ალაბი განწესებულია „მას ეამსა, ოდეს სულ ტანმა ჭუარო მოგუცა). ხოლო რაკი ეს ოთხი ალაბი მთავარი მატანიდან შემდეგ გადმოწერილია ტიშენდორფისეულ ხელნაწერში, ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი 1305 წელზე გვიანდელია.

2. ტიშენდორფისეულ ხელნაწერში (ძირითად ტექსტში) შეტანილი აღაქმის დამატებითი კვებულისა (იხ. ზევით, გვ. 161). ეს აღაქმა განუწესებიათ იმ დროს, როდესაც მოქმედებდა ტიშენდორფისეულ ხელნაწერს. (იგი გვხვდება მხოლოდ ტიშენდორფისეულ ხელნაწერში). ხოლო ლიპარიტ კვებულის მოხსენება ყავახეთის დრტილას ეკლესიის წარწერაში 1307/8 წელს. ამრიგად აქაც ჩვენ ვაქვს მითითება იმავე თარიღზე.

3. როგორც მოიხსენიეთ, ტიშენდორფისეულ ხელნაწერში გადმოუწერაით მთავარი მატიანიდან თბი ალაბი მოძრავი კალენდარის წრისა 1305 წლის ახლო დროისა (ე. ი. მიქელ კუბისეულად და სხვათა); ხოლო არაა გადმოწერილი აღაქმა მანდატურთ-უხუცესისა № 310/305, რომელიც 1309 წლის ახლო დროს ეკუთვნის; იგი ამ დროს ვერ კიდევ არ ყოფილა განწესებული. ამის მიხედვით ტიშენდორფისეული ხელნაწერის ძირითადი ტექსტი 1309 წელზე ადრინდელია.

#### მიოთხე ჯგუფი

7 აღაქმა 1305/9—1320 წლებისა

(ჩაწერილი მოკლე ნუსხის დამატებული ნაწილის

პირველ ფენაში)

ჯვარის აღაქმა ნუსხა, რომელიც დაცულია ტიშენდორფისეულ ხელნაწერში და რომელიც გადაუწერიათ ჯვარში 1305—1309 წლებს შორის, ამის შემდეგ, როგორც მოხსენებული გვქონდა, უძველესი დედნიად, რომელშიაც შექმნილია „მოძრავი კალენდარის“ ახალი აღაქმები, დაწყებული 1305—1309 წლებიდან ვიდრე მე-17 საუკუნემდე, ჩათვლით.

სულ ეს მეორე ნაწილი (ე. ი. დამატებული ნაწილი) ტიშენდორფისეული ხელნაწერისა, რომელიც ეკუთვნის დროს 1305—1309 წლებიდან ვიდრე მე-17 საუკუნემდე, შეიცავს 56 მოსახსენებელს.

დროის მიხედვით, ეს მეორე ნაწილი (დამატებული ნაწილი) სამ ფენად ნაწილდება:

პირველი ფენა — 7 აღაქმა ჩაწერილია მატიანეში 1305/9 წლებიდან ვიდრე 1320 წლამდე;

მეორე ფენა — 16 აღაქმა ჩაწერილია მატიანეში 1320 წლიდან 1400 წლამდე;

მესამე ფენა — დანარჩენი 33 აღაქმა და მოსახსენებელი ჩაწერილია მატიანეში 1400 წლიდან — მე-17 საუკუნემდე.

პირველი ფენა, 7 აღაქმა, რომელიც ეკუთვნის დროს 1305/9 წლებიდან — 1320 წლამდე, განწესებულია შემდეგ პირობათვის:

55. გიორგი მეფე (V, ბრწყინვალე). 1314—1318 წწ.

(ალაბი № 28/20). — იხ. გამოკვლევაში, 166-ე).

55-ბ, 56. გიორგი მეფე (V, ბრწყინვალე), დედა ნიხიზე (შემონახონებული, ნათელ ყოფილი). 1318 წწ.

(ალაბი № 69/48. — იხ. გამოკვლევაში, 166-ე, 167-ე).

1 ბეჭედი მანდატურთ-უხუცესისა № 310/305 აღაქმის შესახებ საჭიროა დამატებითი შემდეგი აღნიშვნით. 1309 წლის ახლო ბეჭედადის ერთდროულად გაუნერიათ სამი აღაქმა (იხ. ზევით, გვ. 150). ამასთან თბი აღაქმა უძრავი კალენდარისა (№ 5/4ა და 152/150), ხოლო ერთი მოძრავი კალენდარისა (№ 310/305). მდებარე-მწიგნობარს ისინი აღარ დაუშორებია ერთმანეთისაგან და ჩაუწერია ერთდროულად ერთ წიგნში, მთავარ სალაბე მატიანეში. ტიშენდორფისეული ხელნაწერი ამ დროს უკვე გადაწერილი ყოფილა, ამიტომ ბეჭდის აღაქმა მოძრავი კალენდარის ციკლისა (№ 310/305), როგორც აღვნიშნეთ, აღარ მოხვედრია ტიშენდორფისეულ ხელნაწერის ძირითად ტექსტში. მხოლოდ უფრო გვიან, 1320 წლის შემდეგ გადაუწერაით ეს აღაქმა ტიშენდორფისეულ ხელნაწერის ახალ (დამატებულ) ნაწილში.

რაც შეეხება უკანასკნელ თარიღს — 1320 წელს — ეს შემდეგის მიხედვით ირკვევა: 1320 წლის ახლო ტიშენდორფისეული ხელნაწერიდან გადაუღიათ მეორე კოპია, ცნობილი მარსეულ ხელნაწერის სახელით, ხოლო აქ არაა წარმოდგენილი ბეჭედი აღაქმა; ამგვარაა ამის მიხედვით, რომ ეს აღაქმა გადაუწერიათ ტიშენდორფისეულ ხელნაწერში 1320 წლის შემდეგ.



- 57. გამრეცილი ღობიარი, ერისთავთ-ერისთავი. 1305/14—1320 წ.  
(აღაბი № 72/51. — იხ. გამოკვლევაში, 187-ე).
- 58. აღბულა ქობულისძე. 1305/14—1320 წ.  
(აღაბი № 45/32. — იხ. გამოკვლევაში, 188-ე).
- 59—60. ვიორგი და მიქაელ ლაშხის-შვილნი. 1305/14—1320 წ.  
(აღაბი № 50/37. — იხ. გამოკვლევაში 189-ე, 190-ე).
- 61. მიქაელ, ვრიგოლის ძმაა. 1305/14—1320 წ.  
(აღაბი № 26/19. — იხ. გამოკვლევაში, 191-ე).

მეორე მხარე

16 აღაბი 1320—1400 წლებისა  
(ჩაწერილი მოკლე ნუსხის დამატებული ნაწილის  
მეორე ფენაში)

სახლგარი აღაბთა მოკლე ნუსხის პირველ ფენასა (რომელიც ეკუთვნის 1305/9—1320 წლებს) და მეორე ფენას შორის (რომელიც ეკუთვნის 1320—1400 წლებს) ირკვევა შემდეგის მიხედვით. 1320 წლის ახლო (არა უგვიანეს 1320 წლისა) ჯვარის აღაბთა მოკლე ნუსხის ხელნაწერიდან (ეგრეთწოდებული ტიშენდორფისეული ხელნაწერიდან) გადაუღიათ კობიო. (რომელიც დაცულია ეგრეთწოდებულ მარისეულ ხელნაწერში). ამ კობიოში შესულია პირველი ფენის 7 აღაბი, ხოლო არაა შესული მეორე ფენის 16 აღაბი; აქედან ირკვევა, რომ პირველი ფენის 7 აღაბი უკვე ყოფილა დედანში კობიოს გადაღების დროს (1320 წლამდე), ხოლო მეორე ფენის 16 აღაბი ჩაუწერიათ დედანში კობიოს გადაღების შემდეგ, ე. ი. 1320 წლიდან დაწყებული.

დასახელებული 16 აღაბი განწესებულია შემდეგ წლებში:

I ქვეჯგუფი:

5 აღაბი 1320-იანი წლებისა

სია და განმარტებანი იხ. გვ. 165—168.

II ქვეჯგუფი:

1 აღაბი 1346—1360 წლებისა

და 10 აღაბი 1320—1400 წლებისა (ქრონოლოგიურად გაუნაწილებელი).

იხ. აღაბები ტიშენდორფისეული ხელნაწერისა №№ 33, 6, 13, 21, 27, 31, 37, 38, 67, 68, 77 (ეს უკანასკნელი არ ვაირჩევთ).

აღაბი № 33, რომლის ტექსტი ამოხსნა ი ასულგმა (Georgische Handschriften გვ. 62), განწესებულია საქართველოს მეფის დავით IX-ისათვის (1346—1360); ეს დასტურდება მისი ტექსტის შეფარდებიდან მოთავარი მატანიის აღაბთან № 196/194.

VIII

შეჯამება

ჩვენ დაეასრულეთ ეს ხანგრძლივი მოგზაურობა მე—13-14 საუკუნეებში ჯვარის ქართული სავანის მატრიანების მიხედვით. ჩვენ ხშირად მოგვიხდა დეტალური განხილვა მთელი რიგი ისეთი საკითხებისა, რაც შეიძლება ვისმე წვრილმანებზე შეჩერებდალ ეჩვენოს, მაგრამ, როგორც აღენიშნავდით, ჩვენს წინაშე ისეთი დიდი მნიშვნელობის პრობლემა გადასაჭრელი, რომ არ შეიძლება თუნდაც ერთი წვრილმანი, რასაც კავშირი აქვს ძირითად საკითხებთან, დარჩეს განუხილველი და შეუმოწმებელი.

12. მნათობი, ზნ 6.

პოეტის სიტყვები რომ გავიმეოროთ, ჩვენ ხშირად ცალკე საკითხის შემთხვევაში მოგვიხსნა დაგვემუშაებინა ტონა მადანი, რომ მიგველო გრამები ოქროსი.

ეკრძოდ ძირითადი საკითხი, რაც ჩვენს წინაშე იდგა განსახილველად, თუ როდის არის ჩაწერილი ჭვარის მატრიანეში მოსახსენებელი შოთა რუსთველისა, ყველა ასპექტში შემოწმების შემდეგ, საბოლოოდ გადაჭრილია.

შოთას მოსახსენებელი, როგორც გამოირკვა, შემდეგ ქრონოლოგიურ რეალში არის მოქცეული: იგი ჩაწერილია მატრიანეში არა უადრეს 1210-იანი წლებისა და არა უგვიანეს 1250 წლისა.

საკითხის ყოველმხრივი შემოწმების შემდეგ შესაძლო გახდა ამ სათარისო რეალის კიდევ უფრო დაზუსტება. შოთას მოსახსენებელი ჩაწერილი ყოფილა ჭვარის მატრიანეში 1240-იან წლებში, შოთას ღრმა მოხუცების ეამს. ანტონი ილავერდელი, რომელსაც თავისი ხელით ჩაუწერია შოთას მოსახსენებელი ჭვარის მატრიანეში, მოღვაწეობს იერუსალიმში 1240-იან წლებში.

ამას გარდა, სრულიად უდავოა ქრონოლოგიური კავშირი ჭვარის მატრიანეში ჩაწერილი შოთას მოსახსენებლისა და ჭვარის მხატვრობაში წარმოდგენილი შოთას ფრესკისა, — ისინი ერთდროულია. ხოლო ფრესკაზე შოთა წარმოდგენილია როგორც ღრმა მოხუცი, 80 წელს მიწვენილი.

ამასვე ეთანხმება აგრეთვე მესამე მაჩვენებელი, ის ისტორიული ფაქტი, რომ შოთა რუსთველი, პეტრეთის ბაგრატიონი, საქართველოს სახელმწიფოს ეახრდა მემკურტლეთ-უხუცესად იყო 1240-იან წლების მეორე ნახევარში (1245—1250).

შოთას ფრესკა და აქ დადგენილი სათარისო მაჩვენებლები გვაძლევს საშუალებას შევამოწმოთ აგრეთვე შოთას დაბადების თარიღიც. რაკი შოთა 1240-იან წლების მეორე ნახევარში ღრმა მოხუცი, 90 წლამდე ყოფილა მიწვენილი, იგი დაბადებულა 1160-იანი წლების მეორე ნახევარში.

ხოლო ეს საოცარი სიზუსტით ემთხვევა შოთას ცხოვრების იმ თარიღებს, რაც ადრე გვექონდა დადგენილი: 1166—1250. შოთა რუსთველი დაიბადა 1160-იანი წლების მეორე ნახევარში, 1166 წლის ახლო, ხოლო გარდაიცვალა 1240-იანი წლების მეორე ნახევარში, 1250 წლის ახლო.

შოთა თამარის თანამედროვეა. შოთა დაახლოებით ხუთი წლით უფროსია თამარზე.

ვეფხისტყაოსანი დაწერილია, როგორც დადგენილი გვაქვს რუსთველიანაში, 1196—1207 წლებს შორის, ე. ი. შოთას ცხოვრების შუადღეზე, როდესაც შოთას მზე 40 წელს უახლოვდებოდა.

ასეთია დასკვნები, რაც ჩვენ მივიღეთ წყაროების ყოველმხრივი შემოწმების შედეგად.

ეს სათარისო მაჩვენებლები არის ურყევი კლდე, რომელსაც ამიერიდან ემყარება შოთა რუსთველისა და მისი უკვდავი პოემის ქრონოლოგია.

ამიერიდან საბოლოოდ მოხსნილია და ვაკამტვერებული ის ყალბი და უსუსური მოსაზრება, რომელიც ნიღლისტთა წრეში წარმოიშვა, ვითომც ვეფხისტყაოსანი შესაძლოა მე-14 საუკუნეში ყოფილიყოს დაწერილი, მოსაზრება ანტი-ისტორიული, რომელსაც შოთას პოემა საქართველოს რენესანსის ეპოქიდან — საქართველოს დეკადანსის ხანაში გადაჰქონდა.

საქართველოს რენესანსი XII—XIII საუკუნეთა და მზე ქართული პოეზიისა შოთა რუსთველი — განუყრელი არიან.

მზე დგას ზენიტში.

360 წელიწადი

### პედაგოგი, მკვლევარი, მოღვაწე

თვითმპყრობელობის დამხობამდე, ქართული ენისა და მწერლობის მასწავლებლებს დიდი მისია ჰქონდათ დაკისრებული — მათ უნდა გაეღვივებინათ მოსწავლე ახალგაზრდობაში სიყვარული ქართული კულტურისადმი.

პედაგოგ-მოღვაწეთა ეს დიდი პატრიოტული საქმე, სხვებთან ერთად, განაგრძო ვუკოლ ბერიძემ ცარიზმის დროინდელ საშუალო სასწავლებელში.

ვ. ბერიძე მაღალი კვალიფიკაციის იმ მეცნიერ-პედაგოგთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებმაც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს. ვ. ბერიძეს ნიკ. მარის ფილოლოგიური სკოლა ჰქონდა გავლილი! ამიტომ იყო, რომ ვ. ბერიძის გაკვეთილები საშუალო სკოლებში ქართული ლიტერატურით არ იფარგლებოდა და მოიცავდა ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის მთელ კომპლექსს.

ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები, იქნებოდა ეს „ვეფხისტყაოსანი“, დ. ქონჭაძის „სურამის ციხე“ თუ სხვა, ვ. ბერიძის გაკვეთილზე განიხილებოდა არა იზოლირებულად, არამედ მწერლის მთელ შემოქმედებასთან, ნაწარმოების წარმოშობ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან, ახლო და შორეულ ისტორიულ წარსულთან დაკავშირებით, რუსული, დასავლეთ-ევროპული და აღმოსავლური ლიტერატურის დიდ მხატვრულ ძეგლებთან პარალელურობის გავლევით. ვ. ბერიძეს გაკვეთილებს თან ახლდა ექსკურსები ძველ ქართულ მწერლობაში, ისტორიაში, არქეოლო-

გიაში, ხუროთმოძღვრებაში, ქართულ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაში.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი და სამახსოვრო იყო ვ. ბერიძის გაკვეთილების ციკლი „ვეფხისტყაოსანზე“, ქართულ ფოლკლორზე (კერძოდ „არსენას ლექსზე“), ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. იდეურ-მხატვრული ანალიზის მაღალი ნიმუში იყო „მგზავრის წერილების“ ბერიძისეული განხილვა, რომელიც ქართული მხატვრული ნარკვევის ამ სწორუპოვარ ნიმუშს წარმოგვიდგენდა მთელი იდეური მიმდინარეობის ლიტერატურულ მანიფესტად, სადაც მოცემულია არა მარტო თვით ილია ჭავჭავაძის შემოქმედების იდეურობის და მხატვრული აზროვნების სათავეები, არამედ მესამოციანელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელი პროგრამა.

თავისი ერთდღეცა, თავისი პედაგოგიური ხელოვნება ვ. ბერიძეს დაქვემდებარებული ჰქონდა ერთადერთი ამოცანისათვის — აეხსნა მოწაფისათვის ძველი და ახალი ქართული მწერლობის მაღალი იდეური-მხატვრული მნიშვნელობა, გაუზვიადებლად ეჩვენებინა ქართველი ერის წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში, აღედგა მოწაფე ახალგაზრდობაში სიამაყის გრძნობა ქართული ეროვნული კულტურით.

მეცნიერული კვლევა-ძიება ვუკოლ ბერიძემ ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრებამდე დაიწყო. 1911 წელს ადგილობრივი დიალექტიკის შესასწავლად რაჭაში იმოგზაურა, დიდძალი მასალა შეაგროვა, რაჭულ ლექსი.



კაში იპოვა მრავალი ისეთი სიტყვა, რომელიც მანამდე სრულიად უცნობი იყო ძველ და ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში. ვ. ბერიძის ეს დიდილექტოლოგიური შრომა, რომელიც 1912 წელს „სიტყვის კონის“ სახელწოდებით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა, იმერულ და რაჭულ სიტყვათქმათა განმარტების წესის მიხედვით, დღესაც სანიშნუა და იძლევა საფუძველს მისი ავტორი მივიჩნით პიონერად ქართული დიდილექტოლოგიური ლექსიკის მეცნიერული დამუშავების დარგში.

1912 წელს ნ. მარის ინიციატივით დაარსდა ძველი ქართული ენის ლექსიკონის შემდგენელი კომისია. ცნობილ ქართველ მეცნიერებთან ერთად კომისიის წევრად მიწვეული იქნა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფილოლოგი ვ. ბერიძე. თვითონ ნ. მარმა იკისრა მარკოზის სახარების ლექსიკის დამუშავება. როცა ორი თავი დაამუშავა, შესამოწმებლად და საკორექტუროდ გამოუგზავნა ვ. ბერიძეს და სთხოვა კრიტიკულად მიდგომოდა ნამუშევარს, შეეტანა შესწორებებიც კი, თუ ამას საჭიროდ დაინახავდა. აქედან ჩანს, თუ რამდენად კომპეტენტურად მიაჩნდა დიდ მეცნიერს ვ. ბერიძე ძველი ქართული ენისა და მწერლობის საკითხებში.

მიმდინარე საუკუნის 10-იან წლებში პეტერბურგში დაიწყო ახალი „რუსული ენციკლოპედიის“ გამოცემა. ნ. მარის რეკომენდაციით, გამოცემლობამ ენციკლოპედიის თანამშრომლებად მიიწვია ახალგაზრდა ქართველი და სომეხი მეცნიერები, მათ შორის, ვუკოლ ბერიძეც, რომელსაც ამ ენციკლოპედიაში ეკუთვნის რამდენიმე წერილი საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობისა და კულტურის საკითხებზე.

1909 წელს ოლივერ უორდროპმა მარჯორი უორდროპის მიერ ინგლისურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული გამოცემისათვის დახმარება სთხოვა ნ. მარს. მარმა იკისრა ეს საქმე, მაგრამ სიტყვათა ახსნა-განმარტება და-

ვალა ვ. ბერიძეს, რომელმაც მწიგნობარს წერა გამართა ოლივერ უორდროპთან და მასთან თანამშრომლობით დაამუშავა პოემის ლექსიკა.

1912 წელს ვ. ბერიძე ახლდა ნ. მარს ქ. ანისში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ამ ძველი სომხური ქალაქის არქეოლოგიურ გათხრებში. კერძოდ, იგი ხელმძღვანელობდა გათხრებს გაგიკის ეკლესიის მიდამოებში. იმავე ხანებში მარს გადაწყვეტილი ჰქონდა ეწარმოებინა არქეოლოგიური გათხრები გეგუთში. მოსამზადებელი მუშაობის გაწევა დაევალა ვ. ბერიძეს, რომელმაც ყველაფერი გააცეთა იმისათვის, რომ ეს საქმე დაწყებულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა მაშინდელ მიწის შესაქუთრების წინააღმდეგობის გამო.

ჩვენი საუკუნის ოციანი, უფრო სწორად, ოცდაათიანი წლებიდან ვ. ბერიძე პედაგოგიური მუშაობის პარალელურად ეწეოდა ლიტერატურულ კვლევადიებას და პრაქტიკულ მუშაობას როგორც სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს წევრი მათ შორის, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის წევრი. მის კალამს ეკუთვნის ოთხმოცამდე სამეცნიერო შრომა, უმთავრესად, ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე.

მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ვ. ბერიძეს შეტანილი რუსთველოლოგიაში, შეიძლება მკითხველში ღრმა ინტერესი არ აღძრას რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხის გარკვევისადმი მიძღვნილმა ვ. ბერიძის წერილებმა „К вопросу о мировоззрении Руставели“, „ტირილი და მისი აზრი ვეფხისტყაოსანში“, „რუსთველოლოგიის ისტორიისათვის“, „ილია ჭავჭავაძე და ვეფხისტყაოსანი“ და სხვ.

ვ. ბერიძე ერთი პირველთაგანია იმ მკვლევართა შორის, რომელთაც ამოცანად დაისახეს რუსთაველის პოეტური ხელოვნების — „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის შესწავლა. ვ. ბერიძის შტი-



ცებით. რუსთაველი მხატვრული სიტყვის იმ დიდოსტატთაგანია, რომელიც სიტყვების უაღრესად ეკონომიური გამოყენებით აღწევს აზრის სრულყოფილ, სხარტად გამოთქმას. თავის დროზე ქართველ მკვლევართა და მოვლი ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია ვ. ბერიძის ნარკვევა, სადაც განხილული იყო „ვეფხისტყაოსნის“ პოეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — რუსთაველის შაირის ბუნება და მისი ორი სახეობის (დაბალი და მაღალი შაირის) ფუნქციური დანიშნულება.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ვუკოლ ბერიძემ დაწერა მონოგრაფია აკადემიკოს ნ. მარზე.

მარად დაუდგრომელი, მარად მშფოთვარე, მარად მაძიებელი, ზშირად და წინააღმდეგობით აღსავსე, ქართული კულტურის ძიებითა და მისი სიდიადის შესწავლით გატაცებული — ასე წარმოგვიდგება ნ. მარის სახე. ბერიძის მონოგრაფიაში. მარტო ქართველოლოგიაში მარმა იმდენი ვააკეთა, რომ მთელი თაობის მუშაობაა საჭირო ამ დარგში მარის მემკვიდრეობის ათვისებისათვის. ნ. მარის ღრამდ შინაარსიანი ლექციები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ბევრი რისამე შემკველი, თავის დროზე ვერ გამოქვეყნდა — აღნიშნავს ვ. ბერიძე. — არა ერთხელ მოუმართავს მას შემდეგ ჩემთვის: ხომ ხედავთ როგორ დატვირთული ვარ, არა მცალია, წაიღეთ და გამოეცით თბილისშიო. ბევრ რასმე საჭიროსა და სასარგებლოს ამოიკითხავენ დღესაც ჩვენი სპეციალისტები და არა სპეციალისტები ნ. მარის ამ ლექციებში. მათ მოვლა და პატრონობა უნდა, — ვ. ბერიძის მონოგრაფიული ნარკვევიდან მოტანილი ეს სიტყვები გაისმის მოწოდებად, რომელიც არ უნდა დარჩეს ხმად მღალადებლისად.

შეიძლება ვრცელი გამოკვლევა დაიწეროს იმ კოლოსალურ შრომაზე, რომელიც ვ. მ. ბერიძემ ვასწია ქართული სალიტერატურო ენის-ნორმების და ქა-

რთული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში. ქართველმცოდნეობა ალორძინებულმა სახელმწიფო ცხოვრებამ, ახალმა სოციალისტურმა ეკონომიკამ და კულტურამ მოითხოვა ძველი ტერმინების განახლება და უფრო მეტი ახალი ტერმინების შექმნა ჰუმანიტარულ და მათემატიკურ-ფიზიკურ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა დარგში. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის ტერმინოლოგიის დამუშავება იყო დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე. ენის ბუნების ღრმად ცოდნა და ფართო უნივერსალური განსწავლულობა აუცილებელი იყო იმ პირობათვის, ვისაც ამ საქმის წარმართვა და ხელმძღვანელობა დაეკისრებოდა. 1926 წელს დაარსდა სახელმწიფო ტერმინოლოგიური კომიტეტი და იმავე წლიდან მისი სამუშაო აპარატის თავმჯდომარედ დაინიშნა ვუკოლ ბერიძე. განუზომელია ის ენერჯია, რომელიც ვ. ბერიძემ ამ საქმეს შეაღია და რომელიც შეიძლება მოხმარებოდა პირადად მისთვის უფრო მიშხიდველ და საინტერესო ფილოლოგიურ და ლიტერატურულ კვლევა-ძიებას, მაგრამ თავისი მეცნიერული ინტერესები მან მოკრძალებით დათმო იმ გადაუდებელი მოთხოვნის წინაშე, რომლის გადაწყვეტა აუცილებელი იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის. თამამად შეიძლება ვუკოლ ბერიძე ჩაითვალოს მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრი დარგის ტერმინოლოგიის ფუძემდებლად.

მისი დიდად ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა და მეცნიერული კვლევა-ძიება, მისი უდიდესი დამსახურება ქართული ტერმინოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის საქმეში საკმაოა იმისათვის, რომ მომავალმა თაობებმა უღრმესი მადლიერების გრძნობით მოიხსენიონ ვუკოლ ბერიძის სახელი და ღირსეულად დააფასონ იგი, როგორც ერთუხიასტი პედაგოგი, მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე.

### პირველი მოთხრობები

ბ. ჭეიშვილი კრიტიკული აზრითა და სატირაოსის თვლით დაიწყო მისი ახალგაზრდა მწერალია. სატირა, ვროტესკი, მხილება („კრიტიკული პიპუნიკი“) — მისი მხატვრული მსოფლმხედველობის არსებითი ელემენტებია. ამის გარეშე მას ვერც წარმოუდგენია შემოქმედება და მისი მოთხრობების „მათოსიკ“ ამაში მდგომარეობს. რეალში, რომლის პრინციპებს მარჯვედ იყენებს მწერალი, მისთვის, ერთგვარად, დიდი პედაგოგიური კერძია.

რ. ჭეიშვილის მოთხრობები ამაღლებულია არა მარტო კრიტიკული გამოხედვებით ან თემატიკური სიმწვაით, არამედ ავტორის აქტიური, მაკერძობელი დამოკიდებულებით საკითხის გაშუქებადში, საგნისადმი. ამ მხრივ, რ. ჭეიშვილი მხატვრულ ტენდენციას მთელი სერიოზულობათა და საქმის ცოდნით ეკიდება. იგი აშბის აღმწერელი კი არა, შემფასებელია, მაგრამ არა აუღელვებული შემფასებელი, არამედ მამხილებელი და მსჯავრმდებელი. ზოგჯერ ავტორის გულწრფელი სუბიექტივიზმი ერთგვარად შენიღბულია რეპორტაჟის ფანრის თავისებურებით; აქ თითქმის ავტორი მიუკერძოებელი აღმწერელია ცხოვრების სურათების, მაგრამ ეს „ხერხი“ მხატვრული შენაკვლების გზაა, რითაც ავტორი თავის პიროვნულ პოზიციას კიდევ უფრო აძლიერებს და მხატვრული შიამბეჭდილობის ძალას ათრკევებს. თუ რეპორტაჟისთვის ცნობათა და მომხდარ ამბავთა ცივად და ზუსტად მოწოდება დამახასიათებელი, ასეთი გარეგნული სტილური სტრუქტურა გინა ბევრად არ გაზრდიდა მოთხრობის ზემოქმედ ძალას, როდესაც მის ბირთვს სინამდვილის მწვავე მხილება შეადგენს? რ. ჭეიშვილის „ბიპუნიკის“ ავადმყოფობის ისტორია“ მხატვრული კონტრასტის ხერხის პრაინციპით დაწერილი მოთხრობაა. ავტორი ძირითადად ამ ნაწარმოებში იყენებს მხატვრული რეპორტაჟის მეთოდს,

რომლის ტრადიციი არც თუ ისე ძლიერია ჩვენს ლიტერატურაში. ამავე დროს „ბიპუნიკის“ ავადმყოფობის ისტორია“ სოციალური ელტრადობის მცირე ფორმის სახეებით რეალისტური ტილოა. ბიპუნიკის ცხოვრების ტრავიკული გზა ანუ მისი „ავადმყოფობის ისტორია“ სოციალური აზროვნების ძლიერ კვალს ატარებს.

ასე აშკარა რომ არ იყოს სატირული აზროვნება, ჩვენ შეგვეძლოს რ. ჭეიშვილი იუმორისტ მწერლად მიგვეჩინა, ისე მძლეურია მის მოთხრობებში კომიკური, მხვილგონიერი სურათები, სტიკები და შენიღბუნი. ბოლოსდაბოლოს, სოციალური ხასიათის „კუმორი“ ბევრით არ განსხვავდება სოციალური სატირისა და ვროტესკისაგან; ყველა მათგანში მხილების ძალა დონე, კრიტიკული აზროვნების ხარისხია დამაინტერესებელი. მხოლოდ მათორი სატირა ხშირად თრგუნავს კეთილ იმედს ადამიანში, არაფერს არ ტოვებს გასახარელს და ზღმოსაკიდებულს, ახშობს პერსპექტივას. რეზო ჭეიშვილის მოთხრობები ხშირად გვაფიქრებინებს, რომ იგი უიმედოდაა განწყობილი ადამიანის ბუნების შეზღუდულობის გამო, მაგრამ ეს მხოლოდ ცალმხრივი დაკვირვება იქნებოდა, ნამდვილად კი ჩანს, რომ ერთგვარი ეჭვის შეტანა ადამიანის ცხოვრების რაობაში მუდამ გაღვივებულია რაღაც იმედინი, უზინარი ნაბერწყალით. ეს მხარე მისი მოთხრობების მხატვრული სტრუქტურისა და კომპოზიციის საკონსაც უკავშირდება. მაგრამ, რაც მთავარია, მისში ჩანს მწერლის მსოფლმხედველობა, ჩვენ გვინდა ამ წერბლში რ. ჭეიშვილის მოთხრობების სწორედ ამ თავისებურ მხარეებზე შეეჩერდეთ.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გავარჩიოთ, წარმოადგენს თუ არა მისი წიგნი ერთ დამთავრებულ, ღრმა განზოგადების შემკველ თვალსაზრისს სინამდვილეზე, თუ მისი შემეცნებითი ღირებულება და კრიტიკული სიმამხილე მდგომარეობს მხოლოდ განსაზღვრული საზოგადოებრივი ფენის ადამიანთა ცხოვრების გაშუ-

რეზო ჭეიშვილი „ბზიანეთი“, „სამპოთა მწერალი“, 1968.

კებაში. ჩვენი აზრით, „ბზიანეთი“ არ წარმოადგენს ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელშიც თემატიკური ფარგლები თუ მხატვრულ-მორალური კრიტერიუმები იყოს უმაღლესი განვითარების შემცველი. „ბზიანეთი“ ვერ კიდევ არაა ის წიგნი, სადაც თემა გაშუქებული და გააზრებულია მისი ყველაზე მაღალი კვლევარაობით. ამიტომ მოთხოვნების ეს კრებული თემატიკურ შეზღუდულობას ვერ გაექცა, რაც, მის ლიტერატურულ-შემეცნებით დონესაც დაეკრუ.

ნამდვილად არასახარბიელოა ის უდავო ფაქტი, რომ რ. ჭეიშვილი ჯერჯერობით „ერთთემიანი“ შემოქმედია; ამ „ერთთემიანობას“ ხაზს უსვამს ის ვარაუგობაც, რომ სოცეტიური ჭარბა, ფაქტურა და მასალა მის მოთხრობებში ძალიან მსგავსი და ერთგვარადაა. თემატიკურ ერთბაშადონებებს კი მოსდევს მხატვრული ერთფეროვნება. შესაძლებელია, რომ ახალგაზრდა მწერალს სურდეს ერთი რომელიმე თემის ამოწერება, მისგან „განთავისუფლება“ და ამ მიზნით ის რამდენიმე ნოველაში ანუ შემოკლებულ თემებს. ეს რომ ასეც იყოს, ჩვენ დღესდღეობით მაინც გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ ავტორი კმაყოფილდება ერთი და იმავე თემით, რომელიც ადამიანების ერთი მიკროსამყაროდან - მომდინარეობს. ყურადღებიდან არ უნდა გამოვარჩივს, რომ ავტორს ერთგვარი მხატვრული „სქემაც“ კი აქვს გამოიმუშავებული. ამ სქემამი ჩანს მისი მსოფლალქმის ძირითადი ნიშნები.

რ. ჭეიშვილის აზრით, ადამიანს სჭირდება სიკეთის და ერთგვარი სიწმინდის რომანტიკული რწმენა. ავტორის განმარტებით, ადამიანი მძიმე პირობებშიც კი საკუთარი ილუზიის იმუშავებს და მას ეყრდნობა. გულის სიღრმეში ატარებს „რღელს“ და ამდენად მის თვალში საკუთარი ცხოვრება „გამართლებული“ ჩანს, ცხოვრების ერთფეროვნების ატანა ბევრად ვაადვილებულია. შესაძლებელია ადამიანი საზოგადოებრივად დაეინდოს, პიროვნულად მოეშვას, სოლოვრად დაეცეს, მაგრამ მას რწმენის ნაპერწკალი აუცილებლად სჭირდება. ზოგიერთი მწერლის აზრით, ეს არის ადამიანის სისუსტე. რ. ჭეიშვილის მოთხოვნებში — რომანტიკული ილუზია, ცხოვრებაში მშვენიერი ნაპირის წარმოსახვა — ადამიანის შემამოკლებელი მხარეა. ეს მხატვრული ტენდენცია ისე ძლიერია რ. ჭეიშვილის ამ კრებულში, რომ „სქემის“ კვალიფიკაციადაც კი იღვწის. ამის ნათელსაყოფად ჩვენ გვიდა უშუალო ციტირება მოვახდინოთ ახალგაზრდა მწერლის ნოველებიდან.

მოთხრობა „ბზიანეთი“ ძლიერი ნოველაა მხატვრული მოგონებებისა და განხორციელების თვალსაზრისით. მასში აღწერილია თორმეტი მამაკაცის ცხოვრების ის მხარე, როდესაც ისინი ყველაზე ბედნიერები არიან... ეს

მამაკაცები მეტრისმეტად უფერულად ვლინდნენ თავიანთ ზედს, თუ მათ არ ეცოდინებოდათ, რომ ყველა კვირეულში ელოდებოდათ სამშაბათი, ხუთშაბათი ან შაბათი, როდესაც თორმეტივეს შეუძლია მათთვის სანატრულ ქალთან ერთად ივარჯიშონ სიმღერებში. „ამ თორმეტ მამაკაცს ერთი ქალი უყვარს. არც ერთი მათგანი მაცხტობს ტალა არაა. ზოგი თამართან შედარებით ბავშვია, ნახევარზე მეტი კი ბევრად მასზე უფროსია. უმრავლესობას ეოლი და შეილება ჰყავს, მაგრამ ყველას მაინც ეს ლამაზი ადამიანი მოსწონს. მაინცადამაინც ცდილი რა უნდა იყოს ამის, მითუმეტეს, როდესაც სიტყვიერად არც ერთი მათგანი ამას არ ამბობავებს. სხვათაშორის მომღერლებმა არც იციან, რატომ უყვართ, ან როგორ უყვართ ზელმძღვანელი. ისინი ფიქრობენ: ეს ცოტა რთული საკითხია და კიდევ კარგი, თვითონ ვერაფერს ხვდებიან.

ქალი ძალიან კარგად ხვდება ყველაფერს. იცის, რომ ყველანი ვარაუგობან და სიამოვნებს. მხოლოდ არც ერთს იმის უფლებას არ აძლევს, რომ თავისი თავი სხვებზე იმედთან მოტყუილედ ჩათვალოს. თამარი ყველას უცინის, ყველას ერთნაირად ეაღერება; უფლებას იტოვებს, რომ თორმეტივეს ერთდროულად უყარაღეს.

რბეტიციის დამთავრების შემდეგ გუნდის წევრები იშლებიან. შემდეგ ყველანი თავის ოჯახურ, წერილთან, პატარა საქმეებში იძირებიან და მომავალ მეცადინეობაშიც ყოველივე ავიწყდებათ: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს ყველაფერი თავიდან იწყება და გრძელდება“.

რაღა თქმა უნდა, ამ პასაჟს აქვს დიდი უკანა პლანი, საკუთარი ქვეტექსტი, სიმბოლური ელერაობა. მშვენიერი მომღერალი ქალი, რომელიც ყველას უცინის, მაგრამ ავეთებს ამას ოდნავ განურჩევლად, პასუხისმგებლობის არიდების ფარგლებში, მეტაფორულად გამოხატავს ავტორის მსოფლმხედველობის არსებით ნაწილს.

დაახლოებით ასეთივე სტრუქტურა აქვს „მერცხლებსაც“. ეს შედარებით მკრთალად შესრულებული ნაწარმოებია. ჩემთვის, მავალითად, ჩვეულებრივზე ბევრად უფრო პირობითად გამოიყურება ის სცენა, სადაც მოხუცი ხეიბარი საყვებთ მოულოდნელად იწყებს ცოცხლგვარ პირობითობაში მოტყუაციის ეფემენტი უნდა არსებობდეს) ლაპარაკს მერცხლებზე. ჩვენ ვვსმის, რომ მხატვრულ მოტივაციადა აქ სწორედ მოულოდნელობა გამოიყენებოდა; ქველზე შეშვარად, ხისპრობიდან მოხუცისგან, რომელიც უჩივის ცხოვრებას და პიპირისს სთხოვს ეცნობ ახალგაზრდას, მოულოდნელია ასეთი მონოლოგები მერცხლებზე. მაინც მეტი პლასტიკური სიმდიდრეა სპირის ძირითად თემასთან მისაქველად. საერთოდ, რ. ჭეიშვილი უფრო დაქიზად და ზომიერად

საქართველო

უნდა ეპყრობოდეს იმ კატეგორიას, რომელსაც ლიტერატურული პირობათა ეწოდება. ამ გზით მწერალს შეუძლია გაეცნოს გამოცემული არასახარბილო შთაბეჭდილებას და, მეორე მხრივ, ამბილს თავისი ლიტერატურული კლასი, დაბეჭდილებით უნდა ითქვას, რომ „გამოგონებულს“ ელემენტურ „შერცხლებში“ იჭრინება. მე არ მინდა მოვერიდო ვადაქარბეზასე და ვიტყვი, რომ ეს მოთხრობა პატარა სპექტაკლით აღიქმება, ე. ი. როდესაც მოქმედება ხდება სცენაზე და არა სახლის სიღარბისა შესავლელში, როგორც ეს მოთხრობაშია. კვიშვილის მოთხრობებთან დაკავშირებით ეს პრინციპულ საკითხად მიგაჩნია.

მაგრამ ჩვენ მოთხრობის სხვა მხარეზე ვესურს ვისაუბროთ. „მერცხლებში“ აშკარად იჭრინება, თუ ამ მომუშეული პიროვნების, საცოდავი ზეიბის არსებობას როგორ აცისკროვნებს თვალისმომხრელი მოგონებები მერცხლების გადაფრენისა და მათი ხიჯათიანი მგზავრობის შესახებ: „ჩემს ერთ შვილს გუფიცები, გემი რომ გევა ნავსადგურიდან, როგორც კარგი ბილეთიანი მგზავრები, ისე დასხდებიან ზეღ, სულ დაღარავენ იქაურობას. მერცხლებმა ერთად, ჯგროდ იციან გაფრენა. თოფთა ის, მარტო რომ დალაივებს თავს და მისის. მერცხლებს ოქროსფერი ღაბაბი აქვთ. თეთრი გველი და შავი ზურგი... ეუდი, ხომ იცი, მაკარტელივითაა... მათ შეხედვას არ ყოზბა არაფერი... ახლა შენ რომ წახვიდე ბათუმისკენ ან სამდე ასეთ ადგილებში, ნახავ, თქმევა ჯერ ნუ წახვალ. ცოტა უფრო გვიან...“

აღწერილი სურათი ამ ადამიანისათვის ნიმუშია იმისა, რომ ცხოვრებაში მშვენიერი მხარბები არსებობენ. მათათლია, ეს ახლა მისი წარსულია, მაგრამ მას მინე შეუძლია ჰყვებოს ამ ადამიანის მოთხოვნილება.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მოთხრობა „პოპი“ მისი შთაფარი გმირია მოხვედ მსახიობი კოტე ჩხარელი, მას როგორც იტყვიან, ლილა გაუხუნდა და, ბუნებრივია, რომ მისი მოხუცობის მთელი საფიქრალი წარსულის საუკეთესო მოგონებებთანაა დაკავშირებული. იგი ამით სულდგმულობს. მისი დღევანდელი არსებობა ერთგვარად უპირისპირდება წარსულის დიდებულს მშვენიერ ნატებებს: „მე შვავას ვთამაშობდი, ლადო მესხიშვილი—ნეზნაშოვს... ხლესტაკოვს ვთამაშობდი, შემდეგ, ოსინს, მე და ვასო ამაშივე ვცლით ერთმანეთს. — კოტემ ხმას აფრია. — ჰიშვარდეს ჰარხალაძეს ვთამაშობდი, აპარკუნე ჰიმშიელს ვთამაშობდი, სევერიან ჰერტაძეს, პლატონ კრჩვეტს, ტატე ნატუტას, თავად კოჭიას... ისმინე ისრაველ! — კოტე მხარბელი უეცრად დადუმდა. ეტყობოდა, ისე რალაცას იგონებდა, უნდოდა კიდევ ეთქვა რალაც, მაგრამ ამოიხორბა მხილოდ: — თ, რას თამაშობდენ უწინა... როგორც ვხედავთ,

მოთხრობა ერთგვარი კონტრასტულია. მაგრამ მოთხრობა ემოციურად ძალზე გამდიდრებულია იმ ერთადერთი შორისდებულის, რომელიც ნაწარმოების სათაფრზე არის ატანილი. შინეც მოთხრობის ემოციურ ღერძს ამ შორისდებულის შინაარსი შეადგენს: — „პოპი — კიდევ დაიძახა კოტემ და წინ გამოიდა. — პოპი! პოპი! პოპი!“ — ამ აკვიტებულ შორისდებულის ინტონაციაში, როგორც მას კოტე წარმოთქვამდა, აღმოჩნდა რალაც ნამდვილად გამაცოცხლებელი და განცდილი. საკუთარი ღირსების შეგნებით სავსე ადამიანისთვის ეს წამოძახილი თითქმის უახროა, მაგრამ მხარელისთვის, როგორც არტისტისთვის, შესაძლებელი იყო ამ მუტად არაკონკრეტულ, გაუცნობიერებელ, აფუტურ წამოძახილში მთელი თავისი ადამიანური ვარამი, სიცარიელე, თავქარიანობა და აღწერა ცხოვრების სიყვარული ან მისადმი არტისტული დამოკიდებულება გამოვლენებინა. ეს მომენტი ყველაზე ძლიერია მოთხრობაში და ავტორი აქ ნამდვილ დრამატისმ აღწევს. ამიტომ აქ „სქემა“ მეორე პლანზე გადადის და იჩრადლებს.

ინტერესით იჭრებება „ლუკა პაჩილოს ცხოვრების უკანასკნელი წლები“. მასში ავტორმა დამატეცა, რომ მახვილგონიერება, რომელიც ის დარკიდლებულია, ლიტერატურულ დონეზე დგას. ეს მახვილგონიერება თითქმის არსად არ ეშვება უბრალო არალიტერატურულ ენამოსწრებულობაში. მოთხრობის გმირი ყრუ პიროვნისა მკვიდრია. ღვინის სმამ ის ერთგვარ გამოვლენებზე მიიყვანს. ავტორის ნაწარმოებით, გრამ ნემსაძეს თამაშობის „ნიჭი“ აღმოჩნდა: „წლები გაიდა და გრამა დაფიქრდა: „თამაშად ვარ ქვეყნად გაფრენი თუ მეცნეარადა. ამ ორი არამონათესავე ცნების შედარება გრამს იმწამეუე სასაცილოდ მოეჩვენა. მაგრამ ამ საკითხზე რომ დაფიქრდა, ეს ფაქტია“. სქემა აქაცაა, მაგრამ აქ სწორედ „სქემა“ ძლიერი და თვისი ფსიქოლოგიურად გამსწნელი. გრამა ნემსაძე, მართალია, მცენარეულ, ვეგეტატიურ ცხოვრებას ეწევა, მაგრამ თურმე ეს მას ხელს არ უშლიდა ოდენ მეოცნებე, უფრო სწორედ, უნადავო მეოცნებე გამხდარყო. პირიქით, თითქმის ეს ბუნებრივ პოეტისაა. მას კარგად ესმის, რომ მისი ცხოვრების უკანასკნელი წლები“ უკვე ილუზიად იქცა, ის ვეღარ დაიწერება, მაგრამ მისზე ფიქრისა და ზრუნვის თავს არ ანებებს. მას სიზმრადაც ე ეცხადება ლუკა პაჩილო, რომლის ავტორიტეტულ პიროვნებას ჰვენ საკმაოდ მახვილგონიერად ვეცნობით მოთხრობიდან. გმირის უკვე აღარ სჭირდება დისტრატციის ფიქცია საკუთარ წარმოსახვაში.

გრამა ნემსაძეს სხვა მსახიობის საცენებო სუ-

განიც აქვს. იგი ფიქრობს ამ დროზე, როდესაც მის ცოლს უყვარდა. მისი ცოლი ცოცხალია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ის არაა, ვერის რომ უყვარდა, ვმირი განიცდის გაორებას. ავტორის მიერ ფსიქოლოგიურ საფუძველზე ახსნილია ის მდგომარეობა, რომ არაა სასიამოვნო (ან საბედისწერო...)., როდესაც შენ ვინმეში გიყვარს არა ნამდვილად „ის“, არამედ საკეთიარი წარმოდგენა „მასზე“, როდესაც შენ დანტასტიკასა და რეალობას შორის ბრძალ გამოკიდებული ხარ. „შემდეგ დანარჩენებშიც ჩაივალე“. ვრჩევა ნემსადი ფიქრობდა მხოლოდ: ფიქრობდა სიყვარულზე, სიყვარულზე არა როგორც ზოგად ცნებაზე, არამედ უბრალოდ, კონკრეტულად.

ავტორი არ გუბრის სტილიზაციას და შეიძლება ვეუთქვა, რომ კარგად ართმევს თავს, ზოგჯერ ფრაზაში სწორი ინტონაციის დაქერა რომ არ კორდეს. ფრაზის ლოგიკური (სახობრივი) მახული ზოგჯერ არ ემთხვევა მის ინტონაციურ მახულს. აქვე უნდა ითქვას, რომ რ. ჰეიშვილის სალიტერატურო ენა მდიდარია, მკაფიოდ საუნობრივი და სასოფანი. მას აქვს სიტყვის გრძნობა. მაგრამ ზნობად ავტორი ვერ ერება ენის სტიქიას, რომლის სიღრმისეულ ის უყოველთვის მიისწრაფის. რეზო ჰეიშვილის საშერლო ენას აკლია სახადევე, ლაბიდაობა, რომელიც ყველაზე რთული მხატვრული პროცესებისა და აუცილებელი „ვალებას“ განვლის შემდეგ მოდის. ეს გზა რ. ჰეიშვილს ჯერ კიდევ წინ უდევს.

რადგან საუბარი სტილისტურ თავისებურებაზე ჩამოყარდა, აქვე გვიჩინა შევეხოთ ერთ ნიშნსაც, რომელიც, მართალია, ძალზე მკრთალია. მაგრამ მინც იგრძნობა მის მოთხოვნებში. ზეირი აზრით, ამგვარი ფრაზა: „ქარი... ადამიანებს მალტის სახელოებში უძებრება, თითქოს დიდი საბაბოვნი ვინმე იყოს“ — მოტივილილია თავისი სტილისტური შეფერვლით. ასეთი „მოტივილილი-მოშაქრული“ იერი სულ მცირედ, მაგრამ მინც საგრძნობლად სიდეეს რ. ჰეიშვილის სტილს. ის, რაც შერლის ხასიათშია, ცხადია, ძნელი ვარდასამწველია, მაგრამ ამასთან ბრძოლა ან ამის ვაცნობიერება უყოველთვის საჭიროა. შერლის ამგვარი სტილისტური ინდრეკილებს ანალიტიკურია ფინალური სცენა მოთხოვნაში „პოეტიკის ავადმყოფობის ისტორია“, სადაც კიბოთი დაავადიფიციების ამბავს ვეცნობთ. კინოში ასეთ დასასრულს „შე-ბი ვინს“ უწოდებენ. ავტორის, ზნეობრივი განაზნინი აქ გულუბრველიოდ სუბიექტურია: ტუკეაქ, როგორც ქალთი, კიბისგან კვდება. მყოხველი ვერ რწმუნდება, რომ ავტორის განაჩენი ეთხვევა ზნეობის ზნეობის, მაგრამ, რა მითავარია, მოთხოვნის მხატვრული და ზნეობრივი დასკვნა ამგვარი ფინალური ვადამუყვეტის გამო დიფირიოდ.

კარგია „ჩვენებური ნოველა“. დასამახსოვ-

რებელია ის ადგილი, სადაც მსუქნი (მინა) ნამდვილი ველისტიცილით ლაღიას ვაბაბრებებს. ჩვენ ვხვდებით, რომ ვალოდა მისი ბიოგრაფიის ნაწილია, ხოლო მანა ხვდება, რომ ამით მისი პრესტიჟი, მისი სტოკრების მინარსიც ვაწილებულია.

ამ მოთხოვნის დრამატული დერბი ისაა, რომ ერთდერბით, რაც მამის შეუძლია ასწავლის შვილს, ეს სმის წესები და ადათ-ჩვევებია. ეს „დაწერული კოდები“ ერთადერთია, რომლის ზუსტად და თანმიმდევრულად აღსრულება უზნობს ამ ადამიანებს გონიერი და შეგნებული სტოკრების შესაძლებლობას. მოთხოვნაში ეს აზრი მკაფიოდაა ვატარებული. ამავე თემზეა დწერილი „დუქანი“ და „მთვარის დამი“. საერთოდ ეს თემა სჭარბობს რ. ჰეიშვილის კრებულში. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვიჩინა ადენიზით, რომ ის კრატეულობა, რაც ახალგაზრდა შერლის მოთხოვნებში ასე მიზნადივლია, მხატვრულობის თვალსაზრისით უყოველთვის ვამართლებული არაა. მაგ. ლოთობა, მისი გაკილევა, როგორც ასეთი, ლიტერატურის თემა არცაა. ლოთობა თუ სოციულირ სენია, უნდა კიდევ ჩანდეს მისი არსებობის მიზეზები. ეს ბეგრად უფრო მნიშვნელოვანია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ეს მიზეზ-ვაჩრვობანი აშკარად ან ვაკერით ვაინც არაა ვახსნილი, დასკვნა ძალზე ნებისმიერი ან ნაწილობრივ ვაუტვარი რჩება. ამგვარი პერსონაჟების სოციულირ და პერსონალირ კვალიფიკაცია აუცილებელია. იგივე შეიძლება ვავიმეორით მახელოგონიერი საგამოცდო სცენის შესახებ (მოთხოვნაში „გამოცდა“). არც ეს თემა ლიტერატურული. ამ მოთხოვნაში ლეტორი ჩემთვის საინტერესო იქნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის უბირველეს ყოვლისა, დახატული იქნებოდა. როგორც ადამიანი, ხოლო შემდეგ როგორც პედაგოგი. უნდა ჩანდეს მისი ვარკვეული დამოკიდებულება სტოკრების მოკლენებთან. მისი ბიოგრაფიის შესახებ ჩვენ შერის უნდა ვიცოდეთ: ის მართო „ლეტორად“ არ უნდა იყოს წარმოდგენილი, ამგვარ ჩარჩოებში არ უნდა იყოს მომწვედიელი. ეს არაა თემისადმი ლიტერატურული დამოკიდებულება.

ისევე როგორც „გამოცდა“, მართალია მოთხოვნა „ჩემპიონი“. მეთხველი ვარკვევით ვერ იგებს ვამიხსანდი ავტორის დამოკიდებულებას ტემპორიტ საფუძველს. რატომია ტრანსპორტი უიღბლო, დაბნეული ან კომპლექტი — ინიტომ. რომ ასეთად დავხატე, — თითქოს ვევიასტუტებს ავტორი, რომელსაც თითქოს ვამბედაობა ლალატობს თუ მას სურს ვოტენეს ან უკოლტრის შარტს მიმართის (მოვიგონით ზნეობრივად არც თუ მთლად ვამართლებული ვრატეესკული სცენა, სადაც ჩემპიონი იხდის საწონებით სავსე პლანშის და აბლეს დღეას, რომელიც მოულოდნელი სიმძიმისგან იტარებ ცეცმა. თუკი იმასაც დავიფიქვებთ, რომ ეს სცენა

ზედგამოჭრილად წააგავს ერთი ცნობილი ინგლისური ფილმის არანაკლებად დასამახსოვრებელ კადრს, უნდა ავტორს ვუსყვედუროთ ამ სცენაში ზნეობრივი სიფთქის დაზღვევა). ზგი ამჟამად უნდა გამხდარიყო არსებით გამომატველ ზერხად, ძირითად მხატვრულ ენად, სადაც ამის ლიტერატურული მოტივაცია ბევრად უფრო ინდივიდუალიზებული უნდა ყოფილიყო. ასეთი მოტივაციის საფუძველზე მკითხველს ეცოდინებოდა, რატომ, რა პიროვნული (ადამიანური) თვისებების გამო არ მოსწონს

ავტორს თავისი გმირი. თუმცა, გმირების უმეტესი მხარეთაყ არის მოთხრობის მხატვრობის „ერთ-ორჟერ კინაღამ დედინა ას-არმოც-კოლიანი შტანის ქვეშ“ და სხვ., მაგრამ მხოლოდ ასეთი მხატვრული ზერხებით გმირის ხატვა ერთგვარ ცალმხრივობას უდრის. რეზო ჭეიშვილი ნამდვილი პერსპექტიული, ნიჭიერი ნოველისტია. ამიტომაცაა ჰაენის სურვილი, თავისი უნარი მან სწორი გზით წარმართოს.

გურამ კახავა

### „ცისფერი ნაპირები“

მაქსიმ გორკი ამბობდა, ბავშვებზე ფიქრი, ხალხის მომავალზე ფიქრიაო. მან საუთარი მავალთით დაგვანახა, თუ როგორ უნდა „ფიქრობდნენ“ მწერალი მოზარდ თაობაზე, რომ ხელს უწყობდეს მის ჩამოყალიბებას. შეუძლებელია იმისი თქმა, რომ ბავშვებზე წერა იოლი იყოს. არც ისაა მართალი, თითქმის მწერლის ლიტერატურული კვალიფიკაციისთვის სასარგებლო იყოს ერთხანს საბავშვო მოთხრობების წერა და გაყარაშება. მოზარდ თაობაზე უნდა სწერდეს მწერალი, რომელსაც შეგნებული ექნება თავისი პასუხისმგებლობა, როგორც მოზარდი თაობის, ასევე ხალხის მომავლის წინაშე.

ბუკან ბარდაველიძის წიგნი „ცისფერი ნაპირები“, შეიძლება საბავშვო მოთხრობა მოთავსებული. მკითხველს ეჩვენება, რომ ამ მოთხრობებიდან ნაწილი ავტობიოგრაფიულია, ნაწილი კი მწერლის, როგორც მოზარდი ადამიანის, შემჩნეული და დანახული.

კრებულში მოთხრობებიც იმის მიხედვითაა დალაგებული, თუ 30-იან წლებიდან დაწყებული (ეს რიცხვი, რა თქმა უნდა, პირობითია) დღემდე რომელი დროის ბავშვების ცხოვრებაა მოთხრობილი. მკვალითად, მოთხრობის — „ველოსიპედი“-ს მოქმედი პიკები ახლა 30 წელს გადაცილებული ადამიანები უნდა იყვნენ. — თუნდაც ამ დეტალის გამო. აქნელი სთქმელია, როგორ დავაწყვედით თავს ჩვენი უბნის ბიჭები გაბრუნებულ კოკას, რომ სრულიად მოულოდნელად საქმეში ბელბუა კოტე არ ჩაუვლიყო“.

კოკას მშობივ მემტებია და ველოსიპედი პონდა, ხოლო იმ ბიჭებს, რომელთა პირითაც ავტორი გვესაუბრება, არც ერთი გაანდათ, არც მეორე...

ბიჭებიდან კოკას ველოსიპედს გულგრილად კოტე უყურებდა. ბელბუა კოტე თავისებური ბიჭი იყო, მას შეეძლო სტენით წაეხადა ველო

ფრინველსათვის და სალამურზეც მშვენივრად უტარებდა.

კოკამ გაიგო, რომ ბელბუა კოტე არაფრად აგდებს არც მას და არც მის ველოსიპედს. ერთ მშვენიერ დღეს კოკამ მას ველოსიპედი შესთავაზა. ბელბუა კოტეს, რა თქმა უნდა უნდოდა ველოსიპედით გასეირნება, მაგრამ კოკამ თავისი პირობა წამოაყენა: — მაშ შენგებურად დაუსტენიო. ბელბუა კოტემ უარი უთხრა, — არ დამპირა თავისი ღირსება. მაშინ კოკამ სხვა მოთხოვნები წაუყენა, მაგრამ ამაოდ. კოკა გაყოფდა. საცემრად გაიწია. ბელბუა კოტემ სადარბაზო შესასვლელს შეაფარა თავი და იქიდან დაიწყო უცნაური სტენი. სტენას სალამური მოუყვა. „კოკას პირი დავლი, თვალები დამუკრბა და მოყადოებული მისჩერებოდა ჩვენს კოტეს, რომლის პატარა თითები ღერის ღერზე მარცხედ აგვირისტებდა ერთიმეორეზე უფრო მომხიბლავ მანგებსა“.

მოზობლუმა კოკამ „უსასყიდლოდ“ შესთავაზა ბელბუა კოტეს ველოსიპედით გავლა, მაგრამ ისე გაუბრუნდა იმედი. — პატარა ხელოვანმა ზურგი შეაქცია ბიჭებსაც, კოკასაც და ჩინებში ხელმანაყუბილი წაეღა.

ეს მოთხრობა, რომელსაც თავისებური დაღმტკეური ღირსება გაანინა, დაწერილია კარგი პათოლოგი და კოლორიტის გათავალისწინებით, ხოლო შერყენბა კეთილისა და მორტიტისა (რომელიც ბავშვებშიც შეიძნევა) კეთილის გამარჯვებით მოაგრდება. ავტორს შეგნებული ექვს, რომ მწერალი, რომელიც ბავშვებზე წერს, უნდა ერიდებოდეს თავისი ტენდენციების გაშეშლებას. — ამ მოთხრობას ეს ღირსებაც გაანინა და თავის ნორჩ მკითხველს მტრად საჭირო მორალს სთავაზობს.

ერთ მდოლტებობიან ეპოში ცხოვრობდა ოთხი ბიჭი: ოთარო, ვოკი, კოკა და მოხრობელი. მგებობების ოცნება იყო, გამხდარიყვნენ მდონელები, ხოლო დედალად ამ ოცნებაში უკუკო ბენდელანს სახადენენ. ბავშვები ყოველმხრივ ბავშვდნენ თავიანთ საბავშვებულ გმირს.

იმევე ეპოში ცხოვრობდა მოხუცი ექვმი,

ბუკან ბარდაველიძე, „ცისფერი ნაპირები“, „ნავადული“, 1962.



რომელიც პატარა ფინია ჰყავდა. მოხუცი ექიმში მუდამ ყავარქნით დადიოდა, იყო უწყინარი და თავაზიანი.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ზაქუნებმა გადაწყვიტეს მოხუცი ექიმს გაღამტერებოდნენ, უმტერების მფრინავი ყვავილებს ქოთნებს. აწვალედნენ მის ფინიას და ა. შ. — ესეც არ იცმარეს, მოინდომეს მისთვის ყვარაჩენი მოეტაკათ. მოსტაცეს, გაიტყნენ და, როდესაც მის დამტერებას ამირდებდნენ, ყვარაჩენზე წაიკითხეს წარწერა: „ჩემო მკურნალო, მანამ იცოცხლე, სანამ ეს ჯოხი ხელიდან არ გაგვარდნოდეს“ — წარწერა მთავრდებოდა ჰიქიკო ბენდელიანის სახელითა და გვიართ.

ბიჭებმა ვაღაწყვიტეს შეუძნელებლად დაედოთ ექიმის ყვარაჩენი მის აივანზე.

ერთი რამ გვინდა შევიფიქროთ: ყვარაჩენის წარწერა: „მანამ იცოცხლე, სანამ ეს ჯოხი ხელიდან არ გაგვარდნოდეს“ — გაუგებარია. შეიძლება გავიგოთ ასე: „მანამ იცოცხლე, სანამ არ მოკვდებიო“ ან „როგორც კი ხელიდან გაგვარდება ჯოხი, იმ წუთში მოკვდებიო“? — ასეა თუ ისე ეს „სახატული“ ნათქვამი ვერაფრით ვერ გამართლდება და აჯობებდა, რომ ავტორს ეს გამოკონილი „წარწერა“ სტილისტურად გაემართა, ხოლო თუ ამ შემთხვევითი ლაფსუსს არ გავითვალისწინებთ ავტორი ამ მოთხრობით მიანიც აღწევს გარკვეულ ეფექტს.

საინტერესოა მოთხრობა „ფერადი ბუმბუნი“. მოთხრობაში ავტორი ახერხებს მხატვრულად დამაყრებელი სახეების დახატვას, მოთხრობა არაა მოკლებული შორასსაც.

ბიჭები ფეხბურთის სათამაშოდ გენდებდად გაიყვნენ. „კაცმა მიტო არაფერი იპოვნა. არც კი გაახსენდა. დაღონებული იქნა იგი ზურგნანთზე, ხტუნვა თავი გამხდარ მუხლებში ჩაეყო და რაღაც უძიებლო იმედით ელოდა... თუ ეინე დააკლდათ ან დამტერათ, მაშინ გაახსენდებათ მირტო. ზღაპრებს ხომ კარგად ამბობინებენ ხოლმე... წაიკითხე წიგნებს ხომ კარგად მოაყოლებენ ხოლმე... მოკვები რაც გინდა, ზოგი მართალი, ზოგი ტულიო, რაც წაგიკითხავს და არ წაგიკითხავს რა იცინა, რომ მხატვარს თვითონ იგონებს. მისწერებთან პირდაღებულნი. ზღაპრის გულა შეარქვეს“. მიუხედავად თავისი ენოგვარი უპირატესობისა კაცმა მიტო მაინც უბედურად გრძნობს თავს. მაგრამ, აი, გამოჩნდა მხსნელი. „წინაყო შეორე ქუჩაზე ცხოვრობდა, მასზე ორი კლასით წინ იყო და ერთხელ მიტომ თავისი თვალთ ნახა, როგორ შეუღლება წინაგომ ცხვირი კუკას, რომელმაც გოგოებს ქართში ჩასამარებელი რკინეულობის წარმოქმვა მოუწოდებო“. — სამართლიანი და გაბედული იყო წინაგომ, ამიტომ ბიჭებს მისი ხატარი და შიში ჰქონდათ.

წინაგომ ფეხბურთის ადევნება უწყვეტად ხელში ფერადი ბურთები ეჭირა. მანამ თამაში უფრო გააცხოველა. წინაგომ შეეცოდა კაცმა მიტო და კუკას უთხრა, ამ ბიჭს რატომ არ ათამაშებთო. კაცმა მიტომ თამაში დაიწყო, ორი ბურთი გაიტანა, მერე უცებ თვალთ დაუბნებდა და, როცა გამოერკვა „ორი გაბრეხილი ნაწინავი დაინახა. აღურხით გავლიშის შავმა, ბრიალა თვალბმა. ნაწინავებს ზემოთ ფერადი ბუმბუნი ირზეოდნენ“. მაგრამ თორემ ვეღარაფერი ზღაპარი იყო. „კაცმა მიტოს რაღაც მოაწვა ყელთან, ნელ-ნელა აუგოს თვალბი, მერე გაფრქვითაოდნენ ბიჭები, წისლით დაიბინდა მომღმარი წინაგომ. მხოლოდ ბუმბუნი, ფერადი ბუმბუნი ზემოთბდნენ თვალის მომჭრელად, მომხიზავად, საღლაყ მაღლა, სულ მაღლა, როგორც ზღაპარში იცის ხოლმე“. ეს მოთხრობა მეტად პოეტური და ჩვენი აზრით ყველაზე უკეთესიც კრებულში, ხოლო თუ ავტორის მონაცემებზე იქნება საჭირო ლაპარაკი, ალბათ, ისე „ფერადი ბუმბუნი“ მიხედვით.

უინტერესოდ არც შემდეგი მოთხრობა („მე-სათე“) იციხება, მაგრამ მასში ბევრი ხელოვნური ადგილია, რაც თავისთავად უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს.

ერთ აივანზე სხვეთთან ერთად ცხოვრობენ, პატარა ბიჭი და ახალგაზრდა კაცი. პატარა ბიჭი ამოკანას ვერ იყვანს. ახალგაზრდა კაცი სთავაზობს დახმარებას. ბიჭი უარზეა: „ალბათ, კარგად ვერ გაიგე, ხდება ხოლმე, რას იზამ... ამისათვის არაფერს სჭიან“, — ეუბნება ახალგაზრდა კაცი ბიჭს, მაგრამ ბიჭი თვითონ სჭიან თავის თავს: — რატომ უწრადლებით არ ეუსმენდი მასწავლებელსო.

საბოლოოდ გამოირკვა, რომ ბიჭი საერთოდ ან ხუთიანს იღებს ან ორიანს. ამის გამო ავტორი ამბობს: „პატივისცემით შევხედე ჩემს მეზობელს. იგი ფანჯარას გაყურებდა ოდნე ფერმკრთალი, პირქუში. მიუხედავად, რომ ეს ბიჭი იმ ადამიანებს როდი ეკუთვნის, რომლებსაც ცხოვრებაში ადვილი გზით სიარული უყვართ“.

კრებულში არის ერთი მოთხრობა „ახალი მატრიანე“, რომელიც თემბურად განსხვავდება დანარჩენებისაგან. იგი უფრო „სერიოზულ“ თემს ეძღვნება და დაწერილია ნარკვევის სტილით.

ჩვენი აზრით, არ იყო საჭირო მისი საბავშვო მოთხრობების გვერდით მოთავსება.

საერთოდ მ. შარდაველიანის მოთხრობები „ციხლერი ნაპირები“ მკითხველის სიმპათიას იმსახურებს.

ბესარიონ წიკლაძე

## ნარკვევები საქართველოში იდეოლოგიურ-რევოლუციურ მოძრაობის ისტორიის საკითხებზე

ქართველი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მასთან დაკავშირებული იდეოლოგიური ბრძოლა დიდი ხანია მეცნიერული კვლევის ობიექტად იქცა. მაგრამ ამ მოძრაობის ისეთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი, როგორცაა XX საუკუნის პირველი მეოთხედი, როდესაც იგი თავისი განვითარების უმაღლეს, ე. წ. პროლეტარულ ხანაში შევიდა, წერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. აღნიშნული პერიოდის დიდი ისტორიული მოვლენები სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წარმოშობა და საქართველოში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დაწყება. ამ ისტორიულმა პროცესმა მძლავრი იდეური მოძრაობა წარმოადგინა. სწორედ ამ იდეური ბრძოლის გაშუქებას ისახავს მიხნად ლ. გორგილაძის წიგნი „იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში“.

წიგნი განხილულია ანარქიზმთან, მენშევიზმთან, სოციალ-დემოკრატიზმთან, ფილოსოფიურ რევოლიუციონიზმთან და სხვ. პოლიტიკურ მიდინარეობასთან მარქსიზმის ბრძოლის ისტორიის აქტუალური საკითხები.

ნარკვევები იწყება საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის დიდი წარმომადგენლების — ა. ჯავახიშვილის და ა. წერეთლის მოღვაწეობის და როლის დახასიათებით. თერგდალეულები, როგორც აღნიშნავს ავტორი, ქართველი განმანათლებლები იყვნენ. რუსი რევოლუციურ-დემოკრატების იდეებით შთაგონებულნი, ისინი ებრძოდნენ ბატონყმობას, მოითხოვდნენ განათლებას, თვითმმართველობას, თავისუფლებას და იცავდნენ ხალხის, უმთავრესად, გლეხობის ინტერესებს. მათ აღუდგინდათ „ხედი ქართლისა“; ეროვნული საკითხი ილიას, აჯაყის და სხვ. მუდმივი საზრუნავი საგანი იყო. სამოციანელთა რევოლუციურ-დემოკრატიზმს პატრიოტულ-დემოკრატიული ფორმა ჰქონდა.

ნარკვევებში მეცნიერულადაა დასაბუთებული, რომ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები, სავან განსხვავებით, ქართველი სამოციანელები არა მარტო განმათავისუფლებელი მოძრაობის დემოკრატიული პერიოდის დიდი მოღვაწეები იყვნენ, არამედ, ამავე დროს, თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ამ მოძრაობის პროლეტარულ პერიოდში. ავტორი ამ მხარეს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას და სპეციალური კვლევის საგნად ხდის მას. იგი უარყოფს იმ შეხედულებას, რომელიც თერგდალეულთა მო-

ღვაწეობას მუშათა მოძრაობის პერიოდში განიხილავს, როგორც მტრულ, კონსერვატიულ მოვლენას.

მეტად საინტერესოაა დაწერილი ლ. გორგილაძის წიგნის ის ნაწილი, რომელიც ქართველი სამოციანელებისა და მარქსისტული მოძრაობის წარმომადგენელთა ურთიერთდამოკიდებულებას ეხება. იქ ნაჩვენებია, რომ ამ მხრივ ბევრ გაუგებრობასაც ქონდა ადგილი. მაგრამ ქართველი რევოლუციურ სოციალ-დემოკრატთა დასი ეროვნულ-დემოკრატიულ მოღვაწეებს დიდი პატივი მოეცადა, დანიხა ჩამათი სახით მოკავშირე თვითმმართველობის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში, თავის მხრივ, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლები, მართალია, კრიტიკულად უდგებოდნენ ქართველ მარქსისტებს, საერთოდ, თანაუგრძნობდნენ მათ.

ქართველი სამოციანელების მოღვაწეობის დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ისინი 1905 წლის რევოლუციას აღფრთოვანებით შეხედდნენ, გამოეხსენიან და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობაც მიიღეს რევოლუციურ მოძრაობაში. ილიას, აჯაყის, ევაყის და სხვ. შემოქმედება და მოღვაწეობა მშინი ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის, რომელმაც შესარულა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიული წინამძღვრის როლი, ხოლო შემდეგ მის მოკავშირედ იქცა. ასეთია ავტორის დასკვნა.

წიგნი ვსკლდაა გაშუქებული ანარქისტულ შეხედულებათა გავრცელების ისტორია საქართველოში. ავტორი უპირველეს ყოვლისა, არკვევს ანარქიზმის სოციალურ ფესვებს, ამბობს მის მონაწილეთა რევოლუციურობას და გვიყვებს იმ პრიციპულ წინააღმდეგობას, რასაც ადგილი აქვს მარქსიზმსა და ანარქიზმს შორის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების და სხვა საკითხებში. ნარკვევებში დახასიათებულია შტრინგერის, პრუდონის, ბაკუნინის, კროპოტკინის და მათი ქართველი მიმდევრების (ე. ჩერქეზიშვილი, კ. გოგელია და სხვ.) შეხედულებანი და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები.

ანარქიზმის მიხედვისა და მარქსიზმის გავრცელების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გ. პლენჩოვის შრომებმა, რომლებიც დაიბეჭდა ქართულ პრესაში. 1901 წელს თბილისს „კვალში“ გამოქვეყნდა მისი სტატია „როგორც ჰქუხს. ისე არ წვიმს“, რომლის მიზანი იყო ჩერქეზიშვილის ანარქისტულ შეხედულებათა უარყოფა. დიდი ბრძოლა ჩატარეს ქართველმა მარქსისტებმა ანარქიზმის წინააღმდეგ. მათ დიოცეს მარქსისტული მოძღვრების

ლ. გორგილაძე, „იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში“, „საბჭოთა საქართველო“, 1968.



ძირითადი დებულებანი და აწვეწეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის.

დიდ დავას ჰქონდა იდეოლოგიური რევოლუციონური ჭარბული პუბლიცისტიკაში ერთგული საკითხის გარშემო. ქართველი მარქსისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ერთგულ საკითხს, მის მარქსისტულ-ლენინურ გამოქვეყნებს და პროპაგანდას. მათ უხდებოდათ ბრძოლა აშკარა თუ ფარულ ნაციონალისტებთან, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს მეშვეთა მოძრაობა გამოეყოფინათ რუსეთის შუშათა მოძრაობისაგან. ლ. გორგილაძის წიგნის ერთ-ერთი თავი „ერთგული საკითხი რევოლუციონური ჭარბული პუბლიცისტიკაში“ დეტალურად გადმოგვეყვას მენშევიკების, სოციალ-დემოკრატების და სხვ. წინააღმდეგ მარქსისტების ბრძოლის ფაქტებს და გვაძლევს მათ შეცნობიერებულ შეფასებას. ლენინური ერთგულებას სახელმძღვანელო ვახსთ, მათი ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის წარმატებით დამთავრდა.

იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიაში დიდი ადგილი უკავია რეაქციის პერიოდში ფილოსოფიური რევოიონიზმის წარმოშობას და მის დაძლევის მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ.

ფილოსოფიური რევოიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ცალკეა გამოყოფილი სარეცენზიო წიგნში. იქ ნათქვამია, რომ მარქსისტული ფილოსოფიის დაცვას ხელი შეუდგენს ქართველთა ბილშევიკებში, რომლებიც იდეურად შეიარაღებული იყვნენ ვ. ლენინის „პეტროპოლისში და ემპირიოკრიტიციზმში“ მოცემული შეცნობიერული დებულებებით. აქვე ავტორი აკრიტიკებს იმ ქართველ ბილშევიკებს, რომლებმაც ვერ შეძლეს ბოლომდე გარკვეულიყვნენ სადავო საკითხებში და ემპირიოკრიტიციზმის პოპულარიაზატორების როლში გამოვიდნენ.

იდეოლოგიური ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების წლებში სრულიად არ შეწყვეტილა, პირიქით, გაძლიერდა კიდევ უფრო მწვავეს ვახსია. ლ. გორგილაძის ნარკვევების უკანასკნელი ნაკვეთი აღნიშნული პერიოდის იდეოლოგიური მოძრაობას აწვეებს. იგი ორ ნაწილს შეიცავს. პირველში ნაჩვენებია მარქსიზმის დაცვის მიზნით ქართველი ბილშევიკების მოლაშქობა მენშევიკების ბატონობის წლებში. ქართველი კომუნისტები მოუწოდებდნენ მშრომელ მასებს რუსეთის მეშვეთა კლასთან მჭიდრო კავშირისაკენ, რევოლუციის შემდეგში განვითარებისაკენ. ისინი ემყარებოდნენ

მარქსის, ენგელსის და ლენინის ნაწილს. პეტდავდნენ მათ ქართულ ენაზე და ავტორულბდნენ ხალხში. მეორე ნაწილი ასახავს იდეოლოგიური შეტაკებისას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის პერიოდში, სახელმძღვანელო, 1921-1925 წლებში. ავტორი წერს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ლიტერატურასა და ფილოსოფიაში წარმოიშვნენ სხვადასხვა მიმდინარეობანი, რომლებიც არ ემყარებოდნენ მარქსისტულ მთოფლმხედველობას. დაიწყო ბრძოლა ამ იდეოლოგიური გადაბრების წინააღმდეგ, სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის პროცესში ბურჟუაზიული იდეოლოგია დამარცხდა და განადგურდა ზენდანიანის ყველა სფეროდან, მარქსისტულ-ლენინიზმში იდეოლოგიამ სრული გამარჯვება მოიპოვა.

ლ. გორგილაძის ნარკვევები საქართველოში იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიის ბევრ საინტერესო საკითხს აყენებს და ახლებურად წყვეტს. იგი მაღალ შეცნობიერებულ დონეზეა შესრულებული. გვაქვს რამდენიმე შენიშვნა: 1) კარგი იქნებოდა ავტორს ყოველშეხვედრა გავრცედა საბოცინარულბდა და ქართველი მარქსისტების ურთოფოთადამოკიდებულებას საკითხი, ეჩვენებინა თუ როგორ შეიძლება რევოლუციური-დემოკრატიზმს მისი პატრიოტულ-დემოკრატიული ფორმით მოეშადებინა ქართველი პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგება, როგორ მიდიოდა. ვხა ხალხის თვითგონიერ თვითგამოკვევიდან, კლასობრივ თვითგამოკვევისაკენ. 2) საქართველოში ანარქიზმის წინააღმდეგ მარქსისტების ბრძოლის სურათი, რაც სარეცენზიო წიგნშია მოცემული, სრული არ არის. და 3) ჩვენი აზრით, უკანასკნელ ნაწილში მთავარი საკითხი ხდება ყოფილიყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების პერიოდში საზოგადოებთაშენიცნობათა დარკში ანტიმარქსისტული თეორიების წინააღმდეგ მარქსისტ-ლენინელების ბრძოლის ავტორი ეხება ლიტერატურის, ხელოვნების საკითხებს, ხელო ფილოსოფიის სფეროს თითქმის უუურადღებოდ ტოვებს.

ამ შენიშვნების მიუხედავად, ლ. გორგილაძის ნარკვევები იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში ქართული სოციალოგიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენამენია. იგი დიდ დამარკებას გაუწევს პატრიოტულ აქტივს, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებს და სტუდენტებს საქართველოში იდეოლოგიური ბრძოლის საინტერესო ისტორიის შესწავლაში.

ბონდო კარგოზია

### 3. ბრედლის „შვილიშვილები“

გარკინის  
განმარტების

ვ. ბრედლი დაიბადა 1901 წელს სამბურგში, დიდი რევოლუციური ტრადიციების მქონე ქალაქში. თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მან თავიდანვე დუკაჟინა პრილეტარიატის გმირულ ბრძოლას ადამიანთა შორის თანაწროობისა და სამართლიანობისათვის. 17 წლის ბრედლი უკვე კომუნისტური პარტიის წევრია, 22 წლისა აქტიურად მონაწილეობს შრომობიერი ქალაქის მუშათა გმირულ აჯანყებაში, რომელსაც ერნსტ ტელმანის ხელმძღვანელობდა. 1937 წელს იგი ტელმანის სახელობის ინტერნაციონალური ბატალიონის კომისარია და თავდადებულად ებრძვის ესპანელ ფაშისტებს.

წერა ვლი ბრედელმა ადრე დაიწყო. მისი პუბლიკისტური სტატიები შრომობიელთა ფართო ფენების დიდი მოწონებით სარგებლობდა და რევოლუციური ძალების აღმფრთხილებს იწყევდა. კომუნისტური პარტიის ორგანოში გახვთ „ფოლკსკაიტუნგში“ მუშაობის პერიოდში იგი ოცდათვრამეტჯერ იყო მიყვებულ მასუბისგებში და ბოლოს „სახელმწიფო ლაღატის“ ბრალდებით 2 წლის პატიმრობაც მიუსყეს.

გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარების დროისათვის ვ. ბრედლი საკმაოდ გამართლებული პულეტრისტული ნაწარმოებების ავტორია, სადაც იგი შრომობილებს ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის შექმნისაკენ მოუწოდებს. ამიტომ იყო, რომ პიტლერელებმა კულტურის სხვა ანტიფაშისტ მოღვაწეებთან ერთად იგი საკონცენტრაციო ბანაკში ჩასვეს.

1934 წელს ვ. ბრედლი საკონცენტრაციო ბანაკიდან გაიქცა და ზეზოსლოვაკიაზე გამოეწიოთ სამპოთა კავშირში ჩამოვიდა, სადაც დიდი სამაშულო ომის დამთავრებამდე დარჩა.

სამპოთა კავშირში ცხოვრების წლები ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა მწერლისთვის. გარდა იმისა, რომ სიბოძლ გერმანელ მწერლებთან ლიონ ფოპტანგერთან და ბერტოლტ ბრეტთან ერთად რედაქტორობდა ეტრნალ „დისკორტს“, ამავე პერიოდში დაიწერა მისი საკმაოდ ცნობილი რომანი „შენი უცხოში მამა“ და ტრ. უნოვა „ნათესაეები და ნაცნობების“ პირველი წიგნი „მამები“.

ფაშისტის დამარცხების შემდეგ ვ. ბრედლი ბრუნდება სამშობლოში და ახალი დემოკრატიული გერმანიის მშენებელთა პირველ რიგებში დგება. ამ პერიოდში სხვა მნიშვნელოვან ნაწარმოებებთან ერთად („ვიტალეული მშები“, „7 ოსტატი“ და სხვ.) იგი ჰქმნის შესანიშნავ რომანსა და სცენარს გერმანიის მუშათა კლასის ბელადზე ერნსტ ტელმანზე.

ტრილოგიაში — „ნათესაეები და ნაცნობები“

ვადმოცემულია ერთი ოჯახის ქრონიკა, მაგრამ მწერალი ისე ღრმად და მრავალმხრივ აღწერს გერმანიის საზოგადოების სხვადასხვა ფენების ცხოვრებას, მათ უფროებსა და მისწრაფებებს, სიხატულსა და მწუხარებას, რომ იგი ბევრად სკილდება დასახულ ფარგლებს და წარმოგვიდგება, როგორც ამ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი შემოქმედი. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრილოგიის მესამე წიგნი „შვილიშვილები“, სადაც ისტორიული მოვლენები და ფაქტები სრულიადაც არაა დასახული მარტობდენ ერთი ოჯახის ფონზე.

თუ ტრილოგიის პირველი წიგნი („მამები“ და „შვილები“) ნაწვევება გერმანიის მუშათა მოძრაობის განვითარება საფრანგეთ-პრუსიის ომიდან (1870 წ.) ვიდრე ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე, მესამე წიგნი — „შვილიშვილები“ — ავტორი ცილობს პასუხს განსაკუთრებული მნიშვნელობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, გააშუქოს მწვევე პოლიტიკური პრობლემები: რამ განაპირობა ფაშისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება და მათი თორმეტი წლის მუშებელთა პარპაში გერმანიაში; რატომ ასე, თითქმის ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად გავრცელდა მიზაკისფერი ჭირი დასავლეთ ევროპაში და როგორ მოეღო ბოლო ფაშისტური დიქტატურას საქვოთა არმიის ძლევამოსილი დარტყმების შედეგად.

წიგნი იწყება გერმანიაში ფაშისტური რეჟიმის დამყარების პირველი თვეების აღწერით: კოცონზე სწვევენ მარქსის, ენგელსის, ტელმანის, ჰანსს წიგნებს; აპატრებენ, საკონცენტრაციო ბანაკებში აგზავნიან ან ხერცებენ კომუნისტებს, „საუჭო პირებს“.

მაგრამ ურყეველი კომუნისტთა ნებისყოფა, უკეთესი მომავლის იმედი, ისინი გულხელდაერეფილები არ სხედან და მშვიდად და შეუწყრებენ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. კომუნისტები იატკვეშეთში ვადღიან, იზრდება მათი რიგები და გავლენის სფერო, დლითაღვ უთარბდება წინააღმდეგობის მოძრაობა.

ამ კომუნისტთა შორისაა მუშათა არალეგალური ვახლის რედაქტორი, კანტერ ბრეტენიცრომლის ცხოვრების და ბრძოლის აღწერა რომანის შთავარ სიუჟეტურ ხაზს წარმოადგენს. მასში ბევრი რამაა ავტობიოგრაფიული. თუმცა ზოგიერთი ეპიზოდი და დეტალი შეცვლილია (და ეს მისაღებია), მაგრამ ბრეტენის ბიოგრაფია წყლის ორი წვითითი მკვება სამპოთა კავშირში მცხოვრებ გერმანელ ემიგრანტთა ბიოგრაფიას და აშდენად იგი ტიპურია.

რომანში განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულითაა დახატული მუშათა კლასის ბელადის ერნსტ ტელმანის სახე, რომლისაგანაც სწა-

პოლი ბრედლი, „შვილიშვილები“, თარგმანი გერმანულადან ნორა კალანდარიშვილისა, „ნაკადლი“, 1962

ვლობენ სხვა ამანაგები მარქსისტული თეორიის პრაქტიკაში გამოყენების ფორმებსა და მეთოდებს. დასამახსოვრებელია აგრეთვე ჰამბურგის მუშათა მამაცი ხელმძღვანელის ერნსტ ტომის, პარტიისა და მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადებული კლარა ჰემელერის, მაქს დაპლერის, კერტ ჰემბერგერის, ჰანს ბრენსისა და სხვათა სახეები, სადაც მწერალმა თავი მოუყარა ყოველივე საკეთესოს რაც ეკერმანის კომუნისტურ პარტიაში, გერმანულ ხალხში არსებობდა. მაგრამ რომანის ლირსება მღვთო-მარჯობის უპირველეს ყოვლისა არა იმაში, რომ იქ შესანიშნავადა გამოქარაოლი ცალკეულ გმირთა სახეები, მათი ხასიათები, არამედ იმაში, რომ მან ისინი მტკიცედ შეჭრა ერთი დიდი მიზნით ვაერთიანებულ კომუნისტთა მთლიან ოჯახად, რომლის თვითებულ გმირი ათასი უწყველი ძაღითა დაკეთებული ხალხთან, მშრომელთა ჯართთა ფენებთან.

რომანში არის განსაკუთრებით ძლიერი ადგილები, ოსტატურად შესრულებული სცენები, სადაც ნათლადა ნაჩვენებია კომუნისტების ურყვევი რწმენა და თავდადებული ბრძოლა გამარჯვებისათვის, ასეთია, მაგალითად, ერნსტ ტელმანის საუბარი ესესელებთან, მის მიერ ლაიფციგის ცახეში გატარებული უკანასკნელი წუთები, ვალტერ ბრენტენის განცალკევებულ საკანში ყოფნისა და ბანაილად გაქცევის აღწერა და სხვ.

რომანში შთაეირი სიუჟეტური ხაზის — ბრენტენის ხაზის გარდა, ოსტატურადაა შერწყმული რამდენიმე სხვაიც, მათ შორის, ბრენტენის დედის, ფრაილასა და მათი ნათესავების ღუღუღისა და ემილ პარდევოფის, აგრეთვე ყოფილი მასწავლებლის, ახლა უკვე ნიღბახილი ესესე-ლი ქალათს, როხეიკის, საიდუმლო პოლიციის პასუხამკვეველი თანამშრომლის, გამოუსწორებელი ნაციისტისა და კაცთმოძულე მოძალანის მქადაგებლის, ევერის ცხოვრებისეული ეპიზოდები.

წიგნი ნათელ პასუხს იძლევა კითხვაზე, თუ ვინ იყო გერმანიისათვის თავდატებული ებედურების მიზეზი.

გერმანიის კომუნისტური და სოციალისტური პარტიების გაერთიანების დიდი ისტორიული აქტი, რომელიც მშვენიერადაა აღწერილი რომანში, წარმოადგენს ლოგიკურ დასკვნას, რომელიც გერმანიის მუშათა კლასმა ისტორიის მწარე გავეთლებიდან გამოიტანა — ეს იყო და არის გერმანიის დემოკრატიული მშვიდობიანი განვითარების ურყვევი საფუძველი.

რომანში — „შეილიშვილები“ ბრედელმა გერმანულ ლიტერატურაში პირველმა აღწერა გერმანულ კომუნისტთა ცხოვრება საზღვარგარეთ, მათი თავდადებული ბრძოლა ესპანელ დემოკრატთა და საბჭოთა მებრძოლების მხარდამხარ.

აქტიური მონაწილეობა ნაციონალურ კომუნისტის „თავისუფალი გერმანიის“ შექმნისათვის და სხვ.

წიგნის დასასრულს რომანის მთავარ გმირს ვალტერ ბრენტენს ვხვდავთ შთაგონებული შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩაბმულს. მას გვერდს უმშვენიერად თავისი ვფი ვიქტორი, პერბერტ პარდევოფი და მოშავალი თათბის სხვა ღირსეული წარმომადგენლები, რომელთა მაგალითზე ნაწევნებია მედგარი, მიზანსწრაფული ადამიანების ფორმირების, თავისუფალი, დემოკრატიული გერმანიის მშენებელთა ჩამოყალიბების ნამდვილი ისტორია. და აი, ეს ფართო ეპოური. ტალღა, ახლახან გამოქვეყნდა ქართულ ენაზე (პირველი და მეორე წიგნები ადრე გამოქვეყნდა) შთაგმუნელს ნინო კალანდარიშვილს გულმოდგინედ, საქმის ცოდნით და ვატილისინდისიერად უმეშვენია თარგმანზე. თარგმანის ავტორი კარგად სწუდება გერმანული ორიგინალის მხატვრული ქსოვილის ნიუანსებს და მოხდენილი ქართულთ თარგმნის და აჭარბებებს მით.

მაგრამ გვაქვს თბილედ შენიშვნა:

**Toleranz** — „მოთმინება“ (გვ. 16) კი არ არის არამედ შემწყნარებლობა, მოძომიენელობა, სხვათა აზრისა თუ მრწამსის ატანა. **Segeln galt als fauler Sport** — „აილქნიანი ნაევებით სეირნობა ნამდვილ სპორტად მიანდოდა“. — უნდა იყოს — აილქნიანი ნავით სეირნობა ფტქ, ზარმაკების სპორტად ითვლებოდა.

**Esplande** — ეს ლათინიზმი გერმანულში პირდაპირაა ვადმოტანილი, სჭობდა ვეეთარგმნა — მოედანი, სხვაგვარე ქართული მკითხველისათვის გაუგებარია.

**Korallentiere** — „კორალის პოლიპები“ — უნდა — „მარჯვის პოლიპები“ (გვ. 40).

**peinlich berührt** — „არანვეულებრივი სიშვეილით“ — უნდა იყოს — აღილეებულმა.

**Sie hatte an diesem sprechstundenfreien Tag Patienten auszusuchen.**

„მიღების დღე არა ჰქონდა, მაგრამ უნდოდა რამდენიმე პაციენტი მოეხანულებინა სახლში“. უკეთესია — დღეს ავადმყოფებს არ იღებდა, დღეს პაციენტები უნდა ეძებნა.

უვარგისი ქართულია „მინისტერიალბერტქორა“ (გვ. 331).

აქ იქ ვხვდებთ კორექტურული შეცდომებიც; ღუი ბრანკი — უნდა ღუი ბლანკი (გვ. 192). ფრანგი — უნდა ვრადი.

წიგნი პოლიგრაფიულად კარგადაა შესრულებული. ბრედელის „შეილიშვილებს“ სიამოვნებით წაითხოვს ქართული მკითხველი მშობლიურ ენაზე.

## ახალი წიგნები

### გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

- დემნა შენგელაია — ირმის ნახტომი. რედ. მ. ბაქურაძე, გვ. 720, ფასი 1 მან. 15 კაბ.  
 ანტონ უფრეკლაძე — რჩეული ნაწერები. რედ. ილ. ხოშტარია, გვ. 554, ფასი 1 მან. 10 კაბ.  
 ელადიმერ იაკაშვილი — გაბზარული თილისმა. რედ. ოთარ ევაძე, გვ. 354, ფასი 66 კაბ.  
 ვივა გიგეჭკორი — მზიანი დღე. რედ. ვ. ჯავახიძე, გვ. 80, ფასი 17 კაბ.  
 ბილოვან ნარიშკინიძე — ქვეყანა დილია. რედ. ვ. ჯავახიძე, გვ. 124, ფასი 24 კაბ.  
 თამაზ ჭილაძე — გასერიწევა პანის ეტლით. შეადგ. რედ. ილ. ხოშტარია, გვ. 324, ფასი 37 კაბ.  
 ელიზა ოყეშვილი — შეწვეტილი იდილია. რედ. მ. ცაქაშვილი, მთარგმნელთა ჩგუფი, გვ. 374, ფასი 93 კაბ.  
 ვაჰტანგ ჭელიძე — ცხოვრება ივანე მაჩაბლისა. რედ. ლ. იმერლავილი, გვ. 350, ფასი 92 კაბ.  
 აღასი აივაზიანი — მოგზაურობა თავის გარშემო. რედ. არჩ. დავითიანი, გვ. 124, ფასი 17 კაბ.  
 მარტინე ჭარბიანი — მშობლიური ხმები. (ქართველი საბჭოთა პოეტებს ლექსები სიმჭერ ენაზე). რედ. არჩ. დავითიანი, გვ. 138, ფასი 22 კაბ.  
 ვივი ძნევაძე — ლექსები. რედ. ე. ბობოხიძე, გვ. 86, ფასი 18 კაბ.

### გამომცემლობა „ნაქაძული“

- შაქსიმ გორგი — პატარა ბელურა. თარგ. ვაჰტანგ ჭელიძისა, რედ. მ. ქვეციანიძე, გვ. 6, ფასი 3 კაბ.  
 ვაჟა-ფშაველა — პატარა შუქების ფიქრები. რედ. მ. ტყეშელაშვილი, გვ. 12, ფასი 10 კაბ.  
 იაკობ ზოგებაშვილი — იაენანამ რა ქმნა? რედ. მ. ქვეციანიძე, გვ. 27, ფასი 20 კაბ.  
 პიოზია და მეგობრობა — კრებული რუსულ ენაზე. რედ. ფ. კ. ტიხონოვი, შეადგინა ირ. გოცი-რიძემ, გვ. 178, ფასი 62 კაბ.  
 სიმონ ჩიქოვანი — სამოცი ლექსი. რედ. ე. უზილია, გვ. 80, ფასი 15 კაბ.  
 ვალეგამეში — „რომელმან სიღრმე იხილა...“ თარგ. აქადურდიან ზურაბ კვიციანიძისა, რედ. თ. გამყრელიძე, გვ. 102, ფასი 41 კაბ.  
 დამარა გიგეჭკორი — ეოსაუბროთ ფრანგულად, რედ. ა. ბიჭერი, ნ. სოლოღაშვილი, გვ. 115, ფასი 52 კაბ.  
 შურმან ლეგანიძე — ბიჭები. რედ. ქ. ნიქაბაძე, გვ. 61, ფასი 10 კაბ.  
 ოთარ ჭელიძე — ჯაერი (პოემა). რედ. ქ. ნიქაბაძე, გვ. 74, ფასი 20 კაბ.  
 ვიორჯი კაქაბიძე — განათხული მოგვილოცეს. რედ. ქ. ნიქაბაძე, გვ. 95, ფასი 14 კაბ.  
 ა. ა. აღშვიანი — ბეთოვენი. თარგ. კარლო ბერაიშვილისა, რედ. რ. ჯაფარიძე, გვ. 295, ფასი 76 კაბ.  
 ჭეიშ ღენდომორ კუბერი — უკანასკნელი მოპიკანი. თარგ. ინგლისურიდან ალ. გამყრელიძისა, რედ. რ. ინანიშვილი, გვ. 506, ფასი 1 მან. 60 კაბ.  
 ფ. ვიორჯაძე — ძალა და აღმართი. რედ. ი. ვარდოსანიძე, გვ. 80, ფასი 10 კაბ.  
 ვიორჯი პაპიაშვილი — სიკაცხლის დაბრუნება. რედ. ქ. ნიქაბაძე, გვ. 194, ფასი 44 კაბ.  
 ანზორ აბულაშვილი, კარლო კობერიძე — მამარგმა მალე ჩამოვა. რედ. ნ. ლუშაძე, გვ. 157, ფასი 23 კაბ.  
 ვრიგოლ აროსია — ბავშვები ტბასთან. რედ. ქ. ნიქაბაძე, გვ. 28, ფასი 3 კაბ.  
 მანან სვიდ ბეილი — ტელეფონისტი ქალიშვილი. თარგ. ანერბაქაძულიდან ლეილა ერ-ძისა, რედ. ე. უზილია, გვ. 133, ფასი 25 კაბ.

613/218



3360 80 333.

ИНДЕКС  
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

**„М Н А Т О Б И „**

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“